ზურაბ ჭუმბურიძე

რა გქვია შენ?

მეცამე შევსებული გამოცემა

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი – 1982

4 Г
087.1:413 13(47.922)+499962.1
ბ 838

წიგნში განხილულია ქართული საკუთარი სახელები (პიროვნული სახელები, გვარები, გეოგრაფიული სახელწოდებანი), მოცემულია მათი ისტორია, ახსნილია მნიშვნელობა.

წიგნი მეცნიერულ-პოპულარული ხასიათისაა და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. იგი პირველად გამოიცა 1966 წელს, მეორედ — 1971 წელს. ამჟამად მესამედ გამოდის შევსებული სახით. შევსებულია უმეტესად წიგნის მეორე ნაწილი, რომელიც ქართულ ტოპონიმებს შეეხება.

70101 — 027
Ц——————— 135 — 82
М-(602)08 — 82

© გამომცემლობა „განათლება", 1982
ცვლილებებით

ᲠᲐᲠᲘᲝᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ

ყველა სიტყვას, რომელსაც ბრუნების უნარი აქვს, ენათმეცნიერები *სახელს* უწოდებენ. ამგვარ სიტყვათა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია არსებითი სახელები. რაც შეეხება ადამიანის სახელს, ე. ი. *სახელს* ამ სიტყვის ჩვეულებრივი და არა ენათმეცნიერული მნიშვნელობით, იგი შედის არსებით სახელთა ერთ ჯგუფში, რომელსაც *საკუთარი სახელები* ჰქვია. ამავე ჯგუფში შედის ადამიანთა გვარები, მეტსახელები, გეოგრაფიული სახელწოდებანი. ისინი ემიჯნებიან არსებით სახელთა მეორე ნაწილს — *საზოგადო სახელებს*.

საზოგადო სახელი ერთმანეთის მსგავს, ერთნაირ საგნებს (ნივთებს, მოვლენებს) აღნიშნავს. ასე, მაგალითად, აზროვნებისა და მეტყველების უნარის მქონე *ყველა* ცოცხალ არსებას ქართულად *ადამიანი* ეწოდება, მიუხედავად იმისა, ქალია თუ კაცი, ქართველია თუ რუსი, ახალგაზრდაა თუ ხნიერი. ასევე განურჩევლად *ყველა* ადამიანს, თუ ის მდედრობითი სქესისაა, *ქალი* ეწოდება, თუ მამრობითი სქესისაა — *კაცი*, თუ მცირე ასაკისაა — *ბავშვი*, თუ ხანში შესულია — *მოხუცი*... ასევე *ყველა* დასახლებულ პუნქტს, სადაც ძირითადად სოფლის მეურნეობას მისდევენ, ქართულად *სოფელი* ჰქვია, საშრეწველო და კულტურულ ცენტრად ქცეულ დიდ დასახლებულ პუნქტს კი *ქალაქს* ვეძახით.

ქალი და კაცი, ხარი და ძროხა, პური და წყალი, სახლი და კარი, ქალაქი და სოფელი, ყანა და მინდორი, მთა და ბარი — ყველა ესენი საზოგადო სახელებია: მათი მეშვეობით აღინიშნება *ყველა* საგანი, რომელთაც რაღაც საერთო ნიშანი აქვთ და სწორედ ამ ნიშნის მიხედვით არიან ერთ სიტყვაში გაერთიანებულნი.

საზოგადო სახელისაგან განსხვავებით, საკუთარი სახელი მსგავსთა შორის კონკრეტულად გამოყოფს მხოლოდ ერთს, ცალკე ერ-

თეულს. რა თქმა უნდა, ცალკე სახელის დარქმევა ყოველი საგნისათვის, რაც კი ჩვენს ირგვლივ არსებობს, შეუძლებელია და არც გვჭირდება, მაგრამ აუცილებელია ცალ-ცალკე სახელები ერქვას ადამიანებს, შინაურ ცხოველებს, სოფლებს, ქალაქებს, მდინარეებს. უამისოდ ერთმანეთის გაგება ძალიან გაგვიჭირდებოდა; არამცთუ გაგვიჭირდებოდა, ხშირად გამოუვალ მდგომარეობაშიც კი აღმოვჩნდებოდით.

საკუთარ სახელთა შორის გამოიყოფა ორი უმთავრესი ჯგუფი: ერთ ჯგუფს შეადგენენ ადამიანის (პიროვნების) სახელები და გვარები, მეორეში კი გაერთიანებული არიან გეოგრაფიული სახელწოდებანი. ენათმეცნიერებაში პირველს *ანთროპონიმია* ეწოდება, მეორეს — *ტოპონიმია*. მათ სწავლობს ლექსიკოლოგიის ერთი დარგი, რომელსაც ონომატოლოგია ჰქვია.

საკუთარი სახელების შესწავლა ძალზე საინტერესოა: როგორ გაჩნდა ესა თუ ის სახელი, ან რას ნიშნავს იგი? რას ნიშნავს თუნდაც ისეთი ცნობილი და გავრცელებული სახელები, როგორიცაა *თამარი* და *რუსუდანი*, *ირაკლი* და *გიორგი*? ანდა საიდან წარმოდგა გვარები: *ასათიანი*, *მეტრეველი*, *ოძელაშვილი*, *ჩუბინიძე* და მრავალი სხვა? რატომ ჰქვია ჩვენს დედაქალაქს *თბილისი*, კურორტებს — *წყალტუბო* და *ბახმარო*, მთებს — *იალბუზი* და *თეთნულდი*, მდინარეებს — რიონი და ენგური? ან რატომ ეწოდება მტკვარს რუსულად *კურა*? რამდენი *ახალდაბა*, *რუსთავი* და *ციხისძირია* საქართველოში?

სწორედ ამგვარ საკითხებზე გვექნება საუბარი ამ წიგნში. ასეთი საკითხების შესწავლა მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას კი არ ისახავს მიზნად, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ენის, ისტორიის, კულტურის შესასწავლად. ამგვარი საკითხების გარკვევა საჭიროა აგრეთვე ბევრი პრაქტიკული საკითხის მოსაგვარებლადაც: რა სახელი ავურჩიოთ ახალდაბადებულს, როგორი ფორმით უნდა შევიდეს ეს სახელი დოკუმენტებში, როგორ უნდა დაიწეროს ესა თუ ის გეოგრაფიული სახელწოდება და ა. შ.

ქართული პიროვნული და გეოგრაფიული სახელების შესახებ არსებობს ცალკეული გამოკვლევები, ბევრი ცნობა, დაკვირვება და ახსნა-განმარტება კი გაფანტულია სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში, რომელთა დიდი ნაწილი ნაკლებ ხელმისა-

წვდომია; რაც შეეხება სპეციალურ შემაჯამებელ ნაშრომებს, ასეთები არც ქართული ანთროპონიმებისა და არც ტოპონიმების შესახებ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

ჩვენი წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა და მიზნად არ ისახავს შეავსოს ზემოხსენებული ხარვეზი. აქ მხოლოდ მოკლედ და, რამდენადაც შეიძლება, მარტივად არის განხილული ქართული ონომატოლოგიის ზოგიერთი ძირითადი საკითხი, რომელიც აინტერესებს მკითხველთა ფართო წრეს, პირველ რიგში — ახალგაზრდობას. ვიწრო სპეციალურ და სადავო საკითხებს გვერდი აქვს ავლილი. მაგრამ ასეა თუ ისე, ჩვენი აზრით, წიგნი მაინც იძლევა ზოგად წარმოდგენას ქართული ონომატოლოგიის თანამედროვე დონის შესახებ და ასახავს იმ შედეგებს, რაც ამ დარგში დღეისათვის მოგვეპოვება. ბუნებრივია, ავტორი თავს არ იზღუდავს მხოლოდ სხვების მიერ მოპოვებული მიღწევების პოპულარიზაციით და საკუთარ დაკვირვებებსაც ხშირად სთავაზობს მკითხველს.

როგორც ვთქვით, საკუთარი სახელები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა. ამის მიხედვით ჩვენი წიგნიც ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში განხილულია ქართული სახელები და გვარები, მეორეში — გეოგრაფიული სახელწოდებანი.

რა გქვია შენ?

საკუთარ სახელთა შორის ყველაზე ძველი და ერთობ საყურადღებოა ადამიანთა სახელები. უეჭველია, სახელების დარქმევა ადამიანების ერთმანეთისაგან გასარჩევად მეტყველების უძველეს საფეხურზევე იყო საჭირო. ასე რომ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით: ადამიანის სახელი წარმოშობის მხრივ ისევე ძველია, როგორც საზოგადო სახელი. დროთა განმავლობაში საკუთარი სახელი ისევე განიცდიდა ცვლილებებს, როგორც საზოგადო სახელი და მეტყველების სხვა ნაწილები. ქრებოდა ძველი სახელები, ჩნდებოდა ახალი, იცვლებოდა სახელის დარქმევის წეს-ჩვეულებანი. ამ წეს-ჩვეულებათა შესწავლა, პიროვნულ სახელთა ისტორიის გაცნობა, მათი წარმომავლობისა და მნიშვნელობის დადგენა მრავალმხრივ არის საინტერესო.

გიფიქრიათ თუ არა ოდესმე, რას ნიშნავს, მაგალითად, *თამარი* ან *რუსუდანი*, *ირაკლი* ან *გიორგი*?

— რას უნდა ნიშნავდეს, სახელია და ეგ არის!... განა სახელი რამეს ნიშნავს? — გაიოცებს ალბათ ბევრი თქვენგანი.

მართლაც, ჩვენში ამჟამად გავრცელებული სახელების უმეტესობას არა აქვს რაიმე მნიშვნელობა გარდა იმისა, რომ იგი კაცის ან ქალის სახელად იხმარება. მაგრამ ყველაზე ასე როდი ითქმის. აბა, დაუკვირდით: *იამზე*, *მზექალა*, *მაყვალა*, *იმედა*, *მზეჭაბუკი*, *ოქროპირი*, *ღვთისავარი*... აშკარაა, ამ სახელებს გარკვეული მნიშვნელობაც ახლავს. ეს იმიტომ, რომ ნათლად ჩანს, რომელი სიტყვებისაგან არიან წარმოქმნილი ისინი.

სხვა სახელებიც ამგვარივე გზით, ჩვეულებრივი სიტყვებისაგან არიან მიღებული, მაგრამ ბევრი მათგანი წარმოშობით ქართული არაა, თანაც დროთა განმავლობაში ფორმა საკმაოდ შეცვლილი

აქვს და მათი მნიშვნელობის გამოსარკვევად საჭიროა სხვა ენების მოშველიება, ისტორიის გათვალისწინება, საგანგებო კვლევა-ძიება.

როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, სხვადასხვა ხალხში ადამიანის სახელებად ხშირად გამოყენებულია ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა სახელწოდებანი. ქართულში ასეთია, მაგალითად, დათვია, ვეფხია, ლომა, ლომინა, მგელა (გელა), მგელიკა, ძაღლიკა, ფოცხვერა, შევარდენა, ქორია, ჩიტო, ჩიტუნა, თაგუნა, ია, ვარდო, ენძელა, ფოთოლა, სოსანა და სხვანი.

ეს სახელები ჩვენში დღეს შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. უფრო ხშირად ასეთი სახელები დაცულია მთის კუთხეებში და აქედან მწერლობაშიც არის შემოტანილი. ერთ დროს რომ ასეთი სახელები უფრო ფართოდ ყოფილა გავრცელებული, ამას ადასტურებს ისეთი გვარები, როგორიცაა: ლომიძე, ლომაძე, ლომაშვილი, ლომაური, ლომაია, ლომია, ლომთაძე, ლომინაძე, ვეფხვაძე, დათუაძე, დათუნაშვილი, მგელაძე, მგელიაშვილი, გელიაშვილი, გელოვანი, ფოცხვერაშვილი, ხარაძე, ხარაიძე, ხარაიშვილი, შევარდნაძე, ქორიძე, მიმინოშვილი და სხვანი.

ცხადია, გვარები ლომიძე, ლომაძე, ლომაშვილი და სხვანი მიღებულია წინაპრის სახელისაგან (ლომი, ლომა). ასევე ითქმის ზემოთ ჩამოთვლილ სხვა გვარებზეც.

ცხოველთა მეფის სახელწოდება ადამიანის სახელად გვხვდება ბევრ ხალხში. ქართული სიტყვა *ლომი* მომდინარეობს ძველი ეგვიპტური *ლიაბუ (ლებუ)*-საგან. იქიდანვეა მიღებული ლომის ბერძნული სახელწოდება *ლეონ* და რუსული *ლევ*. როგორც ერთი, ისე მეორე ადამიანის სახელადაც გვხვდება. *ლევ* ერქვა, მაგალითად, გენიალურ რუს მწერალს—ტოლსტოის. *ლეონი* გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ხალხში, მათ შორის ქართველებშიც. ბევრ ხალხს აქვს აგრეთვე ნასესხები იმავე ლეონისაგან ნაწარმოები სახელები: *ლეონტი, ლეონიდე, ლეო*. მასთანვე არის დაკავშირებული ქართული *ლევანი*. ძველად საქართველოში სახელებად გვხვდებოდა აგრეთვე *ლომი, ლომა, ლომკაცი, ლომკაცა, ლომკაცია*.

თურქულად ლომს ეწოდება არსლან. იგი გვხვდება კაცის სახელადაც. მაგალითად, თამარ მეფის ერთ-ერთ ვეზირს ერქვა ყუთლუ არსლანი (ქართულად რომ ვთარგმნოთ, ეს სახელი ნიშნავს

„ბედნიერ ლომს"). არსლან იგივეა, რაც ქართულში დღეს გავრცელებული სახელი *ასლან*, რომლისგანაც ნაწარმოებია გვარი ასლანიშვილი. ლომს ნიშნავს აგრეთვე ძველი ებრაული სახელი არიელ, ხოლო ლომის ლეკვს — *გური*. არაბულად ლომს ნიშნავს *ასათ*, რომელიც ჩვენში წინათ გავრცელებული სახელი იყო, ამჟამად კი შემონახულია ასათიანის გვარში. ლომს ნიშნავს არაბულადვე *ჰაიდარ*, რომელიც გავრცელებული სახელია მაჰმადიანურ ქვეყნებში და საქართველოს ზოგიერთ კუთხეშიც გვხვდება(მაგალითად, ცნობილი აჭარელი საზოგადო მოღვაწე იყო ჰაიდარ აბაშიძე). „ალი-ლომი" — ასე ითარგმნება დიდი უზბეკი პოეტის ალიშერ ნავოის (XV ს.) სახელი. იმავე შერ („ლომი") სიტყვას შეიცავს *ჯუანშერ*, რომელიც წარმოშობით სპარსული სახელია და ნიშნავს „ახალგზრდა ლომს". (ამა თუ იმ უცხოურ საკუთარ სახელს სიადვილისათვის ჩვენ ვიმოწმებთ იმ ფორმით, როგორც ის გვხვდება ქართულში. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ სახელთა პირველადი ფორმები ხშირად განსხვავებულია: მაგალითად, არაბულში არის *ასად* და არა *ასათ*, სპარსულში — *ჯავანშირ* და არა *ჯუანშერ* და ა. შ.).

არანაკლები მოწონებით სარგებლობს სხვადასხვა ხალხში მგელთან დაკავშირებული, „მგლური" სახელებიც: სახელდობრ, ასეთია ქართულში: *მგელა, გელა, მგელიკა, გელუკა (მგელუკა), მგელია*, გერა (გერი მგლის კოლხური ანუ მეგრულ-ჭანური ფორმაა). ბერძნულსა და ლათინურში მათი შესატყვისი სახელებია *ლვიკოს* და *ლვიკარიონ*. „მგლისას" ნიშნავს ირანული წარმოშობის სახელი *გურგენ*, ხოლო „მგლისტანიანს" — *ვახტანგ*.

დიდ გერმანელ მწერალს გოეთეს ერქვა *იოჰან ვოლფგანგ*. ამათგან პირველი სახელი იგივეა, რაც ქართული ივანე, ხოლო მეორე— ვოლფგანგ, გერმანულად ნიშნავს „მგლის სვლას", „მგლურ ნაბიჯს". იმავე სიტყვას (*ვოლფ* — „მგელი") შეიცავენ გერმანული სახელები ადოლფ („კეთილშობილი მგელი") და რუდოლფ („წითელი მგელი"). ვისაც ჯეკ ლონდონის თხზულებები წაუკითხავს, ალბათ გაახსენდება ერთ-ერთი მრთხრობის გმირი ვოლფ ლარსენი. როგორც ხედავთ, სახელად მასაც „მგელი" რქმევია.

„მგელი" ადამიანის სახელად გვხვდება სლავურ ენებშიც: *ვილკო* (ბულგარულად), *ვუკ* (იუგოსლავურად). რუსულში *ვოლკ*

კაცის სახელად დღეს აღარ იხმარება, მაგრამ ძველად რომ ყოფილა, ეს ჩანს ისტორიულ საბუთებში, ასევე ვოლკოვის გვარში.

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში ხშირად გვხვდება აგრეთვე დათვთან დაკავშირებული სახელები, როგორიცაა, მაგალითად, ირანული *არსაკ, ხურსი*, ბერძნული *არკადი*, კელტური *არტურ* და სხვანი. ასეთივეა ქართული დათვია, დათუა, დათუნა. დღეს ქართულში დათა, დათო და დათუნა დავით-ის საალერსო ფორმებად ითვლება, მაგრამ დავითი სულ სხვა წარმოშობისა და მნიშვნელობის სახელია, მას დათვ-თან საერთო არაფერი აქვს, ხოლო დათა, დათო და დათუნა ძველისძველად აგრეთვე დამოუკიდებელი სახელები იყო. მათი დავითთან დაკავშირება შედარებით გვიანდელი ამბავია, როცა ამგვარმა სახელებმა ქრისტიანული რელიგიის გავლენით დამოუკიდებლობა დაკარგეს. „დათვიას" შესატყვისია სამეგრელოში გავრცელებული სახელი *თუნთია*.

პირველი ქართველი მეფე, რომელიც ტახტზე იჯდა მცხეთაში, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, იყო აზო. ეს სახელი ირანულ ენებში თხას ნიშნავს. ქურციკისაგან არის მიღებული ქურციკიძის გვარი: *ქურციკი* (გარეული ცხოველი) →*ქურციკა* (კაცის სახელი) →*ქურციკისძე*→ ქურციკიძე (გვარი). პიროვნულ სახელად იხმარება აგრეთვე ირმის, შვლის, ქურციკისა და ზოგი სხვა გარეული ცხოველის შვილის აღმნიშვნელი სიტყვა *ნუკრი*.

ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი პოემის გმირს ჰქვია კურდღელა („სულა და კურდღელა"), მეორე პოემის გმირს კი — ძაღლიკა („ძაღლიკა ხიმიკაური"). „ძაღლიკას" შესატყვისია მეგრული *ჯოღორია*.

ძველად ქართულში გავრცელებული სახელი იყო ვარაზი, რომლისგანაც ნაწარმოებია გვარები *ვარაზი, ვარაზიშვილი*. ამავე სახელისაგან არის მიღებული გეოგრაფიული სახელწოდება ვარაზისხევი (თბილისში, უნივერსიტეტის წინ). სახელი *ვარაზი* წარმოშობით ირანულია და „გარეულ ტახს" ნიშნავს. ირანული წარმოშობის სახელებია აგრეთვე *გოდერძი* და *თამაზი*, რომელთაგან *პირველი* ნიშნავს „ძლიერ ხარს", მეორე — „ძლიერ ცხენს". მნიშვნელობით „ვეფხვს" უდრის თურქული *ყაფლან*.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვა საკმაოდ ხშირად გვხვდება ადამიანის სახელად. ამგვარი სახელები

მეტწილად უძველეს ხანას ეკუთვნის, როცა ადამიანები აღმერთებდნენ ამა თუ იმ ცხოველს. ცხოველი იყო ტომის ტოტემი (ღვთაება). იმ დროს ხალხს ეგონა, რომ ლომის, დათვისა თუ მგლის ძალა მიენიჭებოდა იმას, ვისაც ასეთ სახელს დაარქმევდნენ.

ასეთივე პატივით სარგებლობდა ზოგიერთი ფრინველიც. მაგალითად, ფრინველთა მეფის — ორბის ანუ არწივის სახელწოდებისაგან არის მიღებული ლათინური *აკვილა*, საიდანაც ნაწარმოებია ქალის სახელი *აკვილინე*. ეს სახელი *აკვირინე*-სა და *ეკვირინე*-ს ფორმით საქართველოშიც გვხვდება. მისგანვე არის მიღებული რუსული *აკულინა*. „ორბს" ნიშნავს აგრეთვე ბერძნული *აეტი*. ეს სახელი ერქვა ძველი კოლხეთის მეფეს, მედეას მამას, მაგრამ ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში სხვა წარმოშობის სახელთან უნდა გვქონდეს საქმე (აეტი აქ შეიძლება ნიშნავდეს „აიელს" ე. ი. „კოლხიდელს").

ფრინველთა სახელწოდებისაგან ნაწარმოები პიროვნული სახელებია ქართულში: ჩიტო, სირინოზი, გედია, გვრიტია, გუგულა, ტრედონა და სხვანი.

აღსანიშნავია, რომ ფრინველთა სახელწოდებანი უფრო მეტად ქალის სახელებად გვხვდება. იგივე ითქმის მშვიდობიანი, უწყინარი ცხოველების სახელწოდებათაგან ნაწარმოები პიროვნული სახელების შესახებ. მაგალითად, ქალის სახელია *კრავი*, რომელიც ნახსენებია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში". XII საუკუნეში, თამარ მეფის დროს, ცხოვრობდა ცნობილი დარბაისელი ქალი *კრავაი ჯაყელი*. „კრავს" ნიშნავს აგრეთვე ლათინურად *აგნესა* და ებრაულად *რაქილ*. ებრაულად „დეკეულს" ან „ანტილოპას" ნიშნავს *ლია*. დავით აღმაშენებლის ასულს, უფრო ადრე კი გიორგი პირველის ასულს სახელად *კატა* ერქვა (ეს ინდოევროპული წარმოშობის სიტყვა, როგორც ჩანს, ჯერ საკუთარი სახელის სახით შემოვიდა ქართულში, შემდეგ კი ცხოველის აღსანიშნავად გავრცელდა და ლამის განდევნა ქართული *ციცა*. ახლა, პირიქით, *ციცო* იქცა ქალის სახელად).

ცხადია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს „უწყინარი" სახელები კაცისთვის სრულიად შეუფერებლად იყოს მიჩნეული. მაგალითად, კაცის სახელებია ზემოხსენებული *კურდღელა* და *ქურციკა*. როგორც კაცის, ისე ქალის სახელად გვხვდება *ნუკრი* (ნუკრია) და

ჩიტო (ჩიტუნია). კაცის სახელი იონა ებრაულად „მტრედს“ ნიშნავს.

პიროვნულ სახელებად ხშირად გვხვდება აგრეთვე სხვადასხვა ციურ მნათობთა სახელწოდებანი. ასე მაგალითად, „მზეს“ ნიშნავს ბერძნულად ელიოზი, ებრაულად შამში; რამზე ეგვიპტურად უდრის „მზის შვილს“, ყამარი არაბულად არის „მთვარე“, ეთერი ებრაულად — „ვარსკვლავი“ და ა. შ. მსგავსი შინაარსისაა ქართული სახელები: მზია, მზიანა, მზიულა, მზეონა, მზეხა, მზეთამზე, მზისადარი, მზევინარი, მზექალა, მამამზე, მზეჭაბუკი, მთვარისა, ვარსკვლავისა, მარეხი, ცისკარა და სხვანი.

თუ ამ სახელებს დავაკვირდებით, ერთ გარემოებას შევნიშნავთ: მზესთან დაკავშირებული უცხო წარმოშობის სახელები, როგორიცაა ელიოზი, რამზე, შამში, სამსონი და სხვანი, კაცის სახელებია, ქართული სახელები კი, რომლებშიაც მზე ურევია, თითქმის ყველა ქალის სახელს წარმოადგენს (გამონაკლისია მხოლოდ მამამზე და მზეჭაბუკი, სადაც მამრობითი სქესი ხაზგასმულია სახელის მეორე ნაწილით: „მამა“, „ჭაბუკი“). აკად. ი. ჯავახიშვილი ამ გარემოებას იმით ხსნის, რომ ძველისძველი წარმართული სარწმუნოებრივი შეხედულების მიხედვით, ქართველებს მზე ქალის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი.

განვითარების გარკვეულ საფეხურზე ადამიანმა თავი ანება მნათობების, ცხოველებისა და ფრინველების თაყვანისცემას და აღიარა ერთი ღმერთი. ახალმა რელიგიურმა რწმენამაც თავისი ასახვა პოვა საკუთარ სახელებში. ამის ნიმუშებია, მაგალითად, ძველი ებრაულიდან ბერძნულის მეშვეობით მომდინარე სახელები: ანანია, გაბრიელ, დანიელ, ივანე, მათე, მიხეილ, სამოელ... ბერძნული: დოროთე, თეოფილე, თედორე, თეოდორა, თეკლე... ამ სახელების რელიგიური შინაარსი დიდი ხანია აღარავის ახსოვს და ზოგი მათგანი ჩვენში დღესაც გავრცელებულია, მაშინ, როცა მსგავსი შინაარსის ქართული სახელები უკვე დავიწყებას ეძლევა და აქა-იქ მხოლოდ მოხუცებს ჰქვია (უფლისა, ღვთისია ანუ ხვთისო, ღვთისავარ, ქრისტესია ანუ ქიტესა და სხვა).

სახელთა ერთ-ერთ მოზრდილ შინაარსობრივ ჯგუფს ჭმნიან სადაურობის აღმნიშვნელი სახელები. ასეთები განსაკუთრებით მრავლად გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, სადაც მთელი კავკა-

სიის ხალხები გამოცხადებულია ბიბლიური თარგამოსის შთამომავლად, ხოლო ცალკეული კუთხის მცხოვრებთა წინაპრად მიჩნეულია თარგამოსის რომელიმე შვილი ან შვილიშვილი. თარგამოსის შვილების სახელებია: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკ, ჰეროს, კავკას, ეგროს. მათ შორის ქართველთა მამამთავრად მიჩნეულია ქართლოსი, რომელსაც ჰყავდა შვილები: მცხეთოს, გარდაბოს, კახოს, კუხოს, გაჩიოს. მცხეთოსის შვილთაგან გამოირჩევიან უფლოს, ოძრხოს და ჯავახოს.

როგორც ვხედავთ, ეს სახელები ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ კუთხის ან ქალაქის სახელწოდებას ემთხვევა, უფრო სწორად, მათგან არის ნაწარმოები. ამ სახელებიდან ზოგი დღესაც იხმარება (უცვლელად ან ოდნავ შეცვლილი ფორმით): ქართლოსი, კახი ან კახა, ლეკო, ჯავახი. მათ საფუძვლად უძევს ხალხის (ტომის) სახელწოდება (ეთნონიმი). ძველად ქართულში საკმაოდ ხშირი იყო აგრეთვე გეოგრაფიული სახელწოდებებისაგან (ტოპონიმებისაგან) ნაწარმოები ადამიანთა (პიროვნული) სახელები: ბირთველ (*ბირთვის-*ისაგან), ორბელ (*ორბეთ-*ისაგან), გაგელ (*გაგ-*ისაგან), თორელ (*თორ-ისაგან*) ტბელ, ახალციხელ, ოდიშელ, უჯარმელ და სხვანი (ზოგი ამათგანი ქართულიდან სომხურშიც ყოფილა შესული: ორბელ, ბირთველ, ბურთელ...). ბუნებრივია, ამ ტიპის სახელები სხვა ხალხებსაც მოეპოვებათ და ზოგი მათგანი ქართულშიც არის შემოსული. ასეთია, მაგალითად: ადრიანე, ანდრიან („ადრიელი"), ანატოლი („ანატოლიელი", „აღმოსავლელი"), სპარტაკ („სპარტელი") და სხვა.

სახელთა ერთი ჯგუფი შინაარსობრივად დროის გამოხატვას უკავშირდება: ნაწარმოებია იმ დღის, თვის ან დღესასწაულის სახელწოდებისაგან, როცა ბავშვი დაიბადა. ასეთი სახელებია: პარასკევა, პრასკოვია („პარასკევისა"), შაბათა, კვირია, აღდგომელა, იანვარა, მარტია, მაისა, ივლიანე, იულონ...

უკანასკნელი ორი სახელი (ივლიანე და იულონ) ნიშნავს „ივლისისას" (ივლისში დაბადებულს), მაგრამ შეიძლება განიმარტოს აგრეთვე როგორც „იულიუსისა". ეს იმიტომ, რომ *ივლისი* და *იულიუსი* ერთი ძირის სიტყვებია: თვეს სახელი დარქმეული აქვს იულიუს კეისრის პატივსაცემად (თვითონ *იულიოსი* ბერძნული სახელია და „თმახუჭუჭას ნიშნავს). აქვე აღსანიშნავია, რომ *ივლიან*

რუსულში გამოითქმის როგორც *იულიან*, გამარტივებული ფორმით — *ულიან*, საიდანაც ნაწარმოებია გვარი *ულიანოვი*. მისგანვე არის წარმოქმნილი ქალის სახელი *ულიანა* ანუ *იულიანა*.

მაჰმადიანთა ერთ-ერთ დღესასწაულს (გაზაფხულის ბუნიობის დღეს, რომელიც ახალი წლის დასაწყისად ითვლებოდა) ჰქვია *ნავრუზი* („ახალი დღე"). იგი სახელადაც იხმარება (გვხვდებოდა ქართულშიც, რასაც ადასტურებს მისგან ნაწარმოები გვარები: *ნავრუზაშვილი, ნავროზაშვილი, ნაროზაშვილი, ნაროზაული*).

წინათ ზოგჯერ ბავშვებს სახელს არქმევდნენ დაბადების რიგის მიხედვითაც. მაგალითად, სპარსულში: *ჩარი* („მეოთხე") *ფანჯი* („მეხუთე", აქედანაა ქართული გვარი *ფანჯიკიძე*), *ალტი* („მეექვსე")... „პირველ ჯილდოს" ანუ „პირველ შვილს" ნიშნავს სკვითური *რადამისტ*, ანალოგიური შინაარსისაა ირანული *ანდრანიკ* („პირმშო"), რომლებიც გავრცელებული სახელები იყო ერთ დროს სომხეთსა და საქართველოშიც. რუსეთში პირველი შვილის სახელები იყო *პერვუხა, პერვუშა* ან *პერვენეც*, მეორესი — *ვტორიაკ*, მესამესი — *ტრეტიაკ*, მეექვსესი — *შესტაკ* და ა. შ. ამჟამად ასეთი სახელები აღარ გვხვდება, მაგრამ დაცულია მათგან ნაწარმოებ გვარებში: *პერვენცევ, პერვუხინ, ტრეტიაკოვ, ტრეტიაკ, შესტაკოვ, შესტაკოვიჩ* და სხვა. შესაძლოა ასეთივე წარმოშობისა იყოს ქართული გვარები *პირველი* და *სამუკაშვილი*. ზოგიერთი სახელი ფერს აღნიშნავს. ასეთებია, მაგალითად, ქართული: *ლეგა, შავლეგი, უჩა, წიქა, თეთრუა*, აგრეთვე ჩვენში სხვადასხვა ენიდან შემოსული და გავრცელებული სახელები: ბერძნული *პორფილე* („წითელი"), *სარდიონი* („მწითური"), *მელანია* („შავი"), *მავრა* („შავგვრემანი"), ლათინური *კანდიდი* („თეთრი"), ირანული *საურმაგი* („შავხელა"), *შიო* (←*სიაოშ* „შავი მამაკაცი") და სხვა.

ზოგ ასეთ სახელს საკმაოდ რთული და მიხვეულ-მოხვეული გზები გაუვლია. მაგალითად, ძველი ინდური *ლალ* („ლალი") უსესხია სპარსულს, სადაც *ლალაკ* ნიშნავდა „ლალისფერს", „წითელს", შემდეგ კი დაერქვა წითელი ფერის იასამანს. აქედან წარმოდგა ქალის სახელები *ლალე* და *ლოლა*. იგივე სიტყვა, *ლაილაკ* (‖*ლილაკ*)-ის ფორმით, ისესხა არაბულმა, ოღონდ არა მხოლოდ წითელი იასამნის, არამედ საერთოდ იასამნის აღსანიშნავად. ამის გამო მან შეიძინა იასამნისფერის (ე. ი. მუქლურჯის) გაგებაც. ასეთი გაგებით ეს სიტყვა (*ლილას*) შევიდა ფრანგულში, აქე-

დან კი გავრცელდა სხვა ევროპულ ენებშიც, მათ შორის რუსულში (лиловый цвет).

მნიშვნელობის მიხედვით დაჯგუფების დროს შეიძლება ცალ-ცალკე გამოვყოთ აგრეთვე სახელები, რომლებიც გამოხატავენ ხელობას, სოციალურ მდგომარეობას, ბავშვის დაბადებით გამოწვეულ სიხარულს ან უკმაყოფილებას და ა. შ. მათ შორის ყველაზე დიდ ჯგუფს შეადგენენ სახელები, რომელთა შინაარსში ხაზგასმულია პიროვნების ფიზიკური ან მორალური ღირსებები. ასეთი ქართული სახელებია: ეშხა, უმანკო, ტურფა, ზვიადი, კოხტა, რაინდი, საჩინო, უშიშა, ქველი... ქართულში გავრცელებული ამ ტიპის ბევრი სახელი წარმოშობით ბერძნული ან ლათინურია. ასეთებია, მაგალითად: ალექსანდრე („მამაცი"), არტემ („ჯანმრთელი"), გერასიმე („პატივცემული"), ევგენი („კეთილშობილი"), ვალერი („ძლიერი", „ჯანმრთელი"), ვიქტორ („გამარჯვებული"), ონისიმე („სასარგებლო"), არიადნა („ერთგული ცოლი"), ეკატერინე („წმინდა", „უმწიკვლო"), სოფიო („ბრძენი") და მრავალი სხვა.

ბერძნულ-რომაული და აგრეთვე ზოგი ებრაული, სირიული და სხვა ხალხთა სახელების გავრცელება საქართველოში და, საერთოდ, საქრისტიანო ქვეყნებში რელიგიის ზეგავლენის შედეგია. მართალია, ამ სახელებიდან ზოგიერთი ჩვენში უთუოდ ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ მათი რიცხვი მცირე იყო, ქრისტიანობის გავრცელების შედეგად კი განუზომლად გაიზარდა. ეს იმიტომ, რომ ახალდაბადებულთა აღრიცხვა და საბუთებში შეტანა (დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, რეგისტრაცია) წარმოებდა მონათვლის დროს; ამ დროს ხდებოდა ბავშვის სახელის არჩევაც. ეკლესიის მოთხოვნით, ყოველ ქრისტიანს უნდა დარქმეოდა ქრისტიანული სახელი, ე. ი. სახელი ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული რომელიმე პირისა, რომლის ხსენებაც შეტანილი იყო სპეციალურ საეკლესიო კალენდარში (ამ წმინდანის დაბადების ან გარდაცვალების დღეს). ამგვარ სახელებს კალენდარულ სახელებს უწოდებენ. ხსენებული კალენდარი შედგენილი იქნა ბიზანტიაში და მასში შევიდა ძირითადად ბერძნული და ლათინური სახელები, რომელთაც დაემატა აგრეთვე იმ დროს ბიზანტიაში გავრცელებული ძველებრაული, სირიული და ეგვიპტური სახელები. მონათვლისას მღვდელი ჩახედავდა კალენდარს და ბავშვს შეურჩევდა იმ წმინდანის სახელს, რომლის

ხსენებაც იმავე დღეს ან მახლობელ დღეებში იყო დაწესებული. ეს წმინდანი ითვლებოდა შემდეგ მისი მოსახელე ადამიანის მფარველად.

თვითეულ კალენდარულ სახელს თავის ენაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ როცა ეს სახელი გადადიოდა სხვა ხალხში, იქ იგი კარგავდა თავის ზოგად ლექსიკურ ანუ სიტყვობრივ მნიშვნელობას და იხმარებოდა მხოლოდ როგორც საკუთარი სახელი.

თავდაპირველად ხალხი ვერ ეგუებოდა ასეთ სახელებს, რადგან ისინი უცხო, უშინაარსო და ძნელი დასახსომებელი იყო. ამიტომ ხშირად მშობლები არ ემორჩილებოდნენ ეკლესიის მოთხოვნას და სურდათ შვილისთვის დაერქმიათ თავიანთი შერჩეული, მათთვის ახლობელი და ნაცნობი სახელი. ამ უთანხმოებას ხშირად ის შედეგი მოჰყვებოდა, რომ ახლობლები ბავშვს ეძახდნენ არაკალენდარულ სახელს, საეკლესიო წიგნსა და საბუთებში კი ის გატარებული იყო სულ სხვა სახელით. ხშირად ეს სახელები ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა. მაგრამ ზოგჯერ ცდილობდნენ ისეთი შინაურული სახელი შეერჩიათ, რომელიც შინაარსით ან გარეგნულად (ბგერითი აგებულებით) ოფიციალურ სახელს ემსგავსებოდა. სწორედ ასე უნდა ქცეულიყო ქართველებში არაკალენდარული დათო და დათუნა დავითის შინაურულ, საალერსო ანუ კნინობით ფორმებად. ასევე დაუკავშირდა კოლხური გერა (ე. ი. „მგელა") სულ სხვა წარმოშობისა და მნიშვნელობის კალენდარულ სახელს გერასიმეს, რომელიც ბერძნულად „პატივცემულს" ნიშნავს.

აკი, კაკი და კაკო ამჟამად ჩვეულებრივ აკაკის საალერსო ფორმებად მიიჩნევა, მაგრამ ასეთი დაკავშირებაც უთუოდ გვიანდელი, მეორეული მოვლენაა. როგორც დასავლეთ საქართველოში ნაპოვნი ოქროს ფულის წარწერიდან ჩანს, აკი რქმევია კოლხეთის მეფეს ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში, ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე. ეს სახელი დღესაც გვხვდება სამეგრელოში. მასვე უკავშირდება აფხაზური ჰაკი (გაიხსენეთ ლ. ქიაჩელის ერთ-ერთი მოთხრობის გმირი ჰაკი აძბა). მართალია, ამ სახელების მნიშვნელობა დაუდგენელია, მაგრამ უდავოა, რომ ეს სხვა სახელია და აკაკი— სულ სხვა. იგივე შეიძლება ითქვას კაკისა და კაკოს შესახებ. აკაკი ბერძნულია და „უბოროტოს", „უზაკველს" ნიშნავს, იგი სახელად

საქართველოში მხოლოდ უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე დასტურდება, მაშინ როცა კაკი და კაკო ძველისძველი, როგორც ფიქრობენ, წარმოშობით ხურიტული სახელებია (კაკო-კაკუი გვხვდება აგრეთვე ფირდოუსის „შაჰ-ნამეში"). ამავე რიგში დგანან: კაკა, კანკა, კიკა, კიკი, კიკო, კიკოლა, კაკული, კუკუ და სხვანი. სახელის სიძველეს ადასტურებს მისგან წარმოქმნილი გვარიც. აქაც უნდა ითქვას, რომ აკაკი-საგან ნაწარმოები ქართული გვარი არ არსებობს, მაგრამ სამაგიეროდ გვაქვს: კაკაშვილი, კაკიაშვილი, კანკავა, კაკულია, კიკიანი და სხვანი.

ამრიგად, აშკარაა, რომ აკი, კაკი, კაკო და ზოგი სხვა სახელი, რომლებიც ამჟამად აკაკის შემოკლებულ, საალერსო ფორმებად გვეჩვენება, სულ სხვა წარმოშობის დამოუკიდებელი სახელებია, რომელთა შევიწროება და ოფიციალური ხმარებიდან გადავარდნა ეკლესიის ზეგავლენისა და კალენდარულ სახელთა დანერგვის შედეგია.

ზოგიერთი კალენდარული სახელი გარეგნულად ისე ჰგავდა ქართულ სიტყვას ან სახელს, რომ ამგვარ შემთხვევაში მისი შეგუებისა და დანერგვის საკითხი არც დაისმოდა, ხალხი მას თავიდანვე ეროვნულ სახელებს უთანაბრებდა. მაგალითად, კალენდარული სახელი *სალომე*, რომელიც წარმოშობით ებრაულია და „მშვიდობას" ნიშნავს, ბუნებრივია, ქართულში გაგებული იქნა როგორც ქართული სახელი, ნაწარმოები ლომ-ისაგან; ხომ ცნობილია მსგავსი აგებულების ქართული ეროვნული სახელები: საბედა, საბედო, სანათა, საჩინო.

ასევე შეიძლება ითქვას მამიას შესახებ, რომელიც ქართველის ცნობიერებაში, ცხადია, იმთავითვე „მამას" უკავშირდება, თუმცა საეკლესიო კალენდარში იგი ახსნილია როგორც „ძუძუმწოვარი" (ლათინურის მიხედვით). ადვილი საფიქრებელია, *მამია* როგორც წმინდა ქართული სახელი ქართველებში ქრისტიანობის წინა ხანებშიაც ყოფილიყო გავრცელებული. იგი ფორმის მხრივ ისეთივე აგებულებისაა, როგორც კაცია, დათვია, ვეფხია, მზია... მნიშვნელობის მხრივ კი *მამია* მოგვაგონებს ნათესაური ურთიერთობის გამომხატველ წმინდა ქართულ სახელებს, როგორიცაა მამუკა, დედიკა, მამისა, დედისა, პაპუნა, ბიძინა...

ქრისტიანულ (კალენდარულ) სახელებთან შეგუების მიზნით

ზოგჯერ თარგმნის გზასაც მიმართავდნენ. მაგალითად, თუ ბავშვს საეკლესიო კალენდრის მიხედვით არქმევდნენ ანასტასის, რაც ბერძნულად „აღდგომას“ ნიშნავს, მშობლები თარგმნიდნენ ამ სახელს და შვილს უწოდებდნენ აღდგომელას. ასევე ენაცვლებოდა ბერძნულ კვირიკეს ქართული უფლისა, ზენონს — ღვთისმსავარი (ღვთისია, ღვთისო), ქრისტეფორეს — ქრისტესია (ქიტესა) და ა. შ.

მარტო ქართველები როდი იქცეოდნენ ასე. ცნობილია, რომ რუსული სახელები *ვერა, ნადეჟდა* და *ლიუბოვ* (ლუბა) თარგმანია ბერძნული სახელებისა: *პისტი* („რწმენა“), *ელპიდე* („იმედი“), *აგათია* („სიყვარული“). ლეგენდის მიხედვით ესენი იყვნენ წამებული დები. მათი დედის სახელი *სოფიო* („სიბრძნე“) რატომღაც არ უთარგმნიათ, შვილების სახელები კი ითარგმნა და გავრცელდა მთელ რუსეთში (იქიდან ბოლო დროს ქართულშიც შემოვიდა; ამავე დროს პისტი, ელპიტე, აღათი ქართულში უთარგმნელადაც არის შემოსული უშუალოდ ბერძნულიდან).

კალენდარული სახელი *ფოტინე* ბერძნულია და „ნათელს“ ნიშნავს (*ფოს, ფოტოს* — „სინათლე“, აქედან *ფოტოგრაფია* — „სინათლის მეშვეობით ხატვა“, *ფოსფორი* — „მანათობელი ქიმიური ელემენტი“). აქა- იქ ეს სახელიც გვხვდება, მაგრამ დღეს გაცილებით უფრო გავრცელებულია მისი ქართული შესატყვისი ნათელა. ასევეა რუსულში *სვეტლანა*, გერმანულში — *კლარა*, სომხურში — *ლუსია*, იტალიურში — *ლუჩია* და ა. შ.

ზოგჯერ, როცა არაქრისტიანული სახელით ცნობილი პირი ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავს დასდებდა, მისი ხსენება, როგორც წმინდანისა, კალენდარში შეჰქონდათ და ამის შემდეგ მისი სახელიც ოფიციალურად მისაღები ხდებოდა. ასე გავრცელდა, სახელდობრ, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანებად აღიარებულ პირთა სახელები: აბო, შიო, შუშანიკ, ქეთევან... მათ შორის გვხვდება ქართული წარმოშობის საკუთარი სახელები ბიძინა და შალვა, უცნობი წარმოშობის, მაგრამ ქართველებში ძველთაგან გავრცელებული გობრონ, რაჟდენ და სხვანი.

ასე, სხვადასხვა გზით, გადარჩა ეროვნული საკუთარი სახელების ნაწილი იმ ბრძოლაში, რაც ქრისტიანულ და არაქრისტიანულ სახელებს შორის მიმდინარეობდა საუკუნეთა მანძილზე. ამ სახელთა უმეტესობამ შეფარვით მოაღწია ჩვენამდე როგორც არაოფი-

ციალურმა, საალერსო სახელმა ან მეტსახელმა, ან კიდევ გვარის შემადგენელმა ნაწილმა. მაგრამ ამ გზითაც გადარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი, ბევრი კი თანდათანობით დავიწყებას მიეცა და უკვალოდ დაიკარგა. მათი ადგილი დაიკავა საეკლესიო კალენდარულმა სახელებმა, რომელთა უმეტესობა, როგორც ვთქვით, წარმოშობით ბერძნულ-ლათინურია, ან ებრაული, სირიული და ეგვიპტური ენებიდან მომდინარეობს (ისევ ბერძნულის გზით).

ქრისტიანული სახელების ერთი ნაწილი მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული, აღმოსავლეთ საქართველოში კი იშვიათად გვხვდებოდა. ასეთია, მაგალითად: იპოლიტე, კალენიკე, კალისტრატე, პორფილე, ქრისტეფორე, სერაპიონ, სევასტი, აღათი, პელაგია, პიღასი, პისტი და სხვანი. ეს იმით აიხსნება, რომ საუკუნეთა განმავლობაში დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებთან დასავლეთ საქართველოს უფრო მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირი ჰქონდა. სამაგიეროდ, აღმოსავლეთ საქართველო უფრო მეტად განიცდიდა აღმოსავლეთის ქვეყნების გავლენას, განსაკუთრებით არაბეთისა და სპარსეთის ზემოქმედებას. ამიტომ აქ ქრისტიანულ სახელებთან ერთად ვრცელდებოდა არაკალენდარული აღმოსავლური საკუთარი სახელებიც, როგორიცაა: ბარამ, ბარძიმ, გარსევან, გოდერძი, გურგენ, ზაალ, ლუარსაბ, როსტომ, ზეინაბ, როდამ და სხვანი.

თავისებური ანთროპონიმებით განსაკუთრებით გამოირჩევა მთის კუთხეები, სადაც ერთი მხრივ შემოგვენახა ძველი ქართული წარმართული სახელები, მეორე მხრივ გავრცელდა კავკასიის მთიანეთის ხალხთაგან შემოსული სახელები: აფშინა, ბათირა, ბაღათერა, ბახა, მუსა, ხირჩლა და სხვა.

საქართველოს მეზობლად თურქების დასახლებას შედეგად მოჰყვა ზოგიერთი თურქული სახელის გავრცელება (ალია, ალმასხან, თენგიზ, მურთაზ...).

უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე საქართველოში გავრცელდა აგრეთვე რუსული სახელები: ბორის, ვლადიმერ, იაროსლავ, ვერა, ნადეჟდა, ლუბა, სვეტლანა... შემოვიდა ევროპული სახელებიც: იაგო, კარლო, ტრისტან, იზოლდა, ინგა, ვიოლეტა, ემა...

ამრიგად, დღეისათვის ცნობილ ქართულ პიროვნულ სახელთა

შორის საკუთრივ ქართული წარმოშობის სახელებთან ერთად მრავლად გვხვდება სხვადასხვა ენიდან შემოსული სახელებიც.

ბევრს უკვირს და სწყინს კიდეც, როცა გაიგებს, რომ ჩვენში ძალიან გავრცელებული რომელიმე სახელი წარმოშობით ბერძნული, ებრაული ან სპარსული ყოფილა, ხოლო წმინდა ქართული სახელები შედარებით ცოტა გვქონია. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ასეთივე სურათია მრავალ სხვა ენაში და ქართული ამ მხრივ არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენს. ადამიანის სახელი ისევე შეიძლება გადავიდეს ერთი ხალხიდან მეორეში, როგორც სხვა სიტყვა, მაგრამ ნასესხები სიტყვაც და სახელიც ეგუება ენას, იცვლება მისი ფონეტიკური კანონების მიხედვით და ხშირად ძნელი გამოსაცნობიც კია, რომელი ენიდან, რა გზით არის იგი შემოსული და რომელი სახელისაგან არის მიღებული. ამ გარემოებას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი: როცა ნასესხები სახელი ასე შეცვლილია და შეგუებულია მსესხებელი ენის ბუნებას, ასეთ შემთხვევაში იგი უკვე ეროვნულ სახელებს უთანაბრდება და მის უცხოურობაზე ლაპარაკი მხოლოდ ისტორიულ ასპექტში შეიძლება.

ჩვენი დებულების ნათელსაყოფად გავეცნოთ ზოგიერთი სახელის გავრცელების სფეროს.

გიორგი წარმოშობით ბერძნული სახელია, ნიშნავს „მიწის მუშას", „მხვნელ-მთესველს", „მიწათმოქმედს", შედგება ორი სიტყვისაგან: *გე* — „მიწა", *ერგონ*—„*მუშაობა*". (პირველი სიტყვა გვხვდება ისეთ მეცნიერებათა სახელწოდებებში, როგორიცაა გეოგრაფია, გეომეტრია, გეოლოგია, გეოდეზია და სხვანი, მეორე სიტყვისაგან კი ნაწარმოებია — ენერგია, ალერგია და სხვ.). გარდა ქართულისა, ეს სახელი ბერძნულიდან შესულია აგრეთვე სომხურში, სადაც გამოითქმის *გეორქ ან გეურქ*, რუსულში — *егорь*, *იური*, ფრანგულში — *ჟორჟ*, ინგლისურში — *ჯორჯ*, ჩეხურში — *ირჟი*, პოლონურში — *ეჟი* და ა. შ.

იოსებ ძველი ებრაული სახელია და ნიშნავს „მომმატებელს". ეს სახელიც მსოფლიოს მრავალ ენაში არის შესული სხვადასხვა ფორმით: ბერძნულად გამოითქმის *იოსეფ*, *იოსიფ*, სომხურად— *ჰოვსეფ*, რუსულად — *иосиф*, უკრაინულად — *осип*, იუგოსლავურად — *иосип*, პოლონურად — *იუზეფ*, ინგლისურად — *ჯოზეფ*, ესპანურად — *ხოზე*, პორტუგალურად — *ჟუზე*, იტალიურად — *ჯუზეპე*, ყაზახურად — *ჟუსუპ*, თურქულად — *იუსუფ*...

ჩვენ რომ არ ვიცნობდეთ სხვადასხვა ენაში მოქმედ ფონეტიკურ კანონებს, არც კი დავიჯერებდით, რომ ყველა ესენი ერთი და იგივე სახელის ნაირ-ნაირი ფორმებია.

კიდევ უფრო მეტ ნაირფეროვნებას გვიჩვენებს *ივანე*, რომელიც აგრეთვე ძველი ებრაულიდან მომდინარეობს და „ღვთის წყალობას“ ნიშნავს (უფრო ზუსტად: „კაცი, რომლის მიმართ ღმერთი მოწყალეა“, „ვისაც ღმერთი სწყალობს“). ამ სახელის პირველადი ფორმაა *იეჰოხანან (იოხანან)*, სხვადასხვა ხალხში კი იგი გვხვდება შემდეგი სახით: ბერძნულში — *იოანეს, იოანე*, გერმანულში — *იოჰანეს, იოჰან*, ფინურსა და ესტონურში — *იუხან, ესპანურში — ხუან*, პორტუგალიურში — *ჟოან*, ფრანგულში — *ჟან*, იტალიურში — *ჯოვანი*, ინგლისურში — *ჯონ*, პოლონურსა და ჩეხურში — *იან*, რუსულში — *ივან*, ბულგარულში — *ონ*, სომხურში — *ჰოვანეს, ოჰანეს*, ქართულში წინათ იყო *იოჰანე, იოვანე*, ამჟამად არის *ივანე*, შემოკლებით — *ვანო*.

როგორც ვხედავთ, ამ სახელებს სხვადასხვა ხალხში მიღებული აქვთ თავისებური ფორმა და ამ სახით ეროვნულ სახელებად არიან ქცეულნი: *ვანო* მხოლოდ ქართველებში გვხვდება, *ჟან* — მხოლოდ ფრანგებში, *ჯონ* — ინგისელებში; *ივან* რუსებში ყველაზე პოპულარული სახელია. ძალზე გავრცელებულია მისგან ნაწარმოები ივანოვის გვარიც (მარტო მოსკოვში ცხოვრობს თურმე ასი ათასი ივანოვი, მათ შორის ათასზე მეტია ივან ივანოვიჩ ივანოვი). ამიტომ *ივან რუსის* აღმნიშვნელ ზოგად სახელადაც კი იქცა. სახელდობრ, სამამულო ომის დროს ჩვენები გერმანელებს ეძახდნენ *ფრიცს*, გერმანელები კი რუსებს — *ივანს*.

საქართველოში განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს სახელი გიორგი. ამ სახელის გავრცელებას ძველად ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ საქართველოში გიორგი მიჩნეული იყო ყველაზე დიდ წმინდანად, მისი დღეობა (გიორგობა) წელიწადში რამდენჯერმე იმართებოდა, წმინდა გიორგის სახელზე აგებული იყო მრავალი ეკლესია. გიორგი ერქვა საქართველოს თორმეტ მეფეს სულ სხვადასხვა ეპოქაში. გარდა ამისა, ცნობილია დიდი ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე (X ს.), მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი (XI ს.), სახელგანთქმული სარდალი გიორგი სააკაძე (XVII ს.), მწერალი გიორგი წერეთელი, საქარ-

თველოს სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე, აკადემიკოსი გიორგი წერეთელი და მრავალი სხვა. ამ სახელის ფართოდ გავრცელებას მოწმობს აგრეთვე ქართული გვარები: გიორგაძე, გიორგიძე, გორგაძე, გორგიძე, გოგაძე, გოგიძე, გოგია, გოგიავა, გოგავა, გოგიაშვილი, გოგატაძე, გოგიტიძე, გოგიტაშვილი, გოგატიშვილი, გოგიჩაიშვილი და სხვანი *(გოგი, გოგია, გოგიტა, გოგიჩა* გიორგი-ს კნინობითი ფორმებია; მისივე შემოკლებაა ქართულში დამოუკიდებელ სახელად ხმარებული *გიო)*.

ცხადია, ასეთი სახელი უკვე სავსებით გაქართულებულია, ასე ვთქვათ, მას „ქართული ქუდი" ჰხურავს და აზრად არავის მოუვა, რომ იგი უცხოდ მიიჩნიოს, რაკი ეტიმოლოგიურად, ე. ი. წარმოშობითა და მნიშვნელობით სხვა ენასთან ყოფილა დაკავშირებული. ასევე შეიძლება ითქვას ისეთ სახელებზე, როგორიცაა იოსებ, ივანე, დავით, ამირან, როსტომ ზურაბ, თამარ, ქეთევან და სხვანი. შორეულ წარსულში ნასესხები ამგვარი სახელების უმეტესობა იმდენად არის შეცვლილი და გაქართულებული, რომ ამ ფორმით მხოლოდ საქართველოში გვხვდება, ამ სახელებს ატარებენ ზღაპრის გმირები, ლიტერატურული პერსონაჟები, ისტორიული პიროვნებანი; ამ სახელებიდან წარმოქმნილია გვარები, გეოგრაფიული სახელწოდებანი და ა. შ. ცხადია, ასეთი სახელები უკვე ქართულად შეიძლება ჩაითვალოს. ორიგინალურ ქართულ სახელებს უთანაბრდებიან აგრეთვე ძველი მკვდარი ენებიდან, სახელდობრ, ურარტულ-ხურიტულიდან ნასესხები სახელები, რომლებიც უძველეს კულტურულ ტრადიციებთან ჩვენს წინაპართა მემკვიდრეობით კავშირზე მიგვითითებენ.

ამრიგად, ყველა ნასესხებ სახელს არ შეიძლება ერთნაირი შეფასება მიეცეს: სხვაა დიდი ხნის წინათ ნასესხები და ქართული ენის ბუნებასთან შეგუებული სახელი და სულ სხვაა ბოლო დროს ნასესხები რომელიმე სახელი, რომლის უცხოურობა ერთბაშად გეცემათ თვალში.

სახელთა წარმომავლობისა და მნიშვნელობის კვლევის დროს ბევრი გარემოება არის ანგარიშგასაწევი. მაგალითად, დადგენილია, რომ „ვეფხისტყაოსნის" მთავარი გმირი ქალის სახელი ნესტან-დარეჯანი მომდინარეობს სპარსული გამოთქმისაგან: *ნესტ ანდარე ჯაჰან*, რაც ნიშნავს: „არ არის ქვეყნად (მისი ტოლი)". მაგრამ მისი შემოკლებით მიღებულ *ნესტანს* სპარსულ სახელად ვერ მივიჩ-

ნევთ, რადგან იგი ამ ფორმით ადამიანის სახელად მხოლოდ ქართულში გვხვდება. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ასმათისა და ავთანდილის შესახებ. ცხადია, ასეთი სახელები ქართულია და არა სპარსული ან არაბული. იგივე ითქმის, როცა ქართულს ნასესხები აქვს რომელიმე სიტყვა და შემდეგ კი ამ სიტყვისაგან საკუთარი სახელი თვით ქართულშივე არის წარმოქმნილი. მაგალითად, ტურფა არაბულად ნიშნავს „საუცხოო, საოცარ, იშვიათ რამეს“, ქართულში კი ამ სიტყვას მიღებული აქვს „ძალიან ლამაზის“, „მშვენიერის“, „საყვარელის“ მნიშვნელობა. სწორედ ეს ქართული მნიშვნელობა ქმნის საფუძველს მის საკუთარ სახელად გამოყენებისათვის (ტურფა საკუთარ სახელად გვხვდება, მაგალითად, აკაკი წერეთლის „პატარა კახში“). ასე რომ, ტურფა როგორც საკუთარი სახელი წმინდა ქართულია. ასევე ქართული სახელებია ლაშქარა, მარტია, ვარდო და სხვანი, თუმცა ისინი წარმოქმნილია უცხო ენებიდან შემოსული სიტყვებისაგან.

ისიც ხდება, რომ ზოგჯერ სახელი ნასესხებია, მაგრამ იგი გააზრებულია მსესხებელი ენის ლექსიკური ფონდის საფუძველზე და ამ გზით ეროვნულ საკუთარ სახელთა რიგშია მოქცეული. მაგალითად, გულნაზი დღეს ქართველ კაცს ჩვეულებრივ ესმის, როგორც ქართული სახელი, რომლის მნიშვნელობაა „ნაზი გულის მქონე“. ამავე დროს ცნობილია სპარსული ქალის სახელი გულნაზი, რომელიც „ნაზ ვარდს“ ნიშნავს. ეს სახელი ქართულში სპარსულიდან შემოსული ჩანს, მაგრამ ქართულ ნიადაგზე მისი ხელახალი გააზრების გამო ის იმთავითვე ქართულ სახელად არის ქცეული.

ზოგჯერ საკუთარ სახელს ისეთი ფორმა აქვს მიღებული, რომ შეიძლება მას სხვადასხვაგვარი განმარტება მიეცეს და ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ რომელი ვარაუდია უფრო მართებული. მაგალითად, ქართულში გვაქვს ვაჟის სახელი შანშე, რომელიც გვხვდება აგრეთვე შამშე-ს ფორმით. ადვილი შესაძლებელია, ეს სახელი მიღებული იყოს სპარსული შაჰინ-შაჰ-ისაგან, რაც „მეფეთ-მეფეს“ ნიშნავს და ქართულში ზოგჯერ შანშას ფორმითაც გვხვდებოდა, მაგრამ მეორე მხრივ შესაძლებელია აგრეთვე აქ ჩვენ საქმე გვქონდეს ძველი ებრაული სახელის შიმშონ (შამსუნ)-ის ფონეტიკურ ვარიანტთან, რომელიც „მზიანს“ ნიშნავს. როგორც ერთი, ისე მეორე მნიშვნელობა დამახასიათებელია საკუთარი სახელებისათვის.

ფორმის მხრივაც *შანშე||შამშე* შეიძლებოდა მოეცა როგორც *შაჰინ-შაჰ-ს*, ისე *შიმშონ-ს*. თუ ქართული სახელი ერთ-ერთი ამათგანისაგან მოდის, მისი ფონეტიკური ვარიანტების გაჩენა თვით ქართულში იყო შესაძლებელი (*ნ* და *მ* ქართულში ხშირად მონაცვლეობს: მეფე→ნეფე, უმცროსი → უნცროსი და სხვა). მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ქართულში ერთმანეთს დამსგავსებოდა ორი სხვადასხვა წარმოშობის სახელი. სპარსული *შაჰინ-შაჰ→შანშა → შანშე* და ებრაულ-არაბული *შიმშონ → შამსუნ → შამშე*. ამრიგად, ორივეგვარ ახსნას დაახლოებით თანაბარი საფუძველი აქვს და გადაჭრით არც ერთის უარყოფა არ შეიძლება.

გვაქვს ისეთი სახელებიც, რომელთაც ჯერჯერობით არავითარი ეტიმოლოგია არ ეძებნებათ. ასეთია, მაგალითად, ქართული სახელები: ბოცო, ბუხუტი, გაგა, კიტა, თაყა, ცქირი, ჯოტო, ჯოჯიკ, გვანცა, ნუნუ, ცუცა... იმ ენებში, რომლებთანაც ქართულს ოდესმე კულტურული ურთიერთობა ჰქონია, ასეთი პიროვნული სახელები არ დასტურდება, არ ხერხდება აგრეთვე იმ ქართულ თუ უცხოურ სიტყვათა ძირის დადგენა, საიდანაც ესა თუ ის სახელი უნდა იყოს წარმოქმნილი. თავისი ფონეტიკური იერით ეს სახელები აშკარად ქართულია. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ესენი წმინდა ქართული სახელებია, მაგრამ მათი მნიშვნელობის დადგენა დღეისათვის აღარ ხერხდება. ცხადია, ამგვარი სახელები სხვა ენებშიც არსებობს და ზოგი მათგანი ქართულშიც არის შემოსული. მაგალითად, ცნობილია, რომ *გივი, ვახუშტი, ქეთევან* წარმოშობით ირანული სახელებია, მაგრამ საიდან გაჩნდნენ ისინი თვით ირანულში ან რა სიტყვებისაგან და რა გზით არიან წარმოქმნილი, ეს დადგენილი არ არის.

როგორც ერთი ენიდან მეორეში გადასვლისას, ისე თვით ცალკეული ენის წიაღში სახელი ხშირად საკმაო ცვლილებებს განიცდის, რის გამოც მისი პირვანდელი სახის აღდგენა და მნიშვნელობის გარკვევა ფრიად ძნელდება. ამის ნიმუშია ვაჟის სახელი *ანზორ*, რომელიც გავრცელებულია ჩრდილო კავკასიის ხალხებში, მაგრამ მისი მნიშვნელობის გარკვევა არც ერთი მთის კავკასიური ენის საფუძველზე არ ხერხდება. როგორც მკვლევარი ნ. გ. ახრიევი ვარაუდობს, ეს სახელი ნაწარმოებია ქართული *აზნაურ* სიტყვისაგან. მისი ცვლილების გზა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: *აზნაურ→ანზა-*

ურ→ანზავრ→ანზორ. ანზორი ჰქვია ალ. ყაზბეგის „ელისოს“ ერთ-ერთ პერსონაჟს, ელისოს მამას. ეს სახელი ჰქვია აგრეთვე ს. შანშიაშვილის პიესის მთავარ გმირს. ამ მხატვრულ ნაწარმოებთა გავლენით ანზორი ფართოდ გავრცელდა ჩვენში. ასე დაუბრუნდა საკუთარ სახელად ქცეული სიტყვა მშობლიურ ბუდეს, მაგრამ იმდენად შეცვლილი ფორმით, რომ მისი პირვანდელი სახის გამოცნობა მხოლოდ საგანგებო დაკვირვების შემდეგ ხდება შესაძლებელი.

საკუთარ სახელთა შესწავლისას გასათვალისწინებელია არა მარტო ფონეტიკური ცვლილებები, არამედ გრაფიკულიც ანუ წერილობითიც. სახელი ხომ ვრცელდება არა მარტო ზეპირი გზით, არამედ წერილობითაც, რასაც შეიძლება სულ სხვადასხვაგვარი შედეგები მოჰყვეს. მაგალითად, როგორც აკად. ს. ყაუხჩიშვილმა გაარკვია, ბერძნულ სახელთა ერთი ნაწილი საქართველოში მწიგნობრობის გზით არის შემოსული და იმ ფორმით წარმოგვიდგება, რომელიც მას ბერძნულში სახელობით ბრუნვაში აქვს (ანთიმოს, ნიკოდიმოს, ნიკოლოზ, რომანოზ...), მეორე ნაწილი კი ზეპირი გზით გავრცელებულა და ბერძნულ წოდებითის ფორმას ინარჩუნებს (ალექსანდრე, გერასიმე, პეტრე, პავლე, ევგენი, გიორგი...).

გრაფიკული ცვლილებების შედეგად არის მიღებული ქალის სახელი შორენა ძველი ქართული ბორენა-საგან. საქმე ის არის, რომ ძველ ქართულ ანბანში ბ და შ ასოები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს და ბორენა-ს ნაცვლად შეიძლებოდა წაეკითხათ შორენა, რომელიც გააზრიანებული იქნა როგორც შორ სიტყვისაგან ნაწარმოები („შორეული“, „მიუწვდომელი“) და საკმაო გავრცელებაც პოვა კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ მეშვეობით.

როგორც ვხედავთ, საკუთარ სახელთა ეტიმოლოგიის დადგენას ბევრი სირთულე ახლავს. ამ სირთულეს ძირითადად ორი ერთიმეორეზე დამოკიდებული გარემოება განაპირობებს: ერთი, რომ ადამიანის სახელში მნიშვნელობა დაჩრდილულია და ხშირად სულაც გამქრალია, და მეორე — საკუთარი სახელი იოლად გადადის ერთი ხალხიდან მეორეში და გზადაგზა ძლიერ იცვლება.

ამ წიგნში ჩვენ წარმოვადგინეთ ექვსასამდე ვაჟის სახელი და სამას ორმოცდაათამდე ქალის სახელი, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული ჩვენში და მოწონებით სარგებლობს. მათ იქვე მი-

წერილი აქვთ წარმომავლობა და მნიშვნელობა (ისეთი სახელები, რომელთა ეტიმოლოგია უცნობია, აუხსნელად არის დატოვებული). როგორც მკითხველი დაინახავს, ბევრი სახელი მნიშვნელობის მიხედვით სხვადასხვა ენას უკავშირდება, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ისინი ამჟამად ქართულ სახელებს არ წარმოადგენენ. დროთა განმავლობაში ყველა ეს სახელი ნაწრთობია ქართული ენის ქურაში და ქართულ ყალიბშია ჩამოსხმული. ამ ყალიბისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: ქართული სახელების უმეტესობა ორ ან სამმარცვლიანია (ოფიციალური მრავალმარცვლიანი სახელი ჩვეულებრივ იხმარება შემოკლებული ფორმით), სახელთა უმეტესობა ბოლოვდება ხმოვნით ან ნარნარა თანხმოვნით, რამდენიმე თანხმოვნის ერთად თავმოყრას სახელი გაურბის. ქართული სახელების უმეტესობა დღეს საგნობრივი მნიშვნელობისაგან დაცლილია და მკაფიო შინაარსს აღარ ატარებს.

ვახტანგი და ელეფთერი

მსოფლიოში ამჟამად ოთხ მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. მათ შორის ერთიც არ მოიძებნება, ახალშობილთა გარდა, რომ სახელი არ ერქვას. ასევე იყო წინათაც, კაცობრიობის არსებობის ექვსასი ათასი წლის მანძილზე, რომლის განმავლობაში, მეცნიერთა გამოანგარიშებით, დაახლოებით 77 მილიარდ ადამიანს უცხოვრია ამქვეყნად. საკუთარი სახელი აუცილებელია ყოველი კაცისა თუ ქალისათვის, რათა გავარჩიოთ იგი სხვებისაგან. ამიტომ, როგორც კი ბავშვი დაიბადება, მშობლები და ახლობლები იწყებენ რჩევას, — რა დაარქვან პატარას. ეს მართლაც არ არის უბრალო საკითხი. სახელი ხომ მთელი სიცოცხლის მანძილზე განუყრელად თან სდევს ყველას და სასურველია იგი კარგი და მოხდენილი იყოს.

მაგრამ რომელი სახელია ყველაზე კარგი და მოსაწონი? სწორედ აქ იწყება აზრთა სხვადასხვაობა: ზოგს ერთი მოსწონს, ზოგს— მეორე, ზოგს — მესამე და ასე შემდგომ. კარგია, რომ ასეა, თორემ ყველას რომ ერთი და იგივე სახელი მოსწონდეს და მხოლოდ იმას არქმევდეს შვილებს, მაშინ ხომ ყველას ერთი სახელი ერქმეოდა და იგი თავის დანიშნულებას ვეღარ შეასრულებდა!

აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველ ხალხში გვხვდება მაინც ყველაზე მეტად გამორჩეული და საყვარელი სახელები, რომელთა ხმარებაც განსაკუთრებით ხშირია. მაგალითად, ძველ რუსეთში, მკვლევართა ვარაუდით, ყოველ მეოთხე მამაკაცს ივანე ერქვა. ივანე დღესაც ძალიან ბევრს ჰქვია, მაგრამ ამჟამად მას მეტოქეობას უწევენ იური და იგორი. ქალის სახელებიდან ყველაზე გავრცელებულია ტატიანა. ერთ-ერთი ცნობის თანახმად, ამჟამად ტატიანა ჰქვია საბჭოთა კავშირში ხუთ მილიონ ქალს. საფრანგეთში ყველაზე გავრცელებული სახელებია ჟანი და მარი (ამათ მოსდევს პიერი, მიშელი, ფრანსუაზა, ალენი, ჟაკი). საერთოდ ევროპაში ვაჟის სახელებიდან

ყველაზე პოპულარულია რობერტი, ქალის სახელებიდან — მერი, იაპონიაში — ტარო და ხანაკო...

საქართველოში სახელთა გავრცელების სიხშირე ჯერჯერობით საფუძვლიანად გამოკვლეული არ არის, მაგრამ ადვილი შესამჩნევია, რომ დღეისათვის განსაკუთრებით გავრცელებული სახელებია: გიორგი, დავითი, ირაკლი, შალვა, გურამი... თამარი, ნინო, ქეთევანი, ნათელა, მანანა, მზია...

იმის გამოსარკვევად, თუ რომელი სახელები სარგებლობენ ამჟამად ჩვენში ყველაზე მეტი მოწონებით, მე თხოვნით მივმართე ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ადამიანებს: მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს, მეცნიერებს — სულ ას კაცს. ვთხოვე დაესახელებინათ თითო ვაჟისა და ქალის სახელი, რომელიც მათ ყველაზე ძალიან მოსწონთ. აღმოჩნდა, რომ ვაჟის სახელებში ყველაზე მეტი მოწონებით სარგებლობს გიორგი, ქალის სახელებში თამარი.

ამ გამოკითხვის შედეგების მიხედვით ნინოს მეორე ადგილი უჭირავს ქალის სახელთა შორის, ვაჟის სახელებიდან კი მეორე ადგილზეა დავითი.

შემდეგ მოდის ვაჟის სახელები: ვახტანგ, ვაჟა, ზაზა, კახა, გურამ, პაატა, არჩილ, ბადრი, ზურაბ, ლაშა, ლევან, მერაბ, შალვა, ავთანდილ, ანზორ, ალეკო, ბაადურ, ბექა, ბიძინა, გია, გიგი, გოჩა, გუბაზ, გულო, ედიშერ, ელგუჯა, ზვიად, თენგიზ, ირაკლი, კიაზო, კოტე, მამუკა, მიხა, მამამზე, მზექაბუკ, მუხრან, ნიკოლოზ, ნუგზარ, რამინ, რატი, ფარნაოზ, შოთა, ცოტნე, ჭაბუკა (სულ 46 ვაჟის სახელი).

ქალის სახელთა შორის თამარისა და ნინოს შემდეგ ყველაზე მეტად მოწონებული აღმოჩნდა მზია. შემდეგ მოდის მანანა, რუსუდან, ქეთევან, თინათინ, ეთერ, მაია, ნათელა, ეკა, ირინე, ლალი, ლელა, მზევინარ, ნანა, ნესტან, ხათუნა, გვანცა, დუდა, ელდინო, თეა, თეო, თიესა, მარიამ, მერი, მზეონა, მზექალა, მთვარისა, ნათია, ნელი, ჟუჟუნა, როდამ, სალომე, უტანდარ, ფიქრია, შორენა, ცირა, ციცინო (სულ 39 ქალის სახელი).

ამგვარი გამოკითხვა რომ ამ ასი წლის წინათ ჩაეტარებინა ვინმეს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, სურათი საკმაოდ შეიცვლებოდა. იმ დროს ზემოთ ჩამოთვლილ სახელთაგან ზოგი სულ არ იხმარებოდა, ზოგი კი ძალიან იშვიათი იყო. სამაგიეროდ ბევრ გოგო-

ნასა და გასათხოვარ ქალიშვილს ერქვა აგრაფინა, ანგელინა, აღათი, ბაბილინა, დომნიკა, ეკვირინე, ეფემია, ეფროსინე, ვასასი, კეკელა, კესარია, მატრონა, მინადორა, პელაგია, პისტი, სიდონია, ფედოსია, ხორეშანი... ვაჟებს კი ერქვათ: ალმასხანი, ალფეზი, ანდუყაფარი, ანთიმოზი, არქიპო, აფრასიონი, ბართლომე, დარისპანი, ელეფთერი, ექვთიმე, ივლიანე, იორდანე, კალენიკე, კალისტრატე, კირილე, მალაქია, მარკოზი, მიტროფანე, ნესტორი, ონოფრე, სევასტი, ტერენტი, ქაიხოსრო, ქრისტეფორე, ყაფლანი, ხარიტონი და სხვა ამგვარნი.

დღეს ეს სახელები მხოლოდ ჩვენს ბებიებსა და ბაბუებს შემორჩათ, ბავშვებს კი მათ არავინ არქმევს. მაგრამ საკმაოდ ხშირად ხდება, რომ მოდიდან გასული სახელი შემდგომში ისევ უბრუნდება ასპარეზს. თაობების მიხედვით სახელთა მონაცვლეობა ზღვის მიმოქცევას ჰგავს: ერთ თაობაში სახელების ერთი წყება უფრო მეტ პატივშია, მეორე თაობაში — მეორე წყება და ასე შემდგომ.

სახელთა მიმოქცევის დინამიკის გასათვალისწინებლად შეიძლება ერთი საშუალებაც გამოვიყენოთ: გადავხედოთ ძველ საეკლესიო საბუთებს. აი, ჩვენ ხელთა გვაქვს თუშეთის სოფელ ილურთის წმინდა გიორგის ეკლესიის სამრევლოს სია (გადმოგვცა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი ცოცანიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ). ამ ეკლესიის მრევლს შეადგენდა გომეწრის თემის სოფლები: ილიურთა, ბუხურთა, დოჭო, ჩირდილი, ბელელა, გოგლურთა, საჩიღოლო, საბუე, ვესტმო, ვესტომთა (სამწუხაროდ, ყველა ისინი ახლა მხოლოდ ნასოფლარებია).

ავიღოთ ზუსტად ასი წლის წინანდელი მონაცემები. როგორც საეკლესიო ჩანაწერებიდან ჩანს, 1876 წელს ამ სოფლებში ირიცხებოდა 123 კომლი 649 მცხოვრებით, მათ შორის კაცები—328 სული, ქალები—321 (თვით საეკლესიო დავთარში მცირე შეცდომა მოსვლიათ: დაანგარიშებულია 326 კაცი და 323 ქალი). ამათგან მხოლოდ 8 სული ეკუთვნოდა სასულიერო წოდებას (4 კაცი და 4 ქალი), დანარჩენ მოსახლეობას კი მთლიანად გლეხები შეადგენდნენ.

მთელ ამ მრევლში მიმოქცევაშია სულ 78 კაცის სახელი და 42 ქალის სახელი. თავისთავად ეს უკვე საინტერესო ფაქტია: ქალე-

ბისა და კაცების რაოდენობა მრევლში დაახლოებით თანაბარია, მაგრამ კაცის სახელები კი თითქმის ორჯერ სჭარბობს ქალის სახელებს. მაშასადამე, ქალის სახელებს შედარებით ნაკლები მრავალფეროვნება ახასიათებს და ამიტომ ერთი და იგივე სახელი უფრო ხშირად მეორდება. როგორც ჩანს, ეს გარემოება საერთოდ დამახასიათებელია ქართულისათვის. ამით აიხსნება, რომ სახელთა სარეკომენდაციო სიაშიც (და ჩვენს წიგნშიც) კაცის სახელები თითქმის ორჯერ მეტია ქალისაზე.

გომეწრის თემში ამ ერთი საუკუნის წინათ განსაკუთრებით გავრცელებული ქალის სახელი ყოფილა *მარიამი*. ეს სახელი ერქვა ყოველ მეოთხე-მეხუთე ქალს. უფრო ზუსტად, 321 ქალიდან 74 მარიამი იყო. აქვე გვხვდება 27 ნინო (ნინა), 24 ანა, 21 ელისაბედი, 19 ტასია (ტასო), 15 ბარბარე (ბარბალე), 14 თამარი, 13 სოფიო, 11 მართა, ამდენივე თეკლე (თეკლა), 10 ეთერი; ექვს-ექვს ქალს ჰქვია ელენე, ეფემია, სალომე, ხუთ-ხუთს — დარეჯანი, ვარდო, თებრონია, ოთხ-ოთხს — ბაი, თინათინი, ნატალია, სიდონია, სამ-სამს — მაია (მაიკო) და საკი (საკო); ორ-ორჯერ გვხვდება დარია, ეფროსინე, მარინე, მაკრინე, მერცხალა, ნანელი, პელაგია, ქაცო; მხოლოდ თითოჯერ დასტურდება ანასტასია, ბერა, ზოი, კეკელა, მაგდანელი, მატრონა, მეცა, მზექალა, მინადორა, ქეთევანი და ქალია.

ადვილი შესამჩნევია, რომ ამ სახელთა უმეტესობა დღესაც საკმაოდ პოპულარულია, მაგრამ აქვეა ზოგი ისეთი სახელი, დღეს რომ იშვიათია ან სულაც აღარ გვხვდება.

იმავე მრევლში კაცის სახელებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება *მიხეილი* (ჰქვია 27 კაცს), *ივანე* (26) და *გიორგი* (23). შემდეგ მოდის *ნიკოლოზი* (16) და *ალექსი* (13). თორმეტ კაცს ჰქვია *დავითი*, ამდენივეს *პავლე*, *პეტრე* და *თევდორე* (თეოდორე), ათ კაცს ჰქვია *იოსები*, ცხრას — *ვასილი*, რვას — *ზაქარია*. აქვე გვხვდება *შვიდ-შვიდი ანდრია, გრიგოლი, ლევანი* (ლეონი), *სვიმონი*, *ხუთ-ხუთი ევთიმე, იაკობი, იობი, როსტომი, საბა, ტიმოთე*, *ოთხი ღვთისავარი, სამ-სამი გაბრიელი,. დიმიტრი, ეგნატე, ესტატე, თომა, თურქო* (თურქი), *სოლომონი* (სოლომანი), *ორ-ორი აბრამი, ამირანი, ანტონი, ბაბო, ბერო, ილია, ლუარსაბი, ლეგა, მოსე, ნიკიფორე, რევაზი, სტეფანე, სფირიდონი, ფრიდონი, ქრისტესია, შიო, ჩაფირა.*

დღეისათვის ძალზე პოპულარული ისეთი სახელები, როგორიცაა *არჩილი, ავთანდილი, ალექსანდრე, გურგენი, თეიმურაზი, კოტე, მათე, ოტია*, აქ მხოლოდ თითოჯერ დასტურდება. ასევე თითოჯერ გვხვდება დღესაც შედარებით *ნაკლებ პოპულარული არისტარხი, ბართლომე, დიანოზი, ისაკი, იორდანე, პართენი, ონისიმე*. აქვე თითოჯერ გვხვდება მთის კუთხეებისათვის სპეციფიკური და მეტად საინტერესო სახელები: *აბული, ბაი, ბაიძე, ბაბუცი, თირღილა, იჩუკა, ლუხუმი, მთვრალა, ნანოძე, საბიბა, ულუა, ღაზილა, შაბურა, ხიო, ხაჩო, ხვედეგი*.

ქალის სახელებიდან ასეთი სპეციფიკურობით გამოირჩევა *ბაი, საკი (საკო), მერცხალა, ნანელი, ქაცო, ბერა, მეცა, მზექალა, ქალია*.

საინტერესოა, რომ ასეთი სახელები მეტწილად უფროსი თაობის წარმომადგენლებში გვხვდება. ასე, მაგალითად, აბული ჰქვია მხოლოდ ერთ კაცს, გვარად ჯარჯოშვილს, რომელიც ას ერთი წლისაა, ე. ი. დაბადებულია 1775 წელს. ოთხმოცდათერთმეტი წლისაა მისი ცოლი მერცხალა (ეს სახელი მის გარდა ჰქვია კიდევ ერთ ქალს). აბულის მსგავსად *იჩუკა* ჰქვია მხოლოდ ერთ კაცს, რომელიც აბული კბილაა (ას ერთი წლისაა).

ილურთის ეკლესიის სამრევლო ჩვენ წლოვანების მიხედვით პირობითად სამ თაობად დავყავით: 1) უფროსი თაობა — ორმოცდაათი წლის ზევით, 2) საშუალო თაობა — თექვსმეტიდან ორმოცდაათ წლამდე და 3) ბავშვები — თექვსმეტი წლის ასაკამდე. სამივე თაობაში გვხვდება სახელები: ალექსი, გიორგი, დავითი, ზაქარია, თევდორე, ივანე, პეტრე, სვიმონი, ტიწოთე, ღვთისავარი; ბარბარე, ელენე, თამარი, თინათინი, მარიამი, მაია, ნინო. მაგრამ ისეთი კაცის სახელები, როგორიცაა ბაბო (ბაბუცი), ბერო, ქრისტესია, ჩაფირა, ხიო გვხვდება მხოლოდ უფროს და საშუალო თაობებში; ქალის სახელებიდან ასეთებია ვარდო, საკი (საკო). როგორც ჩანს, ბავშვებს ამ სახელებს უკვე აღარ არქმევდნენ. ასეთი სპეციფიკური სახელები გაცილებით მეტია, თუ კიდევ ერთი თაობით უკან დავისევთ და უფროსი თაობის მშობლების სახელებს გავეცნობით.

ამ მიზნით გადავხედოთ იმავე ეკლესიის სამრევლოს სიას 1845 წლის მონაცემების მიხედვით. აქ ჩვენ სამივე თაობის წარმომადგენელთა სახელებად გვხვდება ქალის სახელებიდან ბაი, მარიამი,

მერცხალა და ნანელი, კაცის სახელებიდან კი ბერო, გიორგი, დავითი, თაბერა, თევდორე, ივანე (იოანე), იჩო, კახო, მიქელა, მოზა, ნაკუდა, სვიმონი, ქრისტესია, ღვთისავარი (ღვთისია), ჩაფირა, ხუნჩალე, ჯამრი. უფროსი და საშუალო თაობის სახელებიდან აღსანიშნავია მზექალა, მაჩხო, სამკა, სიმენა (ქალის სახელები), ანთა, ბახტური, ბაბო, ბუქო, ბუჯათი, თათარა, (თათარი), თირღილა, თორღვა (თორღო, თორღილა), თურქო (თურქი), საყურა, შაბალი, ჩუნთო, ჩანთელი(ჩანთელა), ხიზანა, ხურსო, ჯამრული, ჯარჯი.

მთის კუთხეებისათვის დამახასიათებელი სახელებიდან რამდენიმემ ამ ბოლო ხანებში გავრცელება პოვა საერთო-ქართულში (მზექალა, თორღვა, ჯარჯი), მაგრამ ბევრი ლამაზი და მოხდენილი სახელი კი უსამართლოდ არის მივიწყებული და კვლავ გაცოცხლებას ელის. ასეთებია ჩვენს სამრევლოს სიებში, მაგალითად: აბული, ბახტური, ბერო, ლეგა, ლუხუმი, თირღილა, ნაკუდა, შაბურა, საბიბა, საყურა, ღაზილა, ჩაფირა, ხუნჩალე; ბუბა, მერცხალა, ნანელი, სამძიმა, ქალია, ქაცო და ბევრი სხვა.

ზემოთ ჩვენ შემთხვევით როდი ვახსენეთ მოდა, რომელიც გემოვნებაზე და, სხვათა შორის, სახელის მოწონება-დაწუნებაზეც საგრძნობ გავლენას ახდენს. როგორც იტყვიან, კაცია და გუნებაო, მაგრამ არ შეიძლება, რომ ამ საბაბით სახელის დარქმევის საკითხს კონტროლს არავინ უწევდეს და იგი მთლიანად ნება-სურვილზე იქნეს მიშვებული. საქმე ის არის, რომ ადამიანი თავის სახელს თვითონ კი არ ირჩევს, სხვები ურჩევენ. ამიტომ ზოგი შეიძლება უკმაყოფილო დარჩეს იმ სახელისა, რომელიც მას სხვებმა შეურჩიეს. ასეთები ხომ არც ისე იშვიათად არიან!

კარგი იქნებოდა, რომ ადამიანს თვითონვე შეეძლოს თავისი სახელის არჩევა, მაშინ იგი სხვებს ვეღარ დაემდურებოდა. და აი, ზოგ ხალხს მარტივი გამოსავალი უპოვია: ახალშობილს, როცა ის ტირის, ხელში აიყვანს ბებიაქალი ან რომელიმე უფროსთაგანი და იწყებს სახელების ჩამოთვლას. რომელი სახელის წარმოთქმაზეც შეწყვეტს ბავშვი ტირილს, იმ სახელს არქმევენ. იგულისხმება, რომ მას სწორედ ეს სახელი მოეწონა და ამიტომ გაჩუმდაო. ასეთი რწმენა აქვთ აფრიკის ტომებს, მარიელებს და ზოგ სხვა ხალხს. ზოგ ხალხში წესად არის სახელის გადარქმევა ასაკში შესვლის შემდეგ. იქ ბავშვის სახელები სხვაა და მოზრდილებისა — სხვა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ხალხში და სხვადასხვა ეპოქაში სახელის დარქმევის მრავალგვარი წესი მოქმედებს. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, დაბადებამდე ბავშვს სახელს არ შეურჩევენ, — ცუდად ენიშნებათ. ქართული ანდაზაც ამაზეა ნათქვამი: ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო.

გავრცელებული წესის მიხედვით, ბავშვს უთუოდ რომელიმე წინაპრის სახელი უნდა დარქმეოდა. უფროს ვაჟს ჩვეულებრივ მამის ან პაპის სახელს არქმევდნენ. ამიტომ ესა თუ ის სახელი საფეხურებით გადადიოდა თაობიდან თაობაზე. ზოგჯერ ეს სახელი მხოლოდ ერთი რომელიმე საგვარეულოს საკუთრება იყო. მაგალითად, მამია საქართველოში წინათ ერქვათ მხოლოდ გურიის სამთავროს მფლობელებს (გურიელებს), შალვა იყო თორელთა გვარის მეთაურის (თორელის) სახელი და სხვ.

საქართველოს მთის კუთხეებში ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი რელიგიური რწმენა, რომლის მიხედვითაც ადამიანს ოფიციალური სახელის გარდა არქმევდნენ აგრეთვე ხატის ან სულის სახელს(ამ რწმენის თანახმად, რომელიმე ხატი ან მიცვალებულის სული მოითხოვდა, რომ ბავშვისათვის მისი სახელი დაერქმიათ). ხევსურეთში პატარძალს ეძლეოდა საპატიო უფლება, თავისი არჩეული სახელი დაერქმია მაზლისა და მაზლიშვილისათვის. ყოველივე ამის შედეგად ზოგჯერ ერთ კაცს რამდენიმე სახელი ჰქონდა. ცნობილ ქართველ ეთნოგრაფს პროფ. ს. მაკალათიას ხევსურეთში შეხვედრია ერთი კაცი, რომელსაც ხუთი სახელი ერქვა: კალენდრისა — პეტრე, სულისა — დავითი, ხატისა — გიორგი, რძლისა — ხირჩლა და ბიცოლასი — ბეწიკუა.

ერთი პირისათვის რამდენიმე სახელის დარქმევის ჩვეულება განსაკუთრებით გავრცელებულია ესპანელებში და კათალიკური სარწმუნოების სხვა ხალხებში. მათი რწმენით, როცა ადამიანს რამდენიმე სახელი ჰქვია, თითქოს მის სულს ეშმაკი ვეღარ გამოიცნობს და ჯოჯოხეთში ვერ ჩააგდებს.

მსგავსი ცრურწმენით აიხსნება უსიამოვნო შინაარსის მქონე სახელების დარქმევაც, როგორიცაა, მაგალითად, ბერძნული: ასკალონ („განუვითარებელი", „დაუხვეწელი"), ვლასი („მოუხერხებელი", „უხეში", „ჩლუნგი"), ბარბარე („უცხო, ტლანქი"), ლათინური:

კლავდიუს, კლავდია („კოჭლი"); არაბული იამუტ („მკვდარი"), აბას („მკაცრი, მოღუშული"), თურქული ითალმაზ („ძაღლიც არ ჭამს"), სათილმიშ („გაყიდული"), სკვითური ზევახ („ზარმაცი") და სხვა. ქართულში ასეთი სახელებია: გლახა, გახა, გლახუა, გლახუკა, გლახუნა, საგინა...

გავიხსენოთ აკაკი წერეთლის ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი" და მისი მთავარი გმირი გლახა ბაქრაძე (მეტსახელად ბაში-აჩუკი). იმის თაობაზე, თუ რატომ დაარქვეს მას ასეთი სახელი, მწერალი მოგვითხრობს: „ერთ დროს საწერეთლოში ბევრი გამოჩენილი აზნაურიშვილი იყო, მაგრამ ბაქარა ბაქრაძეს კი ვერავინ შეედრებოდა... ერთადერთი სამწუხარო მისი ის იყო, რომ შვილი არა ჰრჩებოდა, მაგრამ, როცა მეზობლების რჩევით ახალშობილს „გლახა" დაარქვა და ღვთის სახელობაზე გაუშვა, ისიც მართლა ჩიტივით წამოეზარდა".

ამგვარივე რწმენის გამო არქმევდნენ ისეთ სახელებს, როგორიცაა: ნასყიდა, წყალობა, ღვთისავარი და სხვა.

ალტაელები, ხაკასები, ყალმუხები და სხვანი არასასიამოვნო შინაარსის გამომხატველ სახელებს არქმევდნენ განსაკუთრებით „ცუდ" წელიწადს დაბადებულ ბავშვებს. ისინი დროს ჰყოფდნენ თორმეტწლიან მონაკვეთებად, რომლის თვითეულ წელიწადს მიკუთვნებული ჰქონდა სხვადასხვა ცხოველის სახელი: თაგვის, ძროხის, ავაზის, კურდღლის, გველეშაპის, გველის, ცხენის, ცხვრის, მაიმუნის, ქათმის, ძაღლისა და ღორის. განსაკუთრებით თარსად იყო მიჩნეული ღორის წელიწადი. ამ წელს დაბადებულ ბავშვებს ავი სულისაგან დასაცავად არქმევდნენ ისეთი შინაარსის გამომხატველ სახელებს, როგორიცაა: „ძაღლის ყური", „ნაგავი", „დამპალი" და სხვა. თითქოს ასეთი სახელი დააფრთხობდა ბოროტ სულებს და ბავშვი უვნებლად გადარჩებოდა.

გარკვეულ ცრურწმენას უკავშირდება ბურიატთა ჩვეულება: თუ ოჯახში დიდხანს მხოლოდ ქალები უჩნდებოდათ და გვიან შეეძინებოდათ ვაჟი, ამ ვაჟსაც ქალის სახელს არქმევდნენ; პირიქით, თუ დიდხანს არ ჰყავდათ ქალი, ახალდაბადებულ გოგონას არქმევდნენ ვაჟის სახელს.

პანამის ერთ-ერთი ტომის გოგონებს სახელს მხოლოდ თორმეტი

წლის შესრულების შემდეგ არქმევენ, მანამდე კი ყველა ბავშვს ტიტი ჰქვია, რაც „ყვავილს“ ნიშნავს.

ამგვარი უცნაურობანი ნაკლებად განვითარებულ ხალხებში დღესაც საკმაოდაა შემორჩენილი.

ქრისტიანულმა რელიგიამ სახელების დარქმევის მხრივ გარკვეული წესრიგის დამყარება სცადა საეკლესიო კალენდრის მეშვეობით. ჩვენ წინა თავში უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა სახელის არჩევა ამ კალენდრის მიხედვით.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეთა მდგომარეობის აღსარიცხავად შეიქმნა სპეციალური დაწესებულება, რომელსაც შემოკლებით მმაჩის ბიურო ჰქვია. აქ წარმოებს ახალდაბადებულთა რეგისტრაცია და მათი სახელის გაფორმება. ბავშვის სახელის არჩევა მშობლების ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ამ ახალი წესის შემოღებამ და არჩევნის თავისუფლებამ პირველ ხანებში სახელების დიდი სიჭრელე და არევ-დარევა გამოიწვია. ტრადიციული სახელების გვერდით გაჩნდა ბევრი ახალი და უცნაური სახელი. ამ ახალ მოდას ქართველებიც აჰყვნენ. ზოგი მშობელი შვილის სახელად ირჩევდა უცხოურ გვარს, როგორიცაა ბისმარკი, ჟორესი, ედისონი, ფრუნზე... ზოგი უცხოურ გვარსა და სახელს სულაც ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან და ორივეს ერთად არქმევდა შვილს. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია, რომ ქართველ კაცს ჰქვია ჟალვაჟანი. ვისაც ვ. ჰიუგოს რომანი „განკიცხულნი“ ახსოვს, მისთვის ძნელი არ არის ამ სახელში გამოიცნოს რომანის მთავარი გმირის სახელი და გვარი ჟან ვალჟანი. ზოგიერთებს სახელად მოსწონდათ სხვადასხვა ახალი მოვლენისა თუ საგნის სახელწოდება: კომუნა, კოლხოზი, პრავდა, სეკრეტი, დუშაში... ზოგიც ახალი სახელების გამოგონებამ გაიტაცა და ამ მიზნით დაიწყო მშობლების სახელების ან სხვადასხვა სიტყვის ნაწლების შერწყმა. ასე გაჩნდა: გრივერი, ლეომერი, მელსი, მარლენი, დაზმირი, კოლთავრე...

წერალმა ნოდარ დუმბაძემ მოხდენილად დასცინა ამგვარი უცნაური სახელებით გატაცებულ მშობლებს:

„იბადება თუ არა ბავშვი, მშობლებმა უნდა შეურჩიონ ორიგინალური სახელი. ასე მაგალითად, ვაჟებს: მედიკამენტი, სტადი-

ონი, ფორდი, ტოჩკა, შექსპირა, შილერა, ჰამლეტა; გოგონებს: ავრორა, ანჟელიკა, მილიცა, მერსედესი, დულცინე, ფლორენცია.

ვთქვათ, თქვენ გყავთ ოთხი ვაჟიშვილი. ერთს ჰქვია შექსპირა, ჰეორეს — ფორდი, მესამეს — შილერა და მეოთხეს — ჰამლეტა. ვთქვათ, შილერი და ჰამლეტი ეზოში თვალხუჭუნას თამაშობენ. თქვენ ეძახით მათ. ბავშვები არ მოდიან, განსაკუთრებით ჰამლეტა ჯირკვეულობს. თქვენ ბრაზობთ და იძლევით განკარგულებას: —შექსპირ! წაიყვანე ფორდი, გაუარეთ შილერს და მომითრიეთ ყურით ჰამლეტი. ხომ კარგად ჟღერს?

არსებობს სახელების კიდევ ერთი კატეგორია — „სინთეზური სახელები". რას ეწოდება სინთეზური სახელი? — მშობელთა სასელების შეერთებით შექმნილ სახელს სინთეზური სახელი ეწოდება. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: არქიმედი (არქიფო და მედიკო), სერჟანტი (სერჟი და ჟანეტა), ტახი (ტარასი და მარეხი), პანტა (პანტელიმონი და ტატიანა), რეზინა (რეზო და ზინა), საქონელი (საქო და ნელი). აქაც შეიძლებოდა იმის მაგალითის მოყვანა, თუ დაჭერობანას თამაშის დროს როგორ დაიჭირა სერჟანტმა არქიმედი, როგორ დაეჯახა მათ ტახი და როგორ გაწყდა რეზინა წველში პანტას ტარებით".

უცნაური სახელებით გატაცება, შეიძლება ითქვას, უკვე განვლილი ეტაპია (ჩვენს რესპუბლიკაში მაინც). ხალხი ძირითადად ისევ ტრადიციულად დამკვიდრებულ სახელებს დაუბრუნდა, უცხოური და ახალი შეთხზული სახელებიდან კი ენას მხოლოდ ორიოდე შემორჩა, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ენის ფონეტიკურ ბუნებას და გარეგნულად ჰგვანან ძველთაგანვე გავრცელებულ სახელებს. მაგრამ ქართული სახელებისაკენ შემობრუნება, ცხადია, მაინც არ ანელებს იმ ინტერესს, თუ რომელი მათგანია მისაწონი და რომელი არა, რომელი სჯობია, რა დავარქვათ ჩვენს ბავშვებს?

სახელის შერჩევისას რამდენიმე მომენტი არის გასათვალისწინებელი: ვაჟის სახელი გვინდა თუ ქალისა, წარმოშობით სადაურია ეს სახელი და რამდენად არის დამკვიდრებული ჩვენში, რას ნიშნავს იგი და როგორ ჟღერს ქართულად, რომელ ცნობილ ადამიანს ან ნაწარმოების გმირს რქმევია ადრე ეს სახელი და ასე შემდგომ. მოკლედ შევეხოთ ამ საკითხებს.

ხალხთა უმეტესობას ქალისა და კაცის სახელები გამიჯნული

აქვს, საერთო წარმოშობისა და მნიშვნელობის სახელებიც კი სხვადასხვა ფორმით იხმარება იმის მიხედვით, თუ რომელი სქესის წარმომადგენელი ატარებს მას. ასე მაგალითად, ალექსანდრე, ათანასე, ანასტასი, ევგენი, ევსევი, თეოდორე (თედორე) კაცის სახელებია; ალექსანდრა, ათანასია, ანასტასია, ევგენია, ევსევია, თეოდორა — ქალისა. ასევე გარჩეულია ვალენტინ და ვალენტინა, ვიქტორ და ვიქტორია, კარლ და კაროლინა, ოლეგ და ოლგა, სილოვან და სილვანა, ჰენრიხ და ჰენრიეტა...

გვხვდება სახელთა ერთი ჯგუფიდან მეორეში გადანაცვლების შემთხვევები. მაგალითად, ბერძნულ-ლათინური ინა, მინა, პინა, რიმა ადრე კაცებს ერქვა, ამჟამად კი მეტწილად ქალებს ჰქვია.

ზოგ ენაში ბევრი სახელი თანაბრად ერქმევა ქალსაც და კაცსაც; მაგალითად, ფრანგულში — ნიკოლ, მიშელ და სხვანი. ეს ფრანგულში დაბოლოებათა მოკვეცის შედეგია. მაგრამ ვაჟისა და ქალის სახელთა უმეტესობა იქ მაინც განსხვავებულია.

ქართული ენა, როგორც ცნობილია, სქესებს არ განასხვავებს და ამიტომ ქართული წარმოშობის ქალისა და კაცის სახელები გარეგნულად არ განირჩევიან ერთმანეთისაგან, მაგრამ შემუშავებული ტრადიციის მიხედვით ისინი მაინც მკვეთრად არიან გამიჯნული: გოგონას არავინ დაარქმევს შოთას ან შალვას. ასევე შეუძლებელია ვაჟს ერქვას თამარი ან მზია.

გაღონაკლისის სახით გვხდება ისეთი სახელები, რომლებიც თანაბრად შეიძლება ერქვას ვაჟსაც და ქალსაც: გულდა, გულიკო, სულიკო, გუგული, იმედა, ნუკრი, საყვარელა, ჩიტო, ხუტა...

ზოგჯერ შეიძლება ერთმანეთს დაემსგავსოს სრულიად სხვადასხვა წარმოშობის ქალისა და ვაჟის სახელები. მაგალითად, ია ქალის სახელია, შერქმეული ადრეული გაზაფხულის ყვავილის სახელწოდების მიხედვით. სხვათა შორის, ამ ყვავილის სახელწოდება ქალის სახელად არის ქცეული აგრეთვე ევროპულ ენებში: ვიოლა, ვიოლეტა. ია (იაი) ქალის სახელად ყველაზე ადრე დასტურდება მარიამწმინდის ეკლესიის ერთ ფრესკაზე (ბორჯომის ხეობაში), რომელიც XII—XIII საუკუნეებით თარიღდება. ამავე დროს ია ქართულში ვაჟის სახელადაც გვხვდება ჯერ კიდევ IX საუკუნეში („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში"). ახლო წარსულიდან ცნობილია კომპოზიტორი ია კარგარეთელი, მწერალი ია ეკალაძე.

როგორც ფიქრობენ, ვაჟის სახელი ია სულ სხვა წარმოშობისაა. იგი მიღებული ჩანს ძველებრაული იაკობ-ის ან არაბული იაჰია-ს შემოკლების გზით. ასევე დოდო გვხვდება როგორც ქალის, ისე ვაჟის სახელად. ვაჟის სახელი დოდო წარმოშობით ქართული არ არის (ებრაულია და „უფლის მეგობარს" ნიშნავს. იგი გვხვდება „ასურელ მამათა ცხოვრებაში"), ქალის სახელად კი ის გავრცელებულია მხოლოდ საქართველოში და „გოგოს" ბავშვური, ენამოჩლექილი წარმოთქმისაგან უნდა მომდინარეობდეს.

იმის გამო, რომ ვაჟისა და ქალის სახელები ქართულში ტრადიციულად გამიჯნულია და ორივე სქესისათვის საზიარო სახელები მხოლოდ გამონაკლისს შეადგენს, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისია რეკომენდაციას იძლევა, რომ ამ საზიარო სახელთა გამოყენების არეც დავიწროვდეს და თვითეული მათგანი მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლებისათვის იყოს განკუთვნილი. ვაჟისა და ქალის იმ სახელებიდან, რომლებიც რუსულში მარტოოდენ დაბოლოების მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ქართულში რეკომენდებულია მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი (მაგალითად, მოწონებულია ვაჟის სახელები: ალექსანდრე, ევგენი, იუსტინე, უკუგდებულია ქალის სახელები: ალექსანდრა, ევგენია, იუსტინა. ქალის სახელებად გავრცელებულია ანასტასია, კლავდია, ამიტომ ვაჟის სახელებად სასურველი აღარაა გვქონდეს ანასტასი, კლავდი და სხვა.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, ამჟამად ჩვენში გავრცელებული ბევრი სახელი წარმოშობით ქართული არ არის, მაგრამ ამის გამო წუხი არ დაიდება. ისეთი სახელები, როგორიცაა გიორგი, დავით, ამირან, როსტომ, ზურაბ, მერაბ, ზაზა, რატი, ირაკლი, იოსებ, ივანე, ლადო, კოტე, ნინო, თამარ, რუსუდან, ქეთევან, მარიამ, სოფიო და მრავალი სხვა, დროთა განმავლობაში შეესისხლხორცნენ ქართულ ენას, შეიჭრნენ ერის სულიერ ცხოვრებაში, მიიღეს ქართული ფორმა, რომელიც თვალსაჩინოდ განსხვავდება მათი პირველანდელი სასისაგან. ამრიგად, ისინი ქართულ სახელებად არიან ქცეული.

სხვაგვარი შეფასება უნდა მიეცეს ისეთ სახელებს, რომლებიც ახალი ნასესხები არიან, ნაკლებად შეეფერებიან ქართული ენის ბუნებას და მათი უცხოურობა ერთბაშად თვალში საცემია. ასეთე-

ბია, მაგალითად: ისმაილ, შურთაზ, მუსტაფა, ნაპოლეონ, ალბერტ, აივენგო, ოტელო, ტრისტან, რობინზონ, ჰამლეტ, ავრორა, დეზდემონა, კორდელია და სხვანი. ამგვარი სახელი ჩვენში მოწონებას არ იმსახურებს, იგი ძვირფას სამოსზე დაბნეულ იაფფასიან, ბრჭყვიალა სამკაულს მოგვაგონებს.

როცა სახელი თავისი წარმოშობით სხვა ენებს უკავშირდება, ქართულში მას საგნობრივი მნიშვნელობა არ გააჩნია, ე. ი. მხოლოდ პიროვნულ სახელად წარმოგვიდგება და პირველადი შინაარსი დაკარგული აქვს. შინაარსი ხშირად დაჩრდილულია ქართული წარმოშობის სახელებშიც. ამიტომ ამ მხრივ მათი არჩევანი შეუზღუდავია. სიფრთხილეა საჭირო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახელის საგნობრივი მნიშვნელობა თვალსაჩინოა. მაგალითად, მე შევხვედრივარ ერთ ტანმორჩილ ვაჟს, რომელსაც გოლიათი ერქვა. ბუნებრივია, მის სახელსა და გარეგნობას შორის არსებული შეუსაბამობა ღიმილს იწვევდა და ამ მოკრძალებულ ყმაწვილს უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. ყმაწვილი იძულებული იყო სახელი გადაერქვა.

ხშირად ესა თუ ის სახელი მოგვწონს არა მისი სასიამოვნო შინაარსის გამო, არამედ იმიტომ, რომ იგი მოგვაგონებს ჩვენთვის ძვირფას და საყვარელ ადამიანს, რომელსაც ეს სახელი ერქვა, — ისტორიული პიროვნება იქნება იგი, მხატვრული ნაწარმოების გმირი, თუ რომელიმე ჩვენი მეგობარი ან ნათესავი. ამრიგად, სახელს ახლავს ემოციური იერი, რომელიც შინაარსის მაგივრობას ეწევა.

მაგონდება ასეთი ფაქტი: ერთმა მოქალაქემ სახელების თაობაზე შეკითხვა გაუგზავნა გაზეთის რედაქციას და თანაც დასძინა: უნდა გამოგიტყდეთ, მე თურმე „ელეფთერს“ მარქმევდნენო. შეკითხვის ავტორს ვახტანგი ერქვა და ის აშკარად კმაყოფილი იყო, რომ ვახტანგი დაარქვეს და არა ელეფთერი. მართლაც, მის აზრს ალბათ უმეტესობა დაეთანხმება, მაგრამ საკითხავია — რატომ? რით სჯობია ვახტანგი ელეფთერს?

არც ერთი ეს სახელი წარმოშობით ქართული არ არის და ჩვენს ენაში არავითარ შინაარსს არ ატარებს, გარდა იმისა, რომ პიროვნული სახელია. ეტიმოლოგიურად ვახტანგი უკავშირდება ირანულ ენებს და ქართულად „მგლისტანიანს“ უდრის, ელეფთერი კი ბერ-

ძნულია და „თავისუფალს“ ნიშნავს. ამრიგად, თუ მნიშვნელობის მიხედვით ვიმსჯელებთ, მეორეს უფრო სისიამოვნო შინაარსი ჰქონია: საღ „მგლისტანიანი“ და სად „თავისუფალი“! მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სიმპათია მაინც აშკარად ვახტანგის მხარესაა. ამის მიზეზია სწორედ ის ემოციური იერი, რომელიც ვახტანგს ახლავს. ამ სახელის ხსენებაზე ქართველ კაცს აგონდება დიდებული მეფე ვახტანგ გორგასალი, რომელმაც თბილისი დედაქალაქად აქცია; აგონდება მეფე-პოეტი ვახტანგ მეექვსე, რომელმაც თბილისში სტამბა გამართა და „ვეფხისტყაოსანი“ პირველად გამოსცა; აგონდება აგრეთვე ცნობილი მეცნიერი ვახტანგ კოტეტიშვილი, სახელგანთქმული ხელოვანი, ლენინური პრემიის ლაურეატი ვახტანგ ჭაბუკიანი და მრავალი სხვა შესანიშნავი პიროვნება. ყველამ იცის, რომ გორგასალი V საუკუნეში მოღვაწეობდა და, მაშასადამე, ვახტანგი 1500 წლის წინანდელი ქართული სახელია. ელეფთერი კი ქართულ სინამდვილეში ასე გავრცელებული სახელი არ არის, თავისი აგებულებითაც მას უფრო უცხო იერი დაჰკრავს და ყოველივე ამის გამო შედარებით ნაკლები ემოციური ძალა მოეპოვება. გ. ლეონიძეს „ნატვრის ხეში“ დახატული ჰყავს სოფლის დიაკვანი ელეფთერი, რომელსაც ჭირვეულმა სტუმრებმა დღეობაში კეტებით სცემეს, — ელეფთერი რადა გქვიანო!

როგორც ვხედავთ, სახელს ადამიანი ჰმატებს ეშხსა და სილამაზეს. როცა ადამიანი თავს ისახელებს და ხალხის სიყვარულს მოიხვეჭს, მისი სახელიც სწრაფად ვრცელდება და ბევრ ახალდაბადებულს დაერქმევა. მაგალითად, აკაკი ერთი საუკუნის წინათ იშვიათად ერქვა ვინმეს საქართველოში, ბოლო ხანებში კი ძალიან ხშირად გვხვდება, რაც ჩვენი სასიქადულო მგოსნის აკაკი წერეთლის პატივისცემით აიხსნება. ასევე შეიძლება ითქვას მეორე გენიალური პოეტის ვაჟა-ფშაველას სახელზეც. ვინ არ იცის პირველი კოსმონავტი მფრინავის გაგარინის სახელი! იური რუსეთში ძველთაგანვე გავრცელებული სახელია (მაგალითად, ყველასათვის ცნობილია ქალაქ მოსკოვის დამაარსებელი მთავარი იური დოლგორუკი). გაგარინის გმირული გაფრენის შემდეგ კი ეს სახელი, გარდა რუსეთისა, მსოფლიოს სხვა კუთხეებშიც გაჩნდა.

ამა თუ იმ სახელის გავრცელებას ხელს უწყობს აგრეთვე მხატვრული ნაწარმოები, რომლის სამაგალითო და საყვარელი გმირის

სახელს ხშირად არქმევენ ბავშვებს. ასე გავრცელდა ჩვენში, მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახელები: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი, ასმათი.

სულ ცოტა ხანია, რაც მხატვრულ ნაწარმოებთა გავლენით დამკვიდრდა სახელები ლამარა და შორენა.

პირიქითაც ხდება: მხატვრული ნაწარმოების უარყოფითი გმირის სახელს აღარავის არქმევენ. მაგალითად, ერთ დროს საქართველოში ძალიან გავრცელებული სახელი იყო ლუარსაბი, მაგრამ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ შემდეგ იგი მეტად იშვიათი გახდა. აბა, ვის ესიამოვნება, რომ მისმა სახელმა ზარმაცი და უვიცი ლუარსაბ თათქარიძე მოგვაგონოს?

როგორც ვხედავთ, ამა თუ იმ სახელის მოწონება-არმოწონება დიდად არის დამოკიდებული მის ემოციურ ელფერზე.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ: მოსაწონია სხარტი და კეთილხმოვანი, ადვილად გამოსათქმელი და დასახსომებელი სახელები, რომლებიც ხალხში გავრცელებულია და ბევრ ჩვენს სახელოვან წინაპარსაც ერქვა. ცუდია, თუ სახელი ძნელი გამოსათქმელია, უცხოა და უცნაური. მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, თუ ადამიანს სახელი კარგი ჰქვია და საქმით კი არცხვენს მას. კაცმა პირადი ღირსებით უნდა დაამშვენოს თავისი სახელი. ერთი სიტყვით, სახელი ადამიანს უნდა ამშვენებდეს და ადამიანი — სახელს.

ქართული გვარები

იყო დრო, როცა ადამიანების გასარჩევად მარტო სახელიც კმაროდა. ასეთი ვითარება დღევანდლამდე შემორჩა ზოგ მცირერიცხოვან ხალხს, რომლებმაც ახლაც არ იციან, რა არის გვარი, ან რა საჭიროა სახელის გარდა კიდევ სხვა სიტყვა, რომ ერთი პირი მეორისაგან განვასხვაოთ.

მსოფლიოში ძნელად მოიძებნება მეორე ისეთი კანონი, როგორიც გამოსცეს ისლანდიაში 1925 წელს. „ჩვენს ქვეყანაში არავინ არ უნდა დაირქვას გვარი", — ნათქვამია ამ კანონში, რომელიც ძველისძველი ტრადიციის განმტკიცებას ისახავს მიზნად, მაგრამ რაკი ამგვარი კანონის გამოცემა საჭირო გამხდარა, ჩანს, ყოფილან ტრადიციის დარღვევის მსურველნი, რომლებსაც ძალიან უჭირთ უგვაროდ ცხოვრება

მართლაც, მრავალრიცხოვან საზოგადოებაში მარტო სახელის მიხედვით ერთმანეთის გარჩევა ძნელია. მაშინ ხომ ყველას სულ სხვადასხვა სახელი უნდა ერქვას?! ვიდრე ადამიანები მცირერიცხოვან ტომებად იყვნენ დაფანტული და ტომებს შორის მჭიდრო კავშირი არ არსებობდა, მანამ შეიძლებოდა ტომის ყველა წევრს სხვადასხვა სახელი რქმეოდა და მარტო სახელითაც მიხვდებოდნენ, ვის ეხებოდა საუბარი. მაგრამ კაცობრიობა დიდი ხანია გასცდა ტომობრივი კარჩაკეტილობის ხანას. შრომის განაწილება, მოსახლეობის ზრდა, ტომებს შორის ურთიერთობის გაცხოველება და ხალხის უფრო მრავალრიცხოვან კოლექტივად ჩამოყალიბება აუცილებელს ხდიდა არამარტო იმის ცოდნას, თუ რა ჰქვია ამა და ამ პირს, არამედ — რა ხელობის კაცია იგი, ვისი შთამომავალია, სადაურია და ა. შ. ამრიგად, სახელის გვერდით გაჩნდა კიდევ მეორე, დამატებითი სახელი, რომელიც აზუსტებდა პიროვნების ვინაობას, მეტ ცნობებს იძლეოდა მასზე და თანაც აადვილებდა ერთი სახელის მქონე პირების — სეხნიების გარჩევას. აი, ამ დამატებითი

სახელისაგან დროთა განმავლობაში წარმოიშვა გვარი, როგორც პიროვნული სახელის თანმხლები, განუყრელი ნაწილი.

მაშასადამე, სახელი უფრო ადრინდელია, გვარი კი შედარებით გვიან არის გაჩენილი. გვარი წარმოიშვა უკვე განვითარებული კლასობრივი საზოგადოების წიაღში და ამიტომ მას სოციალური განსხვავების გამოხატვაც დაეკისრა: ძველად გვარების მიხედვით განასხვავებდნენ თავადებს, აზნაურებს და დაბალ წოდებას — გლეხებს.

სხვადასხვა ქვეყანაში გვარების რაოდენობა სხვადასხვაა, მაგრამ ერთი კანონზომიერება კი შეინიშნება: სადაც გვარების სისტემა ძალიან განვითარებულია, იქ სახელების რიცხვი შედარებით მცირეა, ხოლო სადაც გვარები ცოტაა, იქ სამაგიეროდ სახელებია ბევრი და მრავალფეროვანი. ამრიგად, საკუთარ სახელთა ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს ავსებს და აწონასწორებს. მილიარდზე მეტი ჩინელი ატარებს სულ 130-ოდე გვარს. ასევე მცირეა გვარების რაოდენობა იაპონიასა და კორეაში. ამის გამო, ცხადია, თანამოგვარეთა რიცხვი ამ ქვეყნებში ძალიან დიდია. მაგალითად, იაპონიაში ცხოვრობს ორი მილიონი სუძუკი და თითქმის ამდენივე სატო. სამაგიეროდ დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ამ ხალხთა პიროვნული სახელები, რომელთაც ამავე დროს შენარჩუნებული აქვთ მკაფიო საგნობრივი მნიშვნელობა. აქვე უნდა ითქვას, რომ კაცისა და ქალის სახელთა შორის რაოდენობის მხრივ დიდი განსხვავებაა. სახელდობრ, კორეაში კაცის სახელი იშვიათად მეორდება, მამაკაცებს თითქმის ყველას სხვადასხვა სახელი ჰქვია, მაშინ როცა ქალის სახელები ძალიან ცოტაა და სულ ათიოდე სახელი სარგებლობს პოპულარობით.

გვარებად თითქმის ყველა ხალხს გამოყენებული აქვს ისეთი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ხელობასა თუ თანამდებობას, მიგვითითებენ ტომობრივ წარმოშობასა და სადაურობაზე, იძლევიან ადამიანის დახასიათებას ფიზიკური, ქონებრივი ან სხვა რომელიმე ნიშნის მიხედვით. მაგრამ ყველაზე ხშირად გვარი ნაწარმოებია სახელისაგან. ცხადია, ასეთ შემთხვევაში აღებულია წინაპრის სახელი, ზოგჯერ — მეტსახელი.

წინაპართაგან უპირატესობა ეძლეოდა მამაკაცს, როგორც ოჯახის უფროსს და გვარის მეთაურს. ამიტომ ქალის სახელისაგან ნაწარმოები გვარები იშვიათია. თავდაპირველად ვინაობის დასა-

ზუსტებლად მიმართავდნენ უშუალოდ მამის სახელს. ასე, რომ თაობიდან თაობაზე ერთი და იგივე გვარი კი არ გადადიოდა, არამედ იცვლებოდა მამის სახელის მიხედვით. ასეთი წესი აღმოსავლეთის ზოგ ხალხში დღესაც დაცულია. მაგალითად, მ. ჯავახიშვილის „მართალი აბდულას" მთავარი გმირია თათარი აბდულ ქერიმ-ოღლი (ქერიმ-ოღლი ნიშნავს ქერიმის შვილს, ქერიმის ძეს). მას ჰყავს პატარა ვაჟი ვალი. ვალი გვარად აბდულ-ოღლია და არა ქერიმ-ოღლი. როცა მას შვილი ეყოლება, ის ვალი-ოღლი იქნება. გვარების ასეთი ცვლა ბევრ სიძნელესა და უსერხულობას ქმნის. ეს დაახლოებით იგივეა, რომ იცოდეთ კაცის სახელი და მამის სახელი, გვარი კი — არა. ამიტომ ხალხთა უმეტესობამ ირჩია, რომ ერთხელვე შემუშავებული გვარი დამკვიდრდეს და გადაეცეს თაობიდან თაობას. ქართული გვარების ასეთი სისტემა უკვე დიდი ხნის დამკვიდრებულია, დღევანდელი გვარების უმეტესობა დაახლოებით XIV—XV საუკუნეებიდან მოდის.

ზოგ ენაში გვარად ქცეულ სახელს არაფერი არ ერთვის, იგი უცვლელად რჩება და ჩვეულებრივი სახელისაგან არ განსხვავდება. მაგალითად, გასული საუკუნის ფრანგი მწერალია ბენჟამენ კონსტანი. მისი სახელი იგივეა რაც ბენიამენ, გვარი კი უდრის კონსტანტინეს. მაგრამ თუ წინასწარვე არ იცით, ვერ გაარჩევთ, რომელია სახელი და რომელი — გვარი. ასევეა თანამედროვე პოეტის სასელი და გვარი — მაქს ჟაკობი. თანამედროვე ფრანგ ხელოვანთა შორის კარგად ცნობილი არიან ნაადრევად გარდაცვლილი მსახიობი ჟერარ ფილიპი და კომპოზიტორი ფილიპ ჟერარი. ერთ შემთხვევაში ჟერარ სახელია, ფილიპ — გვარი, მეორეში — პირიქით: ფილიპ სახელია, ჟერარ — გვარი. ამგვარი მაგალითები საკმაოდ გვხვდება ფრანგებში, გერმანელებში, ინგლისელებში. მაგრამ უფრო ხშირად გვარად ქცევისას სახელს ერთვის რაიმე ფორმატი ან სიტყვა (ჩვეულებრივ, ეს სიტყვა „შვილს" ნიშნავს. ასეთია, სახელდობრ, არაბული *იბნ*, სპარსული *ზადე*, თათრულ-აზერბაიჯანული *ოღლი*, ინდოევროპული *ზონ*, *სონ* და სხვანი).

ქართულ გვარებს მეტწილად ბოლოში ერთვის *შვილი* ან *ძე*. ასეთ შემთხვევაში გვარის პირველი ნაწილი ნათესაობით ბრუნვაში იგულისხმება. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვანი ს დღეს დაკარგულია, მაგრამ იგი დაცულია ძველ თხზულებებსა და დოკუ-

მენტებში წარმოდგენილ გვარებში, როგორიცაა: საბანისძე, კარიჭისძე, ჩოლოყასშვილი, ქავთარისშვილი და სხვანი.

ქართულ გვარებს, *ძე*-სა და *შვილ*-ის გარდა, აწარმოებს აგრეთვე ფორმანტები (სუფიქსები): *ელ, ურ (ულ), იან (ან), ია, უა (ვა)*. ამათგან *ელ* და *ურ (ულ)* სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსებია, მეგრულ გვარებში გავრცელებული *ვა* და *ია* სუფიქსები კი *უან*||*იან* დაბოლოებისაგან უნდა იყოს მიღებული.

იან ბოლოსართი ქართულში წინათ აღნიშნავდა ვინმესგან წარმომავლობას, ვისიმე მიმდევრობას, შემდეგ კი მან მნიშვნელობა გაიფართოვა და ახლა ბევრნაირ სახელს დაერთვის რისიმე ყოლის ან ქონების აღსანიშნავად (ცოლ-იან-ი, შვილ-იან-ი, თავ-იან-ი, წვერ-იანი-ი, ნაბდ-იან-ი და სხვა). *იან*-ის თავდაპირველი მნიშვნელობა დაცულია გვარებში: დადიანი, დავითიანი, ზურაბიანი, კახიანი, ლიპარტიანი, ჩარკვიანი და სხვანი. ასეთნაირად ნაწარმოები გვარები დღეს უმეტესად სვანეთში და ნაწილობრივ რაჭა-ლეჩხუმშია გავრცელებული. იმავე ბოლოსართს, ოღონდ *ნ*-ს გარეშე, შეიცავს სამეგრელოში გავრცელებული *ია* დაბოლოებიანი გვარები. როგორც ფიქრობენ, *იან* სუფიქსით წარმოქმნილი გვარები წინათ სხვა კუთხეებშიც უნდა გვქონოდა, მაგრამ შემდგომში ეს *იანი ძე*-სა და *შვილ*-ს შეუცვლია. გვარის მრავლობით რიცხვში ხმარებისას *იან* დღესაც გვხვდება სოლმე აღმოსავლეთ საქართველოში, დაბოლოება *შვილი* კი მისი დართვისას მოკვეცილია: ციციშვილი—ციციანი (ე. ი. ციციშვილები); *ა*-ზე დაბოლოებულ სახელებთან *იან*-ის მაგივრად გვაქვს *ან*: ოთარაშვილი—ოთარაანი (აქედან: ოთარაანთ ქვრივი, ე. ი. ოთარაშვილების ქვრივი).

ქართული გვარების დაბოლოებად *ძე* და *შვილი* ისე გავრცელდა, რომ წინათ სუფთა ფუძით ხმარებულ ან სხვა სუფიქსის მქონე გვარებსაც დაერთო (შეადარეთ, მაგალითად, გვარები: მესხი და მესხიძე, მესხიშვილი; სვანი და სვანიძე, სვანიშვილი; მდივანი და მდივნიშვილი და მისთანანი).

რაკი ასეა, უნდა მოველოდეთ, რომ ქართული გვარების ზოგიერთი ძველი დაბოლოება *ძე*-სა და *შვილ*-ის წინ იქნება მიჩქმალული. ეს მართლაც ასეა. სახელდობრ, ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ქართული გვარების ერთი წყება, რომელთა შემადგენლობაშიც ახლანდელი დაბოლოების წინ შეიძლება გამოიყოს სიტყვა

ბერი. ასეთებია, მაგალითად; გიორგბერიძე, გოგიბერიძე, გუგუმბერიძე, გუმბერიძე, დოლაბერიძე, ედიბერიძე, ვაჩიბერიძე, თაბერიძე, თითბერიძე, თუთბერიძე, კახაბერიძე, კიკაბერიძე, კობერიძე, ლოსაბერიძე, მაცაბერიძე, სულაბერიძე, ღვაბერიძე, ღოღობერიძე, შალამბერიძე, შეშაბერიძე, ჩხაბერიძე, ხუციბერიძე, ჯანბერიძე, ჯოხთაბერიძე, გოგბერაშვილი, გოგობერიშვილი, ღოღობერიშვილი და სხვანი.

ამ გვარებში საკუთრივ *ბერე* ან *ბერი* უნდა ყოფილიყო გვარის მაწარმოებელი, ისევე როგორც *ძე* ან *შვილი* (*ბერე* ჭანურად სწორედ „შვილს“, „ვაჟს“ ნიშნავს). ასე რომ, გვარი იქნებოდა გიორგბერე (გიორგიშ-ბერე — „გიორგის ძე“, შეადარეთ გიორგაძე, გიორგიძე); ასევე: გოგიბერე (შეადარეთ გოგიძე, გოგიშვილი), გუგუბერე (შეადარეთ გუგუშვილი), დოლაბერე (შეადარეთ დოლიძე, დოლიაშვილი. დოლა სახელია) და ა. შ. დღესაც გვხვდება გვარები: კახა-ბერი (იგი გვხვდება სახელადაც, მისგან ნაწარმოებია გვარები: კახაბერიძე, კახაბრიშვილი), კაკუ-ბერი, ქაქუ-ბერი.

მას შემდეგ, რაც გვარებში *ძე* და *შვილ* დაბოლოებები საყოველთაოდ გავრცელდა, ისინი დაერთო უკვე ჩამოყალიბებულ და საკუთარი მაწარმოებლებით გაფორმებულ გვარებსაც. ამიტომ *გიორგ-ბერე*საგან მივიღეთ გიორგბერისძე ანუ დღევანდელი გიორგბერიძე, *გოგიბერე*-საგან—გოგიბერიძე და გოგბერაშვილი, დოლაბერე-საგან—დოლაბერიძე, *ჩიხაბერე*-საგან—ჩხაბერიძე (შეადარეთ ჩიხაისძე → ჩხაიძე) და ა. შ. მსგავსადვე ზოგ გვარს დაერთო მეგრული ია სუფიქსი და მივიღეთ: გიგიბერია, კილაბერია, ქაქუბერია, ქუჩუბერია, ჩაკაბერია და სხვა.

მეგრულ *ია* და *ვა* დაბოლოებათა წინ ასევე მიჩქმალულია ზოგჯერ აფხაზური გვარების მაწარმოებელი სუფიქსი *ბა* („ძე“). ასეთია, სახელდობრ, გვარები: ჭაჩი-ბა-ია, ქეც-ბა-ია, ჩაჩი-ბა-ია, ჩიქო-ბა-ვა. რამდენიმე გვარში *ბა* გამოიყოფა *ძე* დაბოლოების წინაც: თოთი-ბა-ძე, ქაჩი-ბა-ძე, ჩანჩი-ბა-ძე...

მეგრული წარმოშობის გვარებში შეიძლება აგრეთვე გამოიყოს „შვილის“ აღმნიშვნელი სიტყვა *სკირი* და „ყმის“ აღმნიშვნელი *ჭკორი*. ასეთებია: ასკილეი-სკირი, კვეკვე-სკირი, პაპა-სკირი (პაპა მეგრულად „მღვდელს“ ნიშნავს, ასე რომ, პაპასკირი იგივეა, რაც ხუციშვილი) წულეი-სკირი (შეადარეთ წულა-ძე, წულა-ია), ბული-

სკირ-ია (შეადარეთ: ბულ-ია, ბულეი-შვილი, ბლია-ძე), გაბე-სკირ-ია (შეადარეთ: გაბო-ძე, გაბა-შვილი)... გეგე-ჭკორი (*გეგე* მეგრულად ეწოდება წმინდა გიორგის, ასე რომ, გეგეჭკორი ნიშნავს „წმინდა გიორგის ყმას“ ანუ „წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მსახურს“. მასთანვეა დაკავშირებული გვარი გეგე-ში-ძე „წმინდა გიორგისა“), პა-ჭკორ-ია („მღვდლის ყმა“), ვადა-ჭკორ-ია.

ყმა-სთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ ეს სიტყვა ჩვენ გვხვდება რამდენიმე ქართული გვარის შემადგენლობაში, როგორიცაა: ვაშა-ყმა-ძე, კეჭა-ყმა-ძე, ოსი-ყმა-შვილი... თუ ამ გვარებში *ყმა ყვა*-საგან არ მომდინარეობს, მაშინ იგი მნიშვნელობით უთუოდ მეგრულ *ჭკორთან* იქნება დაკავშირებული.

რაც შეეხება *ყვა*-ს, იგი გვხვდება რამდენიმე ქართულ გვარში: რო-ყვა, ინგორო-ყვა, ღელე-ყვა ბობო-ყვა-ძე, ჭანუ-ყვა-ძე... მეცნიერები *ყვა*-ს უკავშირებენ ჩერქეზულ-ადიღურ ენებს, სადაც ეს სუფიქსი ძალზე გავრცელებულია გვარების საწარმოებლად. იმავე ენებს უკავშირდება აგრეთვე *ქვა (ქუა)*, რომელიც დაცულია ძე დაბოლოების წინ ორიოდე ქართულ გვარში: ბოლ-ქვა-ძე, თალა-ქვა-ძე (თალაკვაძე), სალუ-ქვა-ძე...

გვარებში გამოიყოფა აგრეთვე კოლხური ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი *ში (იშ-ი)*: მემიშ-იში ხალვა-ში, ჯა-ში („ხისა“), გეგე-ში-ძე („წმინდა გიორგისა“), გურე-ში-ძე დათე-ში-ძე, კვატა-ში-ძე, ნაკა-ში-ძე („ვაკისა“), ყიფ-ში-ძე, ღამბა-ში-ძე, და სხვ. შესაძლოა მრავლობითი რიცხვის ან ტომის ძველისძველი მაწარმოებელი *ხ* გამოიყოფოდეს ზოგიერთ გვარში, როგორიცაა: ბობო-ხ-იძე, კობა-ხ-იძე, კობა-ხ-ია, კაჭა-ხ-იძე, კუჭუ-ხ-იძე, გოგო-ხ-ია, სულუ-ხ-ია, სხულუ-ხ-ია, კორძა-ხ-ია, ლაბა-ხ-უა და სხვანი.

ქართული გვარების ერთ მცირერიცხოვან ჯგუფში გამოიყოფა აგრეთვე დაბოლოება *ტი*; ასეთი გვარებია: ჟღენ-ტი, ღლონ-ტი, ჯიბუ-ტი, აშორ-ტი-ა (←აშორდია), გელან-ტი-ა, გეგუ-ტი-ა; ეგუ-ტი-ა, კეკუ-ტი-ა, კვირ-ტი-ა, კი-ტი-ა, მირგა-ტი-ა, მირდა-ტი-ა, ციმინ-ტი-ა, ხვი-ტი-ა, ხუბუ-ტი-ა... ამ გვარების დაბოლოებას კავშირი უნდა ჰქონდეს ქართულ სახელთა კნინობით-საალერსო ფორმების მაწარმოებელ *ტი(ტა)* სუფიქსთან, რომლის მეშვეობითაც *გოგი*-საგან წარმოქმნილია გოგი-ტი, გოგი-ტა, *ბერი*-საგან

ბერი-ტი, ბერი-ტა და ა. შ. ამგვარი კნინობითის ფორმიანი სახელები დღეისათვის მეტწილად გვარებშია დაცული: გოგი-ტი-ძე, გოგო-ტი-შვილი, გუგუ-ტი-შვილი, გოგა-ტა-ძე, გოგა-ტა-შვილი, ნანი-ტა-შვილი, ხასუ-ტა-შვილი, შოში-ტა-შვილი; კაცი-ტა-ძე, ბერი-ტა-შვილი, ბეჟი-ტა-შვილი, ბახუ-ტა-შვილი, სუხი-ტა-შვილი და სხვა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული გვარების წარმოება და წარმოშობის ისტორია ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. მათ შესწავლას ართულებს დროთა განმავლობაში მომხდარი სხვადასხვა სახის ცვლილება, რის გამოც ბევრი გვარი საგრძნობლად არის დაშორებული პირვანდელ ფორმას. ქართული გვარების საფუძვლიანი გამოკვლევა მომავალში უეჭველად ბევრ საინტერესო ფაქტს გამოავლენს.

— —

გვარები შეიძლება დავაჯგუფოთ როგორც მაწარმოებელთა მიხედვით, ისე იმ ძირეული სიტყვების მიხედვითაც, რომელთაგანაც აწა თუ იმ სიტყვის ან აფიქსის მეშვეობით იწარმოება გვარი. ქართული გვარები, ისევე როგორც სხვადასხვა ხალხთა გვარების უდიდესი ნაწილი, წარმოქმნილია წინაპართა სახელებისა და მეტსახელებისაგან. ხშირად გვხვდება აგრეთვე გვარები, რომლებიც მიგვითითებენ სადაურობა-წარმომავლობაზე, ხელობასა თუ თანამდებობაზე. ზოგჯერ გვარი შეიცავს პიროვნების შეფასება-დახასიათებას რაიმე ნიშნის მიხედვით. დასასრულ, გვარები წარმომდგარია მცენარეულობის, ცხოველების, ფრინველების, სხვადასხვა საგნის სახელებისაგან. ასეთ შემთხვევაში სავარაუდებელია, რომ ისინი მეტწილად ადამიანის საკუთარ სახელად ან მეტსახელად უნდა ყოფილიყვნენ უწინ გამოყენებული და ამ გზით იქცნენ გვარის შემადგენელ ნაწილად.

სახელებისაგან წარმოქმნილი გვარები

გვარების ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი წინაპრის სახელისაგან წარმოიქმნა. განსაკუთრებით ბევრი გვარია ნაწარმოები ჩვენში გავრცელებული ზოგიერთი სახელისაგან, რომლებიც გვარის

შემადგენლობაში გვხვდება როგორც სრული ფორმით, ისე კნინობითი ფორმებით. მათ დართული აქვთ როგორც *ძე* და *შვილი*, ასევე სხვადასხვა სუფიქსი. მაგალითად, *გიორგი* და მისი სახეცვლილებანი საფუძვლად დასდებია შემდეგ გვარებს: გიორგიძე, გიორგაძე, გორგიძე, გორგაძე, გოგაძე, გოგიძე, გოგავა, გოგიავა, გოგიშვილი, გოგიაშვილი, გოგინაშვილი, გოგატაძე, გოგიტიძე, გოგატაშვილი, გოგიტიშვილი, გოგიტაშვილი, გოგიჩაიშვილი... დავითისაგან წარმოქმნილი გვარებია: დავითიძე, დავითაძე, დავითაშვილი, დავითაია, დავითიანი, დავითულიანი, დავითური, დათაშვილი, დათიაშვილი, დათიკაშვილი, დათებაშვილი და სხვა. ასევე მრავალი გვარია ნაწარმოები ისეთი სახელებისაგან, როგორიცაა: ალექსი, ბასილ, გრიგოლ, ელია, ზაქარია, ივანე, მოსე, ნიკოლა, შიო და სხვანი.

გვარებში ამ სახელების გამოყოფა და, მაშასადამე, იმის გამორკვევა, თუ რომელი სახელისაგან არის წარმოქმნილი ესა თუ ის გვარი, მეტწილად იოლია. მაგრამ გვარის შემადგენლობაში შესული ზოგიერთი სასელი საგრძნობლად შეცვლილია, ზოგი კი სახელად დღეს აღარ იხმარება. ამიტომ ამგვარი სახელებისაგან წარმოქმნილი გვარების მნიშვნელობის დადგენა საგანგებო დაკვირვების გარეშე უკვე შეუძლებელია.

მაგალითად, ავიღოთ გვარი *ჟვანია*. თუ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას არ იცნობთ, ძნელია მიხვდეთ, რომ ამ გვარს საფუძვლად უძევს სასელი *ივანე* (ძველი ფორმით — *იოვანე*). ამ სახელისაგან *ია* სუფიქსის დართვით უნდა მიგვეღო გვარი *იოვანია* (*ჲოვანია*), მაგრამ *აქ თავკიდური ჲ ჟ*-დ ქცეულა და საბოლოოდ მივიღეთ *ჟვანია*. ასევე *იორდანე*-საგან უნდა მიგვეღო *იორდანია*, მაგრამ იმავე ფონეტიკური ცვლილების მეოხებით გვაქვს *ჟორდანია*, *იოველ*-ისაგან უნდა მიგვეღო *იოველია*, მაგრამ გვაქვს *ჟველია*. ზოგჯერ სახელის თავკიდური *ი* (*ჲ*) *ჯ*-დ ქცეულა. ამის შედეგად *იაკობი*-ისაგან მივიღეთ გვარი *ჯაკობია*, *იობ*-ისაგან — *ჯობავა*, *დიომიდე*-საგან—*ჯომიდავა*. ვისაც აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“ კარგად ახსოვს, ალბათ მოაგონდება, რომ სახელი აბდუშაჰილი საფუძვლად დასდებია აბდუშელიშვილების გვარს. თუ ასეა, ჩანს, ამ სახელსაც საგრძნობი ცვლილება განუცდია. ასევე სხვადასხვა ცვლილების შედეგად არის მიღებული *აღსართან*-ისაგან *სართანია*, *ბაქარ*-ისაგან *ბაქრაძე* და *ბარქაია*, *ბავრატ*-ისაგან — *ბარგატია*, *ბეშ-*

ქენ-ისაგან — *ბეშკენაძე, გერასიმე*-საგან—*გერსამია, თედორე*-საგან *თორღია, იონა*-საგან — *იმნაძე, იმნაიშვილი, მანაველ*-ისაგან—*მანველიძე, მანველიშვილი, პეტრე*-საგან—*პერტია, პერტაია* და სხვანი.

ზოგიერთი სახელი, საიდანაც ესა თუ ის ქართული გვარია ნაწარმოები, დღეს საერთოდ აღარ გვხვდება. ამის გამოც ადვილად შეიძლება შეცდომა მოგვივიდეს. მაგალითად, *ასათიანი* ყველასათვის ცნობილი გვარია. ცხადია, მასში გამოიყოფა *იან* სუფიქსი, რომლის ჩამოცილების შემდეგ რჩება *ასათ*. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ აქ გვაქვს რიცხვი ას-ათი. მაგრამ რატომ უნდა წარმოქმნილიყო გვარი ამ რიცხვისაგან? სინამდვილეში *ასათ* სახელია (წარმოშობით იგი არაბულია და „ლომს" ნიშნავს). ეს სახელი ხშირად გვხვდება ძველ ქართულ დოკუმენტებში. ცხადია, გვარი ნაწარმოებია ამ სახელისაგან და არა რიცხვისაგან. აქედანვე მოდის აგრეთვე გვარი ასათაშვილი.

გვარები ნადირაძე, ნადირაშვილი მიღებულია აღმოსავლური *ნაღირ||ნადირა* სახელისაგან (რომელიც „რჩეულს" ნიშნავს) და არა „მხეცის" აღმნიშვნელი სიტყვისაგან. ასევე ავაზაშვილის გვარი გარეული მხეცის სახელისაგან კი არ მოდის, არამედ ადამიანის სახელისაგან: *ავაზ* სპარსული ფორმაა არაბული სახელისა *ავად*, რომელიც „ცვლას", ე. ი. „შემცვლელს" ნიშნავს (ასე არქმევდნენ შვილის სიკვდილის შემდეგ, თითქოს მის სამაგიეროდ, დაბადებულ შვილს).

ბერიძე გვარია, მაგრამ სახელადაც გვხვდება, — უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეებში. ამ სახელისაგან არის წარმოქმნილი გვარი *ბერიძიაშვილი*. არის გვარი *ნასყიდაშვილი*, რომელიც უშუალოდ კი არ უკავშირდება *ყიდვა* ზმნას, არამედ მიღებულია ადამიანის სახელისაგან (*ნასყიდა*), თვით ეს სახელი კი მართლაც „ნასყიდს" ანუ „ნაყიდს" ნიშნავს. ასე არქმევდნენ დიდი ხნის ლოდინისა და ღვთის ლოცვა-ვედრების შემდეგ შეძენილ შვილს „ავი სულების" მოსატყუებლად (ვითომ ჩვენი შვილი კი არ არის, ნაყიდიაო). ზუსტად ამავე შინაარსისაა სომხური *გნელ*, რომლისგანაც წარმოქმნილია გვარი გელენიძე (←გენელიძე, გნელიძე, „ნასყიდაშვილი").

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" (X ს.) გვხვდება სახელი *მცხუედაი* (ძველი ქართულით *მცხუედი* — ესაა „გვიანი", „ნაგვია-

ნევი"). მისგან ჩანს მიღებული გვარები ცხვედაძე, ცხვედიანი. ძველი ქართული სახელი ხურსი საფუძვლად უძევს ხურციძისა და ხურცილავას გვარებს. ფირდოუსის „შაჰ-ნამეს" ანუ „როსტომიანის" ერთ-ერთ გმირს ზაალ-დასთანი ჰქვია. აქედანაა მიღებული ზალ-დასტანიშვილი. იმავე ნაწარმოების პერსონაჟთა სახელებია: ქუმსი, ყაითმაზ, ჯამასფ, ჩანგაშ, რომელთაგანაც ნაწარმოებია გვარები: ქუმსიშვილი, ქუმსიაშვილი, ჯამასპიშვილი, ჩანგაშვილი.

ამგვარი სახელები, რომლებიც დღეს ძალიან იშვიათია ან სულ აღარავის ჰქვია და მხოლოდ გვარებშია შემონახული, მრავლად გვხვდება ძველ ქართულ თხზულებებში, ისტორიულ წარწერებსა და დოკუმენტებში. აი, ზოგი მათგანი: აბას, აბულ, არსაკ, არჯევან, ასლამაზ, აფაქ, ბედუკა, ბეკო, თარგამოს, გოძია, დად, ენუქი, კლდია, მახარობელა, მერკვილ, მიქა, ნონე, პაპია, რევ, როსება, საგინა, სამუკა, საღარა, სალიბეგ, საჰაკ, სუმბატ, სუხია, ტაბია, უთურგა, ფარეჯან, ფიცხელა, ქუმსი, შერმაზან, ჩოლოყა, ჩოფიკა, ციცი, ძაგან და სხვანი.

რაკი ჩვენ ვიცით, რომ ესენი ადამიანის საკუთარი სახელებია, ადვილი მისახვედრია, საიდან არის მიღებული ისეთი გვარები, როგორიცაა: აბასაშვილი, აბულაძე, არსაკიძე, არჯევანიძე, ასლამაზაშვილი, აფაქიძე, ბედუკაძე, ბეკოშვილი, გოძიაშვილი, დადიანი, ენუქიძე, ენუქაშვილი, თარგამაძე, კლდიაშვილი, მახარობლიძე, მერკვილაძე, მიქაძე, მიქავა, მიქიაშვილი, ნონეშვილი, პაპიაშვილი, პაპიძე, რევიშვილი, რევია, როსებაშვილი, საგინაძე, საღინაძე, საგინაშვილი, სამუკაშვილი, საღარაძე, საღარეიშვილი, სალიბეგაშვილი, სააკაძე, სუმბათაშვილი, სუხიშვილი, სუხიაშვილი, სუხიტაშვილი, ტაბიძე, უთურგაიძე, უთურგაული, ფარჯანაძე, ფარჯიანი, ფიცხელაური, ფირცხელანი, ფირცხალავა, ქუმსიშვილი, ქუმსიაშვილი, შერმაზანაშვილი, ჩოლოყაშვილი, ჩოფიკაშვილი, ციციშვილი, ძაგნიძე, ძაგანია და მრავალი მისთანანი.

როგორც ვთქვით, გვარები ნაწარმოებია უმთავრესად კაცის სახელისაგან, ქალის სახელისაგან წარმოშობილი გვარები კი მეტად იშვიათია. ჩვენ რომ ქალის სახელისაგან მიღებული გვგონია, ზოგჯერ ისეთი გვარიც კი შესაძლოა კაცის სახელთან იყოს დაკავშირებული. მაგალითად, როგორც აკად. ა. შანიძემ გაარკვია, კეკელიძის გვარი მომდინარეობს კეკალა-საგან. ეს სახელი ახლო წარსულ-

ში იხმარებოდა ქალის სახელად, ამიტომ შეიძლება გვეგონოს, რომ გვარიც ქალის სახელისაგან არის მიღებული, მაგრამ კეკელა წინათ კაცსაც რქმევია (მაგალითად, ერთ-ერთ ქართულ ქრონიკაში იხსენიება ისტორიული პირი აშოტ კეკელა, რომელიც კაცია და აშოტი მისი სახელია, კეკელა კი მეტსახელი, — მნიშვნელობით უდრის „ლამაზს", კოხტას"). საფიქრებელია, რომ გვარები კეკელიძე, კეკელაშვილი და კეკელია სწორედ კაცის სახელისაგან არის წარმოქმნილი (ამავე სახელისაგან არის მიღებული ტოპონიმი *კეკლეთი* ანუ *კეკელ-ეთ-ი*, რომელიც ახლა ნასოფლარია ვარძიის ახლოს). წინათ ქალების გარდა კაცებსაც რქმევიათ აგრეთვე სახელები ბაბო (ბაბუცა), დარეჯან, ნათელი (ნათელა), რომელთაგანაც მიღებულია გვარები: ბაბუციძე, დარეჯანაშვილი, დარჯანია, ნათელაშვილი. ბაბო დღესაც გვხვდება კაცის სახელად ხევსურეთში, გოგო — სამეგრელოში (აქედანაა გვარები: გოგოძე, გოგობერიძე, გოგია).

შესაძლოა *ნინო*-საგან მიღებული გვეგონოს გვარი ნინიძე, მაგრამ იგი ნაწარმოები ჩანს *ნინია*-საგან, რომელიც კაცის სახელია (აქედანვეა გვარები: ნინიაშვილი, ნინიკაშვილი). სამაგიეროდ, ქალის სახელი ნინო გამოიყოფა ნინოშვილის გვარში (ნინოშვილი ჩვენი სახელოვანი მწერლის ფსევდონიმია. მაგრამ გვარიც არის აღმოსავლეთ საქართველოში). ასევე ქალის სახელებისაგან უნდა იყოს მიღებული გვარები: ეთერია, ელისაბედაშვილი, თამარაშვილი, მარიამიძე, მარიამული, მანჯავიძე (*მანიჟა*-საგან), მზექალაშვილი, შუშანაშვილი, შუშანია, მეტსახელებისაგან — დედაბრიშვილი, პატარძლიშვილი და სხვები, მაგრამ მათი რიცხვი საერთოდ მცირეა. ამა თუ იმ სახელისაგან ნაწარმოები გვარები ამ სახელებთან დაკავშირებით გვაქვს განხილული სახელთა სიაში და ამიტომ აქ მეტს აღარას ვიტყვით.

დახასიათების შემცველი გვარები

ზოგიერთ გვარს საფუძვლად უძევს სიტყვა, რომელიც იძლევა ადამიანის დახასიათებას რაიმე ნიშნის მიხედვით, როგორიცაა გარეგნობა, ასაკი, ქონებრივი მდგომარეობა და ა. შ.

მაგალითად, სოციალურ წარმოშობას გვიჩვენებენ გვარები: აზნაურაშვილი, თარხნიშვილი (თარხანი ეწოდებოდა „თავისუფალს".

ეს გვარი მიიღეს გიორგი სააკაძის შთამომავლებმა გათავადების შემდეგ, რათა ისინი გარჩეულიყვნენ სხვა სააკაძეებისაგან, რომლებიც აზნაურებადვე დარჩნენ), ყაზახიშვილი, ყაზაიშვილი (ყაზახი თურქული წარმოშობის სიტყვაა, „უსახლკაროს“ ნიშნავს; ძველად ქართულში იხმარებოდა „მდაბიოს“, „გლეხის“ აღსანიშნავად), ხიზანიშვილი (ხიზანი ერქვა ბატონთან შეკედლებულს, მემამულის მიწაზე დასახლებულ თავისუფალ გლეხს). შინაარსით მათთან ახლოს დგანან ოჯახური მდგომარეობის გამომხატველი გვარები: ობოლაძე, ობოლაშვილი, ქვრივიშვილი და სხვანი.

ქონებრივი მდგომარეობის დახასიათებაა მოცემული გვარებში: ამბოკაძე (*ამბოკარი* ნიშნავდა „უსახლკაროს“, „არაფრის მქონეს“), დოლენჯიშვილი (*დოლენჯი* თურქულად — „მათხოვარი“), ლუტიძე (*ლუტი*, საბას განმარტებით, არის „კაცი უსახლკარო და უქონელი“), ღარიბაშვილი, პურადაშვილი, ღვინიანიძე და სხვა.

ფიზიკური ნაკლის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან არის მიღებული გვარები: ბლუაშვილი, ყრუაშვილი, მუნჯიშვილი, კოჭლაშვილი, ბალიაშვილი (მნიშვნელობით იგივეა, რაც კოჭლაშვილი: *ბალია* ქიზიყურში კოჭლს ნიშნავს), კვანტილაშვილი (*კვანტილას* ეძახიან კახეთში კოჭლსა და ამავე დროს ენაკვიმატს), ჩიღვინაძე (მიღებული ჩანს *ჩიყვიან*-ისაგან)? გარეგნულ დახასიათებას შეიცავენ აგრეთვე გვარები: გრძელიძე, გრძელიშვილი, დიდიძე, დიდიშვილი, დიდია, თავდიდიშვილი, ტროყაშვილი (*ტროყია* ნიშნავს „ტანად დიდსა და მოუხეშავს“, „ახმახს“), საღირაშვილი (*საღირ* არაბულად ნიშნავს „პატარას“, თურქულად, — „ყრუს“), ქუჩუკაშვილი (*ქუჩუკ* „პატარას“ ნიშნავს თურქულად), პატარაია, პატარიძე, პატარაშვილი, კიკნაძე (*კიკნა* ნიშნავს „ძალიან მცირეს, პაწაწინას“), ბუთხუზი, ბუთხუზაშვილი (*ბუთხუზა* ქართულში მსუქანს, ლოყებღაჟღაჟას ნიშნავს, წარმოშობით კი სპარსული სიტყვაა და „კერპის მსახურს“ აღნიშნავს), მშვენიერაძე, ცოფურაშვილი (მიღებულია *ჩოფურა*-საგან, რაც „ნაყვავილევს“ ნიშნავს), ხმელიძე, ხორავა (*ხორა* ანუ *ხვარა* მეგრულად ნიშნავს „მელოტს“) და ა. შ.

გვარებში საკმაოდ ხშირად გვხვდება დახასიათება ფერის მიხედვით: თეთრაძე, თეთრუაშვილი, შავიშვილი, ყარაშვილი (*ყარა* შავს ნიშნავს თურქულად), შავთვალაშვილი, თვალჭრელიძე, ჭრელაშვილი, ჭრელოშვილი, წითლიძე, წითლანაძე, ანთაძე, ანთია

(ანთი გურიაში წითური კაცის აღმნიშვნელი სიტყვა ყოფილა), ჭითანავა (ასევე „წითურს“ ნიშნავს მეგრულად: ჭითა — „წითელი“), კუპრაძე, კუპრაშვილი, კუპრავა (კუპრი აქ ნახმარია „შავის“, „შავგვრემანის“ აღსანიშნავად), მიქაშავიძე, კობეშავიძე, შავდათუაშვილი, ტყებუჩავა (მეგრულად ნიშნავს „ტყავ-შავაძეს“)... ტყებუჩავა-ს მსგავსად არის აგებული დუდ-უჩა-ვა, მაგრამ დუდუჩას (ე. ი. „თავ-შავს“) სამეგრელოში ეძახიან ყვავს, ასე რომ დუდუჩავა შეიძლება გავიგოთ როგორც „თავ-შავაძეც“ და „ყვავაძეც“

ზოგჯერ გვარში მოცემულია პიროვნების დახასიათება ასაკის მიხედვით. ასეთია, სახელდობრ, გვარები: ბებერაშვილი, ბერბერაშვილი, ბებიაშვილი, დედაბრიშვილი, ბერბიჭაშვილი, ბიბიჩაძე (აქაც იგივე სიტყვა გვაქვს — *ბერბიჭა*, რაც მწერალ გ. შატბერაშვილის განმარტებით ნიშნავს ხნიერ, მაგრამ უბერებელ კაცს, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ჭაბუკური იერი და ძალ-ღონე), ზარანდია (ეს მეგრული გვარი ნაწარმოები ჩანს სკვითური ზარანდ სახელისაგან, რომელიც „მოხუცს“ ნიშნავს), ჭაბუკიანი და სხვანი. სალარ სპარსულად ნიშნავს „უხუცესს, უფროსს, მეთაურს“ (შეადარეთ სპა-სალარი — „ჯარის უფროსი“). აქედანაა გვარი სალარიძე, აქედანვე ბგერათგადასმით მიღებული ჩანს სარალიძე.

ადამიანის ხასიათს, თვისებას გამოხატავენ გვარები: ამყოლაძე, კეთილაძე, ბაინდურაშვილი, კელენჯერიძე (*კელენჯერი, კელენჯუში* რაჭულ დიალექტში ნიშნავს „ჯიუტს“), ლოჩოშვილი (*ლოჩო*— „მშვიდი“, „წყნარი“), ლაფაჩი, ლაფაჩიშვილი (*ლაფაჩი* თურქული წარმოშობის სიტყვაა, ნიშნავს „ნელს, ზანტს, დოყლაპიას“), ლოხიშვილი (ლოხი დაახლოებით იგივეა, რაც ლაფაჩი: „ზარმაცი, ზანტი, დონდლო“), მძინარიშვილი, საძაგლიშვილი, უჯმაჯურიძე (უჯმაჯური, რომლის ვარიანტებია უწმაწური, უკმაკური, ნიშნავს „მოუსვენარს, უკუღმართს“), ჯმუხაძე, ჯომარჯიძე (*ჯომარდი||ჯავანმარდი* სპარსული სიტყვაა და ნიშნავს „გულადს“, „ყოჩაღს“, „მამაცს“), მამაცაშვილი და ა. შ.

სავარაუდებელია, რომ დახასიათების შემცველი ზოგიერთი სიტყვა, როგორიცაა თეთრუა, კიკნა, კუპრა, ჭრელა, ჯმუხა და სხვანი, წინათ პიროვნული სახელი იყო და ამ გზით იქცა გვარის შემადგენელ ნაწილად, ზოგიერთი სიტყვა კი გვარად ქცევამდე მეტსახელი უნდა ყოფილიყო. ეს ითქმის განსაკუთრებით ისეთებზე, რომ-

ლებიც უარყოფით დახასიათებას შეიცავენ. ცნობილია, რომ მეტსახელად, ჩვეულებრივ, ისეთი სიტყვა იხმარება, რომელიც რაიმე ნაკლზე მიუთითებს. სახელისაგან განსხვავებით, მეტსახელში შინაარსი თითქმის ყოველთვის ცოცხალია. ბერბიჭა, ბაინდურა, ლოხი, ტროყია და სხვა ასეთები დღესაც ხშირად გვხვდება მეტსახელებად.

რასაკვირველია, დახასიათების შემცველ ყველა გვარს პიროვნული სახელის ან მეტსახელის საფეხური არ გაუვლია, ზოგმა მათგანმა შეიძლება უშუალოდ მიიღო გვარის ფორმა. მაგალითად, სოფელში ცოტა ხნის წინათ მოსულ კაცს, ახალ მოსახლეს შეიძლებოდა შერქმეოდა მოსულიშვილი, ახალმოსახლეობასთან უნდა იყოს აგრეთვე დაკავშირებული გვარები: ახალაძე, ახალაშვილი, ახალაია, ახალშენიშვილი. რაიმე მიზეზით აყრილს, მაგრამ შემდეგ ისევ ძველ კერაზე მიბრუნებულს (ან ტყვეობიდან დაბრუნებულს) აღნიშნავს გვარი დაბრუნდაშვილი. მებატონის მიერ მონასტრისადმი შეწირულ ყმის ოჯახს გვარად შერჩენია შეწირული, ვისაც რაიმე ქონებაში წილი ედო, მას მიუღია გვარი წილოსანი და ა. შ.

ხელობისა და თანამდებობის აღმნიშვნელი გვარები

ბევრი გვარი წარმოშობილია ხელობის ან თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან. ხელობათა შორის განსაკუთრებული პატივი რგებია მჭედელს. მჭედელი მართლაც ყოველი სოფლისათვის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ხელოსანი იყო. ამიტომაა, რომ მჭედლის აღმნიშვნელი გვარები მრავლად გვხვდება მსოფლიოს თითქმის ყოველ ენაში. ასეთებია, მაგალითად, რუსული კუზნეცოვი, კოვალიოვი, უკრაინული კოვალი, კოვალენკო, პოლონური კოვალევსკი, სომხური დარბინიანი, ნალბანდიანი, ინგლისური სმიტი, გერმანული შმიდტი და სხვა. ქართულში ასეთი გვარებია: მჭედლიძე, მჭედლიშვილი, მჭედლიანი, ჭედია, ნალბანდიშვილი (ნალბანდიც მჭედელია, რომელიც მუშა პირუტყვს ჭედავს, ნალს აკრავს). ძვირფასი ლითონების ოსტატს ოქრომჭედელი ეწოდება, აქედანაა გვარი ოქრომჭედლიშვილი. მჭედელს მეგრულად ჭკადუ ჰქვია, სვანურად— მუშკიდ, აქედანაა გვარები ჭკადუა და მუშკუდიანი (ძველი ფორმა მუშკიდიანი გვხვდება XIV ს-ში).

ამავე ხელობის აღმნიშვნელი უნდა იყოს გვარი *ჭელიძე*, რომელიც მიღებული ჩანს *მჭედლიძე*-საგან. ამ ვარაუდის დასასაბუთებლად შეიძლება მოვიხმოთ ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარი (1578 წლისა), სადაც გურიაში სოფელ ბახვის მცხოვრებთა შორის დასახელებულია ბევრი მჭედლიძე (ზაქარია, ხუტია, გიორგი, მიქელა, ოზბეგი, მალაღური, სხვა ხუტია, დეისმამა, უზუნა, სხვა გიორგი, იმრიდონი, ნასყიდა, გიორგა, ივანე, იოვანე, ხუტა, მამისბედა, ზავლა მჭედლიძენი). ამჟამად კი სოფელ ბახვში მჭედლიძე არავინაა, მაშინ როცა ჭელიძეები მრავლად სახლობენ. ცხადია, ისინი ძველი მჭედლიძეების ჩამომავალნი არიან, თორემ ძნელად წარმოსადგენია, რომ ამ მხარეში მჭედლიძეები ყველა ამოწყვეტილიყო და საიდანღაც ჭელიძეთა მრავალრიცხოვანი გვარი გაჩენილიყო.

ამრიგად, თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მჭედლიძის გვარს სახე უცვლია(ორი თანხმოვანი — *მ* და დ დაკარგულა) და ჭელიძედ ქცეულა. ასევე უნდა იყოს მიღებული მჭედლიშვილისაგან ჭელიშვილი. რაც შეეხება ჭეიშვილს, ის კი სხვა წარმოშობის გვარი ჩანს. იგი მიღებული უნდა იყოს *ბჭეის-შვილ*-ისაგან და ნიშნავს „მოსამართლის შვილს". ძველად *ბჭე* მოსამართლეს ერქვა. ამავე სიტყვისაგან არის ალბათ მიღებული გვარი *ნამიჭეიშვილი (—ნამიჩეიშვილი)*, რომლის თავდაპირველ ფორმად სავარაუდებელია ნა*ბჭევისშვილი*, ე. ი. „მოსამართლედ ნამყოფის, ნამოსამართლევის შვილი".

სხვადასხვა ხელობის მიხედვით შერქმეული გვარებია: დალაქიშვილი, დურგლიშვილი, ხარატი, ხარატიშვილი, ხარაზი, ხარაზიშვილი, ხუროძე, ხუროშვილი, ზეინკლიშვილი, კალატოზიშვილი, მენაბდე, მეტივიშვილი, მეცხვარიშვილი, მეხრიშვილი, მებაღიშვილი, მზარეულაშვილი, ფეიქრიშვილი, ხაბაზიშვილი, მესარკიშვილი, მესაბლიშვილი (საბელი—„თოკი", მესაბლე—„თოკის მგრეხელი"), მკერვალიშვილი, კერვალიძე, ჭონიშვილი (ჭონი—„მექუდე"), მღებრიშვილი, მეუნარგია (ე. ი. „მეუნაგირე"), მაქაცარია („მეთიკნე") და მრავალი სხვა.

გვარებში შემონახულია აგრეთვე მეფისა და დიდი ფეოდალების კარზე სხვადასხვა თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინები: ერისთავი, ამილახვარი („მეჯინიბეთ-უხუცესი"), ამირეჯიბი („სა-

მეფო კარზე წესრიგის მეთვალყურე პურობისა და დარბაზობის დროს"), ციხისთავი, ჯაბადარი („მეაბჯრე"), მდივანი (აქედან აგრეთვე — მდივნიშვილი), სახლთუხუცესი (აქედან აგრეთვე — სახლთხუციშვილი), მეღვინეთუხუცესი, მემარნე, ქილიფთარი („მეღვინე, ღვინისა და სასმელების მნე მეფეთა და დიდებულთა სასახლეებში"), მუჯირი („ხორბლის მნე").

აქვე შეიძლება დავასახელოთ ისეთი სამოხელეო ტერმინებისაგან მიღებული გვარები, როგორიცაა: მელიქიშვილი, მელიქიძე (*მელიქი* ერქვა სოფლის ან ქალაქის მმართველს, მამასახლისს, ზოგჯერ — მთელი მხარის გამგებელს), ქალანთარი (გვხვდება აგრეთვე *კალანტარ*-ის ფორმით. ეს გვარი არის სომხურშიაც; ნიშნავს „ქალაქის თავს", „პოლიციის უფროსს". ამავე სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს გვარი კალანდარიშვილი), ტარყაშვილი (—ტარუღაშვილი; *ტარუღა* სპარსული სიტყვაა, XVI—XVIII ს. ს. გვხვდებოდა ქართულშიც; ნიშნავს „ქალაქის მოურავს"), მამასახლისი, გზირიშვილი, ნაცვლიშვილი, ნაცვალაძე, მემარნიშვილი, მეზვრიშვილი, მენაღარიშვილი, მებუკე...

სელობა-თანამდებობის სახელებთან ახლოს დგანან თავიანთი მნიშვნელობით გვარები: მეზურნიშვილი, მესტვირიშვილი, ოთხმეზური (მიღებულია *ოთხმეძლურ*-ისაგან; *ოთხძალი* ერქვა ერთგვარ საკრავს), მეხუშლა (ე. ი. „მეხუთძლე"; ხუთძალიც საკრავია), მორკინალი („მოჭიდავე"), სადუნიშვილი (*სადუნი* სხვადასხვა ენათა მცოდნეს ნიშნავს), შათირიშვილი (*შათირი* იგივე მალემსრბოლი ანუ შიკრიკია), ჩუბინაშვილი, ჩუბინიშვილი, ჩუბინიძე (*ჩუბინი* მარჯვე მსროლელს ერქვა, დღეს რომ სნაიპერს ვეძახით), ჯოლბორდი (საბას განმარტებით — „ისრის მთლელი") და სხვანი.

დასასრულ, აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ გვარები, რომლებიც მიღებულია ეკლესიის მსახურთა სხვადასხვა სახელწოდებისაგან: დეკანოზიშვილი, დეკანოსიძე, დეკანოიძე, წინამძღვრიშვილი, მრევლიშვილი, მღვდელაძე, პაპავა (*პაპა* მეგრულად ნიშნავს „მღვდელს", ასე რომ პაპავა იგივეა, რაც მღვდელაძე), ხუციძე, ხუციშვილი, ნახუცრიშვილი, დიაკონიძე, ჯაკონია (მიღებულია დიაკონია-საგან), მალაზონია (*მალაზონი* იგივეა, რაც მონაზონი), კანდელაკი (ასე ერქვა ეკლესიაში სანთლის მნეს, მნათეს), მგალობლიშვილი და სხვანი.

საყურადღებოა, რომ ხელობისა და თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინები ხშირად გვხვდება გვარებად წმინდა ფუძის სახით (გვარის მაწარმოებელი აფიქსების, ან *ძე* და *შვილ* დაბოლოებათა დაურთველად), რაც სხვა ტიპის ქართულ გვარებში მეტად იშვიათია. ასეთებია, სახელდობრ: ამილახვარი, ამირეჯიბი, ერისთავი, კანდელაკი, მდივანი, მებუკე, მენაბდე, მემარნე, მეღვინეთუხუცესი, მხატვარი, ციხისთავი, ხაბაზი, ხარაზი, ხარატი და სხვა (ზოგი მათგანი აგრეთვე გვხვდება *შვილ*-ის დართვითაც ცალკე გვარად: მდივნიშვილი, მენაბდიშვილი, მემარნიშვილი, მხატვრიშვილი, ხარატიშვილი. ხარაზიშვილი...).

ᲓᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘ

ქართული გვარების ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს ტომის, ეროვნების ან სადაურობის (წარმოშობის ადგილის) აღმნიშვნელი გვარები.

სატომო სახელთაგან ზოგი ისევე წმინდა ფუძით გვხვდება გვარად, როგორც ხელობის აღმნიშვნელი სიტყვები. ასეთებია, მაგალითად: აფხაზი, ბერძენი, დვალი, ლაშხი, მესხი, სვანი. იგივე ეროვნულ-ტომობრივი სახელწოდებანი გვარებად გვხვდება გავრცობილი სახითაც: აფხაზავა, აფხაიძე, ბერძენიშვილი, ბერძნიშვილი, დვალაძე, დვალიშვილი, ლასხიშვილი, ლაშხია, მესხია, მესხიძე, მესხიშვილი, სვანიძე, სვანიშვილი, შონია (შონი მეგრულად ეწოდება სვანს).

ამგვარადვე გავრცობილი სახით გვხვდება აგრეთვე საქართველოს თითქმის ყველა სხვა კუთხის სახელწოდებათაგან ნაწარმოები გვარები: ქართველიშვილი (გავრცელებული გვარია დასავლეთ საქართველოში, უდრის „ქართლელის შვილს“ — აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში გადასულს), იმერლიშვილი (ქართველიშვილის საპირისპირო მნიშვნელობისაა, გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში), კახელიშვილი, კახეთელიძე, თუშიშვილი, ფხოველიშვილი (*ფხოვი* ფშავის ძველი სახელწოდებაა, აქედან: ფხოველი—„ფშაველი“), ხევსურიანი, რაჭველიშვილი, მეგრელიძე, მეგრელიშვილი, ლაზიშვილი, ჭანიშვილი, ჭანია, ჭანტურია (ჭანი

სატომო სახელია, *თური* კი მეგრულ-ჭანურში ნიშნავს „შთამომავალს", „მოდგამს") და ა. შ.

გურია-საგან სატომო სახელი ორგვარად იწარმოება: გური-ელ-ი და გურ-ულ-ი. მათ შორის პირველი კანონზომიერი ფორმაა და ადრევე იქცა გურიის მთავრების გვარად. ერთხანობას გურიელად მხოლოდ ის პირი იწოდებოდა, ვისაც გურიის ერისთავთ-ერისთავის თანამდებობა ეკავა (ასევე იყო თორელი, დადიანი...), შეიძლებოდა ერთი კაცი ყოფილიყო როგორც დადიანი, ისე გურიელი (დადიან-გურიელი, ე. ი. სამეგრელოსა და გურიის ერთდროული მმართველი), ანდა მამა დადიანი ყოფილიყო, შვილი კი — გურიელი. შემდგომში დადიანმაც და გურიელმაც დაიბრუნა და ბოლომდე შეინარჩუნა გვარის მნიშვნელობა. სატომო სახელად დამკვიდრდა მეორე ფორმა *გურული*, რომელიც გვარადაც გვხვდება.

ქართულ გვარებში გამოიყოფა აგრეთვე მრავალი სხვა ტომისა და ხალხის სახელწოდება, როგორიცაა: არაბი, სპარსი, ოსი (ალანი), ებრაელი, ფრანგი, ჩერქეზი, ჩაჩანი, ქაშაგი, ლეკი, ქისტი, ხაზარი... გავიხსენოთ გვარები: არაბიძე, სპარსიაშვილი, თათარაშვილი, თათარიშვილი, თათრიშვილი, თათარაძე, თურქაძე, თურქია, ალანია, ოსიძე, ოსიშვილი, ფრანგიშვილი, ებრაელიძე, ებრალიძე, იზრაელაშვილი, ჩერქეზია, ჩერქეზიშვილი, ჩაჩანიძე, ჩაჩანაშვილი, ქაშაკაშვილი, ლეკიშვილი, ლეკიაშვილი, ქისტიშვილი, ქისტაური, ხაზარაძე და სხვანი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი გვარები ყოველთვის მაინცდამაინც მავანი ეროვნების ჩამომავალს არ ნიშნავს, ზოგი მათგანი საკუთარ სახელისაგან ან მეტსახელისაგანაც შეიძლებოდა მიგვეღო. მაგალითად, ლეკო, ლეკია გვხვდება ადამიანის სახელად, საიდანაც უნდა იყოს მიღებული ლეკიაშვილის გვარი. ჩერქეზების სატომო სახელისაგან ჩანს ნაწარმოები საკუთარი სახელი *ჩარგაზ*, საიდანაც შემდეგ მიღებულია გვარი ჩარგაზია. ფრანგიშვილი არ ნიშნავს ეროვნებით ფრანგს, ის უფრო სარწმუნოებრივ მომენტს გახაზავს: ჩვენში ძველად *ფრანგებს* ეძახდნენ კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარ ქრისტიანებს. გვარიც აქედანაა.

რუსი გამოიყოფა გვარებში: რუსიშვილი, რუსიძე, რუსაძე, რუსია, მაგრამ ძველად რუსი გავრცელებული იყო პიროვნულ სახელად და, როგორც ფიქრობენ, ზემოხსენებული გვარები სწორედ ამ სახე-

ლისაგან არის ნაწარმოები. რუსს, როგორც ხალხის სახელს (ეთნონიმს), შეიცავს გვარი მუ-რუს-ი-ძე (*მურუს* სვანურად ნიშნავს რუსს).

სახელებთან დაკავშირებით ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ძველ ქართულში ზოგიერთი პიროვნული სახელი (ბირთველ, ორბელ, გაგელ, ვარძელ, თორელ და სხვა) ნაწარმოებია ადგილის სახელწოდებისაგან. შემდგომში ზოგიერთი ასეთი სახელისაგან წარმოქმნილია გვარიც: თორელი, ორბელიანი, ბირთველიშვილი, ვარძელაშვილი, ოდიშელიძე, მაგრამ უფრო ხშირად სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვა პირდაპირ გვარად არის ქცეული ისე, რომ ის ადრე პიროვნულ სახელად გამოყენებული არ ყოფილა.

ასეთი გვარი მეტწილად უშუალოდ ემთხვევა სადაურობის აღმნიშვნელ სიტყვას, რომელიც ადგილის (ქალაქის, სოფლის) სახელწოდებისაგან ელ სუფიქსის მეშვეობით არის ნაწარმოები. ასეთებია, სახელდობრ: ახმეტელი, ბელაქნელი, ბეთანელი, ბოტკოველი, გავაშელი, გვერდწითელი, ზანდუკელი, თხინვალელი, ივანისელი, ინწკირველი, ისნელი, იშხნელი, კეცხოველი, კორინთელი, კორსაველი, ლეშკაშელი, ლიქოკელი, ლიჩელი, მათურელი, მეტეხელი, მთაწმინდელი, მურჯიკნელი, მუხრანელი, სავანელი, სრესელი, სხირელი, შავთელი, ჩადუნელი, ჩოხელი, ჩრდილელი, ჩხენკელი, წყაროველი, ჭიაურელი, ჭკუასელი, ხიდაშელი, ხირსელი, ხოდელი, ჯანხოთელი, ჯაყელი და სხვანი.

იმ გეოგრაფიული პუნქტების უმეტესობა, საიდანაც ზემოხსენებული გვარებია ნაწარმოები, დღესაც კარგადაა ცნობილი საქართველოში (ახმეტა, ბეთანია, ზანდუკი, თხინვალი, ივანისი, ისანი, კორსავი, ლეშკაში, ლიქოკი, ლიჩი, მეტეხი, მთაწმინდა, მურჯიკანი, მუხრანი, სავანე, ჩოხი, ჭიაური, ხირსა) ან საქართველოს ფარგლებს გარეთ (ბელაქანი, იშხანი, შავი მთა), ზოგი გეოგრაფიული სახელწოდება კი გასარკვევი და დასაზუსტებელია. ასე, მაგალითად, დღეს აღარ გვხვდება გეოგრაფიული სახელწოდება *კეცხოვი*, საიდანაც ნაწარმოებია გვარი *კეცხოველი*, მაგრამ როგორც აკად. ს. ჯიქიამ გაარკვია, იგი ამჟამად დაცულია *კეჩხობ-ის* ფორმით (წალვერთან).

ზოგი ძველი სოფელი, საიდანაც ესა თუ ის გვარი არის წარმოქმნილი, ახლა უკვე ნასოფლარია, მაგრამ მისი სახელი ჯერ კიდევ მთლად დავიწყებას არ მისცემია. ასეთი ნასოფლარებია, მაგა-

ლითად, *კორსავი* (თიანეთის რაიონში); საიდანაც ნაწარმოებია გვარი კორსავ-ელი-ი; *წერეთი* (ქართლში), საიდანაც ნაწარმოებია წერეთ-ელ-ი და სხვანი.

ზოგჯერ თვითონ გვარი განიცდის ცვლილებას და სხვა სიტყვებს ემსგავსება, რომლებთანაც მას სინამდვილეში კავშირი არა აქვს. ასე, მაგალითად, გვარი *გვერდწითელი თითქოს გვერდ* და *წითელ* სიტყვებისაგან შედგება და თავდაპირველად იმას დაერქვა, ვისაც წითელი გვერდი ჰქონდა (არსებობს ამაზე აგებული ლეგენდაც), მაგრამ სინამდვილეში ის სულ სხვანაირად აიხსნება.. ესაა სოფელ გვერძინეთის მცხოვრები ანუ *გვერძინთ-ელ-ი*, საიდანაც მივიღეთ შემდეგ სხვაგვარად გააზრების გამო *გვერდწითელი* (ეტიმოლოგია ეკუთვნის პროფ. ს. ცაიშვილს; გაგვიზიარა პირად საუბარში). გვერდწითლები ამჟამად სახლობენ სოფელ ხცისში (ხაშურის რ.), აქედან 30-ოდე კილომეტრის დაშორებით კი თრიალეთის კალთებზე მდებარეობს სოფელი გვერძინეთი (ქარელის რ.), საიდანაც ჩამოსახლებულა ალბათ გვერწითლების წინაპარი სოფელ ხცისში.

გვარი *რომელაშვილი თითქოს რომელ* ნაცვალსახელისაგან არის მიღებული და ნიშნავს „რომელი შვილიაო", მაგრამ ეს მოჩვენებითი მნიშვნელობაა. სინამდვილეში ეს გვარიც სადაურობას აღნიშნავს და მიღებული უნდა იყოს *წრომ-ელ-ა-შვილ-ისაგან?* (წრომი სოფელია ხაშურის რაიონში) ან *ჰრომელაშვილ-ისაგან?* (ჰრომი ანუ რომი იტალიის დედაქალაქია). ფონეტიკურად ეს მეორე ფორმა უფრო მარტივად მოგვცემდა *რომელაშვილ-ს*, მაგრამ შინაარსის მიხედვით ჩვენ პირველი შესაძლებლობა უფრო დასაშვებად გვეჩვენება. მოხეური გვარი *ხულელიძე* წარმოშობით უნდა იყოს *ღულელ-ი-ძე*. *ურჯუმელაშვილი* მიღებულია *უჯარმ-ელ-ა-შვილ-ისაგან*.

ელ სუფიქსის დართვისას ადგილის სახელწოდებას შეიძლება ცვლილება მოუვიდეს: მოეკვეცოს ბოლო ხმოვანი ან მთელი მარცვალიც, თუკი ბოლო მარცვლად გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი *ეთ* ან *ის* სუფიქსია: ასე, მაგალითად, სოფელია ამაშუკ-ეთ-ი, აქედან კი გვარია ამაშუკ-ელ-ი (და არა ამაშუკეთელი), სოფელია ქსოვრ-ის-ი, აქედან გვარია ქსოვრ-ელ-ი (და არა ქსოვრისელი). ასევეა *ოძის* (||ვეძის)-იდან — ოძ-ელ-ი, *ყანჩავეთ*-იდან —ყანჩავ-

ელ-ი და სხვა. *გომარეთ*-იდან გვაქვს როგორც გომარელი, ასევე გომართული, *თუხარის*-იდან — თუხარელი და თუხარსელი.

ძველად სადაურობის აღმნიშვნელ სახელებში *ელ* სუფიქსთან ერთად გვქონდა *მ* პრეფიქსიც, რომელიც დღემდე შემონახულია რამდენიმე გვარში: მ-ატაბ-ელ-ი (*ატაბე*-დან), მ-აჩაბ-ელ-ი (*აჩაბეთ*-იდან), მ-ეტრევ-ელ-ი (*ეტრევ*-იდან), მ-არგვ-ელ-ა-ძე, მ-არგველ-ა-შვილი (*არგველთ*-იდან). ასევე: მ-ილორ-ავ-ა (*ილორ*-იდან), მე-იფარ-იან-ი (*იფარ*-იდან).

ამჟამად ხშირად სადაურობის აღმნიშვნელ *ელ* სუფიქსს მოსდევს გვარების ჩვეულებრივი დაბოლოება *ძე* ან *შვილი*. ამ გზით ზოგჯერ მიღებულია წყვილი გვარები: ახმეტელი და ახმეტელაშვილი, ბეთანელი და ბეთანიშვილი (←ბეთანელიშვილი), ბოგველი და ბოგველაშვილი, მაჩაბელი და მაჩაბლიშვილი, ოძელი და ოძელაშვილი, ცაგარელი და ცაგარეიშვილი (← ცაგარელიშვილი) და სხვა.

სადაურობის მაწარმოებელი *ელ* სუფიქსი გვარის დაბოლოებათა წინ არის მიჩქმალული ისეთ გვარებში, როგორიცაა: არბოლიშვილი←არბოელიშვილი (*არბო* სოფელია ქართლში), ასპინძელაშვილი (*ასპინძა*-დან), *ბაჯელიძე* (*ბაჯ*-იდან ან *ბაჯით*-იდან), ბანძელაძე (ბანძა), ბაშელეიშვილი (ბაში), ბრელიძე (ბრეთი), გომელაური (გომი), გორდელაძე (გორდი), გორელიშვილი (გორი), გრემელაშვილი (გრემი), დიღმელაშვილი (დიღომი), ერთელიშვილი (ერტისი), ზოდელავა (ზოდი), თაკვარელია (თაკვერი), კოკელაძე (კოკი), ლესელიძე (ლესა), მაღლაკელიძე (მაღლაკი), მუსხელიშვილი, მუსხელაძე (მუსხი), ნეკრესელაშვილი (ნეკრესი), ნოსელიძე (ნოსა), ოკრიბელაშვილი (ოკრიბა), ორაგველიძე (ორაგვე), ტოროშელიძე (ტოლოში), ჩიხელიძე, ჩიხლაძე (ჩიხა), ცხომელიძე (ცხომი ანუ სოხუმი), წეველიძე (წევა), ჭარელიძე, ჭარელიშვილი (ჭარი), ხერკელიძე (ხერკი), ხვედელიძე, ხვედელიანი (ხვედა), ხონელიძე (ხონი), ხრამელაშვილი (ხრამი), ჯაველიძე (ჯავა) და სხვანი.

სადაურობის აღმნიშვნელი რამდენიმე გვარი ნაწარმოებია *ურ* (დისიმილაციით *ულ*) სუფიქსით. ასეთი გვარები უფრო მთაშია გავრცელებული (ზოგი მათგანი გვხვდება სახელადაც და გვარადაც: ალუდაური, ზვიადაური): ბუნტური, გიგაური, გოგოჭური,

დუდაური, ქისტაური, შადური, ჭოხური... ყამარაული, ყორიაული, ჭინჭარაული...

კოლხურში სადაურობას აწარმოებს სუფიქსი არ, რომელიც დაცულია გვარებში: ხოტივარი (ე. ი. ხოტეველი; ხოტევი სოფელია რაჭაში), ოდიშარია („ოდიშელი"), ცხომარია, ცომაია („ცხომელი" ანუ სოხუმელი), ჩიხორია („ჩიხელი"), ხოშტარია („ხოსტელი"), ხუნწარია („ხუნწელი"), კოკაია (←კოკარია — „კოკელი"), ჯიჭონაია (←დიდჭყონარია — „დიდჭყონელი") და სხვანი.

სხვადასხვა საგნის სახელწოდებისაგან ნაწარმოები გვარები

გვარი ძალიან ხშირად წარმოქმნილია სხვადასხვა ცხოველის, ფრინველის, მცენარის, საოჯახო ნივთის ან სხვა საგნის სახელწოდებისაგან. ბევრი მათგანი წინათ ადამიანის საკუთარ სახელად ან მეტსახელად უნდა ყოფილიყო გამოყენებული და ამ გზით შევიდა გვარის შემადგენლობაში, ზოგს კი უთუოდ სხვა მიზეზი, რაიმე კონკრეტული შემთხვევა დაედო საფუძვლად, რომ გვარად ქცეულიყო.

ცხოველთა სახელებისაგან წარმოქმნილი გვარებია: ვეფხვაძე, კვერნაძე, მელაძე, მელიავა, მელაშვილი, მელია, მხეიძე (←მხეციძე), ფოცხვერაშვილი, ფოცხიშვილი (←ფოცხვრიშვილი), ფოცხვერია, ტურიაშვილი, ჯიქიძე, ჯიქია... არჩვაძე, ერგემლიძე (←ერკემლიძე), ირემაძე, ირემაშვილი, კურდღელაიძე, კურდღელაშვილი, ქურციკიძე, ქურციკიშვილი, შველიძე, ჯეირანაშვილი, ჯეირანიშვილი... ბუღაძე, თიკანაძე, კრავეიშვილი, ლეკვეიშვილი, ქაცარავა (ქაცარი თიკანია მეგრულად), ცხვარიაშვილი, ხარაძე, ხარაშვილი, ხარაიშვილი, ხოჯავა (ხოჯი კოლხურად „ხარს" ნიშნავს)...

ფრინველთა სახელები გვაქვს შემდეგ გვარებში: გვრიტიშვილი, გნოლიძე, კაკაბაძე, კარანაძე (←ყარანაძე), ყორანაშვილი, ქორიძე, ქურიძე, ქირია (ქირი — მეგრულად „ქორი"), ჯაჯანაშვილი, ჯაჯანიძე (ჯაჯა აგრეთვე ქორს ნიშნავს სამეგრელოსა და გურიაში), ძერია, მიმინოშვილი, სონღულაშვილი (სონღული აგრეთვე მიმინოს ჰქვია), შაინიძე, შანიძე (შაინ||შაქინ — „თეთრი ქორი") შევარდნაძე, კაჭკაჭიშვილი, მალაღურიძე, მწყერაძე, ნიბლაძე, სირა-

ძე, სირია (*სირი ძველი ქართულით ჩიტს ნიშნავს*), ტორონჯაძე (*ტორონჯი მეგრულად მტრედია*), ჩიტაძე, ჩიტაია, ჩიტაიშვილი, ჩიტიაშვილი, ჩიტიშვილი, ჩხიკვაძე, ჩხიკვიშვილი, ჩხარტიშვილი (*ჩხარტი იგივე ჩხართვია გურულ დიალექტში*)... კვატაშიძე, მამალაძე, ქათამაძე...

თევზებისა და მწერთა სახელებია წარმოდგენილი გვარებში: თევზაძე, კალმახიძე, კალმახელიძე, კოღუაშვილი, კოღონია, მურღულია (*მურღული ერთგვარ მწერს ჰქვია მეგრულად: „ბუზარა“*), მუმლაძე, ჭინჭლაძე, ფუტკარაძე, ჯინჭველაშვილი...

სასმელ-საჭმელის სახელწოდებათა შემცველი გვარებია: მაჭარაძე, მაჭარაშვილი, ღვინაძე, ღვინიაშვილი, წაქაძე, თაფლაძე, თოფურიძე, თოფურია (*თოფური კოლხურად თაფლს ჰქვია*), ბალარჯიშვილი (*ბალარჯი* ცუდად გამომცხვარი, უსაფუარო პურია), სებისკვერაძე, ხაჭაპურიძე, ხმიადაშვილი.

მცენარეულობის სახელები გვხვდება შემდეგ გვარებში: ბალამწარაშვილი, ბზიშვილი, ბიაშვილი, თელია, თხილავა, კიპაროიძე, (←კვიპაროსიძე), ლაფანაშვილი, მუხაძე, ჭყონია (*ჭყონი კოლხურად მუხას ნიშნავს*), ეკალაძე, რცხილაძე, ტყემალაძე მსხალაძე, სხულუხია (*სხული მსხლის კოლხური შესატყვისია*), ჩალაძე, ჩირგვაძე, ჭილაძე, ჭილაია... ბალახაშვილი, ბარდაძე, ბაიაძე, კეჟერაძე, კვახაძე, მახაშვილი (*მახა პურეულის ჯიშია*), ქობალავა, ქობალია (*ქობალი კოლხურად ხორბალს ნიშნავს*), ხორბალაძე, ნაფეტვარიძე, ნერგაძე, ნიორაძე, პარკაძე, ფურცელაძე, ფხალაძე, ჭარხალაშვილი, ჭინჭარაული, ჯინჭარაძე, ხახვიაშვილი... ვარდიაშვილი, ვარდოშვილი, ზამბახიძე, მაჩიტაძე, მაჩიტიძე, ნარგიზაშვილი...

სამეურნეო და საომარი იარაღის სახელებიდან წარმოქმნილი გვარებია: ერქვანია, კავაძე, ზარიძე, კურტანიძე, ლაფერაძე, ლაფერაშვილი, ლურსმანაშვილი, მახათაძე, მახვილაძე, მშვილდაძე, ბზეკალავა, ნამგალაძე, ნემსაძე, ტივაძე, ხმალაძე, ხუნდაძე, ჯაჭვაძე...

გვარებში გვხვდება აგრეთვე ტანსაცმლისა და ჭურჭლის სახელწოდებანი: პაიჭაძე, ცალქალამანიძე, გუდაძე, გუდიაშვილი, გუდავა, კუტალაძე, ტომბრაძე, ჩაფიძე, ჩარექიშვილი, ჭურაძე...

გვარებად გამოყენებულია სსეულის ნაწილთა სახელებიც: თვალაძე, თვალიაშვილი, თოლორაია (მეგრულად იგივეა, რაც „თვალიანიძე"), კბილაძე, კბილაშვილი, კუჭავა, კუჭაიძე, ტყავაძე, შუბლაძე, ჭიპაშვილი...

ზოგი გვარი ნაწარმოებია დროის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან: აღდგომელაშვილი, ნაროზაული, ნავროზაშვილი, ზატიკაშვილი, ტოზიკაშვილი (ტოზიკობა, ნავროზობა და ზატიკობა რელიგიური დღესასწაულებია), გიორგობიანი, ზამთარაძე, ზამთარაშვილი, იანვარაშვილი, კალანდაძე, კალანდია, მაისაია, მაისაშვილი, მაისურაძე, მაისურაშვილი, მარტიაშვილი, მარტაშვილი, რთველაძე, რთველიაშვილი, შაფათავა, შაფთოშვილი... გვარებში გვხვდება აგრეთვე მნათობთა სახელები (მთვარაძე, თვარაძე, ცისკარიძე, ცისკარიშვილი...). საყურადღებოა ისეთი გვარებიც, როგორიცაა ცეცხლაძე, წვიმაძე, წიგნაძე და სხვანი.

როგორც ვხედავთ, გვარების წარმოქმნის გზები და საშუალებანი მეტად მრავალფეროვანია. ვიმეორებთ, ბევრი იმ სიტყვათაგანი, რომელიც გვარის შემადგენლობაში გვხვდება, ჯერ საკუთარ სახელად (ან მეტსახელად) ყოფილა გამოყენებული და შემდეგ ამ სახელისაგან წარმოიქმნა გვარი (მაგალითად, გუდა, რომლისაგანაც რამდენიმე გვარია ნაწარმოები, ადამიანის სახელად დასტურდება წყისის წარწერის მიხედვით ჯერ კიდევ VII საუკუნეში). ყველა გვარის წარმოშობა ამ გზით ვერ აიხსნება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგი არსებითი სახელისაგან რამდენიმე გვარი მოგვეპოვება, ზოგი მისივე მსგავსი სახელისაგან კი — ერთიც არა. მაგალითად, ხარ-ისაგან გვაქვს ხარაძე, ხარაიძე, ხარაშვილი, ხარაიშვილი, ხოჯავა, მაგრამ არც ერთ ქართულ გვარს არ აწარმოებს ფური (ძროხა). ასევე წარმოქმნილია გვარები ცხვარისაგან, მაგრამ არაა თხისა და ღორისაგან, წარმოქმნილია ორბისაგან, არაა არწივისაგან და ა. შ. ამგვარ ფაქტებზე დაკვირვება საინტერესოა ხალხის ისტორიის, რელიგიური შეხედულებების, სამეურნეო ყოფის, სიტყვის ისტორიის თუ სხვა საკითხების შესასწავლად, მაგრამ ასეთი საკითხების განხილვა ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

ქართული სახელები

ვაჟის სახელები

ა

აბელ (ძვ. ებრ*.). „ნელი ქარის ქროლა“ (ეტიმოლოგია საეჭვოა, მაგრამ კიდევ უფრო საეჭვოა სხვაგვარი მნიშვნელობანი: „წუხილი“, „ფუსფუსი“, „მოჩვენება“, „არარაობა“). ეს სახელი ერქვა ბიბლიური ადამის ვაჟს, რომელიც ლეგენდის მიხედვით უდანაშაულოდ მოკლა მისმავე ძმამ კაენმა. ამ სახელისაგან ქართულში ნაწარმოებია გვარი აბელიშვილი.

აბესალომ (ძვ. ებრ.) „მამა მშვიდობისა“, „მამა ქვეყნისა“, ან (სპ.) „ყვავილნარი“, „ვენახი“. ქართულ ფოლკლორში ეს სახელი ჰქვია მეფისწულს, რომელსაც შეუყვარდა მწყემსი ქალი ეთერი. ეს ლეგენდა საფუძვლად უძევს ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერს“.

აბიბო (არაბ.) „საყვარელი“, ან (ძვ. ებრ.) „თავთავი“ (უფრო ზუსტად: „თავთავის სიმწიფის ჟამი“, „პურის შემოსვლის დრო“).

აბო გაქრისტიანებული არაბის აბო ტფილელის სახელია. ქრისტიანობისათვის წამებული აბო ქართულმა ეკლესიამ წმინდანად აღიარა და შეიტანა კალენდარულ სახელებში, მაგრამ დაუკავშირა იგი სულ სხვა წარმოშობის სახელს *გაბოს* (გაბრიელს). სინამდვილეში აბო, იგივე ჰაბო, მიღებული ჩანს არაბული სახელისაგან: *ჰაბიბ* („საყვარელი“).

აბრამ ძვ. ებრაული სახელია, ნიშნავს „მამა სიმაღლისა“ ან

---

* შემოკლებანი: ქართ. — ქართული, არაბ. — არაბული, ბერძ. — ბერძნული, გერმ. — გერმანული, ძვ. ებრ. — ძველი ებრაული, ეგვიპტ. — ეგვიპტური, თურქ. — თურქული, ირან. — ირანული, ლათ. — ლათინური, რუს. — რუსული, სემიტ. — სემიტური, სლავ. — სლავური, სომხ. — სომხური, სპ. — სპარსული.

„ამაღლებული“. მაგრამ ქართულში მას ემთხვევა აგრეთვე მეორე ებრაული სახელი *აბრაჰამ* (→აბრაამ→ აბრამ), რომლის მნიშვნელობაა „მამა მრავალთა“. ამ სახელისაგან მიღებული გვარებია: აბრამიშვილი, აბრამიძე, აბრამია.

აბაბო (ბერძ.) „საყვარელი“.

ადამ (ძვ. ებრ.) „თიხა“ (წითელი მიწა), „ადამიანი“. ბიბლიური ლეგენდის მიხედვით, ღმერთმა პირველი კაცი შექმნა თიხისაგან და სწორედ ამიტომ მას ადამი ეწოდა. აქედანაა ქართული სიტყვა ადამ-იან-ი, გვარები: *ადამიშვილი, ადამაშვილი, ადამიძე, ადამაძე, ადამია.*

ადილარ კაცის სახელად გვხვდება სვანეთსა და სამეგრელოში. შესაძლოა მომდინარეობდეს არაბული ადილ სიტყვისაგან, რაც „სამართლიანს“ ნიშნავს.

ადრიანე (ლათ.) „ადრიელი“ (ქ. ადრიის მცხოვრები, ან ადრიიდან მოსული). აქედანაა მიღებული *ანდრიანე, ანდრიან*. მასვე უკავშირდება გეოგრაფიული სახელწოდება *ადრიატიკის* ზღვა.

ავთანდილ მნიშვნელობის მიხედვით უკავშირდება არაბულირანულ ენებს, ნიშნავს „სამშობლოს გულს“, „სამშობლოს რწმენას“, ან „სარწმუნოების სამშობლოს (კერას)“. საკუთარ სახელად ქცეულია და ძალიან გავრცელებულია ქართულში. პირველად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. მისი მოფერებითი ფორმაა *ავთო*.

აკაკსენტი (ბერძ.) „ზრდადი“.

ათანასე (ბერძ.) „უკვდავი“. იშვიათად გვხვდება აქედან ნაწარმოები ქალის სახელიც — *ათანასია*.

აკაკი (ბერძ.) „არ-ავი“ (ე. ი. „კეთილი“), „უბოროტო“. ერთერთი ფართოდ გავრცელებული სახელია ამჟამად საქართველოში, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი აკაკი წერეთლის პოპულარობამ. მისი შემოკლებული, საალერსო ფორმებია: *აკა, აკი, კაკო, კაკუნა*. აკაკი (აკაკის ხე) მცენარესაც ჰქვია. იმავე ძირისაგანაა ნაწარმოები აგრეთვე მეორე მცენარის სახელი აკაცია.

ალექო (ბერძ.) „მცველი“.

ალექსანდრე (ბერძ.) „მამაცი მცველი“, „მცველი ვაჟკაცი“ (ზოგჯერ გვხვდება აქედანვე ნაწარმოები ქალის სახელიც — *ალექსანდრა*). ამ სახელისაგან მიღებულია გვარი *ალექსანდრია*. საალერსო ფორმებია: *ალე, ალიკო, ალიოშა, სანდრო, საშა*.

ალექსი (ბერძ.) „მცველი“. აქედანაა გვარები: *ალექსიძე, ალექსიშვილი*. საალერსო ფორმებია: *ალე, ლექსო*.

ალიო წარმოადგენს ალექსანდრეს ან ალექსის შემოკლებულ, საალერსო ფორმას. ქართულში ქცეულია დამოუკიდებელ სახელად.

ალმასხან (თურქ.) „ალმასი“. ძვირფასი ქვის, ალმასის, სახელწოდებას დართული აქვს თურქულ სახელებში გავრცელებული სუფიქსი *ხან* (ამავე სუფიქსით ნაწარმოებია სახელები: დურმიშხან, მურზაყან||მირზახან და სხვ).

ალუდა ფშავ-ხევსურული სახელია, რომელსაც ატარებს ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი გმირი — ალუდა ქეთელაური. ფიქრობენ, რომ იგი შემოსულია სკვითურიდან და მნიშვნელობით „ლუდს“ უკავშირდება.

ალფეს (ბერძ.) „ცვლილება“.

ამბაკო (ძვ. ებრ.) ბიბლიური წინასწარმეტყველის სახელია; ნიშნავს „მოხვევას“, „ჩახუტებას“, აქედან კი აძლევდნენ აგრეთვე გადატანით მნიშვნელობას: „ღვთის მოყვარე“ ან „სიყვარული ღვთისა“.

ამბერკი (ბერძ.) „დამყენებელი“.

ამბროსი (ბერძ.) „უკვდავთა (ღმერთთა) წილხვედრი“, „ღვთაებრივი“.

ამირან ქართული ხალხური ეპოსის გმირის სახელია, რომელსაც მნიშვნელობის დამაჯერებელი ახსნა არ მოეპოვება. მისგან ნაწარმოებია გვარები: *ამირანაშვილი, ამირანიძე*.

ამირინდო (სპ.) „ინდოეთის ამირი“.

ანანია (ძვ. ბერძ.) „მადლი უფლისა“, „შემწეობა უფლისა“. აქედანაა გვარი *ანანიაშვილი*.

ანდრია, ანდრო (ბერძ.) „მამაცი“, „ვაჟკაცი“, „მხნე“. წარმომდგარია იმავე სიტყვისაგან, რომელიც მეორე ნაწილად შედის *ალექსანდრე*-ში. მისგან ნაწარმოებია გვარები: *ანდრიაძე, ანდრიაშვილი*. ამჟამად ქართულში უფრო გავრცელებული ფორმაა ანდრო.

ანდრიანე იხ. ადრიანე.

ანდრონიკე (ბერძ.) შედგება ორი ნაწილისაგან: ანდრო— „მამაცი“ და *ნიკე* — „გამარჯვება“. ამრიგად, მთლიანად ნიშნავს „მამაცის გამარჯვებას“ ან „მამაცებზე გამარჯვებულს“, „ვაჟკაცთა მძლეელს“. ეს სახელი საქართველოში დღეს იშვიათია, მაგრამ ძვე-

ლად მის გავრცელებას მოწმობს ცნობილი გვარი ანდრონიკაშვილი.

ანდუყაფარ (სპ.) „შემწყნარებლის (ე. ი. უფლის) მონა".

ანზორ (ქართ.) „აზნაური", „თავისუფალი". ქართული სიტყვა პირველად საკუთარ სახელად ქცეულა და გავრცელებულა ჩრდ. კავკასიის ხალხებში. მთიელ პერსონაჟთა სახელად იგი გამოიყენა ჯერ ალ. ყაზბეგმა („ელისო"), შემდეგ — ს. შანშიაშვილმა („ანზორ"). ამ ნაწარმოებთა მეშვეობით ეს სახელი ამჟამად საქართველოშიც პოპულარულია.

ანთიმოზ (ბერძ.) „ყვავილოვანი", „აყვავებული".

ანტონ (ბერძ.) ზუსტად არ ითარგმნება, თარგმნიან როგორც „მეომარს", „ომში ჩაბმულს", „წინამძღოლს", „მეთაურს".

აპოლონ (ბერძ.) ბერძნულ მითოლოგიაში მზის (აგრეთვე სიბრძნისა და ხელოვნების) ღმერთის სახელია, მნიშვნელობა უცნობია.

არდალიონ (ლათ.) „მოუსვენარი", „მოფუსფუსე" (ეტიმოლოგია საეჭვოა).

არისტო (ბერძ.) „ყველაზე უკეთესი", ან: „მთიელი".

არკადი (ბერძ.) „დათვი", სხვაგვარი ეტიმოლოგიით — „არკადიელი" (არკადია ერქვა ძველი საბერძნეთის ცენტრალურ ოლქს, რომელიც განთქმული იყო მეცხოველეობით. ამის გამო სახელი არკადი ზოგჯერ თარგმნილია როგორც „მწყემსი").

არმაზ სახელია ძველი ქართული ღვთაებისა, რომლის კერპი, აღმართული ფარნავაზ მეფის მიერ, იდგა მცხეთის ახლოს. წარმოშობით ზოგი მას უკავშირებს ხეთური მთვარის ღვთაების სახელს — *არმას*, ზოგი ძველი ირანული უზენაესი ღვთაების სახელს — *აჰურამაზდას*.

არსენ (ბერძ.) „მამაცი", „ვაჟკაცი". მისგან ნაწარმოებია გვარები: *არსენიძე, არსენიშვილი*.

არტემ (ბერძ.) „ჯანმრთელი", „უვნებელი" (უვნებლად დარჩენილი). ეტიმოლოგია საეჭვოა. აქედანაა გვარი *არტემიძე*.

არქიპო, არქიფო (ბერძ.) „უფროსი მხედარი".

არჩილ ერთ-ერთი უძველესი ქართული სახელია, რომელიც ამ ფორმით სხვაგან არსად გვხვდება. ფიქრობენ, რომ წარმოშობით შესაძლოა ირანულს უკავშირდებოდეს და „არიელს" („არიული მოდგმისას") ნიშნავდესო, მაგრამ ამგვარი ვარაუდი საეჭვოდ ითვ-

ლება. არჩილის სახელით ცნობილია რამდენიმე ქართველი მეფე უძველესი დროიდან XVIII ს-მდე, მათ შორის — მეფე-პოეტი არჩილი (1647—1713).

არჯევან (ზენდური) „ღირსი", „ღირსეული" (ეტიმოლოგია საეჭვოა). აქედანაა გვარი *არჯევანიძე*.

ასათ (არაბ.) „ლომი". ამ სახელისაგან ნაწარმოები გვარებია *ასათაშვილი, ასათიანი*.

ასალო

ასლან (თურქ.) „ლომი", მოგვიანებით მისი მნიშვნელობაა „გმირი", „გოლიათი", „დიდი". მისგან ნაწარმოები გვარებია: *ასლანიშვილი, ასლანიკაშვილი, ასლანიძე*.

აფრასიონ (სპ.) „შიშისმგვრელი".

აფშინა (სპ.) „სახლის პატრონი", „მმართველი". საკუთარ სახელად გვხვდება მთის კუთხეებში. განსაკუთრებით ცნობილი გახდა ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინას" წყალობით.

ბ

ბაადურ (სპ.) „გოლიათი", „მამაცი", „რაინდი". ეს სიტყვა წარმოშობით მონღოლურია. მისგან ნაწარმოები სახელის თურქული ფორმაა ბაჰადურ, რომელსაც ქართულში მოუცია ერთი მხრივ *ბაადურ* (აქედანაა გვარი *ბადურაშვილი*), მეორე მხრივ კი — *ბაღათურ* (აქედანაა გვარი *ბაღათურია*). პირველი ფორმისაგან ჩანს მიღებული აგრეთვე სახელი *ბათური*. მეორისაგან—*ბაღათერა* (აქედან—გვარი *ბაღათრიშვილი*). ამავე სიტყვისაგან მომდინარეობს ოსური *ბაყათარ* (შეადარეთ აგრეთვე რუსული богатырь „გმირი", „გოლიათი").

ბაკა -მნიშვნელობა და წარმავლობა უცნობია. მისგან ნაწარმოებია გვარები *ბაკაშვილი* და *ბაკაშვილი*.

ბაბილო (სირიული) „აჯანყებული". აქედანაა გვარები *ბაბილოძე, ბაბილუა*.

ბაბურა (ქართ.).

ბაგრატ ქართველ მეფეთა საგვარეულო სახელია. ეს სახელი ერქვა რამდენიმე მეფეს, ბაგრატიონთა დინასტიის მეთაური ბაგრატ დიდისაგან მოყოლებული. აქედან მოდის გვარი *ბაგრატიონი*. ბაგ-

რატი სომეხ მეფეთა საგვარეულო სახელიც იყო. წარმოშობით ამ სახელს უკავშირებენ ძვ. სპარსულს: *ბაგადატა* — „ღვთის ბოძებული“, „ღვთის წყალობა“ (ასეთი შინაარსის საკუთარი სახელები ხშირად გვხვდება სხვადასხვა ენაში, მაგალითად: *ბერძნული თეოდორე, დოროთე, სლავური ბოგდან, თურქული ალაჰვერდი, სომხური ასტვაწატურ, ქართული წყალობა*). არსებობს სხვაგვარი მოსაზრებაც, რომლის თანახმად *ბაგრატი* ქართული წარმოშობის სახელია, მიღებული *ბაქარ*-ისაგან *ტ* სუფიქსის დართვით (შეადარეთ სუმბა-ტ-ი, ლიპარი-ტ-ი, გვარები: *ჯიბუ-ტ-ი, ჟღენ-ტ-ი* და სხვა).

ბადრი (არაბ.) „*სავსე მთვარე*“. ეს სახელი ჰქვია ზღაპრული ამირანის ძმობილს. მისგანაა მიღებული გვარები: *ბადრიძე, ბადრიაშვილი*.

ბათუ წარმომავლობა დაუდგენელია. შესაძლოა უკავშირდებოდეს სპარსულ *ბათურ*-ს და მონღოლურ *ბათო*-ს, ზოგის აზრით კი ურარტული სახელია. როგორც არაკალენდარული სახელი, მიჩნეული იქნა *ბართლომე*-ს შემოკლებულ ფორმად.

ბათური ნახეთ ზემოთ *ბაადურ*-ის განმარტება.

ბაკური (ირან.) „ღვთის შვილი“, „ძე ღმრთისა“. ეს სახელი ქართულში გავრცელებულია უძველესი დროიდან, ერქვა არაერთ მეფესა და დიდებულს. წინათ გვხვდებოდა აგრეთვე მისგან ნაწარმოები პიროვნული სახელი *ბაკურიანი* (მაგალითად, ერთი ბაკურიანი ქართლის ერისთავი იყო VII—VIII საუკუნეებში). ამჟამად ბაკურიანი დაცულია როგორც გეოგრაფიული სახელწოდება. *ბაკურ*-ისაგან ნაწარმოებია აგრეთვე სახელი *ჯამბაკურ*, გვარი *ბაკურაძე*, გეოგრაფიული სახელები: *ბაკურციხე, ბაკურხევი* და სხვ.

ბარათა (არაბ.) „თავისუფალი“, ან (სპ.) „ნასატი“. არაბულად *ბარა*-ს უწოდებდნენ ახალმთვარობის პერიოდს (მთვარის თვის დამდეგს), როცა მთვარე ჯერ არ ჩანს. ეს დრო მიჩნეული იყო სასიამოვნო ამბის მომასწავებლად და მაშინ დაბადებული ბავშვიც ბედნიერი მომავლის მქონედ მიაჩნდათ. ამიტომ არქმევდნენ ამ დროის აღმნიშვნელ სახელებს: *ბარათ, ბარათბეკ, ბარათალი* (ვაჟებს), *ბარათაი, ბარათგულ, ბარათმო* (ქალებს). ამათგან ქართულში შემოსულია მხოლოდ ერთი — *ბარათა*, საიდანაც ნაწარმოებია გვარი *ბარათაშვილი*. შესაძლოა აქედანვე მომდინარეობდეს *ბართაიას* და *ბართიას* გვარებიც.

ბარამ მიღებულია მრავალსაფეხურიანი გარდაქმნის გზით ავესტური *ვერეთრაგნა*-საგან. ეს არის სახელი გამარჯვების ღვთაებისა, რომელმაც დაამარცხა ბოროტი დემონი ვერეთრა. *ვერეთრა*-გნა ნიშნავს „ვერეთრას გამგდებს“. მასთან ეტიმოლოგიურ კავშირშია სახელები: *ვარამ, გვარამ* და *გურამ; გვარები: ბარამიძე, ბარამია, გვარამაძე, გვარამია, გურამიშვილი.*

ბართლომე (ძვ. ებრ.) „თოლომეს შვილი“, ან „მოხნული მიწის შვილი“ (*თოლომე* სახელია, მნიშვნელობით უდრის „ხნულს“, „კვალს“). მის შემოკლებულ ფორმად ითვლება *ბათუ*, თუმცა იგი წარმოშობით დამოუკიდებელი სახელია.

ბარძიმ (ირან.) „მაღალი“, „დიდი“ აქედანაა გვარი *ბარძიმაშვილი.*

ბასილ (ბერძ.) „მეფური“, „სამეფო“. ამჟამად უფრო გავრცელებული ფორმა ამ სახელისა არის *ვასილ*. *ბ* და *ვ* ბგერათა მონაცვლეობას თვით ბერძნულში ჰქონდა ადგილი. ზოგმა ენამ (მათ შორის ქართულმა) ისესხა უფრო ადრინდელი ფორმა, სადაც *ბ* არის დაცული, ზოგ ენაში კი (მაგალითად, რუსულში) გადაიღეს ვ-ინიანი ფორმა. ამიტომ გვაქვს ქართულში: *ბასილ* (ისევე როგორც *ბესარიონ ბიქტორ, იობ, საბა* და ა. შ.), რუსულში კი *ვასილი* (ისევე როგორც *ვისარიონ, ვიქტორ, იოვ, სავა* და სხვანი. შეადარეთ აგრეთვე ღვინისა და ნაყოფიერების ღმერთის სახელი: ქართულად *ბახუსი*, რუსულად *ვაკხი* და სხვ.). შემდგომში ზოგიერთი ვ-ინიანი ფორმა ქართულშიც შემოვიდა და ამჟამად გვაქვს პარალელური ფორმები: *ბასილ* და *ვასილ, ბიქტორ* და *ვიქტორ*. უფრო ძველი *ბასილ*-ისაგან მიღებულია გვარები: *ბასილაძე, ბასილაშვილი, ბასილაია*, *ვასილ*-ისაგან კი ქართული გვარი არ იწარმოება (შეადარეთ რუსული გვარები *ვასილიევ, ვასილევსკი*). იგივე სახელი *ბასილ* ესპანეთში გავრცელებულია *ბაზილიო*-ს ფორმით. ამავე ძირს უკავშირდება სიტყვა *ბაზილიკა*, რაც „სამეფო აკლდამას“ ნიშნავს. *ბასილ*-ის შეკვეცილი ფორმაა ქართულში *ბასა.*

ბაქარ (ქართ.) ზოგიერთის აზრით, შესაძლებელია ქართული ფორმა იყოს *ბაკურ* სახელისა, რომელიც წარმოშობით ირანულია და „ღვთის შვილს“ ნიშნავს. მისგან არის ნაწარმოები გვარები *ბაქრაძე, ბარქაია.*

ბაღათერა ნახეთ ზემოთ *ბაადურ*-ის განმარტება.

ბაჩანა ქართული სახელია, „ტანმორჩილს" ნიშნავს (წარმოშობით უკავშირდება სპარსულ სიტყვას: *ბაჩა*—„ბავშვი"). გვხვდება მისი სხვადასხვაგვარი სახეცვლილებაც: *ბაჩა, ბაჩია, ბაჩუა, ბაჩო, ბაჩიტა, ბაჩილა, ბაჩალა, ბაჩულა, ბაჩირა, ბაჩუნია. ბაჩახა* ფსევდონიმად ჰქონდა ვაჟა-ფშაველას ძმას — პოეტ ნიკო რაზიკაშვილს.

ბაჰშა (ქართ.) დაახლოებით უდრის „პატარას", „ბიჭუნას" (შეადარეთ კურდღლის შვილის სახელი *ბაჭია*). კნინობითი ფორმებია: *ბაჭუკი, ბაჭუჭი.*

ბახვა (ქართ.) მეგრულად ნიშნავს „ჩაფსკვნილს" „ბუთხუზას". ეს სახელი ჰქვია გ. წერეთლის ცნობილი რომანის „პირველი ნაბიჯის" მთავარ გმირს ბახვა ფულავას. ბახვას მოფერებითი ფორმაა *ბახუტა*, საიდანაც მიღებულია გვარი *ბახუტაშვილი.*

ბებურ (ქართ.) აქედანაა გვარი *ბებურიშვილი*, გეოგრაფიული სახელწოდება *ბებურიანი* (ლაგოდეხის რ.).

ბეგი, ბეგა — თურქული სიტყვა ბეგი (გვიანდელი გამოთქმით *ბეი*), რაც „ბატონს" ნიშნავს, ქართულში საკუთარ სახელად არის ქცეული და ორი ფორმით გვხვდება: *ბეგი, ბეგა* (აქედანაა გვარები: *ბეგიშვილი, ბეგაშვილი, ბეგიაშვილი, ბეგაძე).* მისივე ვარიანტული ფორმებია: *ბექი, ბექა* (აქედანაა გვარები: *ბექიშვილი, ბექაია, ბექაური).* იმავე სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმას თურქულში წარმოადგენს სახელი *ბეგლარ.* წინათ სახელად გვხვდებოდა აგრეთვე *ბეგთაბეგ* (აქედან გვარია ბეგთაბეგიშვილი), რაც ნიშნავს „ბეგების ბეგს", „ბეგების უფროსს" (შეადარეთ დიდი თანამდებობის სამოხელეო ტერმინი თურქეთში *ბეგლარბეგი).*

ბეგლარ (თურქ.) „ბატონები". აქედანაა გვარი *ბეგლარიშვილი.* დაწვრილებით იხ. აქვე *ბეგი, ბეგა.*

ბენედიქტე (ლათ.) „კურთხეული", „დალოცვილი" (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ ებრ. *ბარუხ).* შემოკლებული ფორმებია: *ბენე, ბენა,* ამ უკანასკნელისაგან ჩანს მიღებული *ბენაშვილის* გვარი.

ბეჟან მომდინარეობს ძველი ირანული სახელისაგან (*ვეჟან* — „ვეჯელი" ანუ „ირანელი"). თავკიდური ბგერა სპარსულშივე არის შეცვლილი: *ვეჟან*—→ *ბეჟან.* ბეჟანი ფირდოუსის განთქმული პოემის,

„შაჰ-ნამეს“, ერთ-ერთი გმირია. ამ სახელის კნინობითი ფორმებია ქართულში: *ბეჟია, ბეჟუა, ბეჟიკო, ბეჟუკი, ბეჟიტა*. ამათგან მომდინარე გვარებია: *ბეჟანიშვილი, ბეჟუაშვილი, ბეჟუკაშვილი, ბეჟიტაშვილი*.

ბერა (ქართ.) ამავე სახელის ვარიანტებია: *ბერი, ბერო, ბერუა, ბერუჩა, ბერიკა, ბერიტა*. ამათგან ნაწარმოებია გვარები: *ბერიძე, ბერაძე, ბეროძე, ბერაია, ბერიშვილი, ბეროშვილი, ბერუაშვილი, ბერუჩაშვილი, ბერიკაშვილი, ბერიტაშვილი* და სხვანი. ამჟამად ეს სახელი გააზრებულია როგორც „მოხუცი“, „ბერი“ (ნაწარმოები დაბერდა ზმნისაგან), მაგრამ სხვა წარმოშობისა უნდა იყოს: კოლხურად *ბერე, ბერი* ნიშნავს „შვილს“, „ვაჟს“ (შეადარეთ ზოგიერთ სახელსა და გვარში შემონახული ფორმები — იხ. ზემოთ გვ. 45). ი. ჯავახიშვილის ვარაუდით, ეს სიტყვა უძველეს ხანაში ზოგად ქართულშიც ყოფილა (მის ფონეტიკურ სახესხვაობად მიჩნეულია *ბელი* — „დათვის შვილი“).

ბერდია (ქართ.) უკავშირდება „სიბერის“ აღმნიშვნელ *ბერ* ძირს („დაბერდი!“). ალ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას თხზულებებში რამდენიმე გმირს ჰქვია.

ბესარიონ (ბერძ.) „ტყიანი ადგილი“, „ტყისა“. მისი კნინობითი ფორმებია: *ბესა, ბესო, ბესია, ბესიკ, ბესიკო*.

ბესიკ ქართულში ქცეულია დამოუკიდებელ სახელად. ეს სახელი ფსევდონიმად ჰქონდა პოეტ ბესარიონ გაბაშვილს.

ბეჭა ძველი ქართული სახელია (დაწვრილებით იხ. ზემოთ *ბეგი, ბეგა*). ამ სახელით საქართველოს ისტორიაში ცნობილია რამდენიმე გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ბეჭა მანდატურთუხუცესი (XIII ს.). რუსთაველის ეპოქაში ქართული ოქრომჭედლობის უბრწყინვალესი ოსტატები იყვნენ ბეჭა და ბეშქენ ოპიზარები.

ბეშქენ (ირან.) „ხელოვნება“, „ხელსაქმე“. ესეც გავრცელებული სახელი იყო. ბეშქენ ოპიზარის გარდა, ამ სახელით ცნობილია რამდენიმე სხვა თვალსაჩინო მოღვაწე ძველ საქართველოში. ბეშქენისაგან მიღებულია გვარი *ბეშკენაძე*.

ბიძენტი (ლათ.) „მძლეველი“, „გამარჯვებული“.

ბირთველ (ქართ.) „ბირთვისელი“ (ბირთვისი ქართლშია, ძვე-

ლად განთქმული ციხე იყო). ეს სახელი ქართულიდან სომხურშიც შესულა.

ბიქტორ (ლათ.) „ძლევამოსილი", „გამარჯვებული". იგივეა *ვიქტორ*, რომელიც ახლა უფრო გავრცელებული ფორმაა (დაწვრილებით იხ. ზემოთ *ბასილთან.)*

ბიძინა (ქართ.) „ბიძისა". საეკლესიო კალენდარულ სახელად მიჩნეულ იქნა თავდადებული ქართველი გმირის ბიძინა ჩოლოყაშვილის (XVII ს.) სახელის მიხედვით.

ბიჰია (ქართ.) არაკალენდარული სახელია, თუმცა საკმაოდ გავრცელებული (აქედანაა გვარები: *ბიჭაშვილი, ბიჭიაშვილი).* მისი კნინობითი ფორმებია: *ბიჭიკა, ბიჭიკო, ბიჭინა* (აქედან გვარები: *ბიჭიკაშვილი, ბიჭინაშვილი).* ბიჭ-ისაგან ხმოვნის შეცვლით მიღებულია *ბუჭა* (შეადარეთ კომპოზიტი *ბიჭ-ბუჭები)* და მისი კნინობითი ფორმები: *ბუჭო, ბუჭუ, ბუჭუკი, ბუჭუკა, ბუჭულა, ბუჭიტა, ბუჭუტა.*

ბიჰიკო (ქართ.)

ბიჰური (ქართ.)

ბონდო

ბორის (სლავ.) სრული ფორმაა *ბორისლავ*, შედგება ორი სიტყვისაგან, რომელთა მნიშვნელობაა „ბრძოლა" და „დიდება". მეორე მათგანი მონაწილეობს მრავალ სლავურ სახელში, როგორიცაა *ვიაჩესლავ, სტანისლავ* და სხვანი.

ბოჩი, ბოჩია (ქართ.) შესაძლოა უკავშირდებოდეს ჭანურ (ლაზურ) *ბოჩი*-ს, რაც „მამალ ცხვარს", „ვერძს" ნიშნავს (შეადარეთ ქართ. *ვაცი).* მეორე მხრივ — *ბოში (←ბოვში ← ბავშვი).* მოფერებით *ბოჩი*, მეგრულში ნიშნავს „ბიჭს" და ამის მიხედვით ეს სახელი იგივეა, რაც *ბიჭია, ბიჭიკო.*

ბოცო (ქართ.) „მსუქანი", „ფუნჩულა" (შეადარეთ ჭიზიყში გავრცელებული სიტყვა *ბოცოცა).*

ბუდუ (ხურიტული) „მსახური" (ეტიმოლოგია საეჭვოა). მისი ვარიანტია სვანურში გავრცელებული სახელი *ფუთა. ბუდუ* საკუთარ სახელად გვხვდება კორიდეთის ოთხთავის (IX ს.) ბერძნულ მიხაწერებში.

ბათურა (ქართ.)

ბუხუტი (ქართ.)

ბაბრიელ (ძვ. ებრ.) სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ჩემი ძალა ღმერთია“. მისი შემოკლებული ფორმაა *გაბო*. აქედან უნდა მომდინარეობდეს გვარები: *გაბაშვილი, გაბოძე*.

ბაბა, ბაბი მნიშვნელობა აუხსნელია (იხ. *აგრეთვე კაკი*). ამავე სახელის ვარიანტია *გაგნა*, საიდანაც მიღებული გვარი *გაგნიძე*.

ბაიოზ (ბერძ.) „მიწის შვილი“ „მიწიერი“.

ბალაქტიონ (ბერძ.) „რძისა“, „რძიანი“. გაიხსენეთ ასტრონომიული ტერმინი *გალაქტიკა* („რძის გზა“).

ბამბისარდი (ქართ.)

ბარსღვან ეტიმოლოგია უცნობია; შესაძლოა მომდინარეობდეს სპ. *გარსევაზ*-ისაგან, რაც „მცირე ძალის მქონეს“ ნიშნავს. მისგან ნაწარმოებია გვარები: *გარსევანიშვილი, გარსევანიძე*.

ბახა (ქართ.) დაწვრილებით იხ. ზემოთ გვ. 33.

ბედევან (ძვ. ებრ.) „მჭრელი“. მისგან ნაწარმოებია გვარი *გედევანიშვილი*.

ბელა (ქართ.) მიღებულია *მგელა*-საგან. ძველად გვხვდებოდა აგრეთვე *მგელიკა, მგელია*. მათგან ნაწარმოები გვარებია: მგელაძე, *გელაძე, გელაშვილი, გელიაშვილი, მგელიაშვილი, გელუკაშვილი* და სხვანი. უფრო დაწვრილებით იხ. ზემოთ გვ. 7.

ბენადი (ბერძ.) „კეთილშობილი“. მისი შემოკლებული ფორმაა *გენო*, ამავე ძირს შეიცავენ სახელები *გერმო-გენ, ევ-გენი*. გაიხსენეთ აგრეთვე სამეცნიერო ტერმინები: *გენეალოგია* — „წარმოშობა“, გენეტიკა — „მეცნიერება ჯიშთა გამოყვანის შესახებ“.

ბერა (ქართ.) იგივეა რაც *გელა* (*გერი||ნგერი* არის *მგელ* სიტყვის კოლხური ფორმა). მიიღება აგრეთვე *გერასიმე*-ს შემოკლების გზით. გერა ჰქვია ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვას“ ერთ-ერთ გმირს.

ბერასიმე (ბერძ). „პატივცემული“.

ბერვასი (ბერძ.) „ლახვაროსანი“. სხვაგვარი ეტიმოლოგიით, ძველი გერმანული სახელია გაურკვეველი მნიშვნელობისა.

ბერმანე (ლათ.) „ღვიძლი ძმა“.

ბერონტი (ბერძ.) „მოხუცებული“, „უხუცესი“.

ბვადი, ბვანჩი სამეგრელოში გავრცელებული სახელებია, ცნობი-

ლი ლიტერატურულ გმირთა მიხედვითაც (გვადი ბიგვა ლ. ქიაჩელის რომანის მთავარი გმირია, გვანჯ აფაქიძე კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ ერთ-ერთი პერსონაჟია). *გვაჯი*-ს მეგრულში მოფერებით უწოდებენ პატარა ბიჭს, ვაჟს.

გვარამ იხ. ზემოთ ბარამ.

გია, გიგა, გიგი, (გიგია, გიგუცა), გიგო, გიგილო, გიგლა, გიგოლი — ქართული სახელებია, მიჩნეული *გიორგი*-ს ან *გრიგოლ*-ის შემოკლებულ ფორმებად, თუმცა წარმოშობით ზოგი მათგანი მაინც დამოუკიდებელი სახელი უნდა იყოს და ახლა კვლავ იბრუნებს ოფიციალური სახელის უფლებას. ამ სახელებისაგან ნაწარმოებია მრავალი ქართული გვარი: *გიგაშვილი, გიგოშვილი, გიგოლაშვილი, გიგიაძე, გიგუციძე* და ა. შ.

გივი (სპ.) მნიშვნელობა გაურკვეველია. აქედანაა გვარი *გივიშვილი*. *გივი*-ს მოფერებითი ფორმაა *გიუნა*, საიდანაც წარმომდგარია გვარი *გიუნაშვილი*.

გიო (ბერძ.) მიღებულია *გიორგი*-ს შემოკლებით. მნიშვნელობით უდრის „მიწას“ (იხ. აქვე *გიორგი*).

გიორგი (ბერძ.) „მხვნელ-მთესველი“, „მიწათმოქმედი“. მთელ მსოფლიოში გავრცელებული სახელია (დაწვრილებით იხ. გვ. 19—21). ქართულში ამ სახელის ფართოდ გავრცელებას მოწმობს გვარები: *გიორგაძე, გიორგიძე, გორგაძე, გორგიძე, გოგაძე, გოგიძე, გოგია, გოგიავა, გოგიშვილი, გოგიაშვილი, გოგიტაშვილი, გოგიჩაიშვილი* და სხვანი.

გოგი, გოგია, გოგიტა, გოგლა — *გიორგი*-ს კნინობითი ფორმებია. ამავე სახელის შემოკლებაა ქართულში დამოუკიდებელ სახელად გავრცელებული *გიო*.

გიტო (ქართ.)

გლახა (გლახუნა) ქართ. იხ. ზემოთ გვ. 33.

გობრონ ეტიმოლოგია უცნობია. ეს სახელი ერქვა ქართველთა მიერ წმინდანად აღიარებულ ერთ-ერთ პირს, რომელიც მოკლეს არაბებმა 914 წელს. აქედანაა გვარი *გობრონიძე*.

გოგოთური მთაში გავრცელებული სახელია, რომლის მნიშვნელობაც დაუდგენელია. ეს სახელი ჰქვია ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი პოემის, „გოგოთური და აფშინას“, მთავარ გმირს.

გოდერძი (ირან.) „ძლიერი ხარი". აქედანაა გვარი *გოდერძიშვილი*.

ბოლა (ქართ.) აქედან ნაწარმოებია გვარი *გოლიაძე*.

გორდა (ქართ.) აქედან ნაწარმოებია გვარი *გორდაძე*.

გოჩა (ქართ.) ქართული ენის ზოგი დიალექტის მიხედვით, *გოჩა* ნიშნავს „ბერიკაცს" (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ *გერონტი, ფირან*). გოჩა ჰქვია ალ. ყაზბეგის ერთ-ერთი მოთხრობის მთავარ გმირს — ხევისბერს. ამ სახელისაგან არის წარმოქმნილი გვარები: *გოჩაშვილი, გოჩავა*. მოფერებითი ფორმაა *გოჩიტა*, საიდანაც მიღებულია გვარი *გოჩიტაშვილი*.

გრიგოლ (ბერძ.) „მღვიძარე", „ფხიზელი". მისგანაა მიღებული გვარები: *გრიგოლაშვილი, გრიგოლია, გრიგოლაია, გრიგოლავა*. კნინობითი ფორმებია: *გიგა, გიგი, გიგო, გიგლა, გიგოლი, გიგოლა*. ამ ფორმათაგანაც რამდენიმე გვარი იწარმოება. *გიგა, გიგი, გიგო* წარმოშობით შეიძლება დამოუკიდებელი სახელები იყოს.

გუბაზ ირანული წარმოშობის სახელია, რომლის ეტიმოლოგია უცნობია. გვხვდებოდა ჩვენში ჯერ კიდევ 1400 წლის წინათ (VI საუკუნიდან ცნობილია კოლხეთის მეფე გუმბაზი. მას უკავშირდება მდინარის სახელწოდება გურიაში — *გუბაზოული*).

გუგა, გუგუ, გუგუა, გუგუნა (ქართ.) ერთი და იმავე სახელის ვარიანტებია, მათგან წარმოქმნილია გვარები: *გუგავა, გუგუნავა, გუგუშვილი*. კნინობითი ფორმაა *გუგუტი*, საიდანაც ნაწარმოებია გვარი *გუგუტიშვილი*. *გუგუა* ჰქვია ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას" ერთ-ერთ მოქმედ გმირს. *გუგუნა*, გვარად ბარათაშვილი, ნახსენებია 1523 წლის ერთ საბუთში.

გულაბერ (ქართ.) აქედანაა გვარი *გულაბერიძე*.

გულბაათ (სპ.) „ვარდის ქარი", ე. ი. „ქარი, რომელსაც ვარდის სურნელება მოაქვს".

გულდამ, გულდა მომდინარეობს სპარსულიდან: *გულანდამ* — „ვარდისტანა", „ვარდსხეულა". გვხვდება ქალის სახელადაც (XVI ს.). აქედანაა გვარი *გულდაბაშვილი*.

გურამ განმარტებისათვის იხ. ზემოთ *ბარამ*. აქედანაა გვარი *გურამიშვილი*.

გურგენ (ირან.) „მგლისა". აქედანაა გვარები: *გურგენიძე, გურგენაშვილი*.

გუცა გიგუცა-ს ანუ გიგა-ს ვარიანტული ფორმაა.

დადაშ (ქართ.) „დედისა“ (სვანურად), შეადარეთ გვარი *დეისაძე*, რომელიც მომდინარეობს *დედისაძე*-საგან, ეს უკანასკნელი კი *დედისა* სახელისაგან. სხვაგვარად დადაშ შეიძლება ნიშნავდეს „ბებიისას“ ან „დადისას“ (დადი აგრეთვე ძველი ქართული სახელია, რომელიც დღეს აღარ გვხვდება, შემონახულია *დადიანის* გვარში. მისი კნინობითია დადუნ, საიდანაც წარმოქმნილია გვარი *დადუნაშვილი*).

დავით (ძვ. ებრ.) „საყვარელი“, სხვაგვარი გააზრებით — „წინამძღოლი“ (ეტიმოლოგია საეჭვოა). ქართულში ერთ-ერთი ძალზე გავრცელებული სახელია. ამას ადასტურებს მისგან ნაწარმოები გვარების სიმრავლეც: *დავითიძე, დავითაძე, დავითაშვილი, დავითაია, დავითიანი, დავითური, დათიაშვილი, დათაშვილი, დათებაშვილი, დათუაშვილი, დათუკაშვილი, დათუკიშვილი, დათუნაშვილი, დათუნაიშვილი* და ა. შ. დავითი ერქვა საქართველოს ათამდე მეფეს, მათ შორის ყველაზე სახელოვანს — დავით აღმაშენებელს.

დათა, დათო, დათია, დათუნა, დათიკო, დათუკა, დათუა — დავითის საალერსო-კნინობით ფორმებად ითვლება, მაგრამ სინამდვილეში ზოგ მათგანს კავშირი უნდა ჰქონდეს *დათვ*-ისაგან ნაწარმოებ წარმართულ სახელთან (*დათუა, დათუნა*... შეადარეთ *მგელა, ფოცხვერა, ლომა* და სხვა).

დამიანე (ბერძ.) „დამშვიდებული“, „დაშოშმინებული“, „დამორჩილებული“. ამავე წარმოშობისაა რუს. *демиан*. ცნობილია ძველი ქართველი მხატვარი დამიანე, რომელსაც ეკუთვნის უბისის ტაძრის მხატვრობა (XIV ს.).

დანიელ (ძვ. ებრ.) „ღვთის სამსჯავრო“, სიტყვასიტყვით „ღმერთი — მსაჯული ჩემი“.

დარისპან (სპ.) „ისპაანის კარი“ (ეტიმოლოგია საეჭვოა). აქედანაა გვარი დარისპანაშვილი, სოფლის სახელი *დანისპარაული* (←დარისპანაული).

დაჩი ქართული ფორმაა სპარსული *დარჩილ*-ისა, რომელიც „გვარის უფროსს“ ან „დარიოსის მოდგმისას“ ნიშნავს (შეადარეთ *არჩილ*). სხვაგვარი ახსნით, *დაჩი*←*დარჩი* (ქართ.). ეს სახელი ქართულში უძველესი დროიდან გვხვდება; მაგალითად, დაჩი ერქვა ვახტანგ გორგასალის ვაჟს.

დევი ქართულ ზღაპრებში ძლიერს, მაგრამ უჭკუო და ბოროტ სულს აღნიშნავს. ამავე დროს *დევი* *დავით*-ის ინგლისური ფორმაა (იხ. *დავით*). ადამიანის სახელად უმთავრესად სწორედ აქედან გავრცელდა.

დემეტრე (ბერძ.) „მიწა-დედა", სხვაგვარი განმარტების მიხედვით: „დემეტრასი". ანტიკური მითოლოგიის მიხედვით, დემეტრა მიწათმოქმედების და ნაყოფიერების ქალღმერთია (იგივე *ცერერა*). ეს სახელი ერქვა საქართველოს რამდენიმე მეფეს, მათ შორის — დემეტრე (იგივე დიმიტრი) თავდადებულს. დიმიტრი ამ სახელის გვიანდელი ფორმაა, სადაც *ე* ხმოვანს ენაცვლება *ი* (ეს ცვლილება ბერძნულშივე ხდება.) ასეთივე ცვლილება სხვა სახელებშიც მომხდარა: *ელია*→*ილია*, *ჰერეკლე*→*ერეკლე* → *ირაკლი*, *ესაია* → *ისაია* და სხვა. უფრო ძველი ფორმები დაცულია გვარებში: *დემეტრაძე*, *დემეტრაშვილი*, *ელიაშვილი*, *ელოშვილი*, *ელიაძე*, *ელიავა*, *ესაიაშვილი* და ა. შ. *დემეტრე*-სა და *დიმიტრი*-ს შემოკლებული ფორმებია *დიტო*, *მიტო*, *დუტუ*.

დემნა ძველი ქართული სახელია, წარმოშობით ესეც *დემეტრე*-ს კნინობითი ფორმა უნდა იყოს.

დიანოზ (ბერძ.) „დიანასი" (დიანა ნადირობის ქალღმერთის სახელია ანტიკურ მითოლოგიაში).

დიდიმ (ბერძ.) „მარჩბივი" ანუ „ტყუპთაგანი", „ტყუპის ცალი" (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ თომა).

დიმიტრი იხ. ზემოთ *დემეტრე*.

დიომიდე „ზევსის ნაფიქრი", ან „ზევსის ნებით უფლებამოსილი" (*ზევსი* ძველი ბერძნების უზენაესი ღმერთის სახელია).

დიონისე (ბერძ.) „დიონისესი" (*დიონისე*, იგივე *ბახუსი*, ითვლებოდა ღვინისა და მხიარულების ღმერთად).

დომენტი (ლათ.) „დამწყნარებელი", „მომთვინიერებელი", „დამმორჩილებელი".

დოროთე (ბერძ.) „ღვთის მონიჭებული", „ღვთის ნაჩუქარი". ამავე მნიშვნელობისაა *თეოდორე* (*თევდორე*, *თედორე*), სადაც სახელის შემადგენელი სიტყვები იგივეა, ოღონდ შებრუნებული რიგით წარმოდგენილი: *თეოს*—„ღმერთი", *დორონ*—„საჩუქარი" (შეადარეთ რუსული дар, по-дар-ок).

დურმიშხან (თურქ.) „მდგომი", „დამდგარი" (იგულისხმება: „კაცად დამდგარი", „დავაჟკაცებული").

დუტუ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სახელია, ითვლება დიმიტრი-ს შემოკლების გზით მიღებულად, მაგრამ შესაძლოა წარმოშობით დამოუკიდებელი სახელი იყოს (უკავშირებენ ხურიტულს). ამ სახელს ატარებდა ფსევდონიმად პოეტი დიმიტრი ხოშტარია — დუტუ მეგრელი.

ე

ეგნატე (ლათ.) „არმცოდნე" (ვისაც ამბავი არ აუწყეს, არ შეატყობინეს; შეადარეთ იმავე ძირისაგან ნაწარმოები სიტყვა *იგნორირება* — „ვინმეს ან რამეს არსად ჩაგდება, უგულვებელყოფა"). ეს სახელი ერქვა გამოჩენილ ქართველ მწერალს ეგნატე ნინოშვილს (ინგოროყვას). ეგნატეს კნინობითი ფორმისაგან — *ეგნატა*-საგან ნაწარმოებია გვარი *ეგნატაშვილი*.

ედიშერ (სპ.) „ლომის დღესასწაული".

ედუარდ (გერმ.) „საკუთრებაზე მსრუნველი".

ევგენი (ბერძ.) „კეთილშობილი". (აქედანვე წარმოქმნილია ქალის სახელიც — *ევგენია*). მისი შემოკლებული ფორმაა *გენო* (რუსულსა და ზოგ სხვა ენაში — *ჟენია*). *ევგენი*-საგან ნაწარმოებია გვარი *ევგენიძე*.

ევგრაფი (ბერძ.) „კარგად ნახატი" (გრაფო ბერძნულად ნიშნავს: „ვხაზავ", „ვსატავ", „ვწერ"; აქედანვეა სიტყვები: *გრაფიკა, გრაფიტი, გრაფომანი, ტელეგრაფი, ფოტოგრაფია* და სხვა).

ევდემონ (ბერძ.) „ღმერთთაგან დაცული", „ბედნიერი".

ევდოკიმე (ბერძ.) „გამოჩენილი", „სახელოვანი".

ევსევი (ბერძ.) „კეთილმსახური", „ღვთისმოსავი" (გვხვდება აქედან წარმოქმნილი ქალის სახელიც — *ევსევია*).

ევსიხი (ბერძ.) „კეთილი სული", „მშვიდი", „წყნარი".

ევტიხი (ბერძ.) „ბედნიერი".

ელეფთერ (ბერძ.) „თავისუფალი".

ელგუჯა (თურქ.) „ხალხის ძალა". ელგუჯა ჰქვია ალ. ყაზბეგის ამავე სახელწოდების რომანის მთავარ გმირს, რამაც ხელი შეუწყო ამ სახელის ფართოდ გავრცელებას ჩვენში.

ელდარ (ძვ. ებრ.) „ღვთის ნაჩუქარი", ან ბერძ. ირან. „თავადი".

ელია (ძვ. ებრ.) „ღმერთი—სიმაგრე ჩემი", ან: „ღმერთი ჩემი—იეღოვა". აქედანაა გვარები: *ელიაშვილი, ელოშვილი, ელიაძე, ელიავა*, დღეს გავრცელებული ფორმა ამ სახელისა არის *ილია* (დაწვრილებით იხ. *ილია*).

ელიაზარ (ძვ. ებრ.) „ღვთის წყალობა", „ღვთის შემწეობა" (სიტყვა-სიტყვით: „ღმერთია შემწე"). ამ ფორმით ქართულში ნაკლებად გვხვდება, მაგრამ გავრცელებულია მისგან მიღებული სახელი ლაზარე, რომლის მეშვეობით ნაწარმოებია გვარებიც: *ლაზარიშვილი, ლაზარია*. გვხვდება აგრეთვე *ელიაზარაშვილის* გვარიც.

ელიზბარ ეტიმოლოგია არაა დადგენილი. ცნობილია 1659 წ. ქართველთა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური ელიზბარ ერისთავი, რომელიც თავის მამასთან და ბიძინა ჩოლოყაშვილთან ერთად სპარსელებმა სიკვდილით დასაჯეს და წმინდანად იქნა შერაცხული. ამ სახელისაგანაა წარმოქმნილი გვარი *ელიზბარაშვილი*. კნინობითი ფორმაა *ელიბო*.

ელიოზ ბერძნული ფორმაა ძვ. ებრაული სახელისა *ელია* (იხ.); აქედანაა გვარები *ელიოზიშვილი, ელიოზიძე*.

ემანუელ, ემანუილ (ძვ. ებრ.) „ჩვენთან არს ღმერთი".

ემელიანე, ემელიან (ბერძ.) „ალერსიანი". შეიძლება ეს სახელი დაუკავშირდეს ლათინურსაც და მაშინ ის იქნება *ემილ*-ის კნინობითი ფორმა, ან აღნიშნავს „ემილის კუთვნილს". თვით სახელი *ემილი* გავრცელებულია ევროპაში და ნიშნავს „მეტოქეს (შეჯიბრების დროს)". მისგან ნაწარმოებია ქალის სახელიც: *ემილია*.

ეპიფანე (ბერძ.) „გამოჩენილი", „სახელგანთქმული".

ერასტი (ბერძ.) „საყვარელი", „მოსაწონი", „მშვენიერი".

ერეკლე წარმოქმნილია ბერძენთა საყვარელი მითოლოგიური გმირის ჰერკულესის ანუ ჰერაკლეს სახელისაგან. თვით *ჰერეკლე* ნიშნავს „ჰერას (ზევსის მეუღლის) დიდებას". ამავე სახელის შედარებით ახალი ფორმაა *ირაკლი*. ერეკლე ერქვა ქართველთა ორ მეფეს, მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია ერეკლე II — პატარა კახი.

ერემია (ძვ. ებრ.) „მაღალი" (სიტყვასიტყვით: „ღმერთი აღამაღლებს"). ძველი ფორმაა *იერემია*, შემოკლებული — *ერემო*.

ერმი (ბერძ.) ჰერმესი, იგივე მერკური; ანტიკურ მითოლოგიაში — მეცხოველეობისა და ვაჭრობის ღმერთი, მწყემსთა და მოგზაურთა მფარველი, ღმერთების მახარობელი.

ერმალოზ (ბერძ.) „ჰერმესის ხალხი". დღეს ეს სახელი უფრო გავრცელებულია ბოლო თანხმოვნის გარეშე: *ერმალო*.

ერმილე (ბერძ.) „ჰერმესის ტყისა".

ეროსი (ბერძ.) „გულისთქმა", „ხორციელი ლტოლვა", „სიყვარული".

ესაია (ძვ. ებრ.) „ხსნა უფლისაგან", „ღვთისაგან მოვლენილი დახმარება". აქედანაა გვარი *ესაიაშვილი*. მერმინდელი ფორმაა *ისაია*.

ესტატე (ბერძ.) „კარგად (მტკიცედ) მდგომი", „მედგარი". ამ სახელის უფრო ძველი ფორმაა *ევსტათი* (ეს სახელი ერქვა VI ს. ერთ-ერთ ქართველ მოწამეს — ევსტათი მცხეთელს). აქედანვეა უკრაინული *ოსტაპი*, რუსული *ევსტაფი* (ეს უკანასკნელი გვხვდება ქართულშიაც: *ევსტაფი, ესტაფი*). მოფერებითი ფორმაა ქართულში *ტატე*, საიდანაც მიღებულია გვარი *ტატიშვილი*.

ეფრემ დამაჯერებელი ახსნა არ მოეპოვება; საეკლესიო კალენდრის მიხედვით ახსნილია როგორც „ნაყოფიერი" (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ *კარპე, პოლიკარპე*); სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ნიშნავს „აღორძინებას", ან „ნუგეშისმცემელს"; სხვაგვარი ეტიმოლოგიით, მომდინარეობს ძველ ებრაელთა ერთ-ერთი სახელწოდებისაგან .

ექვთიმე (ბერძ.) „კეთილის მზრახველი", „გულკეთილი", „უშაკველი (უბოროტო)".

3

ვალერი (ლათ.) „ღონიერი", „ჯანმრთელი". ქართულში გვხვდება მხოლოდ კაცის სახელად (შემოსულია რუსულის გზით), ლათინურში კი არსებობს მისგან ნაწარმოები ქალის სახელიც — *ვალერია*, რომელიც სხვა ენებშიც არის შესული. იმავე სიტყვის ფუძისაგან ნაწარმოებია სახელები: *ვალენტ, ვალენტიონ, ვალენტინ, ვალენტინა* (ქართულში ბოლო დროს შემოვიდა მხოლოდ ეს უკანასკნელი, რომლის შემოკლებული ფორმაა *ვალია*). ვალერი რომა-

ული საგვარეულო სახელია, საიდანაც ნაწარმოებია კიდევ ახალი სახელი *ვალერიან, ვალერიანე.*

ვალერიან, ვალერიანე (ლათ.) „ვალერისა", „ვალერის შვილი". ქართულში მისი მოფერებითი ფორმაა *ვალიკო.*

ვამეყ, ვამეხ (არაბ.) „მოყვარული".

ვანო ქართული შემოკლებული ფორმაა *ივანე*-სი (იხ.). ოფიციალურ ფორმად იგი არ მიიჩნევა, თუმცა ამის ტენდენცია ჩანს ზოგიერთი მოღვაწის სახელში (მაგ., ვანო სარაჯიშვილი, ვანო გოკიელი, ვანო მურადელი).

ვაჟა (ქართ.) „ვაჟი", „ვაჟკაცი". მისივე ვარიანტებია: *ვაჟია, ვაჟიკა, ვაჟიკო.* მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ *ანდრია, კარლო.*

ვარაჯ (ირან.) „გარეული ტახი". დღეს შედარებით იშვიათად გვხვდება, „ქართლის ცხოვრებაში" კი ამ სახელით არაერთი ისტორიული პირი არის ცნობილი, მათ შორის ქართლის მეფე ვარაზბაქარი. წინათ ამ სახელის გავრცელებას მოწმობს აგრეთვე გვარი *ვარაზიშვილი* და გეოგრაფიული სახელწოდება *ვარაზისხევი* (თბილისში, უნივერსიტეტის წინ).

ვარდან (ირან.) „გმირი", ან: „მოქალაქე". ქართულში შესაძლოა შემოსული იყოს სომხურიდან, სადაც იგი უფრო გავრცელებულია. ეს სახელი ერქვა, მაგალითად, წამებული შუშანიკ დედოფლის მამას — ვარდან მამიკონიანს (V ს.). მისგან ნაწარმოები გვარებია: *ვარდანაშვილი, ვარდანიძე.*

ვარდენ ეტიმოლოგია უცნობია. შესაძლოა ზემოხსენებული *ვარდან*-ის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენდეს.

ვარლამ (ქალდეური) „ხალხის შვილი". აქედანაა გვარი *ვარლამიშვილი.*

ვასილ (ბერძ). „სამეფო", „მეფისა" (დაწვრილებით იხ. *ბასილ*). ქართულში ხშირად გვხვდება შემოკლებული ფორმით: *ვასო. ვასილ*-ისაგან ნაწარმოებია ქალის სახელი — *ვასილისა.*

ვაჩე ძველად საქართველოში ფართოდ გავრცელებული სახელი იყო. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ვაჩე ერქვა ქართლის მეოცე მეფეს. ამ სახელისაგან არის ნაწარმოები გვარები *ვაჩეიშვილი, ვაჩაძე* და *ვაჩნაძე,* აგრეთვე სოფლის სახელი *ვაჩიანი. ვაჩე* წარმოშობით ირანული სახელია და „ყმაწვილს", „ბავშვს", „ბიჭს", „შვილს" ნიშნავს (შეადარეთ ქართული *ბიჭიკო*).

ვახტანგ ქართულში ძველთაგან ცნობილი და ამჟამადაც გავრცელებული სახელია. ეს სახელი ერქვა საქართველოს არაერთ მეფესა და გამოჩენილ პიროვნებას, მათ შორის თბილისის დამაარსებელს ვახტანგ გორგასალს (V ს.). წარმოშობით უკავშირდება ირანულ ენებს და ნიშნავს „მგლისტანიანს", „მგელას" (დაწვრილებით იხ. ზემოთ გვ. 38—39). აქედანაა გვარი *ვახტანგაძე*.

ვახუშტი (ირან.) მნიშვნელობა დაუზუსტებელია. ამ სახელით ცნობილ ქართველ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოჩენილი მეცნიერ-გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.).

ვეფხია (ქართ.) მნიშვნელობით მას ედრება უცხოური სახელები: *პარდი, ტიგრია, ყაფლან*. *ვეფხია*-ს ვარიანტებია: *ვეფხო, ეფხო, ეფხია*, მისგან ნაწარმოები გვარებია: *ვეფხვაძე, ეფხოშვილი*.

ვენორ, ვიანორ (ბერძ.) „ძლიერი მამაკაცი".

ვილენ ახალი ნაწარმოები სახელია, მიღებული ვლადიმერ ილიას ძე ლენინის საწყისი ბგერების შეერთებით.

ვიტალი (ლათ.) „სასიცოცხლო". შეადარეთ *ვიტამინი* — „სიცოცხლისათვის აუცილებელი ნივთიერება".

ვიქტორ (ლათ.) „გამარჯვებული", „ძლევამოსილი" (იხ. *ბიქტორ*). უცხო ენებში ამავე ფუძესთან დაკავშირებული არაერთი სხვა სახელიც გვხვდება: *ვიქტორიკ, ვიქტორინ, ვიქტორინა, ვიქტორია*. რომაულ მითოლოგიაში *ვიქტორია* გამარჯვების ქალღმერთის სახელია (შეადარეთ *ვიქტორინა* — სახელწოდება ერთგვარი თამაშისა, რომლის დროსაც კითხვებს სვამენ ცოდნის სხვადასხვა დარგიდან და ამ გზით გამოავლენენ გამარჯვებულს).

ვლადიმერ ძველი სლავური სახელია, ნიშნავს „ქვეყნის მფლობელს". მასთან ფორმით ახლოს დგას აგრეთვე გოთური *ვოლდემარ*, რომელიც ნიშნავს „განთქმულ (ცნობილ) ბატონს, მფლობელს". *ვლადიმერ*-ის შემოკლებული ქართული ფორმაა *ლადო*, მოფერებით — *ლადიკო*.

ვლასი (ბერ.) „უხეში", „მოუხერხებელი". მისი მოფერებითი ფორმაა *ლასიკო*.

ზ

ზაალ (სპ.) „მოხუცი". ეს სახელი ჰქვია ფირდოუსის „შაჰ-ნამეს" ერთ-ერთ გმირს, როსტომის მამას, რომელიც მთლად თეთრი

თმითა და წარბ-წამწამით დაიბადა და მამამისმა საამმა სწორედ ამიტომ დაარქვა „მოხუცი“. სხვებმა მას უწოდეს აგრეთვე ზარ — „ოქროსი“. ამ ორი სახელის შეერთებით მიღებულია ზაალ-ზარ, რომლის გამარტივებული ფორმაა ზაზა. ზაალის კნინობითი ფორმებია: ზალიკა, ზალიკო. აქედანაა გვარები: ზაალიშვილი, ზალიკაშვილი, ზალიკიანი. საქართველოს ისტორიიდან ცნობილია ზაალ არაგვის ერისთავი.

ზაზა მიღებულია „შაჰ-ნამეს“, გმირის ზაალ-ზარ-ის სახელისაგან (იხ. აქვე ზაალ). ზაზა ერქვა რამდენიმე ისტორიულ პიროვნებას, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილია სამკურნალო წიგნის ავტორი ზაზა ფანასკერტელი. ზაზა-საგან ნაწარმოები ჩანს გვარი ზაზიაშვილი.

ზაურ (ირან.) „ძალა“.

ზაქარია (ძვ. ებრ.) „ღვთის მიერ დაუვიწყარი“ (სიტყვასიტყვით: „ღმერთს ახსოვს“); მეორეგვარი ახსნით „მსახური ღვთისა“. მისი მოფერებითი ფორომებია ქართულში: ზაქრო, შაქრო, შაქარა.. მათგან ნაწარმოებია გვარები: ზაქარიაძე, ზაქრაძე, ზაქარაია, შაქარაშვილი, ზარქუა (←ზაქრუა.) ზაქარია ერქვა არაერთ ისტორიულ პირს; მათ შორის ცნობილია თამარ მეფის ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი. ახლო წარსულიდან ცნობილია დიდი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი.

ზედდე

ზევახ ეს სახელი დღეს იშვიათად გვხვდება, გავრცელებული იყო ძველ ქართულში, სადაც ის, როგორც ჩანს, შემოსულა ოსურიდან, ოსურში კი — სკვითურიდან. ნიშნავს „ზარმაცს“. სხვაგვარი განმარტებით, ჯავახ-ის უძველეს ვარიანტს წარმოადგენს. მცხეთაში აღმოჩენილი წარწერებიდან ცნობილია ზევახ პიტიახში (II ს.).

ზეზვა ქართული სახელია, გაურკვეველი მნიშვნელობისა; განსაკუთრებით გავრცელებულია მთაში. ცნობილი ისტორიული პირია თუშთა ბელადი ზეზვა გაფრინდაული (XVII ს.)

ზენონ (ბერძ.) „ღვთისა“. ნაწარმოებია ბერძენთა უზენაესი ღვთაების — ზევსის სახელისაგან, რომელსაც უკავშირდება აგრეთვე

არაერთი სხვა ბერძნული სახელი: *ზენონა, ზინა, ზინაიდა, ზინობი, ზინობია.*

ზვიად (ქართ.) აქედანაა გვარი *ზვიადაძე.*

ზოსიმე (ბერძ.) „სიცოცხლისუნარიანი". ბერძნულად *ზოოს* ნიშნავს „ცოცხალს", „ცხოველს" (აქედან: *ზოოპარკი* — სპეციალური პარკი ცხოველებისა და ფრინველებისათვის, *ზოოლოგია*—ცხოველთა სამყაროს შემსწავლელი მეცნიერება და სხვ.). აქედანვეა ნაწარმოები *ზოილი* („ცხოველთა მოყვარული"), რომელიც ჩვენში ადამიანის სახელად არ გვხვდება, მაგრამ მას ფსევდონიმად ხმარობდა ერთი ქართველი კრიტიკოსი. გადმოცემით, საბერძნეთის უდიდეს მწერალს ჰომეროსს ჰყოლია ერთი მკაცრი კრიტიკოსი, სახელად *ზოილი*, რის გამოც ეს სახელი უსამართლო კრიტიკოსის, ბოროტი მლანძღველის სინონიმად იქცა.

ზურაბ ქართულში დამკვიდრებული ფორმაა სპარსული სახელისა *(სურხაბ||სუხრაბ)*, რომელიც სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც „წითელი წყალი", მაგრამ ძველად ის ნიშნავდა აგრეთვე წითლად მოელვარე ძვირფას ქვას — ლალს. სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა უნდა ედოს საფუძვლად ადამიანის სახელს. ზურაბი ერქვა ლეგენდარული ირანელი გმირის როსტომის ვაჟს. იგი ჩვენში ფართოდ გავრცელდა „შაჰ-ნამეს" სხვა გმირთა სახელების მსგავსად. მისი კნინობითი ფორმებია: *ზურაბა, ზურა, ზურია, ზურიკო.* აქედანაა გვარები: ზურაბიშვილი, ზურაბაშვილი, ზურაშვილი, ზურიკაშვილი, ზურაბიანი.

თ

თადეოზ (ასურული) „ბრძენი". შემოკლებით—*თადე, თადო, თადუნა* (ეს შემოკლებული ფორმები შესაძლოა წარმოშობით დამოუკიდებელი სახელები იყოს).

თამაზ (ირან.) ნიშნავს „ძლიერ ცხენს" ან „ძლიერი ცხენის პატრონს" (ეტიმოლოგია საეჭვოა). აქედანაა გვარი *თამაზაშვილი.*

თანდილა (ქართ.) *ავთანდილ*-ის შემოკლებული ფორმა უნდა იყოს; საკუთარ სახელად გვხვდება მხოლოდ საქართველოში. აქედანაა გვარი *თანდილავა.*

თარხან (თურქულ-მონღოლური) „თავისუფალი". აქედანაა გვარი *თარხნიშვილი.*

თაყა ქართული სახელია, მაგრამ გაურკვეველი მნიშვნელობისა. ქართულიდან სომხურშიც არის შესული. მისგან მოდის გვარები: *თაყაშვილი, თაყაიშვილი, თაყაძე, თაყნიაშვილი, ტაკაშვილი.*

თედო ამჟამად თედორე-ს კნინობით ფორმად ითვლება, მაგრამ დამოუკიდებელი სახელი უნდა იყოს. ამ ფორმით იხმარება რამდენიმე ცნობილი პირის სახელად (თედო რაზიკაშვილი, თედო ჟორდანია, თედო სახოკია). ანალოგიური ფორმები (თედო, თედუა) დასტურდება ხურიტულ წარწერებში.

თედორე (ბერძ.) „ღვთის მონიჭებული", „ღვთის ნაჩუქარი". *თეოს* ბერძნულად ნიშნავს „ღმერთს", *დორონ* — „საჩუქარს". აქედანაა მიღებული ძველი ფორმა *თეოდორე*, მისი რედუქციით კი — *თევდორე* და ბოლოს — თედორე. იმავე სიტყვებს შებრუნებული რიგით შეიცავს სახელი *დოროთე*. როგორც ერთის, ისე მეორისაგან ნაწარმოებია ქალის სახელებიც: *თეოდორა, დოროთა*. ამ სახელებთან დაკავშირებით მოგვაგონდება აგრეთვე *თეო*-ს შემცველი მრავალი სხვა სახელი: *თეა, თეო* („ღვთაება)", *თეკლა, თეკლე* („ღვთის დიდება") *თეოდოსია, ფეოდოსია* („ღვთისადმი შეწირული"), *თეოდულა* („ღვთის მონა"), *თეოლინე* („ღვთის მოყვარე"), *თეოფილაქტე* („ღვთის მცველი") და ა. შ.

თევდორე-საგან ნაწარმოებია გვარები: *თევდორაძე, თევდორაშვილი*. ამ სახელის კნინობითი ფორმაა *თედო, თედუა*. საქართველოს ისტორიული წარსულიდან კარგად არის ცნობილი თავდადებული მღვდელი *თევდორე*. მან შემოსეულ თურქთა ლაშქარს გზა აუბნია, რისთვისაც ხმლით აკუწეს, მაგრამ ქვეყანა კი იხსნა განსაცდელისაგან (1609 წ.).

თეიმურაზ (ირან.) „სხეულით ძლიერი". როგორც ფიქრობენ, მისი უძველესი ფორმაა ინდური *თაჰმაურუპა* („ძლიერი მელა"), მაგრამ შემდეგ ხელახლა იქნა გააზრიანებული და სახეცვლილი ირანულში. ეს სახელი ჰქვია „შაჰ-ნამეს" ერთ-ერთ გმირს, ირანის ლეგენდარულ მეფეს. საქართველოში ამ სახელით ცნობილია ორი მეფე-პოეტი. თეიმურაზის მოფერებითი ფორმებია: *თემო, თემუკა, თემუკო, თემიკო*.

თემურ (თურქულ-მონღოლური) „რკინა". ეს სახელი ერქვა მონღოლთა ურდოების წინამძღოლს თემურ-ლენგს (ე. ი. „კოჭლ თემურს"), რომელსაც რუსები ტამერლანს ეძახიან; სახელი *თემური*

მონღოლურიდან გადასულა თურქულში და ამ უკანასკნელის მეშვეობით ჩვენშიაც გავრცელდა.

თენგიზ იგივეა რაც *ჩინგიზ*, რაც მონღოლურად „დიდს," „ძლიერს" ნიშნავს. მონღოლთა ძლევამოსილი სახელმწიფოს დამაარსებელს ჩინგიზხანს სახელად თემუჩინი ერქვა. *ჩინგიზ-ხანი* („ძლიერი, დიდი ხანი") მისი წოდება იყო, რომელიც შემდეგ საკუთარ სახელად იქნა გაგებული. ამ სახელმა თურქულში *თენგიზ*-ის ფორმა მიიღო და აქედან შემოვიდა ქართულში. თურქულის მიხედვით მას ხშირად „ზღვად" თარგმნიან.

თომა (ძვ. ებრ.) „მარჩიბივი" ანუ „ტყუპის ცალი" („ტყუპთაგან ერთ-ერთი"). აქედანაა გვარები: *თომაძე, თომაშვილი.*

თორნიკე

თორღვა

თურმან (სპ.) აქედანაა გვარი თურმანიძე.

ი

ია დღეს კაცის სახელად ცალკე აღარ გვხვდება, მაგრამ ადრე გავრცელებული სახელი იყო, რომელიც დასტურდება ჯერ კიდევ IX საუკუნეში („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში"). ახლო წარსულიდან ცნობილი არიან მწერალი ია ეკალაძე და კომპოზიტორი ია კარგარეთელი. *ია* აწარმოებს იაშვილის გვარს. კაცის სახელი *ია* ამჟამად *იაკობ*-ის შემოკლებულ ფორმად ითვლება, მაგრამ შესაძლოა მომდინარეობდეს არაბული *იაჰია*-საგან. სხვა წარმოშობისაა ქალის სახელი *ია*, რომელიც ადრეული გაზაფხულის ყვავილის სახელწოდებას უკავშირდება და დღესაც ფართოდ არის გავრცელებული.

იაგო ესპანური ფორმაა *იაკობ*-ისა, ანდა მიღებულია *იაგორ*-ის შემოკლებით.

იაკინთი (ბერძ.) „იაგუნდი" (ჰქვია ყვავილს და ძვირფას ქვას). ერთ დროს ქალის სახელადაც იხმარებოდა.

იაკობ (ძვ. ებრ.) „მიმყოლი", „მიმდევარი" (სიტყვასიტყვით: „მისდევს", „მიჰყვება"). თავდაპირველად ნიშნავდა ტყუპთაგან მეორედ დაბადებულს, შემდეგ კი მიეცა მნიშვნელობა ღვთის მიმყოლის ანუ ღვთის კვალზე მავალისა. მისი შემოკლებული ფორმე-

ბია: *ია, იაკო, იაშა*. მისგან მიღებული გვარებია: *იაკობიძე, იაკობაშვილი, აკობია*.

იამან (არაბ.) „მარჯვენა". აქედანაა გვარი *იამანიძე*.

იანვარა ქართული სახელია, ნიშნავს „იანვარში დაბადებულს", „იანვრისას" (შეადარეთ *მარტია, მაისა*). თვის სახელწოდება იანვარი თავის მხრივ მომდინარეობს რომაელთა ღვთაების იანუსის სახელისაგან, საიდანაც ნაწარმოებია აგრეთვე კაცის სახელი *იანუარი* („იანუსის კუთვნილი", „იანუსისა"). ამიტომ ეს ორი სახელი (ქართ. *იანვარა*, ლათ. *იანუარი*) ფორმით ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან. *იანვარა*-საგან მიღებულია გვარი *იანვარაშვილი*.

იარალი (თურქ.) „შეყვარებული" (პირდაპირი მნიშვნელობით: „დაჭრილი").

იაროსლავ (სლავ.) შედგება ორი სიტყვისაგან, რომელთა მნიშვნელობაა „ნათელი" და „დიდება". სლავურ ენებში გვხვდება მისგან ნაწარმოები ქალის სახელიც: *იაროსლავა*.

იასე (ბერძ.)

იასონ (ბერძ.) „მკურნალი". ამავე სახელის მეორეგვარი გამოთქმაა *იაზონ*. ბერძნულ მითოლოგიაში ეს სახელი ჰქვია არგონავტების მეთაურს, რომელმაც მოხიბლა კოლხთა მეფის ასული მედეა და მისი დახმარებით გაიტაცა ოქროს საწმისი.

იაგორ გავრცელებული სახელია რუსეთში; როგორც ფიქრობენ, მომდინარეობს სკანდინავიურიდან, სადაც *ინგვარ* ნიშნავს „ინგვეს მცველს" (ინგვე ძველ ისლანდიელთა ღვთაების სახელია და ადამიანის სახელადაც იხმარება).

იგორ წარმოშობით იგივეა, რაც *იაგორ*. შემოსულია რუსულიდან.

იესე

ივანე (ძვ. ებრ.) „ღვთის წყალობა" (სიტყვასიტყვით: „ის, ვის მიმართაც ღმერთი მოწყალეა", „ვისაც ღმერთი სწყალობს"). ამ სახელის საწყისი ფორმაა *იოხანან (იეჰოხანან)*. სხვადასხვა სახეცვლილებით იგი შესულია მსოფლიოს მრავალ ენაში. ქართულში ძველად გვხვდებოდა *იოვანე* და *იოანე*, აქედან მივიღეთ *ივანე*, მისი შემოკლებით კი — *ვანო*. ამ სახელისაგან წარმოქმნილია რამდენიმე ქართველი გვარი: *ივანიძე, ივანიშვილი, ჟვანია* (←*ივანია*).

ივერი ქართული სახელია, მიღებულია ქართველთა სატომო სახელწოდებისაგან (შეადარეთ ქვეყნის სახელი *ივერია*).

ივლიანე (ლათ.) ნიშნავს იულის (იულიუსის) კუთვნილს ან „ივლისის თვისას" (თვითონ თვის სახელწოდება *ივლისი* უკავშირდება ადამიანის სახელს *იულიუსს*, რომელიც წარმოშობით ბერძნულია და „თმახუჭუჭას" ნიშნავს). იმავე მნიშვნელობისაა სახელი *იულონ*.

ილამაზ

ილარიონ (ბერძ.) „მხიარული".

ილია (ძველი გამოთქმით *ელია*) ებრაულად ნიშნავს: „სიმაგრე ღვთისა" (სიტყვასიტყვით: „ღმერთი — სიმაგრე ჩემი", ან „ღმერთი ჩემი—იეღოვა"). ებრაულიდან შესულია ბერძნულში, სადაც მიღებული აქვს მნიშვნელობა „მზიანისა", „მზიურისა" (იხ. *ელია*). ბერძნულ მითოლოგიაში იგი ამინდისა და ჰექა-ქუხილის ღმერთად ითვლება. ილია საქართველოში ფართოდ გავრცელებული სახელია, ერქვა მრავალ გამოჩენილ პიროვნებას. აქ საკმარისია გავიხსენოთ XIX ს. უდიდესი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, ილია-ს კნინობითი ფორმებია: ილა, ილო, ილიკო.

იმედა (ქართ.) იშვიათად ქალის სახელადაც გვხვდება (საეკლესიო კალენდრით მას შეესატყვისება *ელპიდე*, შეადარეთ აგრეთვე რუს. *ნადეჟდა*). მისგან ნაწარმოებია გვარები: *იმედაძე*, *იმედაშვილი*.

იობ (ძვ. ებრ.) მნიშვნელობა დაუზუსტებელია: საეკლესიო კალენდრის მიხედვით ნიშნავს „დევნილს", სხვაგვარი ვარაუდით „მომნანიებელს". მისგან ნაწარმოებია რამდენიმე ქართული გვარი: *იობიძე*, *იობაშვილი*, *იობაია*, *ჯობავა* (←*იობავა*), *ჯობაძე*.

იოველ (ძვ. ებრ.) „უფალი", „ღმერთი" (სიტყვასიტყვით: „იეღოვა — ღმერთი"). აქედანაა გვარი *ჟველია* (←*იოველია*).

იოთამ (ძვ. ებრ.) „წმინდა არს ღმერთი".

იონა (ძვ. ებრ.) „მტრედი"

იორამ (ძვ. ებრ.) „ღმერთი მაღალია". აქედან გვარი *იორამაშვილი*.

იორდანე (ძვ. ებრ.) „მდინარე", „მდინარება". ეს სახელი ჰქვია მდინარეს პალესტინაში. აქედან ნაწარმოებია ქართული გვარები: *იორდანიშვილი*, *ჟორდანია* (←*იორდანია*).

იოსებ (ძვ. ებრ.) „გამრავლება“, „მატება“, სიტყვასიტყვით: „ის (ე. ი. ღმერთი) გაამრავლებს“, „შეჰმატებს“. ერთ-ერთი იმ სახელთაგანია, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული მთელ მსოფლიოში. მისი კნინობითი ფორმებია ქართულში: *სოსო, სოსია, სოსიკო, ოსიკო. იოსებ*-ისაგან არის ნაწარმოები ქართული გვარები: *იოსებიძე, იოსებაშვილი, ოსეფაშვილი, ოსეფაიშვილი* და სხვა.

იოსია (ძვ. ებრ.) „ღმერთი იცავს“, „ღმერთი ამაგრებს“. ეს სახელი გვხვდება ქართულში უძველესი ხანიდან, სახელდობრ, იგი დასტურდება პალესტინაში აღმოჩენილ ერთ-ერთ ქართულ წარწერაში, რომელიც VI ს. პირველი ნახევრით თარიღდება. იოსიასაგან ჩანს ნაწარმოები გვარი *იოსავა*.

იპოლიტე (ბერძ.) „ცხენის ამხსნელი (აკაზმულობის მომხდელი)“. შეადარეთ საცხენოსნო შეჯიბრების ადგილის სახელწოდება — *იპოდრომი*.

ირაკლი (ბერძ.) „ჰერას დიდება“ (ჰერა—ზევსის მეუღლე, ქორწინებისა და ცოლქმრული სიყვარულის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში). ეს სახელი ერქვა მითიურ გმირს — ჰერასა და ზევსის შვილს — ჰერკულესს ანუ ჰერაკლეს (იხ. აგრეთვე *ერეკლე*).

იროდიონ (ბერძ.) „გმირი“. ეს სახელი ერქვა ცნობილ ქართველ პოეტს იროდიონ ევდოშვილს (ხოსიტაშვილს).

ისაია (ძვ. ებრ.) „ხსნა უფლისაგან“, „ღვთისაგან მოვლენილი დახმარება“ (იხ. უფრო ადრინდელი ფორმა *ესაია*).

ისაკ (ძვ. ებრ.) „მოცინარი“ (სიტყვასიტყვით: „ის გაიცინებს). ბიბლიური გადმოცემის მიხედვით, პატრიარქ აბრამის ცოლს სარას, რომელსაც დიდხანს შვილი არ ჰყავდა, უკვე მოხუცებულობის ჟამს უწინასწარმეტყველეს, რომ ვაჟი გაუჩნდებოდა. მან არ დაიჯერა ეს და გაეცინა. შემდეგ კი, როცა წინასწარმეტყველება აუხდა, ვაჟს ისაკი დაარქვა. აქედანაა გვარები: *ესაკია* და *ისაკაძე*.

ისიდორე (ბერძ.) „ისიდას საჩუქარი“. *ისიდა* ანუ *იზიდა* ძველ ეგვიპტელთა მიწათმოქმედების ქალღმერთია.

ისმაილ (ძვ. ებრ.) „ღმერთი ისმენს“. ბიბლიური ლეგენდის თანახმად, ღმერთმა ისმაილი (მუსულმანთა წინასწარმეტყველი, რომელიც არაბების მამამთავრად ითვლება) აჩუქა დედას მისი ლოცვა-ვედრების პასუხად. სწორედ ამიტომ დაერქვა მას ასეთი სახელი.

იულონ (ლათ.) „ივლისისა". (იხ. უფრო დაწვრილებით ზემოთ ივლიანე).

იური ფართოდ არის გავრცელებული რუსულში, სადაც შესულია სკანდინავურიდან. წარმოშობით იგივეა, რაც ბერძნული *გიორგი* (იხ.).

იუსტინე (ლათ.) „იუსტისა". *იუსტ* საკუთარი სახელია და ნიშნავს „სამართლიანს" (შეადარეთ *იუსტიცია* — „მართლმსაჯულება"). აქედან სუფიქსის დართვით ნაწარმოებია *იუსტინე* („იუსტის კუთვნილი", „იუსტისა"), ხოლო ამ უკანასკნელისაგან ისეთივე გზით ნაწარმოებია *იუსტინიანე* („იუსტინეს კუთვნილი", „იუსტინესი").

იჩქით (ქართ.) „უცარი, „მოულოდნელი", „სწრაფი". ძველი ქართული სახელია. ერთი იჩქითი, გვარად გურგენიძე, რუსთველის ეპოქის მოღვაწეა. ამ სახელისაგან გვაქვს გვარები: *იჩქიტიძე, ინჩქიტიძე*.

კ

კაკი ხურიტული სახელია, ამჟამად მიჩნეულია *აკაკი*-ს შემოკლებულ ფორმად, მაგრამ მის სხვაგვარ წარმოშობას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ აკაკი კაცის სახელია, ხოლო კაკი გურიასა და სამეგრელოში გვხვდება როგორც კაცის, ისე ქალის სახელად. მისი ფონეტიკური ვარიანტებია: *კაკა, ქაქა, გაგა, გიგი* (შეადარეთ აგრეთვე სომხური *გაგ, გაგიკ*). აქედანაა გვარები: *კაკაშვილი, კაკიაშვილი*.

კალე ემთხვევა ბერძნული მამაკაცის სახელების *კალენიკე*-სა და *კალისტრატე*-ს პირველ ნაწილს (*კალოს* — „სილამაზე", „მშვენიერება") და მიჩნეულია მათ შემოკლებულ ფორმად, თუმცა შესაძლოა დამოუკიდებელი სახელი იყოს, ისევე როგორც *ბუდუ, გაგი, კაკი* და სხვანი.

კალენიკე (ბერძ.) „ლამაზი გამარჯვება" ან „ბრწყინვალედ გამარჯვებული" (არსებობს მისგან წარმოქმნილი ქალის სახელიც: *კალენიკა, კალინკა*). შედგება ორი სიტყვისაგან: *კალოს* — „სილამაზე" და *ნიკე* — „გამარჯვება". იგივე სიტყვები შედის ბერძნული წარმოშობის ბევრი სხვა სახელის შემადგენლობაშიც, როგორი-

ცაა, მაგალითად: *კალიოპი, კლიოპა* (ხმა-მშვენიერი"), *კალისტო* („ულამაზესი"), *კალისტინე* („კალისტოსი" ანუ „ულამაზესისა"), *კალისტრატე* („მშვენიერი მეომარი"), *კალიდა* („ლამაზი გარეგნობისა"), *კალისა* („ლამაზი"), *ნიკანდრო* („გამარჯვებული ვაჟკაცი"), *ნიკოლოზ* და სხვანი (იხ. აგრეთვე *ნიკოლოზ*).

კანდიდ (ლათ.) „თეთრი", „სპეტაკი", „გულწრფელი".

კაპიტონ (ლათ.) „თავიანი", „მეთაური" (შეადარეთ *კაპიტანი*).

კარლო იტალიური ფორმაა ძველი გერმანული სახელისა, რომელიც „მამაკაცს" ნიშნავს. გერმანულად გამოითქმის კარლ, ფრანგულად — შარლ, ინგლისურად — *ჩარლზ* (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ ქართული *კაცია*, მეგრული *კოჩა*, ბერძნული *არსენი* და სხვა). კარლისაგან ნაწარმოებია ქალის სახელიც: *კაროლინა* („კარლისა", ე. ი. „მამაცისა").

კარპე, კარპეზ (ბერძ.) „ნაყოფი" (შეადარეთ *ეფრემ, პოლიკარპე*).

კასიანე (ლათ.) „თავჩაჩქნიანი". ძველი წმინდანის სახელია, რომლის დღესასწაულიც მოდიოდა 29 თებერვალს, ე. ი. ოთხ წელიწადში ერთხელ, ნაკიან წელიწადს. ამის გამო კასიანე ცუდი ხასიათის, ბრაზიან წმინდანად ითვლებოდა.

კაცია (ქართ.) საეკლესიო კალენდარში მიჩნეულია ადამ-ის შესატყვისად (მნიშვნელობით მას შეედრება ბერძნული *არსენ*, გერმანული *კარლ* და სხვანი). მისი კნინობითია კაციტა, რომელიც დღეს შემონახულია მხოლოდ *კაციტაძის* გვარში. წინათ სახელი იყო აგრეთვე *კაცობა* (შეადარეთ მეგრული *კოჩობა*), საიდანაც მიღებულია *კაცობაშვილის* გვარი. თვითონ კაცია-საგან ნაწარმოებია გვარები: *კაცია, კაცაძე, კაციაშვილი*.

კახა, კახი (ქართ.) საფუძვლად უძევს ქართველთა ერთ-ერთი სატომო სახელი *კახი* (შეადარეთ *ქართლ*-ისაგან ნაწარმოები სახელი *ქართლოს*, *ივერია*-საგან — *ივერი* და სხვანი). აქედანაა გვარები: *კახაძე, კახიძე, კახიანი*.

კახაბერ (ქართ.) ნაწარმოებია იმავე *კახა*-საგან (*ბერ*-ის შესახებ იხ. ზემოთ გვ. 44—45). ამ სახელით საქართველოს ისტორიაში ცნობილია არაერთი გამოჩენილი პიროვნება.

კვირია (ქართ.) მისი პარალელური ფორმაა *კვირისა*. ნიშნავს „კვირას დაბადებულს". კვირია ჰქვია ვაჟა-ფშაველას „ბახტრი-

ონის“ ერთ-ერთ მთავარ გმირს. ი. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ძველისძველად კვირია ერქვა შვილიერებისა და მოსავლიანობის ღვთაებას, რომლის სახელიც შეიძლება წარმომდგარი იყოს კვირადღის სახელწოდებისაგან, ან ძველ საბერძნეთში გავრცელებული *კვირია* („უფალი“) სახელისაგან, ან კიდევ *კვირინე* ღვთაების სახელისაგან. გ. მელიქიშვილის აზრით, იგი უკავშირდება ურარტულ ღვთაებას *კუერას*.

კვირიკე (ბერძ.) „უფლისა“. ქართულში ადრიდანვე გვხვდება არაერთი ისტორიული პირის სახელად. მისგან ნაწარმოებია გვარები: *კვირიკაძე, კვირიკაშვილი*. *კვირიკეს* ქართული შესატყვისია *უფლისა* (აქედან გვარი *უფლისაშვილი*). სომხურში ეს სახელი დაცულია *კირაკოს*-ის ფორმით. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული სიტყვა კვირიოს („უფალი“, „ბატონი“), საიდანაც ნაწარმოებია *კვირიკე*, საფუძვლად უძევს აგრეთვე არაერთ სხვა სახელსაც, როგორიცაა, მაგალითად, კაცის სახელები: *კვირიონ (კირიონ), კვიროსი (კიროსი), კირიაკ, კირიან* და ამათგან წარმოქმნილი ქალის სახელები: *კირა, კირიაკა, კირიანა* და სხვანი.

კიკოზო (ბერძ.) „მკურნალი“ (ეტიმოლოგია საეჭვოა).

კიკა არაკალენდარული სახელია, რომელსაც მოეპოვება რამდენიმე ვარიანტი: *კიკი, კიკილა, კიკიტა, კიკო, კიო, კოლა, კიკოლიკი*. ზოგი მათგანი გვხვდება ლიტერატურულ გმირთა სახელადაც; მაგ., *კიკოლა* ა. წერეთლის პოემის „კიკოლას ნაამბობის“ გმირია. *კიკოლიკი* ჰქვია გ. წერეთლის მოთხრობის „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას“ ერთ-ერთ პერსონაჟს, *კიკო* მაყვალა მრევლიშვილის საბავშვო პოემის „ჭანჭიკელას“ პერსონაჟია. ზემოხსენებული სახელები ამჟამად სხვადასხვა კალენდარულ სახელთა შინაურულ (კნინობით) ფორმებად ითვლება, მაგრამ წარმოშობით დამოუკიდებელი სახელები ჩანს. მათგან ნაწარმოებია გვარები: *კიკიანი, კიკილაშვილი, კიკალიშვილი, კიკოლაშვილი კიკოშვილი, კიკაბიძე*.

კირიოლე (სპ.) „მზე“, სხვაგვარი ეტიმოლოგიით — ესაა ბერძნული სახელის *კვიროს*-ის კნინობითი ფორმა („პატარა ბატონი“, „ბატონიშვილი“).

კიტა (ქართ.) ეტიმოლოგია გაურკვეველია. შესაძლოა წარმოადგენდეს ზემოხსენებული *კიკიტას* შემოკლებულ ფორმას. ცნობი-

ლია XIX ს. გამოჩენილი კრიტიკოსი და ლიტერატურის ისტორიკოსი კიტა აბაშიძე.

კიწი (ქართ.)

კლიმენტი (ლათ.) „მოწყალე".

კობა (ქართ.) მიჩნეულია *იაკობ*-ის შემოკლებულ ფორმად, მაგრამ ამგვარი დაკავშირება გვიანდელი ამბავი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, *კობა* ქართულში დამოუკიდებელ სახელად არის ქცეული. ეს სახელი ჰქვია ალ. ყაზბეგის „მამის მკვლელის" ერთ-ერთ მოქმედ გმირს. *კობა* იოსებ ჯუღაშვილის (სტალინის) ფსევდონიმი იყო. ამ სახელისაგან წარმოქმნილია გვარები: *კობაიძე, კობიძე, კობიაშვილი.*

კოზმან (ბერძ.) „გალამაზებული". აქედანაა გვარი *კოზმანაშვილი*. ამავე სახელის ვარიანტებია *კოზმა, კოსმა*, რუსული *კუზმა*, (შეადარეთ აგრეთვე *კოსმეტიკა* — სახის მოვლა-გალამაზების ხელოვნება, *კოსმეა* — ყვავილის სახელწოდება).

კოკი (ქართ.) მისი კნინობითი ფორმებია: *კოკა, კოკინია, კოკილა*. ამათგან მოდის გვარები: *კოკაია, კოკაშვილი, კოკილაშვილი.*

კონა ამ ფორმით გვხვდება სირიულსა და სომხურში. ალბათ ერთ-ერთი ამათგანის მეშვეობით არის შემოსული ქართულში. ბერძნულშია *კონონ*. ეს ფორმა ყოფილა რუსულშიც (შეადარეთ გვარი *კონონოვი*). *კონა* სახელად ქართულში პირველად გვხვდება ერთ ძველ ძეგლში, რომლის სახელწოდებაა „მარტვილობა გურია, სამონა და აბიბოსეთი". აქედანაა გვარი *კონიაშვილი.*

კონდრატე (ძვ. გერმ.) „მამაცი კონსული", სხვაგვარი ეტიმოლოგიით უკავშირდება ლათინურს და ნიშნავს „ოთხკუთხას" (შეადარეთ *კვადრატი*). ეს სიტყვა საკუთარ სახელად ქცეულია ბერძნულში და აქედანაა გადასული სხვა ენებში.

კონსტანტინე (ლათ.) „მტკიცესი", „ურყევისა", მედგარისა" (იგულისხმება: შვილი). მისი შემოკლებული ფორმებია: *კოტე, კოსტა, კოწია, კოწო*. ამათგანაა გვარები: კოტეტიშვილი, კოსტავა.

კოპალე ძველი ქართული ღვთაების სახელია, აქედან მოდის გვარები: *კოპალეიშვილი, კოპალიანი, კობალაძე.*

კორნელი (ლათ.) „რქიანი" ან „შინდის ნაყოფი", „შვინდა" (ორივე ახსნა საეჭვოა). ევროპულ ენებში გვხვდება მისგან ნაწარმოები ქალის სახელიც: *კორნელია.*

კოტე კონსტანტინე-ს შემოკლებული ფორმაა ქართულში, აქვს დამოუკიდებელ სახელად ქცევის ტენდენცია (გავიხსენოთ ცნობილი მსახიობი კოტე მესხი, რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი). მისი კნინობითი ფორმა უნდა იყოს *კოტეტი*, რომელიც დაცულია *კოტეტიშვილის* გვარში.

კოჩა (ქართ.) კაცია-ს კოლხური ფორმაა (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ აგრეთვე *არსენი, კარლო*).

კოხტა (ქართ.) აქედანაა გვარი *კოხტაშვილი*.

კუკური (ქართ.) „კოკობი ვარდი", „ვარდის კოკორი".

ლ

ლადო მომდინარეობს *ვლადიმერ*-ისაგან, ქართულში ქცეულია დამოუკიდებელ სახელად (ლადო აღნიაშვილი, ლადო მესხიშვილი, ლადო გუდიაშვილი, ლადო გრიგოლია, ლადო ასათიანი). მისი მოფერებითი ფორმაა *ლადიკო*.

ლავრენტი (ლათ.) — ლაურუს ლათინურად ეწოდება „დაფნას" (იქიდანვეა რუს. лавр — „დაფნა"). ძველთაგანვე წესად იყო სხვადასხვაგვარი შეჯიბრის დროს გამარჯვებულის შემკობა დაფნის გვირგვინით. ამიტომ ამ სიტყვამ გადატანითი მნიშვნელობაც შეიძინა და „გამარჯვებას" ნიშნავს (აქედანაა *ლაურეატი* — „დაფნით შემკული" ე. ი. „გამარჯვებული"). იმავე სიტყვისაგან ნაწარმოებია აგრეთვე ქალაქის სახელწოდება *ლავრენტია*. ყოველივე ამის წყალობით *ლავრენტი* განიმარტება როგორც — „დაფნისა", „დაფნის გვირგვინის დამდგმელი" ე. ი. „გამარჯვებული"), ან „ქალაქ ლავრენტიის მცხოვრები". იმავე სიტყვის ძირისაგან ნაწარმოებია აგრეთვე რამდენიმე სხვა სახელიც: *ლავრი, ლავრა, ლაურა*.

ლაზარე (ძვ. ებრ.) „ღვთის წყალობა" (უფრო დაწვრილებით იხ. *ელიაზარ*).

ლაშა (ქართ.) „ნათელი", „შუქი". *ლაშარი* სალოცავია ფშავხევსურეთში, ალაშარა აფხაზურად „სინათლეს" ნიშნავს. ლაშა კავშირშია ამ სიტყვებთან, იგი მომდინარეობს წარმართული ღვთაების სახელისაგან. ცნობილია საქართველოს მეფე ლაშა-გიორგი, თამარ მეფის ვაჟი (მეფობდა 1213—1222 წლებში).

ლაშქარა (ქართ.) აქედანაა გვარები *ლაშქარაძე, ლაშქარაშვილი*.

ლეგა (ქართ.) „შავგვრემანი“.

ლევან ქართული ფორმაა ლეონ-ისა, რაც „ლომს“ ნიშნავს. ცხოველთა მეფის სახელწოდება ბევრ ევროპულ ენაში ძველ-ეგვიპტური *ლებუ*-საგან მომდინარეობს; ასეთია, მაგალითად: ბერძნული *ლეონ*, ლათინური *ლეო*, გერმანული *ლიოვე*, რუსული *ლევ*... აქედანვეა ქართული ფორმა *ლომი*. იგი, როგორც ადამიანის საკუთარი სახელი, საეკლესიო კალენდარში არ გვხვდება, მაგრამ ეს სახელი რომ გავრცელებული ყოფილა ხალხში, ამას მოწმობს მრავალი გვარი (*ლომიძე, ლომაძე, ლომაშვილი, ლომაური* და სხვანი). საეკლესიო კალენდარში ეს სახელი შეტანილი იყო ბერძნული ფორმით: *ლეონ*. მასვე უკავშირდება *ლევ, ლეო* და *ლევან*. ამათგან მომდინარე გვარებია: *ლეონიძე, ლევიძე, ლევიშვილი, ლევანიშვილი*. *ლევანი* საქართველოს ისტორიაში არაერთი ცნობილი პიროვნების სახელია, განსაკუთრებით ხშირად იგი გვხვდება სამეგრელოს მთავრების (დადიანების) საგვარეულო სახელად.

ლელო (ქართ.)

ლეო, ლეონ (ლათ.) „ლომი“ (დაწვრილებით იხ. *ლევან*). ლეონი ერქვა რამდენიმე მეფესა და ერისთავს, ვახტანგ გორგასალის ვაჟს, ვახტანგ მეექვსის მამას, ერეკლე მეორის ვაჟს და ა. შ. ლიტერატურულ პერსონაჟთაგან ლეონი ჰქვია მეფის ვაჟის, ჯუმბერის, აღმზრდელს სულხან-საბა ორბელიანის „სიბძნე სიცრუისაში“.

ლეონიძე (ბერძ.) „ლომის მსგავსი“.

ლეონტი (ბერძ.) „ლომისა“. ცნობილია ძველი ქართველი ისტორიკოსი, „ქართლის ცხოვრების“ აღმწერთაგანი ლეონტი მროველი. ხალხში გვხვდება პარალელური ფორმა *ლევანტი* (შეადარეთ: *ლეონ*||*ლევან*).

ლიპარიტ ქართული სახელია, გაურკვეველი მნიშვნელობისა, ქართულიდან შესულია სომხურში. ლიპარიტი თრიალეთის ერისთავთა საგვარეულო სახელია და ბევრი მათგანი კარგად არის ცნობილი „ქართლის ცხოვრებიდან.“ ამ სახელისაგან ნაწარმოებია გვარები: *ლიპარტიანი, ლიპარტია, ლიპარტელიანი*.

ლომინ (ქართ.) არაკალენდარული სახელია, საეკლესიო კალენდრის მიხედვით მას შეეფარდება ლეონ, ლეონტი, არსიანე (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ აგრეთვე ებრაული არიელ, თურქული არსლან, ასლან და სხვანი). წინათ გვხვდებოდა აგრეთვე *ლომ*-ისა-

გან ნაწარმოები ქართული სახელები: *ლომია, ლომისა*. მათგან ნაწარმოებია მრავალი გვარი: *ლომიძე, ლომაძე, ლომიშვილი, ლომაშვილი, ლომიაშვილი, ლომაური, ლომაია, ლომია, ლომთაძე, ლომთათიძე, ლომინაძე, ლომინაშვილი, ლომინეიშვილი, ლომსაძე* და სხვანი.

ლონგინოზ (ლათ.) „გრძელი", „ხანგრძლივი".

ლუარსაბ ეს ირანული სახელი ორი სიტყვისაგან შედგება: *რუდჰრ* „წითელი" და *ასპ* „ცხენი". მაშასადამე, *რუდჰრ-ასპ* (საიდანაც მიღებულია სპარსული *ლუჰრასპ*, ხოლო ამ უკანასკნელისაგან ქართული *ლუარსაბ*), ნიშნავს „წითელ (ქურანა, წაბლა) ცხენს". აღსანიშნავია, რომ ირანელები ცხენს დიდ პატივს სცემდნენ და მასთან დაკავშირებულ სახელებს ხშირად არქმევდნენ ბავშვებს. ამიტომაც იქ ბევრია *ასპ* („ცხენი") დაბოლოებიანი სახელები, რომელთაგან ზოგი ქართულშიც დასტურდება: *გულასპი, გორჯასპი* (←*გოჯასპირ*), *ბევრასპი, ხაზარასპი* და სხვა.

ლუჰრასპი ჰქვია „შაჰ-ნამეს" გმირს, ლეგენდარულ მეფეს. საქართველოში *ლუარსაბი* ერქვა ორ მეფეს XVI—XVII საუკუნეებში.

ლუარსაბის შემოკლებული ფორმაა *ლუა*, ფონეტიკური ვარიანტია *ლევარსი*. ამ სახელისაგან მიღებულია გვარები: *ლუარსაბიშვილი, ლუარსამიძე, ლუაშვილი*.

ლუკა. ლათინური *ლუკს* („სინათლე") სიტყვა ნათესაობითი ბრუნვის ფორმით (*ლუკის* — „სინათლისა", „ნათელისა") ქცეულია საკუთარ სახელად ბერძნულში, სადაც გვხვდება *ლუკას*, აქედან კი იგი სხვადასხვაგვარი ფონეტიკური სახეცვლილებით შედის მრავალი ქრისტიანი ხალხის ანთროპონიმიკაში. იმავე ლათინური სიტყვისაგან მომდინარეობს აგრეთვე რამდენიმე სხვა სახელიც: *ლუკიანე, ლუკილიანე, ლუკრეციუსი, ლუკიანა, ლუკინა, ლუკია, ლუკრეცია*. ქართულში *ლუკა*-საგან ნაწარმოებია გვარი *ლუკაშვილი*.

ლუხუმ გავრცელებული სახელია მთის კუთხეებში. ეტიმოლოგია უცნობია. *ლუხუმი* ჰქვია ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის" ერთ-ერთ გმირს, ფშავ-ხევსურთა ლაშქრის მეთაურს, სახელოვან მეომარს.

მ

მათე (ძვ. ებრ.) „ღვთის კაცი", „ღვთის ნაჩუქარი". მნიშვნელობით მას შეიძლება შევადაროთ ებრაული ნათან, ბერძნული

თევდორე, დოროთე, სლავური ბოგდან. მათე-საგან ნაწარმოებია გვარები: *მათეშვილი, მათიაშვილი, მათიკაშვილი.*

მაკარ (ბერძ.) „ნეტარი", „ბედნიერი". აქედანაა გვარი *მაკარიძე.*

მალაქია (ძვ. ებრ.) „ჩემი (იგულისხმება: ღვთის) გაგზავნილი", ე. ი. „ღვთის მოციქული".

მალხაზ (ქართ.) „ცქვიტი", „კოხტა", „ლამაზი". გარეგნულად ჰგავს ირანულ სიტყვას *მალი-ხას* („რჩეული ნივთი"). *მალხას* ვაჟის სახელად გვსვდება სომხურშიც, მაგრამ მისი კავშირი ირანულთან საეჭვოდ მიიჩნევა.

მამამზე (ქართ.)

მამანტი (ბერძ). „ძიძა" (ეტიმოლოგია საეჭვოა).

მამია (ქართ.) ცხადია, ისევე როგორც *მამისა, მამნე* და *მამუკა*, ნაწარმოებია ქართული *მამა* სიტყვისაგან, თუმცა საეკლესიო კალენდარი ბერძნული ენის საფუძველზე განმარტავდა ამ სახელს *(მამა*-ს ფორმით) როგორც „ძუძუმწოვარს". მამია გურიის მთავართა (გურიელთა) საგვარეულო სახელი იყო. XIX საუკუნიდან ცნობილია პოეტი მამია გურიელი.

მამნე (ქართ.) „მამისა" (წარმოების მხრივ შეადარეთ *ცოტნე*). აქედანაა გვარი *მამნიაშვილი.*

მამუკა (ქართ.) წინათ გვხვდებოდა აგრეთვე მისი კნინობითი ფორმა *მამუკელა*, საიდანაც ნაწარმოებია გვარი *მამუკელაშვილი.* ვაჟის სახელად გვხვდებოდა აგრეთვე *მამისა*, რომელიც საფუძვლად უძევს *მამისაშვილის* გვარს.

მანასე (ძვ. ებრ.) „დავიწყებული" (ან: „დამვიწყებელი").

მანუჩარ (ირან.) „ციური (სამოთხისებური) სახის მქონე". მისი ფონეტიკური ვარიანტია *ნანუჩა.* მანუჩარის ძველი ფორმაა *მანუშჩიტრა*, რაც „მანუშის მთაზე დაბადებულს" ნიშნავს, მაგრამ ჯერ კიდევ ფირდოუსის დროს (X ს.) ამ სახელს დაკარგული ჰქონია ძველი მნიშვნელობა და ნიშნავდა „სამოთხისებური სახის მქონეს". მანუჩარი „შაჰ-ნამეს" ერთ-ერთი გმირია. ის შვილიშვილია ირანის ტახტის მემკვიდრის ირეჯისა, რომელიც ძმებმა მოკლეს. მამამისი ფერიდუნი ამის გამო დაბრმავდა. როცა ირეჯის შვილიშვილი დაიბადა, ფერიდუნმა ღმერთს შესთხოვა, წუთით დაებრუნებინა მისთვის მხედველობა, რომ ახალდაბადებული დაენახა; ღმერთმა თხოვნა შე-

უსრულა და ფერიდუნმა ბავშვს მანუჩარი („სამოთხის სახისა") დაარქვა.

მარკოზ ბერძნული საკუთარი სახელია, რომელსაც დამაჯერებელი ეტიმოლოგია არ მოეპოვება. ფიქრობენ, რომ მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს „ჩაქუჩს", სხვაგვარი ეტიმოლოგიით — „ჭკნობადი" ან კიდევ „მარტისა" („მარტში დაბადებული"). მისგან ნაწარმოებია გვარები: *მარკოზაშვილი, მარკოიშვილი, მარკოზია.*

მარტია (ლათ.) „მარსისა", „მარსის (ომის ღმერთის) კუთვნილი", ე. ი. „მეომარი". ევროპულ ენებში გვხვდება იმავე ფუძისაგან ნაწარმოები ვაჟის სახელები *მარტინე* და *მარტინიანე*, ამ უკანასკნელთაგან კი იწარმოება ქალის სახელებიც: *მარტინა, მარტინიანა.* ქართულში *მარტია* გააზრიანებულია როგორც „მარტისა" („მარტში დაბადებული"). მისგან ნაწარმოებია გვარები: *მარტიაშვილი, მარტაშვილი.*

მაქსიმე (ლათ.) „უდიდესი". შეადარეთ სიტყვები: *მაქსიმუმი, მაქსიმალური.*

მაყა (ქართ.) მნიშვნელობა გაურკვეველია, საეჭვოა კავშირი ჰქონდეს სვანურ ზმნის ფორმასთან: *მაყა* — „მყავს" (ფორმის მხრივ შეადარეთ *თაყა*). აქედანაა გვარი *მაყაშვილი.*

მახარა, მახარე (ქართ.) აქედანაა გვარები: *მახარაძე, მახარაშვილი.* ძველად გავრცელებული იყო აგრეთვე ამავე ძირისაგან ნაწარმოები სახელი *მახარობელა*, საიდანაც მიღებულია გვარები: *მახარობლიძე, მახარობლიშვილი.* მახარე ჰქვია შ. არაგვისპირელის „გაბზარული გულის" მთავარ გმირს. მახარა კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის" ერთ-ერთი პერსონაჟია.

მეთოდე (ბერძ.) „მკვლევარი", „მაძიებელი", „მწყობრად მავალი". შეადარეთ *კვლევა-ძიების* სისტემის აღმნიშვნელი სიტყვა *მეთოდი*, აგრეთვე — *მეთოდიკა, მეთოდური.*

მელენტი (ბერძ.) „მსრუნველი". პარალელური ფორმაა *მელეტი.*

მელიტონ (ბერძ.) „თაფლით ამავსებელი", „თაფლიანი".

მელქისედეკ (ძვ. ებრ.) „მეფე სიმართლისა".

მერაბ (სპ.) „მზესავით ელვარე" (სიტყვასიტყვით: „მზის წყალი" ან „მზის ელვარება"); ან: „წყლის ამირი" (წყლის გამანაწილებელი მოხელე, წყლის უფროსი). აქედანაა გვარი *მერაბიშვილი,*

მერაბი ერქვა „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთ პერსონაჟს, როსტომის პაპას, რომელიც ზაბულისტანში მეფობდა.

მმჟი მელქისედეკ-ის შემოკლებული ფორმაა, ქართულში ქცეულია დამოუკიდებელ სახელად. ეს სახელი ჰქვია კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკრის“ მთავარ გმირს.

მზეჰაბაშ (ქართ.) მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ *სამსონ*.

მინაგო (ბერძ.) „მთვარის მიხედვით ამხსნელი, მოუბარი“ (შეადარეთ გერმ. *ალფრედი*).

მინდია (ქართ.)

მირზა მომდინარეობს არაბულ-სპარსული სიტყვებისაგან: *ამირზადე* — „ამირის შვილი“. *ამირი* შუა აზიაში არაბთა მოსვლის დროიდან ეწოდებოდა მხედართმთავარს, მმართველს. ამირობით დაიწყო თავისი კარიერა თემურ-ლენგმა, რომელმაც შემდგომ თითქმის ნახევარი აზია დაიპყრო, მაგრამ მაინც შეინარჩუნა ამირის ტიტული და არ გაცვალა იგი უფრო საპატიო წოდებაზე — ხანზე (ამ ტიტულს ატარებდნენ მონღოლთა ბელადის ჩინგიზ-ხანის შთამომავლები, თემური კი მათ არ ეკუთვნოდა), ხოლო თემურის შვილებმა მიიღეს წოდება *ამირ (ემირ)-ზადე*. აქედან თავბოლოს მოკვეცით მიღებულია *მირზა*, რომელიც გვხვდება როგორც ტიტულად, ისე საკუთარ სახელად. მაშასადამე, მისი თავდაპირველი მნიშვნელობაა „უფლისწული“, „ბატონიშვილი“. მოგვიანო ხანებში ასე მიმართავდნენ აგრეთვე მდივან-მწიგნობრებს, მწერლებს, ოღონდ ამ შემთხვევაში *მირზა* სახელის წინ დაისმის მაშინ, როცა „უფლისწულის“ მნიშვნელობით ის სახელს მოსდევს.

ჩვენში ამ სახელის გავრცელებას მოწმობს გვარი *მირზაშვილი* და გეოგრაფიული სახელი *მირზაანი*. ცნობილი ქართველი პოეტია მირზა გელოვანი, რომელიც გმირულად დაიღუპა დიდ სამამულო ომში. სიკვდილის შემდეგ მიენიჭა რუსთაველისა და კომკავშირის სახელობის პრემიები.

მირიან (სპ.) „მითრასი“ ანუ „მზისა“ (*მითრა* მზის ღვთაების სახელია. მისგანვე არის ნაწარმოები *მითრიდატე* — „მითრას მიერ მოცემული“). სახელი *მირიან* ქართულში უძველესი ხანიდან გვხვდება. მირიანი ერქვა ვახტანგ გორგასალის პაპას, ქართლის მეფეს, რომლის დროსაც ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად იქცა. *მირიან*-ისაგან ნაწარმოებია გვარი *მირიანაშვილი*.

მირონ (ბერძ.) „მტირალი“ ან „მირონიანი“ (*მირონი* სურნელოვანი ზეთია, რომელსაც ეკლესიაში ხმარობენ).

მიტროფანე (ბერძ.) „დედის გამომაჩინებელი“ ე. ი. „დედის დიდება“) ან „დედით გამოჩენილი“ („სახელოვანი დედის შვილი“).

მიქელა (ძვ. ებრ.) „ღვთის სწორი, „ღვთაებრივი“ (სიტყვასიტყვით: „ვინც ღმერთივით არის“). ეს სახელი ებრაულიდან შესულა ბერძნულში და ბერძნულის გზით ფართოდ გავრცელებულა მსოფლიოს მრავალ ენაში, ოღონდ გზადაგზა საგრძნობი ცვლილებები განუცდია. მისი პირვანდელი ფორმაა *მიქაელ*, სადაც *ქ* ბერძნულშივე იქცა *ხ*-დ, *ე* კი — *ი*-დ და მივიღეთ *მიხაილ*. ეს ფორმა შესულია რუსულში, *მიხაი* გვხვდება რუმინულში, *მიხაილო*, *მიკოლა* — უკრაინულში და ა. შ. ქართულში გვაქვს როგორც მიქელ, *მიქელა*, ისე *მიხეილ*, *მიხა*. უფრო ძველი ფორმაა პირველი, საიდანაც ნაწარმოებია გვარები: *მიქელაძე*, *მიქელაშვილი*, *მიქელაიშვილი*, *მიქაშვილი*, *მიქიაშვილი*, *მიქაძე*, *მიქავა*... *მიხეილ*-ისაგან კი ნაწარმოებია მხოლოდ ორიოდე გვარი — *მიხელაშვილი*, *მიხელიძე*.

მიხეილ (იხ. აქვე ზემოთ *მიქელა*). მისი კნინობითი ფორმებია: *მიხა*, *მიხო*, *მიხაკო*.

მოსე (ძვ. ებრ.) „წყლიდან ამოყვანილი (გადარჩენილი)“. მოსე ერქვა ებრაელთა სჯულმდებელს, რომელიც, ბიბლიური გადმოცემის თანახმად, მდინარე ნილოსში მცურავ აკვანში იპოვეს და ეგვიპტის დედოფალმა იშვილა. სხვაგვარი ახსნით, ეს სახელი ძველეგვიპტურია და ნიშნავს „ბავშვს“. მისი აღმოსავლური ფორმაა მუსა. ამ სახელისაგან წარმოქმნილია ქართული გვარები: *მოსიძე*, *მოსეშვილი*, *მოსაშვილი*, *მოსიაშვილი*. *მოსია*.

მოძია (ბერძ.) „დამცინავი“.

მურად (არაბ.) „სასურველი“.

მურზაყან იგივეა რაც *მირზახან* (*მირზა* პლუს სპარსული სუფიქსი *ხან*. წარმოების მხრივ შეადარეთ *ალმას-ხან*, *დურმიშ-ხან*).

მურთაზ (არაბ.-სპ.) „რჩეული“.

მურმან აღმოსავლური სახელის მურვან-ის ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს. აქედანაა გვარები *მურმანიშვილი*, *მურვანიშვილი*, *მურვანიძე*. მურმანი ჰქვია ქართული ლეგენდის „აბესალომ და ეთერის“ ერთ-ერთ პერსონაჟს.

მუშნი სვანურად ნიშნავს „სვანს“ (შეადარეთ ქართულ სატომო სახელწოდებათაგან მიღებული სახელები: *ქართლოს, კახა*). სხვაგვარი ვარაუდის მიხედვით, ხურიტული სახელია და ნიშნავს „დიადს“, „ამაღლებულს“, „მშვენიერს“.

მუხრან (ქართ.) „მუხიანი“, „მუხისა“ (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ *ბესარიონ, სილოვან, სილიბისტრო, სილვა, სილვანა*).

ნ

ნაზარ (ძვ. ებრ.) „ღვთისადმი შეწირული“ (სიტყვასიტყვით: „მან თავი ღმერთს შესწირა“, „ღმერთს უძღვნა“). ამავე ფუძისაგანაა ნაწარმოები იუდეველთა ქალაქის სახელწოდება *ნაზარეთი*. ამ საბელისაგან ჩანს წარმომდგარი ქართული გვარები: *ნასარაია, ნასარიძე, ნაზარიშვილი*.

ნანუჩა იხ. *მანუჩარ*.

ნარიმან (ირან.) „გულადი“, „მამაცი“, „ძალგულოვანი“ (შედგება ზენდური სიტყვისაგან: *ნარ* „ვაჟი“, „*მამრი*“, მანო „გული“). აქედანაა გვარები: *ნარიმანიძე* და *ნარმანია*.

ნაშმ, ნაშმ (ძვ. ებრ.) „ნუგეში“.

ნასყიდა (ქართ.) აქედანაა გვარი *ნასყიდაშვილი*.

ნესტორ (ბერძ.) „შინ (სამშობლოში) დაბრუნებული“.

ნიაზ (სპ.) „წადილი“, „სურვილი“, „საზრუნავი“, „სათხოვარი“.

ნიანია (ბერძ.) „ჭაბუკი“. ერქვა რამდენიმე ისტორიულ პიროვნებას ძველ საქართველოში.

ნიკა (ბერძ.) გამარჯვების ქალღმერთის სახელია ანტიკურ მითოლოგიაში. ბერძნულში გვხვდება ქალის სახელად, ქართულში კი მიჩნეულია *ნიკოლოზ*-ის შემოკლებულ ფორმად და ვაჟის სახელად არის ქცეული.

ნიკო წარმოადგენს *ნიკოლოზ*-ის შემოკლებულ ფორმას, ქართულში ახასიათებს დამოუკიდებელ სასელად ქცევის ტენდენცია (ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ნიკო გოცირიძე, ნიკო მუსხელიშვილი, ნიკო კეცხოველი და სხვანი).

ნიკოლოზ (ბერძ.) შედგება ორი სიტყვისაგან: *ნიკე* — „გამარჯვება“ და ლაოს — „ხალხი“. ამათგან პირველი სიტყვა *ნიკე* შე-

დის ბერძნული წარმოშობის არაერთი სახელის შემადგენლობაში, როგორიცაა, მაგალითად:

ნიკანდრო („გამარჯვება ვაჟკაცისა“, ნიკანორ „გამარჯვებათა მსილველი“), *ნიკიტა* („გამარჯვებული“), *ნიკიფორე* („ძლევამოსილი“), *ნიკოდიმოს* („გამარჯვება ხალხისა“), *ნიკოსტრატე* („გამარჯვება ლაშქრისა (არმიისა)“. ამ სახელთაგან ქართულში ადრიდანვე დასტურდება და დღესაც ფართოდ არის გავრცელებული *ნიკოლოზ* (ნიკოლოოზ ნიკოლაოზ, ნიკოლაოს), შემოკლებით — *ნიკა, ნიკო, ნიკოლა*. მისგან ნაწარმოებია გვარები: ნიკოლოზიშვილი, ნიკოლაძე, ნიკოლაიშვილი.

ნოდარ (სპ.) „ახალმოსული“, „ახლად მოვლენილი“.

ნინია ქართულში ძველად გავრცელებული სახელი იყო. მისი კნინობითია *ნინიკა*. ვაჟის სახელად გვხვდებოდა აგრეთვე *ნონე* და მისი კნინობითი ფორმა *ნონიკა*. ამ სახელთა ეტიმოლოგია უცნობია. მათგან ნაწარმოებია გვარები: *ნინიძე, ნინიაშვილი, ნინიკაშვილი, ნონეშვილი, ნონიკაშვილი.*

ნოე (ძვ. ებრ.) „ნუგეში“. ბიბლიური ლეგენდის მიხედვით, ნოე ერქვა იმ კაცს, რომელიც წარღვნას გადაურჩა. წარღვნის დროს მან თავის მიერ აგებულ კიდობანში შეიყვანა ცოლ-შვილი და თითო წყვილი ყველა სულიერი არსება, რომლებიც ამ გზით დაღუპვას გადარჩნენ.

ნოშრევან (სპ.) „უკვდავი სულისა“, „სულით უკვდავი“.

ნუგზარ (ირან.) იგივე სახელი ჩანს, რაც *ნოდარ* (←*ნავდარ* ||*ნაზარ*).

ნუძრი (ქართ.) ეწოდება ზოგიერთი გარეული ცხოველის (ირმის, ქურციკის, შვლის, არჩვის და მისთანათა) შვილს. საკმაოდ ხშირად გვხვდება ადამიანის სახელად, მაგრამ ოფიციალურ სახელს არ წარმოადგენს.

ო

ოთარ (არაბ.) „სურნელოვანი“, „ნელსაცხებელი“, „წამალი“. მისი მოფერებითი ფორმაა *ოთია*. *ოთარი* აწარმოებს *ოთარაშვილის* გვარს, *ოთია — ოთიაშვილის* გვარს.

ოლეგ (სკანდინავიური) „წმინდა“. ძველისძველი ნასესხები აქვს

რუსულს, ხოლო ამ უკანასკნელისაგან ბოლო დროს შემოვიდა ქართულში. აქედანვეა ქალის სახელი ოლღა *(ოლგა)*.

ომან (სპ.) „ცხოველმყოფელი (მაცოცხლებელი) ბალახი". ეს სასელი ჰქვია „შაჰ-ნამეს" ერთ-ერთ გმირს; აქედანაა გვარი ომანიძე.

ომარ (არაბ.) „სიცოცხლე". აქედანაა გვარი *ომარაშვილი*.

ონანა (ძვ. ებრ.) აქედანაა გვარი *ონანაშვილი*.

ონისმ (ბერძ.) „სარგებლობა". ეს სახელი ჰქვია ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას" ერთ-ერთ მთავარ გმირს, გოჩას ვაჟს.

ონოფრე ეგვიპტურად ნიშნავს „ღვთაება კუროს კუთვნილს" და ითარგმნება როგორც „წმინდა ხარი". აქედანაა გვარი *ონოფრიშვილი*.

ორბელ (ქართ.) „ორბეთელი" *(ორბეთი* გეოგრაფიული სახელია, რომლისგანაც ნაწარმოებია პიროვნების სახელი, ისევე როგორც *ბირთველ, თორელ, ტბელ, ოდიშელ* და სხვანი). ქართულიდან შესულია სომხურში. აქედანაა ნაწარმოები *ორბელიანთა* გვარი.

ორდე (ქართ.) მეგრულად ნიშნავს „იყავ".

ოსე (ძვ. ებრ.) „შველა", „ხსნა". მისი კნინობითია ოსია, *ოსიკო*, ეს სახელი საფუძვლად უძევს *ოსეშვილისა* და *ოსიაშვილის* გვარებს.

ოტია (ქართ.) შეადარეთ *ოთარ*-ის მოფერებითი ფორმა *ოთია*.

ოქროპირ (ქართ.) თავდაპირველად იყო ზედწოდება მჭევრმეტყველი ადამიანისა, კარგი ორატორისა (თარგმნილია ბერძნულიდან), შემდეგ დამოუკიდებელ სახელად იქცა. მისი შემოკლებული ფორმებია *ოქრო, ოქრუა*. ამ უკანასკნელისაგან მოდის გვარი *ოქრუაშვილი, ოქროპირ*-ისაგან — *ოქროპირიძე*.

პ

პაატა (ქართ.) „პატარა", „უმცროსი" (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ *პავლე*). აქედანაა გვარი *პაატაშვილი*. პაატა ერქვა გიორგი საакაძის უმცროს ვაჟს, რომელიც მამამ სამშობლოს თავისუფლებას შესწირა მსხვერპლად. იგი მძევლად ჰყავდა შაჰს და თავი მოჰკვეთა, როცა საქართველოს დასალაშქრავად გამოგზავნილი გიორგი საакაძე ქართველებს მიემხრო და სპარსელთა ჯარი გააწყვეტინა.

პავლე (ლათ.) „პატარა", „მცირე". საფუძვლად უძევს ლათინური სიტყვა პაულუს, რომელიც ევროპის ხალხებში სახელადაც გვხვდება და გვარადაც (მისგან წარმოქმნილია ქალის სახელებიც: *პავლა, პოლინე*). მისი ფორმებია სხვადასხვა ხალხში: *პაულიოს, პაულიუს, პაულუს, პოლოს, პაულ, პაოლო, პოლ* და სხვანი. ქართულშია *პავლე*, კნინობითი — *პალიკო, პავლია*. ამ უკანასკნელისაგან მოდის გვარი *პავლიაშვილი*.

პანტელეიმონ (ბერძ.) „ყოვლადმოწყალე". შემოკლებული ფორმაა *პანტე*.

პაპუნა (ქართ.) „პაპისა". წინათ გავრცელებული იყო და ზოგჯერ ახლაც გვხვდება ამ სახელის მრავალფეროვანი ვარიანტები: *პაპა, პაპი, პაპო, პაპია, პეპია, პაპუა, პაპალა, პაპალია, პაპანა, პაპენა, პაპინა, პაპიტა, პაპუტა, პაპუკა, პაპუჩა, პაპუჩი, პაპუჩელა*. ამათგან წარმოქმნილია გვარები: *პაპუნაშვილი, პაპუნიძე, პაპავა, პაპავაძე, პაპიძე, პაპაშვილი, პაპიაშვილი, პაპოშვილი, პაპუაშვილი, პაპალაშვილი, პაპელიშვილი, პაპინაშვილი, პაპიტაშვილი, პაპუკაშვილი, პაპულაშვილი*.

პარმენ (ბერძ.) „წმინდა", „ქალწულებრივი". შეადარეთ *პართენონი* — სახელწოდება ათენის განთქმული ტაძრისა, რომელიც ათინა-ქალწული სახელობისაა.

პარმენ (ბერძ.) „მტკიცედ მდგომი".

პახომ (ბერძ.) „სქელბეჭიანი".

პეტრე (ბერძ.) „კლდე", „ლოდი". შეადარეთ მთის ქანების (ქვების) შემსწავლელი მეცნიერების სახელწოდება — *პეტროგრაფია*. სახელი პეტრე ძველთაგანვე ცნობილია ქართულში. საკმარისია გავიხსენოთ V ს. გამოჩენილი ფილოსოფოსი პეტრე იბერი (ფსევდოდიონისე არეოპაგელი). პეტრეს კნინობითი ფორმებია: *პეტრია, პეტია, პეტა, პეტო, მისგან* მოდის გვარები: პეტრიაშვილი, პერტაია, *პერტია*.

პიმენ (ბერძ.) „მწყემსი".

პლატონ (ბერძ.) „მხრებგანიერი".

პოლიკარპე (ბერძ.) „დიდად ნაყოფიერი". „უხვნაყოფიანი". შედგება ორი სიტყვისაგან: *პოლი* — „ბევრი", „მრავალი" და *კარპოს* — „ნაყოფი". მეორე ამათგანი ცალკე გვხვდება მამაკაცის სახე-

ლად, იხ. *კარპე, კარპეზ*), პირველი მათგანი კი მონაწილეობს აგრეთვე სხვა სახელებში, როგორიცაა, მაგალითად:

პოლიბიოს („დიდხანს ცოცხალი"), *პოლიევქტ* („დიდხანს ნალოდინევი", „დიდად სასურველი"), *პოლიენ* („დიდად ქებული", „სახელოვანი"), *პოლიოდორ* („დიდად დასაჩუქრებული", „უბვსაჩუქრიანი"), *პოლიქრონ* („დიდხნიანი", „მრავალწლიანი"), *პოლიქსენია* („დიდად სტუმართმოყვარე") და სხვანი.

პოლიო წარმოადგენს ზემოხსენებული ტიპის სახელთა შემოკლებულ ფორმას, რომელიც ქცეულია დამოუკიდებელ სახელად.

პორფილე (ბერძ.) „მეწამული", „წითელი".

პროკლე (ლათ.) „შორეული" (იგულისხმება: მამის შორს ყოფნის დროს დაბადებული); სხვაგვარი ეტიმოლოგიით, ბერძნულია და შედგება ორი ნაწილისაგან: *პრო* — „ადრე" და *კლეოს* — „დიდება".

პროკოფი (ბერძ.) ზუსტი ახსნა არ მოეპოვება. ვარაუდობენ, რომ ნიშნავს „ბუდიდამ ამოღებულს", „გაშიშვლებულს (ხმალს)", ან „წარმატებულს", „წარჩინებულს".

ჟ

ჟამიერა (ქართ.) „დღეგრძელი". აქედანაა გვარი *ჟამიერაშვილი*.

ჟან ივანე-ს ფრანგული ფორმაა.

ჟორჟ გიორგი-ს ფრანგული ფორმაა. მისი კნინობითია *ჟორჟიკა, ჟორა*.

რ

რაიბულ

რამაზ (არაბ.) მნიშვნელობა დაუდგენელია. შესაძლოა უკავშირდებოდეს მაჰმადიანთა მარხულობის თვის სახელწოდებას *რამაზანს* და ნიშნავდეს ამ თვეში დაბადებულს (შეადარეთ ქართ. *აღდგომელა, მარტია, მაისა*).

რამზე (ეგვიპტური) „მზის შვილი".

რამინ (ინდურ-ირანული) ეს სახელი ჰქვია „ვისრამიანის" მთავარ მოქმედ ვაჟს. აქედანაა გვარი *რამინაიშვილი*. რამა ინდური

ღვთაების სახელია და ავესტის ენაზე ეწოდება მესაქონლეობის ღმერთს. სპარსულში *რამინ* მზის წლის მეშვიდე თვის 21-ე დღის სახელია. ეს დღე ფრიდონის ზოჰაქსე გამარჯვების დღესასწაულია და ბედნიერ დღედ ითვლება. ასე რომ, *რამინ* შეიძლება ნიშნავდეს ამ დღეს დაბადებულს. სპარსულში მას მიღებული აქვს „მორჩილის", „მშვიდის", „დამჯერის" მნიშვნელობა.

რაქდენ უცნობი წარმომავლობისა და მნიშვნელობის სახელია. ქართულში გვხვდება უძველესი ხანიდან. რელიგიური გადმოცემის თანახმად, რაჟდენი ერქვა პირველ ქართველ კაცს, რომელიც ქრისტიანობისათვის ეწამა (V ს.). როგორც წმინდანის სახელი, იგი შეტანილი იქნა საეკლესიო კალენდარში და ქართულიდან შევიდა ზოგ სხვა ენაშიც (მაგალითად, რუსულში).

რატი (ირან.) „ბატონი", ან: „დიდსულოვანი", „სულგრძელი". ერისთავთა საგვარეულო სახელია, ერქვა საქართველოს ისტორიაში ცნობილ არაერთ პიროვნებას, მაგალითად, ცნობილია X ს. პოეტი-ჰიმნოგრაფი რატი ორბელი. აქედანაა გვარები: *რატიანი, რატია, რატიშვილი*, მხარის სახელწოდება — *რაჭა*.

რაფიელ (ძვ. ებრ.) „ღვთის შემწეობით განკურნებული" (სიტყვასიტყვით: „ღმერთმა განკურნა"). ერთ-ერთი გავრცელებული სახელია, სხვადასხვა ხალხში გვხვდება სხვადასხვა ფორმით. ქართულში შემოკლებული ფორმაა *რაფო*.

რევაზ არაბულ-სპარსული წარმოშობის სახელია, ნიშნავს „კმაყოფილს". მოფერებითი ფორმებია: *რეზო, რეზიკო*. აწარმოებს *რევაზიშვილის* გვარს.

რისმაგ ეტიმოლოგია უცნობია. ეს სახელი ერქვა აბასთა (აფხაზთა) მეფეს.

როდიონ (ბერძ.) „როდოსელი" (კუნძულ როდოსის მცხოვრები). თვით კუნძულის სახელწოდება *როდოს* „ვარდს" ნიშნავს, ასე რომ, *როდიონ* შეიძლება აგრეთვე ითარგმნოს როგორც „ვარდი" ან „ვარდისფერი".

რომან (სპ.) „რვალისა", „სპილენძისა". აქედანაა გვარი *რომანიშვილი*.

რომან (ლათ.) „რომაელი" (ქ. რომის მცხოვრები). შეადარეთ *რომანი* — ლიტერატურული ნაწარმოების ფორმა, რომელიც რომში

წარმოიშვა. ამავე სიტყვას უკავშირდება ქვეყნის სახელწოდება რომანია ანუ *რუმინეთი* (რომის კოლონია ძველად).

რომანოზ (ბერძ.) „მტკიცე", „მაგარი".

როსტევან (სპ.) „სწორმხედველი", „ბრძენი", „მართალი".

როსტომ (სპ.) სპარსეთის ლეგენდარული გმირის სახელია და ამიტომ ხშირად ითარგმნება როგორც „ლომი" ან „გმირი". სინამდვილეში შედგება ორი სიტყვისაგან: *რუსტ* „სიმაღლე" იგივეა, რაც რუს. рост) და *ტაჰმ* „ძალა". სპარსულად გამოითქმის *რუსტამ*; აქედანეა მიღებული რუსული *რუსლან*. სპარსული ხალხური ეტიმოლოგიით, რომელიც დაცულია ფირდოუსის „შაჰ-ნამეში", ამ სახელს საფუძვლად უძევს გამოთქმა: *ბერასთამ* — „შვება ვიგრძენი", „გავთავისუფლდი" (ასე თქვა თითქოს როსტომის დედამ, რომელსაც ძალიან გაუჭირდა ამ გოლიათი ბავშვის შობა). ამ სახელის პოპულარობას ჩვენში დიდად შეუწყო ხელი ფირდოუსის „შაჰ-ნამემ", რომელსაც ქართულ თარგმანში „როსტომიანი" ეწოდება, მაგრამ ეს სახელი ქართულში უფრო ადრეც გვხვდებოდა (X ს.). მისგან ნაწარმოებია გვარები: *როსტომაშვილი, როსტიაშვილი, როსტოშვილი* (*როსტია, როსტო* მოფერებითი ფორმებია).

რუბენ (ძვ. ებრ.) „ნახე შვილი"; „შეხედეთ: შვილი!"

ს

საბა (არამეული) „მოხუცი", „პაპა", ან (ძვ. ებრ.) „თავისუფლებას მოკლებული", „ტყვე". ეს სახელი ერქვა არაერთ ქართველ მოღვაწეს, როგორიცაა, მაგალითად, ქართლის კათალიკოსი საბა I (523 — 552 წწ), საბა II (1146 — 1150 წწ.), გრიგოლ ხანძთელის დეიდაშვილი და თანამოღვაწე საბა იშხნელი (VIII—IX სს) და სხვანი. ბერად შედგომის შემდეგ საბა ერქვა დიდ მწერალსა და ლექსიკოგრაფს სულხან ორბელიანს (1658—1725 წწ.). ძველად წესად იყო, რომ ბერად აღკვეცილ პირს სახელი უნდა შეეცვალა, ოღონდ ახალი სახელი ძველს ემთხვეოდა საწყისი ბგერით. სწორედ ასეთია *სულხან-საბა*. *საბა-საგან* ნაწარმოებია გვარები *საბაშვილი* და *საბიაშვილი*.

საელე (ძვ. ებრ.) „ნათხოვნი (ღვთისათვის)", „ნავედრები" (თხოვნა-ვედრებით მიღებული), „სასურველი". ამავე სახელის ვარიანტია *საულია*.

სამოელ (ძვ. ებრ.) „ღვთის მიერ შესმენილი", სიტყვასიტყვით: „ღმერთმა შეისმინა (თხოვნა, ვედრება)". ფონეტიკური ვარიანტია *სამუელ*.

სამსონ (ძვ. ებრ.) „მზიანი". აქედანაა გვარები: *სამსონია, სამსონიძე, სამსონაძე*.

სანდალა ქართული სახელია, შესაძლოა ალექსანდრე-ს შემოკლების გზით იყოს მიღებული.

სანდრო ალექსანდრე-ს შემოკლებული ფორმაა, ქცეული დამოუკიდებელ სახელად (სანდრო შანშიაშვილი, სანდრო ეული, სანდრო ინაშვილი, სანდრო ახმეტელი და სხვანი).

სარგის (ასურული) მნიშვნელობა დაუდგენელია. იგივე სახელი სომხურში შესულია სარქის-ის ფორმით. სარგისის სახელით ცნობილია ბევრი ისტორიული პირი, განსაკუთრებით თმოგველთა და ჯაყელთა საგვარეულოდან.

სარდიონ (ბერძ.) „მწითური" (სარდიონი ეწოდება წითელი ფერის მინერალს).

სარიდან (სპ.).

საულია იხ. *საველე*.

საშრმაგ (ირან.) „შავი ხელის მქონე", „შავხელა". ეს სახელი ერქვა ქართველთა მეფეს I საუკუნეში.

საჩინო (ქართ.)

საყვარელა, შემოკლებით—*საყვალა*, ქართული სახელია (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ *დავით*). აქედანაა გვარი *საყვარელიძე*.

სევასტი (ბერძ.) „ღირსეული", „პატივსადები", „წმინდა". ამავე სახელის ფორმებია ევროპულ ენებში *სებასტოს, სებასტიან* (გაიხსენეთ დიდი გერმანელი კომპოზიტორი იოჰან სებასტიან ბახი). იმავე სიტყვებისაგანაა ნაწარმოები ქალაქის სახელი *სევასტოპოლი*.

სევერიან (ლათ.) „მკაცრი".

სეით (ძვ. ებრ.) „სამაგიერო".

სერაპიონ (ბერძ.) „სერაპისისა" (*სერაპისი* ერქვა ძველ ეგვიპტელთა სიკვდილ-სიცოცხლისა და განკურნების ღვთაებას).

სერგი (ლათ.) რომაული გვაროვნული სახელია, საეკლესიო კალენდარში ითარგმნება როგორც „მაღალი", „ღირსეული", ან:

„მგზნებარე“. მისივე ვარიანტული ფორმაა ქართულში *სერგო*, კნინობითი — *სერგია*. ეს უკანასკნელი გვხვდება აგრეთვე გვარად.

სმსმ, სმსია (ქართ.) მნიშვნელობა უცნობია. აქედანაა გვარი *სესიაშვილი*.

სეფედავლე (არაბ.) „სახელმწიფოს მახვილი“. „ამირანდარეჯანიანის“ ერთ-ერთი გმირის სახელია. ამჟამად გვხვდება მხოლოდ შემოკლებული ფორმით: *სეფე*.

სეხნია (ქართ.) „სახელის მოზიარე“, „თანამოსახელე“. აქედანაა გვარი *სეხნიაშვილი*.

სიკო სიმონ-ის მოფერებითი ფორმაა, ქართულში იძენს დამოუკიდებელი სახელის მნიშვნელობას (სიკო ფაშალიშვილი, სიკო დოლიძე).

სილიბისტრო (ლათ.) „ტყისა“. ლათინურად *სილვა* ნიშნავს „ტყეს“, *სილვანუსი* კი ჰქვია ტყის ღმერთს. აქედანვეა კაცის სახელები *სილოვან, სილიონ* და ქალის სახელები: *სილვანა, სილვია, სილვა*.

სილოვან იხ. *სილიბისტრო*.

სიმონ (ძვ. ებრ.) „შესმენილი“, „გამგონე“ (სიტყვასიტყვით: „ღმერთმა გაიგონა“; იგულისხმება, რომ ღმერთმა შეისმინა ლოცვა-ვედრება). ქართულში ფრიად გავრცელებული სახელია, ერქვა ორ მეფეს (XVI—XVII სს) და მრავალ გამოჩენილ პიროვნებას. ძველი ფორმაა *სვიმონ*, მოფერებითი ფორმებია *სიკო, სისო, სიმონიკა*. ამ სახელისაგან წარმოქმნილია რამდენიმე გვარი: *სიმონიშვილი, სიმონიძე, სიმონია* და სხვანი.

სიო

სისონა (ბერძ.) შემოკლებით — *სისონ*.

სოკრატ (ბერძ.) „ძალა-უფლების დამცველი (შემნარჩუნებელი)“. მთელ მსოფლიოში განთქმული ათენელი ფილოსოფოსის სახელია.

სოლომონ (ძვ. ებრ.) „წყნარი“, „მშვიდი,“ „მშვიდობიანი“. ლეგენდარული ბრძენისა და ებრაელთა მეფის სახელია. ქართულში ძველთაგანვე გვხვდება. მისი მოფერებითი ფორმებია: *სოლო, სოლიკო*. მისგან ნაწარმოები გვარებია: *სოლომონია, სოლომონიშვილი, სოლომნიშვილი, სოლოშვილი*. ამავე სახელის აღმოსავლური ვარიანტია *სულეიმან*.

სოსანა (ქართ.) მომდინარეობს მინდვრის ლამაზი ყვავილის, სოსანის, სახელწოდებისაგან.

სოსლან (ოსური) ნართების ეპოსის ერთ-ერთი გმირის სახელია, მომდინარეობს ინგუშურიდან. ცნობილია ოსეთის უფლისწული, თამარ შეფის მეუღლე დავით სოსლანი.

სოსო იოსების მოფერებითი ფორმაა, ქართულში დამოუკიდებელ სახელად ქცევის ტენდენცია ახასიათებს.

სოშრომ (ბერძ.) „საღად მოაზროვნე", „კეთილგონიერი".

სპარტაკ ხშირად განმარტავენ ლათინურის მიხედვით როგორც „სპარტელს" („ქალაქ სპარტის მცხოვრებს"), მაგრამ ასეთი ახსნა სწორად არ მიიჩნევა. უფრო დამაჯერებლად ითვლება ვარაუდი, რომ ეს სახელი წარმოშობით თრაკიულია და ნიშნავს „ფეხით გამქელველს", „დამთრგუნველს". სწორედ თრაკიელი იყო საბერძნეთის აჯანყებულ მონათა ბელადი სპარტაკი (I ს. ძვ. წ. ა.), რომლის შესახებაც მოგვითხრობს ჯიოვანოლის რომანი „სპარტაკი". ეს სახელი ქართულში ახალი შემოსულია.

სპირიდონ ეტიმოლოგია გაურკვეველია. საეკლესიო კალენდრის მიხედვით ნიშნავს „დაწნულ მრგვალ კალათას".

სტეფანე (ბერძ.) „გვირგვინი". ეს სახელი აგრეთვე ფართოდ გავრცელებულთა რიგს ეკუთვნის და სხვადასხვა ენაში შესულია ნაირ-ნაირი ფორმით: გერმანულშია *შტეფან*, ფრანგულში —*ეტიენ*, უნგრულში — *იშტვან* და ა. შ. ძველ ქართულში გავრცელებული ფორმა იყო *სტეფანოს*, რომელიც გვხვდება ჯერ კიდევ მცხეთის ჯვრის წარწერებში (VI ს.). ამ სახელისაგან არის წარმოქმნილი გვარები *სტეფანიშვილი, სტეფანია* და *ტეფნაძე*.

სულა (ქართ.) ამჟამად გავრცელებულია მოფერებითი ფორმით: *სულიკო*. მისგან ნაწარმოები გვარებია: *სულაძე, სულიაშვილი, სულიკაშვილი*.

სულხან (არაბ.) „სამართლიანი". აქედანაა გვარი *სულხანიშვილი*. სულხანი ერქვა ერისკაცობაში დიდ ქართველ მწერალს საბა ორბელიანს.

ტ

ტარია კოლხურში გავრცელებული სახელია, მიღებული ტარიასაგან, რომელიც თავის მხრივ ტარიელის მოფერებით ფორმას წარმოადგენს.

ტარასი (ბერძ.) „მოუსვენარი“.

ტარიელ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის სახელი, ამჟამად ფართოდ არის გავრცელებული, როგორც ფიქრობენ, მომდინარეობს ირანული დარიელ-ისაგან, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: დარ, დარა—„მეუფე“, „მეფე“, „მფლობელი“ და იელ—„გმირი“, „მოყმე“. ამრიგად, ტარიელ ნიშნავს „მეფე გმირს“, „მოყმე მეფეს“. აქედანაა გვარი ტარიელაშვილი.

ტატე ითვლება *ესტატე*-ს შემოკლებულ ფორმად. დამოუკიდებელი სახელი უნდა იყოს. აქედანაა გვარი *ტატიშვილი*.

ტერენტი (ლათ.) „მხეხავი“, „გამფშვნეტელი“, „გამლესი“, სხვაგვარი ახსნით: „*მომქანცველი*“ (ეტიმოლოგიები საეჭვოა).

ტიმოთე (ბერძ.) „პატივი ღვთისა“, „ღვთისმოსავი“. ხალხში გავრცელებული ფორმაა *კიმოთე* (აქედან გვაქვს სოფლის სახელიც *კიმოთესუბანი*).

ტიტე (ლათ.) „ღირსება“, „პატივი“ (შეადარეთ *ტიტული* — „საპატიო წოდება“). მოფერებითი ფორმებია: *ტიტია*, *ტიტიკო*.

ტრიფონ (ბერძ.) „ნებიერი“, განებივრებული“.

ტროფიმე (ბერძ.) „გაზრდილი“, „გამონაკვები“. შეადარეთ *ატროფია* — რომელიმე ორგანოს ან ქსოვილის ზრდის შეწყვეტა საკვების უკმარობის (ან უმოქმედობის) გამო; *ჰიპერტროფია* — რომელიმე ორგანოს არანორმალური ზრდა-განვითარება.

უ

უნცრუა (ქართ.) „უმცროსი“.

უტა (ქართ.) წარმოშობით უკავშირდება სუმერულ მზის ღვთაების სახელწოდებას. მისივე ვარიანტია *უტუ*. ეს სახელი ერქვა სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ბელადს უტუ მიქავას (XIX ს.).

უშანგი (სპ.) „ნებიერი“, „ბედნიერად მცხოვრები“.

უშიშა (ქართ.)

უჩა (ქართ.) მეგრულად ნიშნავს „შავს“, „შავგვრემანს“.

უჩარდია (ქართ.) გვხვდება როგორც სახელად, ასევე გვარად სამეგრელოში. ნიშნავს: „შავი იყავ“.

ფ

ფარნაოზ (ირან.) „ბრწყინვალე", „დიდებული", „ხელმწიფე-ური", ან „ბრწყინვალე მოუბარი", „მჭევრმეტყველი". ძველი ფორმაა *ფარნავაზ*. ასე ერქვა ერთ-ერთ პირველ ქართველ მეფეს, რომლის დროსაც განმტკიცდა ქართლის სამეფო, შეიქმნა ქართული ანბანი (III ს. ძვ. წ. ა.). ფარნაოზის შემოკლებული ფორმაა ფარნა (ნიშნავს ღვთაებრივ შუქს, ელვარებას, შარავანდს).

ფარსადან (სპ.) „ბრძენი", „სწავლული", „მეცნიერი". ნესტან-დარეჯანის მამის სახელია „ვეფხისტყაოსანში".

ფილიმონ (ბერძ.) „საყვარელი".

ფილიპე (ბერძ.) „ცხენთა მოყვარული".

ფირან (სპ.) „ბერი", „მოხუცებული". ბერიის მეფისწულის სახელად გვხვდება ჯერ კიდევ VI საუკუნეში. აქედანაა გვარი ფი-რანიშვილი.

ფირუზ (ირან.) „ფირუზი" (ძვირფასი ქვა). ეტიმოლოგიურად -ეს სიტყვა ნიშნავს „სინათლით სავსეს", „ნათელს". ფირუზი ცის-ფერია და სწორედ ამიტომ შეურქმევიათ ასეთი სახელი, ხოლო ამ ძვირფასი ქვის სახელწოდება შემდგომ ადამიანის სახელად ქცეულა (შეადარეთ *იაკინთე, ოქრო, ლალი, ზურაბ* და სხვ).

ფორე ამ სახელით ცნობილია სამამულო ომის დროს იტალიაში მებრძოლი გმირი პარტიზანი ფორე მოსულიშვილი.

ფოცხვერა (ქართ.) დღეს იშვიათად გვხვდება, შემონახულია გვარებში: *ფოცხვერაშვილი, ფოცხვერაია, ფოცხვერია, ფოცხიშვილი.*

ფრიდონ (ირან.) „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი გმირის სახე-ლია. ეს სახელი გვხვდება აგრეთვე „შაჰ-ნამეში", „რუსუდანიანში" და სხვა თხზულებებში. მისი ძველი ფორმაა *აფრიდონ*, რომელიც დღემდე დაცულია *აფრიდონიძის* გვარში. შემოკლებული ფორმაა *ფიდო*.

ქ

ქავთარ (სპ.) „აფთარი". აქედან მოდის გვარები: *ქავთარაძე, ქავთარია, ქანთარია.*

ქაიხოსრო (ირან.) „სახელოვანი თავადი".

ქართლოს (ქართ.) ნაწარმოებია *ქართლ*-ისაგან. „ქართლის

ცხოვრებაში" მოთხრობილი ლეგენდის თანახმად, ქართლოსი იყო თარგამოსის შვილი, რვა ძმას შორის ერთ-ერთი გმირი, რომლის შთამომავლებიც არიან ქართველები.

ქარშამ. არაბული ქარამ („კეთილი") სპარსულში იქცა ქარუმად და იქიდან შემოვიდა ქართულში. მისგან წარმოქმნილია გვარი *ქარუმიძე.*

ქველი (ქართ.) „გულუხვი", „კეთილი", „მხნე". აქედანაა გვარები: *ქველიძე, ქველაძე, ქველაშვილი, ქველიაშვილი.*

ქიტა, ქიტესა იხ. *ქრისტესია.*

ქიშვარდი. ირანული მითოლოგიური გმირის სახელია *ქიშვარდი. ქეშვადი,* საიდანაც მიღებული ჩანს ქართ. *ქიშვარდი.* ნიშნავს „მწყაზარს". *ქიშვარი‖ქიშვარდი* (სპ.) ნიშნავს აგრეთვე „ქვეყანას", „მხარეს".

ქობულ (ქართ.) უძველესი სახელთაგანია, წერილობით დამოწმებული ჯერ კიდევ VII ს. დამდეგს მცხეთის ჯვარის წარწერებში. მისივე ვარიანტია *ქვაბულ.* შეიძლება მიღებული იყოს *ქვაბ* სიტყვისაგან. აქედანაა გვარები: *ქვაბულიძე, ქობულაძე, ქობულაშვილი, ქობულია.* მასვე უკავშირდება ქალაქის სახელწოდება *ქობულეთი.*

ქრისტესია ქართული სახელია, რომელსაც საეკლესიო კალენდარი *ქრისტეფორეს* შესატყვისად მიიჩნევდა. აქედანაა გვარი *ქრისტესაშვილი.* ამ სახელის ხალხური ფორმაა *ქიტესა,* შემოკლებით — *ქიტა, ქიტო.* (აქედან გვარები: *ქიტიაშვილი, ქიტოშვილი).* ქიტესას უდრის აგრეთვე მეგრული *ქიესია (←ქრისტესია).*

ქრისტეფორე (ბერძ.) „ქრისტეს მტვირთველი", „ქრისტეს მაღიარებელი".

ქუცნა (ქართ.)

ქუჯი ეს სახელი ერქვა ძველი კოლხიდელების ლეგენდარულ გმირს (შეადარეთ ციხის სახელი *ციხე-გოჯი).* ქუჯი იყო ეგრისის ერისთავი, ფარნაოზ მეფის სიძე (დის ქმარი). არსებობს მოსაზრება, რომ ქუჯი სკვითური სახელია, ნასესხები ოსურის გზით, და და ნიშნავს „ძაღლიკას".

ღ

ღენტორ

ღვთისავარ (ქართ.).

ღვთისია (ქართ.) მისივე ვარიანტია *ღვთისო.*

ღვინია (ქართ.) დღეს ადამიანის სახელად იშვიათია (გვხვდება ხარის სახელად; გაიხსენეთ ეკ. გაბაშვილის მოთხრობა „ღვინია გადაიჩეხა"), მაგრამ წინათ მის გავრცელებას მოწმობს ისტორიული დოკუმენტები, აგრეთვე დღევანდელი გვარები: *ღვინიაშვილი, ღვინაძე, ღვინეფაძე*. ამ უკანასკნელი გვარის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყოფილა სახელი *ღვინება*. მსგავსი სახელია აგრეთვე *ღვინჯუა (ღვინჯო)*. ეს სახელი ჰქვია გ. ლეონიძის „ნატვრის ხის" ერთ-ერთ პერსონაჟს.

ყ

ყაისარ გვხვდება აგრეთვე *ყაისო*-ს ფორმით. იგივეა, რაც *კეისარი* („მეფე").

ყარამან (სპ.) „გმირი".

ყაფლან (თურქ.) „ვეფხვი".

ყვარყვარე (ქართ.) მიღებული ჩანს *უყვარს* ზმნის ძირის გაორკეცებით. თუ ასეა, „საყვარელს" უნდა ნიშნავდეს. ათაბაგთა საგვარეულო სახელი იყო და არაერთგზის გვხვდება ისტორიულ პირთა სახელად.

შ

შადიმან (სპ.) „მხიარული", ან „სასიხარულო".

შავლეგ (ქართ.) „შავი", „შავგვრემანი" (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ *უჩა, შიო*).

შალვა (ქართ.) ეტიმოლოგია დაუდგენელია, შესაძლოა *შავლეგ*-ის ვარიანტს წარმოადგენდეს. შალვა თორელთა საგვარეულო სახელი იყო. ცნობილია თამარ მეფის დროინდელი გამოჩენილი მეომარი და სარდალი შალვა თორელი (ახალციხელი). შალვა ერქვა აგრეთვე ბევრ სხვა ისტორიულ პიროვნებას, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია XVII საუკუნეში სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყების ერთ-ერთი მეთაური შალვა ქსნის ერისთავი, რომელიც თავის შვილ ელიზბართან და ბიძინა ჩოლოყაშვილთან ერთად მოწამებრივი სიკვდილით მოკლეს 1661 წელს. შალვას მოფერებითი ფორმებია, შალიკა, შალიკო, შალუტა. ამათგან ნაწარმოები გვარებია: *შალვაძე, შალვაშვილი, შავლაძე, შავლიაშვილი, შალიკაშვილი, შალუტაშვილი*.

შამშე, შანშე (ძვ. ებრ.) „მზე“ (შეადარეთ *სამსონ*); ან (სპ.) „მეფეთ-მეფე“ (შაჰინ-შაჰ→შან-შა). შესაძლებელია, რომ დიდი ფონეტიკური მსგავსების მიუხედავად, აქ ჩვენ გვქონდეს ორი სხვადასხვა წარმოშობის სახელი, რომელთაგან პირველი მომდინარეობს ძველი ებრაულიდან, მეორე კი სპარსულიდან. უფრო გავრცელებულია მეორე ფორმა — *შანშე*. ამ სახელით საქართველოს ისტორიაში ცნობილია რამდენიმე პირი, მათ შორის — XIII ს. გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე შანშე მხარგრძელი, ძე ზაქარია მხარგრძელისა. შანშე ჰქვია ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ გმირი ქალის, ლელას, მამას. ამ სახელისაგან მომდინარე გვარებია: *შანშაშვილი, შანშიაშვილი*.

შაქრო (ქართ.) მიიჩნევა ზაქარია-ს მოფერებით ფორმად, თუმცა შეიძლება მისგან დამოუკიდებლად იყოს წარმოქმნილი. აქედანაა გვარები: *შაქარაშვილი, შაქარიშვილი*.

შედან (სპ.) „ლომი“.

შევარდენა (ქართ.) არაკალენდარული სახელია, რომლისგანაც მომდინარეობს გვარი *შევარდნაძე*. საეკლესიო კალენდრით მას ეფარდება *იერაქსი* (ბერძ. „ქორი“).

შენგელი (ქართ.) აქედანაა გვარები: *შენგელია, შენგელაია*.

შერგილ (სპ.) „ლომის დამჭერი“.

შერელომ||შერლომ ქართული სახელია, სადაც შერწყმულად, კომპოზიტის ფორმით, არის წარმოდგენილი სპარსული სიტყვა *შერ* და მისი ქართული შესატყვისი *ლომი* (შეადარეთ *გულვარდი, ხვარამზე*). ძველად გვხვდებოდა აგრეთვე იმავე სიტყვებისაგან (შებრუნებული რიგით) ნაწარმოები სახელი *ლომშერა*.

შერმადინ (არაბ.) „სარწმუნოების სინდისი“. ეს სახელი ჰქვია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ პერსონაჟს, ავთანდილის ერთგულ მსახურს. შერმადინი გვარიც არის ამავე ფორმით.

შიო უნდა მომდინარეობდეს *სიაოშ*-ისაგან, რომელიც წარმოშობით ირანული სახელია და „შავგვრემანს“, „შავ მამაკაცს“ ნიშნავს. ძველ ქართულში შემოსულია *შიოშ*-ის ფორმით, ამ უკანასკნელისაგან კი მიღებულია საბოლოო ფორმა *შიო* (აქედანაა გვარი *შიოშვილი*). მისი კნინობითი ფორმებია *შიუკა* და *შიოლა* (ამათგან მოდის გვარები: *შიუკაშვილი, შიოლაშვილი*). საქართველოში მოღვაწე ასურელ მამათა შორის ერთს შიო ერქვა (VI ს.). მისი სახელი და

წოდება შიო მღვიმელი ფსევდონიმად აირჩია გამოჩენილმა საბავშვო პოეტმა შიო ქუჩუკაშვილმა.

შოთა ამ ფორმით გვხდება მხოლოდ ქართველებში და თანაც, შუა საუკუნეებიდან მოკიდებული, გვხვდება საკმაოდ ხშირად. ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელია საქართველოში. რაც, ცხადია, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პოპულარობის ნიშანია. ამ სახელის ეტიმოლოგია სადავოა. მისგან ნაწარმოებია გვარები: *შოთაძე, შოთაშვილი.*

შოშიტა (ქართ.) — ცხადია, აქ ტა კნინობითის სუფიქსია (ისევე როგორც სხვა სახელებში, როგორიცაა: *ბეჟიტა, ბერიტა, გოგიტა, ხახუტა* და სხვანი). თუ ასეა, უნდა გვქონოდა სახელი ამ სუფიქსის გარეშეც. ასეთი სახელი *შოშია* შემონახულია *შოშიაშვილის* გვარში. თვით *შოშიტა*-საგან ნაწარმოებია გვარები *შოშიტაშვილი* და *შოშიტაიშვილი.*

ჩ

ჩაგუ, ჩაგუნა აქედანაა გვარი *ჩაგუნავა.*

ჩალხია.

ჩარგაზ გავრცელებული სახელია სვანეთსა და სამეგრელოში, შეიძლება მომდინარეობდეს *ჩერქეზ*-ისაგან. აქედანაა გვარი *ჩარგაზია.*

ჩონქარა.

ც

ცანგალა (ქართ.)

ცეცო (ქართ.) ეს სახელი ჰქვია ს. მგალობლიშვილის ერთ-ერთი მოთხრობის გმირს („ღამის მეხრე ცეცო“).

ციოყ

ციხაძარა (ქართ.) აქედანაა გვარები: *ციხაძარიძე, ციხაძარიშვილი.*

ცოტნე (ქართ.) „უმცროსი“ (შეადარეთ სიტყვა ცოტა). „ქართლის ცხოვრებიდან“ კარგად არის ცნობილი კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე ცოტნე დადიანი და მისი თავდადება (XIII ს.). ამ ამბავს მხატვრულად მოგვითხრობს ა. წერეთლის პოემა „ნათელა“ და გ. აბაშიძის რომანი „ცოტნე“.

ცქირი (ქართ.) გვხვდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. შეადარეთ კოლხური *სქირი* — „შვილი“.

ძ

ძაგან (სომხ.) „ნაშიერი", „ნაშობი", „შვილი". აქედანაა გვარები *ძაგნიძე, ძაგანია, ძაგანაშვილი.*

ძაღლიჭა (ქართ.) ჰქვია ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი პოემის გმირს, გვარად ხიმიკაურს. გავრცელებული სახელი იყო მთაში, დღეს მეტად იშვიათია.

წ

წათე ამ სახელით ცნობილია ლაზიკის მეფე წათე I და მისი ძე წათე II.

წიქა (ქართ.) თითქოს „წითურს" ნიშნავს (შეადარეთ ხარის სახელი წიქარა ცნობილ ხალხურ (ზღაპარში). გავრცელებულია მთაში. გვხვდება ვაჟა-ფშაველას პერსონაჟთა სახელად.

წყალობა ქართული სახელია, დღეს მეტად იშვიათი (იგულისხმება „ღვთის წყალობა". მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ ბერძ. *დოროთე, თედორე*, სლავ. *ბოგდან*, სომხ. *ასტვაწატურ*, თურქ. *ალაჰვერდი*).

ჭ

ჭაბუკა, ჭაბუა (ქართ.) შეადარეთ *მზეჭაბუკი.*

ჭიაბერ (ქართ.) აქედანაა გვარი *ჭიაბრიშვილი.* ჭიაბერი ერქვა თამარ მეფის ერთგულ ერისთავს, მეჯინიბეთუხუცესს, — შემდგომში ვანდატურთუხუცესს.

ჭიჭია, ჭიჭიკო (ქართ.) მეგრულში აღნიშნავს „პატარას", „პაწიას".

ჭოლა (ქართ.) „ვაჟა", „ყმაწვილი" (შეადარეთ მეგრული *ჭკორი* — „ყმა"). აქედანაა გვარი *ჭოლაძე.* კნინობითი ფორმებია *ჭოლიკა, ჭოლიკო.*

ხ

ხარება (ქართ.) დღეს იშვიათად იხმარება. მისგან ჩანს მიღებული გვარები: *ხარაბაძე, ხარებავა.* ამ უკანასკნელს უკავშირდება სოფლის სახელი გეგეჭკორის რაიონში — *ნახარებუ* („სახარებავი").

ხარიტონ (ბერძ.) „მადლიანი“, „გულუხვი“.

ხარლამპი (ბერძ.) „სიხარულით გაბრწყინებული“.

ხახარე (ქართ.) „ახარე“.

ხახუტა (ქართ.) ნაწარმოებია კნინობითის ტა სუფიქსით *ხახუ* სახელისაგან (*ბერიტა, გოგიტა, შოშიტა* და სხვა სახელთა მსგავსად). მისგან მომდინარეობს გვარები: *ხახუტაშვილი, ხახუტაიშვილი.*

ხვიჩა (ქართ.) მეგრულად ნიშნავს „გაბრწყინებულს“, „მოციონარს“, „მოციმციმეს“. ეს სახელი ჰქვია უიარაღოს „მამელუკის“ მთავარ გმირს. *ხვიჩა*-საგან არის წარმოქმნილი გვარი *ხვიჩია.*

ხირჩლა

ხოსრო (სპ.) „სახელოვანი“, „დიდებული“, „ძლიერი (იხმარებოდა სპარსეთის შაჰების ეპითეტად, აქედან კი საზოგადოდ „მეფის“ მნიშვნელობა მიიღო). მისი კნინობითი ფორმებია: *ხოსია, ხოსიტა.* ამათგანაა გვარები *ხოსროშვილი, ხოსიტაშვილი* (იხ. აგრეთვე *ქაიხოსრო*).

ხურსი (სპ.) „დათვი“. აქედანაა გვარები *ხურციძე* (←*ხურსიძე* და *ხურცილავა* (←*ხურსილავა*).

ხუტა, ხუტუ უკავშირდება ხურიტულს, სადაც *ხუტუ* ღვთაების ეპითეტია და ნიშნავს „მებრძოლს“. შეადარეთ აგრეთვე ფალაური *ხვატა.*

ჯ

ჯაბა ესაა შემოკლებული *ჯაბრაილ*, რომელიც თ-ჯის მხრივ წარმოადგენს ძველი ებრაული სახელის, გაბრიელის, არაბიზებულ ფორმას. გაბრიელი ერქვა ერთ-ერთ მთავარანგელოზს, რომლის სახელიც არაბულად ასე გადმოიცემა: *ჯაბრაილ*‖*ჯიბრაილ.* პირველისაგან შემოკლებით მიღებულია *ჯაბა*, მეორისაგან — *ჯიბო.*

ჯავახ (ქართ.).

ჯამბაკურ ამ სახელის მეორე ნაწილს შეადგენს *ბაკურ*, პირველი ნაწილის წარმომავლობა კი საცილობელია. უკავშირებენ სატომო სახელს (*ჰან-ბაკურ* → *ჯან-ბაკურ* → *ჯამბაკურ*). გავრცელებული სახელი იყო განსაკუთრებით ორბელიანთა საგვარეულოში.

ჯამლეთ

ჯანსულ (სპ.) „ვისაც სული დაეწვა“ (იგულისხმება: სიყვარულით), „სულ-დამწვარი“, „შეყვარებული“ (ეტიმოლოგია საეჭვოა).

ჯარჩი მიღებული ჩანს თურქულ *ჯარჩი*-საგან, რაც სამოხელეო ტერმინია და ნიშნავს „ამბის გამომცხადებელს“, „მაცნეს“.

ჯაჯუ შესაძლოა წარმოადგენდეს *ძერა*-ს კოლხურ შესატყვისს. აქედან ჩანს წარმოქმნილი გვარი *ჯაჯანიძე* (ე. ი. „ძერიას-ძე“).

ჯემალ (არაბ.) „სილამაზე“, „სიკეთე“, „სრულქმნილება“.

ჯვებე მეგრულად ნიშნავს „მსხვილნაკვთიანს“.

ჯიბო ითვლება *ჯიბრაელ*-ის შემოკლებულ ფორმად (იხ. ზემოთ *ჯაბა*). მისგან წარმოქმნილია გვარი *ჯიბუტი*. ამავე სახელის კნინობითია *ჯიბილა*||*ჯიბილო*, საიდანაც მიღებულია გვარი *ჯიბლაძე*.

ჯიმშერ (სპ.) პარალელური ფორმაა *ჯიმშედ* სახელისა. აქედანაა გვარი *ჯიმშელეიშვილი*.

ჯოდორი (ქართ.) მეგრულად ნიშნავს „მსუქანს“, „გოდორას“ (*გოდორი⟶ჯოდორი*).

ჯოკია

ჯონდი, ჯონდო

ჯოტო

ჯოყოლა

ჯორჯიკ ძველი ქართული სახელია, რომლის ეტიმოლოგია უცნობია. აქედანაა გვარი *ჯორჯიკია*.

ჯუანშერ (სპ.) „ახალგაზრდა ლომი“.

ჯუმბერ გვხვდება მხოლოდ ქართულში. შესაძლოა მიღებული იყოს *ჯუანშერ*-ისაგან ფონეტიკური ან გრაფიკული ცვლილებების შედეგად, ანდა მომდინარეობდეს სპ. *ჯამბერ* (*ჯანბერ*) სახელისაგან. რაც „სულთამხდელს“, „ლამაზს“ ნიშნავს. *ჯუმბერი* ჰქვია მეფისწულს ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“. *ჯანბერ*-ისაგან არის მიღებული გვარი *ჯანბერიძე*.

ჯურხა (ბალყარული) „იორღა“, „თოხარიკი ცხენი“.

ქალის სახელები

ა

აგნესა ორგვარად შეიძლება აიხსნას: ან „წმინდა“, „უმანკო“ (ბერძ.), ან „კრავი“ (ლათ.).

აგრაფინა (ლათ.). „აგრიპას კუთვნილი“, „აგრიპასი“. *აგრიპა*

რომაული საგვარეულო სახელია, თავის მხრივ იგი უკავშირდება ბერძნულს და ნიშნავს „ფეხებით წინ დაბადებულს“. ამ სახელს დაერთვის *ინ* სუფიქსი, რომელიც მნიშვნელობით უახლოვდება ქართულ *იან-ს (დავითიანი, ვაჩნაძიანი, ოთარიანი* და სხვ.).

ალა ახალი ნასესხები სახელია, რომლის ეტიმოლოგია საეჭვოა: ზოგი გერმანულიდან მომდინარედ თვლის, მნიშვნელობის დაუდგენლად, ზოგი ბერძნულს უკავშირებს („გაცვლილის“, „სანაცვლოდ მიღებულის“ მნიშვნელობით).

ალისა აგრეთვე ახალი ნასესხებია დასავლეთ-ევროპული ენებიდან. ნაწარმოებია კაცის სახელისაგან (*ალექსი*).

ანა (ძვ. ებრ.) „საამო“, „მადლიანი“, „სანდომიანი“. მისი მოფერებითი ფორმებია ქართულში: *ანო, ანუკა, ანიკო.*

ანანა (ძვ. ებრ.) „გულკეთილი“, „გულმოწყალე“.

ანასტასია (ბერძ.) „მკვდრეთით აღმდგარი“, „სიცოცხლეს დაბრუნებული“. მისი შემოკლებული ფორმებია: *ტასო, ტასიკო, ნასტა.* ბერძნულში კაცისა და ქალის სახელებად გვაქვს პარალელური ფორმები: *ანასტას* და *ანასტასია* (ისევე როგორც *ათანასე* და *ათანასია, ალექსანდრე* და *ალექსანდრა, ევგენი* და *ევგენია* და სხვანი). კაცის სახელი *ანასტასი* შეთვისებული აქვს ზოგ სხვა ხალხსაც, ზოგს კი იგი უთარგმნია. ასეთი თარგმნის ნიმუშია ქართული *აღდგომელა*, რომელიც დღეს სახელად აღარ გვხვდება, მაგრამ შემონახულია *აღდგომელაშვილის* გვარში.

ანგელინა ამ სახელის ფუძე ბერძნულია: *ანგელ, ანგელოს* თავდაპირველად ნიშნავდა „ამბის მომტანს“, „მოამბეს“ შემდეგ მნიშვნელობა დაუვიწროვდა და ნიშნავდა მხოლოდ „ღვთის მოამბეს“, „ღვთის მახარობელს“ (ანგელოზს). ამ სიტყვას ლათინურში დართული აქვს *ინ* სუფიქსი (იხ. *ზემოთ — აგრაფინა*) და ამ გზით მიღებულია საკუთარი სახელი *ანგელინა.*

ანეტა მიღებული ჩანს *ანა-ს* ფრანგული კნინობითი ფორმისაგან (*ანეტ*).

ანისია, ანუსია (ბერძ.) „დამთავრება“, „დასრულება“.

არემა (არაბ.) „ორბი“, „არწივი“, სხვაგვარი ახსნით: „მიწის მუშა“, „მხვნელი“ (შეად. *გიორგი*). ასეთი მნიშვნელობა კაცის სახელს უფრო შეშვენის და, მართლაც, არეთა გვხვდება კაცის სახელადაც.

არიადნა (ბერძ.) „ძლიერ მოსაწონი". ანტიკურ მითიოლოგიაში ეს სახელი ჰქვია მეფე მინოსის ასულს, რომელსაც შეუყვარდა ეგეოსის შვილი — გმირი თეზევსი და დაეხმარა მას. დაემარცხებინა კაციჭამია ურჩხული — მინოტავრი და მშვიდობიანად დაელწია თავი ლაბირინთისათვის, სადაც ურჩხული იმყოფებოდა.

ასინეთ ძვ. ებრაული სახელია, მომდინარე კოპტურიდან. ზუსტი ეტიმოლოგია არ მოეპოვება. განმარტავენ როგორც „ნეითისა" („ნეითისადმი შეწირული" ან „ნეითის მსახური". *ნეითი* ანუ *ნეითა* ეგვიპტელთა სიბრძნის ღვთაების სახელწოდებაა).

ასმათ (არაბ.) „უმწიკვლო", „უმანკო", „პატიოსანი". არაბულში იხმარება ქალის დასახასიათებლად, საპატიო ეპითეტად. საკუთარ სახელად პირველად „ვეფხისტყაოსანში" გვხვდება და მისი მეშვეობით შემდგომში ფართოდ გავრცელდა.

აღათი (ბერძ.) „სიყვარული", „სიკეთე".

აშიქალი (ქართ.)

ბ

ბაბილინა (ლათ.) „ბაბილოსი". კაცის სახელს ბაბილოს, რომელიც წარმოშობით სირიულია და „აჯანყებულს" ნიშნავს, დართული აქვს ლათინური სუფიქსი ინ (შეადარეთ აგრაფინა, ანგელინა).

ბაია (ქართ.) მინდვრის ყვავილი.

ბარბარე (ბერძ.) „უცხო", „უცხოელი" (შეადარეთ *ბარბაროსი*). რუსულში გვხვდება ვარვარა-ს ფორმით. ამ სახელის კნინობით ფორმებად ითვლება ბაბე, ბაბო, ბაბულია, ბაბუცა. ხალხში გავრცელებული ფორმებია აგრეთვე ბარბალე, ბაბალე. შესაძლოა ის უკავშირდებოდეს არა ბერძნულს, არამედ შუმერული ქალღმერთის სახელს.

ბედისა (ქართ.)

ბეატრისა (ლათ.) „ბედნიერი".

ბელა (ლათ.) „ლამაზი".

ბორენა ვარაუდობენ, რომ წარმოშობით სკვითურ-ალანური სახელია და ნიშნავს „წაბლისფერთმიანს". ეს სახელი ერქვა ცნობილ ქართველ პოეტ ქალს ბორენა ოედოფალს, ბაგრატ მეოთხის

მეუღლეს, რომელიც ოსთა მეფის ასული იყო. ბორენა-საგან გრაფიკული ცვლილების გზით (თავკიდური ასოს შეცვლით) მიღებულია შორენა.

გ

გაიანე (ბერძ.) „მიწიერი". საეკლესიო კალენდრის მიხედვით, ნიშნავს „მწვანეს" (ეტიმოლოგიები საეჭვოა).

გალინა (ბერძ.) „წყნარი", „აუღელვებელი".

გედია (ქართ.)

გვანცა (ქართ.) სვანურად ნიშნავს „ცელქს, მოუსვენარს (ბავშვს)", *გვანც* — „ჭინჭრაქა".

გვრიტია (ქართ.)

გიული სპარსული სახელია, შემოსული თურქულის გზით: „ვარდი".

გოგოლა (ქართ.) მნიშვნელობა დაუდგენელია. საეჭვოა, რომ *გოგონა*-ს ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენდეს, რადგან წინათ კაცის სახელიც ყოფილა (შეადარეთ გვარები *გოგოლაძე, გოგოლაშვილი*).

გოგუცა (ქართ.)

გუგული, გუგულა (ქართ.)

გულანდამ, გულანდარ (სპ.) „ვარდისტანა", ვარდსხეულა" (შეადარეთ ვაჟის სახელი *გულდამ, გულდა*).

გულვარდი ქართული სახელია, სადაც შერწყმულია სპარსული სიტყვა *გულ* და მისი ქართული შესატყვისი *ვარდი*. ამ სახელისაგან ნაწარმოებია გვარი *გულვარდაშვილი* (წარმოების მხრივ შეადარეთ *შერლომ, ხვარამზე*).

გულთამზე (ქართ.)

გულია (ქართ.)

გულიზარ, გულიზა (სპ.) „ვარდნარი", „ყვავილნარი".

გულიკო (ქართ.) ნაწარმოებია *გულ* სიტყვისაგან საალერსო *იკო* სუფიქსის დართვით. გვხვდება კაცის სახელადაც. მის სრულ ფორმად ითვლება *გულისა*, საიდანაც მიღებულია გვარი *გულისაშვილი*.

გულისა (ქართ.)

გულისპარდი (ქართ.)

გულნარა (სპ.) „ბროწეულის ყვავილი“.

გულო (ქართ.) გვხვდება კაცის სახელადაც.

გულსუნდა (ქართ.)

გულქან (სპ.) „მოწყვეტილი ვარდი“. მოფერებითი ფორმაა *გუქა*.

გულჩინა (სპ.) „მოკრეფილი ვარდი“.

გულჩორა (სპ.) „ვარდის სახის მქონე“, „პირვარდა“.

გურანდუხტ (სპ.) „გურამის (გვარამის) ასული“. საქართველოს სამეფო კარზე ძველთაგანვე ძალიან გავრცელებული სახელი იყო. ეს სახელი ერქვა, მაგალითად, ვახტანგ გორგასალის დას, დავით აღმაშენებელის მეუღლეს და ბევრ სხვას.

გურანდა გურანდუხტის შემოკლებული ფორმაა, გვხვდება მხოლოდ საქართველოში.

გუტატი

გუქიტი

დ

დავარ (სპ.) „სამართლის მქნელი“, „მსაჯული“ (წარმოადგენს მეფეთა ეპითეტს და მიღებული აქვს ზოგადად „მეფის“ მნიშვნელობაც). „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი პერსონაჟის, ნესტან-დარეჯანის მამიდის სახელია.

დალი (ქართ.) ნადირობის ქალღმერთის სახელია.

დარეჯან წარმოადგენს მეორე ნაწილს სახელისა *ნესტან-დარეჯან* („სწორუპოვარი“). მისი მოფერებითი ფორმებია დარია, დარო, დარიკო. *დარეჯან*-ისაგან ნაწარმოებია გვარი დარჯანია.

დარია დამოუკიდებელი სახელიც არის, ნიშნავს „მფლობელს“.

დაფინე (ლათ.) „დაფნა“. ხალხში გავრცელებული ფორმაა დოფინა. ეს სახელი ჰქვია კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკრის“ ერთ-ერთ პერსონაჟს. მნიშვნელობის მხრივ იგივეა, რაც ლაურა.

დედიკა (ქართ.) მისივე ვარიანტული ფორმებია: დედუკა, დედუნა.

დედისიმედი (ქართ.) საეკლესიო კალენდრით მას შეეფარდება

ელპიდა („იმედი"). დედისიმედი ერქვა საქართველოს ისტორიიდან ცნობილ რამდენიმე ქალს, — მაგალითად, ყვარყვარე ათაბაგის მეუღლეს, ჭაიხოსრო ათაბაგის მეუღლეს (ქეთევან წამებულის დას) და სხვ. ეს სახელი ჰქვია კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის" ერთ-ერთ მთავარ გმირ ქალს.

დენოლა (ქართ.) სვანურად ნიშნავს „გოგონას".

დესპინე (ბერძ.) „ქალბატონი". მოფერებითი ფორმაა დესი. ეს სახელი ჰქვია ე. ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდის" მთავარ გმირ ქალს.

დიანა (ლათ.) მთვარის, ტყის, ნადირობის ქალღმერთის სახელია. ბერძნულში მისი შესაფარდია არტემიდა. ბერძნული მითოლოგიით, ის იყო იუპიტერის შვილი და გამოხატავდნენ ხელში შვილდით, თავზე ნახევარმთვარით. მისი დღესასწაული საბერძნეთში აზიიდან შევიდა.

დილკვარდისა (ქართ.)

დილო (ქართ.)

დინა ბიბლიური სახელია (სვანურად „ქალიშვილს", „გოგონას" ნიშნავს).

დინარა წარმოადგენს ქართული თამარ-ის სახეცვლილ ფორმას რუსულში (ცნობილია რუსული „თქმულება დინარაზე", ე. ი. ქართველ თამარზე).

დოდო (ქართ.), მოფერებით: დოდონა, დოდიკა, დოდიკო. წარმოადგენს გოგო-ს სახეცვლილ ფორმას, როგორც მას გამოთქვანენ ჩვილი ბავშვები. დოდო გვხვდება აგრეთვე კაცის სახელად, რომელიც სულ სხვა წარმოშობისაა (ბიბლიური სახელია, „ღვთის მეგობარს" ნიშნავს).

დომნა (ლათ.) „ქალბატონი", „დიასახლისი" (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ *მატრონა*). დომუს ლათინურად ნიშნავს „სახლს" (შეადარეთ რუს. дом). ფუძეზე ინ სუფიქსის დართვით (*დომ-ინ-ა*) მას ეძლევა „დიასახლისის" მნიშვნელობა. აქედანვეა სიტყვები: *დომინიონი, დომინირება*, ესპანელ აზნაურთა ტიტული დონ და სხვა.

დომინიკა, დომნიკა (ლათ.) „უფლისა" (უფლის, ბატონის საკუთრება); ანდა: „კვირისა" (კვირას დაბადებული).

დუდა (ქართ.)

დუდუხანა (ქართ.) „ჩასუქებული".

ევა (ძვ. ებრ.) „ცოცხალი“. ბიბლიის მიხედვით, ეს სახელი ერქვა ქვეყნად პირველ ქალს, პირველი კაცის — ადამის მეულღეს. მისი კნინობითია ევროპულ ენებში გავრცელებული *ეველინა*.

ევდოკია (ბერძ.) „წყალობა“, „სათნოყოფა“. ხალხში გავრცელებული ფორმებია *ედუკია, ედუკი*, შემოკლებული — *ედო* (აქედანაა პოეტ იროდიონ ხოსიტაშვილის ფსევდონიმი *ევდოშვილი*).

ევპრაქსია (ბერძ.) „კეთილდღეობა“, „კეთილმოქმედება“. ხალხური ფორმებია: *ეპრაქსია, ეპრასია, ეპრასი* (შეადარეთ სიტყვა *პრაქტიკა* — „მოქმედება“, „საქმიანობა“).

ეთერ (ძვ. ებრ.) „ვარსკვლავი“, ან (ბერძ.) „ჰაერი“, „ეთერი“. აქედანაა გვარი *ეთერია*. ქართულ ხალხურ ლეგენდაში ეთერი ჰქვია ულამაზეს მწყემს ქალიშვილს, რომელიც შეუყვარდა მეფისწულ აბესალომს. ამ ლეგენდის სიუჟეტზეა აგებული ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

ეკატერინე (ბერძ.) „წმინდა“, უმწიკვლო“. შემოკლებული ფორმაა *ეკა*.

ელდინო (ქართ.)

ელენე ერთ-ერთი იმ სახელთაგანია, რომლებიც მთელ მსოფლიოშია გავრცელებული სხვადასხვა ფორმით (*ელა, ელია, ლესია, ლენა, ნელი* და სხვა). წარმოშობით წინარე ბერძნულია და დაახლოებით განმარტავენ როგორც „ნათელს“, „მანათობელს“. ბერძნულ მითოლოგიაში ამ სახელით ცნობილია ულამაზესი დედოფალი — ელენე. ქართულში ამ სახელის მოფერებითი ფორმებია: *ელო, ელიკო, ლენა, ნელი*.

ელეონორა ახალი ნასესხებია ევროპული ენებიდან, სადაც იგი შესაძლოა მომდინარეობდეს ძველი ბერძნულიდან და ნიშნავდეს „მოწყალებას“, „თანაგრძნობას“. მისი შემოკლებული ფორმაა *ნორა*.

ელზა ახალი ნასესხებია ევროპული ენებიდან, სადაც იგი *ელისაბედ*-ის კნინობით ფორმას წარმოადგენს.

ელიკო ელენე-ს კნინობითი ფორმაა, რომელიც მხოლოდ ქართულში გვხვდება და ცალკე სახელად ქცევის ტენდენცია ახასიათებს.

ელისაბედ (ძვ. ებრ.) „ღვთის მოფიცარი“ (სიტყასიტყვით: „ღმერთს ვფიცავ“, „ღმერთია ფიცი ჩემი“). მისი მოფერებითი ფორმებია: ლიზა, ლიზიკო.

ელისო ქართული სახელია, შესაძლოა მიღებული იყოს *ელისაბედ*-ის შემოკლების გზით. ელისო ჰქვია ალ. ყაზბეგის ამავე სახელწოდების მოთხრობის მთავარ გმირს.

ელო ელენე-ს შემოკლებული ფორმაა.

ელპიდე (ბერძ.) „სასოება“, „იმედი“ (შეადარეთ ქართული *იმედა, დედისიმედი*, რუსული *надежда*). ხალხში გავრცელებული ფორმაა *ელპიტე*.

ენძელა (ქართ.)

ესმა (ქართ.)

ეფემია (ბერძ.) „ღვთისმოსავი“, „ღვთისმოყვარე“. მის კნინობით ფორმებად ითვლება ქართულში: ფეფო, ფეფიკო, ფეფენა, ფეფელა (თუმცა წარმოშობით ესენი დამოუკიდებელი სახელები ჩანს).

ეფროსინე (ბერძ.) „სიხარული“, „მხიარულება“. შემოკლებული ფორმაა *ეფრო*.

ეშხა (ქართ.) ვარიანტული ფორმებია: *ეშხანა, ეშხია*.

3

ვალენტინა (ლათ.) „ძლიერი“, „ჯანმრთელი“ (ნაწარმოებია ვალენტინ კაცის სახელისაგან. დაწვრილებით იხ. *ვალერი*). მისი კნინობითია ვალია.

ვალიდა ახალი ნასესხებია ევროპული ენებიდან.

ვანდა (სლავ.)

ვარდო (ქართ.)

ვარვარა იხ. ბარბარე.

ვარსკვლავისა (ქართ.) მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ ბერძნული ასტერი, სომხური ასტღიკ.

ვასასი

ვენერა (ლათ.) ანტიკურ მითოლოგიაში სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთის სახელია. იგივე სახელი ჰქვია პლანეტას (შეადარეთ ამ პლანეტის ქართული სახელწოდება *ცისკარი* და მისგან ნაწარმოები სახელი *ცისკარა*).

ვერა (რუს.) „რწმენა". ბერძნული სახელის *პისტი*-ს თარგმანია. ქართულში გავრცელებული მოფერებითი ფორმაა *ვერიკო*.

ვინარი (ქართ.) ახალი ნაწარმოები სახელია. შედგება ორი სიტყვისაგან: *ვინ არი*. ეს სახელი ჰქვია საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ სხულუსიას ასულს — სოციალისტური შრომის გმირს — ვინარი სხულუხიას.

ვიოლა, ვიოლეტა (ფრანგ.) „ია". ახალი შემოსული სახელია, მის გავრცელებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ვერდის ოპერა „ტრავიატამ", რომლის გმირ ქალსაც ჰქვია ეს სახელი.

ზ

ზაირა თურქული სახელია, მომდინარეობს არაბული ზეჰრასაგან; „ყვავილს" ნიშნავს.

ზემფირა (არაბ.) „მსუქანი". ეს სახელი ერქვა მუჰამედის ქალიშვილს, ამიტომ ძალზე გავრცელდა.

ზინა, ზინაიდა (ბერძ.) ნაწარმოებია ძველ ბერძენთა უზენაესი ღვთაების, ზევსის, სახელისაგან და ნიშნავს „ზევსისა", „ღვთისა" (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ ქართული *ღვთისია, ღვთისავარი*). *ზინა* წინათ იხმარებოდა კაცის სახელად, მისგან კი ნაწარმოები იყო ქალის სახელი *ზინაიდა*. ამჟამად ორივე მხოლოდ ქალის სახელად გვხვდება და *ზინა* ითვლება *ზინაიდა*-ს შემოკლებულ ფორმად.

ზოია (ბერძ.) „სიცოცხლე" (შეადარეთ ცოცხალ არსებათა შემსწავლელი მეცნიერების სახელწოდება — ზოოლოგია, აგრეთვე გეოლოგიურ ერათა სახელები: *პალეოზოური, კაინოზოური* და სხვ.). ამ სახელით ცნობილი არიან სამამულო ომის გმირი ქალიშვილები, საბჭოთა კავშირის გმირები ზოია კოსმოდემიანსკაია და ზოია რუხაძე.

თ

თათია, თათული (ქართ.)

თალიკო ქართული სახელია, მიღებული *თამარ*-ის კნინობითი ფორმისაგან: *თამრიკო* → *თალიკო*.

თამარ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქალის სახელია სა-

ქართველოში საუკუნეთა მანძილზე. ამ სახელით ცნობილ ისტორიულ პირთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია თამარ მეფე (მეფობდა 1184—1213 წლებში). ეს პირველი ქართველი მეფე-ქალი ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და მისი სახელიც ქართულის მეშვეობით შევიდა საეკლესიო კალენდარში. წარმოშობით თამარს უკავშირებენ სემიტურ ენებს, კერძოდ ძვ. ებრაულს, სადაც იგი „ფინიკის პალმას" ნიშნავს. მოფერებითი ფორმებია: *თამრო, თამრიკო, თამუნა, თამუნია, თაკო. თამარ*-ისაგან არის ნაწარმოები გვარი *თამარაშვილი*, გეოგრაფიული სახელი *თამარაშენი* და სხვანი.

თამთა მიღებული ჩანს *თაჰამთა*-საგან, რომელიც გვსვდება როსტომის და ზოგი სხვა ირანული გმირის ეპითეტად და ნიშნავს „ღონიერს", „გოლიათს".

თამილა (ძვ. რუს.) „ტანჯული", „წამებული".

თანანა (ქართ.)

თაფლო (ქართ.)

თეა (ბერძ.) „ღვთაება".

თებრონე (ბერძ.) მნიშვნელობა დაუდგენელია. ძველი ფორმაა *თებრონია*, ქართულში უფრო გავრცელებული ფორმაა *თებროლე*. (გავიხსენოთ ხალხური ლექსი: „თებროლე მიდის წყალზედა"). მისი კნინობითია *თებრო*.

თეთრუა (ქართ.)

თეკლე (ბერძ.) „ღვთის დიდება". მისივე ვარიანტია *თეკლა* (ერეკლე მეფის უმცროს ქალიშვილს ხუმრობით თეკლა-ბიჭს ეძახდნენ). ამ სახელის პირველ ნაწილს შეადგენს *თეოს* — „ღმერთი", რომელიც შედის აგრეთვე მრავალ სხვა საკუთარ სახელში (იხ. *თედორე*), მეორე ნაწილია *კლეოს* — „დიდება", რომელსაც შეიცავს აგრეთვე ევროპაში გავრცელებული ქალის სახელი *კლეოპატრა* — „მამის დიდება".

თეო (ბერძ.) „ღმერთი", „ღვთაება". *თეო*-ს (ასევე *თეკლე*-ს) კნინობითია ქართულში *თეკო*.

თეონილე წარმოადგენს ბერძნული *თეონილა*-ს ქართულ ფონეტიკურ ვარიანტს, ნიშნავს „ღვთის გონებას" ან „საღვთო ფიქრს".

თეონა (ბერძ.) „ღვთის ფიქრი", „ღვთის გონება". ადრე კაცის სახელი იყო და შემდგომ იქცა ქალის სახელად.

თვალმაისა (ქართ.)

თიესა

თინათინ (ქართ.) „მზის სხივის ანარეკლი", „მოციმციმე სხივი". „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი მთავარი გმირი ქალის სახელია და ამ პოემის წყალობით ძალზე გავრცელებულია ქართულში. მისი მოფერებითი ფორმებია *თინა, თიკო, თინიკო, თინუკა.*

თოვლია (ქართ.)

ი

ია ადრეული გაზაფხულის ყვავილის სახელია; ბერძნულად მას ჰქვია *იონ*, მისი მრავლობითი რიცხვის ფორმაა *ია*, რომელიც ქალის სასელად არის ქცეული და შესულია ევროპულ ენებშიც, მაგალითად, რუსულში, ფრანგულში (იხ. *ვიოლა, ვიოლეტა*). იგივე სიტყვა ნასესხებია ყვავილის სახელადაც (შეადარეთ რუს. фиалка „ია", фиолетовый — „იისფერი"). ასევე ქართულშიც *ია* შემოსულია ყვავილის აღსანიშნავადაც და ქალის სახელადაც. *ია* ქალის სახელად გვხვდება ბორჯომის ხეობაში მარიამწმინდის ეკლესიის ფრესკაზე (XII—XIII სს.), რომელზეც გამოსახული არიან ქალი და ვაჟი (ჩანს დედა-შვილი) *იაი* და შოთა. შესაძლებლად არის მიჩნეული, რომ ესენი შოთა რუსთაველი და დედამისი იყვნენ.

იათამზე (ქართ.)

იამზე (ქართ.)

ივდით (ძვ. ებრ.) „იუდეველი", „ებრაელი".

ივეტა (ფრანგ.)

ივლიტა, ივლიტე (ლათ.) იგივეა, რაც *იულია* (იხ.).

იზაბელა ძვ. ებრაული სასელის *ელისაბედ*-ის ვარიანტია, გავრცელებული ევროპულ ენებში. მისი შემოკლებული ფორმაა *იზა*.

იზოლდა (ანგლოსაქსური) „გამოჩენილი მეომარი".

ინა ახალი ნასესხებია ევროპულიდან, სადაც ადრე გავრცელებული ყოფილა კაცის სახელადაც. უკავშირებენ ლათინურს და თარგმნიან როგორც „ნიაღვარი", მაგრამ ზუსტი მნიშვნელობა და წარმომავლობა უცნობია.

ინგა (სკანდინავიური) უკავშირდება ძველი ისლანდიელების ღმერთის სახელს *ინგვე-ს*. ქართულში ახალი ნასესხებია.

ინეზა აგრეთვე ახალი ნასესხებია ევროპული ენებიდან. ესპანური ვარიანტია *აგნესა*-სი (იხ.).

ირინე (ბერძ.) „მშვიდობა“. მისი შემოკლებული ფორმაა *ირა* (ეს უკანასკნელი შეიძლება მიღებული იყოს *ირაიდა*-ს შემოკლებითაც, რომელიც აგრეთვე ბერძნული სახელია და ნიშნავს „გმირ ქალს“ ან „ჰერას ასულს“).

ირმა ქართული სახელია; გარეგნულად ემთხვევა გერმანულ სახელს, რომელსაც სულ სხვა მნიშვნელობა აქვს და „ირმინისადმი (ომის ღმერთისადმი) შეწირულს“ ნიშნავს.

იულია (ლათ.) „იულიუსის კუთვნილი“, „იულიუსისა“, ან „ივლისისა“.

კ

კატო ქართული სახელია, მიღებული *ეკატერინე*-ს შემოკლებით.

კეკელა, შემოკლებით *კეკე*, ქართული სახელია, ნიშნავს „მშვენიერს“, „ლამაზს“, „ტურფას“ (შეადარეთ *კეკლუცი*). წინათ იგი გავრცელებული ყოფილა როგორც ქალის, ასევე კაცის სახელადაც (აქედან მოდის გვარები: *კეკელაშვილი, კეკელიძე, კეკელია*). ახლა ეს სახელი თითქმის აღარ გვხვდება, რადგან კეკელამ უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინა („პრანჭია“, „მეშჩანი ქალი“).

კესანე ქართული სახელია, შერქმეული მინდვრის ყვავილის სახელწოდების მიხედვით.

კესარია (ბერძ.) „დედოფალი“. შემოკლებული ფორმაა *კესო*, რომელიც ვრცელდება ქართულში როგორც დამოუკიდებელი სახელი. ეს სახელი ჰქვია ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირს. გვხვდება აგრეთვე მეორე შემოკლებული ფორმაც — *კესა*.

კლავდია (ლათ.) ნაწარმოებია კაცის სახელისაგან: *კლავდიუს*— „კოჭლი“. კლავდიუსს უწოდებდნენ კოჭლ ღვთაებას — ჰეფესტოსს ანუ ვულკანს.

კლარა (ლათ.) „ნათელი“. ახალი ნასესხებია ევროპული ენებიდან.

კმარა (ქართ.) არქმევენ, როცა მეტი ქალიშვილი აღარ სურთ. ასეთივეა აღმოსავლური სახელები: *ბასაკ* („კმარა“), *ბასგულ* („კმარა ყვავილი“, ე. ი. კმარა ქალიშვილი, გოგონა აღარ გვინდა). შეადარეთ აგრეთვე *ნამეტი*, მეგრ. *მეტვარ* („მეტი არა!“).

კრაჰაი (ქართ.) თამარ მეფის დროს გამოჩენილი დარბაისელი ქალი იყო კრავაი ჯაყელი. ეს სახელი კრავ-ის ფორმით გვხვდება უფრო ადრეც — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში".

ლ

ლალე (ირან.) „იასამანი".

ლალი წარმოშობით ძველი ინდურია, აღნიშნავდა წითელი ფერის ძვირფას თვალს — ლალს, აქედან კი—საერთოდ წითელ ფერს. როგორც ერთი, ისე მეორე მნიშვნელობით იგი ისესხა არაერთმა აღმოსავლურმა ენამ. სხვადასხვა გზით ამ სიტყვას უკავშირდება სახელები ლალი, ლალა, ლალე, ლოლა. ზოგი მათგანი აღმოსავლეთის ხალხებში გვხვდება კაცის სახელადაც. აქედანაა გვარები: *ლალაშვილი, ლალიაშვილი, ლოლაშვილი.*

ლამარა ახალი წარმოქმნილი ქართული სახელია. სვანეთში, უშგულის თემში, არის წმინდა მარიამის სახელობის ტაძარი, რომელსაც ლამარია ჰქვია („მარიამისა"). ამ სახელწოდებისაგან არის მიღებული ლამარა.

ლამზირა (ქართ.) სვანურად ნიშნავს „სალოცავს". ნაწარმოებია ლამარა-ს მსგავსად.

ლანა

ლარისა (ბერძ.) „თოლია".

ლატავრა (სპ.) „რატის ასული". მისი ადრინდელი ფორმაა ლატავრი, რომელიც ქალის სახელად გვხვდება ჯერ კიდევ VII საუკუნეში („ქართლის ცხოვრებაში", შემდეგ X საუკუნეში — „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში"). ძველად გვხვდებოდა აგრეთვე ანალოგიურად ნაწარმოები ქალის სახელები: *გვარამავრი* და *პეროჟავრი*. ლატავრა ჰქვია ს. შანშიაშვილის ამავე სახელწოდების დრამისა და ზ. ფალიაშვილის ოპერის მთავარ მოქმედ გმირს.

ლაურა (ლათ.) „დაფნა" (დაწვრილებით — იხ. *ლავრენტი*).

ლეილა (არაბ.) „ღამე", გადატანით — „შავი", „შავგვრემანი". სხვაგვარი ეტიმოლოგიით, არაბულში შესულია ძველი ებრაულიდან, სადაც ლილია, ლილი ნიშნავს „შროშანს". ებრაულიდან ეს სიტყვაც და საკუთარი სახელიც ნასესხებია აგრეთვე ლათინურში და მთელ რიგ ევროპულ ენებში.

ლელა (ქართ.) „სწორთმიანი“ (მცენარის სახელისაგან). XVII საუკუნიდან ცნობილია თეიმურაზ მეფის ასული — ლელა ბატონიშვილი. ლელა ჰქვია ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ გმირ ქალს.

ლია (ძვ. ებრ.) ეტიმოლოგია დაუზუსტებელია; არსებობს რამდენიმე გვარი ვარაუდი, რომელთა მიხედვით შეიძლება ნიშნავდეს „დეკეულს“ ან „ანტილოპას“, ან კიდევ „დაქანცულს“, „დაღლილს“.

ლიანა ევროპული სახელის ლილიანა-ს შემოკლებული ფორმაა.

ლიდა, ლიდია (ბერძ.) „ლიდიელი“ (ლიდია მცირე აზიის ერთ-ერთი ქვეყნის სახელწოდებაა).

ლილი (ძვ. ებრ.) „შროშანი“.

ლილიანა ახალი ნასესხებია ევროპული ენებიდან, სადაც მას უკავშირებენ ყვავილის ლათინურ სახელს: *ლილია* — „შროშანი“ (თავის მხრივ ეს ლათინური სახელწოდება ძველი ებრაულიდან მოდის).

ლიუდმილა (სლავ.) „ხალხის საყვარელი“. სლავურ ენებში არის ვაჟის სახელი *ლიუდმილ*, რომლისგანაც ნაწარმოებია ქალის სახელი *ლიუდმილა*.

ლოლა (ირან.) „იასამანი“.

ლონდა

ლუბა, ლიუბა (სლავ.) შემოკლებული ფორმაა *ლიუბოვ* სახელისა, რომელიც ბერძნულის კალკს (პირდაპირ თარგმანს) წარმოადგენს. ლეგენდის მიხედვით, იყვნენ წამებული დები: *ქარისი* ანუ *აგათე* („სიყვარული“), *პისტის* („რწმენა“) და *ელპის* ანუ *ელპიდე* („იმედი“). მათ დედას ერქვა *სოფიო* („სიბრძნე“). ეს სახელები (სოფიო, აგათია, პისტი, ელპიდე) უთარგმნელადაც გავრცელდა ქრისტიან ხალხებში, ზოგან კი ითარგმნა კიდეც. ამგვარი თარგმანის ნიმუშია რუსული *ვერა*. („რწმენა“), *ლიუბოვ* („სიყვარული“), *ნადეჟდა* („იმედი“), რომლებიც ბოლო დროს შემოვიდა ქართულშიც..

ლუიზა ფრანგული სახელია, ნაწარმოები მამაკაცის სახელისაგან: ძველი ფრანგული *ხლოდვიკ* ნიშნავს „სახელოვან მეომარს“. აქედან მომდინარეობს ვაჟის სახელი *ლიუდვიგ (ლიუდოვიკ)*, რომლისგანაც მივიღეთ *ლუი*, ამ უკანასკნელისაგან კი — ქალის სახელი *ლუიზა*.

მაგდა, მაგდანა მაგდალინა-ს შემოკლებული ფორმაა, ნიშნავს „მაგდალინელს“. რელიგიური გადმოცემით, პალესტინის ქალაქ მაგდალიდან იყო ერთ-ერთი წმინდანი, სახელად მარიამი, რომელსაც სხვებისაგან გასარჩევად მარიამ მაგდალინელი ეწოდა. სწორედ მისი ზედწოდება იქცა შემდეგ ცალკე სახელად.

მაგული (ქართ.) მეგრულად ნიშნავს „მსგავსს“.

მადლენა წარმოადგენს მაგდალინა-ს ფრანგულ ფორმას, ჩვენში ახალი ნასესხებია (შეადარეთ *მაგდა, მაგდანა*).

მავრა (ბერძ.) „შავი“, „შავგვრემანი“. საფუძვლად უძევს კაცის სახელი *მავრი* ან *მავრიკი* (ფრანგული გამოთქმით — *მორის*).

მათიკო ქართული სახელია, მიღებული ჩანს *მართა*-ს მოფერებითი ფორმისაგან.

მაია ძველი ინდური ღვთაების — ბუდას დედის სახელია. ასევე ეწოდება მერკურის ანუ ჰერმესის დედას ბერძნულ მითოლოგიაში.

მაიკო *მაია*-ს, *მარიამ*-ის ან *მაისა*-ს საალერსო ფორმაა. ამ სახით მხოლოდ ქართულში წარმოგვიდგება.

მაისა (ქართ.) „მაისისა“, „მაისში დაბადებული“. ადრე გვხვდებოდა ვაჟის სახელადაც. აქედანაა გვარი *მაისაშვილი*.

მაკა

მაკრინე (ლათ.) „ხმელი“, „გამხდარი“. მისი მოფერებითი ფორმებია ქართულში *მაიკო, მაკო*.

მამისა (ქართ.) წინათ გვხვდებოდა ვაჟის სახელადაც. აქედანაა გვარი *მამისაშვილი*.

მამისთვალა (ქართ.).

მანანა (ძვ. ებრ.) ბიბლიური სახელია, ნიშნავს „მცირეს“, „პატარას“, „ცით მოვლენილს“. ქართულში ქალის სახელად ბოლო დროს განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული.

მარიდი (ქართ.)

მარგალიტა (ლათ.) „მარგალიტი“. მისი შემოკლებული ფორმაა *მარგო*.

მარეხ, მარიხ (არაბ.) „მარსი“, ანუ „ვენერა“ (პლანეტა), „მარიხ-ვარსკვლავი“, იგივე „შუქურ-ვარსკვლავი“.

მართა (არამეული) „ქალბატონი", „დიასახლისი". მისი მოფერებითი ფორმაა ქართულში *მათიკო*.

მარიამ (ძვ. ებრ.) მოეპოვება რამდენიმეგვარი განმარტება: 1. „შეუპოვარი", „დაუმორჩილებელი", „უარმყოფელი"; 2. „მწარე"; 3. „ქალბატონი"; 4. „საყვარელი უფლისა". დამაჯერებელი და საბოლოოდ მისაღები არც ერთი არაა, მაგრამ უფრო სავარაუდოდ ითვლება პირველი მნიშვნელობა. *მარიამ*-ის მოფერებითი ფორმებია ქართულში: *მარო, მარიკო, მაიკო*.

მარინე (ლათ.) „ზღვისა". ლათინურად ზღვას ეწოდება *მარე*, რომელიც საფუძვლად უძევს ვაჟის სახელებს: *მარიან, მარინ, მარი*, ხოლო ამ უკანასკნელთაგან წარმოქმნილია ქალის სახელები: *მარინა, მარიანა* (იგივე *მარინე*) და სხვანი (შეადარეთ რუს. море — „ზღვა"; *მარინისტი* ჰქვია მწერალს ან მხატვარს, რომლის შემოქმედების მთავარი თემაა ზღვა).

მატრონა (ლათ.) „ქალბატონი", „დიასახლისი".

მაყვალა (ქართ.) აღნიშნავს „შავტუხას", „შავგვრემანს", ისევე როგორც ბერძნული *მავრა* ან *მელანია*.

მეგი *მაგდა*-ს ანუ *მაგდალინა*-ს ინგლისური ფორმაა.

მედეა ძველი ქართული სახელია, გაურკვეველი მნიშვნელობისა. მისი მოფერებითი ფორმაა *მედიკო*. ბერძნული მითის მიხედვით, მედეა ერქვა კოლხეთის მეფის ასულს, არგონავტების წინამძღოლ იაზონის მეუღლეს.

მელანია (ბერძ.) „შავი" (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ *მავრა, მაყვალა*. შინაარსის მხრივ მასვე უკავშირდება სიტყვა *მელანი*— საწერი სითხე, რომელიც თავდაპირველად შავი ფერისა მზადდებოდა). ამავე სახელის ვარიანტებია. ქართულში: *მელანა, მელანო*, შემოკლებით — *მელო*.

მელიტა (ბერძ.) „თაფლიანი". ახალი ნასესხებია ევროპული ენებიდან (შეადარეთ კაცის სახელი *მელიტონ*, საიდანაც ნაწარმოებია ქალის სახელი *მელიტონა*, ამ უკანასკნელის შემოკლებით კი მიღებულია *მელიტა*).

მერი *მარიამ*-ის ინგლისური ფორმაა, რომელიც ქართულში ახალი შემოსულია. ეს სახელი ჰქვია გ. ტაბიძის პოეტური ოცნების ქალიშვილს, რომელსაც ეძღვნება პოეტის რამდენიმე შესანიშნავი ლექსი.

მზალო ჩერქეზულად ნიშნავს „მოუსვენარს“, ყაბარდოულად — „სინათლეს“, „შუქს“ (შეადარეთ *შუქია, ნათელა, სვეტლანა, ფოტინე*). ქართულში გავრცელდა ალ. ყაზბეგის „ელგუჯას“ გავლენით, რომლის მთავარ გმირ ქალსაც მზალო ჰქვია.

მზევინარი (ქართ.)

მზეთამზე (ქართ.)

მზეონა (ქართ.) „მზიანი“.

მზექალა (ქართ.) აქედანაა გვარი *მზექალაშვილი*.

მზეხა (ქართ.) „მზე ხარ“ ან *მზეხათუნ*-ის შემოკლებული ფორმაა.

მზეხათუნ (ქართ.) „მზე-ქალბატონი“, „მზის მსგავსი ქალბატონი“ (სახელის მეორე ნაწილი *ხათუნ* თურქულად ნიშნავს „ქალბატონს“ და ქართულში ცალკეც იხმარება ქალის სახელად).

მზია (ქართ.)

მზიანა (ქართ.)

მზისადარ (ქართ.)

მზიულა (ქართ.)

მთვარისა (ქართ.)

მინადორა (ბერძ.) „თვის საჩუქარი“.

მირანდა შემოკლებული ფორმაა *მირანდუხტ*-ისა, რომელიც წარმოშობით ირანული სახელია და „ამირის (ბატონის) ასულს“ ნიშნავს (შეადარეთ *გურანდუხტ*||*გურანდა* „გურამის ასული“, ნახეთ კიდევ ვაჟის სახელი *მირზა*). ვახტანგ გორგასალის ერთ დას გურანდუხტი ერქვა, მეორეს — მირანდუხტი. ეს სახელები სრული ფორმით დღეს აღარ იხმარება, მაგრამ გვხვდება შემოკლებული სახით: *გურანდა, მირანდა*. ეს უკანასკნელი ემთხვევა ევროპულ სახელს.

მოკონა (ქართ.) მეგრულად ნიშნავს „სასურველს“ (სიტყვა-სიტყვით: „გვინდა“).

მოკრისი

ნ

ნადეჟდა (სლავ.) „იმედი“. ბერძნული *ელპიდეს* თარგმანია (დაწვრილებით იხ. *ელპიდე, ლიუბა*). შემოკლებული ფორმაა *ნადია*.

ნაზი (ქართ.) მოფერებით — *ნაზიკო*, *ნაზო* (სიტყვა *ნაზი* წარმოშობით სპარსულია).

ნაზიბროლა (ქართ.) აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელის" ერთ-ერთი პერსონაჟის სახელია.

ნათელა (ქართ.) - ერთ-ერთი ძალზე გავრცელებული ქართული სახელია ქალისა, წინათ კაცის სახელადაც გვხვდებოდა (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ: *ლუკა*, *ლუკინა*, *ფოტინე*, *როქსანა*, *კლარა*, *ლუცია*, *ლუჩია*, *სვეტლანა* და სხვანი). აქედანაა გვარი *ნათელაშვილი*. *ნათელა* ჰქვია ა. წერეთლის ამავე სახელწოდების პოემის მთავარ გმირს.

ნათია (ქართ.) *ნათელა*-ს პარალელური ფორმაა, გვხვდება ჯერ კიდევ XV ს. დამდეგს: როგორც „ქართლის ცხოვრება" გვაუწყებს, მეფე გიორგი VII-ს ცოლად ესვა ქუცნა ამირეჯიბის ასული ნათია. *ნათელას* მსგავსად *ნათია* (*ნათაი*) გვხვდება კაცის სახელადაც (იხსენიება, მაგალითად, სვანეთის კრების მატიანეში, რომელსაც XIII ს. მეორე ნახევრით ათარიღებენ). მისგან ჩანს მიღებული გვარები: *ნათაძე*, *ნათიძე*, *ნათიშვილი*.

ნაია (ბერძ.) „ალი", „წყლის ნიმფა". ეს სახელი ჰქვია ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვას" ერთ-ერთ მოქმედ გმირს.

ნაილი

ნაირა

ნაისი

ნამი (ქართ). თვით სიტყვა ნამი სპარსულიდან არის შემოსული.

ნამეტი (ქართ.) როცა მშობლებს ქალიშვილები უკვე ჰყავთ და ვაჟი სურთ, მაგრამ ისევ ქალიშვილი შეეძინებათ, მაშინ არქვევენ ამ სახელს. ნახეთ აგრეთვე *კმარა*.

ნანა (ბერძ.) „პაწაწინა". ეს სახელი ერქვა ქართლის დედოფალს, მირიანის მეუღლეს, რომლის დროსაც ქრისტიანობა დამკვიდრდა საქართველოში (IV ს.). არსებობს ვარაუდი, რომ ნანა შესაძლოა უკავშირდებოდეს ძველი ხეთური ღვთაების სახელწოდებას. მასთან კავშირშია მომდევნო რამდენიმე სახელიც.

ნანამზე (ქართ.)

ნანი (ქართ.) გვხვდება სვანეთის კრების მატიანეში (XIII ს.). ამავე სახელის ვარიანტებია *ნანია*, *ნანო*.

ნანუკა (ქართ.)

ნანული (ქართ.)

ნარბიზა (ბერძ.) ანტიკური მითის მიხედვით, *ნარკისი* ანუ *ნარცისი* ერქვა თავის თავზე შეყვარებულ ლამაზ ჭაბუკს, რომელიც თავისი სილამაზის საჭვრეტად სულ ერთთავად წყალში იყურებოდა და ღმერთებმა ყვავილად აქციეს. ამ ყვავილის სახელი ქართულად გადმოიცემა *ნარგიზ*-ის ფორმით და იგი ქალის სახელად გამოიყენება. იგი საერთოდ აღმოსავლეთში გავრცელებულია ქალის სახელად, თვით ბერძნულში კი *ნარკისი* ანუ *ნარცისი* ვაჟის სახელია, *ნარკისა* — ქალისა). სახელის ფუძეა ბერძნული ზმნა *ნარკაო* — „ვამშვებ" (შეადარეთ სიტყვა *ნარკოზი*).

ნარგული (სპ.) იგივეა რაც *გულნარა* —„ბროწეულის ყვავილი".

ნატალია (ლათ.) „ბუნებრივი", „მშობლიური". *დიეს ნატალის* ლათინურად „დაბადების დღეს" ნიშნავს. *ნატალი* კაცის სახელია, რომლისგანაც ჩვეულებრივ სუფიქსის დართვით ნაწარმოებია ქალის სახელი *ნატალია*. მისი შემოკლებული ფორმებია *ნატა*, *ნატო*.

ნატო — ნატალიას შემოკლებული ფორმა — ქართულში ქცეულია დამოუკიდებელ სახელად. გაიხსენეთ, მაგალითად, გამოჩენილი მსახიობი ნატო ვაჩნაძე.

ნატრისი (ქართ.)

ნელი ახალი ნასესხებია ევროპული ენებიდან, *ელენე*-ს (ან კიდევ *მაღლენა*-ს) მოფერებითი ფორმაა.

ნენე

ნესტან ნესტან-დარეჯან-ის პირველი ნაწილია, ქცეული ცალკე სახელად.

ნესტან-დარეჯან მომდინარეობს სპარსული გამოთქმისაგან: *ნესთ ანდარე ჯაჰან* — „სწორუპოვარი", უფრო ზუსტად: „არ არის ქვეყნად (მისი ტოლი)". ეს სახელი ჰქვია „ვეფხისტყაოსნის" მთავარ გმირ ქალს.

ნინელი (რუს.) ახალი წარმოქმნილი სახელია, რომელშიაც ბოლოდან იკითხება ლენინი.

ნია (ბერძ.) „ახალი".

ნინო ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ქალის სახელია საქართველოში უძველესი დროიდან დღემდე. გადმოცემით, ნინო ერქვა ქართველთა განმანათლებელს (ქრისტიანობის გამავრცელებელს) IV საუკუნეში. ამ სახელის ეტიმოლოგია დაუდგენელია.

ზოგიერთის აზრით, შესაძლოა უკავშირდებოდეს ასირიული ნაყოფიერების ღვთაების სახელს *ნინ*-ს (მისგანვე მომდინარეობს ასირიის დედაქალაქის სახელწოდება *ნინევია*). ყოველ შემთხვევაში, ნინო ამ ფორმით მხოლოდ ქართველებში გვხვდება და ქართულ სახელს წარმოადგენს, მას არავითარი კავშირი არა აქვს ევროპულ ენათა *ნინა*-სთან, რომელიც *ანინა*, *კატარინა*, *ჯოვანინა* და სხვა მისთანა სახელთა შემოკლებით არის მიღებული. *ნინოს* მოფერებითი ფორმებია: *ნინიკო*, *ნინუკა*, *ნინუცა*, *ნუცა*. მისგან ნაწარმოები გვარია *ნინოშვილი*.

ნონა (ეგვიპტური) „ღვთისადმი მიძღვნილი", „ღვთისადმი შეწირული", სხვაგვარი ეტიმოლოგიით, ლათინურად ნიშნავს „მეცხრეს" (ნაწარმოებია *ნონუს* ვაჟის სახელისაგან).

ნორა ელეონორა-ს შემოკლებული ფორმაა.

ნუგეშა (ქართ.)

ნუნუ შესაძლოა უკავშირდებოდეს ძველ ეგვიპტურს, სადაც *ნუნ* მთავარი წარმართული ღვთაების სახელია. ის იყო ყველა სხვა ღვთაების სათავე, მარადიული წყლის ჭაოსი.

ნუშო (ქართ.) მოფერებითი ფორმა *ნუშიკო*.

ნუცა ნინო-ს მოფერებითი ფორმის — *ნინუცა*-ს შემოკლებული ვარიანტია, ამჟღავნებს დამოუკიდებელ სახელად ქცევის ტენდენციას (გაიხსენეთ ცნობილი მსახიობი ნუცა ჩხეიძე). ამის ნიშანია ისიც, რომ ამ მოფერებითი სახელისაგან კვლავ იწარმოება კნინობითი ფორმები: *ნუციკო*, *ნუცკია* (ეს უკანასკნელი გვხვდება მ. მრევლიშვილის მოთხრობის „ხარატაანთ კერის" ერთ-ერთი პერსონაჟის სახელად).

ო

ოლიმპიადა (ბერძ.) „ოლიმპიელი" (შეადარეთ სხვადასხვა სახის შეჯიბრის აღმნიშვნელი სიტყვა *ოლიმპიადა*). მთის სახელი *ოლიმპო*, რომელიც ბერძნებს ღმერთების ადგილსამყოფელად მიაჩნდათ, და ქალაქის სახელი *ოლიმპია*, სადაც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ სხვადასხვა შეჯიბრებანი იმართებოდა, საფუძვლად უძევს ბერძნული წარმოშობის რამდენიმე სახელს, როგორც ვაჟისას, ისე ქალისას. ერთ-ერთი მათგანია ვაჟის სახელი *ოლიმპიადოს*

(ოლიმპიადი), რომლისგანაც წარმოქმნილია ქალის სახელი ოლიმპიადა.

ოლა (სკანდინავური) „წმინდა". რუსულში ადრეულ ხანაში არის ნასესხები ვაჟის სახელი ოლეგ და მისგან ნაწარმოები ქალის სახელი ოლგა. ქართულში ეს უკანასკნელი გავრცელებულია ოლღა-ს ფორმით. მისი კნინობითია ოლია, ოლიკო, ოლა.

პ

პელაგია (ბერძ.) „ზღვისა". შემოკლებული ფორმაა *პელო*. შეადარეთ გეოგრაფიული ტერმინი *არქიპელაგი* —ერთმანეთის ახლოს მდებარე კუნძულთა ჯგუფი; მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ *მარინე*.

პეპელა (ქართ.)

პირიმზე (ქართ.)

პირიმზისა (ქართ.)

პირმთვარისა (ქართ.) პირიმზისა და პირმთვარისა ჰქვიათ ა. წერეთლის „ბაში-აჩუკის" პერსონაჟებს, ტყუპ დებს.

პისტი (ბერძ.) „რწმენა", „ერთგულება". ამ სახელის თარგმანია რუს. *ვერა*.

ჟ

ჟენია ევგენია-ს არაზუსტი ფრანგული ფორმაა, შემოსული რუსულის გზით (ფრანგულად გამოითქმის *ეჟენი*). იხმარება კაცის სახელადაც, როგორც *ევგენი*-ს საალერსო ფორმა. ოფიციალურ სახელს არც ერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს.

ჟუჟუნა (ქართ.) „თვალციმციმა". არსებობს გვარებიც: *ჟუჟუნაშვილი, ჟუჟუნაძე*.

რ

რაისა (ბერძ.) „მსუბუქი", ან (არაბ.) „ქალბატონი".

რიმა (ბერძ.) მნიშვნელობა არაა ნათელი. წინათ კაცის სახელი იყო, შემდეგ კი ქალის სახელად იქცა.

რიფსიმე (ბერძ.) „მსროლელი", „დამგდები", „ერთის დამტევებელი".

როდამ (სპ.) „მდინარის წყალი", „მდინარის ელვარება". გვხვდება კაცის სახელადაც. ეს სახელი (*რუდაბე*||*როდაბე*→*როდამ*) ჰქვია ფირდოუსის „შაჰ-ნამეს" ერთ-ერთ გმირს.

რუზა (ლათ.) „ვარდი" (შეადარეთ ქართ. *ვარდო, ვარდუა*). ქართულში იშვიათად გვხვდება, შემოსულია ბოლო დროს რუსულის მეშვეობით.

რუსუდან (სპ.) „დღიანი", „დღეგრძელი" (*რუზ* — „დღე", დან სპარხული სუფიქსია, რომელიც აწარმოებს აგრეთვე ფარსადან, *სარიდან* და სხვა სახელებს; ეტიმოლოგია საეჭვოა). პოფერებითი ფორმაა ქართულში *რუსიკო*. რუსუდანი ერქვა თამარ მეფის ასულს, რომელიც ერთხანს თვითონაც იჯდა საქართველოს სამეფო ტახტზე. ეს სახელი ჰქვია ძველი ქართული მწერლობის თვალსაჩინო ძეგლის „რუსუდანიანის" მთავარ გმირს.

ს

საბედა, საბედო (ქართ.) „ვისაც ბედი ელის", „საბედნიერო" (შეადარეთ *ბედისა*). როგორც არაკალენდარული სახელი, წიწნეული იყო *ელისაბედ*-ის შემოკლებულ ფორმად.

სალომე (ძვ. ებრ.) „მშვიდობა".

სამძივარი (ქართ.)

სამძივარა (ქართ.) ძველი ქართული წარმართული ღვთაების სახელია.

სანდუა (ქართ.) „სანდომიანი"; ან: „სანდო".

სანათა (ქართ.) მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ *ნათელა, სვეტლანა, ფოტინე*. სანათა ჰქვია ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის" ერთ-ერთ პერსონაჟს, გმირი ვაჟკაცების დედას.

სარა (ძვ. ებრ.) „ქალბატონი".

სვეტლანა (სლავ.) „ნათელისა". ნაწარმოებია კაცის სახელისაგან: *სვეტლან* — „ნათელი". შეადარეთ ქართ. *ნათელა, სანათა, ბერძ. ფოტინე*.

სიდონია, შემოკლებით *სიდო* — ზუსტი ეტიმოლოგია უცნობია, შესაძლოა უკავშირდებოდეს გეოგრაფიულ სახელს *სიდონ-ს*, ე. ი. ნიშნავდეს „სიდონელს" (თვით *სიდონი* ებრაულად ნიშნავს „სათევზაო ადგილს").

სილვა ახალი ნასესხებია დასავლეთ ევროპის ენებიდან, წარმოადგენს *სილვია*-ს შემოკლებულ ფორმას, რომელიც მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს „ტყისას“ (დაწვრილებით იხ. *სილიბისტრო*).

სოფიო (ბერძ.) „სიბრძნე“. შეადარეთ მეცნიერების სახელწოდება *ფილოსოფია*. სოფისტები ერქვა ერთ-ერთი ბერძნული ფილოსოფიური სკოლის მიმდევრებს. ბულგარეთის დედაქალაქში არის წმინდა სოფიოს სახელწოდების ტაძარი, რომლისგანაც მთელ ქალაქს მიუღია სახელი — *სოფია*. *სოფიო*-ს მოფერებითი ფორმებია ქართულში: *სოფო, სოფიკო*.

სულიკო (ქართ.)

სუსანა (ძვ. ებრ.) „შროშანა“ (შეადარეთ ყვავილის სახელწოდება *სოსანი*). ამ სახელის სომხური ფორმაა *შუშანიკ*.

ტ

ტასო ანასტასია-ს მოფერებითი ფორმაა, ამჟღავნებს დამოუკიდებელ სახელად ქცევის ტენდენციას.

ტატიანა (ბერძ.) „მომწყობი“, „დამფუძნებელი“. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებული სახელია რუსულში. ეს სახელი ჰქვია პუშკინის „ევგენი ონეგინის“ გმირ ქალს. მისი მოფერებითი ფორმებია *ტანია, ტატა*.

ტერეზა ზუსტი ეტიმოლოგია არ მოეპოვება. უკავშირებენ ძველ ბერძნულს, რომლის მიხედვითაც ნიშნავს „დაცვას“ ან „მონადირეს“ (უფრო ზუსტად: „სანადიროდ სიარულს“); სხვაგვარი ვარაუდით, ძველი გერმანული სახელია და ნიშნავს „სიყვარულს“ ან „ძლიერს“.

ტრედონა (ქართ.)

ტურშა (ქართ.) ჰქვია ა. წერეთლის ისტორიული დრამის „პატარა კახის“ გმირ ქალს, დღეს მეტად იშვიათი სახელია. საეკლესიო კალენდრის მიხედვით მას შეეფერება ლათინური *პულხერია*— „ლამაზი“.

უ

უტანდარ (სპ.) „სამშობლოს მოყვარული“, „პატრიოტი“.

ფ

ფატი ფატმან-ის შემოკლებული ფორმაა, რომელიც ქცეულა ოფიციალურ სახელად.

ფატმან (არაბ.) „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი პერსონაჟის სახელია. მისი შემოკლებული ფორმაა ფატი, მასვე უკავშირდება ფატიმა, ფატმა. ეს სახელი ერქვა მუჰამედ წინასწარმეტყველის ქალიშვილს პირველი ცოლისაგან. იგი არაბულად ნიშნავს ბავშვს, რომელსაც ძუძუ მიატოვებინეს.

ფაცია (ქართ.) მნიშვნელობა უცნობია. პარალელური ფორმაა ფაცა. მსგავსი ფორმები დასტურდება ხურიტულ წარწერებში, რაც მათ შორის შესაძლო კავშირს გვავარაუდებინებს.

ფედოსია (ბერძ.) „ღვთისადმი შეწირული", „ღვთისადმი მიძღვნილი". ძველი ფორმაა *თედოსია, თედოსი* (დაწვრილებით იხ. *თედორე*).

ფეფელა, ფეფენა, შემოკლებით *ფეფო, ფეფიკო* — ქართული სახელებია, უცნობი მნიშვნელობისა. ითვლება *ეფემია*-ს მოფერებით ფორმებად, მაგრამ ასეთი დაკავშირება გვიანდელი მოვლენა ჩანს. მსგავსი ფორმები მოიპოვება ხურიტულში: ფაფა, ფაფალა, ბაბალე.

ფიქრია (არაბ.) არაბულში გვხვდება როგორც ქალის, ისე კაცის სახელად. მნიშვნელობით იგივეა, რაც „ფიქრი".

ფოთოლა (ქართ.)

ფოტინე (ბერძ.) „ნათელი", „ბრწყინვალე" (შეადარეთ *ნათელა, სანათა, სვეტლანა*).

ფუნდუ გვხვდება კოლხურში. ეს სახელი ჰქვია დ. შენგელიას მოთხრობა „განძის" ერთ-ერთ გმირს.

ქ

ქაბატო (ქართ.) „ქალბატონი" (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ *დომნა, ვილა, კირა, რაისა, სარა, ხათუნა*).

ქალთამზე (ქართ.)

ქეთევან (სპ.) მნიშვნელობა უცნობია. „შაჰ-ნამეს" ერთ-ერთი გმირი ქალის სახელი *ქეთაიონ* ქართულში გადმოტანილია *ქეთეონ*-ის ფორმით, სადანაც შემდეგ მიღებულია *ქეთევან*. მოფერებითი

ფორმებია: *ქეთო, ქეთინო, ქეთეთო*. ამ სახელით საქართველოში ცნობილია რამდენიმე ისტორიული პიროვნება, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია თეიმურაზ პირველის დედა ქეთევან დედოფალი, რომელიც ტყვედ ჰყავდა შაჰ-აბაზს. ქეთევანმა არ უარყო ქრისტეს სჯული და წამებით მოკლეს. ამის გამო ეწოდა ქეთევან წამებული, შერაცხილ იქნა წმინდანად და მისი სახელიც შეტანილ იქნა საეკლესიო კალენდარში. ქეთევან წამებულის შესახებ არსებობს რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები.

ქიონია (ბერძ.) „თაღი" (საეკლესიო კალენდრის მიხედვით „თოვლიანი").

ქრისტინე (ბერძ.) „ქრისტესი", „ქრისტიანი".

ქსენია (ბერძ.) „სტუმართმოყვარე", ან: „უცხო", „უცხოელი".

ღ

ღაბუა (ქართ.) „ჩასუქებული", „ყელ-ღაბაბიანი".

ღაღანა (ქართ.) „მოელვარე", „ხასხასა", ან „მოღუღუნე".

ყ

ყამარ (არაბ.) „მთვარე". სხვაგვარი ეტიმოლოგიით: „ცის თაღი", „კამარა" (ხურიტულად).

შ

შვენა (ქართ.)

შორენა (ქართ.) მიღებულია ბორენა-საგან გრაფიკული ცვლილებების გზით (ძველ ქართულ ანბანში შ და ბ ასოები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ამიტომ *ბორენა* შეიძლება შეცდომით წაეკითხათ როგორც *შორენა*), გააზრებულია როგორც „შორეული" (ძნელად მისაწვდომი). ეს სახელი ჰქვია კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში" მთავარ გმირ ქალს, დიდოსტატ კოსტანტინე არსაკიძის სატრფოს.

შუქია (ქართ.)

შუშანიკ, შუშანა სომხური ფორმაა *სუსანა*-სი, რომელიც წარმოშობით ებრაულია და „წყლის შროშანს" ნიშნავს. ცნობილია სო-

მეხთა მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანის ასული, ვარსქენ პიტიახშის მეუღლე შუშანიკ დედოფალი, რომლის წამებაც აღწერა იაკობ ცურტაველმა V საუკუნეში.

ჩ

ჩინარა (ქართ.)

ჩიორა (ქართ.)

ჩიტო (ქართ.) მისი კნინობითია: *ჩიტუნა, ჩიტუნია, ჩიტოლია.* გვხვდება ვაჟის სახელადაც. მისგანაა წარმოშობილი გვარები: *ჩიტოშვილი, ჩიტაძე, ჩიტაია, ჩიტია.*

ც

ცაგო (ქართ.)

ცაგული (ქართ.)

ცარო (ქართ.)

ცაცა (ქართ.)

ციცერია ძველი რომაული სახელია, მაგრამ მისი მნიშვნელობა არ არის ნათელი. ზოგი უკავშირებს ლათინურ *კიკილია*-ს, რომელიც „ბეცს", „ცუდად მხედველს" ნიშნავს.

ციაგა (ქართ.)

ციალა (ქართ.)

ციატა (ქართ.)

ციერა (ქართ.)

ციკო (ქართ.) ეს სახელი ჰქვია ალ. ყაზბეგის ამავე სახელწოდების მოთხრობის გმირ ქალს.

ცირა (ქართ.) მეგრულად ნიშნავს „ქალიშვილს" (შეადარეთ აგრეთვე გურული *ციცა, ცა*). საეკლესიო კალენდარი, როგორც ჩანს, მის მნიშვნელობას უკავშირებს „მცირეს" და ამიტომ უფარდებს ამავე მნიშვნელობის ლათინურ სახელს *პავლა*-ს (შეადარეთ *პავლე*).

ცინარა (ქართ.)

ცისანა (ქართ.)

ცისია (ქართ.)

ცისმარა (ქართ.)

ციური (ქართ.)

ციცია (ქართ.) ეს სახელი ჰქვია ალ. ყაზბეგის ამავე სახელწოდების მოთხრობის გმირ ქალს.

ციცინო (ქართ.)

ცოქალა (ქართ.) მომდინარეობს *ცხოქალა*-საგან, ნიშნავს „სხვა, უცხო ქალს", „სხვა ოჯახიდან მოსულს" (პატარძალს). *ცოქალი* ერქვა ქართლის ერისთავთ-ერისთავის რატი სურამელის დედას, თამარ მეფის თანამედროვე დარბაისელ ქალს.

ცუცა (ქართ.)

ძ

ძაბული (ქართ.) განსაკუთრებით გავრცელებულია სამეგრელოში, მიღებული ჩანს *ძღაბი* („გოგო") სიტყვის მოფერებითი ფორმისაგან: *ძაბი, ძაბა* — *ძაბული*.

ძაძუ გავრცელებული სახელია დას. საქართველოში, ყაბარდოულად ნიშნავს „ჩვილს". მსგავსი სახელი გვხვდება აგრეთვე ხურიტულში.

ძიძია (ქართ.) ალ. ყაზბეგის მოთხრობის „ხევისბერი გოჩას" ერთ-ერთი პერსონაჟის სახელია.

ხ

ხათუთა იგივეა რაც *ხათუნა*.

ხათუნა თურქულ და ირანულ ენებში ნიშნავს „ქალბატონს", „მანდილოსანს". ქართულში საკუთარ სახელად პირველად გვხვდება ფუზნარის ტაძრის წარწერაში (ივრის ხეობაში), რომელიც XIII—XIV საუკუნეებით თარიღდება. ეს სახელი ჰქვია რ. ჯაფარიძის რომან „ჯარისკაცის ქვრივის" მთავარ გმირს.

ხატია (ქართ.) „დახატული", ე. ი. „ძალიან ლამაზი" (შეადარეთ გამოთქმა „კალმით ნახატი"). ეს სახელი ჰქვია ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს" რომანის ერთ-ერთ მთავარ მოქმედ გმირს.

ხატული (ქართ.)

ხვარამზე (ქართ.) ხვარ ირანულ ენებში ნიშნავს „მზეს". ამრიგად, ამ სახელში პარალელურად არის წარმოდგენილი მზის ქართული და ირანული (ფალაური) სახელწოდება (შეადარეთ *შერლომ, გულვარდ*). ხვარამზე ერქვა ვახტანგ გორგასალის დას.

ხორეშან (სპ.) „ბედნიერი“. გავრცელებული სახელი იყო განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. სხვათა შორის, ეს სახელი ერქვა მეფე-პოეტის თეიმურაზ პირველის მეუღლეს, გიორგი X-ის ასულს.

ჯ

ჯაჯალა

ჯაჰარ მომდინარეობს არაბული *ჯავარ* სიტყვისაგან, რაც ნიშნავს „ძვირფას ქვას“, „თვალმარგალიტს“, აქედან კი — „ბრწყინვას“, მომხიბლაობას“. ამრიგად; *ჯავარა* (იგივე *ჯავაირა*) მნიშვნელობით შეესატყვისება *მარგალიტა*-ს, ანდა ნიშნავს „მომხიბვლელს“, „ტურფას“.

ჯულიეტა იულია-ს იტალიური საალერსო ფორმაა (*იულია* იტალიურად გამოითქმის *ჯულია*, ფრანგულად *ჟიული*. ამ უკანასკნელის საალერსო ფორმაა *ჟულიეტ*).

ადგილთა ვინაობა

ისევე როგორც ადამიანს, ყოველ ქალაქსა და სოფელს, ყოველ ქვეყანას, მთასა თუ კუნძულს თავისი სახელი ჰქვია. ამგვარ სახელებს ტოპონიმებს უწოდებენ (ტოპოს ბერძნულად ნიშნავს „ადგილს“, ონომა — „სახელს“). ტოპონიმთაგან ცალკე გამოყოფენ ჰიდრონიმებს — მდინარეების, ტბების, ზღვების სახელებს. საერთოდ გეოგრაფიულ სახელთა კრებულს ტოპონიმია ეწოდება, მის შემსწავლელ დარგს კი — ტოპონიმიკა.

ხალხს დიდი ხანია აინტერესებს გეოგრაფიული სახელების წარმომავლობა, მაგრამ ბევრ მათგანს დროთა განმავლობაში ისეთი ცვლილებები განუცდია, რომ მათი მნიშვნელობა დღეისათვის გაუგებარი გამხდარა. ასეთ სახელებს ხალხი ზოგჯერ თავისებურ ახსნას უძებნის, სხვადასხვა ლეგენდებს უკავშირებს მათ. ამგვარ ახსნას, რომელიც მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია, ხალხური ეტიმოლოგია ეწოდება.

ასე, მაგალითად, საქართველოს ერთ-ერთ კურორტს თითქოს იმიტომ დაერქვა აბასთუმანი, რომ იქ დიდი სიძვირეა და აბაზად ღირებული თუმნად ფასობს. მეორე კურორტს ბახმარო თითქოს იმიტომ ჰქვია, რომ იქ თათრებმა მოკლეს მოტაცებული ქალი, სახელად მარო, და ზედ დააწერეს ბახ მარო („ნახე მარო“). ქალაქის სახელი თელავი თითქოს მიღებულია სომხური გამოთქმისაგან: თე ლავე („თუ კარგია“) და ა. შ. ხალხური ეტიმოლოგია ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ამგვარი მნიშვნელობანი („თუ კარგია“, „ნახე მარო“ და სხვანი) სრულიად შეუფერებელია გეოგრაფიული სახელებისათვის და ტოპონიმიაში არსად გვხვდება. სინამდვილეში ამ სახელებს მოეპოვებათ სულ სხვა, ენის კანონებზე დაფუძნებული და ისტორიულად გამართლებული განმარტება ანუ მეცნიერული ეტიმოლოგია, რასაც ქვემოთ გავეცნობით.

ცალკეულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა მეცნიერული შესწავლის საფუძველზე კეთდება დასკვნები და დგინდება ტოპონიმიკის ზოგადი კანონზომიერებანი. როგორც ირკვევა, მსოფლიოს ყოველ კუთხეში, სხვადასხვა ენაზე, გეოგრაფიული სახელების დარქმევისას საფუძვლად აღებულია უმთავრესად ადგილმდებარეობის (რელიეფის) დახასიათება, მცენარეულობის, ცხოველების ან ფრინველების სახელები; ზოგჯერ სახელწოდებას საფუძვლად უძევს იქაურ მცხოვრებთა ვინაობა, ადგილობრივი კლიმატური პირობები თუ სხვა დამახასიათებელი ნიშანი.

ასე, მაგალითად, ბალტიის ზღვისპირა დაბლობზე მდებარე ქვეყნის სახელი *ჰოლანდია* ნიშნავს: „დაბლობ ქვეყანას". ამ ტოპონიმის კალკს ანუ ზუსტ თარგმანს წარმოადგენს ჰოლანდიის გერმანული სახელწოდება *ნიდერლანდი*. დაბლობს ნიშნავს არაბულად აგრეთვე აზიის ერთ-ერთი სახელმწიფოს სახელი *ერაყი*. იგი დიდი მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის აუზში მდებარეობს. ამ მიწა-წყალს წინათ მესოპოტომიას უწოდებდნენ, რაც ბერძნულად „შუამდინარეთს" ნიშნავს.

ქვეყნის სახელს *პოლონეთს* საფუძვლად უძევს სლავური სიტყვა поле („ველი"), *უკრაინას* — окраина („სანაპირო", „განაპირა მხარე"). *აზერბაიჯანი* ნიშნავს „ცეცხლის ქვეყანას", *დაღესტანი*— „მთიან ქვეყანას". კუნძულისა და ამ კუნძულზე მდებარე ქვეყნის სახელწოდება *ჰაიტი* (ვესტინდოეთში) ადგილობრივ მკვიდრთა ენაზე ნიშნავს „მთაგორიანს" ან „ქვიან მიწას".

კორეის მეორე სახელწოდებაა *ჩოსენ*, რაც „დილის სიგრილეს" („დილის სიგრილის ქვეყანას") ნიშნავს. ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოს სახელი *კოსტა-რიკა* ესპანურად ნიშნავს „მდიდარ სანაპიროს".

ყაზახეთის სსრ დედაქალაქის სახელწოდება *ალმა-ატა* იგივეა რაც „ვაშლოვანი". ყაზახეთშივე ქალაქის სახელი *აქტიუბინსკი* ნიშნავს „თეთრ ბორცვს".

სლავური სიტყვა дуб („მუხა") საფუძვლად უძევს არაერთი ქალაქის სახელწოდებას, როგორიცაა: დუბნა (მოსკოვის ოლქში), დუბნო (უკრაინაში), დუბოვკა (ვოლგოგრადის ოლქში), დუბროვნიკი (იუგოსლავიაში)და ა. შ.

ზოგჯერ გეოგრაფიული სახელწოდება დაკავშირებულია რომე-

ლიმე ისტორიულ მოვლენასთან ან პირთან. მაგალითად, ცნობილია, რომ ამერიკა ნაწარმოებია მოგზაურ ამერიგო ვესპუჩის სახელისაგან. მან კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ერთმა პირველთაგანმა იმოგზაურა სამხრეთ ამერიკაში და შეისწავლა იგი. თვითონ კოლუმბის პატივსაცემად ამერიკის ერთ-ერთ ქვეყანას ეწოდება კოლუმბია. მსოფლიოში განსაკუთრებით ბევრია ისეთი ქალაქი, რომლის სახელწოდებაც გამოჩენილ პირთა სახელისა ან გვარისაგან არის წარმოშობილი. მაგალითად, ეგვიპტეში ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაარსებულ ქალაქს მის პატივსაცემად ალექსანდრია ეწოდა (332—331 წ. ძვ. წ. ა.). ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტის პატივსაცემად ათზე მეტ ქალაქს (მათ შორის აშშ-ის დედაქალაქსაც) ვაშინგტონი ჰქვია. მეორე პრეზიდენტის — ვილსონის სახელს ატარებს ექვსი ქალაქი და ა. შ.

ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის პატივისცემის ნიშნად ლენინგრადი („ლენინის ქალაქი") ეწოდა რუსეთის ყოფილ სატახტო ქალაქს სანკტ-პეტერბურგს. დიდი ლენინის სახელს ატარებს აგრეთვე არაერთი სხვა ქალაქი: ლენინაბადი (ტაჯიკეთში), ლენინაკანი (სომხეთში) ლენინოგორსკი (ყაზახეთში). საქართველოში ერთ-ერთ რაიონულ ცენტრს ეწოდება ლენინგორი. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირში არის რამდენიმე ლენინო, ლენინსკი, ლენინსკოე და სხვანი. ცნობილია აგრეთვე მსოფლიოში ერთერთი უდიდესი მწვერვალი ლენინის პიკი პამირზე და ლენინის სრუტე (კარის ზღვაში).

ბევრი ძველი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობის დადგენა ამჟამად ძალიან ძნელია. ზოგჯერ უძველეს გეოგრაფიულ სახელებში შემონახულია იმ ტომის სახელწოდება, რომელიც ამ ადგილას ცხოვრობდა, თვითონ ამ ტომის სახელწოდებაში კი შეიძლება დაცული იყოს სახელი ღვთაებისა (ტოტემისა), რომელსაც თაყვანს სცემდა ხალხი შორეულ წარსულში.

ძალზე იშვიათად გეოგრაფიული სახელი შეიძლება რაიმე უბრალო შემთხვევის ან გაუგებრობის შედეგადაც იყოს დარქმეული. ამის ნიმუშია ნახევარკუნძულის სახელი იუკატანი. ეს ნახევარკუნძული ესპანელმა მოგზაურებმა აღმოაჩინეს XVI საუკუნის დამდეგს. როცა მათ ადგილობრივ მცხოვრებლებს ჰკითხეს, აქაურობას რა ჰქვიაო, პასუხად მიიღეს: იუკატან. ინდიელთა ენაზე ეს ნიშნავდა:

„არ მესმის“ („ვერ გავიგე“). მოგზაურებს კი ეგონათ, ეს ამ ადგილის სახელიაო და ნასევარკუნძულს იუკატანი დაარქვეს.

როგორც ვხედავთ, გეოგრაფიული სახელის დარქმევა მრავალგვარი მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული.

ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველოს ტოპონიმია წარმოადგენს. ჩვენში ძალიან ბევრია გეოგრაფიული სახელი, რომელიც ადგილმდებარეობის დახასიათებას შეიცავს; მაგალითად, გორი, გორისა, გორმაღალი, კლდეკარი, მთისძირი, ვაკისძირი, დიდვაკე, ველისპირი, ველისციხე, ჭალატყე, ღრმაღელე, რუსთავი, რუისპირი, წყალშავი, ქვათეთრი, ქვაციხე, რიყეთი, ზეგანი, ეწერი და სხვა.

ბევრ ჩვენს სოფელსა და ქალაქს სახელი მცენარეულობის ან ცხოველთა თუ ფრინველთა მიხედვით დარქმევია. ასეთია, მაგალითად: მუხიანი, მუხრანი, ცხრამუხა, რკონი, წიფლარი, ცაცხვნარი, დაფნარი, ვაზიანი, ნიგვზიანი, კაკლიანი, პანტიანი, თელეთი, თელოვანი, თელავი, ვაშლევი, მსხალდიდი, ჩაისუბანი, საირმე, კურდღელაური, თაგვეთი, ქორეთი, კაკაბეთი, ჩხიკვთა, საბუე და მრავალი სხვა.

მრავალი გეოგრაფიული სახელი მიღებულია იქ მოსახლე ხალხის გვარისა ან სახელისაგან: ასეთებია: დიაკონიძეები, ზარნაძეები, თაბაგრები, ხიდეშლები, ნღებრიანი, ბუჩუკურთა, მიგრიაულთა, კიმოთესუბანი, წინამძღვრიანთკარი, გრიგოლეთი, სიმონეთი და სხვანი.

გეოგრაფიულ სახელებად გვხვდება ცნობილ ისტორიულ პირთა გვარებიც: წულუკიძე, მახარაძე, ცხაკაია, გეგეჭკორი, მაიაკოვსკი.

იმის გამო, რომ გეოგრაფიული სახელების დარქმევა ხშირია ერთი და იმავე ნიშნის მიხედვით, მსგავსი ან სრულიად ერთნაირი სახელები გვხვდება სულ სხვადასხვა კუთხეში. გაშენდებოდა, მაგალითად, სადმე სოფელი და დაერქმეოდა ახალსოფელი ან ახალშენი. დღეისათვის საქართველოში ახალსოფელი ჰქვია 24 დასახლებულ პუნქტს, ახალშენი — თოთხმეტს. არსებობს აგრეთვე 9 ახალდაბა, 5 ახალუბანი, 4 ახალციხე, 2 ახალქალაქი...

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბევრ სოფელს გადაერქვა ძველი სახელი და ეწოდა ოქტომბერი, განახლება, განთიადი, შრომა, წითელსოფელი...

საუბედუროდ, წინათ ჩვენს ქვეყანას მტრები არ ასვენებდნენ, ქალაქებსა და სოფლებს ანგრევდნენ, ხალხს აწიოკებდნენ. მტრისაგან დარბეულ სოფელს ზოგჯერ სახელი ეცვლებოდა და არაშენდა ერქმეოდა. ეს სახელი დღეისათვის რამდენიმე სოფელს შერჩა, თუმცა ისინი ახლა მშვენიერი და მჭიდროდ დასახლებული სოფლებია. რამდენიმე ადგილას გვხვდება აგრეთვე აგარა, აწყური, ეწერი, ვაკე, ვანი, ზეგანი, ზენი, ვაზიანი, ვაშლოვანი, პანტიანი, სალხინო, მეტეხი, ნოღა, საბუე, შუამთა, ტბეთი, ჭალა და სხვანი.

ჩვენს ისტორიაში ძველთაგანვე ცნობილია რამდენიმე რუსთავი. მათგან ერთი ახლა განთქმული მეტალურგიული ქალაქია, მეორე—ლამაზი სოფელია მესხეთში. ეს ორი რუსთავი ერთმანეთს ეცილება, თუ რომელი მათგანია დიდი პოეტის შოთა რუსთაველის სამშობლო.

ამა თუ იმ შემთხვევის გამო ზოგჯერ ერთი და იგივე სახელი სხვადასხვა ქვეყანაშიც შეიძლება შეგვხვდეს. საქართველოში რამდენიმე დასახლებულ პუნქტს ალავერდი ჰქვია, იგივე სახელწოდება სომხეთში ქალაქის სახელად გვხვდება. ერაყის დედაქალაქია ბაღდადი. იგივე სახელი ჰქვია სოფლებს მახარაძისა და ლაგოდეხის რაიონებში, ხოლო წინათ ერქვა აგრეთვე მაიაკოვსკის რაიონულ ცენტრს. ყველას გაუგონია გმირი ქალაქი სევასტოპოლი; ამავე სახელით იხსენიება ანტიკურ ისტორიულ წყაროებში საქართველოს ულამაზესი ქალაქი სოხუმი. მთელ მსოფლიოში ცნობილია ლონდონის გარეუბანი გრინვიჩი, სადაც განთქმული გრინვიჩის ობსერვატორია მდებარეობს. გრინვიჩი ინგლისურად ნიშნავს „მწვანე ყურეს". ეს სახელი ჰქვია აგრეთვე რამდენიმე ქალაქს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამგვარი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება.

სხვადასხვა ადგილას ერთი და იმავე სახელწოდების არსებობა ზოგჯერ ხალხის გადასახლებით აიხსნება. სახელდობრ, ბევრი ევროპული ტოპონიმი ამერიკაში გადაიტანეს იქ ჩასულმა კოლონისტებმა. როცა შაჰ-აბასმა კახეთის მოსახლეობა აყარა და სპარსეთში გადაასახლა, იქ. ფერეიდანში, ახლად გაშენებულ სოფლებს ქართველებმა დაარქვეს თავიანთი მამაპაპური გეოგრაფიული სახელები: მარტყოფი, ნინოწმინდა, თელავი, ვაშლოვანი და სხვა.

ძველად საქართველოში ბარის სოფელს მთაშიც ჰქონდა საზაფხულო სადგომი, სადაც ამ სოფლის მცხოვრებნი ზაფხულობით ხან-

გრძლივად იმყოფებოდნენ, იალაღებზე, მყოფ პირუტყვს უვლიდნენ, მეცხოველეობის საქმეს უძღვებოდნენ. ზოგი ასეთი საზაფხულო სამყოფელი დროთა განმავლობაში მუდმივ სამოსახლოდ იქცეოდა, ე. ი. ჩნდებოდა ახალი სოფელი მთაში. ბუნებრივია, ამ ახალ სოფელს ხშირად იგივე სახელი ერქვა, რაც ბარის სოფელს. ცხადია, ტოპონიმების დამთხვევა ზოგჯერ ამ მიზეზითაც აიხსნება.

როგორც ვხედავთ, ტოპონიმიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეულ მხარეთა წარსულის გასათვალისწინებლად. ასევე დიდია მისი როლი ენის ისტორიის აღსადგენადაც. აქვე უნდა ითქვას, რომ საყურადღებო და მნიშვნელოვანია არა მარტო დიდი გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდებანი, არამედ ე. წ. მიკროტოპონიმებიც, როგორიცაა ყანის, მინდვრის, საძოვრის, ღელის, წყაროს, ქუჩის, უბნისა და სხვა მისთანათა სახელები. ასეთები ხომ ყოველ სოფელში ასეულობით არის! მათი შეგროვება და შესწავლა დიდად საინტერესოა მეცნიერებისათვის. აი, მაგალითად, სალიტერატურო ქართულში ამჟამად აღარ იხმარება მდინარისპირა ვაკის აღმნიშვნელი სიტყვა *მერე*. იგი შემოგვენახა გურულსა და აჭარულ დიალექტებში, ტოპონიმიისა და მიკროტოპონიმიის შესწავლა კი გვიჩვენებს, რომ ეს სიტყვა ერთ დროს ფართოდ ყოფილა გავრცელებული მთელ საქართველოში. მეორე მაგალითი: სალიტერატურო ქართულში არ მოგვეპოვება *მზვარეს* (მზიანი ადგილის) საპირისპირო ცნების აღმნიშვნელი სიტყვა. ეს სიტყვა — *ბრილი* დღემდე დაცულია იმერულში. ამავე დროს ბრილი ჰქვია სოფლებს ქართლსა და აჭარაში. აქედან ჩანს, რომ ეს სიტყვა გავრცელებული ყოფილა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. მიკროტოპონიმიის შესწავლა უეჭველად ხელს შეგვიწყობს, უფრო ზუსტად განვსაზღვროთ ამ სიტყვის გავრცელების არე.

თუ რამდენად ძვირფას ცნობებს იძლევა ტოპონიმია ენის ისტორიისათვის, ამის კარგი ნიმუშია გეოგრაფიული სახელწოდება *ხერთვისი*. როგორც ა. შანიძემ დაადგინა, ხერთვისი მიღებულია ერთვის ზმნისაგან, რომელსაც წინ უძღვის III ობიექტური პირის ნიშანი *ხ*. მართლაც, სწორედ იმ ხანებში აღმოჩენილმა ქართულმა ხელნაწერებმა (ე. წ. ხანმეტმა ტექსტებმა) ერთხმად დაადასტურეს, რომ ხანის დართვა დამახასიათებელი იყო ქართული ზმნისათვის ძალიან ძველად, VIII საუკუნის უწინარეს. ასე რომ, ხერთვისი ძვე-

ლისძველი გეოგრაფიული სახელია, რომელმაც დღევანდლამდე შემოგვინახა ძველებური ფორმა.

ტოპონიმიკური სახელები საინტერესო მასალას იძლევიან ენის ისტორიისათვის სიტყვაწარმოების მხრივაც. ზოგჯერ ადგილის სახელწოდებად ქცეულია უშუალოდ რომელიმე მარტივი, უაფიქსო სიტყვა (საზოგადო სახელი), როგორიცაა, მაგალითად: აგარა, ეწერი, ვანი, ვაკე, ზეგანი, ზვარე, ბრილი, ჭალა, ბორი, გავაზი და სხვ., მაგრამ უფრო ხშირად გეოგრაფიული სახელი ნაწარმოებია აფიქსების (თავსართ-ბოლოსართების) მეშვეობით ან სიტყვათა შეერთებით (კომპოზიციით).

ქართულ გეოგრაფიულ სახელებში განსაკუთრებით გავრცელებულია *ეთ* ბოლოსართი. ამ სუფიქსით არის ნაწარმოები საქართველოს სხვადასხვა მხარეთა სახელები: კახეთი, იმერეთი, მესხეთი, ჯავახეთი, თუშეთი, ხევსურეთი, აფხაზეთი, ოსეთი... ასევე მოკავშირე რესპუბლიკათა სახელწოდებანი: რუსეთი, სომხეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, მოლდავეთი, ესტონეთი; ქვეყნების სახელწოდებანი: სპარსეთი, ოსმალეთი, მონღოლეთი, ჩინეთი, რუმინეთი, ესპანეთი... ამავე სუფიქსით არის წარმოქმნილი ქვეყნის მხარეთა სახელები: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი. იგივე სუფიქსი გამოიყოფა საქართველოს ბევრი დასახლებული პუნქტის სახელშიც, როგორიცაა: კაკაბეთი, ორბეთი, ტბეთი, რიყეთი, თელეთი, წყნეთი, სიმონეთი, გრიგოლეთი და მრავალი სხვა.

ზოგჯერ *ეთ* სუფიქსის ნაცვლად გვაქვს სხვა ხმოვნიანი ვარიანტები, მაგალითად, *ით* ან *ათ*: ბორითი, მოლითი, კვალითი, როკითი, ნიგოზითი, ძიმითი... მუხათი, რცხილათი, ჭინძათი, ზანათი, თეკლათი და ა. შ.

ამ სუფიქსთა თავდაპირველი ფუნქცია უნდა იყოს მრავლობითი რიცხვის გამოხატვა. ტოპონიმიკურ სახელთა მაწარმოებლად ქართულში გვხვდება აგრეთვე მრავლობითი რიცხვის ამჟამად გავრცელებული ფორმანტები: *ნ, თა, ებ* (აგარანი, რკონი, კაიშაურნი, სეთურნი... ბერთა, ბუჩუკურთა, ბიჭვინთა, გურიანთა, ვანთა, მოწამეთა, ყორანთა... ბაგები, ბოსლები, კოშკები, ქვები...).

ა. შანიძის აზრით, მრავლობითის ფორმანტია აგრეთვე *ევ*, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება საქართველოს ტოპონიმიაში,

ოღონდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ქართლსა და იმერეთში), მაგალითად: ბეღლევი, ბოსლევი, ვაშლევი, ძეგლევი და სხვანი.

მრავალი ქართული გეოგრაფიული სახელი ნაწარმოებია *ის* სუფიქსით, რომელიც წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს წარმოადგენს. მისი მეშვეობით არის წარმოქმნილი, მაგალითად: თბილისი, ქუთაისი, ბოლნისი, მანგლისი, თუხარისი, რუისი, ურბნისი, ვეძისი, მარელისი და მრავალი სხვა.

ის სუფიქსის კოლხურ-სვანური შესატყვისია *იშ (შ)*, რომელიც აგრეთვე ხშირად გვხვდება დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში (ხმოვნით ან უხმოვნოდ). ასეთებია, მაგალითად: მაცხვარიში, ტვიში, ღვირიში, ღუმურიში, ჭელიში, ჯიხაიში, ლაილაში, ლეშკაში, ბოგრეში, ფოქვეში და სხვანი. ამგვარი სახელები გავრცელებულია არა მარტო დღევანდელი სამეგრელოსა და სვანეთის ტერიტორიაზე, არამედ მათ ფარგლებს გარეთაც. ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქართველ ტომთა გავრცელების ისტორიული არეალის დასადგენად. ამავე მიზნისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ტოპონიმები, სადაც *ო* პრეფიქსი გამოიყოფა. ეს პრეფიქსი წარმოშობით კოლხურ დანიშნულების თავსართს უკავშირდება და ქართულ *სა* პრეფიქსს უდრის. მისი მეშვეობით არის წარმოქმნილი სამეგრელოს ტოპონიმთაგან ოკვინორე, ონტოფო, ოტობაია, ონოღია და მრავალი სხვა. მსგავსი აგებულების გეოგრაფიული სახელებია გურიაში: ორაგვე, ოჩხამური, ოჭილაური... იმერეთში: ოკრიბა, ორაგვეთი, ოფურჩხეთი, ოჯოლა... ლეჩხუმში: ოფიტარა. ოყურეში, ონჭეიში და სხვანი.

სა პრეფიქსი სხვადასხვა სუფიქსთან ერთად გვხვდება მრავალ ქართულ გეოგრაფიულ სახელში. გამოიყოფა, სახელდობრ, შემდეგი აფიქსები: სა-ო, სა-ე, სა-ეთ, სა-ის, სა-ურ, სა-ია და სხვანი. მათი მეშვეობით არის წარმოქმნილი ისეთი გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა: სა-ქართველ-ო, სა-მეგრელ-ო, სა-ინგილ-ო, სა-ზან-ო, სა-ჯავახ-ო... სა-მშვილდ-ე, სა-ირმ-ე, სა-ბუ-ე, სა-ნიორ-ე, სა-ვა-ნ-ე... სა-სირ-ეთ-ი, სა-ფუტკრ-ეთ-ი, სა-რკინ-ეთ-ი (ასევე ქვეყნის სახელები: სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი)... საცხენის-ი, სა-ორ-ბ-ის-ი, სა-ძელ-ის-ი... სა-ბად-ურ-ი, სა-ციხ-ურ-ი... სა-მტრედ-ია, სა-თაფლ-ია, სა-ღორ-ია და ა. შ.

სა-ო აფიქსებით ბევრი სოფლის სახელია ნაწარმოები გვარე-

ბისაგან, განსაკუთრებით — სამეგრელოში: საადამიო, საბერულავო, საბესელიო, საბეჭვაიო, საგვაზაო, საგვარამიო, საგრიგოლიო, საგუგუნაო, საგუნიო და ა. შ.

ასეთივე ფუნქციით გამოყენებულია აგრეთვე *ნა-ო (ნა-უ)* და *ლე-ე* აფიქსები: ნახარებავო, ნახურცილავო, ნაწულუკუ... ლებაღათურე, ლეგოგიე, ლეგულორდავე, ლეკაკულე, ლეკეკელე, ლეკვანტალიე, ლეკოკაიე და ა. შ.

გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი აფიქსები სხვაც მრავალია, მაგრამ ჩვენ აქ აღარ შევუდგებით მათ განხილვა-დახასიათებას. არ შევჩერდებით აგრეთვე გეოგრაფიულ სახელთა კომპოზიტურ წარმოებაზე. ისედაც აშკარაა, რომ ტოპონიმიკა ბევრი რამით არის საინტერესო. იგი გვეხმარება უკეთ გავიცნოთ ჩვენი მხარე, შევისწავლოთ მისი წარსული, აღვადგინოთ ჩვენი ენის ისტორია. რაჯ ასეა, ცხადია, ტოპონიმთა შეგროვება და შესწავლა ფრიად სასარგებლო და საშური საქმეა. მსხვილი გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდებათა შეკრება შედარებით ადვილია და ეს საქმე საკმაოდ მოწესრიგებულიც არის, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ კარგად არ ვიცნობთ ჩვენი ქვეყნის მიკროტოპონიმიას, ე. ი. უბნების, გზების, ყანების, საძოვრების, ღელეების, წყაროების და სხვა ამგვარ პატარ-პატარა გეოგრაფიულ ერთეულთა სახელებს, რომლებიც მრავლად არის ყოველ სოფელში. ამ სახელების შეკრებისა და შესწავლის საქმეში მეცნიერებისათვის დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია მოსწავლე ახალგაზრდობას. ბევრი სკოლის მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს ამ საქმეში, ჩაბმულია ნორჩ ტოპონიმიკოსთა წრეში, უგზავნის თავის შეკრებილ მასალას ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს, კითხულობს მოხსენებებს მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებზე, რომლებიც ყოველწლიურად იმართება. თუ ამ საქმიანობაში რესპუბლიკის ყველა სკოლა მიიღებს მონაწილეობას, ეს დააჩქარებს ქართული ტოპონიმიკური ლექსიკონის შედგენას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების სხვადასხვა დარგისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს ტოპონიმიკის ლაბორატორია, რომელიც საგანგებოდ მუშაობს ტოპონიმიკური მასალის შეგროვებასა და შესწავლაზე.

როგორც ვხედავთ, ანთროპონიმიკის (ადამიანის სახელთმცოდ-

ნეობის) მსგავსად, ტოპონიმიკაც ლექსიკოლოგიის ფრიად საინტერესო დარგია. ბუნებრივია, გვაინტერესებს, როგორ დაერქვა სახელი სხვადასხვა ქვეყნებს, ზღვებსა თუ კუნძულებს, მთებსა და მდინარეებს, რომლებიც გვინახავს ან გაგვიგონია, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, გვაინტერესებს იმ სოფლისა თუ ქალაქის სახელწოდება, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ან ჩვენი ახლობლები ცხოვრობენ. სწორედ მათ შესახებ გვექნება საუბარი ამ წიგნის მომდევნო თავებში.

სადაც ვეობილვართ, გავზრდილვართ...

აბასთუმანი განთქმული კურორტია ადიგენის რაიონში. ძველად ის ცნობილი ციხე-ქალაქი იყო და ერქვა *ოძრხე* (ოძრახე) ანუ *ოცხე* (აქედანაა გვარი ოცხელი). ძველი ოცხის ანუ ახლანდელი აბასთუმნისაგან სულ ერთი კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა სოფელი აბასთუმანი, რომლის სახელისგანაც ერთი ბგერის შეცვლის გზით მივიღეთ აბასთუმანი.

აბასთ-უბანი ნიშნავს აბასთა (აბასების) უბანს. აბასი კაცის სახელია. ეს სახელი ერქვა, მაგალითად, სპარსეთის ერთ-ერთ მეფეს, რომელმაც რამდენჯერმე ააოხრა საქართველო (შაჰ-აბასი ანუ შახ-აბაზი). ამ მეფის სახელისაგან არის მიღებული ქართულში ხურდა ფულის ერთეულის (20 კაპიკის) აღმნიშვნელი სიტყვა აბაზი. აბასი სახელად საქართველოშიც რომ გვხვდებოდა, ამას ადასტურებს გვარები: აბასაშვილი, აბასაძე და აბაზაძე.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ აბასთუმანი სოფლის სახელია აგრეთვე სამეგრელოში (ზუგდიდის რ.).

აბისი სოფელია ქართლში, ქარელის რაიონში. იგი პირველად ნახსენებია თეიმურაზ მეფის ერთ სიგელში, რომელსაც თარიღად უზის 1633 წლის 30 მაისი. იმ დროისათვის ეს სოფელი უკვე კარგა ხნის გაშენებული ჩანს.

აშკარაა, რომ *აბისი* წარმოქმნილია *-ის* სუფიქსით, რომლის ჩამოცილების შემდეგ ფუძედ გვრჩება აბ. იგი სპარსული სიტყვაა და „წყალს“ ნიშნავს. ამრიგად, *აბისი* ნიშნავს „წყლიან ადგილს“ („წყლისი“, „წყლეთი“). მისი ანტონიმური ანუ საპირისპირო შინაარსის გეოგრაფიული სახელია *ბებნისი* (იხ. ქვემოთ).

აბარა ბევრ დასახლებულ პუნქტს ჰქვია საქართველოში. სახელდობრ, ორი აგარა ბათუმის რაიონშია, თითო — ხულოს, ახალციხის, ამბროლაურის და ქარელის რაიონებში. გარდა ამისა, ხაშურის რაიონში არის აგრეთვე სოფელი აგარები. აგარანი ერქვა ძველად

თბილისის ახლომახლო საკურორტო ადგილებს, სადაც მეფე და დიდებულები ისვენებდნენ ზაფხულობით.

აკად. ი. ჯავახიშვილი აგარას მნიშვნელობას ძველ ქართულში შემდეგნაირად განმარტავს: „აგარა ჩვეულებრივ ამა თუ იმ სოფლის ან მარტო საზაფხულო სადგომი იყო, ან სახნავ-სავენახე, რომელიც თუმცა სოფელსავით დასახლებული არ ყოფილა, მაგრამ თითოროლა იქნებ ყურის მგდები ოჯახობა შეიძლებოდა ყოფილიყო“. ჩანს, ზოგიერთი აგარის მოსახლეობა თანდათან მატულობდა და ცალკე სოფლად იქცეოდა.

აგარა და აგარაკი წარმოშობით ერთი და იგივე სიტყვაა (შეადარეთ: ბანა და ბანაკი, ჭალა და ჭალაკი, პიტნა და პიტნაკი და სხვა). აგარაკი დღეს საზაფხულო დასასვენებელ ადგილს ნიშნავს, რაც აგარას ძველი მნიშვნელობის ცვლილების შედეგია. საქართველოს ტოპონიმიაში აგარაკიც გვხვდება (ჰქვია სოფლებს გუდაუთის, მახარაძის და გარდაბნის რაიონებში).

აგუბედია სოფელია აფხაზეთში. აგუ აფხაზურად „გულს“ და აგრეთვე „შუას“, „შუაგულს“ ნიშნავს. ამრიგად, აგუბედია იგივეა რაც „შუა ბედია“. ბედია ძველად განთქმული ქალაქი ყოფილა. „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული გადმოცემის მიხედვით იგი ეგროსმა ააშენა და „უწოდა სახელი თავისი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვიან ბედია“, ხოლო მეფე ბაგრატ მესამემ „აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ... განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასვა ეპისკოპოსი“. რატომ შეეცვალა ქალაქს სახელი და რატომ დაერქვა ბედია, ან რას ნიშნავს ეს სახელწოდება, ცნობილი არ არის.

ავენისი სოფელია, შედის ანანურის სასოფლო საბჭოში (დუშეთის რ.). სახელწოდება მიღებული ჩანს აონისის-აგან: აონის ხატი→აონ-ის-ი ავენისი. *აონი* მთაში ცნობილი სატის სახელია (ამ თემას ეძღვნება მირზა გელოვანის პოემა „აონ“). მას უკავშირდება მიკროტოპონიმები: აონგორი (მდ. ივრის სათავეებში), აონის ხატი (ახმეტის რ.), აონურა (ივრის მარჯვენა შენაკადი).

აზავრეთი სოფელია ახალქალაქის რაიონში. გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, აზავერი არის „ხარი საკიდარი“, ე. ი. საბარგო ხარი. ამ სიტყვას

დართული აქეს გეოგრაფიული სახელთა მაწარმოებელი ეთ ბოლოსართი რის გამოც აზავერის ფუძეში ბოლო მარცვალი შეკუმშულია: აზავერ-ეთ-ი→აზავრეთი. ასე დარქმევია სახელი სოფელს, რომელიც ალბათ ჯიშიანი აზავრებით (ხარებით) იყო ცნობილი.

ალავერდი ადგილია კახეთში, კავკასიონის ძირას გაშლილ ვაკეზე, რომელსაც მდინარე ალაზანი ჩამოუდის. აქ დგას ცნობილი ალავერდის ტაძარი (XI ს.), რომელიც საქართველოს ძველ ნაგებობათა შორის ყველაზე მაღალია, გარს ავლია გალავანი და იგი ომიანობის დროს მნიშვნელოვანი თავშესაფარი სიმაგრეც ყოფილა. XVII საუკუნეში, როცა ქართლ-კახეთი თურქთა ურდოებმა ააოხრეს, მათ აიღეს ალავერდიც და შიგ გამაგრდნენ, მაგრამ ქართველებმა განდევნეს მტერი და ალავერდი გაათავისუფლეს. სწორედ იმდროინდელი ბრძოლები აღწერეს ა. წერეთელმა „ბაში-აჩუკში" და ვაჟა-ფშაველამ „ბახტრიონში".

ზოგიერთის აზრით, ალავერდი მიღებულია არაბულ-თურქული გამოთქმისაგან: ალლაჰ-ვერდი — „ღმერთმა მოგვცა". არსებობს სხვაგვარი ახსნაც: ალავერდი მდებარეობს სოფელ ალვანის ახლოს და მისი სახელი სწორედ აქედან წარმოდგაო: ალვან-გვერდი ან ალვათ-გვერდი (შეადარეთ სოფლის სახელი ქართლში: მუხათგვერდი).

აღსანიშნავია, რომ ალავერდი ჰქვია აგრეთვე სოფელს იმერეთში (ზესტაფონის რ.) და ქალაქს სომხეთში. ამავე სახელწოდების ფონეტიკური სახეცვლილებაა სამეგრელოს ერთ-ერთი სოფლის სახელი ალერტი (გეგეჭკორის რ.). ცხადია, ამ ტიპონიმების მიმართ ზემოთ წარმოდგენილი მეორეგვარი ახსნა არ გამოდგება.

ამბროლაური და ანანური ცნობილი გეოგრაფიული პუნქტებია: პირველი რაჭაში მდებარეობს და ამჟამად ერთ-ერთი რაიონული ცენტრია, მეორე კი სოფელი და ძველი ციხე-სიმაგრეა არაგვის ხეობაში, საქართველოს სამხედრო გზაზე. ის იყო არაგვის ერისთავთა რეზიდენცია ანუ მუდმივი ადგილსამყოფელი.

ორივე ეს გეოგრაფიული სახელწოდება, ამბროლაური და ანანური, ნაწარმოებია ურ სუფიქსით, რომელიც ჩვენს ტოპონიმიაში არაიშვიათად გვხვდება (მისი მეშვეობით არის წარმოქმნილი, მაგალითად: ბადია-ურ-ი, კურდღელა-ურ-ი ფასანა-ურ-ი და სხვანი). ურ

სუფიქსის ჩამოცილების შემდეგ ამბროლაურში ფუძედ გამოიყოფა ამბროლა, ანანურ-ში კი — ანან (ანანა), რომლებიც პიროვნული სახელებია. ეს სახელები დღეს იშვიათადღა გვხვდება, მაგრამ წინათ კი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. მათგან ნაწარმოებია გვარები ამბროლაძე და ანანიაშვილი.

აშარა ჰქვია სოფელს აფხაზეთში, მდ. კოდორის ზემო ნაწილში. აჟა აფხაზურად „იფანს“ ნიშნავს, რა ვრავლობითის სუფიქსია, რომელიც გეოგრაფიულ სახელებსაც აწარმოებს. ამრიგად, აჟარა ნიშნავს „იფნებს“ („იფნიანს“, „იფნარს“).

არაგვი მტკვარს ერთვის მცხეთასთან. საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც დარიალის ხეობით მიემართება ჩრდილოეთისაკენ, მცხეთიდან ჯვრის უღელტეხილამდე არაგვს მისდევს.

არაგვის ხეობა შესანიშნავად აქვს აღწერილი დიდ ქართველ პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს „ბედი ქართლისაში“:

მორბის არაგვი, არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთამამებს
გარემო თვისსა ატეხილ ჭალებს,
ჰოი, ადგილნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს.

არაგვს ქება-დიდება უძღვნა აგრეთვე დიდმა ილიამ პოემა „აჩრდილში“.

არაგვი რამდენიმე მდინარის სახელია: ფასანაურთან ერთმანეთს ერთვის თეთრი და შავი არაგვი, ქვემოთ კი მას უერთდება ფშავ-ხევსურეთის არაგვი, რომელიც თავის მხრივ კიდევ ორი მდინარისაგან შედგება — ფშავის არაგვისა და ხევსურეთის არაგვისაგან. წინათ არაგვი ერქვა აგრეთვე მდინარე თერგს. ამიტომ ფიქრობენ, რომ შესაძლოა არაგვი ძველად საერთოდ „მდინარეს“ ნიშნავდა.

არაგვისაგან არის მიღებული თევზის სახელწოდება ორაგული, რაც „არაგვულს“, „არაგვის თევზს“ ნიშნავს.

არგვეთი სოფელს ჰქვია ზემო იმერეთში, საჩხერის რაიონში.

სხვათა შორის, ამ სოფელში დაიბადა გამოჩენილი ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი. საჩხერის რაიონშივე არის მეორე სოფელი არგვეთი (შედის გორისის სას. საბჭოში). გარდა ამისა, ზესტაფონის ახლოს არის კიდევ სოფელი და რკინიგზის სადგური არგვეთა.

არგვეთი ანუ მარგვეთი ისტორიული სახელწოდებაა, ოღონდ წინათ ეს სახელი რქმევია არა მხოლოდ ორ-სამ სოფელს, არამედ მთელ მხარეს, ქვეყანას, რომელიც, ძველი ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობით, ლიხის მთიდან რიონამდე იყო გადაშლილი, ე. ი. დაახლოებით დღევანდელი ზემო იმერეთის ტერიტორიას მოიცავდა.

არგვეთ-ში გამოიყოფა ქართულ გეოგრაფიულ სახელებში გავრცელებული *ეთ* სუფიქსი, მარგვეთი კი *ეთ* სუფიქსთან ერთად *მ* პრეფიქსსაც შეიცავს. ამ თავსართ-ბოლოსართების ჩამოცილების შემდეგ რჩება ფუძე *არგვ*. იგივე ფუძე გამოიყოფა მ-არგ-ალ („მ-ეგრელ") სატომო სახელში.

ამრიგად, არგვეთი იგივეა, რაც „სამეგრელო" (ეგრისი, აგრუეთი). ამ გეოგრაფიული სახელისაგან წარმოქმნილია გვარები: მარგველი, მარგველაძე, მარგველაშვილი.

არტანუჯი სამხრეთ საქართველოშია, ერთ დროს დიდი სატახტო ქალაქი იყო. ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. მისი სახელწოდება კოლხურ (ლაზურ) მოსახლეობაზე მიგვითითებს. იგი ორი სიტყვისაგან შედგება: *არტაანიშ ყუჯი*. *არტაანი* სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონს ერქვა, *ყუჯი* კი „ყურ" სიტყვის კოლხური ფორმაა. ამრიგად, არტანუჯი ნიშნავს „არტაანის ყურეს".

არშა ცნობილი სოფელია ხევში (ყაზბეგის რ.). აქაა განთქმული არშის ციხე. სკვითურად *არშა* ნიშნავს „დათვს" (მომდინარეობს ძველი ირანულიდან). მას უკავშირდება პიროვნული სახელები: *არსუკ, არსაკ, სომხური არშაკ*. სოფლის სახელი შეიძლება მიღებული იყოს ან უშუალოდ ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვისაგან, ანდა მისგან ნაწარმოები ადამიანის სახელისაგან (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ დუშეთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სახელი *დათვ-ის-ი*).

ასპინძა — ცნობილი რაიონული ცენტრის სახელწოდება — პირველად იხსენიება XI ს. ქართველი ისტორიკოსის სუმბატ დავითის

ძის ქრონიკაში IX საუკუნეში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. სახელწოდება წარმოშობით ირანულია, ნიშნავს „სადგურს“, „სასტუმროს“, „დასასვენებელ ადგილს“. ეს სიტყვა ირანულიდან ნასესხები აქვს რამდენიმე ენას, მათ შორის სომხურს, თურქულს, ბულგარულს. ქართულში იგი ამჟამად მხოლოდ გეოგრაფიულ სახელად გვხვდება, მაგრამ ძველად, როგორც ჩანს, საზოგადო სახელის მნიშვნელობითაც იხმარებოდა. ამას გვაფიქრებინებს ქართული სიტყვა *მასპინძელი*, რომელიც *ასპინძ*-ისაგან *მ*-ელ აფიქსების დართვით არის წარმოქმნილი: ასპინძა — „სასტუმრო“: მ-ასპინძ-ელ-ი — „მსტუმრებელი“ („ასპინძის ანუ სასტუმროს პატრონი ან მოსამსახურე“, შემდეგ კი საერთოდ „სტუმრის დამხვდური“, „სტუმრის მიმღები“).

ᲐᲭᲐᲜᲓᲐᲠᲐ ჰქვია ორ სოფელს აფხაზეთში, გუდაუთისა და გულრიფშის რაიონებში (წინათ ერქვა მესამე სოფელსაც ოჩამჩირის რაიონში, — ამჟამად სოფ. გუფა-აგუ.) ერთ-ერთ მათგანში დღემდე დგას უზარმაზარი ჭადარი, რომელზეც ამბობენ, ათასი წლისა იქნებაო. ალბათ ამ ხეს უკავშირდება სოფლის სახელი აჭანდარა, სადაც პირველი ა აფხაზურისათვის დამახასიათებელი თავსართია, ხოლო ბოლო ა ქონების აღმნიშვნელი სუფიქსია (მოიგონეთ, მაგალითად: ქოჩორა, წვერა, ბოლოშავა, ცალთვალა და სხვანი). ამრიგად, სოფლის სახელი ნაწარმოებია *ჭანდარ*-ისაგან, რომელიც ჭადარ-ის პარალელური ფორმაა და გვხვდება როგორც დიალექტებში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაშიც (თუმცა ლიტერატურულ ფორმად მიჩნეულია *ჭადარი*). სოფლების სახელად გვხვდება აგრეთვე *ჭანდარი* (გურჯაანის და ლენინგორის რ.) და *ჭანდრები* (ქარელის რ.).

ᲐᲩᲐᲑᲔᲗᲘ ისტორიულად ცნობილი სოფლის სახელია ქართლში. აქედანაა ნაწარმოები გვარი *მ-აჩაბელ-ი*. ტოპონიმის ფუძეა აჩაბ, რომელსაც დართული აქვს ფართოდ გავრცელებული *ეთ* სუფიქსი. ფუძე *აჩაბ*, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ვარაუდით, დაკავშირებული უნდა იყოს აფხაზურ გვართან *ანჩაბ-ა-ძე*-სთან. ალბათ აფხაზეთიდან გადმოსული ამ გვარის კაცი დამკვიდრებულა ქართლში და მის ადგილ-მამულს მიუღია სახელწოდება აჩაბ-ეთ-ი, საიდანაც შემდეგ ხელახლა იქნა ნაწარმოები გვარი *მაჩაბელი*.

ᲐᲩᲘᲒᲕᲐᲠᲐ სოფელია აფხაზეთში, გალის რაიონში; სახელწოდე-

ბაც აფხაზურია და ნიშნავს „ცხენის სადგომს", „თავლას" (აჩ— „ცხენი", აგუარა — „თავლა").

აჭარა — ეს გეოგრაფიული სახელწოდება VII საუკუნიდან გვხვდება. ასე ეწოდებოდა მდ. აჭარისწყალს და მის ხეობას. შემდეგ აჭარა მთელი მხარის სახელად იქცა, ხოლო მდინარეს მის მიხედვით აჭარისწყალი დაერქვა. აჭარა ჰქვია აგრეთვე სოფლებს ზესტაფონისა და ცაგერის რაიონებში.

აჭარას ხალხი სხვადასხვანაირად ხსნის: ზოგი მას უკავშირებს „ვაჭარს", ზოგი „ჭას", ზოგიც — თურქულ სიტყვას „აჯას", არც ერთი ეს ახსნა სწორი არაა.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ აჭარა უკავშირდება მეორე გეოგრაფიულ სახელს — აჭს. *აჭი* სოფელს ჰქვია გურიაში, აჭარა-გურიის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე. შესაძლებელია, რომ ორივე ეს სახელწოდება უკავშირდებოდეს ერთ-ერთი ქართველი ტომის სახელს *ჭან*-ს და ნიშნავდეს „საჭანოს", „ჭანეთს".

აჭყვა. სოფლის სახელი აჭი მოხსენიებულია ამ სოფლის ეკლესიის წარწერაში, რომელსაც XIII—XIV საუკუნეებით ათარიღებენ. ამ სოფელს ჩამოუდის ორი მდინარე — აჭარისწყალი და აჭყვა. პირველის ეტიმოლოგია ნათელია და განმარტებას არ მოითხოვს. როგორც ირკვევა, ზუსტად ასეთივე მნიშვნელობის მქონეა მეორე მდინარის სახელიც — აჭყვა, ოღონდ აქ წყალ-ის მაგიერ გვაქვს *ყვა*, რაც „ღელეს", „ხევს", „ხეობას" ნიშნავს ჩერქეზულად. იგივე *ყვა* გამოიყოფა აჭარა-გურიისა და აფხაზეთის მთელ რიგ გეოგრაფიულ სახელებში, როგორიცაა: მალთაყვა, აგიდაყვა, ბერეყვა, აბჟაყვა, ჯურყვეთი, ბობოყვათი და სხვანი. ამის მიხედვით მეცნიერები ვარაუდობენ, — შესაძლოა ამ კუთხეებში ერთ დროს რომელიმე ჩერქეზული ტომი ცხოვრობდაო.

აჭი ჰქვია მეორე სოფელსაც, რომელიც მახარაძის რაიონს ეკუთვნის, ხოლო დუშეთის რაიონში არის სოფელი აჭე.

აბალდაბა და დაბაძველი სოფლებია იმერეთში; დაბაძველი არის აგრეთვე აჭარაში და ბორჯომის ხეობაში, ხოლო აბალდაბა რამდენიმე დასახლებულ პუნქტს ჰქვია ქართლში, კახეთში, აჭარასა და აფხაზეთში. ამათგან მხოლოდ ერთი აბალდაბა, ბორჯომის რაიონში, წარმოადგენს ნამდვილად დაბას (ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით), დანარჩენები კი სოფლებია. სოფლის სახე-

ლად გვხვდება აგრეთვე დაბა — მსაზღვრელის გარეშე (ბორჯომის რაიონში). ამჟამად დაბა ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტს, მომცრო ქალაქს ეწოდება. მაშ, რატომ დაერქვა ეს სახელი სოფლებს? იქნებ წინანდელი დაბები იქცა სოფლებად? არა, საქმე სხვაგვარადაა: წინათ თვითონ სიტყვა დაბა აღნიშნავდა არა პატარა ქალაქს, არამედ სოფელს. ასე რომ, ახალდაბა ნიშნავს „ახალ სოფელს", დაბაძველი კი „ძველ სოფელს".

რაც შეეხება სოფელს, ესეც ძალიან ძველი სიტყვაა, მაგრამ წინათ იგი იხმარებოდა უფრო ფართო გაგებით და ნიშნავდა „ქვეყანას", „წუთისოფელს". გაიხსენეთ რუსთაველი: „ვაჰ, სოფელო, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!" არათუ რუსთველი, ალ. ჭავჭავაძეც კი, რომელიც გასული საუკუნის მწერალია, „სოფელს" ისევ ძველი გაგებით ხმარობს: „ვაჰ სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა". მაგრამ ამ დროისათვის „სოფელს" დღევანდელი მნიშვნელობაც ჰქონდა შეძენილი. სახელდობრ, მე-18 საუკუნეში უკვე გვხვდება გეოგრაფიული სახელწოდება *ახალსოფელი* (როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ამჟამად ახალსოფელი ჰქვია მრავალ დასახლებულ პუნქტს; გვხვდება აგრეთვე რამდენიმე ახალშენი, ახალუბანი, ახალციხე და ახალქალაქი).

ამრიგად, ახალდაბა და ახალსოფელი ერთი და იმავე მნიშვნელობის გეოგრაფიული სახელებია, ოღონდ წარმოშობით პირველი გაცილებით უფრო ძველია.

ᲐᲮᲣ ჰქვია გაჩეხილ ტყეს, ყანად ქცეულ ადგილს. ეს სიტყვა სოფლის სახელად გვხვდება აჭარაში (ქედის რ.). მისგანვე არის ნაწარმოები ხევსურეთის ერთ-ერთი სოფლის სახელი *ბარისახო* (იხ. ქვემოთ). შესაძლოა ამავე სიტყვისაგან იყოს მიღებული ტოპონიმი ახუთი (←ახოთი ←ახო-ეთ-ი).

ᲐᲮᲣᲗᲘ ჩხოროწყუს რაიონის ერთ-ერთი ძველი სოფელია. ხალხური ეტიმოლოგიით, რომელსაც გვაცნობს მ. კვირტია (გაზ. „ნაპერწკალი", 8 V, 1971 წ.), სახელწოდება წარმოდგა გამოთქმისაგან: „ა ხუთი ჯაიანის ეკლესიაო". ხალხური ლეგენდა მას უკავშირებს ცნობილ ისტორიულ ფაქტს: 1572 წ. ლეჩხუმელმა თავადმა ჯაიანმა ნადირობისას ცხენი დააჯახა და ხრამში გადაჩეხა სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი (1532—1572). ამის შემდეგ ჯაიანებს ლეჩხუმში აღარ ედგომებოდათ და გაიფანტნენ — გურიაში,

აფხაზეთში თუ დადიანის სამთავროს მივარდნილ ადგილებში. ხუთი ძმა ჯაიანი ახუთის მიდამოებში დასახლდა და ცოდვის გამოსასყიდად აქ ააგო ეკლესია, რომელსაც ზემოხსენებული სახელი ეწოდაო.

რა თქმა უნდა, ახუთის სახელწოდების ასეთი ახსნა დაუჯერებელია. როგორც ზემოთ ვთქვით, ახუთი შესაძლოა ახო-საგან იყოს მიღებული („ახოეთი", „ახოებიანი ადგილი").

ჯჯამეთი სოფელი და რკინიგზის სადგურია ქვემო იმერეთში. იგივე სახელი ჰქვია აგრეთვე მუხის ტყეს, რომელიც ამ სოფლის მახლობლად არის გაშლილი და ძველთაგანვე განთქმული სანადირო ადგილი იყო. აქ ჰყვარებიათ ნადირობა გიორგი მეფეს (დავით აღმაშენებლის მამას), ლაშა-გიორგის (თამარ მეფის ძეს) და თამარის დროის დიდებულებს, რომელთაც, როგორც „ქართლის ცხოვრებაში" სწერია, „მოინადირიან კეთილი იგი სანადირო — გეგუთი და აჯამეთი". აჯამეთის ტყე ამჟამად სახელმწიფო ნაკრძალია.

სახელწოდება აჯამეთი სწორედ „ტყეს", „უღრანს" ნიშნავს არაბულად.

ბაგები სოფელია, რომელიც თბილისს ეკვრის და ლამის ქალაქის გარეუბნად იქცეს. ბაგას ქართულში ორი მნიშვნელობა აქვს: „საკვების ჩასაყრელი დაბმული საქონლისათვის" და „ახალი ვენახი". სოფლის სახელად უფრო მოსალოდნელია, რომ მეორე მნიშვნელობა ქცეულიყო (მრავლობითის ფორმით). ასე რომ, *ბაგები* ნიშნავს „ახალშენ ვენახებს".

ბადიაური სოფელია გარეკახეთში (საგარეჯოს რ.). სახელწოდება წარმოქმნილია ადამიანის სახელისაგან: ბადია-ურ-ი (მსგავსადვე წარმოქმნილი სახელებია: ამბროლა-ურ-ი, ანან-ურ-ი, ფასანა-ურ-ი და სხვ.).

ბადია ადამიანის საკუთარ სახელად დღესაც გვხვდება, თუმცა იშვიათად. ის საალერსო ფორმაა, მიღებული *ბადა*-საგან. *ბადიაური* გვარიც ყოფილა მთიულეთში.

ბავარი სოფელია ქვემო სვანეთში. *ბავ* სვანურად ნიშნავს ყანაში, ტყეში ან სხვაგან ღამის სათევ ნაგებობას, დროებით საცხოვრებელს. *ბავ*-არ ამ სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმაა.

ბათუმი ერთ-ერთი უძველესი ნავსადგურია შავ ზღვაზე. მის დაარსებას ვარაუდობენ დაახლოებით პირველ საუკუნეებში, მაგრამ

XV—XVI საუკუნემდე ბათუმი პატარა დასახლებული პუნქტი ყოფილა, ქალაქად იგი შემდგომ ხანებში იქცა.

პირველად ბათუმი მდინარის სახელად გვხვდება ძველ ბერძნულ საისტორიო წყაროებში: ბათუს ანუ ბათის მდინარეა კოლხეთშიო, — წერს პლინიუსი (1 ს. ჩვ. წ. ა.). ალბათ იგი ამ სახელით მდინარე ყოროლისწყალს ახსენებსო, — ფიქრობენ ჩვენი მეცნიერები.

ქართულ ტოპონიმიაში *ომ* დაბოლოებიანი სახელები საკმაოდ გვხვდება. ასეთია, მაგალითად: ბორჯომი, ღორჯომი, წრომი და სხვანი. ზოგან *ომ* დაბოლოება *უმ*-ად იქცევა: თორთომი||თორთუმი, ცხომი||ცხუმი... *ბათომი* და *ბათუმი* დღევანდლამდე იხმარება პარალელურად. თუ აქ *ომ||უმ* სუფიქსს გამოვყოფთ, გვრჩება *ბათ. ბათუს* ბერძნულად „ღრმას“ ნიშნავს და შეიძლება ბათუმის სახელწოდებაც მას უკავშირდებოდეს, მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ აქ გვქონდეს რაღაც სხვა, ქართული სიტყვა, რომელიც შემდგომ ბერძნული ენის საფუძველზე იქნა გააზრიანებული. აკად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ეს სიტყვაა *ბაჩ*, რომელიც სვანურად „ქვას“ ნიშნავს.

ბაკურიანი ცნობილი კურორტია ბორჯომის ხეობაში. განსაკუთრებით მიმზიდველი დასასვენებელი ადგილია იგი ზამთრობით სათხილამურო სპორტის მოყვარულთათვის. სახელწოდება ბაკურიან-ი წარმოქმნილია *ბაკურ*, პიროვნული სახელისაგან *იან* სუფიქსის მეშვეობით. როგორც *ბაკური*, ასევე *ბაკურიანი* ვაჟის სახელად გვხვდება ქართულში ძველი დროიდანვე. ასე, მაგალითად, ბაკური ერქვა ქართლის რამდენიმე მეფესა და ერისთავს IV—V საუკუნეებში, ხოლო „ბაკურეანი, ძეი ბალდადისი“, ქართლის ერისთავი იყო VII—VIII საუკუნეებში.

იან (ეან) სუფიქსი ქართულში თავდაპირველად იხმარებოდა მხოლოდ წარმოშობის, შთამომავლობის, მიმდევრობის აღსანიშნავად; ასე რომ, ბაკურიანი ნიშნავდა „ბაკურის ძეს“, „ბაკურის შთამომავალს“ (*იან*-ის ეს მნიშვნელობა დღევანდლამდე დაცულია გვარებში: დადიანი, ზურაბიანი, რატიანი...). შემდგომში *იან* სუფიქსის მნიშვნელობა გაფართოვდა და იგი იხმარება რისიმე ყოლის ან ქონების აღსანიშნავად. სწორედ ამ მნიშვნელობით არის იგი ნახმარი გეოგრაფიულ სახელებში, როგორიცაა: ვაჩიანი, ვაზიანი, თელიანი, თხილიანი, ლელიანი, მუხიანი და მრავალი სხვა.

ბაკურციხე და ბაკურხევი აგრეთვე ნაწარმოებია ბაკურ სახელისაგან (მსგავსად ბაკურიანისა) და ნიშნავს „ბაკურის ციხეს“ და „ბაკურის ხევს“. პირველი მათგანი დიდი სოფელია კახეთში (გურჯაანის რაიონში), მეორე კი გუდამაყრის ხეობაშია (დუშეთის რ.). ბაკურციხელად იხსენიება ქართველი ერისთავთ-ერისთავი ეგარსლანი (XIII ს.), რომელიც რუსუდან მეფის სიკვდილის შემდეგ ერთხანს მთელ ქვეყანას განაგებდა.

ბანა ისტორიული სოფელია სამხრეთ საქართველოში (ამჟამად თურქეთის საზღვრებშია). აქ დგას იშვიათი ხელოვნების ქართული მრგვალი ტაძარი, რომელიც ახლა, სამწუხაროდ, ნანგრევებადაა ქცეული. ამ სოფლის სახელის სრული ფორმა უნდა ყოფილიყო *ბანაკი*, რაც მას ალბათ სამხედრო ძალთა განლაგების დროს დაერქვა. შემდეგ მას კ ჩამოსცილდა და ძველთაგანვე, უკვე X საუკუნიდან, სოფლის სახელად დამკვიდრდა ბანა (ასევე დაიკარგა კ აგარაკ-ში და მივიღეთ აგარა, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი).

ბარდნალა სოფელია ლეჩხუმში (ცაგერის რაიონში). აქაური იყო პოეტი ლადო ასათიანი, რომლის ლექსებმაც ყველას გააცნო და შეაყვარა ეს სოფელი:

რა კარგი იყო ბარდნალა,
ბარდნალელების ბორანი,
ვარდებიანი ბარდნარი,
ბულბულთა ნაამბორალი.

სხვათა შორის, ლადო ასათიანმა რამდენადმე შეცვალა თავისი სოფლის სახელი. წინათ იყო და ხალხში ახლაც იხმარება *ბარნალა*, რომელიც მიღებულია *ბალ-ნარ-ა*-საგან ბგერათა გადასმით, ან *ბარ-ნარ-ა*-საგან დისიმილაციის გზით (დისიმილაცია ეწოდება ორი ერთნაირი ბგერიდან ერთ-ერთის შეცვლას მეორის გავლენით; ზემოხსენებულ შემთხვევაში ორი რ ერთად ვერ ძლებს და მეორე მათგანი იცვლება ლ-ასით). *ბარნალა* იგივეა რაც „ვაკე ადგილი“, „ვაკნარი“, *ბარდნალა* კი ნიშნავს „ბარდნარს“, „ბარდებიან ადგილს“ (ბარდი ერთმანეთში გადახლართულ ბუჩქებს ჰქვია).

ბარდუბანი. საქართველოს ტოპონიმიაში მრავლად გვხვდება ისეთი სახელები, რომელთა შემადგენლობაში შედის სიტყვა უბანი: ვაზისუბანი, ვარდისუბანი, ჩაისუბანი, კიმოთესუბანი, მარტოთუბა-

ნი, ურიათუბანი, წინუბანი და სხვა. ერთ-ერთი ასეთი სახელწოდებაა ბარდუბანი. ასე ჰქვია სოფელს თერჯოლის რაიონში, ზემო და ქვემო იმერეთის საზღვარზე. ამ სოფელში სხვადასხვა გვარის წარმომადგენელთა შორის ცხოვრობენ ბარდაველიძეები. ამიტომ საფიქრებელია ბარდუბანი შემოკლებით „ბარდაველიძეების უბანს" ნიშნავდეს.

სხვაგვარი ვარაუდით, ბარდუბანი ნიშნავს „ბარდის უბანს". *ბარისახო* სოფელია ხევსურეთში. იქვე არის მეორე სოფელიც, რომელსაც *უკანახო* ჰქვია. ეს გეოგრაფიული სახელები მსაზღვრელისა და საზღვრულისაგან შედგება. საზღვრული ორივეგან არის *ახო*, რომელსაც მსაზღვრელად ახლავს ერთ შემთხვევაში *ბარის*, მეორეში — *უკან (უკანა)*. არის აგრეთვე სოფელი დიდახო (ცხინვალის რ.). *ახო* ცალკეც გვხვდება სოფლის სახელად აჭარაში. ასე ეწოდება იმ ადგილს, სადაც წინათ ტყე ყოფილა, გაუკაფავთ და საყანედ უქცევიათ.

ბახმარო განთქმული კურორტია, მდებარეობს აჭარა-გურიის ქედზე. იგი მოქცეულია მთებს შორის მცირე ვაკეზე, რომელსაც შუაში ჩამოუდის მდინარე ბახვისწყალი. ამ მდინარეს სახელი მიუღია ბახვისაგან, რომელიც ცნობილი სოფელია გურიაში, მახარაძის რაიონში.

ბახმაროს მახლობელ სოფლებს წინათ თავს ესხმოდნენ თურქები. ისინი ტყვეებსა და ნადავლ საქონელს თურქეთში მიერეკებოდნენ ნაბეღლავის, ზოტისა და შემდეგ ბახმაროს მიდამოების გავლით. სწორედ ამითაა გამოწვეული ბახმაროს ხალხური ეტიმოლოგია და მასთან დაკავშირებული ლეგენდა: თითქოს თურქებმა საქართველოდან გაიტაცეს ულამაზესი ქალი, სახელად მარო. მძარცველებს კვალდაკვალ მიჰყვა მდევარი, რომელიც დღევანდელი ბახმაროს მიდამოებში დაეწია მტერს. როცა ურჯულოებმა საფრთხე იგრძნეს, ქალი მოკლეს და ზედ დააწერეს: *ბახ-მარო*, ე. ი. „ნახე-მარო" (*ბახ* თურქულად ნიშნავს „უყურე", „შეხედე"), შემდეგ ტყეში მიიმალნენ და თავს უშველესო.

ლეგენდა ამ კუთხის წარსულს ასახავს და ამით არის საინტერესო, მაგრამ ის მხოლოდ ლეგენდაა და არა ჭეშმარიტება. ბახმაროს სახელწოდება სინამდვილეში სრულიად სხვაგვარად უნდა აიხსნას.

როგორც ვთქვით, ბახმაროს შუაში ჩამოუდის ბახვისწყალი, რომელიც ქმნის მთებს შორის ვაკე ადგილს. წყლის სანაპიროზე მდებარე ამგვარ ვაკე ადგილს ძველად მერეს უწოდებდნენ. ეს სიტყვა აჭარასა და გურიაში დღესაც იხმარება. სხვათა შორის, იგი გვხვდება ეგნატე ნინოშვილის რომანშიც: „დღეს მუხიან მერეში თავის ყრაი ვქაქ".

მერე გეოგრაფიულ სახელადაც გვხვდება. ეს სახელი ერქვა კლარჯეთის თორმეტ სავანეთაგან ერთ-ერთს. იგი ხშირად არის ნახსენები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში", რომელიც VIII — IX საუკუნეთა ამბებს მოგვითხრობს. სოფლის სახელად გვხვდება *მერე* აგრეთვე კახეთში (XVI საუკუნეში). ადგილის სახელი ყოფილა მერე მდ. თერგის პირას სოფ. ფხელშეში (ხევში). *მერე*-საგან არის მიღებული გურიის ერთ-ერთი სოფლის სახელიც — *მერია* (ქ. მახარაძის ახლოს). ასეთივე სახელი ქართლში გიორგი სააკაძისეულ ერთ სოფელსაც რქმევია. იმავე სიტყვისაგან არის ნაწარმოები სოფლის სახელი *მერეთი* (ქართლში).

მერეს პარალელურად იმავე მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე *მარა*. ამ უკანასკნელისაგან ნაწარმოებია სოფლის სახელი *მარადიდი* (აჭარაში). აქედანვე არის მიღებული ბახმაროს სახელწოდებაც. ბახმარო-ში *ხ*-სა და *მ*-ს შორის დაკარგულია *ვ* ბგერა ბაგისმიერი *ბ*-სა და *მ*-ს გავლენით. ბოლო *ო* გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსია, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება აჭარის ტოპონიმიაში (დანდალო, ჩანჩხალო, ჩხრიალო, ძირილო, ხულო...).

ამრიგად, ბახმარო თავდაპირველად ნიშნავდა მდინარე ბახვის (ბახვისწყლის) ნაპირას მდებარე ვაკეს (მარას ანუ მერეს).

ბებნისი სოფელია ქართლში (ეკუთვნის ქარელის რაიონს, შედის ქარელისვე სადაბო საბჭოში). აშკარაა, რომ სახელწოდება ნაწარმოებია *ის* სუფიქსით, რომელიც ქართულ გეოგრაფიულ სახელებში ფართოდაა გავრცელებული. მაგრამ საკითხავია: რა წარმოადგენს ტოპონიმის ფუძეს და როგორია მისი მნიშვნელობა? ბებნისი ნაწარმოებია *ბებან*-ისაგან, რომელსაც *ის* სუფიქსის დართვის შედეგად ა ხმოვანი დაუკარგავს (რედუქცია მოსვლია): ბებან-ის-ი → ბებნ-ის-ი.

ბებან წარმოშობით სპარსული სიტყვაა და უწყლო ადგილს

ანუ უდაბნოს ნიშნავს. ეს სიტყვა (სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციით) ქართულშიც გვხვდება აღორძინების ეპოქის მწერალთა თარგმნილსა თუ ორიგინალურ თხზულებებში („ქილილა და დამანა", „ბახთიარნამე", ვახტანგ VI-ის ლექსები). მაგრამ საბოლოოდ მან ქართულში ფეხი ვერ მოიკიდა, ვერ განდევნა ძველისძველი ქართული სიტყვა უდაბნო და თვითონვე დატოვა ასპარეზი. დღეისათვის ქართულ ენას შემორჩა მხოლოდ ამ სიტყვისაგან ნაწარმოები ტოპონიმი *ბებნისი*, რომლის მნიშვნელობაა „უწყლო ადგილი", „უდაბნოისი".

ბეთანია და *ბეთლემი* ებრაული გეოგრაფიული სახელებია, გვხვდება პალესტინაში, იერუსალიმის ახლოს. ორივე სახელწოდებაში შედის *ბეთ* („სახლი") და პირველი ითარგმნება როგორც „სახლი მწუხარებისა (ან: მარცხისა, სიღარიბისა)", მეორე — „სახლი პურისა".

ძველად მორწმუნეებს სჩვეოდათ ქრისტეს სახელთან დაკავშირებულ სახელწოდებათა დარქმევა თავიანთი ქვეყნის ამა თუ იმ ადგილისათვის. ასე დაერქვა საქართველოში რამდენიმე ადგილს სიონი. ასევე არის გადმოტანილი ზემოხსენებული ტოპონიმებიც. ბეთლემი ჰქვია სოფელს ცხაკაიას რაიონში, ბეთანია კი სამონასტრო ადგილია თბილისის მახლობლად, სადაც დგას XII საუკუნის ქართული არქიტექტურის დიდებული ძეგლი — დიდი ტაძარი. ტაძარში დღემდე დაცულია შესანიშნავი ფრესკები თამარ მეფის, მისი მამის — გიორგის, შვილის — ლაშა გიორგის და სხვათა გამოსახულებით. სწორედ აქ თამარის ფრესკის ხილვამ შთააგონა გრ. ორბელიანს ცნობილი ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში".

ბერეჟოული (გორა-ბერეჟოული) სოფელია გურიაში. ამ სახელის ძირია *ბერეჟ*, რომელსაც დართული აქვს კნინობითის ა და წარმომავლობის ურ სუფიქსები (ანალოგიურად წარმოქმნილი ტოპონიმებია: ფოლად-ა-ურ-ი, გვიმბრალ-ა-უ-რი, ლიხ-ა-ურ-ი, ამბროლა-ურ-ი...). სუფიქსებში ფონეტიკური ცვლილებები მომხდარა: რ შეცვალა ლ-მ (დისიმილაცია), ა კი ო-დ იქცა უ-ს წინ (ასიმილაცია).

სოფლის სახელს, როგორც ფიქრობენ, საფუძვლად უძევს სვანური სიტყვა *ბერეჟ* — „რკინა". ალბათ ძველად აქ სვანი ტომი სახლობდა, ანდა *ბერეჟ* სიტყვა ადრე მთელ ქართულში იხმარებო-

და. სოფლის სახელწოდების მიხედვით სავარაუდებელია, რომ ამ მიდამოებში რკინის საბადო ან რკინიანი მინერალური წყაროები იყო და იმიტომ დაერქვა ასეთი სახელი (მნიშვნელობის მხრივ შეიძლება შევადაროთ ქართლის უძველესი ქალაქის სახელი სარკინე).

იმავე *ბერეჟ*-ს უკავშირდება *ბერეჟიანის* გვარი. ეს გვარი გვხვდება იმერეთსა და გურიაში, მაგრამ თავისი ფუძითაც და გაფორმებითაც (იან სუფიქსით) ის სვანური წარმოშობისა ჩანს.

ბეღლევი ჰქვია ორ სოფელს ზესტაფონის რაიონში (ერთი შედის ბოსლევის სასოფლო საბჭოში, მეორე—საქარის სასოფლო საბჭოში). სახელწოდება ნაწარმოებია *ბეღელ* სიტყვისაგან *ევ* სუფიქსით, რომელიც მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი *ებ* სუფიქსის ნაცვლად გვხვდება ქართლისა და იმერეთის ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელწოდებაში. *ბეღელ*-ისაგან არის აგრეთვე წარმოქმნილი გეოგრაფიული სახელები: *ბეღლეთი* (ჰქვია ორ სოფელს ქართლსა და აჭარაში) და *ნაბეღლავი* (სოფელია გურიაში).

ბეჩო ერთ-ერთი დიდი სოფელია ზემო სვანეთში, უშბის ძირას. ბეჩო „ღრუს“, „ბუნაგს“, კერძოდ, „დათვის ბუნაგს“ ნიშნავს იმერულ და ლეჩხუმურ დიალექტებში, მაგრამ ამ მნიშვნელობით სვანურში არ დასტურდება. სვანურად *ბეჩ (ბაჩ)* არის „ქვა“. სწორედ აქედან უნდა იყოს მიღებული სოფლის სახელწოდება ბეჩო („ქვიანი“).

ბზვანი სოფელია ვანის რაიონში, იმერეთს იმ ნაწილში, რომელსაც საჩინოს ეძახიან. სოფლის სახელს საფუძვლად უძევს მცენარის სახელი — *ბზა*. მას დართული აქვს *ოვან* სუფიქსი, რომელიც არაიშვიათად გვხვდება მცენარის სახელებისაგან წარმოქმნილ ტოპონიმებში (ვაშლოვანი, სხლოვანი, თელოვანი, მუხროვანი...), მაგრამ *ბზ-ოვან-ში* სუფიქსისეული თავკიდური *ხმოვანი* დაკარგულია და საბოლოოდ მივიღეთ *ბზვანი*. ფონეტიკური ცვლილების გზა ასეთი ჩანს: ბზოვანი⟶ბზუანი⟶ბზვანი. ასეთივე ცვლილების გზითაა მიღებული ვანის რაიონშივე მეორე სოფლის სახელი ტყელვანი (ტყემლოვანი), და ქუთაისის ერთ-ერთი უბნის სახელწოდება ბალახვანი (ბალახოვანი).

ბზიფი მდინარეა აფხაზეთში. მისი სახელწოდების შესახებ მეცნიერებაში ორგვარი აზრი არსებობს: ერთის მიხედვით, ბზიფი

ბზები-ს სახეცვლილი ფორმაა. ბზა ჩვენი ტყეების დამამშვენებელი ძვირფასი მცენარეა, რომლითაც განთქმულია **ბზიფის** ხეობა.

მეორე თვალსაზრისით, ბზიფი წარმოქმნილია უბიხური სიტყვისაგან: *ბზი* („წყალი"), რომელსაც დართული აქვს აფხაზური სუფიქსი ფ. ეს სუფიქსი ისევე იხმარება აფხაზურში გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად, როგორც, მაგალითად, ქართულში გვხვდება *ეთ*. ამრიგად, ბზიფი იგივეა რაც „წყალი", „წყლეთი".

ბიეთი და *ბიისი* სოფლებია ქართლში, ერთი — ცხინვალის, მეორე — გორის რაიონში. ორივესათვის ფუძეა ხეხილის სახელწოდება *ბია*, რომელსაც ახლა აღმოსავლეთ საქართველოში უფრო კომშის სახელით იცნობენ. საინტერესოა, რომ ამ ფუძეს დართული აქვს ჩვენს ტოპონიმიაში ყველაზე გავრცელებული სუფიქსები: ერთ შემთხვევაში — *ეთ*, მეორეში — *ის*, ასეა მიღებული ბი-ეთ-ი და ბი-ის-ი.

ბიჰვინთა საქვეყნოდ განთქმული კურორტია შავი ზღვის პირას. როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, აქ ძველადვე, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ყოფილა მდიდარი ქალაქი და ძლიერი ციხე-სიმაგრე. მას ბერძენი და რომაელი ავტორები პიტიუნტას ან პიტიუსს უწოდებენ. პიტიუნტა *ბიჰვინთა*-ს დამახინჯებული ფორმაა, ხოლო პიტიუსი ქართული სახელწოდების თარგმანია: *პიტიუს* ბერძნულად ფიჭვს ნიშნავს.

ბიჰვინთა დღესაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმით, რომ აქ ზღვისპირს გასდევს შესანიშნავი ფიჭვნარი და ერთმანეთს ეზავება ზღვისა და ფიჭვის ტყის ჰაერი. ეს ფიჭვნარი წინათ საღმრთო ტყედ ითვლებოდა და მას კაცი მოსაჭრელად ვერ შეეხებოდა. სწორედ ამ ფიჭვნარისაგან მიუღია კურორტს სახელწოდება ბიჭვინთა.

ბოგრემი სოფელია ზემო სვანეთში, იფარის თემში. *ბოგ* სვანურად ხიდს ჰქვია (შეადარეთ ქართული ბოგა, ბოგირი). არ მრავალობითი რიცხვის ნიშანია, რომელიც აქ უხმოვნოდ (შეკუმშული ფორმით) წარმოგვიდგება, *ემ* კი ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებაა, რომელიც გეოგრაფიულ სახელებსაც ხშირად აწარმოებს, ისევე როგორც ქართული *ის*. ამრიგად, ბოგრემი ნიშნავს „ხიდებისა".

ბოძონი — თიანეთის სადაბო საბჭოში შემავალი სოფლის სახელი — მიღებული ჩანს მცენარის სახელწოდებისაგან. ეს მცენარეა

მთის ნეკერჩხალი (იგივე თეკერა, თეკრა, ბოყვი), რომელსაც მთაში ბოკვს ეძახიან. საფიქრებელია, რომ არსებობდა აგრეთვე პარალელური ფორმა *ბოკვა*, რომლის მრავლობითი რიცხვი იქნებოდა *ბოკვა-ნ-ი*; ანდა ეს უკანასკნელი ფორმა მიღებულია *ბოკვ-იან-ისაგა* სმოვნის ჩავარდნით. დასასრულ, ვა კომპლექსს მოუცია *ო*: ბოკვანი → ბოკონი (შეადარეთ: თვალი → თოლი, ცხვარი → ცხორი, კვამლი → ცომლი და სხვ).

ბორი და *ბორითი* სოფლებს ჰქვია იმერეთში, ორჯონიკიძის რაიონში. ბორი და ბორის ციხე ხშირად არის ნახსენები ქართულ საისტორიო წყაროებში. როგორც ფიქრობენ, იგი პიტიახშების რეზიდენცია იყო (II — III სს). აქ ნაპოვნია ძვირფასი არქეოლოგიური განძი, რომელიც ბორის განძის სახელით არის ცნობილი.

ბორა, ძველებური გამოთქმით *ბორი*, მტაცებელი ფრინველია, ძერის მსგავსი (ბორი და ბორა პარალელური ფორმებია, ისევე როგორც ძერი და ძერა, მელი და მელა, პეპელი და პეპელა და სხვანი).

ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რომ ბევრი გეოგრაფიული სახელი ცხოველის ან ფრინველის სახელწოდებისაგან წარმოდგება. მაგალითად, ფრინველების მიხედვით შეურქმევიათ სახელები შემდეგი სოფლებისათვის: გავაზი, კაკაბეთი, ქორეთი, ჩხიკვთა, საბუე, სამტრედია და მრავალი სხვა. ამგვარადვე არის სოფლის სახელად ქცეული ბორი. ამავე სიტყვაზე გეოგრაფიული სახელებისათვის დამახასიათებელი *ით* სუფიქსის დართვით მიღებულია მეორე სოფლის სასელი ბორითი.

ბორჯომი საქვეყნოდ ცნობილი კურორტია, განსაკუთრებით განთქმული თავისი შესანიშნავი მინერალური წყლით. ეს კურორტი XIX საუკუნეში გაშენდა, მანამდე იგი არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში არსად იხსენიება. სამაგიეროდ, უფრო ზემოთ, ახალციხის მახლობლად, იხსენიება მდინარე ბორჯომისწყალი და მის ხევში მდებარე სოფელი (ამჟამად ნასოფლარი) ბორჯომი. ჩანს, სწორედ ეს სახელწოდება გადმოუტანიათ და დაურქმევიათ შემდგომ კურორტისათვის.

რაც შეეხება თვით სახელწოდებას, იგი წარმოქმნილი ჩანს *ომ* სუფიქსით (ისევე როგორც ზემოთ განხილული ბათომი, აგრეთვე თორთომი, ცხომი და სხვ.). ძირად გამოიყოფა *ბორჯ*, რაც გან-

ტოტვილ რაიმეს აღნიშნავს (მაგალითად, ფესვს, რქას, ხეს...). შეადარეთ: ბორჯღლი, რქებ-ბორჯღალა (ირემი), ბორჯღლედი ანუ ბორჯღლიანი (ხე) და ა. შ.

თუ ეს ვარაუდი სწორია, ბორჯომი უნდა დარქმეოდა ადგილს, სადაც გზები იტოტება, გზაგასაყრელია ანუ გზაჯვარედინია.

ბოსლები და ბოსლევი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ბინას ქართულად ბოსელს ან გომს ვეძახით. როგორც ერთისაგან, ისე მეორისაგან საკმაოდ ბევრი ტოპონიმი არის წარმოქმნილი. ასე, მაგალითად, დუშეთის რაიონში არის სოფელი ბოსელი, თერჯოლის რაიონში — ბოსელა. სოფლის სახელად ქცეულია ამ სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმაც: ბოსლები სოფელია დმანისის რაიონში. ასეთივე მნიშვნელობას ატარებს ბოსლევი (ზესტაფონის რ.), რომელიც *ევ* სუფიქსით არის ნაწარმოები, ლენინგორის რაიონში არის აგრეთვე სოფელი ბოსელთა, ტყიბულის მახლობლად — სოფელი ნაბოსლევი (შეადარეთ გომი, ნაგომევი, ნაგომარი, ნაბაკევი და სხვანი).

ბჟინევი ორ სოფელს ჰქვია ზემო იმერეთში. აკად. ი. ჯავახიშვილის აზრით, ეს სახელწოდება ჩერქეზულ-ყაბარდოულ ენებს უკავშირდება. ჩერქეზულად *ბჟინეფ* ნიშნავს „თეთრ ხახვს“, ე. ი. „ნიორს“. ამრიგად, ბჟინევი შინაარსით ისეთივე სახელი გამოდის, როგორც კახეთის ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება — *სანიორე*. შესაძლებელია სხვაგვარი ვარაუდის დაშვებაც: *ბჟა* მეგრულად „მზეს“ ჰქვია. ამის მიხედვით ბჟინევი შეიძლება მზიან ადგილს, მზვარეს ნიშნავდეს (შეადარეთ მეგრული სიტყვები: *ბჟინაფა* — „გამზეურება“, *ობჟინე* — „სამზეური“).

ბრეთი სოფელია ქართლში (ქარელის რ.). მისი სახელწოდება მიღებული ჩანს *ბერ* სიტყვისაგან, რომელსაც დართული აქვს ჩვენს ტოპონიმიაში ძალზე გავრცელებული *ეთ* ბოლოსართი. ამას გამოუწვევია ფუძის კუმშვა და ა ხმოვნის ამავორდნა (რედუქცია). შეადარეთ იმავე *ბერ* სიტყვისაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები: ბერეთისა, ბერთა, ბერთუბანი.

ბრილი ჰქვია სამ სხვადასხვა სოფელს ხაშურის, ცხინვალისა და შუახევის რაიონებში. ბრილი ეწოდება ჩრდილოეთისაკენ მიქცეულ ფერდობს, რომელსაც მზე ნაკლებად ხვდება (მისი საპირისპიროა

მწკარე, რომლისგანაც ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელები ზვარე, ზვარეთი, მზვარეთი).

ბრონწლეთი სოფელია ქართლში, გორის რაიონში. სახელწოდება ბროწეულს მიაგავს და თითქოს მართლაც მცენარის სახელისაგანაა ნაწარმოები. მაგრამ სოფლის სახელის თავდაპირველი ფორმა არის *მროწლეთი* და არა *ბროწლეთი* (მანის შეცვლა ბანით სწორედ იმის შეღეგია, რომ ხალსური ეტიმოლოგიის საფუძველზე ეს სახელწოდება ბროწეულს დაუკავშირეს).

მროწლე, საბას განმარტებით, ნაბიჭს, ე. ი. მსხვილფეხა პირუტყვის ჯოგს ნიშნავს. აი, ამ სიტყვისაგან, *ეთ* სუფიქსის დართვით, არის მიღებული სოფლის სახელწოდება *მროწლ-ეთ-ი*, რომელიც შემდეგ *ბროწლეთ*-ად ქცეულა.

ბულვანი, ბულიში, ბულიშხინჯი, ბულიწყუ სოფლებს ჰქვია სამეგრელოში. *ბული* მეგრულად იგივეა რაც ბალი, ასე რომ, ბულვანი ნიშნავს „ბლოვანს", ბულიძი — „ბლისას", ბულიშხინჯი — „ბლის ხიდს", ბულიწყუ კი — „ბლის წყაროს".

ბაგრა ცნობილი საკურორტო ქალაქი და აფხაზეთის ერთ-ერთი რაიონული ცენტრია. გაგრასთან ზღვას ერთვის მდინარე გაგრიფში, რაც აფხაზურად „გაგის წყალს" ნიშნავს. გაგი ალბათ პიროვნული ან სატომო სახელია. მისგანვე ჩანს მიღებული სახელწოდება გაგრა (ძველი ფორმით გაგარი).

გაჰაზი კახეთის ერთ-ერთი მოზრდილი და კარგად ცნობილი სოფელია. ასევე ჰქვია სოფელს ქართლში. ისტორიულად ცნობილია აგრეთვე *გავაზური*, რომელიც ერთ დროს გიორგი სააკაძის კუთვნილება ყოფილა.

გავაზი მტაცებელი ფრინველია, რომელიც ნახსენებია, სხვათა შორის, „ვეფხისტყაოსანში": „ვითა გავაზი გაფრინდა, არ გაშვებული ხეზითა". ამ ფრინველის სახელი გამოყენებულია ტოპონიმად ისევე, როგორც ბორი, ბორითი, წრომი, ორბეთი და სხვანი.

განძანი სოფელია ბოგდანოვკის რაიონში თაფარავნის ტბის ნაპირზე. სახელწოდება ნაწარმოებია *განძ* სიტყვისაგან, რომელიც წარმოშობით ირანულია (შეადარეთ ამავე სიტყვისაგან ნაწარმოები ქალაქის სახელწოდება განძაკი ანუ განჯა, დღევანდელი კიროვაბადი, აზერბაიჯანის სსრ-ში).

გარდაბანი სოფელია გორის რაიონში, მდ. ტანას ხეობაში, შე-

დის ატენის სასოფლო საბჭოში. ატენი ორია: დიდი და პატარა. ატენში მდებარეობს განთქმული ატენის სიონი, რომელიც VII საუკუნეშია აგებული. ძველად ატენი საკმაოდ დიდი ქალაქი ყოფილა.

აშკარაა, რომ სასელები ტანა, ატენი და გარდატენი ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. ამათგან ტანა-ს მნიშვნელობა აუხსნელია, ატენი მისგან ჩანს ნაწარმოები ა პრეფიქსით, გარდატენი კი ამ უკანასკნელისაგან არის მიღებული „გარდა" ზმნიზედის დართვით და ნიშნავს „გადაღმა ატენს".

გველეთი სოფელია ხევში (ყაზბეგის რაიონში). თითქოს ნათელია, რომ სახელწოდება წარმოქმნილია საყოველთაოდ გავრცელებული *ეთ* სუფიქსით *გველ* სიტყვისაგან. მაგრამ ძველ წყაროებში ამ სოფელს *გელათი* ეწოდება. ალბათ არსებობდა მისი პარალელური ფორმაც — *გელეთი, გელ-ათ-ი* თუ *გელ-ეთ-ი ეთ (თ)* სუფიქსით ნაწარმოები სახელია პიროვნული სახელისაგან *(გელა)* ან გვარისაგან *(გელაძე). გელეთ-ში ე*-ს ჩართვა ტოპონიმის ხელახლა გააზრიანების (ხალხური ეტიმოლოგიზაციის) შედეგია.

გომი. როგორც ზემოთ უკვე ნათქვამი იყო, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადგომის სახელწოდება გომი (ისევე როგორც მისი სინონიმი ბოსელი) საკმაოდ ბევრ გეოგრაფიულ სახელს აწარმოებს. გომი ჰქვია ოთხ სოფელს (კასპის, ხაშურის, ონისა და მახარაძის რაიონებში). გარდა ამისა, ქართლში არის სოფელი ნაგომევი, გურიაში — ნაგომარი და სხვანი (შეადარეთ აგრეთვე ბოსელი, ბოსლები, ბოსლევი, ნაბოსლევი, ნაბაკევი).

გორი — „ქართლის შუაგული" — ცნობილი ქალაქია, ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრი. გორი ჰქვია აგრეთვე სოფელს ამბროლაურის რაიონში. იქვე არის სოფელი გორისუბანი. დმანისის რაიონში არის სოფელი გორა, კასპის რაიონში — გორაკა, საჩხერის რაიონში — გორისა (აქაური იყო გამოჩენილი ქართველი მწერალი გიორგი წერეთელი). სამ სოფელს ჰქვია გორანა (საგარეჯოს, თიანეთისა და სოხუმის რაიონებში). გარდა ამისა, ცნობილია გორისციხე — ხევში, გორთუბანი — ჯავახეთში, გორიჯვარი და გოროვანი — ქართლში, გორმაღალი — იმერეთში, გორა-ბერეჟოული — გურიაში და სხვანი.

ყველა ეს ტოპონიმი ნაწარმოებია ერთი და იმავე გორი ანუ გორა სიტყვისაგან, რომელიც „დიდ ბორცვს", „მთას" აღნიშნავს (ფორმები გორი და გორა ისევე ენაცვლებიან ერთმანეთს, როგორც ზემოთ განხილული ბორი და ბორა, ძერი და ძერა და სხვანი).

გორჟაში მთის სახელია სვანეთში. *გორჟ* სვანურად ჰქვია ლოდებით სავსე ადგილს, ქვის გროვას. მას დართული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი *აშ*, რომელიც სვანურში ტოპონიმთა მაწარმოებლის (ტოპოფორმანტის) როლსაც ასრულებს, ისევე როგორც ქართული *ის*. ამრიგად, *გორჟ-აშ-ი* იგივეა, რაც „რიყ-ის-ი", „ლოდ-ნარ-ი".

გრაკალი სოფელი და რკინიგზის სადგურია ქართლში. ძველ ქართულ საბუთებში იხსენიება XIV საუკუნიდან. მიღებული ჩანს მცენარის სახელწოდებისაგან: გრაკალი ანუ გრაკლა დაბალი ფოთლოვანი მცენარეა, რომელსაც სხვაგვარად ეწოდება *ბროწი* (ფშავში) ან მაქაცი (ხევსურეთში).

გრიგოლიში სოფელია ზუგდიდის რაიონში, *გრიგოლეთი* კი ლანჩხუთის რაიონში. ორივე სოფლის სახელწოდებას საფუძვლად უძევს პიროვნული სახელი გრიგოლ, რომელსაც დართული აქვს ერთ შემთხვევაში *იშ* სუფიქსი, მეორე შემთხვევაში —*ეთ*. ეს სუფიქსები ფართოდაა გავრცელებული საქართველოს ტოპონიმიაში.

გუბაზეული მდინარეა გურიაში. ეს სახელწოდება უკავშირდება კოლხეთის ანუ ლაზიკის მეფეს გუბაზს, რომელიც მეფობდა VI საუკუნეში. იმ დროს ლაზიკა ბიზანტიას ჰმორჩილებდა და სწორედ გუბაზი აუჯანყდა ბიზანტიელ დამპყრობლებს. აჯანყება დამარცხდა და გუბაზი ბიზანტიის დედაქალაქში — კონსტანტინოპოლში გაიწვიეს. მან იქ ისე მოხიბლა ყველა თავისი ჭკუითა და მჭევრმეტყველებით, რომ სამშობლო განსაცდელს გადაარჩინა.

გურია საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა. იგი ორი სხვა კუთხის — სამეგრელოსა და ჭანეთის — შუა არის მოქცეული. მთელი ეს მხარე — შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია — ერთ დროს ცალკე ქვეყანა იყო, რომელსაც ეგრისი ერქვა (მისივე სახელწოდებაა აგრეთვე კოლხეთი). ეგრისის მკვიდრს ეწოდებოდა მეგრელი (ე. ი. „ეგრისელი").

ვარაუდობენ, რომ ეგრისი და გურია ნაწარმოებია ერთი და იმავე სატომო სახელისაგან — *გურ*-ისაგან. მართლა ასეა თუ არა, ძნე-

ლი სათქმელია, მაგრამ ის კი სარწმუნოა, რომ გურიაში ბევრი გეოგრაფიული სახელი უკავშირდება მეგრულ-ჭანურ გამოთქმას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზოგი სიტყვა ადგილთა სახელწოდებაში გვსვდება იმ სახით, როგორც მას გამოთქვამენ მეგრელები და ჭანები. ამის ნიმუშია, მაგალითად, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ოჩხამური, ოჭილაური, ჯიხანჯირი და სხვანი, რომელთაც ქვემოთ შევეხებით.

დაბაძველი სოფლებს ჰქვია აჭარასა და იმერეთში, ნიშნავს „ძველ სოფელს“ (დაწვრილებითი განმარტება ნახე ახალდაბასთან).

დანახვისი მთაა შუა ქართლში, თრიალეთის ქედზე, საიდანაც მთელი ქართლი ხელისგულივით მოჩანს. თავისთავად ნათელია, რატომ ჰქვია ამ მთას ასეთი სახელი.

დანდალო სოფელია აჭარაში, მდინარე აჭარისწყლის პირას. აქ დღემდე დაცულია შესანიშნავი თაღოვანი ხიდი, აგებული აჭარისწყალზე XII საუკუნეში. სოფელი ტერასებად, კიბის საფეხურებივით არის გორაკებს შეფენილი. სწორედ ამიტომ უნდა დარქმეოდა მას დანდალო, სადაც ო გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსია (შეადარეთ ბახმარო, ხულო...), ხოლო დანდალი, საბა ორბელიანის განმარტებით, კიბის საფეხურს ნიშნავს.

დანისპარაული სოფელია აჭარაშივე, ეკუთვნის რიყეთის სასოფლო საბჭოს. ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით, ეს სახელწოდება დანის მოპარვას უკავშირდება, სინამდვილეში კი, ა. შანიძის განმარტებით, იგი მიღებულია დარისპან კაცის სახელისაგან: დარისპან-ა-ულ-ი⟶დანისპარ-ა-ულ-ი (რ და ნ ბგერათა გადასმით). ამრიგად, დანისპარაული ნიშნავს „დარისპანის კუთვნილს“, ან „დარისპანის ნაქონს“, „დარისპანისეულს“.

დარიალი საყოველთაოდ ცნობილი ხეობაა, ნაქები ალ. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, გრ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის და ბევრი სხვა მწერლის ნაწარმოებებში. ამ ხეობით მიემართება საქართველოს სამხედრო გზა. მდინარე თერგს თითქოს საგანგებოდ გაურღვევია კავკასიონის კლდოვანი მკერდი და გაუჭრია კარი ჩრდილოეთისაკენ.

ბუმბერაზ მთანი მდუმარედ
ცათამდის აყუდებულნი
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის
ყინულ გვირგვინით შემკულნი!

წყალნი, მთით დაქანებულნი,
ალმასებრ უბსკრულს ჰსცვივიან,
თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან!

ასე აღწერს გრ. ორბელიანი დარიალის ხეობას; ერთ ხალხურ ლექსში კი ნათქვამია:

ტიალო დარიალაო,
კლდენი ხარ ცარიალაო!

დარიალი ანუ დარიალა იყო საქართველოს და საერთოდ მთელი ამიერკავკასიის ჩრდილოკავკასიასთან დამაკავშირებელი კარი. საჭიროების შემთხვევაში ამ კარის ჩაკეტვა ადვილად შეიძლებოდა. იქ, სადაც შიშველი კლდეებით მოზღუდული ხეობა ყველაზე უფრო ვიწროვდება, იდგა ციხე და აქ იყო საქართველოსა და ოსეთის საზღვარი. სწორედ ამ ადგილს ეწოდა *დარი ალან* ანუ დარიალა, რაც სპარსულად „ალანთა (ოსთა) კარს" ნიშნავს. ძველად ასეც ეწოდებდნენ: „ალანთა კარი" ანუ „ოვსთა კარი" (მასვე რქმევია „არაგვის კარი", რადგან წინათ თერგსაც არაგვი ერქვა). დარიალანი ნახსენებია *ჯერ კიდევ* „აბოს წამებაში" (VIII ს.).

იგივე დარ გვხვდება კავკასიონის მეორე კარის სახელწოდებაში: *დარუბანდი* (იგივე დერბენტი) — „ჩაკეტილი კარი", „ბაგარი კარი" (შუშანიკის წამებაში მას ჩორი ეწოდება: „ხოლო პიტიახში ჩორდ წარემართა").

საერთოდ, საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა შორის, განსაკუთრებით ხეობის ვიწრო ყელში მდებარე პუნქტთა სახელებში, კარი ხშირად გვხვდება: კლდე-კარი, ტაშის-კარი, წილკნის-კარი, კობიანთ-კარი და მრავალი სხვა.

დახლასშ — ასე ჰქვია ქვემო და ზემო სვანეთის შემაერთებელი მუშურის უღელტეხილის ერთ მონაკვეთს, განსაკუთრებით ძნელ ალმართს. სახელწოდება სვანურია და „თხის ზურგს" ნიშნავს.

დგნალი სოფელია მთიულეთში (დუშეთის რ.). სახელი შერქმეულია მცენარის მიხედვით: *დგნალი*, ანუ *მდგნალი* წნორის ჯიშის ხეს ეწოდება მთის კილოებში.

დევდორაკი ჰქვია მყინვარსა და პატარა ხევს სოფელ გველეთში (ყაზბეგის რ.). ესაა ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრულისაგან წარმოქმნილი ტოპონიმი *დევთ-გორაკი*, სადაც მსაზღვრელის მრავ-

ლობითობის ნიშანი თ გამჟღერებულა გ-ს მეზობლად და დ მოუცია (დევდგორაკი), შემდეგ კი ორი მჟღერიდან ერთი დაკარგულა და მივიღეთ *დევდორაკი* (მსგავსი ფონეტიკური ცვლილებისათვის შეადარეთ: *ქალაქით-გან→ქალაქიდგან→ქალაქიდან*).

დიდი ნეძი და *დიდი ჭყონი* სოფლებია სამეგრელოში: პირველი — ზუგდიდის, მეორე კი — გეგეჭკორის რაიონში. *ნეძი* მეგრულად ნიშნავს „კაკალს“, *ჭყონი* — „მუხას“. ასე რომ, დიდი ნეძი უდრის „დიდ კაკლისხეს“, დიდი ჭყონი — „დიდ მუხას“ (შეადარეთ იმერეთის სოფლის სახელი დიდწიფელა).

მსაზღვრელად დიდი (ისევე როგორც *პატარა*) ახლავს მრავალ გეოგრაფიულ სახელს, რომელთა აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ზოგი მათგანის განმარტება მოცემული იქნება ტოპონიმის ძირითად ნაწილთან (იხ. *კაცხი, ლილო, მეჯვრისხევი, ჯიხაიში*).

დიდუბე ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი უბნის სახელია. თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით, თამარის ქორწილი დიდუბეში გადაუხდიათ. ეს ამბავი ერთ ხალხურ ლექსშიც არის აღნიშნული:

დიდუბეში იქორწინა,
სადაც რომ ტაძარი არი.

დიდუბის ტაძრის ეზოში ამჟამად მოთავსებულია პანთეონი, სადაც დაკრძალულია ბევრი ჩვენი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

სახელწოდება *დიდუბე* შედგება ორი სიტყვისაგან: დიდი და *უბე*. სხვაგვარი ვარაუდით, ამ სახელწოდების მეორე ნაწილს შეადგენს არა უბე, არამედ დუბე, რაც „დაბალ ადგილს“, „დაბლობს“ ნიშნავს.

დიხაზურგა სოფელია გალის რაიონში. *დიხა* არის კოლხური ფორმა *თიხა* სიტყვისა და ნიშნავს საერთოდ „მიწას“ (იგი მონაწილეობს აგრეთვე *დიხაშხო* და *დიხაგუძუბა* ტოპონიმებში), ზურგი კი ეწოდება „ამაღლებულ ადგილს“, „ბორცვს“ (მისგან არის ნაწარმოები *ოზურგეთი*). ამრიგად, *დიხაზურგა* ნიშნავს „ამაღლებულ მიწას“, „მიწის მორცვს“.

დიხაგუძუბა (‖*დიხაგუძბა*‖*დიხაგუზუბე*) დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორისაც *დიხაზურგა*. *გუძუ* მეგრულად „ძუძუს“ ნიშნავს ბავშვის ენაზე. ასე რომ, *დიხაგუძუბა* — ესაა „მიწა-ძუძუ“,

„მიწა-ბორცვა“. ეს სახელი ჰქვია ორ სოფელს (ერთს — გალის, მეორეს — ზუგდიდის რაიონში).

დიხამხო სოფელია იმერეთში (ვანის რ.). აშკარაა, რომ ამ სახელწოდების პირველ ნაწილს შეადგენს იგივე დიხა — „თიხა“, „მიწა“, მეორე ნაწილი *მხო* კი ან ქართული *მხვილ*-ის შესატყვისია, ან მეგრულ *მხუნა* სიტყვას უკავშირდება, რომელიც „ყამირს“, „ახოს,“ „ნოყიერ ადგილს“ ნიშნავს. ჩვენ ეს მეორე ვარაუდი უფრო სწორი გვგონია, რადგან *დიხამხო* ქართული ენის დიალექტებშიც (იმერულში, გურულში) კარგმოსავლიან, ნაყოფიერ, შავ მიწას ჰქვია. თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ საბას განმარტებით, *დიხამხო* არის „მიწა დახეთქილი და ავად გამოგვალული“. დასასრულ, აღსანიშნავია, რომ სამეგრელოში *დიხაჭუბერი* ჰქვია თეთრ მიწას, რომელსაც თავსაბანად ხმარობენ.

დმანისი დაბაა, ერთ-ერთი რაიონული ცენტრი, ცნობილი თავისი ისტორიული წარსულით. ასევე ჰქვია ერთ სოფელს თეთრიწყაროს რაიონში. ამ სახელწოდების *ძველი* ფორმაა დმანისი, სადაც გამოიყოფა გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი *ის* სუფიქსი, ფუძედ კი, როგორც ფიქრობენ, შეკუმშული ფორმით წარმოდგენილია დაბან *(დაბა)*, რაც უძველეს ქართულში ნიშნავდა სახნავ-სათეს ადგილს, ყანას, შემდეგ კი — სოფელს (იხ. ახალდაბა, დაბაძველი).

ენგური, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი დიდი მდინარე, მოედინება სვანეთის მთებიდან, გამოივლის მთელ ზემო სვანეთს, შემდეგ — სამეგრელოს და ერთვის შავ ზღვას.

მოჰქუხს, მოღელავს ენგურ-მდინარე.
მოაქვს ტალღები ნადავლიანი,
აბობოქრებულ სახით მძინვარებს,
მუდამ მრისხანე, ავდარიანი.

წერს ცნობილი ქართველი პოეტი ალიო მირცხულავა ენგურისადმი მიძღვნილ პოემაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ადამიანის ძალამ დაიმორჩილა მრისხანე ენგური. ამჟამად ენგურზე აგებულია მძლავრი ელექტროსადგური.

სახელწოდება ენგური უკავშირდება ქვეყნის სახელს ეგრისს: ეს არის იგივე ეგრ-ულ-ი, ე. ი. „ეგრისული (წყალი, მდინარე)“. რომ ასეა, დასტურდება ისტორიული წყაროებითაც, სადაც ენგურს ეგრისწყალი ეწოდება.

ეგრისი როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ერქვა ძველად შავი ზღვის სანაპიროზე ვრცელ ტერიტორიას, თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს. აქაურ მკვიდრს ეწოდებოდა მეგრელი, რაც „ეგრისელს" ნიშნავს.

ერთაწმინდა სოფელია ქართლში, სადაც დგას წმინდა ესტატეს სახელობის ეკლესია. აქ არის დაკრძალული გიორგი სააკაძის ვაჟის პაატას თავი. ძველად ტაძრებს რომ აგებდნენ, რომელიმე წმინდანის სახელს აკუთვნებდნენ, შემდეგ კი ეს სახელი ზოგჯერ მთელ სოფელსაც შეერქმეოდა. ამიტომ ძველ სოფლის სახელწოდებათა შორის ხშირად გვხვდება წმინდანად მიჩნეული რომელიმე პირის სახელი და სიტყვა *წმინდა* (ძველი გამოთქმით — წმიდა); მაგალითად: ნინო-წმინდა, ნიკორ-წმინდა, სტეფან-წმინდა და სხვანი. ასევეა მიღებული ერთაწმინდა ესტატ-წმიდა-საგან (ჯერ ერთი ტ დაკარგულა და მივიღეთ ესტაწმიდა, ნარის ჩართვით — ესტა-წმინდა; შემდეგ *ს-ანი რ-აემ* შეცვალა: ერტაწმინდა; დასასრულ, *ერტა იქცა ერთა-დ* და მივიღეთ ერთაწმინდა. ამ სახელწოდების ცვლილების ყველა ეს საფეხური დაცულია ისტორიულ დოკუმენტებში).

ვაკე ჰქვია თბილისის ერთ-ერთ უბანს და ხუთ სოფელს (თეთრიწყაროს, დმანისის, კასპის, მახარაძისა და გაგრის რაიონებში). ამავე სიტყვისაგან არის წარმოქმნილი აგრეთვე სოფელთა სახელები: ვაკისა (საჩხერის რ.), ვაკევისა (ჭიათურის რ.), ვაკისძირი (ახმეტის რ.), ვაკიჯვარი (მახარაძის რ.), ვაკეპანტები (ხაშურის რ.), დიდვაკე (ორჯონიკიძისა და ლენინგორის რ.) და სხვა.

ვანი დაბაა, საქართველოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრი. ვანი ჰქვია აგრეთვე ოთხ სოფელს ორჯონიკიძის, ჭიათურის, ჩოხატაურისა და შუახევის რაიონებში. ამავე სიტყვისაგან არის ნაწარმოები ბევრი სხვა ტოპონიმიც; მაგალითად, იმ სოფელს, სადაც გაუძძავებიათ პატარა აკაკი, სავანე ჰქვია. ცხინვალის რაიონში არის სოფელი ვანათი, თეთრიწყაროს რაიონში — ვანეთი, თელავის რაიონში — ვანთა. გარდა ამისა, ცნობილია კიდევ ვანისქედი, ვანისჭალა, სავანისუბანი და სხვა.

სიტყვა *ვანი*, საიდანაც ამდენი გეოგრაფიული სახელია ნაწარმოები, ძველ ქართულში ნიშნავდა ბინას, სახლ-კარს, სადგომს,

დავანება ნიშნავდა დაბინავებას, ხოლო *სავანე* უნდა რქმეოდა დასასვენებელ ადგილს, სასტუმროს, დიდ საქარავნო გზებზე ღამის გასათევ ქარვასლას ანუ სადგურს.

მარცისე სოფელია ქუთაისის ახლოს, სადაც ყვირილა ერთვის რიონს. ამჟამად აქ ცნობილი საბჭოთა მეურნეობაა. სოფელში დგას ძველისძველი ციხე. მოგვაგონდება პოეტ კ. ჭიჭინაძის სტრიქონები:

ასწევს ჭიქას ბროლივით
და იკვეხის ვარციხე:
— არა მყვანან ტოლები,
ძველთაძველი ვარ ციხე!

ცხადია, სოფლის სახელი ციხეს უკავშირდება, მაგრამ მისი პირველი ნაწილია არა ზმნა *ვარ*, როგორც დღეს გვეჩვენება („მე ვარ ციხე"), არამედ იგი მიღებულია *ვარდ* სიტყვისაგან, ე. ი. ვარციხე ნიშნავს „ვარდ-ციხეს". რომ ასეა, იქიდან ჩანს, რომ ძველი ბერძნები ვარციხეს უწოდებდნენ როდოპოლისს, რაც ბერძნულად სწორედ „ვარდის ციხეს" ნიშნავს (როდოს—„ვარდი", პოლის—„ციხე", „ქალაქი"). მაშასადამე, ბერძნებს ზუსტად უთარგმნიათ ეს სახელწოდება.

აღსანიშნავია რომ ვარდისციხე რქმევია აგრეთვე ერთ სოფელს (ამჟამად ნასოფლარს) *ჯავახეთში*.

ვაჩიანი სოფელია *ჯავახეთში* (ახალქალაქის რ.), განთქმული კუმურდოს ტაძრის მასლობლად. სახელწოდება ნაწარმოებია *ვაჩე* პიროვნული სახელისაგან იან სუფიქსით. შესაძლებელია, რომ ვაჩე, რომლისგანაც მიუღია სახელი სოფელს, იყო ის ვაჩე ერისთავი, რომელიც კუმურდოს ტაძრის ერთ წარწერაში იხსენიება (X ს.).

ვეძათხევი სოფელია დუშეთის რაიონში, თიანეთის რაიონში კი არის სოფელი ვეძათხევა. გარდა ამისა, ახმეტის რაიონში არის სოფელი ვეძები, თბილისის ერთ-ერთ უბანს ჰქვია ვეძისი, ხოლო თბილისის მახლობელ სოფელს — ძველი ვეძისი (შედის დიღმის სას. საბჭოში). ყველა ეს ტოპონიმი ნაწარმოებია *ვეძა* სიტყვისაგან, რომელიც მინერალური წყლების ზოგადი სახელწოდებაა. მასვე უკავშირდება ტოპონიმი *ოძისი* (შეადარეთ აგრეთვე *მენჯი*).

ზანა სოფელია ცხაკაიას რაიონში (არის დიდი და პატარა ზანა). ასევე ჰქვია მდინარესაც.

ძველ ბერძნულ წყაროებში სანები (ე. ი. ზანები) ეწოდება

კოლხეთის მცხოვრებლებს — მეგრელებსა და ჭანებს. სვანები დღესაც ზანებს უწოდებენ მეგრელებს, ხოლო *ზან* სვანურად ნიშნავს სამეგრელოს. ყაბარდოულადაც *ზანე* სამეგრელოს აღნიშნავს. ამავე ფუძეს უკავშირდება გეოგრაფიული სახელები: *ზანა* და *საზანო* (ე. ი. „სამეგრელო").

ზედაზენი. როგორც „ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს, ქრისტიანობის წინა ხანაში მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ზედაზენის მთაზე აღმართული ყოფილა წარმართული ღვთაების — ზადენის კერპი. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, VI საუკუნეში, გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწემ იოანემ (ასურელ მამათა წინამძღოლმა, რომელსაც ზედაზნელი ეწოდა) აქ დააარსა მონასტერი. ეს მონასტერი შემდგომში ძველი ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერად იქცა. „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში" იმ მთას, სადაც იოანემ მონასტერი დააარსა, ზედა-ზადენი ჰქვია. თვითონ იოანეს „ქართლის ცხოვრებაში" ზედა-ზადენელი ეწოდება. ამიტომ სწორი უნდა იყოს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ვახუშტის აზრი, რომ ზედაზენი მიღებულია *ზედა-ზადენი*-საგან.

ზენი ჰქვია რამდენიმე სოფელს სამეგრელოში. მათ შორის სამი *ზენი* გალის რაიონშია, ორი — ხობის და ერთიც ოჩამჩირის რაიონში. გარდა ამისა, არის კიდევ სოფელი *ნარაზენი* ზუგდიდის რაიონში, *ზენდიდი* და *ზენითი* — აჭარაში (პირველი ქედის, მეორე — ქობულეთის რაიონში).

ზენი ანუ *რზენი* მეგრულად ნიშნავს „ვაკეს". როგორც ვიცით, ტოპონიმებში ხშირად არის მოცემული რელიეფის დახასიათება. სწორედ ამის ნიმუშია ზემოხსენებული გეოგრაფიული სახელები (შეადარეთ ვაკე, ვაკისა, ვაკისძირი, დიდვაკე და სხვანი).

ზესტაფონი. ამ ქალაქის სახელწოდება ორი ნაწილისაგან შედგება: ზესტა და ფონი. მეორე სიტყვა ფონი, რაც წყალში გასასვლელ ადგილს ნიშნავს, ადვილი გამოსაცნობია, ზესტა კი მიღებულია ძველი ქართული *ზესთა (ზემთა)* სიტყვისაგან და იგივეა რაც „ზედა", „ზემოთა". ამრიგად, ზესტაფონი ნიშნავს „ზედა ფონს".

ზჰარე ჰქვია სოფლებს აჭარასა და იმერეთში. გარდა ამისა, რაჭაში არის აგრეთვე სოფელი *ზვარეთი*, ხოლო ქართლში — *მზვარეთი*. ყველა ესენი ნაწარმოებია *ზვარე* ანუ *მზვარე* სიტყვისაგან,

რომელიც მზიან ფერდობს აღნიშნავს (მისი საპირისპირო *ბრილი*, რომელიც აგრეთვე გვხვდება გეოგრაფიულ სახელად).

ზოვრეთი ნაწარმოებია ქართულ გეოგრაფიულ სახელებში ძალიან გავრცელებული *ეთ* სუფიქსით, ხოლო ფუძედ აღებულია ძველი ქართული სიტყვა *ზორვა*, რაც საბა ორბელიანის განმარტებით ნიშნავს „კერპთა მიმართ შეწირვას, კმევასა და მსხვერპლს". მეორე მხრივ, უფრო მოგვიანებით *ზორვა* გვხვდება, აგრეთვე ბაჟის აღების, ხარკის აკრეფის მნიშვნელობითაც (საზუერე ნიშნავს „საბაჟოს", „ბაჟის ასაკრეფ ადგილს", მეზუერე — „ხარკის ამკრეფს", „მებაჟეს").

მაშასადამე, *ზოვრეთი* მიღებულია *ზორვეთ*-ისაგან (ისევე როგორც *მთრვალი* → *მთვრალი*, *ძრვა* → *ძვრა* და სხვანი; ახალ ქართულში მოქმედი ფონეტიკური წესის მიხედვით *ვ* გადაინაცვლებს *რ, ლ, ნ* ბგერების წინ).

ზოვრეთი ჰქვია სოფლებს იმერეთში, ქართლში, კლარჯეთში. წინათ არსებულა კიდევ რამდენიმე სხვა *ზოვრეთი*. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სოფლებში ძველად ყოფილა კერპთა სამლოცველოები, რომლებსაც თაყვანს სცემდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ. თუ ადგილის სახელწოდება შედარებით გვიანდელია, მაშინ იგი საბაჟო ადგილს („საზვერეს") უნდა ნიშნავდეს.

ზუგდიდი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ძველი და მნიშვნელოვანი ქალაქია. მის სახელწოდებაში ადვილად გამოიყოფა სიტყვა *დიდი*, მაგრამ რას ნიშნავს ტოპონიმის პირველი ნაწილი *ზუგ*? ფიქრობენ, რომ ეს არის გამარტივებული ფორმა სპარსულიდან კოლხურში ნასესხები *ზურგ (სურკ)* სიტყვისა, რაც „(მთის) ზურგს", „ბორცვს" ნიშნავს. ამგვარი ეტიმოლოგიის მიხედვით, *ზუგდიდი* ნიშნავს „დიდ ბორცვს", „დიდ გორაკს". მაგრამ ეს ეტიმოლოგია მართებულად არ მიიჩნევა, რადგან ამ ქალაქის სახელწოდების ადრინდელი ფორმაა *ზუბდიდი* და არა *ზუგდიდი*.

ზუბი დასავლეთ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული გეოგრაფიული სახელია, ასე ეწოდება რამდენიმე სოფელს სამეგრელოში (ჩხოროწყუსა და ხობის რაიონებში), აგრეთვე ერთ სოფელს ლეჩხუმში (ცაგერის რ.). როგორც ჩანს, ყველა დანარჩენი *ზუბ*-ისაგან გასარჩევად, ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ყველაზე დიდსა და მნიშვნელოვან გეოგრაფიულ პუნქტს წარმოადგენდა, ეწოდა

ზუბ-დიდი. შემდეგ ეს სახელწოდება ხელახლა იქნა გააზრიანებული და მივიღეთ ზუგდიდი.

რას ნიშნავს თვით ზუბი, ჯერჯერობით დაუდგენელია. არსებობს ვარაუდი, რომ იგი შესაძლოა ეთნიკური ტერმინი (ტომის, ხალხის სახელწოდება) იყოს.

ზღუდერი — სოფლის სახელი ქარელის რაიონში — იგივეა, რაც *ზღუდე*. ასე უნდა რქმეოდა უძველეს პერიოდში გამაგრებულ, შემოზღუდულ ადგილს ანუ ქალაქს. შემდეგ ზღუდერი სწორედ *ქალაქ* სიტყვამ შეცვალა, რომელიც სირიულია და აგრეთვე შემოზღუდულს, გარშემორტყმულს, გამაგრებულ ადგილს ნიშნავს.

თბილისი — საქართველოს დედაქალაქი — ათას ხუთასზე მეტი წლისაა. მისი 1500 წლისთავი დიდი ზეიმით აღინიშნა 1958 წელს.

თბილისის დაარსებას ხალხური ლეგენდა მეფე ვახტანგ გორგასალს მიაწერს. როგორც არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, მოსახლეობა თბილისის მიდამოებში გაცილებით უფრო ადრეც ყოფილა (თბილისის ტერიტორიაზე, დიღომში, აღმოჩენილია მრავალფენიანი ნასოფლარი, რომლის ზედა ქრონოლოგიური საზღვარია ძვ წ. III ათასწლეული). ვახტანგს კი, როგორც ჩანს, თბილისი დედაქალაქად უქცევია და სამეფო ტახტი მცხეთიდან აქ გადმოუტანია.

თბილისი ქართულ მწერლობაში პირველად მოხსენებულია VI საუკუნეში. დაახლოებით იმავე ხანებიდან იცნობს ამ სახელს ბერძნულ-ბიზანტიური და სომხური მწერლობაც.

თბილისი ანუ ძველი გამოთქმით *ტფილისი* დარქმევია ჩვენს დედაქალაქს გოგირდის ცხელი წყაროების გამო.

ძველ ქართულში იხმარებოდა ზმნა *ტეფ* (გან-ტეფ — „გათბი!“). ეს სიტყვა, მცირეოდენი ცვლილებებით, სითბოს აღსანიშნავად მრავალ ენაში გვხვდება: მაგალითად: ძველი ინდური *ტაპას* — „სიცხე“, ძველი სლავური *ტეპლ* — „თბილი“, „რუსული теплый — „თბილი“, ლათინური *ტეპეო* — „თბილი ვარ“, „*ტეპორ* — „სითბო“ (აქედანვეა მიღებული სიტყვა *ტემპერატურა*).

აი, ამ *ტეფ* ზმნისაგან ილ სუფიქსის დართვით მივიღეთ *ტეფილ-ი* → *ტფილი* (ისევე როგორც ვ-შევ—შვილი, წერა—წერილი, გაყრა—გაყრილი და მრავალი სხვა), ხოლო ტფილ სიტყვისაგან გეო-

გრაფიულ სახელთა მაწარმოებელი *ის* სუფიქსის დართვით წარმოღგა *ტფილ-ის-ი*.

ახალ ქართულში გამოთქმა *ტფილი* შეიცვალა და მივიღეთ *თბილი*. ამის მიხედვით იცვალა ჩვენი დედაქალაქის სახელწოდებაც: *ტფილისი* → *თბილისი*.

თეთნულდი ერთ-ერთი ულამაზესი და მაღალი მწვერვალია კავკასიონის მთაგრეხილზე. მისი კონუსისებური თავი მუდამ სპეტაკი თოვლითაა დაფარული და მზისა თუ მთვარის სხივებზე თვალისმომჭრელად ქათქათებს. ეს მწვერვალი ზემო სვანეთშია და კარგად მოჩანს სვანეთის მრავალი სოფლიდან. სვანეთში ზოგან მას ეძახიან თვეთნულდს, ზოგან — თეთნულდს. *თვეთნე* ანუ *თეთნე* სვანურად ნიშნავს „თეთრს“, ულდ კი მოფერების, ალერსის გამომხატველი სუფიქსია (ისევე როგორც ქართული *იკო* ან *უნა* — შვილიკო, დედიკო, სულიკო, დათუნა, თაგუნა და სხვა ამგვარ სიტყვებში). ამრიგად, თეთნულდი ნიშნავს „თეთრიკოს“, „თეთრუნას“.

თექალი და *თეკლათი* სოფლებია, პირველი — სვანეთში (ლენტეხის რ.), მეორე — სამეგრელოში (ცხაკაიას რ.). *თეკერ*||*თეკარ*|| *თეკრა* მცენარის სახელია სვანურად („მაღალმთის ბოკვი“). აქედან უნდა იყოს მიღებული ზემოხსენებული სოფლების სახელწოდებანი: პირველი — უაფიქსოდ, მეორე — *ათ* სუფიქსით (ამავე სუფიქსით არის ნაწარმოები *აბედ-ათ-ი*, *ქინძ-ათ-ი*, *რცხილა-თ-ი* და სხვანი).

თეკლათს სხვაგვარი ახსნაც მოეპოვება: შესაძლოა მას საფუძვლად ედოს პიროვნული სახელი *თეკლა*, რომელიც ქალის სახელად გვხვდება ჯერ კიდევ X საუკუნეში („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“). თეკლა (თეკლა-ბიჭი) ერქვა მეფე ერეკლეს საყვარელ უმცროს ქალიშვილს.

თელავი ერთ-ერთი ძველი ქალაქია აღმოსავლეთ საქართველოში. როცა კახეთი ცალკე სამეფოს წარმოადგენდა, თელავი იყო მისი სატახტო ქალაქი.

ზოგიერთი თელავის სახელწოდებას გულუბრყვილოდ უკავშირებს სომხურ გამოთქმას: *თე-ლავ* — „თუ კარგია“. მაგრამ ამგვარი გამოთქმები, ჩვეულებრივ, გეოგრაფიულ სახელებად არ გვხვდება და, ცხადია, ასეთ ახსნას ჭეშმარიტებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. თელავი უკავშირდება მცენარის სახელს — თელას. ბოლოში მას დართული აქვს სუფიქსი *ვ (ავ)*, რომელიც გვხვდება სხვა გეო-

გრაფიულ სახელწოდებებშიც, როგორიცაა: ზანავი, მანავი, ცურტავი და სხვა.

საერთოდ, როგორც ცნობილია, ადგილის სახელწოდება ხშირად არის წარმომდგარი ამა თუ იმ მცენარის სახელწოდებისაგან. მათ შორის *თელა*-საგან *ეთ* სუფიქსით ნაწარმოებია თბილისის მახლობელი სოფლის სახელი *თელეთი*, *იან* სუფიქსით — *თელიანი* (კახეთში), *ოვან* სუფიქსით — *თელოვანი* (ქართლში), *ნარ* სუფიქსით — *თელნარი*→*თერნალი* (იმერეთსა და აჭარაში). უბრალოდ *თელა* ჰქვია ერთ სოფელს ლაგოდეხის რაიონში. გეოგრაფიულ სახელებად გვხვდება აგრეთვე *თელათგორი*, *თელათუბანი*, *თელაწმინდა*, *მუხრან-თელეთი* და სხვა.

თერნალი ჰქვია ორ სოფელს: ერთი იმერეთშია, წყალტუბოს მახლობლად, მეორე — აჭარაში, ხულოს რაიონში. ეს გეოგრაფიული სახელიც მცენარე თელას სახელწოდებისაგან არის მიღებული.

მცენარის სახელწოდებისაგან გეოგრაფიულ სახელთა წარმოება ქართულში ხშირია *ნარ* სუფიქსით (მაგალითად, *დაფნარი*, *თხილნარი*, *კოპიტნარი*, *მუხნარი*...). ამ გზით *თელა*-საგან უნდა მიგვეღო *თელ-ნარ-ი*, მაგრამ აქ *ლ* და *რ* ბგერებს ურთიერთშორის ადგილები შეუცვლიათ და მივიღეთ *თერნალი* (ბგერათა შორის ადგილების ამგვარ გაცვლა-გამოცვლას ფონეტიკაში მეტათეზი ეწოდება. ასეთი მონაცვლეობა ქართულში განსაკუთრებით დამახასიათებელია ნარნარა *რ*, *ლ*, *მ*, *ნ* ბგერებისათვის. ამის ნიმუშია როგორც თელნარი→თერნალი, ასევე ბევრი სხვა ტოპონიმიც: თხილნარი →თხირნალი, თხილვანი→თხინვალი, იფნარი→იფრანი, მუხნარი →მუხრანი, ქვაბნარი →ქვაბრანი, რცხილვანი→ცხინვალი, წინკარი→წილკანი და სხვანი).

თერჭოლა რაიონული ცენტრია, მდებარეობს ზემო იმერეთში. ძველ ისტორიულ საბუთებში ამ სოფლის სახელი გვხვდება სხვადასხვა ფორმით: *თეთჟოლა*, *თერჟოლა*, *თეჯოლა*. მათი ამოსავალი ანუ პირველადი, საწყისი ფორმა არის თეთრჟოლა, რაც „თეთრ ბჟოლას (თუთას)“ ნიშნავს.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „თუთა სხვათა ენაა, ქართულად *ჟოლი ჰქვიან*“. ამ მცენარის სახელად წინათ გვხვდებოდა როგორც *ჟოლი*, ისე *ჟოლა* (ისევე როგორც ჩვენ მიერ ზემოთ უკვე ნახსენები ბორი და ბორა, გორი და გორა, მელი და მელა...).

მაგალითად, ბესიკი ერთ ლექსში ამბობს: „ისრად ჟოლა ხელთა მეპყრა“ ე. ი. თუთის ისარი მქონდაო). ახალ ქართულში *ჟ*-ს წინ *ბ* ბგერა განვითარდა და მივიღეთ *ბჟოლი*||*ბჟოლა*. ასე ეძახიან დღესაც თუთას დასავლეთ საქართველოში (როგორც საბა ბრძანებს, გს არის ქართული სახელწოდება, თუთა კი „სხვათა ენაა“, ე. ი. უცხო ენის სიტყვაა, კერძოდ, არაბულიდან არის შემოსული).

ამრიგად, თერჯოლის სახელწოდებას შემოუნახავს მცენარის სახელის ადრინდელი ფორმა *ჟოლა*, ოღონდ *ჟ* ქცეულა *ჯ*-დ, მის წინ კი *თეთრ* სიტყვაში ორიდან ერთი *თ* დაკარგულა. ასე იქცა *თეთრჟოლა* (ე. ი. თეთრი ბჟოლა) *თერჯოლა*-დ.

თმძამი მდინარეა ქართლში. ოსურად ნიშნავს „მდინარეს“. მსგავსი შემთხვევები, როცა „მდინარის“ ან „წყლის“ აღმნიშვნელი სიტყვა გამოყენებულია მდინარის საკუთარ სახელად, ჰიდრონიმებში (ე. ი. წყალთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ სახელებში) ძალიან ხშირად გვხვდება.

თიანეთი დაბაა, რაიონული ცენტრი. სახელწოდება, რომელიც წარმოქმნილია *ეთ*. სუფიქსით, ჩანს *მთიანეთ*-ისაგან მომდინარეობს და ნიშნავს მთაგორიან ადგილს.

თუზი სოფელია იმერეთში, თერჯოლის რაიონში. სახელწოდება თურქულია და ნიშნავს „ვაკეს“. საფიქრებელია, რომ ეს სახელი შეერქვა სოფელს გვიანდელ საუკუნეებში, როცა დასავლეთ საქართველოში თათრები ბატონობდნენ.

თუხარისი კლარჯეთის ძველი ცენტრი იყო. ახლა მისი ადგილმდებარეობა საძიებელია, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ იგი მდებარეობდა კლარჯეთისა და ტაოს მხარეების საზღვართან, მდინარე ჭოროხის ნაპირას (მისგან არის ნაწარმოები გვარი თუხარელი).

თუხარისი ერთ-ერთი იმ ტოპონიმთაგანია, რომელიც ადამიანის სახელისაგან არის ნაწარმოები. *თუხარ* ქალის სახელია, გვხვდება, მაგალითად, გიორგი მეფის 1602 წლის ბრძანებაში. ამ სახელს დართული აქვს ჩვენთვის კარგად ცნობილი *ის* სუფიქსი (თბილისის, ქუთაისის, ბოლნისის და სხვათა მსგავსად).

თსინვალი რამდენიმე სოფელს ჰქვია. მათგან ერთი თბილისის ახლოსაა (გარდაბნის რაიონში), მეორე თეთრიწყაროს რაიონშია, მესამე კი — მახარაძის რაიონში. ამ გეოგრაფიული სახელისაგან არის ნაწარმოები გვარი თხინვალელი.

თხინვალი მიღებულია *თხილვან*-ისაგან, ეს უკანასკნელი კი — *თხილოვან*-ისაგან (შეადარეთ რცხილვანი → კხინვალი, სადაც ასეთივე ფონეტიკური ცვლილება არის მომხდარი).

მცენარის სახელი *თხილი* გვხვდება აგრეთვე ბევრ სხვა ტოპონიმში, როგორიცაა, მაგალითად: *თხილა* (თიანეთის რ.), *თხილუანა* (ხულოს რ.), *თხილიანა* (დუშეთის რ.), *თხილოვანი* (გულრიფშისა და დუშეთის რ.), *თხილთაწყარო* (თერჯოლის რ.). ბათუმის რაიონში, გონიოს სასოფლო საბჭოში, არის სოფელი *თხილნარი*, რომელსაც *თხირნალ*-საც უწოდებენ. როგორც ჩანს, სოფლის სახელი ყოფილა აგრეთვე *თხირნალა*, საიდანაც მიღებულია *თხინალა* (გორის რ.) და პატარა *თხინალა* (ხაშურის რ.).

იენაში სოფელია ზემო სვანეთში. ამ სოფელში დგას წმინდა იონას სახელობის ეკლესია. აქედან მომდინარეობს მისი სახელი („იონასი").

ივლიანთგორი ანუ *ივლიანგორი* სოფელია ფშავში. ივლიანი ის ადგილია, სადაც ხარობს ყვითელყვავილიანი მცენარე—იელი. ეს სახელი მთის კილოებში კუმშვადია. ასევე შეკუმშული ფორმით ხმარობს მას ვაჟა-ფშაველა: „ოჩოჩას ველის პირში რომ წყარო არის და წყაროს იქით ივლიანი გორალაა, სწორედ იქ გდია ის დათვი" (მოთხრობა „დათვი"). ასე რომ, *ივლიან-გორ-ი* ნიშნავს „იელიან გორას".

იმერეთი საქართველოს ერთ-ერთი მხარის სახელია. დასავლეთ საქართველოში იმერეთს უჭირავს ყველაზე ვრცელი და ხალხმრავალი ტერიტორია — სურამის ქედიდან ცხენისწყლის სანაპირომდე. იგი იყოფა ორ ნაწილად: ზემო და ქვემო იმერეთად. ქვემო იმერეთი ძირითადად ვაკეზეა გაშლილი, ზემო იმერეთი კი მთაგორიანია.

სახელწოდება იმერეთი ნაწარმოებია ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი *ეთ* სუფიქსით, რომელიც ძალზე ხშირად გვხვდება ქართულ ტოპონიმიაში. ამჯერად ეს სუფიქსი დართული აქვს *იმერ* სიტყვას, რაც ნიშნავს: „იქით", „გადაღმა".

იმერი ანუ იმიერი უპირისპირდება ამერს ანუ ამიერს (ისევე როგორც იქ და აქ, იქაური და აქაური, გაღმა და გამოღმა). მათი ხმარება დამოკიდებულია იმაზე, თუ სად იმყოფება მოუბარი: დასავლეთ საქართველოში მყოფთათვის ქუთაისი სურამის ქედის გადმოღმა მდებარეობს, თბილისი კი — გადაღმა; აღმოსავლეთში მყოფ-

თათვის. პირიქით, თბილისია ქედის გადმოღმა, ქუთაისი — გადაღმა.

ამასთან დაკავშირებით გვაგონდება ვაჟა-ფშაველას ლექსი „იმერეთს". 1913 წელს ვაჟა ქუთაისში მიიწვიეს სალიტერატურო საღამოზე. პოეტი ამ საღამოსთვის წინასწარ მომზადებულა და ჯერ კიდევ გამგზავრებამდე დაუწერია საგანგებო ლექსი, რომელიც ასე იწყება (შემონახულია თვითონ ვაჟას ხელნაწერი):

ერთხანად ჩემო მძრახაო,
ლ ი ხ ს-ი ქ ი თ უ რ ო დედაო!
გხედავ, რომ შამრიგებიხარ,
მით შენთან სალამს ვბედაო.

ვაჟამ ქუთაისში სალიტერატურო საღამოზე წაიკითხა ეს ლექსი, მაგრამ მეორე სტრიქონი ასე შეცვალა: „ლიხს-აქათურო დედაო". ასევე დაიბეჭდა იგი ქუთაისის გაზეთ „თემში". ამრიგად, როცა პოეტი ჩარგალში იყო, იმერეთს ლიხს-იქითურ დედას უწოდებდა, თვითონ იმერეთში რომ ჩავიდა, მაშინ კი ასე მიმართა: „ლიხს-აქათურო დედაო"!

მაშ, იმერეთი ნიშნავს იქითა, გადაღმა მხარეს (იგულისხმება ლიხის ანუ სურამის ქედის გადაღმა მხარე). პირველად მას განსაზღვრება ახლდა კიდეც და იხმარებოდა ლიხთ-იმერეთი (ასე უწოდებენ დასავლეთ საქართველოს, მაგალითად, თამარ მეფის დროინდელი ისტორიკოსები. მათ თხზულებებშივე „იმერელის" აღსანიშნავად გვხვდება ლიხთ-იმერი, ლიხთ-იმერელი). ასეთი სახელი იმერეთისათვის შეიძლებოდა დაერქმია მხოლოდ იმას, ვინც ლიხის (სურამის) ქედის აღმოსავლეთით ცხოვრობს, ამერელია. არც ისე დიდი ხნის წინათ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრნი იმერეთს უწოდებდნენ მთელ დასავლეთ საქართველოს. მათთვის გურულიც და მეგრელიც, რაჭველიც და ლეჩხუმელიც იმერელი იყო, რაკი ისინი სურამის ქედის გადაღმა ცხოვრობდნენ. ამგვარი გაგება კარგად გამოხატავს *იმერეთ* სიტყვის პირვანდელ შინაარსს.

ლიხთ-იმერ-ისა და *ლიხთ-იმერეთ*-ის საპირისპიროდ, აღმოსავლეთ საქართველოს აღსანიშნავად ჩვენს საისტორიო მწერლობაში გვხვდება *ლიხთ-ამერი, ლიხთ-აქათი*. ამერი და ამერეთი (იმერ-ამერი, იმერ-ამერეთი) მწერლობაში აქა-იქ ახლაც შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ იგი ისე ფართოდ არ გავრცელებულა და, მით უმეტეს,

რომელიმე კუთხის სახელად არ ქცეულა. სამაგიეროდ, იმავე სიტყვის მეორე ვარიანტი *ამიერ* გამოყენებულია კავკასიონის ქედის აქეთა მხარის აღსანიშნავად: ამიერ-კავკასია (ე. ი. აქეთა, გადმოღმა კავკასია. შეადარეთ მისი რუსული სახელწოდება Закавказье, ე. ი. კავკასიის იქითა, გადაღმა მხარე. რუსისთვის ჩვენი მხარე მართლაც გადაღმაა, ჩვენთვის კი გადმოღმა, აქეთაა). გეოგრაფიული ცნებებისათვის გამოყენებულია აგრეთვე *იმიერ*: იმიერ-კავკასია (კავკასიონის ქედის გადაღმა ნაწილი, ჩრდილო კავკასია), იმიერ-ვოლგა (ვოლგის გაღმა, აღმოსავლეთი მხარე), იმერ-კარპატი (კარპატის მთების გადაღმა), იმიერ-პოლარეთი (პოლარული წრის იქით) და ა. შ.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. მარის აზრით, იმერი იგივეა, რაც იბერი, ივერი, რომლისგანაც ნაწარმოებია ქვეყნის სახელი იბერია (ივერია). მაგრამ ეს მოსაზრება უკუგდებულია, რადგან იბერია ერქვა აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ სახელმწიფოს, ხოლო დასავლეთ საქართველოს მიმართ ეს სახელწოდება არ ყოფილა გამოყენებული.

ინგირი სოფელი და რკინიგზის სადგურია ზუგდიდის ახლოს. სოფელს სახელი დარქმეული აქვს მდინარე ენგურის მიხედვით, რომელსაც ადგილობრივ ინგირი ეწოდება (მისი განმარტება იხ. ზემოთ — *ენგურ*-თან.)

იფარი სოფელია სვანეთში. *იფ (იფრა)* — ასე გამოითქმის სვანურად მცენარის სახელი იფანი ანუ იფნი (ამ მცენარეს სამეგრელოში და სვანეთის ერთ ნაწილში *ლაჯი* ეწოდება, იმერეთსა და გურიაში — *კოპიტი*. ამ უკანასკნელისაგან მომდინარეობს იმერეთის სოფლის სახელი კოპიტნარი). არ ქონების აღმნიშვნელი სუფიქსია სვანურში (როგორც ქართულში იან). იგი გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლადაც გვხვდება. ამრიგად, იფარი ნიშნავს „იფნიანს", „იფნარს" (შეადარეთ სოფლის სახელები: *იფნარი* თეთრიწყაროსა და გაგრის რაიონებში, *იფნარა* — გორის რაიონში, *იფნისგორა* — ახმეტის რაიონში. *იფნეთი* ნასოფლარია ჯავახეთში. იხ. აგრეთვე *ლაჯანა*).

ქაჯნისთავი სოფელია ბათუმის ახლოს, შედის აჭარისწყალის სასოფლო საბჭოში. კაპანი ჰქვია დამრეც, ციცაბო ადგილს, ფერ-

დობს, ასე რომ. კაპნისთავი ადგილმდებარეობის მიხედვით დარქმევია ფერდობის თავზე გაშენებულ სოფელს.

კაცხი სოფელია იმერეთში, ჭიათურის მახლობლად. აქაური იყო ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე. ჭიათურის მიდამოების აღწერისას, XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი მოგვითხრობს: „...დასავლით არს ციხე კაცხისა, მთის ძირად, კლდესა ზედა, მაგარი. ციხის აღმოსავლით არს კლდე. ხრამსა შინა არს კლდე აყვანილი, ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი. მის კლდის თხემზედ არს ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა აღვალს კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღსლვისა“.

როგორც ვახუშტი აღნიშნავს, ეს უცნაური კლდე სვეტივით არის აღმართული. ამ კლდის სახელწოდება *კაცხი* უკავშირდება სვანურ *კაცხ* სიტყვას, რაც „წვეროს“, „თხემს“ ნიშნავს. ეს სახელი სვანეთშიც ჰქვია ერთ სოფელს.

კაწალხევი სოფელია ფშავში. ხალხური გადმოცემით, სოფელს ასე შეარქვეს ხორნაულებმა — ბლოდან ჩამოსახლებულმა ხევსურებმა, ვითომ კარგი წყალი და ხევიაო (კარგ-წყალ-ხევი). არსებობს მოსაზრება, რომ ეს სახელწოდება მომდინარეობს *კარწახ-ხევისაგან* (*კარწახი* ჰქვია დიდ აღმართს). მაგრამ სოფლისა და ხეობის მდებარეობას ასეთი დახასიათება („დიდი აღმართი“) არ შეეფერება, იგი შედარებით ვაკეა. ამიტომ უფრო სარწმუნო ჩანს მეორე მოსაზრება, რომლის თანახმად კაწალხევის სახელწოდებას საფუძვლად უძევს მცენარის სახელი *კაწალა* (ასე ეძახიან მთის კილოებში მაჩიტას).

კახეთი აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია, განთქმული თავისი სიუხვითა და დოვლათით. კახ-ეთ-ი ნაწარმოებია ჩვენთვის კარგად ცნობილი *ეთ* სუფიქსით. სხვათა შორის, ეს სუფიქსი ყველაზე ხშირად გვხვდება საქართველოს სხვადასხვა მხარის სახელწოდებებში, რომლებიც სატომო სახელებისაგან არიან წარმოქმნილი; ასე, მაგალითად, მესხი, ჯავახი, ხევსური, თუში, სვანი, ჭანი ვინობას აღნიშნავს. ამ სიტყვებზე *ეთ* სუფიქსის დართვით კი ვღებულობთ იმ კუთხის სახელწოდებას, სადაც ისტორიულად ცხოვრობდა ესა თუ ის ქართველი ტომი. ასე მივიღეთ *მესხ*-ისაგან მესხ-ეთ-ი, *ხევსურ*-ისაგან ხევსურ-ეთ-ი, *სვან*-ისაგან სვან-ეთ-ი და ა. შ. ასევეა წარმოქმნილი კახ-ისაგან კახ-ეთ-ი. დღეს

კახეთის მკვიდრს კახელს ვეძახით, მაგრამ ძველად ამ სიტყვას *ელ* სუფიქსი არ სჭირდებოდა, კახი ისეთივე სატომო სახელი იყო, როგორც მესხი, ხევსური ან სვანი. მთაში (ხევსურეთში, თუშეთში) კახელს ახლაც კახს ეძახიან. აქვე უნდა გავიხსენოთ მეფე ერეკლეს მეტსახელი პატარა კახი (ე. ი. „პატარა კახელი"). აი, ამ სატომო სახელისაგან არის მიღებული მხარის სახელწოდება კახეთი.

კირცხი ჩხოროწყუს რაიონის ერთ-ერთი უძველესი სოფელია, რომელზედაც გადიოდა ქუთაის-ზუგდიდის დამაკავშირებელი გზა.

ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზე შექმნილია ლეგენდა, თითქოს აქ გავლისას ვიღაც დიდი კაცისთვის სეტყვას მოუსწრია და ამიტომ შერქმევია სოფელს *კირცხი* (მეგრულად ნიშნავს „სეტყვას").

კირცხი||*ქირცხი* მეგრულად ნიშნავს აგრეთვე „ნარ-ეკალს". შესაძლოა სოფლის სახელი აქედან მომდინარეობდეს, თუმცა ასეთ შემთხვევაში უფრო მოსალოდნელი იყო მცენარეულობის სახელს რაიმე აფიქსიც დართვოდა.

კიცხი — სოფლის სახელი ზემო იმერეთში (ორჯონიკიძის რაიონში) — ძალიან ჰგავს სამეგრელოს ზემოხსენებული სოფლის სახელს — *კირცხს*. იქნებ ეს ორი სოფლის სახელი მართლაც ერთნაირი წარმოშობისა იყოს. მათი მნიშვნელობის დასადგენად, *კირცხი*||*ქირცხი* („ნარ-ეკალი") სიტყვის გარდა, უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე, რომ *კირცხი* სვანურად ნიშნავს „ბელტს".

კიჩხულდაში სოფელია ზემო სვანეთში (მესტიის რ.). ასევე ჰქვია ჩოლურიდან ზემო სვანეთში გადასასვლელ უღელტეხილსაც. *კიჩხ* სვანურად ჰქვია ცერცვის, ლობიოს და სხვა მისთანა მცენარეთა პარკს. ულდ კნინობითის სუფიქსია, ე. ი. *კიჩხულდ* — ესაა „პარკუჭი", „პარკუჭანა". მას დართული აქვს მატოპონიმებელი სუფიქსი (იგივე ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი) აშ და ამგვარი ფორმით ქცეულია სოფლისა და უღელტეხილის სახელად: კიჩხულდ-აშ-ი — „პარკ-უჭანა-ს-ი".

კოკი სოფელია ზუგდიდის რაიონში. ეს სახელწოდება მეგრულად ნიშნავს „ადგილს მდინარის პირას", „კუნძულს" ან „ნახევარკუნძულს".

კოლხეთი. იმ დაბლობს, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს ფართო ზოლით იწყება, შემდეგ სამკუთხედივით თანდათან ვიწროვდება და ქალაქ ზესტაფონთან თავდება, კოლხეთის დაბლობი ჰქვია.

კოლხეთი ანუ კოლხიდა ერთ დროს ვრცელი ქვეყანა იყო. იგი პირველად იხსენიება ბერძნულ წყაროებში ჯერ კიდევ 2700 წლის წინათ. გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (V ს. ძვ. წ. ა.) შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ისხენიებს მხოლოდ ერთ ხალხს — კოლხებს. ამ ხალხის სახელისაგან არის ნაწარმოები ქვეყნის სახელწოდება კოლხ-ეთ-ი.

თვით ხალხის სახელი კოლხი ანუ კოლხა, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, უკავშირდება ძველისძველი თემის სახელწოდებას — კოლას. კოლა მტკვრის სათავეებში მდებარე ოლქს ერქვა, მაგრამ ეს არ უშლის ხელს მის დაკავშირებას კოლხებთან და კოლხიდასთან, რომლის საზღვრებიც მისი ძლიერების ხანაში შორს ვრცელდებოდა.

კოლხი (კოლხა) შეიცავს სატომო სახელთა მაწარმოებელ ხა დაბოლოებას, რაც დაახლოებით უდრის დღევანდელ ქართულში სადაურობის აღმნიშვნელ ელ სუფიქსს (ფიქრობენ, რომ იგივე ხ გამოიყოფა აგრეთვე ისეთ სატომო სახელებში, როგორიცაა მესხი, ჯავახი, ტაოხი, ჰენიოხი და სხვა). ამრიგად, კოლხი ნიშნავს „კოლას მცხოვრებს", „კოლაელს". ეს სახელწოდება გავრცელებულია შავი ზღვის აღმოსავლეთით მცხოვრებ მთელ ხალხზე. აქედან კი თვითონ ქვეყანასაც მიეღია სახელწოდება კოლხეთი (კოლხიდა).

კონდიდი სოფელია ქობულეთთან. მისი თავდაპირველი სახელწოდება იქნებოდა რკონდიდი, რ დაკარგულა და დაგვრჩა კონდიდი. რკო ამჟამად მუხის ნაყოფს ჰქვია. ძველად კი იგი აღნიშნავდა თვითონ მცენარესაც (ისევე როგორც ვაშლი, მსხალი, ლეღვი, წაბლი მცენარესაც ჰქვია და ნაყოფსაც). აქედანაა მიღებული სოფლის სახელი რკონი (ქართლში). მასვე უკავშირდება კონდიდი, რაც „მუხა-დიდს" ანუ „დიდ-მუხას" ნიშნავს (შეადარეთ სამეგრელოს ერთ-ერთი სოფლის სახელი ჭყონდიდი).

კოჯრი ცნობილი კურორტია თბილისის მახლობლად, სამხრეთით. ზოგ მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნია ეს სახელწოდება დაუკავშიროს სვანურს, სადაც კოჯ „კლდეს" ნიშნავს. უშუალოდ სვანურთან მისი დაკავშირება საეჭვო ჩანს, მაგრამ გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ამ სიტყვებს საერთო ძირი აქვთ: კოჟი ნიშნავს „მთაგორიან, ამაღლებულ ადგილს", კოჟრი, კოჟიჟი — „ბებერას", „კორძს" (სხეულზე, ხეზე...), კოჟორს აჭარულში „ქვი-

ანს", „ქვა-ღორღიან ადგილს" ეძახიან, ხოლო *კოჟორტალი, კილდი-კოჟორი* ადგილის სახელებია ზემო აჭარაში (იხ. შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა: ბათუმი, 1971). შესაძლოა ამ სიტყვებს კავშირი ჰქონდეს აგრეთვე სომხურთან: *კოშტ* — „კლდის ნამზღვლევი" (глыба), „გოროხი", „კოჭრი". რაც შეეხება *ჯ* და *ჟ* ბგერათა მონაცვლეობას, იგი ხშირია ქართულში: *კოჯორი* გვხვდება *კოჟორის* ფორმითაც. ასევეა *ბორჯომი* და *ბორჟომი, ჟინი* და დიალექტური *ჯინი*/*ჯინა* და სხვანი. მაშასადამე, *კოჯორი* შესაძლოა ნიშნავდეს კლდოვანს, ქვა-ღორღიანს, მთაგორიანს, ამაღლებულ ადგილს.

ძურზუ სოფელს ჰქვია სამეგრელოში (გეგეჭკორის რ.). კურზუ ანუ კურზულე მეგრულად ეწოდება ამობურცულ, ამაღლებულ ადგილს (შეადარეთ ქართული კუნძული, რომელიც ასევე ამობურცულ, ამოზნექილ ადგილს ნიშნავს, ოღონდ წყლით გარემოცულს). ამავე სიტყვისაგან არის მიღებული გეგეჭკორის რაიონული ცენტრის ერთ-ერთი უბნის სახელწოდება დისაკურზულე („ამაღლებული მიწა", „მიწის ბორცვი").

ლაბსყალდი ძველი კულტურის ძეგლებით განთქმული პატარა სოფელია ზემო სვანეთში (შედის ცხუმარის სას. საბჭოში). ამ სახელის ძირია სვანური სიტყვა ბასყ — „მარწყვი". ლა-ბსყ-ალდ ნიშნავს „სამარწყვეს".

ლაილაში სოფელია ლეჩხუმში (ცაგერის რ.). სახელწოდება წარმოშობით სვანურია: *ილვ* — „შველი", ლა-ილ-აშ — „საშვლე".

ლალხორი და *ლალხორალი* სოფლებს ჰქვია სვანეთში; პირველი კალის სასოფლო საბჭოს ეკუთვნის, მეორე ხაიშისას (მესტიის რ.). ორივე სახელწოდება ნაწარმოებია ერთი და იმავე სიტყვისაგან, ოღონდ პირველი მათგანი მხოლობით რიცხვშია, მეორე — მრავლობითში. ლალხორი სვანურად ნიშნავს ხალხის თავშესაყარს, შესაკრებელ ადგილს (შეადარეთ *სათემო*).

ლამისყანა — ჭსნის სეობაში მდებარე ეს სოფელი კარგადაა ცნობილი დავით გურამიშვილის ბიოგრაფიიდან (ლეკებმა აქედან გაიტაცეს დავითი). ლამი წყლის დანალექ სილას ეწოდება. ასე ჰქვია აგრეთვე უქვო და ადვილად დასამუშავებელ შავ მიწას. ამგვარი ნაყიერნიადაგიანი ადგილის მიხედვით დარქმევია სოფელს ლამისყანა. გარდა ამისა დუშეთის რაიონში არის სოფელი ლამო-

ვანი, ხოლო ნატახტრის სასოფლო საბჭოში (მცხეთის რ.) შემავალ ერთ სოფელს უბრალოდ *ლამი* ჰქვია.

ლანჩვალი მესტიის თემში შემავალი ერთ-ერთი სოფლის სახელია. *ჩვ*-ს სვანურად „მეწყერს" ჰქვია, *ლანჩვალი* კი „სამეწყრეს", „მეწყერიან ადგილს" ნიშნავს.

ლანხჯოში რაიონული ცენტრია. დღეს ალბათ ბევრს გაუკვირდება, რომ ამ ლაბაში ქალაქის სახელი *საძროხეს* ანუ *ბოსელს* უკავშირდება. *ჩხუ (ჩხოუ)* მეგრულ-ჭანურად ნიშნავს ძროხას, ლა თავსართი კი გამოხატავს დანიშნულებას, ისევე როგორც ქართული სა (სა-ირმ-ე, სა-ბუ-ე, სა-ვან-ე, სა-სირ-ეთ-ი...). თავსართსა და ფუძეს შორის *ნ* ბგერა გაჩენილა (*ნ*-ს განვითარება ხშირია ქართულში), ბოლოში *თ* სუფიქსი გამოიყოფა, რომელსაც ხმოვანი მოკვეცილი აქვს. ამრიგად, ლანჩხუთი ნიშნავს „საძროხეს". ეს სრულიადაც არაა გასაკვირი. ჩვენ ზემოთაც ვთქვით, რომ საქართველოში ბევრგან სოფლებს ჰქვია ბოსლები, ნაბოსლევი, გომი, ნაგომევი, ნაგომარი, ნაბაკევი და სხვა ამგვარი სახელები. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ერთ დროს პირუტყვის უბრალო სადგომი ყოფილა, მაგრამ შემდეგ ხალხს მოსწონებია და მუდმივ საცხოვრებლად აურჩევია ეს ადგილები, გაუშენებია და გაუმშვენიერებია ისინი.

ლანჯიში — სამეგრელოს ერთ-ერთი სოფლის სახელი — იგივეა რაც „იფნისი". მეგრულად *ლანჯი (ლაჯი)* ჰქვია იფანს ანუ კოპიტს, *იშ* კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც, ქართული *ის* სუფიქსის მსგავსად, ხშირად გვხვდება ტოპონიმთა მაწარმოებლად (მატოპონიმებელ სუფიქსად). იმავე *ლაჯ* ფუძისაგან არის წარმოქმნილი ლეჩხუმის ერთ-ერთი სოფლის სახელი *ლაჯანა* (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ აგრეთვე *კოპიტნარი* — სოფელი და რკინიგზის სადგური იმერეთში).

ლარილარი სოფელია სვანეთში (ჭუბერის სას. საბჭოში). *ლარე* სვანურად „სათიბს" ნიშნავს, *ლარილარ* კი — „პატარა სათიბებს".

ლაშურა პატარა მდინარეა, სოფელ არგვეთს ჩამოუდის. აქ სუფიქსებად გამოიყოფა *ურ-ა*. როგორც ჩანს, ეს სუფიქსები *ლაშე* (მლაშე) სიტყვას დართვია, რაც „მარილიანს" ნიშნავს. გასათვალისწინებელია სხვაგვარი ვარაუდიც: შესაძლოა *ლაშე* მიღებული იყოს *ნაშე* სიტყვისაგან, რომელიც მდინარის რიყიან და ჯაგნარიან სანაპიროს აღნიშნავს.

იგივე სიტყვა ჩვენ გვხვდება სხვა გეოგრაფიულ სახელებშიაც: *მლაშე* ჰქვია სოფლებს ადიგენისა და დუშეთის რაიონებში, *ლაშე*— ზემო იმერეთსა და ქართლში. ასევე ეწოდება ღელეს, რომელიც სოფელ ქვედა სიმონეთში მოედინება. არსებობს აგრეთვე სოფელი *ლაშისღელე* (ლანჩხუთის რ.).

ლახამულა სოფელია ზემო სვანეთში (იგი საისტორიო წყაროებში იხსენიება XIII ს-დან). ზემო სვანეთშივე არის სოფელი *ლახამი* (ეკუთვნის ჭუბერის სასოფლო საბჭოს). მსგავსი გეოგრაფიული სახელი — *ლახამეილაში* — გვხვდება ლეჩხუმში. *ხამ* სვანურად „ღორს" ნიშნავს, *ლახამ, ლახამულა* და *ლახამეილაში* კი — „საღორეს" (შეადარეთ ქუთაისის გარეუბნის სახელი *საღორია*).

ლაჯანა და *ლაჯანურა*. *ლაჯანა* ლამაზი მთაგორიანი სოფელია ლეჩხუმში, *ლაჯანურა* კი მდინარეა, რომელიც ამ სოფელს ჩამოუდის. უკეთ რომ ვთქვათ, სოფელი *ლაჯანურას* ხეობაშია გაშენებული. *ლაჯანურა* რაიონის მარჯვენა შენაკადია, მასზე აგებულია მძლავრი ელსადგური *ლაჯანურჰესი*.

სავსებით ნათელია, რომ მდინარის სახელი სოფლის სახელისაგან არის წარმოქმნილი ურ-ა სუფიქსების მეშვეობით: *ლაჯან-ურ-ა* (მსგავსი აგებულების სახელები ქართულ ჰიდრონიმთა შორის სხვაც ბევრი გვხვდება: *კავთ-ურ-ა, ლაშ-ურ-ა, ლასკად-ურ-ა, ლეხ-ურ-ა, ძევრ-ულ-ა* და ა. შ.).

მაგრამ საკითხავია, საიდან წარმოდგა თვით სოფლის სახელწოდება *ლაჯანა* და რას ნიშნავს იგი? ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ ხის ერთ-ერთ კარგად ცნობილ და ჩვენში გავრცელებულ ჯიშს, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოში იფანს, დასავლეთში კი კოპიტს უწოდებენ, მეგრულად *ლაჯი (ლანჯი)* ჰქვია. მეგრულშივე ქართული *იანი*ოვან სუფიქსების ფუნქციით იხმარება *ონ*, რომელსაც ზოგჯერ ბოლოში კიდევ ა ერთვის. ეს *ონ (ონ-ა)* სუფიქსი საკმაოდ ხშირია მეგრულ ტოპონიმებში (*ქვალ-ონ-ი, ქვიშ-ონ-ი, ჭუბურ-ონ-ა, ჭველეთ-ონ-ა...*). ზოგჯერ, როცა ფუძე ა ხმოვანს შეიცავს, *ონ(ა)* სუფიქსის ნაცვლად გვაქვს *ან(ა)*. სწორედ ამგვარადაა აგებული მეგრული *ლაჯ-ან-ა* (იხ. აგრეთვე *ჯაპ-ან-ა*). ამრიგად, ამ ტოპონიმის ფუძეც და სუფიქსიც მეგრულია. იგი ნიშნავს „იფნოვანს", „იფნარს".

ლებარდე კურორტია მთიან სამეგრელოში, ლაკადაში, ზღვის დონიდან 1.600 მეტრის სიმაღლეზე. მან ამ ბოლო დროს ძალიან გაითქვა სახელი სამკურნალო წყლით, რომლისთვისაც პირველად გასულ საუკუნეში მიუქცევიათ ყურადღება მწყემსებს, აქ რომ მსხვილფეხა საქონლის ჯოგები ჰყავდათ.

ლებარდე უთუოდ *ლე-ე* აფიქსებით ნაწარმოები სახელია, მაგრამ რას ნიშნავს მისი ძირი *ბარდ*? გვარის ფუძედ მას ვერ მივიჩნევთ, რადგან მსგავსი გვარი (*ბარდია* ან *ბარდავა*) არ არსებობს; წინათ რომ არსებულიყო, ასე სწრაფად არ გადაშენდებოდა (კურორტი ხომ ახალი აღმოჩენილია და მისი სახელიც ახალია!). ამავე დროს ლებარდე არაა მუდმივი საცხოვრებელი პუნქტი, რომელსაც შეიძლებოდა სახელი შერქმეოდა იქაურ მცხოვრებთა გვარის მიხედვით. ამიტომ, ვფიქრობთ, აქ ჩვენ გვაქვს მცენარის სახელი *ბარდი*, რომელიც სვანურად „სუროს“ ჰქვია და იგივე სიტყვა უნდა იყოს, რაც ქართული *ბარდი* („ერთმანეთში გართხმულ-გადახლართული ბუჩქი ან ბალახეული მცენარე“). თუ ასეა, *ლე-ბარდ-ე* „სუროიანს“ ნიშნავს (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ *სუჯუნა*).

ლევიტანა სოფელია გორის რაიონში, ატენის ხეობაში. სახელწოდება მიღებულია რუსულიდან — Левая Таna. ამის შესახებ აკადემიკოსი ნ. კეცხოველი თავის წიგნში „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია“ გადმოგვცემს: XIX ს. დასასრულს ატენის მებატონეებმა ატენის ხეობის მთელი ტყე ფესხვევე მიჰყიდეს ვინმე გერმანელ მრეწველს ზეზემანს რომელმაც გორიდან ტანას ხეობაში გაიყვანა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა. იგი პირწმინდად ჩეხდა ტყეს, ატიტვლებდა ფერდობს. იმ ადგილას, სადაც ტანას ერთვის მარცხენა ტოტი, ზეზემანს პუნქტი ჰქონია. ამ ტოტისთვის უწოდებიათ „ლევაია ტანა“, რომელიც ხალხმა *ლევიტანად* გადააქცია.

ლეკალმახი — სოფლის სახელი სვანეთში (ჭუბერის სას. საბჭოში) — ნიშნავს „სათევზაო ადგილს“ (შეადარეთ *ოჩხომური*).

ლეკუხონა ჰქვია ორ სოფელს აფხაზეთში: ერთი გალის რაიონშია, მეორე — სოხუმის რაიონში.

ლეკუხას ეძახიან მეგრულად მცენარეს, ქართულად რომ *ხეჭრელი*, ზოგან კი დიდგულა||დუდგულა, *სათოფელა* ჰქვია (მისგან ბავშვები სატკაცუნო თოფებს აკეთებენ). მას დართული აქვს *ონ-ა* სუფიქსები, რაც ხშირი მოვლენაა სწორედ მეგრულ მცენარეთა

სახელებისაგან ნაწარმოებ ტოპონიმებში (იხ. ზემოთ *ლაჯანა*). ამრიგად, ლეკუხ-ონ-ა ნიშნავს „ხეჭრელიან ადგილს", „სეჭრელოვანს".

ლემსია სოფელია ქვემო სვანეთში (ეკუთვნის ლენტეხის სასოფლო საბჭოს). *მუს* სვანურად ჰქვია „თოვლს", ლემსია კი იგივეა, რაც „სათოვლე", „სათოვლეთი" (*სათოვლე* ჰქვია სოფელს ქართლში, მცხეთის რაიონში).

ლეშაქდა სოფელია ლეჩხუმში (ეკუთვნის ორბელის სასოფლო საბჭოს ცაგერის რაიონში). სახელწოდება თავისი აგებულებით სვანურს ეკედლება: *ლე* პრეფიქსი სვანურში გამოხატავს დანიშნულებას (როგორც ქართული *სა-ე, სა-ო*) *შკედ* (შგედ) კი ნიშნავს „ჩრდილს" (შეადარეთ ქართული *ბრილი* — ადგილი, რომელსაც მზე იშვიათად დაჰყურებს).

ლეშშკმი სოფელია ზემო სვანეთში, ლატალის თემში. *შუკვ* იგივეა, რაც შუკა („გზა"), ხოლო ლე-შუკვ სვანურად ნიშნავს „საგზაოს".

ლეჩხუმი დასავლეთ საქართველოს მთაგორიანი კუთხეა, იმერეთსა და სვანეთს შორის მდებარეობს. ძველად მას თაკვერი ეწოდებოდა. როგორც ფიქრობენ, ახლანდელი ლეჩხუმის ტერიტორიაზე წინათ სვანებსა და ზანებს (ჴეგრელ-ჭანებს) უცხოვრიათ. სხვათა შორის, ამგვარი მტკიცების საფუძველს ყველაზე მეტად ტოპონიმიკა იძლევა.

ლეჩხუმის სახელწოდებას სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვაგვარად ხსნის. აშკარაა, რომ აქ გამოიყოფა დანიშნულების გადმომცემი ქართული *სა* პრეფიქსის შესატყვისი *ლე*, მაგრამ რას ნიშნავს ფუძე *ჩხუმ*? ზოგის აზრით, აქ ჩვენ გვაქვს მეგრული სიტყვა *ჩხომი* — „თევზი", ე. ი. ლე-ჩხუმ-ი ნიშნავს „სათევზაოს". ზოგი ფიქრობს, რომ *ჩხუმ* იგივეა რაც სვანური *ცხუმ* — „რცხილა". მაშასადამე, ლეჩხუმი „რცხილნარს" ნიშნავსო. მესამე შეხედულების მიხედვით, იგი უკავშირდება ძველ სატომო სახელწოდებას, რომელიც დაცულია აგრეთვე სოხუმის წინანდელ სახელწოდებაში (ცხომი, ცხუმი).

რომელია ამათგან უფრო სწორი, ან შეიძლება თუ არა, რომ ლეჩხუმს სრულიად სხვაგვარი ახსნა მოეძებნოს, ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი.

ლიახვი მარცხენა მხრიდან ერთვის მტკვარს ქალაქ გორთან. მას ძველ ქართულ დოკუმენტებში ლიეხუ ეწოდება, სომხურ საისტორიო წყაროებში — *ლეხ* და *ლეახ*, ოსები კი *ლევახს* ეძახიან. ეს მდინარე მოედინება დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რომელსაც წინათ დვალეთი ერქვა. დვალები სალხი იყო, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს. მათი ენა, როგორც ფიქრობენ, ჩაჩნურ-ქისტურ ენათა მონათესავე ყოფილა. სწორედ მის მიხედვით შეიძლება აიხსნას ლიახვის სახელწოდება.

ლუო, ლოა, ჩაჩნურად ნიშნავს „თოვლს“, *ხი* — „წყალს“. ამრიგად, ლიახვი შესაძლოა ნიშნავდეს „თოვლ-წყალს“, „გამლხვალ თოვლს“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სიტყვები ჩვენ მოგვეპოვება ქართველურ ენებშიაც. ასე, მაგალითად, *ლი-ლეხუ* და *ლი-ლხუე* სვანურად „თოვლის დნობას“, „ლხობას“ ნიშნავს. შესაძლოა მასთან კავშირში იყოს თვით ლხ-ობ-ა ზმნის ძირიც. გარდა ამისა, მ. ალავიძის ცნობით, ლიანღვი ლეჩხუმში ჰქვია „ნიაღვარს“ (არსებობს ტოპონიმიც — *ლიანღვია*; ასე ეწოდება ღელეს ლეჩხუმში. სოფელ ლაილაშსა და გაგულეჩს შუა).

ლილო ეს სოფელი სამგორის ველზეა, აკრავს დიდი მინდვრები. ამჟამად ლილო ორია — დიდი და პატარა.

საბას განმარტებით, „რა თოვლი აჭრელდეს, იგი არს ლილო“. გადატანით ლილო ჰქვია არა მარტო თოვლით, არამედ ყვავილებით, ჩრდილებით ან სხვა რაიმეთი აჭრელებულ ადგილსაც (აქედანვეა სიტყვა *ლილოჭრელი*||*რილოჭრელი*).

ლესი ჰქვია ტბას თბილისის მიდამოებში და აგრეთვე მის მახლობლად მდებარე სოფელს, რომელიც გარდაბნის რაიონში შედის. ამ სახელწოდებაში გამოიყოფა ქართული ტოპონიმიისათვის დამახასიათებელი სუფიქსი *ის*, რომელიც დართული აქვს *ლია* სიტყვას. თავდაპირველად უნდა გვქონოდა *ლი-ის-ი*, შემდეგ კი ორი *ი* ხმოვნის შერწყმით მივიღეთ *ლისი*.

ლია ეწოდება „ლამს“, „საფლობ ტალახს“, ქართლში კი ნიშნავს აგრეთვე „წყლის ღვარს“ ან „ტალახიან გუბეს“. სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა უნდა დასდებოდა საფუძვლად ლისის ტბის სახელწოდებას, რომელიც შემდეგ მის გვერდით მდებარე სოფელზეც გადასულა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლია სოფელია სამეგრელოში, ხოლო ლისა→ (ლი-ის-ა) — ქართლში.

ლიხი. სურამის უღელტეხილს ლიხის უღელტეხილსაც უწოდებენ, რადგან იგი ლიხის მთაზე გადის. ეს სახელი ჰქვია პატარა სარკინიგზო სადგურსაც. ამ სახელწოდების ასახსნელად ისევ საბას ლექსიკონს უნდა მივმართოთ. იქ ვკითხულობთ: „*ლიხი* ფრიად მაღალი შამბი". მცენარეულობის მიხედვით ხომ ბევრი გეოგრაფიული სახელია დარქმეული, და რა გასაკვირია, თუ ერთ-ერთ ადგილს მაღალი შამბნარის გამო დაერქვა *ლიხი*. ალბათ მასთანვეა დაკავშირებული რაჭის ერთი სოფლის სახელიც — *ლიხეთი*.

მაზერი. ზემო სვანეთში, უშბის მყინვარებიდან დაქანებულ მდინარე დოლრის ხეობაში, მდებარეობს რამდენიმე სოფელი, რომლებიც ბეჩოს სასოფლო საბჭოში არიან გაერთიანებული. მათ შორის ყველაზე ჩრდილოეთით, უშბის ძირას გაშენებულ პატარა სოფელს მაზერი ჰქვია. ეს სახელწოდება აფხაზურ-ადიღურ ენებს უკავშირდება და „მთვარეს" ნიშნავს (ჩერქეზულად *მაზერ*, ყაბარდოულად *მაზე*; ამავე ფუძეს უკავშირდება აფხაზური *ამზა* — „*მზე*"). შესაძლოა ამავე სიტყვისაგან იყოს მიღებული ქვემო სვანეთის ერთი სოფლის სახელიც: მაზაში („მთვარისა").

მათხოჯი სოფელია ქვემო იმერეთში (წულუკიძის რ.). ეს სახელწოდება წარმოშობით მეგრულია. *მათხოჯ* სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობაა „მათხოვარი" (მეგრ. *ოჯ* უდრის ქართ. *არ* სუფიქსს). შემდეგ მას „ცუდის", „მახინჯის" მნიშვნელობა მიეღია და ამ გაგებით იხმარება დღეს დიალექტებში (იმერულში, რაჭულში, ქართლურში). რატომ დაერქვა ასეთი სახელი ამ ლამაზ და მიმზიდველ სოფელს, ძნელი ასახსნელია.

მანგლისი თბილისის ახლოს მდებარე კურორტია, რომელსაც მეტად ხელსაყრელი ადგილმდებარეობა აქვს და ძველად დიდ გზათა საკვანძო პუნქტს და მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. საისტორიო წყაროებში იხსენიება IV—V საუკუნეებიდან.

სახელწოდება ნაწარმოებია *ის* სუფიქსით: მანგლ-ის-ი. *მანგლ* არის შეკუმშული ფორმა *მანგალ* ანუ *ნამგალ* სიტყვისა. (ასეთი კუმშვა ხშირია ქართულში: მაგალითად: მარცვალი — მარცვლის, სარდალი — სარდლის და მრავალი სხვა).

მანგალ სიტყვა ამ ფორმით გვხვდება ძველ სალიტერატურო

ძეგლებში (ზოგ კუთხეში დღესაც იხმარება); მაშასადამე, ეს უფრო ძველი ფორმაა, შემდეგ კი ამ სიტყვაში *მ* და *ნ* ბგერები გადაადგილებულა და მივიღეთ ნამგალი.

ამრიგად, მანგლისი ძველი სამეურნეო იარაღის სახელწოდებისაგან არის მიღებული. ეს არის იგივე „ნამგლისი".

არსებობს სხვაგვარი ეტიმოლოგიაც: მანგლისი აქადურ-შუმერულად „ციხეს", „სიმაგრეს" ნიშნავს და სწორედ ამის მიხედვით უნდა იყოს დარქმეულიო.

მარადიდი სოფელია აჭარაში, ჩვენი ქვეყნისა და თურქეთის საზღვარზე. მარადიდი ორია: ზედა და ქვედა. ქვედა მარადიდი საბჭოთა კავშირის საზღვრებშია, ზედა მარადიდი კი — თურქეთიში. მათ ერთმანეთისაგან ჰყოფს მდინარე ჭოროხი. ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე დიდი ვაკეა. ასეთ ვაკეს, რომელიც წყლის სანაპიროზე მდებარეობს, წინათ *მერე* ანუ *მარა* ეწოდებოდა. ეს სიტყვა გურიასა და აჭარაში დღესაც იხმარება. სწორედ მისგან არის მიღებული სოფლის სახელი მარადიდი, ე. ი. „მერე-დიდი", „ვაკე-დიდი" (შეადარეთ დიდვაკე-სოფლის სახელი იმერეთში). როგორც ზემოთ უკვე გარკვეული იქნა, იმავე სიტყვის მონაწილეობით არის წარმოქმნილი კურორტის სახელი *ბახმარო* (შეადარეთ აგრეთვე სოფლის სახელები: *მერევი, მერეთი, მერია, მერისი*).

მარნეული. საქართველო ვაზისა და ღვინის ქვეყანაა, სადაც ღვინის დაყენებას უხსოვარი დროიდან მისდევენ. ღვინის შესანახ საუკეთესო ჭურჭლად ძველთაგანვე ითვლება ქვევრი, რომლის მრავალი ძველი ნიმუში ნაპოვნია ჩვენს ქვეყანაში არქეოლოგიური გათხრების დროს. იმ ადგილს, სადაც ქვევრებია ჩაფლული, ხშირად საგანგებო შენობაც არის აგებული, რომელსაც მარანი ჰქვია. ქვევრების გარდა, იქ ინახება ღვინის დაყენება-შენახვისათვის საჭირო სხვა მოწყობილობაც: საწნახელი, სარცხელი, ბარი და სხვანი.

სიტყვა *მარანი* ჩვენს ძველ ძეგლებში პირველად იხსენიება ერთ ხელნაწერში, რომელსაც მეცნიერები XIII—XIV საუკუნეებს აკუთვნებენ. ეს სიტყვა ჩვენში ტოპონიმიკურ ტერმინადაც ქცეულა: მარანი სოფლებს ჰქვია სამეგრელოსა და აფხაზეთში, *მარანა* სოფელია ქართლში, აბაშის რაიონში არის სოფელი *მარანჭალა*. ამავე სიტყვისაგან ჩანს მიღებული ქალაქის სახელწოდება მარნ-ეულ-ი.

სხვაგვარი ეტიმოლოგიით, ამ ქალაქის სახელს საფუძვლად უძევს მცენარის სახელი — *მანა*.

მარნეული რაიონული ცენტრია, მდებარეობს თბილისის სამხრეთით, ძველი საქართველოს მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე. აქედან მიემართებოდა გზები თბილისისაკენ, შიდა ქართლისაკენ, სამშვილდისაკენ, დმანისისაკენ და ა. შ.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მარნეულს წინათ ლომთა-გორა რქმევია. „მარნეულს არს ნაციხვარი, მის გამო იწოდა ძველადვე ლომთა-გორა", — წერს იგი. ვინ იცის, ეს სახელი იქნებ იმიტომაც შეერქვა ამ ადგილს, რომ აქ ქვისაგან გამოკვეთილი ლომთა ქანდაკებანი იყოო, — ფიქრობენ ჩვენი მეცნიერები.

მარტვილი ერქვა წინათ საბჭგრელოს ერთ სოფელს, რომელიც ამჟამად დაბაა და ცნობილი რევოლუციონერის საშა გეგეჭკორის პატივსაცემად მისი სახელი აქვს მიკუთვნებული.

დაბა გეგეჭკორი ამჟამად რაიონული ცენტრია. მის მახლობლად მაღალ გორაკზე აგებულია ჯვარის ტიპის შესანიშნავი ტაძარი, რომელსაც VI—VII საუკუნეებს მიაკუთვნებენ. აქ იყო ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც ძველ საქართველოში განსაკუთრებული პატივით იყო მოსილი. ამ კათედრის მეთაური (ეყონდიდელი) მწიგნობართუხუცესი ანუ მეფის პირველი მინისტრი და უფლისწულთა აღმზრდელი იყო.

მარტვილი მოწამეს, ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ტანჯულს ნიშნავს. ამ სახელწოდებას პირველად ატარებდა მონასტერი (მარტვილის მონასტერი), შემდეგ კი იგი მახლობელი დასახლებული პუნქტის სახელად ქცეულა.

მარტყოფი სოფელია თბილისის მახლობლად. მას ძველად აკრიანი რქმევია. VI საუკუნეში აქ მოსულა გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე ანტონი, რომელსაც სოფლის ახლოს დაუდვია ბინა და იქ მარტოდმარტო გაუტარებია სიცოცხლის ბოლო წლები. ამის გამო ანტონს მარტომყოფელი ანუ მარტყოფელი შეარქვეს. ამ ადგილას გაშენებულ მონასტერს კი მარტყოფის მონასტერი ეწოდა. შემდგომში ეს სახელწოდება მიეცა სოფელსაც. ამრიგად, მარტყოფი ნიშნავს „მარტო მყოფს".

ძველი რუსთავ-ქალაქის მოშლისა და განადგურების შემდეგ მარტყოფის მონასტერი წარმოადგენდა რუსთველი ეპისკოპოსის

მუდმივ სამყოფელს. მონასტერი მაღალგუმბათიანი ტაძრისა და ნაგებობათა მთელი კომპლექსისაგან შედგება, რომელსაც სათოფურებიანი გალავანი ჰქონია შემორტყმული. აქ თავს აფარებდა მოსახლეობა ომიანობის დროს.

მაღლაკი ჰქვია სოფელს წყალტუბოს მახლობლად. სახელწოდება ნაწარმოებია *მაღალ* სიტყვისაგან კნინობითის აკ სუფიქსით (შეადარეთ გორ-აკ-ი, ბორცვ-აკ-ი, წიგნ-აკ-ი და სხვა). ამრიგად, მაღლაკი ნიშნავს „მცირე მაღლობს". მართალია, ამჟამად ეს სოფელი ვაკეზეა გაშლილი, მაგრამ სახელწოდების მიხედვით საფიქრებელია, რომ წინათ იგი რომელიმე მახლობელ ზეგანზე თუ მაღლობზე უნდა ყოფილიყო გაშენებული.

მაცხვარიში სოფელია ზემო სვანეთში, ლატალის თემში. აქ დგას მაცხოვრის სასელობის ძველი ეკლესია, რომლისგანაც მიუღია სოფელს ეს სახელი: მაცხვარ-იშ-ი („მაცხოვრისა").

მახინჯაური კურორტია აჭარაში, შავი ზღვის პირას. გასაკვირია, რატომ ჰქვია ამ ლამაზ კურორტს ასეთი უცნაური სახელი. ამ სახელწოდებას *მახინჯ*-თან არაფერი არ უნდა ჰქონდეს საერთო. პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძის ვარაუდით, იგი მიღებულია *მახუნჯაგ*-ისაგან, რომელიც კაცის სახელად გვხვდება XIII საუკუნეში (იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში"). ამ ვარაუდის თანახმად, სოფელს პირველად მახუნჯაგური უნდა რქმეოდა, საიდანაც (*გ*-ს დაკარგვით) ადვილად შეიძლებოდა მიგვეღო მახუნჯაური, აქედან კი ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზე საბოლოოდ წარმოდგა მახინჯაური.

მერევი, მერეთი, მერია, მერისი სოფლის სახელებია, ნაწარმოები ერთი და იმავე სიტყვისაგან. ეს სიტყვაა *მერე*, რომელიც წყლის ნაპირას მდებარე ვაკეს ნიშნავს. მას გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად დართული აქვს ერთ შემთხვევაში *ევ* სუფიქსი, მეორეში— *ეთ*, მესამეში — *ია*, მეოთხეში — *ის*. გეოგრაფიულ სახელად *მერე* გვხვდება მარტივი ფუძითაც. ეს სიტყვა შედის აგრეთვე კომპოზიტური ტიპის ტოპონიმებში (მარადიდი, ბახმარო...).

მერე სიტყვა დღეს ორიოდე დიალექტში გვხვდება, წინათ კი ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რასაც ზემოხსენებულ ტოპონიმთა ადგილმდებარეობაც კარგად გვიჩვენებს: მერეთი ქართლშია

(გორის რ.), მერევი — იმერეთში (ჭიათურის რ.), მერია — გურიაში (მახარაძის რ.), მერისი — აჭარაში (ქედის რ.)

მენჯი და *მერჯევი*. ქ. ცხაკაიადან სამიოდე კილომეტრის დაშორებით, მდინარე ცივის პირას, ამოჩუხჩუხებს სამკურნალო მინერალური წყალი. აქ გაშენებულია ცნობილი კურორტი მენჯი, რომელსაც სახელი სწორედ ამ სამკურნალო წყლისაგან მიუღია: მენჯი მეგრული სიტყვაა, მინერალურ წყალს ნიშნავს და ქართულ ვეძას შეესატყვისება (ქართული *ძ* კოლხურში *ჯ*-ს იძლევა, მის წინ *ნ* არის განვითარებული, ხოლო სიტყვის თავში *ვ* და *მ* თანხმოვანთა ისეთივე მონაცვლეობა გვაქვს, როგორიც ბევრ სხვა შემთხვევაში: ვარსკვლავი — მარსკვლავი, რაოდენი — რამდენი და სხვა).

იმავე სიტყვისაგან უნდა იყოს მიღებული ზემო იმერეთის სოფლის სახელწოდება *მერჯევი*, ოღონდ აქ *ჯ*-ს წინ *ნ* კი არა, *რ* ჩანს განვითარებული, ხოლო ბოლოს *ევ* სუფიქსი აქვს დართული.

ამრიგად, მენჯი იგივეა, რაც ქართული „ვეძა", „მჟავე წყალი", მერჯევი კი „მჟავე წყლებს", „ვეძებს" ნიშნავს.

მეჯვრისხევი დიდი სოფელია გორის რაიონში. უცებ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სახელწოდება მიღებულია *მეჯვარე*-სა და *ხევ*-ის შეერთებით და ნიშნავს „მეჯვარის ხევს". ამ სახელის მეორე ნაწილს მართლაც *ხევ* სიტყვა წარმოადგენს, რომელიც საქართველოს ტოპონიმიაში ხშირად გვხვდება (დიდხევი, კავთისხევი, კისისხევი, მშრალხევი, ორხევი...), მაგრამ პირველ ნაწილში გვაქვს არა *მეჯვარე*, არამედ მდინარის სახელწოდება *მეჯუდა*. ეს მდინარე სწორედ მეჯვრისხევს ჩაუდის და სოფელსაც ამის მიხედვით დარქმევია სახელი: მეჯუდის ხევი. აქედან ფუძის კუმშვით მივიღეთ მეჯვდის ხევი, ბოლოს კი — მეჯვრისხევი (სიტყვის ხელახალი გააზრიანების გზით).

მზვარეთი სოფელია ქართლში (შედის ოქმის სასოფლო საბჭოში, კასპის რ.). სახელწოდება ნაწარმოებია *ეთ* სუფიქსით *მზვარე*საგან, რაც მზიან ადგილს ნიშნავს (იხ. ზვარე, ზვარეთი).

მთაწმინდა. იმ მთებს შორის, რომლებიც თბილისს გარს არტყია და რომელთა კალთებზეც არის შეფენილი ჩვენი დედაქალაქი, ერთ-ერთს — ყველაზე ჩრდილოსა და საყვარელს — მთაწმინდა ჰქვია. მთაწმინდიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი თბილისი. აქ გაშენებულია შესანიშნავი პარკი, რომელიც თბილისელთა საყვარელი და-

სასვენებელი ადგილია. მაგრამ მთაწმინდა ყოველი ქართველისათვის განსაკუთრებით ძვირფასია იმით, რომ მის კალთაზე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, განისვენებენ ჩვენი ხალხის საამაყო შვილები, რჩეულთა შორის რჩეული ადამიანები: ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი, ვახტანგ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჯანაშია და სხვანი, აქვეა დაკრძალული დიდი რუსი პოეტი ალ. გრიბოედოვი.

ბევრი ლექსია დაწერილი მთაწმინდაზე. მათ შორის განსაკუთრებით ბრწყინავენ ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმიდაზე", აკაკის „განთიადი", გალაქტიონის „მთაწმინდის მთვარე"...

ქართულის მცოდნე ყველა მიხვდება, რომ მთაწმინდა „წმინდა მთას" ნიშნავს. საგულისხმო აქ მხოლოდ ის არის, რომ წინ საზღვრული დგას, უკან კი მსაზღვრელია მოქცეული. გვაქვს *მთაწმინდა* და არა *წმინდა მთა*, როგორც დღევანდელი ენობრივი ნორმით იყო მოსალოდნელი. მსაზღვრელ-საზღვრულის ამგვარი წყობა დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის. ასეთივე სურათი გვაქვს ბევრ სხვა ტოპონიმშიც, როგორიცაა: ერთა-წმინდა, ნიკორ-წმინდა, ნინო-წმინდა, სტეფან-წმინდა და სხვანი.

ამგვარად, სახელწოდება *მთაწმინდა* ძველია. თუ რატომ დაერქვა მთას ეს სახელი, ამის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას: საქართველოს ისტორიაში ცნობილი არიან ე. წ. ასურელი მამები, რომლებიც შუამდინარეთიდან მოსულან ჩვენში მეექვსე საუკუნეში და აქ დიდი სამონასტრო მოღვაწეობა გაუჩაღებიათ სხვადასხვა ადგილას: გარეჯაში, შუამთაში, ნეკრესში, მარტყოფში და სხვაგან. ამ მოღვაწეთაგან ერთ-ერთი, სახელად დავითი, თბილისის მახლობლად მთაზე დამკვიდრებულა, აუგია მონასტერი და აქ გაუშლია საეკლესიო მოღვაწეობა. სწორედ ამიტომ ეწოდა ამ მთას მთაწმინდა, ხოლო ამ მთაზე აგებულ მონასტერს მამადავითის სახელი დაერქვა.

მირზაანი დიდი სოფელია კახეთში, წითელწყაროს რაიონში. პიროვნულ სახელებთან დაკავშირებით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ *მირზა* მომდინარეობს *ამირ-ზადე*-საგან და ნიშნავს „ამირის შვილს" ანუ „უფლისწულს", „ბატონიშვილს". ის გვხვდება ტიტულადაც და საკუთარ სახელადაც. უფრო საფიქრებელია, რომ სოფლის სახელს

საფუძვლად დაედო პირველი მნიშვნელობა, ე. ი. *მირზაანი* ნიშნავს „საუფლისწულოს", „ბატონიშვილის (მირზას) სოფელს". ან სუფიქსი ამგვარ შემთხვევებში ხშირია კახეთის ტოპონიმიაში (გაიხსენეთ, მაგალითად: გურჯაანი, მაჩხაანი, მელაანი, ტიბაანი და სხვა).

მისაქციელი სოფელია მცხეთის რაიონში. მისაქციელი იმ ადგილს ეწოდება, სადაც გზა მკვეთრად უხვევს, მიმართულებას იცვლის. ისტორიკოსთა ვარაუდით, შიდა ქართლის უმთავრესი გზა ძველად მუხრან-ძალისა-წილკანზე გადიოდა და სწორედ აქ (მისაქციელში) მიუხვევდა არაგვისპირისაკენ ან ნატახტარ-მცხეთისაკენ. ამის მიხედვით დარქმევია სოფელს მისაქციელი.

მოლითი სოფლებს ეწოდება ბორჯომისა და ორჯონიკიძის რაიონებში. *მოლი* ახლად ამოსულ ხასხასა ბალახს ჰქვია. ამ სიტყვას დართული აქვს *ით* სუფიქსი, რომელიც, როგორც ვიცით, *ეთ* სუფიქსის ვარიანტია (ამავე სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელებია: ბორითი, კვალითი, ჩოკითი, ღვანკითი, ძიმითი, ხრეითი, და სხვა).

მოძვი ჰქვია სოფელს ზემო იმერეთში (საჩხერის რ.). ცნობილ სამკურნალო მცენარეს — მოცვს ამ მხარეში *მოძვს* ეძახიან (იხ. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, 1974). ამავე მცენარეს მთის კილოებში შალშავი ჰქვია.

ამრიგად, *მოძვ-ი მოცვ*-ის დიალექტური ფონეტიკური ვარიანტია, სადაც *ც* ბგერას *ძ* ენაცვლება. ამგვარ მოვლენას ბგერათმონაცვლეობა ეწოდება.

აღსანიშნავია, რომ ტოპონიმი *მოცვ*-ისაგანაც არის ნაწარმოები: *მოცვნარი* სოფელია მახარაძის რაიონში. აქ მცენარის სახელს დართული აქვს ამგვარ შემთხვევებში ფართოდ გავრცელებული *ნარ* სუფიქსი.

მუხისი ჰქვია ორ სოფელს ქართლში (ქარელისა და თეთრიწყაროს რაიონებში). ეს სახელწოდება ისტორიულ დოკუმენტებში იხსენიება XIV საუკუნიდან. იგი დაკავშირებულია *მუხა*-სთან. გამოჩენილი ლექსიკოგრაფის დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, *მოხისი* ნიშნავს მუხის ტევრს, მუხნარს.

მტკვარი — ჩვენი დედა-მდინარე — სათავეს იღებს ძველი საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ მხარეში, რომელსაც კოლა ეწო-

დება. კოლას მცხოვრებს ერქვა კოლხი, საიდანაც ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელი კოლხეთი (უფრო დაწვრილებით ამის თაობაზე საუბარი იყო ზემოთ *კოლხეთ*-თან დაკავშირებით).

სახელწოდება მტკვარი შესაძლოა სწორედ ამ კუთხის სახელს— კოლას უკავშირდება, მაგრამ დაბეჯითებით ამის მტკიცება ძნელია. მეორეგვარი შეხედულებით, იგი შეიძლება ზოგადად წყლის აღმნიშვნელ ფუძეს დაუკავშირდეს (შეადარეთ *თქორ* სიტყვა). ასეა თუ ისე, ერთი რამ აშკარაა: მტკვრის სახელის გააზრიანება და მასში რაიმე სიტყვის ამოცნობა უკვე ორი ათასი წლის წინათაც შეუძლებელი ყოფილა. ამიტომ ძველი ბერძნები უთარგმნელად ტოვებდნენ მას, მაშინ როცა ისეთ გეოგრაფიულ სახელებს, რომელთაც თარგმნა უხერხდებოდა, ისინი უეჭველად თარგმნიდნენ (მაგალითად: ვარდციხე — „როდოპოლის", მტკვრის ციხე — „კიროპოლის", ყვირილა — „ბოას", ცხენისწყალი — „ჰიპპოს" და ა. შ.).

მტკვარს პირველად ახსენებს ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (1 ს. ახ. წ. ა.), რომელიც უწოდებს მას კუროსს და თანაც შენიშნავს, წინათ მას კოროსს ეძახოდნენო. აქ *ოს* ბერძნული დაბოლოებაა, მისი ჩამოცილების შემდეგ კი რჩება *კორ*||*კურ*. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, მოგვაგონდება მტკვრის რუსული სახელწოდება *კურა*. მასვე ჰგავს სომხური სახელწოდებაც — *ქურ*, თურქული და აზერბაიჯანული — *ქაჳრ*.

ქართულ ენას ახასიათებს თანხმოვანთა თავმოყრა სიტყვის თავში. სწორედ ასეთივე აგებულება აქვს *მტკვარ* სახელს, სადაც დასაწყისში ერთად თავმოყრილია ოთხი თანხმოვანი. ამგვარი სიტყვის გამოთქმა არაქართველებს, კერძოდ, თურქულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს უჭირთ და ან თანხმოვნებს შორის ხმოვანს ჩაურთავენ (მაგალითად, ტფილისი—ტიფლის), ან ზოგიერთ თანხმოვანს გამოტოვებენ, არ გამოთქვამენ. სწორედ ასე, *მტკვარ*-ის ნაცვლად შეიძლებოდა გამოეთქვათ *კვარ*, ხოლო ამ უკანასკნელისაგან მიღება *კორ* (ვა იქცევა ო-დ სხვა ენებშიაც და თვითონ ქართული ენის დიალექტებშიაც. გაიხსენეთ, მაგალითად, ალ. ყაზბეგის გმირები, რომლებიც გვარის მაგიერ ამბობენ გორს, ცხვარის მაგიერ — ცხორს და ა. შ.). *კორ* ფორმისაგან ო და უ ხმოვანთა მონაცვლეობით მიღება *კურ*, *კ* და *ქ* თანხმოვანთა მონაცვლეობით — *ქურ*.

ამრიგად, მდინარე მტკვრის როგორც ქართული, ისე უცხოური

სახელწოდება წარმოშობილია ერთი ფუძისაგან: *მტკვარი — კურ‖ ქურ — კურა.*

ბურშკელი სოფელს ჰქვია ზემო სვანეთში, მულახის თემში. ქართულად მისი მნიშვნელობაა „ჭიანჭველეთი".

მუხრანი — ქართლის ერთ-ერთი ისტორიული სოფლის სახელი —მუხნარს უკავშირდება. მუხრანი დიდი და განთქმული სოფელია მცხეთის ახლოს.

ზემოთ, მანგლისის სახელწოდებაში, ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ შეუცვლია ადგილები ორ მსგავს ბგერას, *მ*-სა და *ნ*-ს. ასეთივე გადაადგილება მომხდარა *მუხრან*-შიც, სადაც გადასმულია *ნ* და *რ*: მუხნარი→მუხრანი (ძველი ფორმა *მუხნარი* დაცულია, მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში").

მუხა საქართველოში ძალიან გავრცელებული და დაფასებული მცენარეა. ამიტომ, ბუნებრივია, მისი სახელი ქართულ ტოპონიმიაშიც ხშირად გვხვდება: მუხრანის ახლოს არის სოფელი მუხათგვერდი, მუხნარი (ყოველგვარი ცვლილების გარეშე) ჰქვია სოფელს გაგრის რაიონში; ცნობილია აგრეთვე სოფლები: მუხიანი (წყალტუბოს რ.), მუხათი (თეთრიწყაროს რ.), დიდმუხა (ხნაურის რ.), ცხრამუხა (ხაშურის რ.), მუხათწყარო (გარდაბნის რ.) და სხვა (იხ. აგრეთვე ჭყონდიდი, წყნეთი).

მუხური. შეიძლება ვინმეს ეს სახელიც მუხასთან დაკავშირებული ეგონოს, მაგრამ თუ ასე იფიქრებს, შეცდება. ეს სულ სხვა სიტყვაა. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ერთი ადგილი ეგნატე ნინოშვილის „მოსე მწერლიდან": „სოფონა და ოქრუა ისეთი დარდიმანდი ბიჭები გამოვიდნენ, რომ იმ მუხუროში იშვიათად მოიპოვებოდა მათი ბადალი". აქ მუხურო „კუთხეს", „მხარეს" ნიშნავს. ასეთივე მნიშვნელობა აქვს მუხურს მეგრულში. იგი სწორედ კოლხური ფორმაა *მხარე* სიტყვისა.

მუხური გვხვდება რამდენიმე სოფლის სახელად სამეგრელოსა და იმერეთში. მასვე უკავშირდება სოფლის სახელები: მუხურა (ტყიბულის რ.), მუხურჩა (გეგეჭკორის რ.), განარჯიას-მუხური (ზუგდიდის რ.), მდინარის სახელი მუხურჯინჯა („მუხურის ძირა", — ანაკლიასთან) და სხვანი.

სპეციალისტთა აზრით, გეოგრაფიული სახელწოდება *მუხური* იგულისხმება ძველ ბერძენ მწერალთა მიერ აღწერილ ხხირისის

მხარეში, რომელიც ცხენისწყალსა და რიონს შორის (ქუთაისამდე) ყოფილა გადაჭიმული და მთელ კოლხეთში განთქმული ჰქონია სახელი უხვი მოსავლითა და დოვლათით.

მცხეთა. იქ, სადაც არაგვი ერთვის მტკვარს, ძველად თავს იყრიდა უდიდესი მნიშვნელობის გზები ქვეყნის ყველა მხრიდან. ამ ადგილას უხსოვარი დროიდან არსებულა დიდი ქალაქი ციხე-გალავნებით, სავაჭრო ფარდულებით, სატუმროებით, აბანოებით, კერპთა სამლოცველოებით და ა. შ. ეს ქალაქი არის მცხეთა, რომელსაც კარგად იცნობენ და აგვიწერენ როგორც ძველი ქართული, ისე უცხოური საისტორიო წყაროები. მაგრამ კიდევ უფრო ძვირფას მასალას მცხეთის ისტორიისათვის იძლევა არქეოლოგიური გათხრები. მცხეთა დიდი ხნის განმავლობაში იყო ქართლის ანუ იბერიის სამეფოს დედაქალაქი. სატახტო ქალაქად თბილისის გადაქცევის შემდეგაც მცხეთა დარჩა საეკლესიო ცენტრად. XI საუკუნეში მცხეთაში აიგო ქართული არქიტექტურის მშვენება — სვეტიცხოველის ტაძარი, რომლის ხუროთმოძღვრს, არსაკიძეს, ლეგენდის თანახმად მკლავი მოსჭრეს (ეს ამბავი უძევს საფუძვლად სახელოვანი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ რომანს „დიდოსტატის მარჯვენა“).

სახელწოდება მცხეთა პირველად ნახსენებია ძველი ბერძენი მეცნიერის პტოლომეს „გეოგრაფიაში“ (II ს.), ოღონდ პტოლომე ამ სიტყვას გადმოგვცემს იავისებური ფორმით: *მესტლეთა*, *მესლეთა*. მეცნიერთა აზრით, აქ ჩვენ გვაქვს დამახინჯებით გადმოცემული მცხეთის სახელწოდების უფრო ძველი ფორმა *მესხეთა*. ამ ფორმის შეკუმშვით უნდა მიგვეღო *მსხეთა*, აქედან კი — *მცხეთა*. მესხები აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად მცხოვრებლებად, ერთ-ერთ უმთავრეს ქართველ ტომად მიიჩნევა. მათგან შერჩა სახელი სამხრეთ საქართველოს ერთ კუთხეს—მესხეთს. *მესხ*-ისაგან არის ნაწარმოები აგრეთვე სახელწოდება სამცხე (ე. ი. სა-მესხ-ე). როგორც ირკვევა, მასვე უკავშირდება საქართველოს ძველი დედაქალაქის სახელიც: მცხეთა (მესხეთა).

ნაბაკევი ჰქვია სამ სოფელს (სამტრედიის, გალის და ზნაურის რაიონებში). სახელწოდება ნაწარმოებია *ნა-ევ* თავსართ-ბოლოსართით, რომელიც წინანდელ ვითარებაზე მიუთითებს: ნა-ბაკ-ევ-ი აღნიშნავს ადგილს, სადაც წინათ ბაკი ყოფილა (ბაკი იგივეა, რაც

ქართა, საჩიხე — პირუტყვის საზაფხულო სადგომი, შემოზღუდული, მაგრამ უსახურავო). ამგვარად ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები სხვაც ბევრია: ნა-ბოსლ-ევ-ი (ტყიბულის რ.), ნა-გომ-ევ-ი (ლენინგორის რ.), ნა-დარბაზ-ევ-ი (ჰქვია სამ სოფელს ხაშურის, გორისა და ჯავის რაიონებში), ნა-მონასტრ-ევ-ი (ქედის რ.), ნა-ქალაქ-ევ-ი (ადიგენის რ.), ნა-ღვარ-ევ-ი (შუახევის რ.), ნა-ღორ-ევ-ი (დუშეთის რ. აქ ღორ „ღვარს" ნიშნავს, ასე რომ, ნა-ღორევი იგივეა რაც „ნაღვარევი"), ნა-ქულბაქ-ევ-ი (ადგილია მცხეთის ახლოს, სადაც წინათ ქულბაქი ანუ სავაჭრო დუქანი ყოფილა) და სხვა.

ნაბეღლავი ჰქვია სოფელს გურიაში (ჩოხატაურის რ.), იგი ცნობილია მინერალური წყლით, რომელიც ამავე სახელს ატარებს. ნა-ბეღლ-ავ-ი ნაწარმოებია *ნა-ვ* აფიქსებით *ბეღელ* სიტყვისაგან, რომელიც აქ ჩვეულებრივი მნიშვნელობით არ ჩანს ნახმარი (მაშინ ბოლოში *ევ* ან არ სუფიქსი უნდა გვქონოდა). *ბეღელი* გურულ დიალექტში ჰქვია ახალი გამოხდილი ყავრის კონას (შეიცავს 500 ღერ ყავარს). აქედანაა დაბეღლვა „გამოხდილი ყავრის დაწყობა". ამრიგად, *ნაბეღლავი* ის ადგილია, სადაც ყავარს ხდიდნენ.

ნაგომარი, ნადიკვარი. თუ ქართლის ერთ-ერთ სოფელს ნაგომევი ჰქვია, გურიაში ცნობილია სოფელი *ნაგომარი*. ეს ორი სახელწოდება მნიშვნელობითაც და აგებულებითაც სავსებით გრთნაირია, ოღონდ ერთში სუფიქსად გვაქვს *ევ*, მეორეში — *არ*. ასეთივე აგებულებისა *ნადიკვარი* (სოფელია თელავის რაიონში, ასევე ჰქვია თგით ქ. თელავის ერთ ადგილსაც, სადაც ამჟამად საქალაქო პარკია). ის ნიშნავს ადგილს, სადაც წინათ გარკვეული ჯიშის პური— დიკა ეთესა.

ნა-არ აფიქსებით არის წარმოქმნილი აგრეთვე სოფელთა სახელები: ნა-დუქნ-არ-ი (ახმეტის რ.), ნა-ტახტ-არ-ი (მცხეთის ახლოს, — ძველი საფურცლე, სადაც მოკლეს ზურაბ ერისთავი: „ძილ დააძინეს მაგარი"), ნა-ღომ-არ-ი (ლენტეხის რ.), ნა-ციხ-არ-ი (ახმეტის რ.), ნა-წისქვილ-არ-ი (ლაგოდეხის რ.) და სხვა.

ნაგარევი და *ნავენახევი* მეზობელი სოფლებია იმერეთში, თერჯოლის რაიონში. ორივეს სახელი ნაწარმოებია ზემოთ ხსენებული *ნა-ევ* თავსართ-ბოლოსართით, რომელიც წინანდელ ვითარებას აღნიშნავს. თავისთავად ნათელია, რომ *ნა-ვენახ-ევ-ი* ის ადგილია,

სადაც უწინ ვენახი იყო. მაგრამ რაღაა *ნაგარევი*? ამ სახელის ფუძეა ძველი ქართული სიტყვა *აგარა*, რომელიც წინათ ყანას, სახნავ-სათეს ადგილს ერქვა (ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი — იხ. *აგარა*).

მაშასადამე, *ნაგარევი* მიღებულია ორი ხმოვნის შერწყმით *ნა-აგარ-ევ*-ისაგან და ნიშნავს „ნაყანევს". ნაგარევი და ნავენახევი ერთმანეთისადმი შინაარსით დაპირისპირებული, ანტონიმური ტოპონიმებია და დაახლოებით ერთ დროს უნდა შერქმეოდა სოფლებს დიდი ხნის წინათ.

ნაკათი სოფელია ლეწურწუმის სას. საბჭოში (ჩხოროწყუს რ.). სხვანაირად მას ნაგვაზუსაც უწოდებენ. *ნა-გვაზ-უ* უფრო ძველი სახელია, წარმოქმნილი გვაზავას გვარიდან, ისევე როგორც ფიჩხაიასაგან — *ნაფიჩხუ*, შელიასაგან — *ნაშელუ* და სხვანი. რაც შეეხება *ნაკათს*, ის სულ ახლახან, ამ 50-ოდე წლის წინათ შერქმეული სახელი ყოფილა. მის შესახებ საინტერესო ცნობას გადმოგვცემს დამსახურებული პედაგოგი მ. კვირტია: 1925 წელს ნაგვაზუში გაუხსნიათ დაწყებითი სკოლა, რომელიც ემსახურებოდა რამდენიმე უბანს: ობუჯის თემის ჯაღირის უბანს, ლეწურწუმეს ნაგვაზუს უბანს და კირცხის ზემო სარაჭონის უბანს. ახალ სკოლას ნაგვაზუს დაწყებითი სკოლა უწოდეს, რადგან სასკოლო ადგილად ნაგვაზუს მინდორი აირჩიეს და საერთო ღონისძიებებით შეგროვილი ხის მასალით მოზრდილი სასკოლო შენობა ააგეს. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა საჭირო გახდა შენობის შეკეთება, სხვაუბნელებმა უარი განაცხადეს საამისოდ ფულის შეკრებაზე, — სკოლა ნაგვაზუს სახელს ატარებს და რემონტიც ნაგვაზუელების საქმეაო. საქმე რომ არ დაბრკოლებულიყო, სკოლის მზრუნველებად გამოყოფილ პირებს მოუთათბირებიათ და დაუდგენიათ, სახელი შეეცვალათ სკოლისათვის. სწორედ მაშინ დაურქმევიათ ნაკათი (*„ნაერთი"*. *კათუა* მეგრულად „შეერთებას" ნიშნავს). შემდგომში ეს სახელი გადავიდა სოფელზეც და ახლა *ნაკათი* და *ნაგვაზუ* სინონიმური სახელებია ამ სოფლისა (მ. კვირტია, ნაკათი: „ნაპერწკალი", 14. VIII. 1975).

ნაკი. სწორ ადგილს, ვაკეს მეგრულად ეწოდება *ნაკა*, სვანურად *ნაკ*. ამ სიტყვისაგან არის ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები: ნაკი (სოფელია მესტიის რაიონში, იქვე არის ტურისტული ბა-

ზა, რომელსაც ჰქვია ხეობის სახელი ნაკრა); მესტიის რაიონშივე არის სოფელი ნაკიფარი (ე. ი. „ვაკე იფარი"); ონის რაიონში — ნაკიეთი (შეადარეთ ფართოდ გავრცელებული ტოპონიმები: ვაკე, ვაკისა, დიდვაკე, ვაკისძირი, ვაკიჯვარი და სხვანი).

ნაკიანი იმავე სიტყვისაგან ეგონება კაცს მიღებული, მაგრამ იგი მთაგორიანი სოფელია (შედის ჩხოროწყუს რაიონში). სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისეული ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით შედიოდა ჯვარის მაზრაში და ეწოდებოდა *ნაკიკიანო*. ამ ძველი სახელწოდებიდან ჩანს, რომ სოფლის სახელი უკავშირდება კიკიანების გვარს და ნაწარმოებია ისევე, როგორც ნაფიჩხოვო, ნაესაკოვო და სხვანი (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამჟამად ამ სოფელში კიკიანები არ ცხოვრობენ).

ნაკიფუ სოფელია წალენჯიხის რაიონში. ნა-უ აფიქსებით აღინიშნება წინანდელი ვითარება მეგრულში, *კიფი* კი „კანაფს" ნიშნავს. ამრიგად, *ნა-კიფ-უ* მნიშვნელობით იგივე „ნაკანაფარია".

ნარიყალა — თბილისის სამხრეთით ბოტანიკური ბაღისა და კომკავშირის ხეივნის გასწვრივ გაწოლილი დიდი ციხის სახელწოდება — თითქოს ნაწამოებია *რიყე*-საგან *ნა*-ალ აფიქსებით და ნიშნავს „რიყით ნაშენს". მაგრამ ამგვარი ახსნა სწორი არაა.

ნარიყალა ანუ *ნარინყალა* წარმოშობით სპარსული ტერმინია და ნიშნავს „ციტადელს", „შიდა ციხეს". იგი ასეთივე ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა ქართულშიც XIX საუკუნემდე, გეოგრაფიულ სახელად (თბილისის დედა-ციხის აღმნიშვნელად) კი XIX საუკუნის დასაწყისში ქცეულა.

ტერმინი *ნარინ-ყალა* ორი ნაწილისაგან შედგება. მისი მეორე ნაწილია კარგად ცნობილი და აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული არაბული წარმოშობის სიტყვა *ყალა* — „ციხე", „სიმაგრე", პირველ ნაწილში კი გვაქვს მონღოლურ-თურქული წარმოშობის სიტყვა *ნარინ*, რომელიც თურქულ ენებსა და სპარსულში საკმაოდ მრავალფეროვან მნიშვნელობებს ატარებს, კერძოდ, შესიტყვებებსა და კომპოზიტებში მიუთითებს გარკვეული თვისების ქონებაზე. ყალასთან დაკავშირებით ის აღნიშნავს „განსაკუთრებულს", „ცენტრალურს". ამრიგად, *ნარინ-ყალა* იგივეა, რაც ცენტრალური ციხე, დედა-ციხე.

ნასაკირალი ძველი რევოლუციური ბრძოლების ადგილია გუ-

რიაში (მახარაძის რ.). სახელწოდება წარმოქმნილია საკირე-საგან ნა პრეფიქსით და არ სუფიქსით, ოღონდ სუფიქსი ალ-ად ქცეულა ფუძისეული რ-ს გავლენით (ამგვარ მოვლენას ფონეტიკაში დისიმილაცია ეწოდება). ასევეა მიღებული გეოგრაფიული სახელები: ნა-ნახშირ-ალ-ი, ნა-ქერ-ალ-ა..

ნაქერალა ჰქვია უღელტეხილს ტყიბულიდან რაჭისაკენ მიმავალ გზაზე. მნიშვნელობის მიხედვით, ესაა ადგილი, სადაც ქერი ეთესა. ნა-ალ აფიქსების გარდა მის ბოლოში კიდევ ა სუფიქსიც ერთვის.

ნაფიჩხოვო სოფელია ჩხოროწყუს რაიონში. იგივე სახელწოდება ისმარება აგრეთვე ნაფიჩხუ-ს ფორმით. სახელწოდება ნაწარმოებია ფიჩხაიას გვარისაგან, რომელიც აზნაურთა პრივილეგირებული გვარი ყოფილა ამ მხარეში (ამ მხარეს ადრე ერქვა ომარტე, რომელიც ო-მარტვილ-ე-საგან მოდის და ნიშნავს „სამარტვილეს", ე. ი. „მარტვილის მონასტრის კუთვნილებას").

ნაქულბაქევი სოფელია მცხეთასთან. ქულბაქი ძველად ერქვა სავაჭრო დუქანს. ასე რომ, ნა-ქულბაქ-ევ-ი იგივეა რაც „ნადუქნარი". *ქულბაქი* (ყოველგვარ აფიქსების გარეშე) აგრეთვე გვხვდება გეოგრაფიულ სახელად (ლეჩხუმში).

ნაჯიხური სოფელია გალის რაიონში. *ჯიხა* მეგრულად ნიშნავს „ცისტერნას", ნაჯისური — „ნაცისტერნევს". ამრიგად, ესეც წინანდელი ვითარების გამომხატველი სახელია, რომელიც ნა-ურ აფიქსებით არის წარმოქმნილი. ასევეა ნაწარმოები ნა-დაბ-ურ-ი (სოფლებს ჰქვია ორჯონიკიძისა და ლენინგორის რაიონებში). იგი შეიძლება ნიშნავდეს არა „ნადაბევს", „ნასოფლარს", არამედ „ნაყანევს", რადგან დაბა სიტყვის უძველესი მნიშვნელობა არის სწორედ „ყანა", „სახნავ-სათესი ადგილი" (ეს მნიშვნელობა დღემდე დაცულია სვანურში).

აქვე უნდა დავძინოთ, რომ *ნაჯიხური* მეგრულში ხშირად გამოითქმის როგორც *ნოჯიხური*. ასევე პარალელურად იხმარება ნაქალაქევი და ნოქალაქევი (ძველი ნაქალაქარი, რომელსაც ბერძნულ საისტორიო წყაროებში არქეოპოლისი ანუ „ძველი ქალაქი" ეწოდება), ნაბულევი და ნობულევი (სოფელს ჰქვია გეგეჭკორის რაიონში; ნიშნავს ადგილს, სადაც ბალი იდგა: „ნაბალევი"). ამრიგად, წინანდელი ვითარების გამოსახატავად მეგრულში ნა პრე-

ფიქსს *ნო* ენაცვლება. ამავე პრეფიქსით არის ნაწარმოები სოფლის სახელი ნოსირი („ნაისლევი").

ნაოჩი როგორც ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, წინანდელი ვითარების გამომხატველ სახელებში გვაქვს ერთი და იგივე *ნა* პრეფიქსი (მეგრული *ნო* მისი ფონეტიკური ვარიანტია), სუფიქსები კი სხვადასხვაა: *ევ (ავ), არ (ალ), ურ.* აშკარაა, წინა ვითარების გამოხატვის ფუნქცია ძირითადად პრეფიქსს აკისრია. ზოგიერთი ამგვარი სახელი სწორედ მხოლოდ პრეფიქსით არის ნაწარმოები (უსუფიქსოდ); მაგალითად: ნაგუთნი (ზნაურის რ.), ნადარბაზი (გორის რ.), ნახიდი (ლენინგორის რ.) და სხვა. ერთერთი ასეთი გეოგრაფიული სახელია ნაოჩი (სოფელია ოჩამჩირის რაიონში). *ოჩე* მეგრულად ნიშნავს „დიდ ყანას", ნაოჩი —„ნაყანევს" (იგივე ოჩე მონაწილეობს ოჩამჩირის სახელწოდებაში).

ნებოძირი სოფელია ზემო იმერეთში (შედის მოლითის სასოფლო საბჭოში). ამ სახელწოდების ძველი სახეა *მებოძირი*, რაც ძველი ქართულით „გზაჯვარედინს", „გზაგასაყარს" ნიშნავს. ასეთი სახელი სოფელს უთუოდ იმიტომ ეწოდა, რომ აქ განშტოვდებოდა იმერეთიდან ქართლისაკენ მიმავალი მთავარი გზა, რომლის ერთი ტოტი წიფასა და სურამზე გადიოდა, მეორე კი ქვიშხეთისაკენ მიემართებოდა. ეს გზა ძველად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი იყო.

ნესგუნი სოფლის სახელია სვანეთში, ლენჯერის თემში; ნიშნავს „შუათანას", „შუა (სოფელს)".

ნეძონა სოფელია აფხაზეთში (გულრიფშის რ.). ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რომ *ნეძი* მეგრულად ნიშნავს „კაკლის ხეს", „ნიგოზს" (იხ. დიდინეძი). ნეძ-ონ-ა მისგან ნაწარმოები სახელია და ნიშნავს „კაკლის ტყეს", „ნიგვზნარს".

ამ მცენარის სახელად ქართულში გვაქვს კაკალი და ნიგოზი, პირველი გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, მეორე — დასავლეთში. ამის შესაბამისად, აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში გვხვდება კაკლიანი (ჰქვია ორ სოფელს დმანისის რაიონში), დასავლეთ საქართველოში კი სოფლებს ჰქვია ნიგვზიანი (ლანჩხუთის რ.). ამავე სიტყვისაგან აღმოსავლეთ საქართველოშიაც არის ნაწარმოები ერთი სოფლის სახელი: ნიგოზა (კასპის რ.). *ნიგოზ* სიტყვისაგან მომდინარეობს აგრეთვე ნიგოითი.

ნიგოითი ცნობილი სოფელია გურიაში, ლანჩხუთის რაიონში. ძველად ის თავად მაჭუტაძეების სამფლობელო იყო, აქ იდგა მათი სასახლე და საგვარეულო სამკვიდრო—წმინდა გიორგის ტაძარი, რომლის ერთ-ერთ ფრესკაზე გამოხატულია ბევრობ მაჭუტაძე (XIV ს).

ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში ნიგოითი იხსენიება როგორც *ნიგოზდიდი, ნიგოსდიდი, ნიკოსდიდი*. ამათგან, ცხადია, პირველადი ფორმაა *ნიგოზ-დიდი*, რომელსაც ბგერათა დაკარგვისა და დაყრუების გზით მოუცია *ნიგოითი* (ნიგოზდიდი → ნიგოზიდი ← ნიგოზითი → ნიგოითი).

ნიკორწმინდა სოფელია რაჭაში, სადაც დგას XI საუკუნეში აგებული დიდებული ტაძარი. ტაძარი შემკულია განსაკუთრებით მდიდრული ჩუქურთმებით და ძველი ქართული არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. მას შესანიშნავი ლექსი უძღვნა გალაკტიონ ტაბიძემ:

რა განძი გვქონია,
რა მხნე, რა მდიდარი!
ჟღერს ქვის ჰარმონია—
დარობს რამდი დარი.
კარგად გამოკვეთა,
ვინაც გამოკვეთა,
სიბრძნით გამოკვეთა
მძლავრი ნიკორწმინდა.
აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.
ნეტავ ვინ ააგო,
რა ნიჭმა ააგო,
რა ხელმა ააგო
სვეტი—ნიკორწმინდა!

სახელწოდება ნიკორწმინდა მიღებულია *ნიკოლოზ-წმინდა*-საგან, ვისი სახელობისაც არის ეს ტაძარი, ტაძრის სახელწოდება კი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ზოგჯერ მთელ სოფელზე გადადიოდა.

ნობულევი სოფელია სამეგრელოში (გეგეჭკორის რ.). ბული მეგრულად იგივეა, რაც ბალი, ნო-ბულ-ევ-ი კი ნიშნავს „ნაბალევს“ ან „ბლებიან ადგილს“ („ბლეთს“).

ნოსირი სოფლის სახელია (ცხაკაიას რ.), ნიშნავს „ნაისლევს“

(ისირი — „ისლი", აქედან ნო-ისირ-ი → ნო-სირ-ი — „ნა-ისლ-ევ-ი").

ნოსტე ცნობილი სოფელია ქართლში. აქაური იყო კიორგი საკაძე. ნოსტე ოსურად „რძალს" ნიშნავს და აქედან იგი რამდენამდე შეცვლილი სახით მეგრულ-ჭანურშიც არის შესული (ნოსა, ნუსა, ნისა — „რძალი"). ქართულში გვხვდება იმავე სიტყვის მონაწილეობით წარმოქმნილი სიტყვა ნუსადია — „ბიძის ცოლი" („რძალ-დიდი"). ფიქრობენ, რომ ამავე ოსური სიტყვისაგან არის მიღებული სოფლის სახელი ნოსტე (ძველი ფორმით — ნოსტევი). ამრიგად, მისი მნიშვნელობაა „რძლისა" (შეადარეთ გარეჯაბეთის სოფლის სახელი პატარძეული).

ნოღა ჰქვია სოფლებს წყალტუბოს, სამტრედიისა და გეგეჭკორის რაიონებში. ნოღა ეწოდება მეგრულად მდინარის დამშრალ კალაპოტს, ადგილს, სადაც წინათ ღელე დიოდა (ნოღა ← ნო-ღალი — „ნაღელევი"). აქედანვეა ნოღო — „ჩაღრმავებული ადგილი". ამავე სიტყვისაგან წარმოება რიონის მარჯვენა შენაკადის სახელწოდება ნოღელა და სოფლის სახელი ონოღია.

ნოხიცევი (იგივე ნაჯახაო) ჰქვია ორ სოფელს, ერთს — გეგეჭკორის რაიონში, მეორეს — ხობის რაიონში. ამ სახელწოდების შესახებ შეიძლება სიტყვა აღარ გავაგრძელოთ, რაკი ვიცით, რომ ჯიხა მეგრულად „ციხეს" ნიშნავს, ნო კი წინა ვითარების გამომხატველი პრეფიქსია, ამჯერად *ევ* სუფიქსთან ერთად წარმოდგენილი. ამრიგად, ნო-ჯიხ-ევ-ი ნიშნავს „ნაციხევს" (შეადარეთ ნოჯიხური, ნაციხარი და სხვანი).

ნუნისი სოფელია ზემო იმერეთში, ორჯონიკიძის რაიონში. იგი დიდი ხანია ცნობილია თავისი სამკურნალო წყლით, რომელიც კურნავს კანის დაავადებებს (მუნს). სწორედ აქედან უნდა იყოს მიღებული სოფლის სახელწოდება: მუნ-ის-ი → ნუნისი.

ოზურგეთი — ქალაქ მახარაძის ძველი სახელწოდება — ნაწარმოებია ო პრეფიქსით და *ეთ* სუფიქსით ზურგ სიტყვისაგან, რაც კოლხურად „მთის ზურგს", „გორაკს", „ბორცვს" ნიშნავს. კოლხურია ო პრეფიქსიც, რომელიც ქართული სა-ს ბადალია და დანიშნულებას გამოხატავს. ამრიგად, ოზურგეთი იგივეა, რაც „საბორცვეთი". მსგავსი აგებულების გეოგრაფიული სახელებია გურიაში: ორაგვე, ოჩხამური, ოჭილაური, იმერეთში — ოკრიბა, ორაგვეთი,

ოფურჩქეთი, ოჯოლა, ლეჩხუმში — ოფიტარა, ოფურეში, ონჭეიში, ოყალეთი და სხვანი. ბუნებრივია, ამგვარი სახელები ყველაზე უხვად დაცულია სამეგრელოს ტერიტორიაზე: ოირემე, ოკვინორე, ონტოფო, ოტობაია, ოტორონჯია, ოქუმი, ოჩხამური, ოცარცე, ოჭუბურე და ა. შ. ამგვარი გეოგრაფიული სახელების მიხედვით შეიძლება განვსაზღვროთ კოლხური დიალექტის გავრცელების არე უძველეს ხანაში, რომლის შესახებაც წერილობითი ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება. ხსენებულ ტოპონიმთაგან ზოგს ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავთ.

ოირემე სოფელია ზუგდიდის მახლობლად, შედის ინგირის სასიფლო საბჭოში. სახელწოდება ნაწარმოებია ო პრეფიქსით და ე სუფიქსით ირემ სიტყვისაგან და იგივეა რაც „საირმე". შეადარეთ კურორტის სახელი საირმე (იმერეთში).

ოკვინორე ჰქვია ორ სოფელს გალის რაიონში, ერთი შედის განახლების სასოფლო საბჭოში, მეორე — ოტობაიისაში. კვინორი კვერნა-ს კოლხური ფორმაა, ასე რომ, ო-კვინორ-ე „საკერნეს" ნიშნავს.

ოკრიბა ჰქვია ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, იმერხსა და ლეჩხუმს შუა მდებარე რაიონს, რომელიც მოიცავს ტყიბულსა და მის მიდამოებს. ო აქაც ქართული სა-ს შესატყვისი კოლხური პრეფიქსია, რომელიც კირიბ სიტყვას ერთვის. კირიბი მეგრულად კრავს, ბატკანს ნიშნავს. ამრიგად ოკრიბა — ესაა „საბატკნე", „საკრავე".

ონოღია სოფელია გეგეჭკორის რაიონში. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ნოღა ჰქვია მდინარის დამშრალ კალაპოტს, „ნაღელევს". ამ სიტყვას დართვია დანიშნულების ო თანდართი და გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი ია ბოლოსართი, რის შედეგადაც მივიღეთ ო-ნოღ-ია. ანალოგიურად ნაწარმოები გეოგრაფიული სახელებია: ო-ტობა-ია, ო-ტორონჯ-ია, ო-რსანტ-ია და სხვანი.

ონტოფო სოფელია აბაშის რაიონში. აქაური იყო ჯამოჩენილი ქართველი ესთმეცნიერი, აკადემიკოსი ვარლამ თოფურია. ტობი (მეგრ. ტოფი) მცირე ზომის თევზის ერთ-ერთი ჯიშია; ამავე დროს ტობობა ანუ ტოფობა (მეგრ. *ტოფუა*) ჰქვია ქვირითის დაყრას. ამის მიხედვით ონტოფო (ო-(ნ)-ტოფ-უ) ნიშნავს „სატოფეს", ე. ი. ქვირითის დასაყრელს, ადგილს, სადაც თევზი ქვირითის დასაყრელად შედის. ბუნებრივია, ასეთი სახელი თავდაპირველად მდინარეს

უნდა დარქმეოდა, შემდეგ კი მის მიხედვით—სოფელს. აღსანიშნავია, რომ ონტოფო სწორედ მდინარეს ჰქვია ლეჩხუმში.

ორაგვე, ორაგვეთი სოფლებია, პირველი — გურიაში, მეორე — ქვემო იმერეთში. პირველს აწარმოებს *ო-ე*, მეორეს *ო-ეთ* აფიქსები (შეადარეთ *სა-ე, სა-ეთ*). ამ აფიქსთა ჩამოშორების შემდეგ ფრჩება ძირი *რაგვ*, რაც „მახეს" ნიშნავს.

ორბელი ერთ-ერთი დიდი სოფელია ლეჩხუმში. ლაჯანურის ხეობაში (ცაგერის რ.). მისი სახელწოდება ნაწარმოებია ფრინველთა მეფის—ორბის სახელისაგან *ელ* სუფიქსით. ჩვენი აზრით, ეს ტოპონიმი წარმოშობით სვანურია, რადგან *ორბ (ვერბ)* სვანურშიც „ორბს" ნიშნავს, *ელ* კი მიღებულია დისიმილაციით *ერ* სუფიქსისაგან, რომელიც სვანურ ტოპონიმებში გავრცელებული ფორმანტია და უდრის ქართულ *იან*, ოვან ქონების აღმნიშვნელ სუფიქსებს. ამრიგად, *ორბ-ელ-ი* იგივეა, რაც „ორბიანი", „ორბეთი".

ტბობაია სოფელია სამეგრელოში. *ტობა* კოლხური ფორმაა *ტბა* სიტყვისა. ამრიგად, *ოტობაია* ნიშნავს „სატბეს" (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ: *ტბა, ტბეთი, ტბისი, ტაბაწყური* და სხვა).

ოტხრონჯია ჰქვია სოფელს ოჩამჩირის რაიონში. ეს სახელწოდება აგებულებითაც და ენიშვნელობითაც ზუსტად ისეთივეა, როგორც *სა-მტრედ-ია*, ოღონდ ქართული *სა* თავსართის ნაცვლად გვაქვს კილხური *ო*, *მტრედ* სიტყვის ნაცვლად კი — მასივე შესატყვისი კოლხური ფორმა *ტორონჯ*.

ოფშრჩხეთი — წყალტუბოს რაიონის ერთ-ერთი სოფლის სახელი — გამოითქმის აგრეთვე როგორც ოფირჩხეთი, ოფიჩხეთი. ეს უკანასკნელი არის ყველაზე ადრინდელი ფორმა, წარმოქმნილი *ო* პრეფიქსით და *ეთ* სუფიქსით *ფიჩხ* სიტყვისაგან. *ფიჩხი* ხის ნასხეპ ხმელ ტოტებს, წვრილ შეშას ჰქვია. ამ სიტყვისაგან არის მიღებული ქუთაისის ერთ-ერთი უბნის სახელი საფიჩხია. ზუსტად ამავე მნიშვნელობის სახელია ოფიჩხეთი, რომელსაც შემდეგ *რ* ჩართვია *ფუძეში*, ხოლო თავკიდურ ბაგისმიერ ბგერათა გავლენით, მომდევნო *ი* ხმოვანი *უ*-დ ქცეულა. ასე მივიღეთ საბოლოოდ *ოფურჩხეთი* — „საფიჩხია".

ოქროპილაური სოფელია აჭარაში (შუახევის რ.) სახელწოდებას საფუძვლად უძევს ადამიანის სახელი *ოქროპირ*. აქედან უნდა მიგვეღო *ოქროპირ-ა-ულ-ი*, მაგრამ ნარნარა ბგერებს (*რ, ლ*) გა-

დაადგილების შედეგად მივიღეთ ოქროპილაური (შეადარეთ სოფლის სახელი აჭარაშივე დანისპარაული, რომელიც დარისპან-ა-ულ-საგან მომდინარეობს).

ოქუმი ჰქვია ცნობილ სოფელს და ამ სოფლის მდინარეს (გალის რ.). *ქუმუ* მეგრულად ნიშნავს „სელს“, „ჭვავს“. მაშასადამე, ოქუმი მნიშვნელობით „სასელეს“, „საჭვავეს“ უდრის.

ოყურეში სოფელია ლეჩხუმში (ცაგერის რ.). ესეც ჰგავს კოლხური ო თავსართითა და ე ბოლოსართით ნაწარმოებ სახელს, რომელიც შემდეგ ნათესაობით ბრუნვაშია დასმული (ო-ყურ-ე-შ-ი). თუ მართლაც ასეა, ძირეულად გამოიყოფა *ყურ-ი*. მაგრამ ასეთი სიტყვა მეგრულ-ჭანურში არ არსებობს. იქნებ ეს იყოს ოდნავ სახეცვლილი აღმოსავლური (ინდური) სიტყვა *ყული*, რომელიც ქართულში იხმარებოდა მონის, ტყვის აღსანიშნავად. სხვათა შორის, მისგან ტოპონიმებიც არის ნაწარმოები (იხ. *ქვემოთ საყულია, ყულევი*). ეს ტოპონიმები, ჩანს, იმდროინდელია, როცა საქართველოში ტყვეებით ვაჭრობდნენ.

არსებობს *ოყურეშ*-ის ახსნის სხვაგვარი შესაძლებლობაც. ძველად ქართულში იხმარებოდა და კილოებში (კერძოდ, იმერულში) დღემდე შემორჩენილია სპარსული წარმოშობის სიტყვა *ოყარი*, რაც წყლის ფრინველს, ყანჩას ნიშნავს. „შაჰ-ნამეს“ ძველ ქართულ თარგმანში იკითხება:

> წყლის პირსა იჯდა ოყარი, ზაალის თვალი სწვდებოდა,
> მან მშვილდ-ისარი ითხოვა, უზომოდ იამებოდა.
> რუდაქ მოართვა, ვიდრემდის ფრინველი გაფრინდებოდა,
> რა ფალვანმან შესტყორცა, ოყარი მუნ მოკუდებოდა,
> ის ისარი და ოყარი ქალთ წინ დაეცა შორითა.

შესაძლოა ოყურეში მიღებული იყოს *ოყარეშ*-ისაგან ა-ს წინამავალ ო-სთან ასიმილაციის გზით. თუ ასეა, მისი მნიშვნელობაა „ყანჩისა“ (შეადარეთ სოფლის სახელი ლენინგორის რაიონში — ყანჩავეთი).

სხვათა შორის, ამ სოფლის სახელისაგან ნაწარმოებია გვარიც: ოყრეშიძე (ოყურეშიძე), რომელიც რუსული ტრანსკრიფციის წყალობით ბოლო დროს *ოქროშიძე*-დ იქცა.

ოშპიტელი პატარა სოფელია ფასანაურთან, შავი არაგვის მარცხენა ნაპირას, გუდამაყრის ხეობის დასაწყისში. აქ უწინ რუსის

ჯარის ყაზარმები მდგარა, სადაც ომის დროს ჰოსპიტალი გაუმართიათ. ასე შემოვიდა ეს გერმანული სიტყვა რუსულის გზით ქართულ ენაში და, უბირი ქართველი კაცის მეტყველებაში ოშპიტელად ქცეული, შემორჩა იმ სოფლის სახელად, რომელიც ზემოხსენებული ყაზარმების ადგილას გაშენდა.

ოჩამჩირე ერთ-ერთი რაიონული ცენტრი, ლამაზი ქალაქია შავი ზღვის პირას. მისი სახელწოდების პარალელური ფორმებია ოჩემჩირე, ოჩემჩირი. წინათ ფიქრობდნენ, რომ იგი ნაწარმოებია თურქული *ჩამშირ* („ბზა“) სიტყვისაგან კოლხური ტოპონიმებისათვის დამახასიათებელი *ო* პრეფიქსით და *ე* სუფიქსით, ე. ი. ოჩამჩირე „საბზავეს“ ნიშნავსო. ამჟამად ეს ეტიმოლოგია არ არის გაზიარებული და ოჩამჩირეს სხვაგვარი ახსნა ეძლევა: იგი კომპოზიტია და ორი კოლხური სიტყვისაგან შედგება: *ოჩე* — „ყანა“, *მჩირე* — „ფართო“, „ვრცელი“.

ოჩე ცალკეც გვხვდება გეოგრაფიულ სახელად (სოფელია გეგეჭკორის რაიონში, შედის დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოში; იქვე არის *პატარა ოჩე*). გურიისა და აჭარის მიკროტოპონიმიაში დასტურდება აგრეთვე ოჩე, ოჩია, ოჩიაფერდი.

ოჩხამური, ოჩხომური. ჩხომი მეგრულად „თევზს“ ნიშნავს. ამ სიტყვას დართული აქვს ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი *ო* პრეფიქსი და *ურ* სუფიქსი. ამგვარად მივიღეთ ო-ჩხომ-ურ-ი, რაც „სათევზურს“, ე. ი. „სათევზაო ადგილს“ ნიშნავს. ცხადია, ეს სახელი ჯერ მდინარეს დაერქმეოდა და შემდეგ მდინარის პირას მდებარე სოფელს. მართლაც, ოჩხომური ჰქვია როგორც მდინარეს, ასევე სოფელს ჩხოროწყუს რაიონში. იგივე სახელი, ოდნავ შეცვლილი ფორმით, ჰქვია აგრეთვე დაბასა და მდინარეს ქობულეთის რაიონში. ოჩხამური დღეს განთქმულია ჩაის დიდი საბჭოთა მეურნეობით.

ოძისი ჰქვია სოფლებს დუშეთისა და ხაშურის რაიონებში (მისგან არის წარმოქმნილი გვარი ოძელაშვილი). ამ ტოპონიმში გამოიყოფა გეოგრაფიული სახელებისათვის ნიშანდობლივი *ის* სუფიქსი, ფუძეს კი წარმოადგენს *ვეძა*, რაც მინერალურ წყალს ეწოდება, ოღონდ თავკიდური *ვ* შეცვლილია *ო* ხმოვნით. *ვეძა*-საგან ანალოგიურად ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი ამგვარი ცვლილების

გარეშეც გვხვდება: *ვეძისი* ჰქვია სოფელს თბილისის ახლოს და თვითონ თბილისის ერთ-ერთ უბანსაც (იხ. ზემოთ ვეძათხევი).

ოჯუბური სოფელია სოხუმის რაიონში. -ჭუბური მეგრულად ნიშნავს „წაბლს“, ო-ჭუბურ-ე კი იგივეა რაც „საწაბლე“.

ოხაჩქუე ჰქვია მთას ენგურის ხეობის დასავლეთით, გალისა და წალენჯიხის რაიონების საზღვარზე. ასევე ჰქვია მეორე მთასაც ხობისწყლისა და ტეხურის წყალგამყოფი ქედის სამხრეთ-დასავლეთ დაბოლოებაზე.

ხაჩქუა მეგრულად ნიშნავს „თოხნას“ („თოხით თესვას“), ო-ხაჩქუ-ე კი ამ ზმნის მყოფადის მიმღეობაა და ნიშნავს „სათოხარს“. რატომ უნდა შერქმეოდა მთებს ასეთი სახელი? საქმე ისაა, რომ ამ მთებზე თოვლი დნება ივნისის დამდეგს, რასაც ემთხვევა კოლხეთის დაბლობზე სიმინდის თესვის ბოლო პერიოდი. ამის შემდეგ დათესილი სიმინდი დატაროებას ვეღარ ასწრებს. ასეთი დამთხვევის გამო ხსენებულ მთებზე თოვლის აღება მიჩნეული იყო ხვნა-თესვის დამთავრების მაუწყებელ ნიშნად. ამიტომ დარქმევია ამ მთებს *ოხაჩქუე*.

ოხვამეკარი სოფელია ხობის რაიონში. *ოხვამე* მეგრულად ნიშნავს „სალოცავ ადგილს“, *ოხვამეკარი* — „სალოცავის კარს“, ე. ი. „ეკლესიის, ტაძრის მისავალს“.

ოჯოლა სოფელია ოკრიბის მხარეში. აქაც გამოიყოფა ზემოხსენებული ო თავსართი, ხოლო ფუძედ წარმოგვიდგება *ჯოლა*, რომელიც ორგვარად შეიძლება აიხსნას: *ჯოლა*∥*ჟოლა* იგივეა, რაც ბჟოლა ანუ თუთა (შეადარეთ *თერჯოლა*). მაშასადამე, ოჯოლა შეიძლება ნიშნავდეს „საბჟოლეს“ ანუ „სათუთეს“ (შეადარეთ გეოგრაფიული სახელები: საფურცლე, საწაბლე, სანიორე და სხვა).

მეორე მხრივ, როგორც პროფ. ო. ჭურღულიამ განგვიმარტა, *ჯოლა* მეგრულად ნიშნავს სამასალე ხეების გამოთრევას ჭაპანით (ხარ-კამეჩის დახმარებით). ამის მიხედვით, ოჯოლა იქნება ის ადგილი, სადაც ხეებს ათრევენ („სათრევი“). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოში ორ სოფელს *ჯოლევი* ჰქვია (ცხაკაიას და გეგეჭკორის რ.), რაც იმავე *ჯოლა*-საგან ჩანს ნაწარმოები (*ჯოლა* ქართული *ძალა*-ს შესატყვისია კოლხურში).

პატარძეული სოფელია კახეთში, საგარეჯოს რაიონში. აქაური იყო საქართველოს სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე. პატარძეული

ნახსენებია XIV საუკუნის ერთ საბუთში, რაც ამ სოფლის დიდ ხნოვანებაზე მიუთითებს.

სახელწოდების ფუძეა პატარძალი, რომელიც ეულ სუფიქსის დართვის შემდეგ შეიკუმშებოდა და უნდა მიგვეღო პატარძლ-ეულ-ი, მაგრამ აქ რამდენიმე ნარნარა თანხმოვნის (რ და ორი ლ) თავმოყრის შედეგად ერთი ლ დაკარგულია და დაგვრჩა პატარძეული. ეს სახელწოდება იმაზე მიუთითებს, რომ სოფელი თუ მისი მიდამო პატარძლისეული ყოფილა; ალბათ რომელიღაც დიდგვაროვან ასულს მზითვად მისცეს.

ჟახუნდერი სოფელია ქვემო სვანეთში. *ჟახვ* სვანურად არყის ხეს ნიშნავს, *უნდ* კნინობითის სუფიქსია, *ერ* კი გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი. ასე რომ, ჟახუნდერი ნიშნავს „ნორჩ (ან: პატარა) არყნარს".

ჟაბეში და *ჟაბიანი*. ზემო სვანეთში, მულახის თემში, არის სოფლები ჟაბეში და ჩვაბიანი, უშგულის თემში კი — ჟაბიანი და ჩვიბიანი. ჟაბეში და ჟაბიანი სვანურად იგივეა, რაც „ზემოთი", „ზედა უბანი", „ზედა სოფელი"; მათი საპირისპიროა ჩვაბიანი და ჩვიბიანი („ქვემოთი" „ქვედა უბანი").

ჭონეთი სოფელია წყალტუბოს რაიონში. მისი სახელწოდება ძველ საბუთებში დადასტურებულია *ჳვანეთ*-ის ფორმით. აქ *ეთ* აშკარად გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსია, ფუძის მნიშვნელობის დასადგენად კი უნდა გავიხსენოთ ის ცნობილი ფაქტი, რომ *ჳ* სიტყვის თავში ზოგჯერ *ჲ*-საგან მომდინარეობს (იოვანია → ჲუანია → ჳვანია, იორდანია → ჲორდანია → ჳორდანია და სხვა). ჭონეთი||ჳვანეთი ასევე ჩანს მიღებული *იონა* ან *ივანე* კაცის სახელისაგან (იონ-ეთ-ი → ჲონეთი → ჭონეთი, ან იოვან-ეთ-ი → ჲუანეთი → ჳვანეთი).

საერთოდ, ადამიანის სახელისაგან ტოპონიმთა წარმოქმნა გავრცელებული ხერხია. მაგალითად, მსგავსად ჭონეთისა, პიროვნულ სახელზე *ეთ* სუფიქსის დართვით წარმოქმნილი ტოპონიმებია: კვირიკ-ეთ-ი, გრიგოლ-ეთ-ი, სიმონ-ეთ-ი, იან-ეთი ←ივან-ეთი-ი) და სხვანი.

სხვაგვარი ვარაუდით, ჳვანეთი *სვანეთ*-ის ფონეტიკური ვარიანტია.

რაჭა. საქართველოს ამ მშვენიერი მხარის სახელწოდებას ორ-

გვარი ახსნა მოეპოება. ერთი მოსაზრების მიხედვით, მას საფუძვლად უძევს პიროვნული სახელი რატი, რომელიც ძალიან გავრცელებული ყოფილა ძველად რაჭის ერისთავთა საგვარეულოში. ამ სახელისაგან თავდაპირველად გვეკნებოდა რატიშა („რატისა"), ხმოვნის ამოღების შემდეგ — რატშა, აქედან კი საბოლოოდ მივიღეთ რაჭა. მაშასადამე, მისი მნიშვნელობა ასეთია: „რატიანთი", „სარატიო".

მეორეგვარი ვარაუდის მიხედვით, რაჭის სახელწოდება მიღებულია *რაჭე* სიტყვისაგან, რაც სვანურად „კურდღელს" ნიშნავს. კურდღელი უნდა ყოფილიყო ამ მხარის მცხოვრებთა ტოტემი.

რიონი — დასავლეთ საქართველოს უდიდესი მდინარე — სათავეს იღებს კავკასიონის მთებში, გამოივლის რაჭა-ლეჩხუმს, ქუთაისსა და იმერეთის ცენტრალურ ნაწილს, შუაზე სერავს კოლხეთის დაბლობს და ერთვის შავ ზღვას ქალაქ ფოთთან. გზადაგზა რიონს უერთდება მდინარეები: ქვედრულა, ლუხუნი, ლაჯანურა, ყვირილა, ცხენისწყალი, ტეხურა, აბაშა და სხვანი. ქუთაისის მახლობლად რიონზე აგებულია დიდი ელსადგური რიონჰესი.

რიონი ძველთაგანვე დიდ როლს ასრულებდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. რიონს და შემდეგ ყვირილას შორაპნამდე მოჰყვებოდნენ შავი ზღვიდან შემოსული გემები. ეს იყო დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზა, რომელიც შემდეგ მტკვარზე გავლით ინდოეთისკენ მიემართებოდა.

რიონი ბევრი ქართველი მწერლის ნაწარმოებში არის შექებული. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტ კონსტანტინე ჭიჭინაძის პოემა „რიონის აპოლოგია".

ძველ ბერძნულ წყაროებში მდინარე რიონი მოხსენებულია სხვადასხვანაირად: როანი, რეონი, ფაზისი, ფასისი. პირველი ორი ამათგანი *რიონ*-ის ვარიანტებია. ფიქრობენ, რომ ეს სახელწოდება უკავშირდება *რუ*-ს, რომელიც ინდოევროპული ძირის სიტყვად მიიჩნევა (კელტური *რო*, ესპანური *რიო*, სპარსული *რუდ* — „მდინარე". ამ ძირისაგან წარმოქმნილად ითვლება ევროპის მდინარეთა სახელები: რაინი, რონა და სხვა).

რაც შეეხება რიონის მეორე სახელწოდებას (ფაზისი||ფასიდ), აქ ფუძედ გამოიყოფა *ფას* (*ის* და *იდ* ბერძნული დაბოლოებებია). შესაძლოა იგი ძველი ქართული სატომო სახელი იყოს. მეორე თვალსაზრისით, *ფას||ფსა||ფშა* ზოგადად წყლის აღმნიშვნელი სიტყვა

უნდა ყოფილიყო იბერიულ-კავკასიურ ენებში (მას უკავშირდება სიტყვები ფშა, ფშანი, ფშატალა) და ამიტომ ბერძენ ისტორიკოსთა თხზულებებში ფაზისი ერქვა არა მარტო რიონს, არამედ სხვა მდინარეებსაც: ჭოროხს, არაქსს... საგულისხმოა რომ ეს სახელი ჰქვია იმ მთასაც, საიდანაც სათავეს იღებს რიონი (ფასის მთა). მასვე უკავშირდება ქალაქის სახელწოდება ფოთი (←ფას-თ-ი) და მხარის სახელწოდება ბასიანი (←ფას-იან-ი).

დასასრულ, აქვე უნდა გავიხსენოთ ხოხბის ბერძნული სახელწოდება *ფასიანოს — ფაზანოს* (ეს სიტყვა სხვა ინდოევროპულ ენებშიც არის შესული, მათ შორის რუსულში: фазан — „ხოხობი"). ალბათ ჩვენი ბუნების დამამშვენებელი ეს ფრინველი ბერძნებს პირველად მდინარე ფაზისის ანუ რიონის ჭალებში უნახიათ და სახელიც ამის მიხედვით დაურქმევიათ.

რკონი ისტორიულად ცნობილი სოფელია ქართლში, თეძმის ხეობაში (ძველად გამოითქმოდა *კრკონი*). აქ არის დაწერილი XI საუკუნეში ერთი საბუთი, რომელსაც „რკონის სიგელს" უწოდებენ.

რკო (რკონი) ძველად ერქვა არა მარტო მუხის ნაყოფს, თვით მცენარესაც. ამ მცენარის სახელწოდება (როგორც მუხა, ასევე რკო) ხშირად გვხვდება საქართველოს ტოპონიმიაში (ამის შესახებ საუბარი გვქონდა ზემოთ: იხ. კონდიდი, მუხნარი).

როკითი სოფელია იმერეთში (მაიაკოვსკის რ.). სახელწოდება წარმოქმნილია *ით* სუფიქსით *როკ* სიტყვისაგან, რაც ხის ნუჟრიან ტანს და, საერთოდ, უხეშ ამონაბურცს, *ნუჟრს*, კორძს აღნიშნავს (წარმოების მხრივ შეადარეთ *ით* სუფიქსიანი სახელები: ბორ-ით-ი, კვალ-ით-ი, მოლ-ით-ი)...

რუისი, რუისპირი, რუისბოლო, რუსთავი. ქართულ ენას მდინარი წყლის აღსანიშნავად რამდენიმე ტერმინი მოეპოვება: წყალი, წყარო, ღელე, რუ, ნაკადული, მდინარე. ამათ შორის ნაკადული და მდინარე გვიან არის არსებით სახელებად ქცეული და მათგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები არ მოგვეპოვება, დანარჩენთაგან კი ბევრი ჰიდრონიმი და ტოპონიმი არის წარმოქმნილი. აქ შევეხებით მხოლოდ რუ-საგან ნაწარმოებ რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს.

რუისი ძველთაგანვე განთქმული სოფელია ქართლში (ქარელის რ.). იგი საისტორიო წყაროებში იხსენიება VI ს. დამდეგიდან (506 წ.). აქ იყო დიდი საეპისკოპოსო საყდარი, რომლის მეთა-

ურსაც ერქვა მროველი (ე. ი. „რუისელი“; მ-როვ-ელ-ი ისევეა ნაწარმოები *რუ-ის*-ისაგან, როგორც მ-ეგრ-ელ-ი *ეგრ-ის*-ისაგან, მ-აჩაბ-ელ-ი *აჩაბ-ეთ*-ისაგან და ა. შ.).

რუსთავი ყველასათვის კარგად ცნობილი მეტალურგიული ქალაქია, რომელიც დიდი სამამულო ომის შემდეგ აშენდა ძველი ნაქალაქარის ადგილას. ძველი რუსთავი ცნობილია აგრეთვე ბოსტანქალაქის, ნაგებისა და რიშყალას სახელით. მემატიანის ცნობის თანახმად, რუსთავის რუ IV საუკუნეში ყოფილა აგებული. რუსთავი ჰქვია აგრეთვე ორ სოფელს მესხეთში და ქართლში.

რუისპირი და *რუისბოლო* სოფლებია, პირველი — თელავის რაიონში, მეორე — გარდაბნის რაიონში. გარდა ამისა, რუ გამოიყოფა აგრეთვე *სიქთარვა*-ში (სოფელია იმერეთში) და ჰიდრონიმებში: რუშავა, რუწითელი, რუხმელა, რუა და ა. შ. როგორც ითქვა, შესაძლოა ამავე სიტყვისაგან იყოს მიღებული რიონი.

რიონთან დაკავშირებით ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუ ინდოევროპული წარმოშობის სიტყვაა და „მდინარეს“ ნიშნავს. ქართულში დღეს იგი იხმარება მცირე მდინარი წყლის ანუ ნაკადულის, უმთავრესად—სარწყავად გამოყვანილი ნაკადულის აღსანიშნავად, ძველად კი რუ (რუვი) ერქვა დიდ სარწყავ არხსაც. არხი შედარებით გვიან შემოსული სიტყვაა და გეოგრაფიულ სახელებში არ გვხვდება, ხოლო რუ (რუვი) გაცილებით ძველია და ბევრი ქართული გეოგრაფიული სახელის შექმნაში მონაწილეობს. ზოგან გვაქვს რუ (რუსთავი...), ზოგან — რუვი (რუისბოლო...).

გეოგრაფიულ სახელებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ დასავლეთ საქართველოში რუ უმთავრესად ბუნებრივ ნაკადულს, ღელეს აღნიშნავს (რუშავა, რუწითელი, რუა...), აღმოსავლეთ საქართველოში კი — ხელოვნურ სარწყავ სისტემას, არხს.. ამ არხის პირას მდებარე სოფელს დარქმევია რუისპირი, არხის დასაწყისში მდებარეს — რუსთავი, ბოლოში — რუისბოლო.

სამარეში. ქართულ ტოპონიმიკურ სახელებში ძალიან ხშირად გვხვდება პრეფიქსად *სა*, რომელიც დანიშნულებას ან კუთვნილებას გამოხატავს. მასთან შეწყვილებულია სხვადასხვა სუფიქსი: *ო, ე, ეთ, ის, ურ, ია* და სხვანი; ამრიგად, ასეთ შემთხვევაში გეოგრაფიულ სახელს აწარმოებს ერთდროულად თავსართი და ბოლოსართი: *სა-ო, სა-ე, სა-ეთ* და ა. შ.

იმის გამოცნობა, თუ როგორ და რა სიტყვებისაგან არიან წარმოქმნილი ასეთი გეოგრაფიული სახელები, მეტწილად ადვილია. მაგალითად, დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ სა-მეგრელ-ო ან სა-ინგილ-ო მიღებულია ქართველი ხალხის შემადგენელ ტომთა სახელებისაგან სა-ო აფიქსების მეშვეობით. ასეთივე გზით არის წარმოქმნილი თვით ჩვენი ქვეყნის სახელწოდება სა-ქართველ-ო. სა პრეფიქსი და ო სუფიქსი ხშირად აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს ადამიანის სახელებისაგან ან გვარებისაგან (სა-გურამ-ო, სა-ბარათიან-ო, სა-მაჩაბლ-ო,..), *სა-ე* გვხვდება მცენარეულობის, ფრინველების, ცხოველების სახელებთან და ა. შ. მაგრამ გვაქვს ზემოხსენებული აფიქსებით წარმოქმნილი ისეთი ტოპონიმებიც, რომელთა მნიშვნელობის დადგენა არც ისე იოლია.

თბილისის მახლობლად ქალაქის სახელწოდება *საგარეჯო* სწორედ სა თავსართითა და ო ბოლოსართით არის წარმოქმნილი. მაგრამ რა სიტყვას დაერთვის ეს აფიქსები, რას ნიშნავს *გარეჯ*? ამ კითხვაზე სწორ პასუხს მხოლოდ მაშინ გავცემთ, თუ ვიცით, რომ *გარეჯა* აგრეთვე გეოგრაფიული სახელია. საგარეჯოს რაიონში არის გარეჯის უდაბნო, სადაც VI საუკუნეში საფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურის ერთ-ერთ ძველ და დიდებულ კერას — გარეჯის მონასტერს. ამგვარ მონასტრებს საკუთარი ადგილ-მამული ჰქონდათ, რაც მათი შემოსავლის წყაროს შეადგენდა. აი, სწორედ ერთ-ერთ ასეთ ადგილს (სოფელს), რომელიც გარეჯის მონასტერს ეკუთვნოდა, შერქმევია საგარეჯო.

სავანე სოფელია საჩხერის რაიონში. აქ დღევანდლამდე კარგად არის დაცული XI საუკუნეში აგებული ტაძარი, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლია. ეს სოფელი ცნობილია აგრეთვე იმით, რომ აქ გაუტარებია ბავშვობა ქართველი ხალხის საყვარელ მგოსანს აკაკი წერეთელს. თვითონ პოეტი ასე აღწერს ამ სოფელს: „საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც, ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მე ვიზრდებოდი. როგორც სათვალთვალოდ, ისე ჰაერის სიკეთითაც ის საუცხოო რამ არის და ამიტომაც დაურქმევიათ „სავანე“, ე. ი. მოსასვენებელი ადგილი“.

დიდი პოეტი სავსებით მართალია, სა-ვან-ე წარმოქმნილია *სა-ე* აფიქსებით *ვან* სიტყვისაგან, რომელიც ზემოთ უკვე განვიხი-

ლეთ. როგორც აღვნიშნეთ, ვანი ბინას, სადგომს ნიშნავდა ძველ ქართულში. აქედანაა დავანება — დაბინავება, მოსვენება. მაშასადამე, სავანე იქნება მოსასვენებელი ადგილი, ღამის გასათევი ბინა (ქარვასლა, სადგური, სასტუმრო).

საფიქრებელია, რომ ძველად სავანეზე გადიოდა დიდი საქარავნო გზა და ამ ადგილას იყო დასასვენებელი, ღამის გასათევი პუნქტი. იგივე უნდა ითქვას სავანისუბანზე (სოფელია ხაშურის რაიონში, შედის ქვიშხეთის სასოფლო საბჭოში).

საზანო სოფელია ზემო-იმერეთში (თერჯოლის რ.). მისი სახელი ისევეა წარმოქმნილი, როგორც სა-ქართველ-ო, სა-მეგრელ-ო, სა-ჯავახ-ო და სხვანი. მაგრამ რას ნიშნავს თვითონ ზან? ზემოთ, ზანა ტოპონიმის განმარტებისას, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ზანი ძველისძველად მეგრელ-ჭანებისა და მათი ქვეყნის აღმნიშვნელი სიტყვა ყოფილა, რომელიც სვანურში დღევანდლამდე არის შემონასული. ამრიგად, საზანო მნიშვნელობით იგივეა, რაც „სამეგრელო".

რატომ დაერქვა ასეთი სახელი ზემო იმერეთის სოფელს? როგორც ისტორიული წყაროებიდანაც ჩანს, აქ გადიოდა სწორედ ძველი ეგრისისა და ქართლის სამეფოთა საზღვარი, აქედან დასავლეთით იწყებოდა სამეგრელო.

სათანჯო ჰქვია მთას და ამ მთაზე მდებარე ციხეს სამეგრელოში. ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით ეს სახელწოდება ახსნილია როგორც სატანჯო („სატანჯავი"), სინამდვილეში კი მას საფუძვლად უძევს თარჯ სიტყვა, რომელიც მეგრულში თანჯ-ად გამოითქმის და „ზღუდეს", „გალავანს", „საზღვარს" ნიშნავს.

სათემო ჰქვია სოფლებს თერჯოლისა და გორის რაიონებში. ძველად თემი ერქვა ხალხის თავშეყრას რაიმე საკითხის გადასაწყვეტად, სათათბიროდ, ან სახალხო დღეობაში დროს გასატარებლად. სა-თემ-ო ის ადგილია, სადაც ასეთი შეკრებები და დღეობები იმართებოდა.

საინგილო საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხეთაგანია, ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებშია მოქცეული. ძველად ამ მხარეს კაკ-ელისენი ერქვა (ამჟამად კაკი ანუ კახი საინგილოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრია. ენისელი კი სოფელს ჰქვია კახეთის განაპირას, ყვარლის რაიონში).

საინგილოს მცხოვრებნი, ისევე როგორც საზოგადოდ ქართველობა, სარწმუნოებით ქრისტიანები იყვნენ. მაგრამ ირანისა და თურქეთის გაუთავებელი ომებითა და ლეკთა თავდასხმებით დაუძლურებული მოსახლეობის ნაწილი ბოლოსდაბოლოს XVIII საუკუნეში იძულებული გახდა რჯული გამოეცვალა და მაჰმადიანური სარწმუნოება მიეღო. გამაჰმადიანებულებს თურქულად ეწოდებოდა იანგილ, რაც „ახლად მორჯულებულს" ნიშნავს. აქედან წარმოდგა ამ კუთხის მცხოვრებთა სახელი ინგილო, ხოლო ამის მიხედვით თვითონ კუთხეს საინგილო დაერქვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად ეს ახსნა მოცემულია პროფ. მოსე ჯანაშვილის წიგნში „საინგილო" (1913 წ.), მაგრამ ავტორი მას არ იზიარებს და ცდილობს საინგილოს სახელწოდება დაუკავშიროს დას. საქართველოს მდინარის სახელს — ენგურს (იგივე ეგრისწყალს, რომელიც სხვადასხვა ფორმით იხმარება: ეგრი, აგრი, ინგური, ინგორი). დაახლოებით ასეთივე მოსაზრება გამოთქვა ახლახან ახალგაზრდა მკვლევარმა ასრათ ასრათოვმა „ახალგაზრდა კომუნისტის" ფურცლებზე. ცხადია, ეთნონიმ ინგილოს დაკავშირება დას. საქართველოს მდინარის სახელთან ინგირთან მოკლებულია დამაჯერებლობას.

საკრაულა — მდინარისა და სოფლის სახელწოდება იმერეთში — წარმოქმნილია *კრავ* ფუძისაგან *სა* პრეფიქსისა და *ულ-ა* სუფიქსების დართვით. *კრავ* ფუძისეული *ვ* დაკარგულია სუფიქსის *უ* ხმოვნის წინ. მაშასადამე, *სა-კრა(ვ)-ულ-ა* ნიშნავს „საკრავეს", „საბატკნეს" (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ *ოკრიბა*).

სამგორი ამჟამად თბილისის ერთ-ერთი ცნობილი გარეუბანია. არც ისე დიდი ხნის წინათ აქ გორაკებს შორის მოქცეული იყო უნაყოფო ადგილი, სადაც რამდენიმე პატარა მლაშე ტბა ჩანდა. მეცნიერთა აზრით, ძალიან დიდი ხნის წინათ მტკვარი ამ ადგილებში მიედინებოდა, შემდეგ კი მან კალაპოტი იცვალა. მტკვრის ძველ კალაპოტში რამდენიმე ჩაღრმავებულ ადგილას პატარ-პატარა ტბები გაჩნდა. ამ ტბებს მარილიანი წყლის გამო მლაშე ტბები დაერქვა. ახლომახლო ადგილებს კი სამგორი ეწოდა, რადგან აქ მართლაც დგას სამი გორაკი.

არსებობს ლეგენდა, თუ როგორ გაჩნდა ეს გორაკები სამგორის ველზე: თითქოს ერთ ასულს ორი რაინდი ეტრფოდა, ორივე შესა-

ნიშნავი ვაჟკაცი. ქალს ერთი მათგანი უფრო მოსწონდა, მაგრამ უარს ვერც მეორეს ეუბნებოდა. ამიტომ მან ჭაბუკებს ასეთი პირობა დაუდო: მე ველზე დავდგები, თქვენ გამოიქეცით და რომელიც მოასწრებს ჩემთან მოსვლას, იმის ცოლი გავხდებიო. ქალს იმედი ჰქონდა, რომ მისი რჩეული აჯობებდა მეტოქეს, მაგრამ პირიქით მოხდა: მეორემ გაასწრო და გახარებული გამოექანა ქალისაკენ. ასულმა ეს რომ დაინახა, ინატრა: ნეტავი სამივენი აქვე გავქვავდეთო. ქალს ნატვრა აუხდა და სამივენი გორაკებად იქცნენ.

მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ სამგორის ბორცვები ძველისძველი სამარხები — ყორღანებია. მართლაც, ერთ-ერთი ბორცვი რომ გათხარეს, იგი სამარხი აღმოჩნდა. ვინ იცის, რომელი დიდგვაროვანი მხედარი ან წინამძღოლი იყო აქ დამარხული, და საერთოდ, ვინ იცის, რამდენი რამის მომსწრე და მნახველია ეს მიდამო!

ერთ დროს აქ ალბათ სიცოცხლე ჩქეფდა, მაგრამ მტრის ხმირმა შემოსევამ გაანადგურა და გააპარტახა აქაურობა. სამგორი და მლაშე ტბების უბანი მიყრუებულ ადგილად იქცა. სწორედ ეს მიყრუებული მიდამო აირჩიეს თბილისის მუშებმა მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე თავიანთი ფარული დღესასწაულისათვის. ისინი მლაშე ტბასთან შეიკრიბნენ და აქ გამართეს პირველი მაისობა. ის მაისობა სამუდამოდ აღიბეჭდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

ჩვენს ხალხს დიდხანს ოცნებად ჰქონდა, მოერწყა და გამოეკენებინა სამგორის მიდამოები. ეს ოცნება საბჭოთა ხელისუფლების წლებში განხორციელდა: ხალხმა გახვრიტა მთების გული, შიგ გვირაბი გაიყვანა და ივრის წყალი გამოატარა, რომ აქ დაეგუბებინა და იმით მოერწყა სამგორის უზარმაზარი ველი.

ივრის წყალი რომ პირველად მოვიდა სამგორში, აქ დიდი ზეიმი გაიმართა და მომავალი „ზღვის“ ფსკერზე ცხენოსანთა შეჯიბრება მოეწყო. ეს იყო ჭეშმარიტად დაუვიწყარი, საზეიმო დღე — 1951 წლის 4 ნოემბერი.

ახლა „თბილისის ზღვაზე“ ნავები და კატერები დასრიალებენ, ბიჭები ცურვას სწავლობენ და ანკესებით იჭერენ კალმახს, „თბილისის ზღვის“ მიდამო თანდათანობით ბაღნარად იქცა. ასე გარდაიქმნა ჩვენს თვალწინ ბუნება, ასე გაჩნდა ხელოვნური ზღვა თბილისის ახლოს.

სამეგრელო ჰქვია საქართველოს ერთ-ერთ ნაწილს მდ. ცხენისწყლიდან შავი ზღვის სანაპირომდე. წინათ მისი საზღვრები უფრო ვრცელი ყოფილა და თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. ეს არის ძველი კოლხეთი. სხვაგვარად მას ეგრისი ეწოდებოდა. ამ უკანასკნელისაგან არის ნაწარმოები სატომო სახელი მეგრელი, ადგილობრივი გამოთქმით — მარგალი, ძველ უცხოურ წყაროებში — *მაკრონ, მანრალ.*

მ-ეგრ-ელ-ი (ე. ი. „ეგრისელი") ისევეა წარმოქმნილი *ეგრ-ის*-იდან, როგორც მ-არგვ-ელ-ი, *არგვ-ეთ*-იდან, მ-აჩაბ-ელ-ი *აჩაბ-ეთ*-იდან, მ-როვ-ელ-ი *რუ(ვ)*-ის-იდან და ა. შ.

შემდგომში *მეგრელ*-ისაგან ხელახლა იქნა ნაწარმოები მხარის სახელწოდება სა-მეგრელ-ო (შეადარეთ სა-ქართველ-ო, სა-ინგილ-ო, სა-ზან-ო და სხვანი).

რაც შეეხება *ეგრის*-ს, ფიქრობენ, რომ მისი ფუძეა ძველი ქართული სატომო სახელი *გურ*, რომლისგანაც მიღებულია აგრეთვე მეორე მხარის სახელწოდება *გურია*. ასევე სატომო სახელებისაგან არის მიღებული ქართლი (*ქართ*-ისაგან), კახეთი (*კახ*-ისაგან), თუშეთი (*თუშ*-ისაგან) და სხვანი.

სამტრედია — ქალაქის სახელწოდება — წარმოქმნილია სა პრეფიქსითა და *ია* სუფიქსით *მტრედ* სიტყვისაგან (შეადარეთ სა-მეგრელოს ერთ-ერთი სოფლის სახელი *ოტორონჯია*). მსგავსი აგებულების გეოგრაფიული სახელებია: სა-კოხ-ია (საჩხერის რ.), სა-პრას-ია (ვანის რ.), სა-ქასრ-ია (ორჯონიკიძის რ.), სა-ყულ-რა (წყალტუბოს რ.), სა-თაფლ-ია, სა-ფიჩხ-ია, სა-ღორ-ია (ქუთაისის გარეუბნებია) და სხვა.

სამცხე ერქვა სამხრეთ საქართველოში — ტაო-კლარჯეთში — შემავალ მხარეს, რომელსაც დღეს მესხეთი ეწოდება. მესხ-ეთ-ი ნაწარმოებია *ეთ* სუფიქსით *მესხ*-ისაგან. მესხები აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ძირითად ქართველ ტომად ითვლება და მას უკავშირდება თვით საქართველოს ძველი დედაქალაქის სახელწოდება მცხეთა („მესხ-ეთ-ა"). თუ *სამცხე*-ში *სა* პრეფიქსსა და *ე* სუფიქსს გამოვყოფთ, გვრჩება იგივე *მცხ* ძირი, რომელიც გვაქვს *მცხეთა*-ში, და რომელიც *მესხ*-ისაგან არის მიღებული: სა-მესხ-ე ხმოვნის შეკუმშვის შემდეგ მოგვცემდა *სამსხე* ფორმას, მაგრამ აქ კიდევ მომხდარა მცირე ცვლილება (*ხ*-ს წინ *ს* ქცეულა *ც*-დ) და სა-

ბოლოოდ მივიღეთ სამცხე (შეადარეთ: მესხ-ეთ-ა → მსხეთა → მცხეთა).

ამრიგად, როგორც მესხეთი, ისე სამცხე იწარმოება ერთი ფუძისაგან (მესხ), ოღონდ სხვადასხვა აფიქსის მეშვეობით. სამცხე ნიშნავს „სამესხეს".

სართჰალა მოზრდილი სოფელია გარდაბნის რაიონში. ერთი შეხედვით, ამ სახელწოდების წარმოშობა თითქოს ნათელია: სართი-ჰალა. ალბათ ეს ჰალა რისიმე გაცვლის დროს ფასის გასათანაბრებლად ანუ სართად მისცესო. მაგრამ ისტორიულ დოკუმენტებში ამ სოფელს სათის-ჰალა ეწოდება. აქედან ჩანს, რომ ამ გეოგრაფიულ სახელში ჩვენ გვჭონია არა *სართი*, არამედ სულ სხვა სიტყვა — *სათი*.

სათი ანუ გიშერი შავი ფერის ქვაა (შავი ქარვა), რომელსაც ხშირად უდარებენ სხვადასხვა შავ საგანს: გიშრის წამწამები, რაც ხშირადაა ნახსენები ძველი პოეტების ლექსებში, ნიშნავს შავ წამწამებს, სათის ხალი — შავ ხალს და ა. შ. ასე რომ, სათის ჰალა ნიშნავს შავ ჰალას (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ ყარაია — ყარაიაზი, რაც თურქულად შავ ველს ნიშნავს). თვით ჰალა, საბას განმარტებით, არის „წყლის პირი ნაყოფიერი". იგი მრავალ ტოპონიმში მონაწილეობს (იხ. ჰალა).

სასირემი ორ სოფელს ჰქვია ქართლში (ქარელისა და კასპის რაიონებში). ამ სახელწოდებაში გამოიყოფა სა თავსართი და *ეთ* ბოლოსართი, რომელთა მოკვეცის შემდეგ გვრჩება *სირ*. სირი ძველი ქართული სიტყვაა, ჩიტს ნიშნავს (სხვათა შორის, ამ სიტყვისგანაა ნაწარმოები ფრინველის სახელი სირაქლემა, რაც „ჩიტაქლემას" უდრის). ავრიგად, სა-სირ-ეთ-ი იგივეა, რაც „სა-ჩიტ-ეთ-ი".

საყულია სოფელია წყალტუბოს რაიონში. მისი სახელწოდება ნაწარმოებია სა-ია აფიქსებით, ისევე როგორც სა-მტრედ-ია, სა-პრას-ია, სა-თაფლ-ია, სა-ღორ-ია და სხვანი. თავსართისა და ბოლოსართის ჩამოცილების შემდეგ რჩება *ყულ* ძირი, რაც მონას, ყმას, ტყვეს ნიშნავს. როგორც ჩანს, სახელწოდება სა-ყულ-ია იმ დროის გადმონაშთია, როცა საქართველოში ტყვეებით ვაჭრობა იყო გაჩაღებული (შეადარეთ ყულევი).

საჰილაო და *საჩავახო* სოფლის სახელებია, პირველი — სამეგრელოში (აბაშის რ. ახლანდელი პირველმაისი), მეორე — გუ-

რიაში (ამჟამად სამტრედიის რაიონს ეკუთვნის). გურია-სამეგრელოს ეს ვრცელი ზოლი, მდინარე რიონის ორივე სანაპიროს გაყოლებით, რომელიც იმერეთს ესაზღვრება (მასში შედის როგორც საჭილაო, ისე საჯავახო), ერთ დროს ქობულიძეთა სამფლობელო ყოფილა, მაგრამ შემდეგ, დაახლოებით XIII—XV საუკუნეებში, ჭილაძეების ხელში გადასულა. ალბათ იმ დროს დაერქვა მთლიანად ამ ვრცელ მიწა-წყალს საჭილაო.

ჭილაძეთა საგვარეულოს ერთ-ერთ მეთაურს ჯავახი ერქვა. ამ სახელით ცნობილია აგრეთვე მეორე ჭილაძეც — ჯავახ II, რომელიც XVI საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს იმერთა მეფე გიორგიმ მოკლა. სწორედ ერთ-ერთი ამ ჯავახის სახელის მიხედვით უნდა დარქმეოდა საჭილაოს (მთლიანად ან მის გარკვეულ ნაწილს) — საჯავახო.

ჯავახ მეორის სიკვდილის შემდეგ საჯავახო იმერთა მეფემ დაიპყრო. ამ მოხერხებული ადგილიდან მას მეტი წარმატებით შეეძლო ბრძოლა დადიანთან და გურიელთან. მაგრამ გურიისა და სამეგრელოს მთავრებმა არ დაანებეს მეფეს ეს ტერიტორია, უკანვე წაართვეს იგი და ერთმანეთს შორის გაიყვეს: დადიანმა მისი ჩრდილოეთი ნაწილი (რიონის მარჯვენა მხარე) დაიჭირა, გურიელმა კი — სამხრეთი (რიონის მარცხენა მხარე). ამის შემდეგ ჭილაძეების ყოფილი სამფლობელოს დადიანისეულ ნაწილს საჭილაოს ეძახიან, გურიელისეულ ნაწილს — საჯავახოს.

საჯინიბო სოფელია ივრის ხეობაში, ერწო-თიანეთში. ამ სოფლის მახლობლად, ზედ ივრის პირზე, არის ძველი სასახლის ნანგრევები და სამეურნეო ნაგებობათა ნაშთები. ზოგი მეცნიერის აზრით, აქ უნდა ყოფილიყო ძველი კახეთის ცენტრი — ქალაქი ჟალეთი, იგივე ჩელეთი.

ყოველ შემთხვევაში, სავსებით ბუნებრივია, რომ სასახლის მახლობლად იქნებოდა ცხენების სადგომი—საჯინიბო, რომლის სახელიც შემდეგ აქ გაშენებულ სოფელს შერჩენია.

საჯიჯაო სოფელია სამეგრელოში, ზოგჯერ საჩიჯაოსაც უწოდებენ. ფეოდალურ ხანაში ეს სოფელი თავად ჩიჩუებს ეკუთვნოდათ, რომელთა ერთი შტოს ჩამომავალი უნდა იყოს, როგორც ფიქრობენ, ჩიჯავაძის გვარი. ამიტომ სავარაუდებელია, რომ სა-ჯიჯა-ო (საჩიჯაო) ნიშნავს „საჩიჩუოს“ ან „საჩიჯავაძოს“.

სეიდაბადი თბილისის უძველესი უბანია ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (დღევანდელი ბალნეოლოგიური კურორტისა და აბანოების მიდამოები). სახელწოდება არაბულ-სპარსული წარმოშობისაა: *სეიდ* არაბულად ნიშნავს „ბედნიერს", „დღეკეთილს", ხოლო *აბად* კი სპარსულია და ნიშნავს „დასახლებულ, დამუშავებულ ადგილს", „ქალაქს". ამრიგად, სეიდაბადი ნიშნავს „ბედნიერ ადგილს (ქალაქს)".

სენაკი ერქვა განდეგილი ბერის ბინას. ალბათ გაგახსენდებათ ილია ჭავჭავაძის „განდეგილში" აღწერილი ბერის სადგომი: „ბნელსა სენაკსა, სად იგი მდგარა, ჰქონია მზის მხრივ ერთი სარკმელი".

სენაკი გეოგრაფიულ სახელადაც ქცეულა და დარქმევია სამეგრელოში სოფელს, სადაც წინათ უთუოდ ბერის სენაკი იყო. უწინ სენაკი ორი იყო: ძველი და ახალი. შემდგომში ახალი სენაკი მოზრდილ ქალაქად და რაიონულ ცენტრად იქცა, ოღონდ ამჯერად მას სახელი შეცვლილი აქვს და ცნობილი რევოლუციონერისა და სახელმწიფო მოღვაწის მიხა ცხაკაიას პატივსაცემად ცხაკაია ჰქვია, ხოლო ძველი სენაკი კვლავ ამავე სახელით დარჩა.

სვიფში სვანურად „მოედანს" ნიშნავს. ეს სახელი ჰქვია სვანეთში ორ სოფელს (ცხუმარისა და ფარის სასოფლო საბჭოებში). გარდა ამისა, ბეჩოს თემში არის სოფელი დოლასვიფი („დოლის მოედანი"; დოლი ადგილის სახელია).

სიმონეთი სოფელია თერჯოლის რაიონში, ზემო და ქვემო იმერეთის საზღვარზე. აქაური იყო გამოჩენილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი.

სვიმონეთი არაერთხელ არის მოხსენებული ძველ ისტორიულ საბუთებში. მის ისტორიულ წარსულს მოწმობს აგრეთვე მაღალ გორაკზე აღმართული ძველი ეკლესია, რომელიც წმინდა გიორგის სახელობისაა. სხვათა შორის, აქ იმარხებოდნენ სამეფო გვარეულობის შთამომავლებიც. წინათ ეს ეკლესია კიდევ უფრო მაღლა, შინდოვნის მთის წვერზე ყოფილა აგებული, სადაც მისი ნანგრევები ახლაც არის შემორჩენილი. ხალხი რომ გამრავლებულა, თანდათანობით ქვემოთ ჩამოუნაცვლებია და ერთი სოფლის ადგილას რამდენიმე მოზრდილი სოფელი გაჩენილა. მათგან ორ სოფელს ისევ სიმონეთი ჰქვია, ოღონდ გასარჩევად წინ დაერთვის სიტყვები *ზედა* და *ქვედა* (ზედა სიმონეთი, ქვედა სიმონეთი). ერთ სოფელს ნახშირ-

ღელე დარქმევია იქ ჩამომდინარე მოშავო ფერის ღელის სახელის მიხედვით. ნახშირღელის სასოფლო საბჭოს ეკუთვნის აგრეთვე პატარა სოფელი, რომელსაც ნავენახევი ჰქვია. სიმონეთის ძველი უბნებია აგრეთვე ახლა ცალკე სოფლებად ქცეული ეწერი (ნიშნავს მწირ, მცირემოსავლიან ადგილს) და ბარდუბანი (სახელწოდების ახსნა იხ. ზემოთ).

ყველა ეს სოფელი შეფენილია შინდოვნის მთის კალთებზე, მდინარე ყვირილას მარჯვენა შენაკადების ძერულასა (ძევრასა) და ჭიშურას შორის. მთელ ამ კუთხეს ისტორიულად სვიმონეთი ერქვა.

სახელწოდება სვიმონეთი ანუ სიმონეთი მიღებულია ადამიანის საკუთარი სახელისაგან — *სვიმონ* (სიმონ), რომელსაც დართული აქვს გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი *ეთ* სუფიქსი.

სიონი ებრაულად ნიშნავს ამაღლებულ ადგილს, მთას; სხვაგვარი განმარტებით — ადგილს, რომელსაც მზე აცხუნებს. ეს სახელი ჰქვია მთას იერუსალიმის მახლობლად. როგორც ადრე გვქონდა აღნიშნული, ძველად მორწმუნეებს სჩვეოდათ ქრისტეს სახელთან დაკავშირებული ტოპონიმების გადატანა თავიანთ ქვეყანაში (იხ. ბეთანია და ბეთლემი). სწორედ ამით აიხსნება, რომ სიონი საქართველოში რამდენიმე სოფლის სახელად გვხვდება (ყაზბეგის, თიანეთისა და მარნეულის რაიონებში). გარდა ამისა, თიანეთის რაიონში არის სოფელი სიონთგორი. სიონი ჰქვია აგრეთვე უძველეს ტაძრებს თბილისში და ბოლნისის მახლობლად. ბოლნისის სიონის კედლებზე შემონახულია უძველესი ქართული წარწერები (V ს.).

სიქთარვა სიმონეთის მეზობელი სოფელია, ისიც თერჯოლის რაიონს ეკუთვნის. სიქთარვა მიღებულია *სირთარუა*-საგან დისიმილაციისა და რედუქციის გზით. იგი კომპოზიტს წარმოადგენს და შედგება ორი ნაწილისაგან: სირთა-რუა. პირველი ნაწილია ძველი ქართული სიტყვა *სირი* („ჩიტი"), წარმოდგენილი ძველებური მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, მეორე ნაწილს კი შეადგენს ჩვენთვის კარგად ცნობილი სიტყვა *რუ*, რომელსაც დართული აქვს *ა* სუფიქსი (აღსანიშნავია, რომ რუა ცალკეც გვხვდება გეოგრაფიულ სახელად, *სირ*-ისაგან კი ნაწარმოებია აგრეთვე სოფლის სახელი სა-სირ-ეთ-ი, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი).

ამრიგად, სიქთარვა (ძველი ფორმით სირთა-რუა) ნიშნავს „ჩიტთა რუს", „ჩიტების ღელეს".

სიღნაღი ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის იმ ნაწილში, რომელსაც ქიზიყი ჰქვია. სიღნაღი გაშენებულია მაღლობზე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ალაზნის ველი და კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები. ქალაქს გარს ავლია სქელი გალავანი, რომელსაც წინათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავდაცვისათვის. ომიანობის დროს აქ თავს აფარებდა მშვიდობიანი მოსახლეობა. სწორედ ამიტომ შერქმევია მას სიღნაღი. იგი წარმოშობით თურქული სიტყვაა და „თავშესაფარს" ნიშნავს (ეს სახელი თანამედროვე თურქეთშიც ჰქვია რამდენიმე გეოგრაფიულ პუნქტს).

სკრდორი. რიონის ხეობაში, ამბროლაურსა და ონს შუა, მდინარის ვიწრო კალაპოტის ერთ მონაკვეთს სკოდორი ჰქვია. სწორედ აქ მოუვიდა მარცხი ორ ლენინგრადელ სპორტსმენს, რომელთაც განზრახული ჰქონდათ ბაიდარით გაეცურათ რიონი მთელ სიგრძეზე. ბაიდარი გადაბრუნდა და სპორტსმენები აბობოქრებულ მდინარეში ჩაცვივდნენ. ერთი კაცი დაიღუპა, მეორე კი ძლივს გადაარჩინეს (ვ. ცირეკიძე, საბედისწერო დაშვება რიონზე: „კომუნისტი", 22. VI, 1975).

სკოდი სვანურად ნიშნავს „ღრმას", ორ კი ხშირად აწარმოებს სვანურ ტოპონიმებს. ამრიგად, აშკარაა, რომ სკოდ-ორ-ი სვანური წარმოშობის ტოპონიმია და ნიშნავს „ღრმა ადგილს", „ღრმულს".

სპურჩა მდინარეა სამეგრელოში. სკური სწორედ „მდინარეს", „წყალს", „ღელეს" აღნიშნავს, *ჩა* კი მიღებულია *ხჩა*-საგან და ნიშნავს „თეთრს" (მეგრულ-ჭანურში; ამჟამად იხმარება ჩქ||ჭჩე). ამრიგად, სკურ-ჩა იგივეა რაც „წყალ-თეთრი" („თეთრი მდინარე"). იმავე *სკურ* სიტყვისაგან არის მიღებული სოფლის სახელები: სკურა (ქობულეთის რ.), სკურდა (ცხაკაიას რ.), სკურდი („ღელე დიდი"; გეგეჭკორის რ.). ამავე ძირს შეიცავს ალბათ ქუთაისის ერთ-ერთი უბნის სახელი ოღასკურა.

სოხუმი — ესაა ულამაზესი საკურორტო ქალაქი შავი ზღვის პირას, ნამდვილი ქალაქი-ბაღი, როგორც მას ხშირად ეძახიან. სოხუმი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრია.

ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ისტორიული

წყაროები ახსენებენ ქალაქს, რომელიც ახლანდელი სოხუმის მიდამოებში არსებულა და სახელად დიოსკურია რქმევია. ამ ქალაქის ნაშთები უკანასკნელ ხანებში აღმოაჩინეს სოხუმის ახლოს, იქ, სადაც მდინარე კელასური ერთვის შავ ზღვას.

ორი ათასი წლის წინათ დიოსკურია, ალბათ სტიქიური უბედურების შედეგად, დანგრეულა და ზღვას წაულეკია. მისი ნანგრევები ახლა ნაწილობრივ წყლითაა დაფარული. მის ახლოს შემდეგ კვლავ გაშენებულა ახალი ქალაქი, რომელსაც ბერძნები სებასტოპოლისს უწოდებდნენ. სახელწოდება სებასტოპოლისი იგივეა, რაც სევასტოპოლი და ნიშნავს „სებასტოს ციხეს (ქალაქს)". სებასტოს ანუ სევასტი ბერძნული სახელია, ნიშნავს „ღირსეულს", „პატივსადებს"; ამიტომ სევასტოპოლი შეიძლება ითარგმნოს როგორც „დიდებული ქალაქი". ქართულ საისტორიო წყაროებში ამ ქალაქს ეწოდება ცხომი ანუ ცხუმი (აქედანაა გვარები ცხომარია და ცხომელიძე, ე. ი. „ცხომელი" ანუ „სოხუმელი"). აფხაზები მას აყუა-ს ეძახიან, მეგრელები — *აყუ-ჯიხა*-ს.

დღევანდელი სახელწოდება სოხუმი *ცხუმ*-ის უცხოური (თურქული) გამოთქმის შედეგად არის მიღებული. რას ნიშნავს თვითონ ეს *ცხომი*||*ცხუმი*, ნათელი არ არის? შესაძლოა აქ *ომ* გამოიყოს როგორც გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი (ასეთივე დაბოლოების მქონე სახელებია: ბათომი, ბორჯომი, თორთომი, პალიასტომი, წრომი და სხვა). თუ ასეა, მაშინ იქნებ იგი *ციხე* სიტყვისაგან იყოს ნაწარმოები (*ციხ-ომ-ი* → *ცხ-ომ-ი*, ე. ი. „ციხისი"). ამგვარი ვარაუდის დასაშვებად ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ „ციხეს" შეიცავს აგრეთვე სოხუმის ძველი ბერძნული სახელწოდება სებასტობოლისი და მეგრული აყუჯიხა („აყუს ციხე"). უცხო წყაროებშიაც მას ეწოდება სოხუმკალე, ე. ი. „სოხუმის ციხე". სოხუმი ძველად მართლაც განთქმული იყო თავისი დიდი ციხე-გალავნით, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია და, ისტორიკოსთა ვარაუდით, რომაულ-ბიზანტიურ ეპოქას განეკუთვნება.

მეორე მოსაზრების მიხედვით, სახელწოდება *ცხომი*||*ცხუმი* უკავშირდება სვანურს და „რცხილას" ნიშნავს (*ცხუმ* — სვანურად: „რცხილა").

არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად ცხომი ძველი სატომო სახელწოდება უნდა იყოს (ისევე როგორც კახი, მესხი, ზა-

ნი, ჭანი და სხვანი). ასეა თუ ისე, საინტერესოა, რომ ფონეტიკურად მსგავსი გეოგრაფიული სახელები გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ცხმორი — რაჭაში, ცხმორისი — აჭარაში, ცხომარეთი — ზემო იმერეთში, ცხუმარი — სვანეთში.

სპათაგორი სოფელია ლეჩხუმში (ცაგერის რ.). სპა ძველი სიტყვაა და ჯარს, ლაშქარს ნიშნავს. ამრიგად, სპათაგორი იგივეა, რაც „ლაშქრის გორა", „მეომართა გორა".

სურამი საკურორტო დაბაა, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გამყოფი სურამის ქედის კალთაზე მდებარეობს. ჩვენი ქვეყნის ამ ორი ნაწილის დამაკავშირებელი მთავარი გზა სურამის უღელტეხილზე გადადის.

სურამში დგას ძველი ციხე, რომლის კედლებშიაც, გადმოცემის მიხედვით, ცოცხლად ჩაუტანებიათ დედისერთა ჭაბუკი, სახელად ზურაბი. ალბათ ყველას ახსოვს, როგორ დასტირის დედა თავის ზურაბს:

სურამისა ციხეო,
სურვილითა გნახეო,
ჩემი ზურაბ მანდ არის,
კარგად შემინახეო!

ცნობილმა ქართველმა მწერალმა დანიელ ჭონქაძემ ეს ლეგენდა გამოიყენა თავის მოთხრობა „სურამის ციხეში".

სურამ თურქულად ნიშნავს „ციხეს" და სწორედ ციხის მიხედვით უნდა დარქმეოდა გეოგრაფიულ პუნქტს ეს სახელი. მაგრამ ამავე დროს ადამიანის სახელი ზურაბ თურქულ გამოთქმაში იცვლება და გვაძლევს *სურამ* ფორმას. ამის გამო სახელი ზურაბი დაუკავშირდა სურამის ციხეს და ეს უკანასკნელი გაგებული იქნა როგორც „ზურაბის ციხე".

სუფსა მდინარეა გურიაში. ასევე ეწოდება ამ მდინარის პირას მდებარე სოფელსაც ლანჩხუთის რაიონში. მდინარე სუფსა სათავეს იღებს სურების მთებში, სადაც გაშენებულია სოფლები ზემო სურები, შუა სურები, თავსურები (ჩოხატაურის რ.). სურებ-ში ებ მრავლობითი რიცხვის ნიშანია, ასე რომ, მხოლობითში უნდა გვქონოდა *სურ*, რაც „წყალს" ნიშნავს. ამრიგად, სურები — ესაა იგივე „წყლები". მეორე მხრივ, *სურუ* ნიშნავს აგრეთვე „ჯოგს" (თურქულად), ასე რომ, სურები შეიძლება „ჯოგებს" ნიშნავდეს, მით უფ-

რო, რომ ამ მაღალმთიან მხარეში შესანიშნავი საძოვრებია. იმავე სიტყვისაგან არის მიღებული მდინარის სახელწოდება სუფსა (← სურ-ფსა). გურიაშივე პატარა მდინარის სახელია სუჭითა, რომელიც *სურ-ჭითა*-საგან მომდინრეობს და იგივეა, რაც „წყალწითელა".

ფსა წყლის, მდინარის აღმნიშვნელი სიტყვაა ჩერქეზულ-ადიღეურში. ამგვარი მაგალითების მიხედვით მეცნიერები ვარაუდობენ, ძველისძველად ჩერქეზთა ტომებს უფრო სამხრეთით, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე უცხოვრიათო. ისიც არ არის გამორიცხული, რომ „წყლის" აღმნიშვნელი იმავე ძირის სიტყვა ქართველ ტომთა ენაშიც გვქონოდა.

ამრიგად, *სუფსა* კომპოზიტია, ორი ნაწილისაგან შედგება და ნიშნავს „სურის წყალს" „სურის მდინარეს".

სუხჩა სოფელია წულუკიძის რაიონში. სახელი დარქმეული ჩანს მდინარის მიხედვით. ამ სახელწოდების პირველი ნაწილი *სუ (სურ)* იგივეა, რაც *სუფსა*-ში და „წყალს" ნიშნავს, მეორე ნაწილს კი წარმოადგენს მეგრული სიტყვა *ხჩე (ქჩე||ჩე)* — „თეთრი". ამრიგად, სუხჩა ანუ სუხჩე „თეთრ წყალს", „წყალ-თეთრას" ნიშნავს (შეადარეთ სოფლის სახელი სამეგრელოში: წარჩე — „წყალ-თეთრა", მდინარის სახელი გურიაში: სუ-ჭითა — „წყალ-წითელა" და სხვანი).

სუჯუნა ცნობილი სოფელია სამეგრელოში (აბაშის რ.). მის სახელწოდებაში წარმოდგენილია *სურო* სიტყვის ძველი კოლხური შესატყვისი ფორმა *სუჯ-ი*, რომელიც დღეს მეგრულში აღარ გვხვდება და მხოლოდ ჭანურ კილოშია დაცული. ამ ფუძეს დართული აქვს *უნ-ა* (||*ონ-ა*=ქართ. *ოვან*) სუფიქსები. ამრიგად, *სუჯუნა* (*სუჯ-ონა-ა*) ნიშნავს „სუროიანს".

სხანარი სოფელს ჰქვია რაჭაში (ონის რ.). სახელწოდება მომდინარეობს *სხალნარ*-ისაგან, სადაც ნარნარა თანხმოვანთაგან ერთერთი *(ლ)* დაკარგულა. *მსხალ* სიტყვისაგან იწარმოება აგრეთვე სოფლის სახელები: მსხლები (ლენინგორის და ჯავის რ.), მსხალდიდი (გარდაბნის რ.), სხალტბა (მცხეთის რ.).

ტაბაწყური, ტაბახმელა — ეს გეოგრაფიული სახელები შეიცავენ *ტაბა* ანუ *ტბა* სიტყვას.

ტაბაწყური დიდი ტბის სახელია თრიალეთში. ასევე ჰქვია ამ

ტბის პირას მდებარე სოფელსაც. ტაბაწყური ანუ ტაბისყური იგივეა, რაც „ტბის ყური". ასეთი სახელი ჯერ სოფელს უნდა დარქმეოდა და შემდეგ კი მის მიხედვით თვითონ ტბასაც დარქმევია.

ტაბახმელა რამდენიმე გეოგრაფიული პუნქტის სახელია, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილია თბილისის ახლოს, კოჯრის მხარეს მდებარე სააგარაკო სოფელი. აქ იყო ქართველ მეფეთა საზაფხულო სადგომი. აქ ჰყვარებია ყოფნა თამარ მეფეს. ტაბახმელა ნიშნავს „ტბახმელას", ანუ „ამომშრალ ტბას".

ტბასთან არის დაკავშირებული აგრეთვე ბევრი სხვა გეოგრაფიული სახელწოდება: ტბა (ბორჯომისა და ცხინვალის რ.), ტბეთი (ცხინვალის, ლენინგორის, ჯავის, ამბროლაურის, შუახევის, გულრიფშის რაიონებში), ტბისი (თეთრიწყაროს რ.), ტაბანათი (ლანჩხუთის რ.), სხალტბა (მცხეთის რ.), უკანტბა, ტბათანა და სხვანი. ტბა სიტყვის კოლხური ფორმაა ტობა, რომლისგანაც აგრეთვე რამდენიმე გეოგრაფიული სახელი იწარმოება (იხ. ქვემოთ ტობათი).

ტაშისკარი ცნობილი სოფელია ქართლში, ხაშურის ახლოს, სადაც თავდება ბორჯომის ხეობა და იწყება ქართლის ველი. აქ 1600 წელს ქართველებმა გიორგი სააკაძის სარდლობით სასტიკად დაამარცხეს შემოსეულ ოსმალთა მრავალათასიანი ლაშქარი. ტაშისკარში დღევანდლამდე დგას ამ ბრძოლის მომსწრე უზარმაზარი კაკალი, რომლის ქვეშაც ომში გამარჯვებულ ქართველებს ლხინი გადაუხდიათ.

სახელწოდება ტაშისკარი, ჩანს, მიღებულია *ტაშირის კარ*-ისაგან. *ტაშირი* მთებს შორის მოქცეულ ვაკე ადგილს, მთებით მოზღუდულ ველს ეწოდება. ეს სიტყვა ცალკეც გვხვდება ჩვენს ტოპონიმიაში: ტაშირი ერქვა ქართლის ერთ ნაწილს — ქვემო ქართლს. როგორც გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი განმარტავს, „ეწოდების ამ ადგილს ტაშირი სივაკისათვის".

ასეთივე ვრცელი ვაკე ან ტაშირი იწყება იქ, სადაც მტკვარი გამოდის ბორჯომის ხეობიდან და სადაც მდებარეობს ტაშისკარი.

ტვებიში, ტვიბერი, ტვიბი სოფლებს ჰქვია სვანეთში. პირველი ორი მესტიის რაიონშია, მესამე — ლენტეხის რაიონში. ყველა ეს სახელი ნაწარმოებია ტვიბ სიტყვისაგან, რაც სვანურად ტბას, ღელეს, ნაკადულს ნიშნავს. პირველ ორს დართული აქვს სვანური

გეოგრაფიული სახელებისათვის დამახასიათებელი სუფიქსები: *იშ* (უდრის ქართულ *ის* სუფიქსს) და *ერ* (უდრის ქართულ *იან-ს*, მესამე კი უაფიქსოდ, მარტივი სახით წარმოგვიდგება.

ტვიში სოფელია ლეჩხუმში, განთქმული თავისი ტკბილი და არომატული ღვინით. სახელწოდება უკავშირდება ზემოხსენებულ სვანურ *ტვიბ* სიტყვას (ტვიბ-იშ-ი→ტვიში) და მნიშვნელობით იგივეა, რაც „ღელისა" (შეადარეთ ტვებიში, რუისი). მეორეგვარი ვარაუდით, *ტვიში* მომდინარეობს სვანურივე *ტვის* („მტვერი") სიტყვისაგან და ნიშნავს „მტვრიანს" (ტვის-იშ-ი→ტვიში „მტვრისა").

ტინისხიდი სოფელია გორის მახლობლად. მისი სახელი ისტორიულ დოკუმენტებში დასტურდება XVI საუკუნის დამდეგიდან. *ტინი* პიტალო კლდეა. ასე რომ, ტინისხიდი (ტინისხიდი) კლდის ხიდს ნიშნავს.

ტირიფონა ცნობილი ველის სახელია ქართლში. აბლა ეს ვრცელი ველი ირწყვება არსით, რომელსაც ტირიფონის არხი ჰქვია. სახელწოდება უკავშირდება მცენარეს—ტირიფს და „ტირიფიანს", „ტირიფოვანს" ნიშნავს. აქ განსაკუთრებით საგულისხმო ისაა, რომ *ონ* (*ონ-ა*) სუფიქსი აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმში გვხვდება, რაც მეტად იშვიათი მოვლენაა, დასავლეთ საქართველოში კი — კერძოდ, სამეგრელოში — ეს სუფიქსი ძალზე გავრცელებულია (ამის ნიმუშებია: ქვალონი, ქვიშონი, ჭუბურონა, ჭველეთონა და სხვა).

ტირიფის სხვადასხვა სახეობას ძეწნა და წნორი ჰქვია. ტოპონიმები ამათგანაც არის ნაწარმოები (იხ. ძეწნმანი, წნორი).

ტობათი, ტობანიერი, ტობახჩა. როგორც ზემოთ ვამბობდით, *ტობა* კოლხური შესატყვისია *ტბა* (*ტაბა*) სიტყვისა და არაერთი გეოგრაფიული სახელის წარმოქმნაში მონაწილეობს. ერთ-ერთი ამათგანია *ტობათი* — სოფლის სახელი ლანჩხუთის რაიონში. იგი ნაწარმოებია *თ* (*ათ*) სუფიქსით და იგივეა რაც „ტბეთი".

ვანის რაიონში არის სოფელი *ტობანიერი*. აქაური იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე. *ტობანიერი* მნიშვნელობით უდრის „ტბიანს".

ჩოხატაურის რაიონში ერთ სოფელს *ტობახჩა* ჰქვია. აქაც გვაქვს

სიტყვა *ტობა*, რომელსაც მსაზღვრელად ერთვის *სჩა* — „თეთრი“ (შეადარეთ ამავე სიტყვის მონაწილეობით წარმოქმნილი სახელწოდებანი: *სკურჩა, სუხჩა, წარჩე*). ამრიგად, *ტობახჩა* „თეთრ ტბას“ ნიშნავს.

ის ფაქტი, რომ ყველა ზემოხსენებული სახელწოდება დღევანდელი სამეგრელოს ფარგლებს გარეთ მდებარე პუნქტებს ჰქვია, ისტორიულად კოლხური დიალექტის დიდ გავრცელების არეზე მიუთითებს. თვითონ სამეგრელოში *ტობა*-საგან ნაწარმოებია სოფლის სახელი *ოტობაია*, რომელიც ზემოთ უკვე გვქონდა განხილული, და *ტბის* სახელწოდება *ტობა-ვარჩხილი* („ტბა-ვერცხლი“).

ტყაია სოფელია სამეგრელოში (*ზუგდიდის რ.*). *ტყა* კოლხური ფორმაა *ტყე* სიტყვისა. მას დართული აქვს გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი *ია* სუფიქსი. ამრიგად, *ტყაია* ნიშნავს „ტყიანს“.

ტყაჩირი სოფელია წყალტუბოს რაიონში. სახელწოდება კომპოზიტს წარმოადგენს, რომლის პირველი ნაწილია ზემოხსენებული *ტყა* — იგივე *ტყე; ჩირი* ანუ *მჩირი (მჩირე)* კი მეგრულად „ფართოს“ ნიშნავს. ამრიგად, *ტყაჩირი* — ესაა „ტყე ფართო“, „ტყე ვრცელი“.

ტყელვანი სოფელია ვანის რაიონში. ესაა იგივე *ტყემლ-ოვან-ი*, რომელსაც *ო* ხმოვნის დაკარგვით უნდა მოეცა *ტყემლვანი* (შეადარეთ: *ბზოვანი*→*ბზვანი, ბალახოვანი*→*ბალახვანი*), მაგრამ აქ კიდევ რამდენიმე ნარნარა თანხმოვნის თავმოყრის გამო *მ* დაკარგულა და საბოლოოდ მივიღეთ *ტყელვანი*.

ტყვარჩელი ცნობილი ქალაქია, განთქმული ქვანახშირის საბადოებით. მისი სახელწოდება შედგება ორი ნაწილისაგან: *ტყვარჩელი*. პირველი ნაწილი *ტკვა* ანუ *ტყვა* მეგრულად „კიბეს“ ნიშნავს, მეორე ნაწილს კი შეადგენს *რჩელი*, რომელსაც ორგვარი მნიშვნელობა აქვს: „თეთრი“ და „დაფენილი“. ამრიგად, *ტყვარჩელის* განმარტება ასეთია: „თეთრი კიბე“ ან „დამრეცი კიბე“.

შესაძლოა *რჩელ* სიტყვისაგან მომდინარეობდეს აგრეთვე სამეგრელოს ერთ-ერთი სოფლის სახელი *დარჩელი* („დაფენილი“, „დაგებული“).

ტყვირი — აბაშის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სახელი — იმავე *ტყვა (ტკვა)* „კიბე“ სიტყვისაგან ჩანს მიღებული და „კიბესავით დამრეცს“, „კიბულას“ უნდა ნიშნავდეს (მნიშვნელობის

მსრივ შეადარეთ ქუთაისის ერთ-ერთი უბნის სახელწოდება კიბულა, სოფლის სახელი აჭარაში დანდალო და სხვანი).

ტყიბული ტყვარჩელის მოძმე ქალაქია, ასევე ცნობილი თავისი ქვანახშირის საბადოებით. ერთ ცნობილ გელათურ ხელნაწერში (XIII ს.) ტყიბული იხსენიება *ტყირბულ*-ის ფორმით, რაც საშუალებას აძლევს მკვლევარებს (მ. ბერძული, მ. ალავიძე), იგი დაუკავშირონ ზანურს (*ტყარი ბული* — „ტყიური ბალი", ე. ი. „ბალამწარა"). ზანური ფენა ოკრიბის ტოპონიმიაში საკმაოდ მკვეთრად გამოიყოფა, ხოლო მცენარეთა სახელებისაგან ტოპონიმების წარმოქმნა საყოველთაოდ გავრცელებული ხერხია.

ტყირი, იგივე *ტკირი*, სოფლის სახელია სამეგრელოში (ცხაკაიას რ.). აქ ფუძის სახით, უაფიქსოდ არის წარმოდგენილი სიტყვა *ტკირი*, რაც მეგრულად „ფიქალს", „ფიქალიან ადგილს (კლდეს)" ნიშნავს.

უდე ცნობილი სოფელია ახალციხის რაიონში. ამ სახელწოდებაში ჩვენ უნდა გვჭონდეს კოლხური სიტყვა *ყუდე* — „სახლი", „ბინა". ეს სიტყვა კოლხურშიც ცვლილებას განიცდის და კარგავს თავკიდურ თანხმოვანს: *ყუდე*→*უდე*. საინტერესოა ახალგაზრდა მკვლევარ მ. ბერიძის დაკვირვება, რომ უდელები თავიანთი სოფლის სახელში უ-ს ძლიერი შემართვით გამოთქვამენ, თითქოს მის წინ რაღაც გარდამავალი ბგერა ისმისო. ასე რომ, ადვილი შესაძლოა *უდე* კოლხური *ყუდე*-საგან იყოს მიღებული.

ურბნისი მდებარეობს ქართლში, დღევანდელი ქარელის რაიონში. ძველად, ჯერ კიდევ 2500 წლის წინათ, იგი ქალაქი ყოფილა, რაც დასტურდება როგორც ისტორიული ცნობებით, ისე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებით. ქართლში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების შემდეგ ურბნისი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა, რომელსაც ურბნელი ეპისკოპოსი განაგებდა. დავით აღმაშენებლის დროს ნაწილობრივ აქ მიმდინარეობდა დიდი საეკლესიო კრება, რომელიც რუის-ურბნისის კრების სახელით არის ცნობილი.

V—VI საუკუნეთა მიჯნაზე უბრნისში აუგიათ ბაზილიკური ტიპის დიდებული ეკლესია. მტერთაგან მრავალგზის შემუსვრილი და ქართველების მიერ კვლავ განახლებული ეს ტაძარი დღემდე არის შემონახული. მაგრამ უბრნისი როგორც ქალაქი მტრების ხშირმა

თავდასხმამ გააპარტახა და გაანადგურა. იგი საბოლოოდ წელში გატეხა არაბთა შემოსევამ მურვან ყრუს მეთაურობით. ამის შემდეგ ურბნისი სოფლად იქცა.

სასელწოდება *ურბნისი* სწორედ ამაზე მიუთითებს, რომ იგი ერთ დროს ქალაქი იყო. ლათინურად *ურბს* ნიშნავს „ქალაქს", *ურბანუს* — „ქალაქისა" „საქალაქო". ზოგი მას უკავშირებს ფრინველის სახელს — ორბს.

ურეკი დაბაა გურიაში, ამჟამად განთქმულია დიდი საბჭოთა მეურნეობით. ურეკი კოლხური სიტყვაა, ნიშნავს გაუვალ უღრან ტყეს. წინათ ბატონები სანადიროდ რომ წავიდოდნენ, ტყეში მარეკებს დაგზავნიდნენ ნადირის დასაფრთხობად და გამოსარეკად, თვითონ კი მოსერხებულ ადგილას ჩაესაფრებოდნენ და ასე ნადირობდნენ. *ურეკი* ერქვა ისეთ ტყეს, სადაც ასეთი რამ არ ხერხდებოდა, ე. ი. სადაც ნადირობა შეუძლებელი იყო ხშირი, გაუვალი ტყის გამო. ურეკში უღრანი ტყე დიდი ხანია აღარაა, მაგრამ ადგილს კი ეს სახელი შერჩა.

უფლისციხე ცნობილი ისტორიული სოფელია ქართლში, გორის მახლობლად. აქ მტკვრის პირას კლდეში ნაკვეთი ბუნებრივი გამოქვაბულები ჩვენს წინაპრებს შორეულ წარსულშივე უქცევიათ საცხოვრებელ ბინებად, გაუმაგრებიათ და იმ დროის შესაფერისად მოუწყვიათ. ასე წარმოქმნილა კლდეში გამოკვეთილი პირველყოფილი სოფელი, როგორც ისტორიკოსები ვარაუდობენ, ძველი წელთაღრიცხვის II და I ათასწლეულთა მიჯნაზე, ე. ი. სამი ათას წელზე მეტი ხნის წინათ.

საქართველოში ასეთი კლდეში ნაკვეთი ძეგლი სამია: უფლისციხე, გარეჯა და ვარძია. უფლისციხე მათ შორის ყველაზე ძველია. შემდგომში უფლისციხე ქალაქად ქცეულა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იბერიის სამეფოს ცხოვრებაში. მაგრამ მტრების ხშირი შემოსევისა და აოხრება-გაჩანაგების შედეგად ქალაქი უფლისციხე საბოლოოდ აღმოიფხვრა. ცხადია, მის მოსპობას საქალაქო პირობების შეცვლამაც შეუწყო ხელი. შემდგომში ამ კლდეში ნაკვეთი ქალაქის მახლობლად გაშენდა სოფელი, რომელსაც უფლისციხე ჰქვია. უფალი ძველ ქართულში ნიშნავდა ბატონს, ასე რომ, უფლისციხე— ესაა იგივე „ბატონის ციხე".

შცხერი ჰქვია ლაჯანურის ხეობაში ერთ სოფელს, რომელიც

ღვარიშის სასოფლო საბჭოში შედის (ცაგერის რ.). ერ ხშირად გვხვდება ფორმანტად სვანური წარმოშობის ტოპონიმებში, ხოლო *უცხ* *ვიცხ* აგრეთვე სვანური სიტყვაა და „მსხალს“ ნიშნავს. ამრიგად, უცხ-ერ-ი იგივეა, რაც „მსხლიანი“ (შეადარეთ სოფლის სახელები: *სხლოვანი* თიანეთის რაიონში, *სხლითი* ონისა და ორჯონიკიძის რაიონებში).

ფარცხანაყანევი სოფელია ქვემო იმერეთში, წყალტუბოს ახლოს. ერთი შეხედვით, ამ გეოგრაფიული სახელის წარმოშობა თითქოს ნათელია: ვიღაცას ალბათ ნაყანევი ადგილი დაუფარცხავს და ფარცხანაყანევი (ადგილობრივი გამოთქმით — ფარცხანაყანები) ამიტომ დარქმევიაო. მაგრამ ასეთი ახსნა სწორი არ არის.

ისტორიული დოკუმენტებით დასტურდება ამ სოფლის ძველი სახელწოდება *ფარსმანყანევი* (XIII ს.). აქედან ჩანს, რომ იგი უკავშირდება *ფარსმანს* (ადამიანის სახელს) და ნიშნავს „ფარსმანის ყანებს“.

შემდგომში, როცა *ფარსმან* სახელი ხმარებიდან გადავარდა, *ფარსმანყანევ*-ის ძველი მნიშვნელობაც დავიწყებას მიეცა, იგი ახლა სხვაგვარად იქნა გააზრებული და ამის მიხედვით მისი გამოთქმაც შეიცვალა. ფარსმანყანევის გვერდით ძველადვე იხმარებოდა ფარცმანყანევი, აგრეთვე ფარცმანაყანევი და ფარცანაყანევი (ყველა ეს ფორმა დაცულია ისტორიულ საბუთებში), ამ უკანასკნელისაგან კი ახალ ქართულში მივიღეთ ფარცხანაყანევი.

ფასანაშრი ცნობილი საკურორტო ადგილია არაგვის ხეობაში. სახელწოდება წარმოქმნილია ურ სუფიქსით ადამიანის საკუთარი სახელისაგან: ფასანა-ურ-ი (წარმოშობის მხრივ შეადარეთ: ამბროლაური, ანანური, ბადიაური). სახელი ფასანა დღეს აღარ გვხვდება, მაგრამ ძველად არსებულა. მისგან ნაწარმოებია გვარი ფასანაშვილი.

ფოთი — უძველესი შავიზღვისპირა ქალაქისა და ნავსადგურის სახელწოდება, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, მომდინარეობს ფასდ-ისაგან და უკავშირდება მდინარე რიონის ძველ ბერძნულ სახელს *ფაზისს* ანუ *ფასიდს* (იხ. ზემოთ რიონის განმარტება). ფოთს მეგრული გამოთქმით ეწოდება *ფუთი*. საინტერესოა, რომ ეს ფორმა (ფუთი) გვხვდება აგრეთვე სოფლის სახელადაც (ზესტაფონის რ.).

ფოქვში. ფოქვა მეგრულად გაშოქვაბულს, მღვიმეს ეწოდება. მაშასადამე, სოფლის სახელი ფოქვ-ეშ-ი (ოჩამჩირის რ.) ნიშნავს: „გამოქვაბულისა", „მღვიმისა" (შეადარეთ სოფლის სახელი იმერეთში — მღვიმევი).

ქანდა ერთ-ერთი ძველი სოფელია ქართლში (მცხეთის რაიონში). ამჟამად არის ძველი ქანდა და პატარა ქანდა.

ქანდის მიდამოებში კარგი სანადირო ადგილები ყოფილა. ამიტომ თამარ მეფის მამამ გიორგი მეფემ ეს სოფელი მონადირეთა სადგომად გახადა, ხოლო შიომღვიმის მონასტერს, რომელსაც ეს სოფელი მანამდე ეკუთვნოდა, სამაგიეროდ სხვა სოფლის მიცემა აღუთქვა (1170 წ.).

ქანდას ძველად უწოდებდნენ ყვითელყვავილიან ბოსტნეულ მცენარეს — დარიჩინს. საბას განმარტებით, ქანდა ჰქვია აგრეთვე „ოქროს ვარაყს." ამ ორი მნიშვნელობიდან უფრო მოსალოდნელია, რომ სოფელს სახელი შერქმეოდა მცენარის მიხედვით (შეადარეთ ბოსტნეულ მცენარეთა სახელებისაგან ნაწარმოები ტოპონიმები: ქინძათი, ქინძარა, სანიორე და სხვანი).

ქართლი. საქართველოს მიწა-წყალი ისტორიულად რამდენიმე ნაწილად იყოფა. ამ კუთხეების ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა როგორც ადგილმდებარეობა, ისე ისტორიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები. სხვადასხვა ისტორიულ ხანაში ეს კუთხეები სხვადასხვა სამეფოებში შედიოდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველი კუთხის მცხოვრები შორეულ წარსულშიც კარგად გრძნობდა, რომ მათ ერთმანეთთან აკავშირებდა საერთო წარმოშობა და საერთო ენა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილთა განუყრელი ერთიანობის გრძნობა განსაკუთრებით მკაფიოდ, უბრალოდ, მაგრამ გულში ჩამწვდომად გამოთქვა პოეტმა დუტუ მეგრელმა. ამიტომ ეს ლექსი ყველა ქართველმა ზეპირად იცის:

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო—
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო.

ეს სტრიქონები გასულ საუკუნეში შეიქმნა, მაგრამ ის არის გამოხატულება ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გრძნობისა. ჯერ კიდევ X საუკუნეში გამოჩენილი ქართველი მწერალი და მოღვაწე გიორგი მერჩულე წერდა: ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, სადაც ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვისო, ე. ი. ქართლია მთლიანად ის ვრცელი ქვეყანა, სადაც წირვა-ლოცვა (და, მაშასადამე, ლაპარაკი) ქართულ ენაზე მიმდინარეობსო. ამრიგად, ქართლში აქ საერთოდ საქართველო იგულისხმება, მწერალი ქართლს ხმარობს საქართველოს გაგებით, რადგან ეს ტერმინი *საქართველო* იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა. იგი იხმარება მხოლოდ XI საუკუნიდან, როცა ძირითადად დამთავრდა ქვეყნის გაერთიანების პროცესი და ერთ სახელმწიფოში პირველად გაერთიანდა ქართულ ენაზე მოლაპარაკე მთელი ხალხი, რომელიც მანამდე რამდენიმე სამეფოს შეადგენდა (აღმოსავლეთით ქართლი და კახეთ-ჰერეთი, სამხრეთით ტაო-კლარჯეთი, ხოლო დასავლეთით კოლხეთი ანუ ეგრისი, რომელსაც იმხნად აფხაზეთი ეწოდებოდა).

შემდგომში, ისტორიული ქარტეხილების გამო, საქართველოს ერთიანი სამეფო რამდენჯერმე დაიშალა, აღდგა და ისევ დაიშალა, მაგრამ ქართველი ხალხის ერთიანობის შეგნება არასოდეს გამქრალა. ქართველი მამულიშვილები ყოველთვის ესწრაფოდნენ ერთიანი საქართველოს აღდგენასა და შენარჩუნებას და ამ ბრძოლაში ყოველთვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის შუაგული—ქართლი.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 2.300—2.400 წლის წინათ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ძლიერი სამეფო — იბერია ანუ ქართლი, რომლის დედაქალაქი იყო მცხეთა. ფიქრობენ, რომ თავდაპირველად ამ ქვეყნის დედაქალაქსაც ქართლი რქმევია. საინტერესოა, რომ მეგრულად და აფხაზურად თბილისს დღემდე *ქართი* ეწოდება.

სახელწოდება ქართლი მომდინარეობს ქართების ტომის სახელისაგან, რომელსაც დართული აქვს სუფიქსი ლ (ქართ-ლ-ი). ამავე ფუძისაგან არის ნაწარმოები ქართვ-ელ-ი, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა ქართლის სამეფოს მცხოვრებს. ქართლის მცხოვრებთა მეორე სახელი ყოფილა იბერი ანუ ივერი, საიდანაც მომდინარეობს ქვეყნის სახელწოდება იბერია||ივერია. ამ მეორე

სახელის ძირია *ბერ*||*ვერ*, რომელსაც მეცნიერები უკავშირებენ ქართველთა წინაპრების წარმართული ღვთაების სახელს. ეს ძირი საფუძვლად უძევს ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის უცხოურ სახელწოდებებს: *ვრაც* — „ქართველი", *ვრასტან* — „საქართველო" (სომხურად), *გურჯ*—*გურჯისტან* (სპარსულად), *გრუზინ*—*გრუზია* (რუსულად). *ჯორჯენ*—*ჯორჯია* (ინგლისურად) და ა. შ.

ქედა აჭარის ერთ-ერთი რაიონული ცენტრია. სახელწოდება ნაწარმოებია *ქედ* სიტყვისაგან ა სუფიქსით. გეოგრაფიულ სახელად გვხვდება იგივე ფუძე უაფიქსოდ, მარტივი სახითაც: *ქედი* სოფელია კასპის რაიონში. ცნობილია აგრეთვე სოფლები: *ქედიგორა* (ლენინგორის რ.), *ქედისუბანი* (ამბროლაურის რ.), *ქედქედი* (ბათუმთან). ბათუმის მახლობლადვე, აჭარისწყლის სასოფლო საბჭოში, ერთ უბანს *ქეციქეთი* ჰქვია. ესაა იგივე *ქედს-იქეთი*.

ქვაბღა სოფლის სახელია ჩოხატაურის რაიონში, მდინარე გუბაზოულის ხეობაში. ამ სიტყვის პირველი ნაწილია *ქვა*, მეორე ნაწილი კი (*ბღა*) ჭანურად ნიშნავს „დაყრილს", ე. ი. მთლიანად სახელწოდება *ქვაბღა* ნიშნავს „*ქვა-ყრილს*". გუბაზოულის ხეობა ამ სოფელთან მართლაც მსხვილი ქვებით არის მოფენილი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ტოპონიმიაში გვხვდება აგრეთვე *ქვაბღას* ქართული შესატყვისი — *ქვაყრილი* (ჰქვია მთას სამხრეთ საქართველოში). გარდა ამისა, *ქვა* სიტყვისაგან ნაწარმოებია მრავალი სხვა გეოგრაფიული სახელიც: *ქვები* (ორჯონიკიძის რ.), *ქვიანი* (ლანჩხუთის რ.), *ქვათხრი* (ქარელის რ.). *ქვახვრელი* (გორის რ), *ქვაცხე* (ჭიათურის რ.), *ქვასათალი* (ცხინვალის რ.), *ქვაითი* (გეგეჭკორის რ.), *ქვათახევი*, *ქვალონი*, *ქვაყუდე*, *ქვაშიხორი*... ამათგან მცირე განმარტებას მოითხოვს ბოლო სამი სახელწოდება.

ქვალონი ჰქვია ორ სოფელს ცხაკაიას მახლობლად, აგრეთვე გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონებში. ამ სახელწოდებაში დაცულია *ქვა* სიტყვის ძველი ფორმა *ქვალ*, ბოლოში კი გამოიყოფა იან სუფიქსის კოლსური შესატყვისი ონ. როგორც ზემოთ ტირიფონასთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, ეს სუფიქსი ძალზე გავრცელებულია ბეგრულ ტოპონიმებში. ამრიგად, *ქვალონი* ნიშნავს „*ქვიანს*" (შეადარეთ გურიის ერთ-ერთი სოფლის სახელი *ქვიანი*).

ქვაყუდე — სოფლის სახელი სამტრედიის რაიონში — აგრეთვე კოლხურის მიხედვით აიხსნება. ამ სახელწოდების მეორე ნაწილია

ყუდე — „სახლი". ამრიგად, იგი ნიშნავს „ქვის სახლს" (შეადარეთ ქვა-ციხე, ქვა-ხვრელი და სხვა).

ქვაშიხორი. სახლს მეგრულად *ყუდე* ეწოდება, მაგრამ დიდი ნაგებობის, სასახლის აღსანიშნავად კი იხმარება მეორე სიტყვა *ოხორი*. ეს სიტყვა, რომელსაც მსაზღვრელად ისევ *ქვა* ახლავს, აგრეთვე გვხვდება სოფლის სახელად სამეგრელოში: *ქვაშიხორი*(← ქვა-შ-ი-ოხორი) ნიშნავს „ქვის სასახლეს".

ქვიშარი, ქვიშონა. წვრილ ქვას ქვიშა ეწოდება. აქედანაა ნაწარმოები სოფლის სახელები ქვიშარი (ამბროლაურის რ.) და ქვიშონა (გალის რ.). ქვიშონა ჰქვია იქვე პატარა მდინარესაც. ქვიშარი — ესაა იგივე ქვიშ-ნარ-ი, ქვიშ-ონ-ა კი ნაწარმოებია *ონ-ა* სუფიქსით და „ქვიშიანს" ნიშნავს (შეადარეთ ქვალონი, ტირიფონა).

ქიზიყი ეწოდება კახეთის ერთ ნაწილს, რომელსაც საზღვრავენ მდინარეები: იორი, ალაზანი და მტკვარი. ამ მხარის დახასიათებისას გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი წერს: „ამას ეწოდა პირველ კანბეჩოვანი კანბეჩთა სიმრავლისათვის... არიან კაცნი მებრძოლნი, მხნენი, ახოვანი, შემმართებელნი, მაგარნი, მიწყოლნი ურთიერთთა".

როგორც ვახუშტის სიტყვებიდან ჩანს, ქიზიყს ადრე კანბეჩოვანი ანუ კამბეჩოვანი რქმევია. ეს სახელწოდება ქართულ საისტორიო ძეგლებში IX საუკუნიდან გვხვდება. იგი აღნიშნავს როგორც მხარეს, ისე ქალაქსაც, რომლის მეორე სახელია ხორნაბუჯი. კიდევ უფრო ადრე კამბეჩოვანი იხსენიება უცხოურ წყაროებში. მათ შორის უძველესია სტრაბონის გეოგრაფია (I ს.). ამ ბერძნული გეოგრაფის ცნობით, იბერიიდან ალბანიაში მიმავალი გზა უწყლო და უსწორმასწორო კამბისენეზე გადისო. აკად. ი. ჯავახიშვილის აზრით, შესაძლებელია ეს ადგილი ახლანდელი შირაქის მინდვრები იყოსო.

კამბისენე შეიცავს ბერძნულ *ენე* სუფიქსს, *კამბის* კი იგივე სიტყვა კამბეჩია. სტრაბონი *კამბის*-ის სახელით იხსენიებს აგრეთვე მდინარეს, რომელიც დღევანდელი იორი უნდა იყოს.

სიტყვა კამეჩი ანუ კამბეჩი წარმოშობით ინდურ-ირანულია. ძველ ირანულ ენებში *გაუ, გავ* ნიშნავს მსხვილფეხა პირუტყვს — ზროხას (ე. ი. როგორც ძროხას, ასევე ხარს, რუს. вол). ეს სიტყვა

სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებით მრავალ ინდოევროპულ ენაში გვხვდება. სპარსულში *გავ* („ზროხა") სიტყვას *ერთვის მეშ* („ცხვარი") და ასე მიღებულია *გავ-მეშ*, რაც „კამეჩს" ნიშნავს. აქედან არის ეს სიტყვა შემოსული ქართულში.

კამბეჩი (კამეჩი) უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში არ გხვდება, მაგრამ აშკარაა, რომ ორი ათასი წლის წინათ ეს სიტყვა უკვე ყოფილა დამკვიდრებული ქართულ ენაში. ამას ადასტურებს გეოგრაფიული სახელწოდება კამბეჩოვანი.

ქობულეთი ცნობილი საკურორტო ქალაქია შავი ზღვის პირას, აჭარაში. საისტორიო წყაროებში იგი იხსენიება XVII საუკუნიდან. გაცილებით უფრო ადრე ბერძენ ისტორიკოსებს ამ მიდამოებში მოხსენიებული აქვთ ქალაქი პეტრა. შესაძლოა ეს ქალაქი სწორედ ქობულეთი იყოს. ბერძნულად პეტრა ნიშნავს „კლდეს", ხოლო ქართული სიტყვა *ქვაბი*, საბას განმარტებით, არის „კლდე გამოკაფული", ე. ი. კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბული. მას ძველად ადამიანი საცხოვრებელ ბინად იყენებდა. *ქვაბ* სიტყვისაგან იწარმოება მრავალი ქართული ტოპონიმი: *ქვაბისხევი, ქვაბთახევი, ქვაბისმანი, ქვაბისღელე* და სხვა. ერთ-ერთი ამათგანია ქობულეთი, სადაც ეთ გამოიყოფა როგორც გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებელი სუფიქსი. გვრჩება *ქობულ* ანუ იგივე *ქვაბულ* (როგორც ვიცით, ქართულში *ვა-ს* ხშირად ენაცვლება *ო:* თვალი — თოლი, კვამლი — კომლი, ცხვარი — ცხორი, *ქვაბი — ქობი...*).

დასაშვებია სხვაგვარი ვარაუდიც: ქობულეთი მიღებული იყოს არა უშუალოდ *ქვაბ*-ისა და *ქვაბულ*-ისაგან, არამედ *ქობულ* პიროვნული სახელისაგან, რომელიც ძველ ქართულში გვხვდებოდა და დღემდე შემორჩენილია გვარებში (*ქობულ* კაცის სახელად გვხვდება მცხეთის ჯვარის ერთ წარწერაში, რომელიც VII საუკუნით თარიღდება. დღეს გავრცელებული გვარებია: ქობულაძე, ქობულაშვილი, ქობულია).

ქუთაისი — საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი და თბილისის შემდეგ ყველაზე დიდი ქალაქი — მდებარეობს დასავლეთ საქართველოს შუაგულში, მდინარე რიონის პირას, უძველესი საზღვაო-სამდინარო და სახმელეთო გზების შესაყარში. მწვანეში ჩაფლული ქალაქი განსაკუთრებით ლამაზია გაზაფხულზე. ამიტომ დიდმა აკაკიმ მას „საჟარდო და სამაისო ქუთაისი" უწო-

და. ქუთაისი არა ერთი ქართველი მწერლის პოეტური აკვანი და შთაგონების წყაროა. იგი ძველთაგანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. ერთხანს, როცა თბილისი მტრებს ეპყრათ, ქართველ მეფეებს ტახტი ქუთაისში ედგათ.

ქუთაისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. როგორც ფიქრობენ, იგი დაახლოებით 3.500 წლისაა.

ქუთაისი (კვტაიის) პირველად იხსენიება აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" (III ს. ძვ. წ. ა.). საერთოდ, ძველ საისტორიო წყაროებში მისი სახელი მრავალგვარი ფორმით დასტურდება: კოტიაიონ, კვიტაიონ, ქუტეტისი, კოტაისი, კუტაია და სხვა. დღევანდელი სახელწოდების ადრინდელი ქართული ფორმა არის *ქუთათისი* (აქედანაა გვარი ქუთათელაძე). აქ გამოიყოფა *ის* სუფიქსი, რომელიც არაერთგზის გვხვდება ჩვენს გეოგრაფიულ სახელებში.

ის სუფიქსის ჩამოცილების შემდეგ გვრჩება *ქუთათ (ქუთა)*. მისი მნიშვნელობის შესახებ დღევანდლამდე მრავალი ვარაუდია გამოთქმული: ზოგი მკვლევარი მას უკავშირებდა აფხაზურს, ზოგი მეგრულსა და სვანურს. ამის მიხედვით ფუძის მნიშვნელობა გამოდის „კლდე", „სოფელი" ან ადამიანის საკუთარი სახელი. ამ ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ იგი *ქვა* სიტყვისაგან არის წარმოქმნილი, მაგრამ საბოლოო და სარწმუნო ეტიმოლოგია ამ ქალაქის სახელწოდებისა ჯერ კიდევ არ არსებობს.

ღალიძგა მდინარეა აფხაზეთში, ჩამოუდის ქალაქ ტყვარჩელს. სახელწოდება მეგრულია: ღალი — ესაა იგივე *ღელე*. *ძგა* კი „ნაპირს" ნიშნავს (შეადარეთ ქართ. *ძგიდე*). ამრიგად, მთლიანად ღალი-ძგა (←ღალიშ-ძგა) ნიშნავს „ღელის პირს". ეს სახელი უნდა დარქმეოდა ჯერ მდინარის პირას მდებარე ადგილს და შემდეგ კი ამ ადგილის მიხედვით დარქმევია თვითონ მდინარეს.

ღები ჰქვია სოფელს რაჭაში (ონის რ.). ეს ტოპონიმი სვანური ენის საფუძველზე აიხსნება: *ღვებ*||*ღებ* სვანურად ფუტკრის ბინას, სკას აღნიშნავს. ამავე სიტყვისაგან არის ნაწარმოები სვანეთის სოფლების სახელწოდებანი: ღვებალდი, ღვებრა (მესტიის რ.) და ღობი (ლენტეხის რ.).

ღვირიში — ლეჩხუმის ერთ-ერთი სოფლის სახელი — აგრეთვე

სვანური წარმოშობისა უნდა იყოს და მნიშვნელობით იგივეა, რაც „ღორღიანი“ („ღორღისა“).

ყაზბეგი. ამ ფორმით გვხვდება ადამიანის სახელიც, გვარიც და მთის სახელწოდებაც. მათ შორის პირველადია ადამიანის სახელი. იგი წარმოქმნილია ორი სიტყვის შეერთებით: არაბული *ყაზი* („მუსლიმანური სარწმუნოებისათვის მებრძოლი“, „ძლევამოსილი მებრძოლი“) და თურქული ტიტული *ბეგი* („ბეგი“, „სარდალი“). სახელის პირველი ნაწილი შესაძლოა არაბული *ყაზი* კი არა, *ყადი* („მოსამართლე“) იყოს, რომელიც სპარსულად გამრთიმის როგორც *ყაზი*. ამრიგად, *ყაზიბეგი*||*ყაზბეგ* ნიშნავს „ძლევამოსილ სარდალს“ ან „მოსამართლეს“.

ეს სახელი გვარად მიიკუთვნა ჩვენი სახელოვანი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის პაპამ გაბრიელ ჩოფიკაშვილმა, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში სტეფანწმინდის მოურავი იყო, რუსეთის ჯარის შემოსვლის შემდეგ კი ხევის გამგებლად დაინიშნა. მისივე პატივსაცემად მეფის მთავრობამ მყინვარწვერს ყაზბეგი უწოდა.

ყარაია ნაყოფიერი უზარმაზარი ველის სახელია საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. უფრო ძველი ფორმაა *ყარაიაში*. სახელწოდება თურქულია და ნიშნავს „შავ ველს“. *ყარა* ანუ „შავი“ აქ ნახმარია მართლაც შავი, ნოყიერი მიწის ეპითეტად. იმავე სიტყვის მონაწილეობით არის წარმოქმნილი ტოპონიმი *ყარაღაჯი*.

ყარაღაჯი ჰქვია სოფლებს ქართლსა და კახეთში — კასპისა და სიღნაღის რაიონებში. ორივე ეს სოფელი კარგად ცნობილია ჩვენი ახლო თუ შორეული წარსულიდან. სიღნაღის რაიონში ყარაღაჯის მიდამოებში არის ძველი ქალაქის ნანგრევები; ვარაუდობენ, რომ ეს ქალაქი ჭოეთი იყო. რუსეთის ჯარის პირველი სიმაგრეები გენერალ გულაკოვს სწორედ ყარაღაჯში აუგია 1803 წელს, ბეჟანხანის სასახლის ნანგრევებზე.

ყარსი ქალაქი იყო სამხრეთ საქართველოში, ამჟამად თურქეთის საზღვრებშია. ამ ქალაქს ძველ ქართულ მწერლობაში ეწოდებოდა *კარი*, სომხურში — კარს (აქ ს ბრუნვის ფორმანტია). ეს სომხური ფორმა თურქულ გამოთქმაში შეიცვალა (კ იქცა ყ-დ) და საბოლოოდ მივიღეთ *ყარსი*.

ამრიგად, როგორც ა. შანიძე ამბობს, ამ სახელწოდების ბედი

მეტად უცნაურია: მისი ძირი ქართულია (*კარ*), მორფოლოგიური გაფორმება სომხურია (*კარ-ს*), ხოლო ფონეტიკურად მას ანატოლიურ-თურქული იერი გადაჰკრავს (თავკიდური *ყ* ნაცვლად *კ*-ანისა).

ყარიში სოფელია სვანეთში (ლენტეხის რ.). *ყარ* სვანური ფორმაა *ყავარ* სიტყვისა. მას დართული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი *იშ*, რომელიც ქართული *ის* სუფიქსის მსგავსად, გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად არის გამოყენებული. ამრიგად, *ყარიში* იგივეა რაც „ყავრისი".

ყვირილა ყველაზე დიდი მდინარეა ზემო იმერეთში, გამოდის ერწოს ტბიდან. ზესტაფონამდე, ვიდრე კოლხეთის დაბლობს მიაღწევს და გაივაკებს, ეს მდინარე დიდი სმაურითა და შხუილით მოედინება. სწორედ ამიტომ დაურქმევიათ მისთვის ყვირილა. ძველი ბერძენი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი (VI ს.) მას ბოას-ს უწოდებს, რაც ქართული სახელწოდების ბერძნულ თარგმანს წარმოადგენს და იმას ადასტურებს, რომ ეს სახელი ყვირილას შორეულ წარსულშივე რქმევია.

ყორულდაში დასახლებული პუნქტია სვანეთში, ლენტეხის რაიონში, იქვე პატარა მდინარეს კი ყორულდი ჰქვია. *ყორ-ულდ* სვანურად „პატარა კარს" ნიშნავს (*ყორ* — „კარი", *ულდ* — კნინობითობის სუფიქსი). მას ბოლოს დაჰრთვია ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი *აშ*, რომელიც ტოპონიმიკურ სუფიქსადაც გვხვდება. ამრიგად, *ყორ-ულდ-აშ-ი* იგივეა, რაც *კარ-უკა-სი* — „პატარა კარისა".

ყულევი სოფელია ხობის რაიონში. ტყედ გაყიდული ქართველები აქედან გემებით მიჰყავდათ უცხოეთში, სახელწოდება სწორედ ამ ბედუკუღმართი წარსულის ანარეკლია: *ყული* ტყვეს, მონას ნიშნავს, *ევ* კი გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებელი სუფიქსია (შეადარეთ *სა-ყულ-ია*).

შერთული სოფელია ქართლში, გორის რაიონში. აქ ერთვის დიდ ლიახვს პატარა ლიახვი. სწორედ ამიტომ მიუღია სოფელს ასეთი სახელწოდება.

შინდისი ჰქვია ორ სოფელს: ერთი თბილისის ახლოსაა და გარდაბნის რაიონს ეკუთვნის, მეორე გორის რაიონშია. სახელწოდება ნაწარმოებია *შინდ* მცენარის სახელისაგან *ის* სუფიქსის დართვით.

შუაფხო სოფელია ფშავში. *ფხო* იგივეა, რაც *ფხოვი* (ასე ერქვა

ძველად ფშავს. თვით ფშავი ფხოვ-ის ვარიანტულ ფორმად მიიჩნევა). ასე რომ, შუა-ფხო ნიშნავს „შუა ფხოვს“ ანუ „შუა ფშავს“.

შუბანი სოფლებს ჰქვია ჩოხატაურის, შუახევის, მაიაკოვსკის რაიონებში. სახელწოდება შედგება ორი სიტყვისაგან: *შუა უბანი→ შუბანი.*

ჩაბარუხი. ჩანჩქერის სინონიმებად ქართულში რამდენიმე სიტყვა მოგვეპოვება: ჩასრიალა, ჩაქუხა, ჩაბარუხი, წყალვარდნილი... ზოგი მათგანი ტოპონიმადაც ქცეულა. სახელდობრ, ჩანჩქერი სოფელია გაგრის რაიონში, ჩაბარუხი კი — დუშეთის რაიონში. წყლის ხმაურის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან არის აგრეთვე მიღებული სოფლის სახელი ჩაჩხრიალა (ახმეტის რ.), ადგილისა და წყაროს სახელი წინწყილა (იმერეთში, სიმონეთსა და ცუცხვათს შორის მდებარე შინდოვნის მთაზე, ასევე — სოფ. სარეკში, საჩხერის რაიონში).

ჩაო სოფელია აჭარაში, აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე. ამ სოფელს მზე ნაკლებად უდგება, ჩრდილიანია და სახელიც აქედან მიუღია: *ჩაო* ჩრდილის სინონიმია, დაჩრდილულ ადგილს ნიშნავს.

ჩაჭაში სოფელია სვანეთში, უშგულის თემში. *ჩაჟ* სვანურად ნიშნავს ცხენს. ბოლოში დართული აქვს გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად გამოყენებული ნათესაობითი ბრუნვის ამ სუფიქსი, ამრიგად, ჩაჟაში იგივეა, რაც „ცხენ-ის-ი“.

ჩვაბიანი და *ჩვიბიანი* სოფლებია ზემო სვანეთში, პირველი — მულახის თემში, მეორე — უშგულის თემში (მესტიის რ.). ორივეს სახელწოდება სვანურად ნიშნავს „ქვემოთას“, „ქვედა უბანს“ (მათი საპირისპიროა ჟაბეში და ჟაბიანი).

ჩირდილი იგივეა, რაც *ჩრდილი.* ჩირდილი დიდი სოფელია დუშეთის რაიონში, ჩრდილი კი — ორჯონიკიძის რაიონში. ზნაურის რაიონში არის აგრეთვე სოფელი ჩრდილეთი (შეადარეთ *ბრილი).*

ჩოლური ერთ-ერთი დიდი სოფელია ქვემო სვანეთში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბევრი ჩვენი გეოგრაფიული სახელწოდება უკავშირდება ქვას. კერძოდ, ამ სიტყვის ძველი ფორმა *ქვალ* შემონახულია სამეგრელოს ერთ-ერთი სოფლის სახელში: ქვალონი — „ქვიანი“. ამ სიტყვის შესატყვისი სვანურში არის *ჩვალ||ჩოლ* (ნიშნავს „მეწყერს“). ამ უკანასკნელს დართული აქვს *ურ* სუფიქსი, რო-

მელიც უქონლობას აღნიშნავს. ამრიგად, ჩოლ-ურ ნიშნავს „უქვოს“ ან „უმეწყროს“.

ჩოჩხათი — ეგნატე ნინოშვილის მშობლიური სოფლის სახელწოდება — უკავშირდება მცენარის სახელს — ცაცხვს. *ცაცხვ* სიტყვის კოლხური ფონეტიკური შესატყვისია *ჩოჩხ*. მაგრამ ცაცხვს კოლხურში დუცხუ ჰქვია. ამიტომ, მეორეგვარი ვარაუდის მიხედვით, *ჩოჩხ* შესაძლოა შეესატყვისებოდეს *ცოცხ* სიტყვას და არა ცაცხვ-ს. ამ *ჩოჩხ* ძირს დართული აქვს გეოგრაფიულ სახელთა დამახასიათებელი ათ სუფიქსი (შეადარეთ: აბედ-ათ-ი, თხილ-ათ-ი, ქინძ-ათ-ი და სხვა). მაშ, ჩოჩხათი — ესაა იგივე „ცაცხვათი“ (შეადარეთ იმერეთის სოფლის სახელი ცუცხვათი) ან „ცოცხათი“.

ჩუბეხევი სოფელია სვანეთში. *ხევი* ცალკეც გვხვდება სოფლების სახელად (იმერეთში — ორჯონიკიძის რაიონში, გურიაში — ჩოხატაურის რაიონში), ასევე — საქართველოს ერთ-ერთი კუთხის სახელად (ხევი ეწოდება თერგის ხეობას, აქაურ მცხოვრებს კი მოხევე ჰქვია). ეს სიტყვა რთულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა შემადგენლობაშიც ხშირად მონაწილეობს (მაგალითად, დიდხევი, კავთისხევი, კისისხევი, მეჯვრისხევი, მშრალხევი, ორხევი, ოხერხევი, ფეტვისხევი, შარახევი, შუახევი, ხევაშენი, ხევისჭალა...). ერთ-ერთი ამათაგანია ჩუბეხევი. *ჩუბე* სვანურად „ქვემოს“ ნიშნავს. ასე რომ, ჩუბე-ხევი იგივეა, რაც „ქვემო ხევი“ (ქვემოხევი ჰქვია სოფელს საჩხერის რაიონში).

ჩუღურეთი თბილისის ერთ-ერთი უბნის სახელია, ნაწარმოებია ეთ სუფიქსით *ჩუღურ* სიტყვისაგან, რაც კახურ დიალექტში ნიშნავს დახევებული მთის კალთას, ფერდობს, რომელზეც შეფენილია ბუჩქნარი ან ტყე (წარმოშობით ეს სიტყვა თურქულია და ორმოს, ფოსოს ნიშნავს).

ჩქვალერი სოფელია მთიან სამეგრელოში, შედის ჯვარის სადაბო საბჭოში (წალენჯიხის რ.). თუ აღვადგენთ ამ სახელის ადრინდელ ფორმას, იგი ასე დაიშლება: ჩე-ქვალ-ერ-ი. მეგრულად *ჩე* ნიშნავს „თეთრს“, *ქვალ* იგივე „ქვა“ არის (შეადარეთ ქვალ-ონი, წარ-ქვალ-ი და სხვ). *ერ* კი ქონების აღმნიშვნელი სუფიქსია (უდრის ქართ. *იან, ოვან-ს*), რომელიც უმეტესად სვანურ ტოპონიმებში გვხვდება. ამრიგად, ჩქვალერი ნიშნავს „თეთრ-ქვიანს“. სოფლის მდებარეობა მართლაც სავსებით ამართლებს ამ სახელს.

ჩხარი სოფელია იმერეთში. ამ სიტყვას ქართულში რამდენიმეგვარი მნიშვნელობა აქვს: ის ნიშნავს მეჩხერს (ე. ი. არახშირს, თხლად ამოსულს), ნიშნავს აბრეშუმის უვარგის პარკსაც. თუშურ კილოზე ჩხარი ჰქვია ჭირხლს. დასასრულ, ჩხარი იხმარება ზოგჯერ გარკვეული ხმაურის, ჩხრიალის, ჩხარაჩხურის აღსანიშნავად („ვეფხისტყაოსანშია": „გახდა აბჯრისა ჩხარია", ე. ი. აბჯრის, საომარი აღჭურვილობის, ჩხარუნი გაისმაო). ამათგან გეოგრაფიულ სახელს ყველაზე მეტად უდგება პირველი მნიშვნელობა — „მეჩხერი".

ჩხარ-ის ფონეტიკური ვარიანტია *ჩხერ*-ი, რომელიც გვხვდება სოფლის სახელად ორჯონიკიძის რაიონში. ამავე სახელს შეიცავს მდინარის სახელწოდება ჩხერიმელა, რომელიც *ჩხერის მერე*-საგან მომდინარეობს და „ჩხერის ვაკეს" ნიშნავს.

ჩხენიში ჰქვია სოფელს სამტრედიის რაიონში. თავისი *იშ* სუფიქსით ეს სახელწოდება აშკარად მეგრულ-ჭანურია, მის ფუძეს კი უნდა წარმოადგენდეს *ცხენ* სიტყვა, სადაც *ც*-ს *ჩ* შენაცვლებია იმავე მეგრულ-ჭანურის ფონეტიკური კანონზომიერების შესაბამისად. ამრიგად, ჩხენიში იგივეა, რაც „ცხენისი".

ჩხორთოლი სოფელია გალის რაიონში. სახელწოდება მეგრულია, თავისი აგებულებითა და მნიშვნელობით უდრის ქართულ „ცხრათვალას".

ჩხორია სოფელია ზუგდიდის რაიონში. *ჩხორ*-ი მეგრულად ნიშნავს „სხივს". მას დართვია მატოპონიმებელი სუფიქსი *ია* და ასე წარმოქმნილა *ჩხორ*-*ია* ანუ „სხივიანი", „სხივვეთი" (მსგავსად ნაწარმოები ტოპონიმებია: ზღვა-ია — „ზღვეთი", ტყა-ია — ტყეთი", თაია — „მთიანეთი" და სხვანი).

ჩხოროწყუ დაბაა, ერთ-ერთი რაიონული ცენტრი. იგი დასახლებულ პუნქტად ქცეულა შედარებითი ახლო წარსულში, როცა გაყვანილ იქნა სამტრედია-ფოთის რკინიგზის ხაზი და დადიანების საზაფხულო რეზიდენცია — სოფელი ხაბუმე საურმე გზით დაუკავშირდა სენაკის რკინიგზის სადგურს. ამ გზაზე მეურმეებს დასასვენებლად შერჩეული ჰქონიათ ერთი ვაკე ადგილი მდინარე ოჩხომურის პირას, სადაც კარგი სასმელი წყალი მოჩუხჩუხებდა. აქ მალე გაჩენილა სამჭედლოები, დუქნები და ასე გაშენებულა ეს ადგილი, რომლისთვისაც ჩხოროწყუ დაურქმევიათ, რაც მეგრულად

„ცხრა წყაროს“ ნიშნავს (შეადარეთ ცხრაწყარო — სოფლის სახელი იმერეთში.)

რასაკვირველია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჩხოროწყუში უთუოდ ცხრა წყარო დიოდა. უბრალოდ, ეს ადგილი მდიდარი ყოფილა წყაროებით, ცხრა კი აღებულია პირობითად, როგორც ბედნიერი რიცხვი (ასეთი შემთხვევები ჩვენს ტოპონიმიაშიც და ზეპირსიტყვიერებაშიც მრავალია).

თითქოს ყველაფერი ნათელია და ნათელი იყო კარგა ხნის წინათაც. ამიტომ გასაკვირია, რომ ჩხოროწყუს ეტიმოლოგიამ ამ რაიონის გაზეთის ფურცლებზე ცხარე კამათი გამოიწვია (იხ. მ. კვირტიას, ნ. ბერულავას, ვ. შენგელიას, მ. პაჭკორიას წერილები: გაზ. „ნაპერწკალი“, 6 იანვარი, 15 იანვარი, 10 აგვისტო, 21 აგვისტო, 1976 წ.).

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ ჩხოროწყუ ჰქვია აგრეთვე ღელეებსა თუ პატარა მდინარეებს თვითონ ჩხოროწყუში, ტეხურის ხეობიდან ლეჩხუმისკენ მიმავალ გზაზე და გურიაში, ასევე ჰქვია წყაროს ხეთაში (ხობის რ.) და მთის საძოვრებს წალენჯიხის რაიონში.

ჩხოუში ჰქვია ორ სოფელს ზუგდიდის რაიონში. იქვეა პატარა მდინარე ჩხოუშია. *ჩხოუ* მეგრულ-ჭანურად ნიშნავს „ძროხას“. მას დართული აქვს ნათესაობით ბრუნვისეული *შ (იშ)* სუფიქსი. ამრიგად, ჩხოუში ნიშნავს „ძროხისას“, „ფურისას“.

ჩხუტელი სოფელია ლეჩხუმში. როგორც ფიქრობენ, მისი სასელწოდება უკავშირდება სვანურს. *ჩხუტ* სვანურად ჰქვია წვრილ ქვას, კენჭს, სოლო ასეთი ქვებით მოფენილ ადგილს ეწოდება ჩხუტ-არ („წვრილქვიანი, კენჭოვანი ადგილი“) ამასვე ნიშნავს *ჩხუტელი*, რომელიც ელ სუფიქსით არის გაფორმებული.

ცაგერი რაიონული ცენტრია, მდებარეობს მდინარე ცხენისწყლის პირას დღევანდელი ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საზღვართან. ზემოთ ჩვენ უკვე ვთქვით, ლეჩხუმის ბევრი გეოგრაფიული სახელწოდება სვანურს უკავშირდებაო. ერთ-ერთი ასეთი სახელწოდებაა სწორედ ცაგერი. *ცაგ* სვანურად ნიშნავს ეკალს, *ცაგერი* კი იქნება „ეკლნარი“ ანუ „ეკლარი“ (შეადარეთ *ეკლარა* — შენობების მოსაპირკეთებელი თეთრი ქვის საბადოებით ცნობილი ადგილის სახელწოდება. გაიხსენეთ აგრეთვე ამა თუ იმ მცენარესთან დაკავშირებუ-

ლი მრავალი ტოპონიმიკური სახელი: მუხრანი, წიფლარი, თელიანი და სხვანი).

სოფლების სახელად გვხვდება აგრეთვე ცაგერა (ცაგერისა და ოჩამჩირის რაიონებში).

ციხისძირი საქართველოში რამდენიმე გეოგრაფიულ პუნქტს ეწოდება. მათგან განსაკუთრებით ცნობილი და ისტორიულად საინტერესოა შავი ზღვის პირას, ბათუმსა და ქობულეთს შუა მდებარე კურორტი ციხისძირი, რომელიც უნდა უკავშირდებოდეს ძველ ბერძენთა ბერი მოხსენიებულ ციხე-ქალაქს პეტრას. სახელდობრ, ციხისძირი შესაძლოა ყოფილიყო პეტრას ციხე, ხოლო თვითონ ქალაქი პეტრა ცოტა მოშორებით, იქნებ ქობულეთის მიდამოებში იყოო — ფიქრობენ ჩვენი ისტორიკოსები.

ციხისძირის სახელით ცნობილია კიდევ სამი სოფელი (დუშეთის, მცხეთისა და ორჯონიკიძის რაიონებში). გარდა ამისა, სამ სოფელს ჰქვია ციხისუბანი (დუშეთის, ადიგენისა და ვანის რაიონებში), ორს—ციხისოფელი (ორივე ლენინგორის რაიონშია). გვხვდება აგრეთვე ციხია (ტყიბულის რ.), ციხიანი (დუშეთის რ.), ციხისფერდი (მახარაძის რ.), ციხისჯვარი (ბორჯომის რ.).

ციხე სიტყვის კოლხური ფორმაა *ჯიხა*, რომელიც აგრეთვე რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს აწარმოებს (იხ. ქვემოთ ჯიხაიში, ჯიხანჯირი, ჯიხაშკარი).

ცუცხვათი სოფელია იმერეთის იმ ნაწილში, რომელსაც ოკრიბა ჰქვია. ამ სოფლის სახელი უკავშირდება ცაცხვს და მომდინარეობს *ცაცხვ-ათ-*ისაგან.

ცხემლისხიდი სოფელია გურიაში (მახარაძის რ.). გურულ დიალექტში ცხემლა ეწოდება რცხილას. ამრიგად, ცხემლისხიდი იგივეა, რაც „რცხილის ხიდი" (შეადარეთ ბულიშხინჯი — „ბლის ხიდი", ჭუბურხინჯი — „წაბლის ხიდი"). იმავე მცენარის სახელისაგან არის მიღებული აჭარის სოფლის სახელები *ცხემლისი* და *ცხემნა* (იხ. აგრეთვე *ცხინვალი, ცხუმარი*).

ცხენთარო სოფელია იმერეთში (ზესტაფონის რ.). აქ ცხენ სიტყვა წარმოდგენილია ძველებური მრავლობითი რიცხვის ფორმით ნათესაობით ბრუნვაში (ცხენთა), სახელწოდების მეორე ნაწილს კი წარმოადგენს რუ, რომელიც ძველად გვხვდებოდა აგრეთვე რო ფორმით (შეადარეთ მ-როვ-ელ-ი, ე. ი. რუ-ის-ელ-ი). ამრიგად ცხენ-

თარო იგივეა, რაც „ცხენთა რუ", „ცხენების ღელე" (შეადარეთ ცხენისწყალი).

ცხენისწყალი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი დიდი მდინარის სახელია. ეს მდინარე სათავეს იღებს სვანეთის მთებში, გამოივლის ქვემო სვანეთსა და ლეჩხუმს და მდინარე რიონს ერთვის იმერეთისა და სამეგრელოს საზღვარზე.

არსებობს ლეგენდა, თითქოს ამ მდინარეში ცხენები დაეხრჩო შემოსეულ მტრის ლაშქარს, რაც მათი დამარცხების მიზეზი გახდაო. ამბობენ, მდინარეს ცხენისწყალი სწორედ ამიტომ დაერქვაო.

სხვა მოსაზრების მიხედვით ამ მდინარეს ადრე ცენისწყალი უნდა რქმეოდა, რადგანაც მის სათავეებთან, სვანეთში, მდებარეობს სოფელი *ცანა* ანუ *ცენა* (შეადარეთ მდინარეების სახელები: აჭისწყალი, ბახვისწყალი, გუბისწყალი და სხვა), შემდეგ კი *ცენისწყალ-ი ცხენისწყალ-ად* გადაკეთდაო.

როგორც ძველი ბერძნული წყაროებიდან ჩანს, ამ მდინარეს უკვე შორეულ წარსულში ერქვა ცხენისწყალი, ბერძნები თარგმნიდნენ მას და ამ მდინარეს *ჰიპპოს-ს* უწოდებდნენ (*ჰიპოს* ბერძნულად „ცხენს" ნიშნავს).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცხენისწყალი სოფელსაც ჰქვია ოჩამჩირის რაიონში, რომელიც მდინარე ცხენისწყლისაგან საკმაოდ შორსაა.

ცხინვალი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრის სახელწოდება — უკავშირდება მცენარის სახელს — რცხილას: რცხილოვანი (ძველი გამოთქმით კრცხილოვანი, ქრცხილვანი) → რცხილვანი → ცხინვალი.

ცხუმარი — სვანეთის ერთ-ერთი სოფლის სახელი — აგრეთვე რცხილას უკავშირდება. სვანურად რცხილას ჰქვია *ცხუმ (ცხუმრა)*, არ სუფიქსი კი, ზემოთაც ვნახეთ, რომ სვანურ გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს, ასე რომ, ცხუმარი შეესაბამება ცხემლისსა და ცხინვალს ანუ რცხილოვანს. იმავე *ცხუმ* სიტყვისაგან კნინობითის აღდ სუფიქსის დართვით ნაწარმოებია სოფლის სახელი *ცხუმალდი* (ლენტეხის რ.).

ცხრაწყარო სოფელია ზესტაფონის მახლობლად. ასევე ჰქვია აღგილს ბაკურიანთან. სახელწოდებას ახსნა არ სჭირდება, ოღონდ, ცხადია, ის არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით, თითქოს

ამ სოფელში მაინდამაინც ცხრა წყარო იყოს. ეგივე ითქმის ისეთ გეოგრაფიულ სახელებზე, როგორიცაა ცხრამუხა (ხაშურის რ.), ცხრაფონა (ქობულეთის რ.), ცხროჯა (ე. ი. „ცხრა ჯა“, სოფელია ჯავახეთში). ასეთივე შინაარსისაა ადრე განხილული ჩხორთოლი („ცხრათვალა“), ჩხოროწყუ („ცხრა წყარო“).

ძველად ქართველებს ცხრა რაღაც საიდუმლო ძალის მქონე (საკრალურ), ბედნიერ რიცხვად მიაჩნდათ. ამას ადასტურებს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში დაცული გამოთქმებიც: ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, ცხრაკლიტული, ცხრათვალა მზე, ზღაპრის გმირები: ცხრა ძმა, ცხრათავიანი დევი და ა. შ.

ძალისი სოფელია ქართლში, მცხეთის რაიონში. როგორც ჩანს, ამ სოფლის სახელი ძველად იხმარებოდა და ზოგჯერ დღესაც გვხვდება აგრეთვე *ზალის*-ის ფორმით. საფიქრებელია, რომ ის უნდა იყოს მიღებული *ზაალის*-იდან, ე. ი. ადამიანის სახელს *ზაალს* დართული აქვს გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი *ის* სუფიქსი (ზაალ-ის-ი), შემდეგ ორი ხმოვანი შერწყმულა და დარჩენილა მხოლოდ ერთი ა (ზალისი) აქედან კი ხელახალი გააზრიანების გზით მივიღეთ *ძალისი*.

ძენწმანი სოფელია აჭარაში (ქედის სასოფლო საბჭოში). სახელწოდება მიღებულია *ძენწნა*-საგან. *ძენწნა* ანუ ძველი გამოთქმით *ძენწნი* საყოველთაოდ ცნობილი და ჩვენში გავრცელებული მცენარეა. სოფლის სახელი ჯერ უნდა ყოფილიყო *ძენწნმანი*, შემდეგი კი აქ ბგერათა გადაადგილება მომხდარა.

ძიმითი სოფელია გურიაში. იგი ნაწარმოებია *ით* სუფიქსით *ძმა* სიტყვისაგან, რომელსაც დღეს *ძ* და *მ* ბგერებს შორის ხმოვანი აკლია, მაგრამ ზოგჯერ კი გამოჩნდება მიმართვის დროს: ძამა, ძამია, ძამიკო (მეგრულად გამოითქმის *ჯიმა*, ჭანურად — *ჯუმა*). *ძიმ-ით*-ში დაცულია *ი* ხმოვანი, მსგავსად მეგრულისა, მაგრამ გურიაშივე გვხვდება ანალოგიურად ნაწარმოები სოფლის სახელი *ჯუმათი*, სადაც ჭანური ფორმა (*ჯუმა*) არის წარმოდგენილი.

ძირულა მდინარეა, ყვირილას ერთვის შორაპანთან. როგორც ვასუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, ძირულას ეს სახელი მიუღია „მთათა *ძირთა* შინა დინებითა“. ამრიგად, სახელწოდება წარმოქმნილია *ძირ* სიტყვაზე *ურ* და *ა* სუფიქსების დართვით, ხოლო რადგან ქართული გაურბის ერთ სიტყვაში ორი რ-ს თავმოყრას, *ძირ-*

ურ-ა-ს ნაცვლად მივიღეთ ძირულა. მდინარის მიხედვით ეს სახელი დარჩენილა სოფელსაც ზესტაფონის რაიონში.

ძლევისქედი კავთურის ხეობაშია, სოფელ თვალადთან, სადაც წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია არის აგებული. *ძლევაჲ* ძველი ქართულით ნიშნავს გამარჯვებას. ასე რომ, ძლევის-ქედი — ესაა „გამარჯვების ქედი“. ამ მხარეში ბევრი ისტორიული ბრძოლაა გადახდილი დავით აღმაშენებლის, გიორგი სააკაძისა და სხვათა სარდლობით. გამარჯვებით დაგვირგვინებული ერთ-ერთი ასეთი ბრძოლის სახსოვარია სახელწოდება ძლევისქედი.

ქარელის რაიონში არის სოფელი *ძლევიჯვარი*. ისიც იმავე *ძლევა* სიტყვას შეიცავს და „გამარჯვების ჯვარს“ ნიშნავს.

ძუარყაუ ოსების სოფელია ხევში (ყაზბეგის რაიონში). სიტყვა *ჯვარი* (ძველი *ჯუარი*) ქართულიდან ნასესხები აქვს ოსურს *ძუარის* ფორმით. *ყაუ* კი ოსურად „სოფელს“ ნიშნავს. მამასადამე, *ძუარ-ყაუ* იგივეა, რაც „ჯვრის სოფელი“.

წალენჯიხა — ერთ-ერთი რაიონული ცენტრი, ქალაქია სამეგრელოში. მის სახელწოდებას საფუძვლად მეგრული ფორმა უძევს: *ჯიხა*, როგორც ვიცით, მეგრულად ციხეა, *წალენ* კი „ქვემოს“ ნიშნავს (ჭანურში). ამრიგად, *წალენ-ჯიხა* — ესაა „ქვემო ციხე“.

წარჩე სოფელია გალის რაიონში. სახელწოდება მეგრულია და ნიშნავს „თეთრ წყალს“, „წყალ-თეთრას“ (შეადარეთ ზემოთ განხილული სუხჩა, სკურჩა... მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ აგრეთვე სოფლის სახელი თელავის რაიონში თეთრიწყლები). ასეთი სახელი პირველად უნდა დარქმეოდა მდინარეს, შემდეგ კი მის მიხედვით — სოფელს.

წაჩხური სოფელს ჰქვია გეგეჭკორის რაიონში, იქვე არის მდინარე წაჩხურა||ჭაჩხურა. ეს სახელი ჰქვია აგრეთვე რამდენიმე სხვა მომცრო მდინარეს (ღელეს, ნაკადულს) დასავლეთ საქართველოში. სახელწოდება მეგრულია და ნიშნავს „ცივ წყალს“ („წყალ-ცივა“).

წებელდა ისტორიული ციხე-სიმაგრე და მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტია აფხაზეთში, მდინარე კოდორის ხეობაში (გულრიფშის რ.). ძველ საისტორიო წყაროებში მას ეწოდება აგრეთვე *წიბელი*. ეს არის მცენარის სახელწოდების — წიფელ-ის ძველი ფორმა, საიდანაც მიღებულია წებელდა („წიფელთა“).

წიაღუბანი სოფელია ქვემო იმერეთში (სამტრედიის რ.). წიაღ მოწდინარეობს *წყლის* აღ-ისაგან და ნიშნავს „წყლის (მდინარის) გაღმა მხარეს“. მისი საპირისპიროა *წიაღმო* — „გამოღმა“. წიაღ და წიაღმო ძველ ქართულში გვხვდება წყალთან დაკავშირებული მოქმედების გადმოცემისას. მაშასადამე, წიაღ-უბანი ნიშნავს „გაღმა-უბანს“.

წითელწყარო ცნობილი რაიონული ცენტრია. ადრე მას დედოფლისწყარო ერქვა. ლეგენდის თანახმად, თამარ მეფე ხორნაბუჯში ყოფილა და მახლობელ ტყეში გაუსეირნია. ტყე რომ გათავებულა, მთის წვერზე ერთ ადგილას წყაროს წასდგომია. მეფეს ძლიერ მოსწონებია ცივი წყალი და უბრძანებია მილებით მიეყვანათ იგი ხორნაბუჯის ციხეში (ვახუშტის დახასიათებით, „ყარაღაჯის სამხრით, სადაც დასწყდების ჰერეთის მთა ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი“). წყალი მართლაც თიხის მილებით მიუყვანიათ ციხესთან და ხალხს მისთვის დედოფლის წყარო დაურქმევია. შემდგომში ეს სახელი ციხის მახლობლად გაშენებულ დაბაზედ გავრცელებულა.

ჩვენი ხალხი მრავალ ციხეს, ხიდს, წყაროს უკავშირებს თამარის სახელს და ზემოთ მოთხრობილი ლეგენდაც ამის ერთ-ერთი ნიმუშია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ დედოფლის წყარო მართლაც რომელიღაც დედოფლის პატივსაცემად არის დარქმეული. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მას სახელი გამოუცვალეს და წითელწყარო დაარქვეს.

წილკანი ქართლის ცნობილი ისტორიული სოფელია, განთქმული თავისი შესანიშნავი ტაძრით, რომელიც ერთ-ერთი საეპისკოპოსო საყდარი იყო. წილკანი მომდინარეობს *წინ-კარ-ი*საგან. როცა ერთ სიტყვაში თავს იყრის *ნ* და *რ* ბგერები, ქართულისათვის უფრო ბუნებრივია, წინ მოაქციოს *რ* და მეორე ადგილას *ნ*. ამიტომ *წინკარი*-საგან უნდა მიგვეღო *წირკანი* (ასეთივე ცვლილების ნიმუშებია: მუხნარი — მუხრანი, მაღნარი — მაღრანი, წიფნარი — წიფრანი და სხვანი). მაგრამ შემდეგ კიდევ *რ* ქცეულა *ლ*-დ და საბოლოოდ მივიღეთ წილკანი.

წირქვალი სოფელს ჰქვია ჭიათურის მახლობლად. აქაური ნიადაგი შეიცავს შაე ქვას ანუ მარგანეცს. ამიტომ წირქვალური პური ცუდი ფერისა და უხარისხო ყოფილა. მას სხვა სოფლების ხორბალში არ აურევდნენ, რომ ისიც არ გაეფუჭებინა. სწორედ ამან დააინ-

ტერესა აკაკი წერეთელი, რომელმაც აქაური ნიადაგის ნიმუში გამოსარკვევად წაიღო. ლაბორატორიაში დაადგინეს, რომ ეს მიწა დიდი რაოდენობით შეიცავდა ძვირფას მადანს. ასე გასდა ცნობილი ჭიათურის მარგანეცის საბადო.

ჩვენ წინათაც შეგვხვდა *ქვა* სიტყვის ძველი ფორმა *ქვალ* (ქვალონი „ქვიანი"). აი, სწორედ ეს *ქვალ* გვაქვს *წირ-ქვალ-შიც*. რაც შეეხება ამ სასელწოდების პირველ ნაწილს, ეს უნდა იყოს *მწირ-ი* (ე. ი. ნაკლებ ნაყოფიერი), ანდა მუქი ფერის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვა *წერი*. მაშ, როგორც ირკვევა, წირქვალი ნიშნავს „მწირ-ქვიანს" ან „შავქვიანს". აღსანიშნავია, რომ მსგავსი სასელი წირ-ქოლი ჰქვია სოფელს ქსნის ხეობაშიც.

ჩიშრანი სოფელია დუშეთის რაიონში. სახელწოდება მიღებულია წიფლნარ-ისაგან. აქ ლ დაკარგულა, შემდეგ კი ნარნარა ბგერათა ისეთივე გადაადგილება (მეტათესი) მომხდარა, როგორც ზემოთ განხილულ *წილკან, მუხრან, მაღრან* და ბევრ სხვა გეოგრაფიულ სახელში.

წიფელა-საგან, ისევე როგორც სხვა მცენარეთა სახელებისაგან, ქართულში არაერთი ტოპონიმი იწარმოება; ასეთია, სახელდობრ, სოფლის სახელები: წიფლარი (წყალტუბოს რ.), წიფნარა (ჩოხატაურის რ.), წიფლოვანი (გულრიფშის რ), წიფლოვანა (ქარელის რ.), წიფნაგვარა||წიფლაგორა (ჩოხატაურის რ.), წიფლისწყარო (ლაგოდეხისა და კასპის რ.) და სხვა.

წნორი, იგივე წნორისწყალი, ქალაქია *კახეთში* (სიღნაღის რ.), იგი გაშენდა მას შემდეგ, რაც გაიყვანეს კახეთის რკინიგზის ქიზიყის განშტოება (1914 წ.), რომლის ბოლო სადგურსაც წნორისწყალი დაარქვეს, რადგან აქ მდგარა წნორის ხე, რომლის ძირშიც წყარო ამოდიოდა და ამ ადგილს ხალხი წნორისწყალს უწოდებდა. სადგურის გარშემო ხალხმა სწრაფად იწყო დასახლება და თანდათანობით ეს დასახლებული პუნქტი პატარა ქალაქად იქცა. ქალაქს შერჩა იგივე სახელი წნორისწყალი, რომელიც ამჟამად უფრო იხმარება შემოკლებული ფორმით — წნორი.

წნორი, ძეწნა და ტირიფი მთელ საქართველოში გავრცელებული ერთი გვარეობის მცენარეთა სასელებია და ჩვენს ტოპონიმიაში, როგორც ვხედავთ, სამივე არის ასახული (ტირიფონა, ძენწმანი, წნო-

რი). წნორი-საგან ჩანს მიღებული აგრეთვე წყნორი (სოფელია ოკ-რიბაში).

წყალტუბო მთელ მსოფლიოში განთქმული კურორტია ქუთაისის მახლობლად. აქაური თბილი წყლები ძალიან უხდება რევმატიზმით დაავადებულებს და ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი (უძველესი წერილობითი ცნობა ამ სამკურნალო წყლების შესახებ XIII საუკუნეს ეკუთვნის). სწორედ ამ თბილი წყლისაგან არის მიღებული სახელწოდება წყალტუბო, რაც „თბილ წყალს" ან უფრო ზუსტად „წყალ-თბილას" ნიშნავს (ტუბუ მეგრულად ნიშნავს „თბილს"). ცხადია, სახელწოდება იმდროინდელია, როცა ამ ტერიტორიაზე მეგრული დიალექტი იყო გავრცელებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წყალტუბოს ზუსტი შესატყვისი წყალ-თბილა სოფლის სახელად გვხვდება ახალციხის რაიონში. წყალ სიტყვისაგან ნაწარმოებია აგრეთვე სოფლის სახელები: წყლები (ცხინვალის რ.), თეთრიწყლები (თელავის რ.), წყალწმინდა (ცხინვალისა და ლანჩხუთის რ.), წყალშავი (ჭიათურის რ.) და სხვანი. აღარას ვამბობთ მდინარის სახელებზე, რომელთა მეორე ნაწილს შეადგენს წყალი (აჭარისწყალი, ბახვისწყალი, ცხენისწყალი, ხანისწყალი და ა. შ.).

წყნეთი ცნობილი კურორტია თბილისის ახლოს. მისი სახელი ნაწარმოებია ქართულ ტოპონიმიაში ძალზე გავრცელებული ეთ სუფიქსით. ამ სუფიქსის დართვისას მოსალოდნელი იყო ფუძეში ხმოვნის დაკარგვა. თუ დაკარგულ ხმოვანს აღვადგენთ, ფუძედ წარმოგვიდგება წყან. რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვა? როგორც ფიქრობენ, ეს არის მუხის ერთ-ერთი სახელწოდება, რომელსაც მეგრულში შეესატყვისება ჭყონი. ამრიგად, წყნეთი იგივეა, რაც „მუხეთი" ან „მუხნარი".

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მუხა საქართველოში ძალიან გავრცელებული და ჩვენი ხალხის უსაყვარლესი მცენარეა. ამიტომ მისი სახელი ტოპონიმიაშიც ხშირად გვხვდება. როგორც ჩანს, ამ მცენარის აღსანიშნავად ქართულში, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა დიალექტში, გვქონია სამი სიტყვა: მუსა, რკო და წყანი (მეგრული ჭყონი). ყველა მათგანი დასტურდება გეოგრაფიულ სახელებში (მუხათი, მუსიანი, მუხნარი, რკონი, წყნეთი, ჭყონდიდი, ჭყონაგორა...).

წყურგილი ჰქვია ორ სოფელს ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში. მეგრულში წყურგილი წყაროს ნიშნავს, მაგრამ იგი რთული (კომპოზიტი) სახელია: საკუთრივ „წყაროს“ აღმნიშვნელი სიტყვა აქ არის *წყუ* (იგი გამოიყოფა, როგორც ზემოთ ვნახეთ, *ჩხორწყუს* სახელწოდებაშიც). *რგილი* კი არის იგივე გრილი. ამრიგად, *წყუ-რგილ*-ის პირველადი მნიშვნელობა ასეთია: „წყარო გრილი“, „ციე-წყარო“ (შეადარეთ სოფლის სახელი ქართლში — ციეწყარო).

წყარო სიტყვისაგან ნაწარმოები ტოპონიმებია ქართულში როგორც ციეწყარო (ხაშურის რ.), ასევე წყაროთა (შუახევის რ.), წყაროთუბანი (თიანეთის რ.), წყაროსთავი (საგარეჯოს რ.). ეს უკანასკნელი გვიჩვენებს, რომ *წყარო* ძველად ერქვა არა მარტო წყლის მიწიდან გამოსასვლელ ადგილს, არამედ მთელ მის დინებას (ნაკადულს, რუს). ზოგჯერ ეს სიტყვა სარწყავი რუს მნიშვნელობითაც იხმარებოდა.

ჰალა, საბას განმარტებით, არის „წყლის პირი ნაყოფიერი“. იგი ცალკეც და სხვა სიტყვებთან ერთადაც არა ერთხელ გვხვდება საქართველოს ტოპონიმიაში. სახელდობრ, *ჭალა* ჰქვია ექვს სოფელს (შუახევის, მახარაძის, ლანჩხუთის, საჩხერის, ონისა და გულრიფშის რაიონებში). *ავჭალა* და *ორთაჭალა* თბილისის გარეუბნებია. *რგვალიჭალა* და *ქვემოჭალა* სოფლებს ჰქვია კასპის რაიონში, *გრძელიჭალა* — ყვარელის რაიონში. ცხინვალის რაიონში არის ორი *ჭალისუბანი*, დუშეთის რაიონში — ორი *ჭალისოფელი*, *ჭალისთავი* ჰქვია სოფელს ცაგერის რაიონში, *ჭალასთავი* — თერჯოლის რაიონში. ცნობილია აგრეთვე *ჭალადიდი* (ფოთის ახლოს), *ჭალახმელა* (ქედის რ.), *ჭალატყე* (ზესტაფონის რ.), *ჭალოვანი* (საჩხერის რ.), *ჭარნალი* (←*ჭალნარი*; ბათუმის რ.), *ვანისჭალა* (წყალტუბოს რ.), *ხევისჭალა* (ახმეტის რ.) და სხვანი (იხ. აგრეთვე *სართიჭალა*).

ჭანიეთი სოფელია გურიაში (მახარაძის რ.). ვინც ეს ჩვენი ტოპონიმიკური მიმომხილვა თავიდანვე გულდასმით წაიკითხა, მისთვის უკვე ადვილია ამ სახელში გამოყოს *ეთ* სუფიქსი, ხოლო მისი ფუძე *ჭანი* დაუკავშიროს იმ ერთ-ერთ ძველ სატომო სახელს, რომელზედაც ადრევე გვქონდა საუბარი (ეს სატომო სახელი *ჭანი* დაცულია გვარებშიც: *ჭანიშვილი*, *ჭანია*, *ჭანბა*).

ამავე სატომო სახელისაგან იწარმოება აგრეთვე მდინარის სა-

ხელი სამეგრელოში — ჭანისწყალი (ადგილობრივი გამოთქმით — ჭანიწყარი).

ჭანჭათი სოფელია ლანჩხუთის რაიონში. სახელწოდება ნაწარმოებია ათ სუფიქსით კოლხური *ჭან* სიტყვისაგან, რომელიც „მწერს", „ბუზს" ნიშნავს. შეადარეთ სოფლის სახელი ბუზალა (ჯავის რ.).

ჭარნალი სოფლის სახელი აჭარაში — მიღებულია *ჭალნარ*-ისაგან ბგერათა გადასმით (იხ. ზემოთ *ჭალა*; ბგერათა გადასმის მხრივ შეადარეთ მუხრანი, წილკანი...).

ჭაქვინჯი სოფელს ჰქვია ზუგდიდის რაიონში. *ქვინჯი* მეგრულად არის „ფსკერი". ასე რომ, *ჭა-ქვინჯი* (←*ჭამ-ქვინჯი*) ნიშნავს „ჭის ფსკერს".

ჭველიერი. ყვავს მეგრულად *კვარია* ჰქვია, ხოლო მისი კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია სვანურში *ჭვერ*. სწორედ ამ უკანასკნელისაგან *იერ* სუფიქსის დართვით და დისიმილაციის გზით არის მიღებული *ქვემო* სვანეთის ერთ-ერთი სოფლის სახელი *ჭველიერი* („ყვავეთი", „საყვავე").

ჭითაწყარი სოფელია ზუგდიდის რაიონში. სახელწოდება შედგება ორი სიტყვისაგან: *ჭითა* — „წითელი" და *წყარი* —„წყალი" (მეგრულად). ამრიგად, *ჭითაწყარი* იგივეა, რაც „წითელწყალი" (შეადარეთ რაიონული ცენტრის სახელწოდება წითელწყარო).

სობის რაიონში არის სოფელი *ჭითაუშქური*. ეს სახელწოდებაც კომპოზიტს წარმოადგენს და პირველ ნაწილად იმავე *ჭითა* სიტყვას შეიცავს, მეორე ნაწილად კი გამოიყოფა *უშქური* — „ვაშლი". მაშასადამე, *ჭითა-უშქური* ნიშნავს „წითელ ვაშლს".

ჭინათი — სოფლის სახელი ლანჩხუთის რაიონში — წარმოქმნილია ათ სუფიქსით, ძირად კი წარმოგვიდგება *ჭინ*, რომელიც შესაძლოა კანონზომიერი კოლხური შესატყვისი იყოს წნ-ელ სიტყვისა. შეადარეთ სოფლის სახელები: წნისი (ახალციხის რ.) და წნელისი (ზნაურის რ.).

ჭიორა სოფელია რაჭაში. სახელი დარქმეული აქვს მცენარის სახელწოდების მიხედვით. *ჭიორა* ანუ *ჭიოტა* პურეულის ნათესებში გავრცელებული მცენარეა, რომელსაც დიდი, წითელი, მიხაკისებრი ყვავილი აქვს.

ჭიშურა. იმერეთისა და ოკრიბის საზღვარზე უნაგირა მთის ძირი

წყალს გამოურღვევია და მოზრდილი ქვაბული წარმოუქმნია. ანკარა და ცივი წყალი ჯერ ამ ქვაბულის ფსკერზე ჭასავით ღრმა პატარა ტბას ქმნის, შემდეგ კი გზას მიიკვლევს ჭალაში, ჩაუვლის სოფლებს — ჭალასთავსა და ბროლიქედს და მარჯვენა მხრიდან ცრთვის ყვირილას. ამ პატარა მდინარის სახელია ჭიშურა.

ჭიშურას კვეთს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შემაერთებელი უმთავრესი საავტომობილო გზა. ძველად თურმე ეს გზა რამდენიმე კილომეტრის დაშორებით გადიოდა უფრო ჩრდილოეთისაკენ, სადაც დღემდე შემორჩენილია ძველი ხიდი, აგებული მდინარე ჭიშურაზე 1668 წელს.

ჭიშურა ნაწარმოებია *ურ-ა* სუფიქსებით, რომლებიც ცრთვის *ჭა* სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას (დასაშვებია გვქონდა როგორც ნათესაობითი ბრუნვის კოლხური ფორმანტი *იშ*, ისე *ქართული ის*, რომელიც *ჭ*-სთან ასმილაციით მაინც *იშ*-ად იქცეოდა). ამრიგად, *ჭიშ-ურ-ა* იგივეა, რაც „ჭისა“.

ჭოროხი მდინარეა აჭარაში. იგი ხშირად იხსენიება ძველ საისტორიო წყაროებში, მაგრამ სულ სხვადასხვა სახელით: ძველ ბერძნულ მწერლობაში მას ეწოდება *აფსარი, აკამფსისი* (ბერძნულად ნიშნავს „უდრეკს“, „მედგარს“) *ბოას* (ბერძნულად *ბოაო* ნიშნავს „ვყვირი“, სხვა წყაროების მიხედვით *ბოას* შეესატყვისება მდინარე ყვირილას), ლვიკე... ძველ სომხურ გეოგრაფიაში ამ მდინარეს ჰქვია *იოჰ, ვოჰ*. იქვე აღნიშნულია, რომ მას ქართულად *კაკამარს* ეძახიანო. XVII ს. თურქი მოგზაური ევლია ჩელები კი აღწერს *ჯორუხ-ჯურუხს*.

მწერალი გ. შატბერაშვილი თავის „თვალადურ ლექსიკონში“ განმარტავს, რომ მოჭოროხებული ჰქვია „ადიდებული მდინარის ან დიდი ნიაღვრების მოტანილი ქვა-ღორღით, ნარიყით, ქვიშა-სილით მოფენილ ადგილს“. აშკარაა, მოჭოროხება წარმოქმნილია *ჭოროხ*-ისაგან, რაც ნიაღვარს, მდინარეს უნდა ნიშნავდეს. შესაძლოა აქ გამოიყოფოდეს ქართული წყალ ფუძის შესატყვისი კოლხური *ჭორ*.

ჭუბერი სოფელია ზემო სვანეთში. მის სახელწოდებას საფუძვლად უძევს წაბლ-ის კოლხური შესატყვისი *ჭუბ (ჭუბურ)* და, მაშასადამე, იგი „წაბლარს“ ნიშნავს. (შეადარეთ წაბლიანი, წაბლოვანა, წაბლანა, წაბლარა, წაბლარისხევი...).

ჭუბურხინჯი სოფელია სამეგრელოში. ეს სახელწოდება კომპოზიტს წარმოადგენს, რომლის პირველი ნაწილია იგივე *ჭუბურ* („წაბლი"), მეორე კი ხინჯი („ხიდი"). ამრიგად, *ჭუბურ-ხინჯი* „წაბლის ხიდს" ნიშნავს (შეადარეთ ბულიშხინჯი, ცხემლისხიდი).

ჭყვიში, საქართველოს სასალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძისა და მეორე სახელოვანი პოეტის ტიციან ტაბიძის მშობლიური სოფელი, მდებარეობს ქვემო იმერეთში, ვანის რაიონში, მდ. რიონის პირას. მისი სახელი წარმოქმნილია კოლხური ტოპონიმებისათვის დამახასიათებელი *იშ* სუფქსით. საფიქრებელია, რომ ფუძეც კოლხური უნდა იყოს. ვარაუდობენ, რომ ეს ფუძე *ჭყუ* „წყალს" უკავშირდება. მაშასადამე, *ჭყვიში* იგივეა, რაც „წყლისი", „წყლიანი (ჭაობიანი ან წყაროებიანი) ადგილი".

ჭყონაჭორა ანუ *ჭყონგვარა* სოფელს ჰქვია გურიაში (ლანჩხუთის რ.). ამ სახელწოდების მეორე ნაწილია *გორა*, პირველ ნაწილს კი შეადგენს კოლხური *ჭყონი* — „მუხა". ასე რომ, *ჭყონაგორა* ნიშნავს „მუხის გორას".

იგივე სიტყვა *ჭყონი* წარმოდგენილია აგრეთვე სამეგრელოს ერთ-ერთი სოფლის სახელში: დიდი ჭყონი. *ძველად ჭყონდიდი*, ე. ი. „მუხა-დიდი" ერქვა აგრეთვე დღევანდელ გეგეჭკორს. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ქართულში *ჭყონ*-ს შეესატყვისება *წყან*-ი, რომელიც დაცულია კურორტ წყნეთის სახელწოდებაში.

ხანდაკი (ზემო და ქვემო) სოფლებს ჰქვია კასპის რაიონში. ეს სიტყვა წარმოშობით სპარსულია და თხრილის, სანგრის აღსანიშნავად ქართულშიც იხმარებოდა. როგორც ვხედავთ, იგი ტოპონიმიკურ სახელადაც ქცეულა.

ხაშმი ძველი სოფელია გარეკახეთში, ივრის მარცხენა ნაპირას (საგარეჯოს რ.). ადრე ეს სოფელი უფრო მაღლა ყოფილა ტყეში გაშენებული და კაწარეთი რქმევია. იქიდან დაახლოებით XI საუკუნეში ჩამოუწევია ქვემოთ, იმ ადგილებში, რომელსაც ახლა *ძველი ხაშმი* ჰქვია და დღევანდელი ხაშმისაგან ხუთი-ექვსი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. დაბოლოს, მოგვიანო ხანებში, სოფელს კიდევ უფრო ქვემოთ ჩამოუნაცვლებია და გაშენებულა ნათლისმცემლის სამრეკლოს მიდამოებში (ეს სამრეკლო ძველისძველია, ხალხს გორგასალის დროს აშენებულად მიაჩნია). ამბობენ, იმ

დროს იერის ჭალები ჭაობიანი იყო და დახაშმულა ჰაერი იდგა, სოფელსაც ამიტომ დაერქვა ასეთი სახელიო (*ხაშმი* ჭაობის ანაორთქლ ჰაერს ჰქვია). დღევანდელი სოფლის ადგილმდებარეობა და ჰაერი ასეთ მნიშვნელობას არ ამართლებს: ხაშმი გამოირჩევა თავისი ჯანსაღი ჰაერით და საერთოდ ბუნების სიკეთით.

ხაშური ცნობილი ქალაქის სახელია აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლში). საბა ამ სიტყვას ასე განმარტავს: „*ხაშური* მლაშე წყლის მარილი, გინა რაც წყლისა და ტბისაგან მარილის მსგავსი რამ გამოვა... მათს ნიშანს ეწოდების“. მართლაც, ხომ ყველას გვინახავს, როგორ რჩება მლაშე წყლის მოთეთრო ზოლი ნარუვალზე ან ნატბეურ ადგილზე. სწორედ ასეთ ადგილს შერჩენია სახელად ხაშური.

ხერთვისი რამდენიმე სოფლისა და ადგილის სახელია საქართველოში. კერძოდ, ეს სახელწოდება გვხვდება ჯავახეთში, აჭარაში, მთიულეთში. ჯავახეთის ხერთვისი ქალაქი და პირველხარისხოვანი ციხე იყო, რომელიც იცავდა ჯავახეთიდან სამცხისაკენ მიმავალ გზას. ეს ციხე ახლაც ამაყად დგას ორი მტკვრის შესართავთან. საერთოდ, ხერთვისი ისეთ ადგილებს ჰქვია, სადაც ორი მდინარე უერთდება ერთიმეორეს. ცხადია, ეს სახელწოდება მიღებული უნდა იყოს *ერთვის* ზმნისაგან. მაგრამ საიდან გაჩნდა წინ *ხ*? რატომ გვაქვს *ხერთვისი* და არა *ერთვისი*? ერთ დროს ფიქრობდნენ, ეს *ხ სევ* სიტყვის ნაშთიაო (ხევ-რთვისი → ხერთვისი). მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, *ხ* აქ ზმნის პირის ნიშანია: იგი გვხვდებოდა ქართულ ზმნებში ძალიან ძველად, VIII საუკუნემდე. ამრიგად, ხერთვისი ძველისძველი გეოგრაფიული სახელია, რომელმაც დღევანდლამდე შემოგვინახა ძველებური ფორმა.

ხინკლიძარი სოფელია სამეგრელოში. *ხინკ-ი* კოლხური ფორმაა *ხიდ* სიტყვისა. ამრიგად, *ხინკი(შ)-კარი* იგივეა, რაც „ხიდისკარი“ (შეადარეთ სოფლის სახელი *ხიდისკარი* რაჭაში). იგივე *ხინკ* სიტყვა მონაწილეობს სხვა ტოპონიმებშიც: *ბულიშ-ხინკი* („ბლის ხიდი“), *ჭუბურ-ხინკი* („წაბლის ხიდი“). ბუნებრივია, ქართული ხიდ-ისაგანაც მრავალი ტოპონიმი არის წარმოქმნილი; სახელდობრ, სოფლებს ჰქვია: ხიდი (წულუკიძის რ.), ხიდარი (ორჯონიკიძის რ.), ხიდისთავი (გორისა და ჩოხატაურის რ.), ხიდისყური

(კასპისა და ხაშურის რ.), ხიდმაღალა (ლანჩხუთის რ.), ცხემლისხიდი (მახარაძის რ.) და სხვ.

ხობი დაბაა, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრი. სახელწოდება მეგრულია და „ნიჩაბს“ ნიშნავს. იგივეა *ხოფი* (ჭანეთში).

ხოვლე სოფელია ქართლში (კასპის რ.). სიტყვა *ხოვლი* ამჟამად გვხვდება დიალექტებში, კერძოდ ფშაურში, სადაც იგი ნიშნავს ნანგრევს, ნაოხარ ადგილს. სოფლის სახელწოდება სწორედ ამ სიტყვიდან უნდა იყოს წარმოქმნილი. ასეთი სახელი სოფელს ადვილად შეიძლებოდა დარქმეოდა ძნელბედობის ხანაში, როცა ჩვენს ქვეყანას მტრები არ ასვენებდნენ და ხშირად აოხრებდნენ.

ხომული პატარა სოფელია იმერეთში, ქუთაისსა და წყალტუბოს შორის. სახელწოდება ქართული *ხმელ*-ის კოლხური ფონეტიკური შესატყვისია და მნიშვნელობაც იგივე აქვს. სოფელს ასეთი სახელი შეიძლებოდა დარქმეოდა მშრალი ნიადაგის გამო.

ხრამი მტკვრის მარჯვენა შენაკადია, რომელზედაც აგებულია დიდი ელსადგური — ხრამჰესი. სახელწოდება ხრამი იმაზე მიუთითებს, რომ მისი კალაპოტის დიდი ნაწილი დახრამულია. ამ მდინარეს აქვს მეორე სახელიც — *ქცია*. ეს სახელწოდება მთლად ნათელი არ არის. შეიძლება იგი იმაზე მიუთითებდეს, რომ მდინარის კალაპოტი დაქცეულია, ე. ი. ხრამი და ქცია მაშინ სხვადასხვა სიტყვით გამომხატველი იქნება ერთი და იმავე შინაარსისა.

ხრეითი სოფლის სახელია ზემო იმერეთში. აქ გამოიყოფა სუფიქსი *ით*, ხოლო ფუძეა *ხრე*, რომელიც *ღრე*-საგან უნდა იყოს მიღებული. *ღრე* ამჟამად ცალკე არ გვხვდება, მაგრამ შემონახულია, რთულ სიტყვებში: *კლდე-ღრე*, *ტყე-ღრე* (ნიშნავს კლდიან, ღორღიან ადგილს). აღსანიშნავია რომ ხრეითის მახლობლად მეორე სოფელს კლდეეთი ჰქვია.

ხულო ჰქვია დაბას, ერთ-ერთ რაიონულ ცენტრს აჭარაში. დასავლეთ საქართველოში *ხულა* (ძველი ფორმით *ხული*) ეწოდება ხის მცირე ნაგებობას, რომელიც უმთავრესად მარცვლეულის შესანახად გამოიყენება. ამ სიტყვისაგან გეოგრაფიული სახელწოდება ნაწარმოებია *ო* სუფიქსით, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება აჭარის ტოპონიმიაში (ჩანჩხალო, ჩხრიალო, ძირილო, ფრიაცო, ჭინჭყო, ბაკო, ფურტიო. იხ. აგრეთვე ზემოთ ბახმარო, დანდალო).

ხურთი სოფელს ჰქვია რაჭაში (ონის რაიონში). ამ მხარეში ბევრია სვანური წარმოშობის ტოპონიმები და ესეც ერთი მათგანია: *ხურუ* სვანურად ნიშნავს „ხვრელს", „სოროს", სუფიქსად კი მას დართული აქვს *თ*, რომელიც კარგად ცნობილი *ეთ* სუფიქსისაგან არის მიღებული. ამრიგად, *ხურუ-თ-ი* იგივეა, რაც „სოროეთი", „ხვრელეთი".

ხუცუბანი სოფელია ქობულეთის ახლოს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ირკვევა, რომ ამ ადგილას მოსახლეობა ყოფილა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII—V საუკუნეებში, როცა ჩვენი წინაპრები ბრინჯაოდან რკინის წარმოებაზე გადადიოდნენ.

თავისთავად ცხადია, რომ სოფლის სახელი ხუცუბანი ასე ძველი არ შეიძლება იყოს, მაგრამ იგი არც მთლად ახალია. პირველად იქნებოდა *ხუცის-უბანი*, რაც *ხუცესის* (მღვდლის ან გვარის უფროსის, მოხუცის) უბანს ნიშნავს, აქედან კი მივიღეთ *ხუცუბანი*.

ჯაკანა სოფელია გურიაში, შედის ნიგოითის სასოფლო საბჭოში (ლანჩხუთის რ.). *ჯაპი* მეგრულად თუთის ხეს ჰქვია. აქედანაა ნაწარმოები *ჯაპანა* (←*ჯაპ-ონ-ა*), რაც „თუთოვანს" ანუ „ბჟოლოვანს", „ბჟოლნარს" ნიშნავს (შეადარეთ *ლაჯანა*).

ჯიხაიში სამია: დიდი, პატარა და გოჩა (ესეც „პატარას" ნიშნავს). დიდი ჯიხაიში სამტრედიის რაიონს ეკუთვნის (აქაური იყო გამოჩენილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე), პატარა ჯიხაიში და გოჩა ჯიხაიში წულუკიძის რაიონში შედის.

ჯიხა არის *ციხე* სიტყვის *კოლხური* შესატყვისი, იმ გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებელი სუფიქსია. ამრიგად, *ჯიხა-იშ-ი* იგივეა, რაც „ციხ-ის-ი".

ჯიხა უაფიქსოდაც გვხვდება გეოგრაფიულ სახელად (ჰქვია სოფელს ცხაკაიას რაიონში). ამავე სიტყვას შეიცავს *ჯიხანჯირი* და *ჯიხასკარი*.

ჯიხანჯირი სოფელია გურიაში. ეს სახელი ჰქვია მახლობელ მთასაც (ლანჩხუთის რ.). სახელწოდება კომპოზიტს წარმოადგენს და შედგება ორი სიტყვისაგან: *ჯიხა* („ციხე") და *ჯირი* („ძირი"). ამრიგად, *ჯიხანჯირი* იგივეა რაც „ციხის-ძირი". ასეთი სახელი, ცხადია, ჯერ სოფელს დაერქმეოდა და შემდეგ კი მის მიხედვით მთასაც დარქმევია.

ჩვენ უკვე არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ ჩვენს ტოპონიმიაში

მრავლად გვხვდება კოლხური ფორმები დღევანდელი სამეგრელოსა და ჭანეთის ფარგლებს გარეთაც. ტოპონიმთა ამ ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე *ჯიხაიში* და *ჯიხანჯირი* (პირველი იმერეთშია, მეორე — გურიაში).

ჯიხასძარი სოფელია ზუგდიდის რაიონში. სახელწოდება, რომელიც პარალელურად გვხვდება აგრეთვე *ჯიხაშკარ*-ის ფორმით, ნიშნავს „ციხის კარს".

ჯუმი, ჯუმათი, ჯუმითი — ეს სახელები ჰქვია სოფლებს გურიასა და სამეგრელოში: *ჯუმათი* დიდი სოფელია მახარაძის რაიონში, *ჯუმი* ზუგდიდის რაიონს ეკუთვნის, *ჯუმითი* კი ორ სოფელს ჰქვია ჩხოროწყუს რაიონში (ერთი ლეწურწუმის სასოფლო საბჭოში შედის, მეორე — ხაბუმის სასოფლო საბჭოში).

სამივე ამ სახელწოდებაში გამოიყოფა ძირი *ჯუმ(ა)*, რომელიც ერთ შემთხვევაში უაფიქსოდ არის წარმოდგენილი, სხვაგან კი დართული აქვს სუფიქსი *ით* ან *(ა)თ*.

ჯუმი||ჯუმა ქართველი ტომების — მეგრელების, ჭანებისა და სვანების — წარმართული ღვთაება ყოფილა, რომელსაც უკავშირდება ოთხშაბათის სახელწოდება (მეგრულ-ჭანურად *ჯუმაშხა*— *ჯუმაშ-დღა* „ჯუმას დღე", სვანურად *ჯუმაშ* „ჯუმასი"). ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „გეოგრაფიული სახელების მთელი რიგია აგრეთვე ამ *ჯუმა* ან *ჯიმა*-სთან დაკავშირებული. ამიტომ ეს „ჯუმა" და „ჯიმაღი" შეიძლება ჰერმესის ანუ მერკურის ძველ ქართულ სახელად ვცნათ" („ქართველი ერის ისტორია", 1, გვ. 138).

ი. ჯავახიშვილს გათვალისწინებული ჰქონდა აგრეთვე სხვაგვარი შესაძლებლობაც, რომლის მიხედვითაც ზემოხსენებულ სახელწოდებათა ძირი შეიძლება დაუკავშირდეს ძმა სიტყვას. როგორც *ძიმით*-ზე საუბრისას ვამბობდით; *ძმა*-ში *ძ* და *მ* ბგერათა შორის ხმოვანი აკლია. ის ზოგჯერ გამოჩნდება მიმართვის ფორმებში: *ძამა, ძამია, ძამიკო*. ქართული *ძ*-ს ადგილს, ფონეტიკური კანონზომიერების თანახმად, მეგრულ-ჭანურში *ჯ* იკავებს, მისი მომდევნო ხმოვანიც იცვლება და საბოლოოდ მეგრულში გვაქვს *ჯიმა*, ჭანურში — *ჯუმა*. აი, ამ უკანასკნელისაგან შეიძლება იყოს წარმოქმნილი *ჯუმათი* და *ჯიმითი*. მაშასადამე, ესაა იგივე „ძმათი" ანუ „ძმეთი", ე. ი. ძმების საზიარო საკუთრება, საზიარო ადგილი თუ სოფელი

(შეადარეთ გურიის სოფლის სახელი *ძიმითი*). ამგვარი ახსნის თანახმად, *ჯუმათი* კიდევ ერთი ზანიზმია გურიის ტოპონიმიაში.

გასათვალისწინებელია კიდევ სხვაგვარი შესაძლებლობაც: *ჯუმა* არაბულად ნიშნავს პარასკევს, რომელიც მუსულმანებისათვის ისეთივე სადღესასწაულო დღე იყო, როგორც ებრაელებისათვის შაბათი და ქრისტიანებისათვის კვირა. ამ დღეს იმართებოდა ბაზრობა. შესაძლოა, *ჯუმათი, ჯუმითი* ან უბრალოდ *ჯუმი* დარქმეოდა ბაზრობით განთქმულ ადგილს.

რომელი ვარაუდია ამათგან სწორი, ძნელი სათქმელია. რასაკვირველია, უფრო ბუნებრივი და სარწმუნო იქნებოდა, რომ ქართული ტოპონიმების ახსნა ქართულ ნიადაგშივე გვეპოვა და კოლხური წარმართული ღვთაების სახელთან ან „ძმის" აღმნიშვნელ სიტყვასთან დაგვეკავშირებინა, მაგრამ მსგავსი ჟღერადობის ტოპონიმი — *ჯიმითი* ჩვენ სოფლის სახელად გვხვდება კახეთშიც, გურჯაანის რაიონში, სადაც კოლხურის რაიმე გავლენა გამორიცხულია. მაშასადამე, ეს ან სულ სხვა წარმოშობის ტოპონიმია, ვიდრე *ჯუმითი* და *ჯუმათი*, ან ყველა ისინი არაბულ *ჯუმა*-ს უკავშირდება. ჩვენ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა უფრო დასაშვებად მიგვაჩნია.

ჰადიში ძველთაძველი სოფელია სვანეთში. ამ პატარა სოფელში შვიდი ძველი ეკლესია და ორი ამდენი ზვიადი კოშკი დგას. აქ დიდხანს ინახებოდა ერთი უძვირფასესი ქართული ხელნაწერი — უძველესი თარიღიანი ოთხთავი, გადაწერილი 897 წელს. იგი ახლა ადიშის ოთხთავის სახელით არის ცნობილი და მისი მეოხებით სვანეთის ამ პატარა სოფლის სახელიც ყველამ იცის.

ამ სახელწოდების ძირია სვანური სიტყვა *ჰად (ჰად-რა)*, რომელიც „იელს" ნიშნავს. მას დართული აქვს *იშ* სუფიქსი, რომელიც არაერთგზის შეგვხვდა ზემოთ განხილულ მეგრულ და სვანურ ტოპონიმებში. ასე რომ, *ჰად-იშ-ი* — ესაა „იელ-ის-ი".

იცი თუ არა

სხვადასხვა კონტინენტის სახელწოდება მეტწილად მხარეთა სახელებს უკავშირდება. სახელდობრ, *აზია* და *ევროპა* წარმოქმნილია ძველი ასირიული სიტყვებისაგან: *ასუ*—„ამოსვლა", „აღმოსავლეთი", *ერებ* — „ბნელი", „დასავლეთი". ორივე ეს სახელწოდება

ძალიან ძველია, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იხმარებოდა, მაგრამ თავიდანვე დღევანდელი მნიშვნელობა როდი ჰქონდა: ასუ-ს ასირიელები უწოდებდნენ მხოლოდ ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს. ძველმა ბერძნებმა გამოიყენეს ეს სახელი მცირე აზიის ერთი ნაწილის აღსანიშნავად, რომაელებმა კი აზია უწოდეს პერგამს (მცირე აზიის სახელმწიფოს), რომელიც 1 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომის პროვინცია იყო. ასევე თანდათანობით გაიფართოვა მნიშვნელობა ევროპის სახელწოდებამაც.

ავსტრალია ლათინურად ნიშნავს „სამხრეთულს", „სამხრეთის ქვეყანას". ეს სახელწოდება აგრეთვე ძველია: პტოლომეოსი II საუკუნეში წერდა, რომ ინდოეთის ოკეანის სამხრეთით არსებობს *ტერა აუსტრალის ინკოგნიტა* — „სამხრეთის უცნობი ქვეყანა". ერთ დროს ეგონათ, სამხრეთ ნახევარსფეროში უზარმაზარი უცნობი კონტინენტი არსებობსო და სწორედ მის აღსანიშნავად ხმარობდნენ სახელწოდებას *ტერა აუსტრალის* — „ქვეყანა სამხრეთისა". მეზღვაურები გამუდმებით ეძებდნენ ამ კონტინენტს და ახლად აღმოჩენილ სხვადასხვა ქვეყანას ავსტრალიას არქმევდნენ. დღევანდელი მნიშვნელობით სახელწოდება ავსტრალია მხოლოდ 1814 წლიდან იხმარება და მისი შემომღები არის ინგლისელი ზღვაოსანი მ. ფლინდერსი.

სახელწოდება *არქტიკა* მომდინარეობს ძველი ბერძნულიდან: *არქტიკოს* — „ჩრდილოეთი" (*არქტოს* ბერძნულად ნიშნავს „დათვს", ასე უწოდებდნენ აგრეთვე დიდი დათვის ანუ ჩრდილოეთის თანავარსკვლავედს და სწორედ ამიტომ იქცა ეს სიტყვა ჩრდილოეთის აღმნიშვნელად).

ანტარქტიკა ჰქვია არქტიკის საპირისპირო მხარეს, ე. ი. უკიდურეს სამხრეთს (*ანტი* ბერძნულად ნიშნავს „საპირისპიროს", „საწინააღმდეგოს").

როგორც ვხედავთ, ყველა ზემოხსენებული სახელწოდება ქვეყნის მხარეთა აღმნიშვნელი სიტყვებისაგან არის მიღებული. რაც შეეხება დანარჩენ კონტინენტთა სახელებს, აფრიკა რომაელებს შეურჩევიათ ერთ-ერთი იქაური ტომის სახელის მიხედვით, ხოლო ამერიკა უკავშირდება გამოჩენილი იტალიელი მკვლევარის ამერიგო ვესპუჩის სახელს.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში რომაელებმა დაიპყრეს

კართაგენი და იქ წარმოქმნილ რომაულ პროვინციას დაარქვეს აფრიკა. ეს სახელი დარქმეულია კართაგენის სამხრეთით მცხოვრები ბერბერული ტომის — აფრიგების ანუ აფრიდების მიხედვით (თვით ამ ტომის სახელს უკავშირებენ ბერბერულ *აფრი* სიტყვას, რაც „გამოქვაბულს" ნიშნავს). რომაელების პროვინცია აფრიკა დაასლოებით თანამედროვე ტუნისის ტერიტორიას მოიცავდა, შუა საუკუნეებში ეს სახელწოდება ალჟირზეც გავრცელდა, ბოლოს კი მთელ მატერიკს დაერქვა.

უფრო ადრე ბერძნები და რომაელები აფრიკას *ლიბიას* უწოდებდნენ (ერთ-ერთი აფრიკული ტომის *ლიბუს* სახელის მიხედვით). აქედანაა დღევანდელი აფრიკის ერთ-ერთი სახელმწიფოს სახელი ლიბია.

სახელწოდება ამერიკა პირველად გაჩნდა ამერიკის აღმოჩენიდან თხუთმეტი წლის შემდეგ — 1507 წელს. როგორც ცნობილია, ამერიკის აღმოჩენა დაკავშირებულია ქრისტეფორე კოლუმბის სახელთან, მაგრამ მას ეს ქვეყანა ინდოეთი ეგონა. 1503 წელს იტალიელმა მოგზაურმა ამერიგო ვესპუჩიმ შეისწავლა და აღწერა სამხრეთ ამერიკა, ცხადყო, რომ ეს სრულიად ახალი ქვეყანაა და მას „ახალი სამყარო" უწოდა. გერმანელმა მეცნიერმა ვალდემიულერმა 1507 წელს წინადადება წამოაყენა, რომ ამ ახლად აღმოჩენილი ქვეყნისათვის ამერიკა ეწოდებინათ ამერიგო ვესპუჩის სახელის მიხედვით (სახელი ოდნავ გადააკეთეს *აფრიკის* ანალოგიით). პირველად ამერიკა ეწოდა მხოლოდ სამხრეთ ამერიკას, მალე კი ეს სახელწოდება ჩრდილოეთზეც გავრცელდა და დღევანდელი მნიშვნელობა მიიღო XVI საუკუნის 40-იანი წლებიდან.

—.—

ისევე როგორც კონტინენტებს, ზოგჯერ ზღვებსა და ოკეანეებსაც ქვეყნის მსარეთა სახელებს არქმევდნენ. ასე, მაგალითად, ძველი ბერძენი ისტორიკოსი პტოლომეოსი ატლანტის ოკეანის სახელით მხოლოდ მის სამხრეთ ნაწილს იხსენიებს, ჩრდილოეთ ნაწილს კი დასავლეთის ოკეანეს უწოდებს. ამავე ოკეანის ერთ ნაწილს შუა საუკუნეთა გეოგრაფოსების ნაშრომებში ჩრდილოეთის ზღვა ეწოდება. მის საპირისპიროდ წყნარ ოკეანეს სამხრეთის ზღვას უწოდებდნენ. დღეისათვის ოკეანეთა სახელებიდან მხარის აღმნიშვ-

ნელი სიტყვა შერჩა მხოლოდ ერთს — ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეს. სხვა ოკეანეების დღევანდელ სახელწოდებათა დარქმევის ისტორია ასეთია:

ყველაზე დიდ ოკეანეს წყნარი ოკეანე ჰქვია. ეს სახელი მას შეარქვა ცნობილმა მოგზაურმა მაგელანმა (XVI ს.), რომელმაც უზარმაზარი ოკეანე ისე გადასერა, რომ ხიფათი არ შეხვედრია. წყნარი ოკეანე სინამდვილეში არც ისე წყნარია, ამიტომ სხვანაირად კიდევ დიდ ოკეანესაც უწოდებენ. ეს სახელი მას პირველად ფრანგმა ბიუაშმა უწოდა 1752 წელს.

ატლანტის ოკეანეს ეს სახელი შეარქვეს ბერძნებმა აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე მთიანი მხარის — *ატლასის* მიხედვით. ადრე ასე ერქვა ატლანტის ოკეანის მხოლოდ ნაწილს, მთელ ოკეანეს კი ეს სახელწოდება საბოლოოდ დაუმკვიდრა ჰოლანდიელმა გეოგრაფოსმა ბ. ვარენიუსმა 1650 წლიდან. თვით აფრიკის მთიან მხარეს, რომლისგანაც მიიღო სახელწოდება ატლანტის ოკეანემ, *ატლასს* უწოდებდნენ იმის გამო, რომ ძველ ბერძნებს ის მიაჩნდათ ქვეყნიერების კიდედ, სადაც მითის მიხედვით იდგა ტიტანი ატლასი და მხრებით ეკავა ცის კამარა.

ინდოეთის ოკეანე, ცხადია, ქვეყნის სახელის მიხედვით არის დარქმეული. ასე ეწოდა ოკეანეს იმიტომ, რომ მის სანაპიროებზე მდებარე ქვეყნებს შორის ინდოეთი ითვლებოდა ყველაზე მდიდარ და ზღაპრულ მხარედ. ადრე მას უწოდებდნენ აგრეთვე ერიტრეის ზღვას, წითელ ზღვას, სამხრეთის ზღვას, ინდოეთის ზღვას, აღმოსავლეთ ინდოეთის ოკეანეს.

ამჟამად ქვეყნის მხარეთა მიხედვით დარქმეულ სახელებს ატარებენ ზღვები: ჩრდილოეთის ზღვა (ატლანტის ოკეანის ნაწილი, ევროპის კონტინენტის ჩრდილოეთით, დიდი ბრიტანეთის კუნძულებსა და სკანდინავიის ნახევარკუნძულს შორის), სამხრეთ ჩინეთის ზღვა (წყნარი ოკეანის ნაწილი, ჩინეთის სამხრეთით; ჩინელები მას პირდაპირ უწოდებენ *ნან-ხაის*, ე. ი. „სამხრეთის ზღვას").

—.—

მხარეთა აღმნიშვნელ სიტყვებს უკავშირდება ზოგიერთი ქვეყნის სახელიც. სახელდობრ, კარლოს დიდის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ ერთ-ერთ სახელმწიფოს ევროპაში ეწოდა *მარხია*

აუსტრიკა, რაც ლათინურად „აღმოსავლეთის მხარეს“ ნიშნავს. შემდეგ ამ სახელწოდებას პირველი ნაწილი ჩამოსცილდა და დარჩა მხოლოდ აუსტრიკა ანუ ავსტრია, ე. ი. „აღმოსავლეთისა“, „აღმოსავლური“.

„აღმოსავლეთს“ ნიშნავს ბერძნულად მცირე აზიის სახელწოდება ანატოლია.

ირანის ერთი ნაწილისა და მისი მთავარი ქალაქის სახელი ხორასანი სპარსულად ნიშნავს „მზის აღმოსავალს“.

„მზის ქვეყანას“ ნიშნავს იაპონურად *იაპონია;* ჩინელები მას „ამომავალი მზის ქვეყანას“ უწოდებენ. *ვიეტნამი* ნიშნავს „სამხრეთის ქვეყანას“, *ნორვეგია* — „ჩრდილოეთის გზას“ (ასე ეწოდებოდა პირველად სკანდინავიის ნახევარკუნძულის სანაპიროს, რომლის გასწვრივაც გადიოდა ნორმანების საზღვაო გზა ჩრდილოეთისაკენ, IX საუკუნიდან კი ეწოდა ნახევარკუნძულზე მდებარე ერთ-ერთ სახელმწიფოს).

—.—

ქვეყნების უმეტესობას სახელი დარქმეული აქვს ხალხის, ადგილობრივ მკვიდრთა, სახელწოდების (ეთნონიმის) მიხედვით: რუსი— რუს-ეთ-ი, თურქი — თურქ-ეთ-ი, არაბი — არაბ-ეთ-ი, ბერძენი— სა-ბერძნ-ეთ-ი, ფრანგი — სა-ფრანგ-ეთ-ი და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ხშირად ამა თუ იმ ქვეყანას და მის მკვიდრთ სხვადასხვა ხალხი სხვადასხვაგვარი სახელით იცნობს. მაგალითად, ჩვენ, ქართველები, ჩვენს თავს *ქართველს* ვუწოდებთ, ჩვენს ქვეყანას კი *საქართველოს* ვეძახით. ჩვენი მეზობელი სომხებისათვის ქართველი არის *ვრაც,* საქართველო — *ვრასტან,* აზერბაიჯანელებისათვის შესაბამისად — *გურჯი* და *გურჯისთან,* რუსებისათვის — *გრუზინ* და *გრუზია.* ბერძნულად საქართველოს ეწოდება *გეორგია,* ინგლისურად — *ჯორჯია,* ფრანგულად — *ჟორჟი* და ა. შ. ასეთი მაგალითები იშვიათი როდია. სანიმუშოდ დავასახელებთ კიდევ ორიოდე მსგავს შემთხვევას: რუსულად გერმანელს აღნიშნავს *ნემეც,* ფრანგულად — *ალემან,* ბევრ ენაზე მათ ეწოდება *გერმან* (აქედანაა ქვეყნის სახელწოდება *გერმანია*). გერმანელ ტომთა ძველი სახელია *ტევტონი,* ხოლო ამჟამად თვითონ გერმანელები თავისთავს

უწოდებენ *დოიჩს*, თავის ქვეყანას კი — *დოიჩლანდს* („გერმანელთა ქვეყანას").

ბრიტანეთის კუნძულზე მდებარე ქვეყანას ჩვენ *ინგლისს* ვუწოდებთ, რუსები — *ანგლიას*, თვითონ ინგლისელები კი—*ინგლანდს*, რაც „ანგლების ქვეყანას" ნიშნავს (ანგლები გერმანელი ტომი იყო, რომელიც V—VI საუკუნეებში გადასახლდა ბრიტანეთის კუნძულზე).

—.—

ზოგჯერ ქვეყნის სახელად ქცეულა რომელიმე გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება. ასე, მაგალითად, *კანადა*, რაც ინდიელთა ტომის (იროკეზების) ენაზე „სოფელს" ნიშნავს, პირველად ინდიელთა ერთ სოფელს რქმევია ჩრდილო ამერიკაში, შემდეგ დარქმევია ამ სოფლის ახლომახლო მიდამოებსაც, ბოლოს კი კანადა მთელი სახელმწიფოს სახელად იქცა.

ლიბანი სემიტურად „თეთრ მთას" ნიშნავს. პირველად ასე ერქვა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ქედს, შემდეგ კი მნიშვნელობა გაიფართოვა და ახლა მთელ სახელმწიფოს ჰქვია.

სინგაპური, რაც სანსკრიტულად „ლომის ქალაქს" ნიშნავს, ჯერ ერქვა ქალაქს, შემდეგ მის მიხედვით — კუნძულს, ბოლოს კი დაერქვა ამ კუნძულზე ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს.

ცენტრალურ ამერიკაში არის სახელმწიფო *სალვადორი*, რომლის სახელწოდება ესპანურია და „მხსნელს" ნიშნავს. თავდაპირველად ასე ერქვა აქ აგებულ ციხე-სიმაგრეს, რომლის მიხედვით შემდეგ სახელი მიიღო მთელმა სახელმწიფომ.

ესპანელთა ექსპედიციამ სამხრეთ ამერიკაში ერთ მდინარეს უწოდა *რიო დე ლა პლატა* ანუ „ვერცხლის მდინარე". ვერცხლის მდინარის შეერთებულმა პროვინციებმა 1810 წელს თავი დააღწიეს ესპანელთა უღელს და შექმნეს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელსაც 1826 წელს უწოდეს არგენტინა, რაც ლათინურად „ვერცხლისას" ნიშნავს. ცხადია, ეს სახელი „ვერცხლის მდინარის" მიხედვით არის შერჩეული.

—.—

მსოფლიოში უდიდესი კუნძულის სახელი გრენლანდი სკანდინავიურ ენებში ნიშნავს „მწვანე ქვეყანას". ასე უწოდებიათ ამ ყი-

ნულოვანი კუნძულისათვის X საუკუნეში კოლონისტების მისაზიდავად.

კუნძულთა ერთ ჯგუფს ატლანტის ოკეანეში *მადეირა* ჰქვია, მეორეს — *აზორის* კუნძულები. ორივე ეს სახელწოდება პორტუგალიურია: პირველი ნიშნავს „ტყეს“, მეორე — „ქორს“.

ფინიკიურად „ტყიანს“ ნიშნავს ხმელთაშუა ზღვაში მდებარე კუნძულის სახელი *კორსიკა*.

ხმელთაშუა ზღვაშივე არის კუნძული *კვიპროსი*, რომელსაც სახელი დარქმევია მცენარის—კვიპაროსის მიხედვით. თავის მხრივ ამ კუნძულისაგან მიიღო სახელი ერთ-ერთმა ლითონმა, სპილენძმა, რომელიც კვიპროსიდან გაჰქონდათ: *კუპრუმ* ლათინურად ნიშნავს „სპილენძს“ და ლათინურიდან მსოფლიოს მრავალ ენაშია შესული.

ეგეოსის ზღვაში ერთ კუნძულს *როდოსი* ჰქვია, რაც ბერძნულად „ვარდს“ ნიშნავს, მეორე კუნძულს კი *ლესბოსი* ეწოდება, რაც „ტყიანს“ ნიშნავს.

კარიბის ზღვაში მდებარე კუნძულის სახელი *კიურასაო* ესპანურად ნიშნავს „განკურნებას“, „გაჯანსაღებას“. XV ს. დამლევს ამ კუნძულზე დაუტოვებიათ მძიმედ ავადმყოფი მეზღვაურები, რომლებიც იქაური ჰავის წყალობით მალე გაჯანსაღებულან. ამიტომ დაურქმევიათ კუნძულისათვის ასეთი სახელი.

ნახევარკუნძულის (აგრეთვე ქალაქის) სახელი *ხერსონი* (შავ ზღვაზე, უკრაინის სსრ) ბერძნულია და ნიშნავს „ნახევარკუნძულს“.

ტამანი (ნახევარკუნძული შავ და აზოვის ზღვებს შორის) ჩერქეზულად ნიშნავს „ჭაობს“.

ნახევარკუნძულის სახელი *აფშერონი* (კასპიის ზღვაში, აზერბაიჯანის სსრ) სპარსულად ნიშნავს „მლაშე წყალს“.

ალასკა (ნახევარკუნძული და შტატი აშშ-ში) ადგილობრივ მკვიდრთა ენაზე ნიშნავს „დიდ მიწას“.

საფრანგეთისა და ესპანეთის საზღვარზე მდებარე ქედს *პირენეის* მთები ჰქვია. ეს სახელწოდება ნაწარმოებია ბასკური სიტყვისაგან *პირენ* — „მთა“. იგივე სახელი ჰქვია აგრეთვე მთელ ნახევარკუნძულს, რომელზედაც მდებარეობს ორი სახელმწიფო — ესპანეთი და პორტუგალია.

ევროპის უმაღლესი მთების სახელწოდება ალპები ან ლათინურია (ალბა — „თეთრი") ან კელტური (ალპ —„მთა", „კლდე").

„კლდეს" ან „ქვას" უკავშირდება აგრეთვე მთების სახელი აღმოსავლეთ ევროპაში — *კარპატები*. სხვაგვარი ეტიმოლოგიის მიხედვით ეს სახელწოდება სლავურია და ნიშნავს „ქედს" ან „მთას" (შეადარეთ: горб, хребет).

აზიის უდიდესი ქედის სახელი *ტიან-შანი* ჩინურია და ითარგმნება როგორც „ციური (ე. ი. ცათამბჯენი) მთები". ამასვე ნიშნავს ამ მთების მონღოლური სახელწოდება *ტენგრი-ოლა*.

ჰიმალაი ნიშნავს „თოვლის ადგილს" (სანსკრიტულად) ან „თოვლიანს" (ძველ-ვედურად).

კავკასიონი ირანული წარმოშობის სახელწოდებაა და ნიშნავს „ლაპლაპა (მოელვარე) ყინულოვანს".

კავკასიონის უმაღლესი მწვერვალის სახელი *იალბუზი* აგრეთვე ირანულია და „მაღალ მთას" ნიშნავს.

ყაზბეგი ხევის მფლობელი ყაზბეგების გვარის მიხედვით ეწოდა ჯერ სოფელს, შემდეგ კი ამ სოფლის ახლოს მდებარე მთას XIX ს. დამდეგს. ამ მთას ქართველები ძველთაგანვე *მყინვარს* ან *მყინვარწვერს* უწოდებენ, ოსები კი *ურს-ხოხს* ეძახიან, რაც „თეთრ მთას" ნიშნავს. ზუსტად ასეთივე შინაარსს ატარებს ალპების უმაღლესი მწვერვალის სახელწოდება *მონბლანი* (ფრანგულად—„თეთრი მთა"). შედარებისათვის აქვე შეიძლება დავასახელოთ კავკასიონის ერთ-ერთი მწვერვალის სახელი *თეთნულდი*, რაც სვანურად „თეთრს" ნიშნავს.

ჩრდილო კავკასიაში არის ხუთთავიანი მთა, რომელსაც *ბეშთაუ ჰქვია*. ეს სახელწოდება თურქულად სწორედ „ხუთ მთას" ნიშნავს. ამავე შინაარსს ატარებს მისი ყაბარდოული სახელწოდება *ოშხითხუ*. ამ სახელწოდების რუსული თარგმანია *პიატიგორსკი*, რომელიც ჰქვია ბეშთაუს ძირას გაშენებულ საკურორტო ქალაქს.

მთიანეთის სახელი ცენტრალურ აზიაში — *ყარაყორუმი*—თურქულად ნიშნავს „შავ-ქვიანს". მისივე მსგავსი სახელი *ყარაყუმი* უდაბნოს ჰქვია შუა აზიაში და „შავ ქვიშას" ნიშნავს. ასე უწოდებენ მცენარეული საფარით დამაგრებულ ქვიშას, მოძრავი ქვიშის ბორცვებისაგან (ბარხანებისაგან) განსხვავებით. ყარაყუმის მახლობლად მეორე უდაბნოს *ყიზილყუმი* („წითელი ქვიშა") ჰქვია.

სჰკარა არაბულად უდაბნოს ნიშნავს, ამასვე ნიშნავს მონღოლურად *გობი*. ამრიგად, როცა ვამბობთ, საჰარის ანდა გობის უდაბნოო, ქართულად „უდაბნოს უდაბნო" გამოდის.

—.—

ზღვების, ტბებისა და მდინარეების სახელებად ხშირად არის გამოყენებული ფერის აღმნიშვნელი სიტყვები; სახელდობრ, კარგად არის ცნობილი *მეწამული* ანუ *წითელი* ზღვა, *შავი* ზღვა, *თეთრი* ზღვა. ზოგი მეცნიერის აზრით, „თეთრს" ნიშნავს აგრეთვე *ბალტიის* ზღვა.

შავი ზღვა ძველად ზოგ ხალხში ცნობილი იყო ირანული სახელწოდებით *ახშაენა* — „მუქი", „ბნელი". ძველი ბერძნები ზოგჯერ თარგმნიდნენ ამ სახელს (*პონტოს მელას* — „შავი ზღვა"), უფრო ხშირად კი უთარგმნელად ტოვებდნენ, ოღონდ ხმარობდნენ ცოტა შეცვლილი ფორმით — *აქსეინოს*, რაც ბერძნულად „არასტუმართმოყვარეს" ნიშნავს. ამიტომ ცრუმორწმუნე ბერძენმა მეზღვაურებმა გადააკეთეს და დაარქვეს *ევქსეინოს* — „სტუმართმოყვარე".

კასპიის ზღვის თურქული სახელია *აკ-დენიზ* („თეთრი ზღვა"). თურქმენული—*კოკ-კიუზ* („მწვანე ტბა"). საერთოდ, კასპიის ზღვა მრავალგვარი სახელით არის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხალხში ცნობილი. სახელწოდება *კასპიის ზღვა* ძველთაგანვე გვხვდება (V ს. ძვ. წ. ა.), როგორც ფიქრობენ, იგი მიღებული უნდა იყოს ამიერკავკასიაში ოდესღაც მცხოვრები ხალხის — კასპების სახელისაგან (ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს გეოგრაფიული სახელი *კასპი* საქართველოში).

ამიერკავკასიაში უდიდესი ტბაა *სევანის* ანუ *გოქჩის* ტბა. *გოქჩა* თურქულად ნიშნავს „ლურჯ წყალს". როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ამასვე უნდა ნიშნავდეს *სევანი*, მაგრამ მისი აგებულება და მნიშვნელობა მთლად ნათელი არ არის.

ნილოსი ორი მდინარისაგან შედგება: ერთს ჰქვია თეთრი ნილოსი, მეორეს — ცისფერი ნილოსი.

დასავლეთ ევროპის ცნობილი მდინარის სახელი *ელბა* მიღებულია ლათინური სიტყვისაგან *ალბა* — „თეთრი", „ყვითელ მდინარეს" ნიშნავს ჩინურად *ხუანხე*. *მდინარეს* (და მის მიხედვით ერთერთ შტატსაც) ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰქვია *კოლორადო*,

რაც ესპანურად „წითელს“ ნიშნავს. მისი ერთ-ერთი შენაკადია *გრინ-რივერი* (ინგლისურად — „მწვანე მდინარე“), მეორე — *ბლიუ-რივერი* („ლურჯი მდინარე“).

ქალაქ ვოლგოგრადში მოედინება პატარა მდინარე *ცარიცა*, საიდანაც წარმოდგა ამ ქალაქის ძველი სახელწოდება *ცარიცინი*. რუსულად царица „დედოფალს“ ნიშნავს, მაგრამ ხსენებული მდინარისა და ქალაქის სახელს არავითარი კავშირი არა აქვს დედოფალთან. ესაა თურქული წარმოშობის სიტყვა *სარი-სუ* („მწვანე წყალი“), რომელიც რუსულ გამოთქმაში *ცარიცად* ქცეულა.

სარისუს მსგავსად არის წარმოქმნილი აგრეთვე რამდენიმე მდინარის სახელი, რომელიც მდინარეს ფერის მიხედვით ახასიათებს: *აკსუ* — „თეთრი წყალი“, *ყარასუ* — „შავი წყალი“ და სხვა (შეადარეთ ჩვენი მდინარეების სახელები: წყალწითელა, შავწყალა, შავღელე, აგრეთვე გეოგრაფიულ პუნქტთა სახელები — თეთრიწყლები, თეთრიწყარო, წითელწყარო და სხვანი).

მდ. ამურს მონღოლურად ეწოდება *ხარა-მურენი* — „შავი წყალი“, მანჯურიულად *სახალიან-ულა* — „შავ-წყლიანი მდინარე“ (აქედანვეა მიღებული კუნძულის სახელწოდება *სახალინი*).

ზოგი მეცნიერის აზრით, რუსეთის დედა-მდინარის სახელი ვოლგა აგრეთვე ფერის მიხედვით არის დარქმეული (ფინურ ენებში აღნიშნავს „თეთრს“, „ნათელს“).. სხვაგვარი ეტიმოლოგიით, ვოლგის სახელწოდება სლავურია და ნიშნავს „სისველეს“, „სინესტეს“ (შეადარეთ სლავური влага, ძვ. რუსული волога).

ბევრი მდინარის სახელად გვხვდება უბრალოდ სიტყვა „წყალი“ ან „მდინარე“. მაგალითად, ოსურად „წყალს“, „მდინარეს“ ჰქვია *დონ* (ძვ. ირანული *დანუ*). ამ სიტყვისაგან არის მიღებული მდინარეთა სახელები დონი და დუნაი. ზოგი მეცნიერის აზრით, იმავე სიტყვას შეიცავენ მდინარის სახელები *დნეპრი* და *დნესტრი*, ზოგის აზრით — აგრეთვე *დვინა*. თვით ოსეთში (ჩრდ. ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში) არის მდინარე და დიდი დასახლებული პუნქტი *არდონი*, რაც იმავე *დონ* სიტყვას შეიცავს და „გიჟ მდინარეს“ ნიშნავს.

ირანულ ენებში წყალს ეწოდება *აბ*. ამ სიტყვისაგან არის მიღებული მდინარის სახელი *ობი* (პროფ. იუსტინე აბულაძის აზრით, ამავე სიტყვას უკავშირდება იმერეთის ერთ-ერთი სოფლის სახელი

ობჩა — „პატარა მდინარე", „წყალუკა". ეს სახელი თავდაპირველად უნდა რქმეოდა მდინარეს, რომელსაც ახლა *ლუსუტას* ეძახიან).

„წყალს" ნიშნავს კელტურად დუბრო, საიდანაც მიღებულია მდინარეთა სახელები: *ტიბრი* (იტალიაში), *დუერო* (ესპანეთში), *დუვრი* (ინგლისში; ასევე ეწოდება სანავსადგურო ქალაქს ამ მდინარის პირას). „მდინარეს" ნიშნავს ინდოეთის წმინდა მდინარის სახელი *განგი*. ამასვე ნიშნავს ძველ-ეგვიპტურად *ნილოსი*, ბასკურად *ებრო*, ევენკურად — *ლენა*, უდმურტულად — *კამა*, ფინურად — *ოკა*, ლიტვურად — *უპა* (*ოკას შენაკადი*).

დინებას, რბენას, სისწრაფეს უკავშირდება აგრეთვე საფრანგეთის მდინარეთა სახელები *ლუარა* და *რონა*, პოლონეთის დედამდინარის სახელი *ოდერი*, დუნაის მარჯვენა შენაკადის სახელწოდება *დრავა*, მდინარის სახელი აზიაში *ტიგროსი*. იქვე მეორე დიდი მდინარის სახელი *ევფრატი* ნიშნავს „მდინარეს" ან „ძალიან ფართოს", „განიერს".

„დიდ, წყალუხვ მდინარეს" ნიშნავს ტუნგუსთა ენაზე *ენისეი*, ბანტუს ერთ-ერთი ტომის ენაზე — *ზამბეზი* (აფრიკაში), ინდოელთა ენაზე — *მისისიპი* (ჩრდ. ამერიკაში), არაბულად — *გვადალკვივირი* (ესპანეთში).

მდინარის აღმნიშვნელი სიტყვა *ძიან* ხშირად მონაწილეობს ჩინურ ჰიდრონიმებში (მდინარის სახელებში): *ჩანძიანი* („გრძელი მდინარე") ანუ *იანძიძიანი* („იანჯოუს მდინარე"), *სინძიანი* („დასავლეთის მდინარე") და სხვა.

—.—

ზოგი მდინარის სახელწოდება შეიცავს მის დახასიათებას რომელიმე ნიშნის მიხედვით. მაგალითად, როგორც ითქვა, *ჩანძიანი* ჩინურად „გრძელ მდინარეს" ნიშნავს. ამასვე ნიშნავს ინდიელთა ენაზე *კონექტიკუტი*; „შლამიანს" ნიშნავს *მისური* (ორივე მდინარე ამერიკაშია). *ნევა* ფინურად ნიშნავს „ჭაობს", *პო* — „უფსკეროს", ე. ი. „ღრმას". მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩანჩქერის სახელი *ნიაგარა* ინდიელთა ენაზე „მქუხარე წყალს" ნიშნავს.

ზოგჯერ მდინარეს სახელი ერქმევა რომელიმე გეოგრაფიული პუნქტის (სოფლის, ქალაქის, კუთხის) მიხედვით. მაგალითად, *იანძიძიანი* ნიშნავს „ქალაქ იანჯოუს მდინარეს", *ამუ-დარია* — „ქალაქ

ამუს მდინარეს“ და სხვა. ხშირად პირიქით ხდება: მდინარის სახელი გადადის სოფელზე, ქალაქზე, მხარეზე და მთელი ქვეყნის სახელადაც კი შეიძლება იქცეს. მაგალითად, *კონექტიკუტი* ჰქვია როგორც მდინარეს, ასევე ტბასა და შტატს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს სახელი, რომელიც „გრძელ მდინარეს“ ნიშნავს, ცხადია, თავდაპირველად მდინარეს უნდა დარქმეოდა, შემდეგ კი მის მიხედვით ეწოდა ტბასა და შტატს. ასევე ითქმის *მისურის* შესახებ, რომელიც „შლამიანს“ ნიშნავს და ჰქვია მდინარესაც და შტატსაც. *საკრამენტო* ჰქვია მდინარესა და ქალაქს (აშშ). ეს სახელიც პირველად მდინარისათვის დაურქმევიათ ესპანელებს (ნიშნავს „საიდუმლოს“), შემდეგ კი ეწოდა ამ მდინარეზე გაშენებულ ქალაქს.

ქალაქის სახელწოდება ბრაზილიაში *რიო-დე-ჟანეირო* ნიშნავს „იანვრის მდინარეს“. მისი დარქმევის ისტორია ასეთია: ამერიგო ვესპუჩის ექსპედიცია 1502 წლის 1 იანვარს მიადგა ზღვის ყურეს, რომელიც ექსპედიციის წევრებს დიდი მდინარის შესართავი ეგონათ. რაკი ეს მოხდა ახალი წლის დამდეგს, პირველ იანვარს, ამ მოჩვენებითს მდინარეს, სინამდვილეში კი ზღვის ყურეს, დაარქვეს რიო-დე-ჟანეირო, შემდეგ ეს სახელი დაერქვა ამ ზღვის ყურეში გაშენებულ ქალაქს.

მდინარის სახელისაგან არის წარმომდგარი აფრიკის ერთ-ერთი სახელმწიფოს სახელწოდება *კამერუნი* („კიბოების მდინარე“). ასე უწოდებიათ პორტუგალიელ მეზღვაურებს მდინარისათვის, რომელშიც უამრავი ზღვის კიბო ყოფილა.

მდინარისაგან მიუღია სახელი ისეთ ქალაქებს, როგორიცაა: *დუგლასი* („შავი მდინარე“) *ვენა* („თეთრი“), *ვოლოგდა* („თეთრი“), *ვილნიუსი* („ტალღა“), *ივნია* („ტირიფიანი“) და სხვანი. მკლევართა აზრით, მდინარის მიხედვით შერქმევია სახელი აგრეთვე მოსკოვს, რომს, ქაბულს, მაგრამ თვით ამ სახელწოდებათა მნიშვნელობა დაუდგენელია.

ზოგჯერ ქალაქის სახელწოდება მდინარის სახელისაგან აფიქსების დართვით არის წარმოქმნილი. მაგალითად, რუსულში ამ მიზნით ხშირად იხმარება *სკ* სუფიქსი; ასეა მიღებული *ვიტებსკი* (მდ. *ვიტბა*-საგან), *ირკუტსკი* (მდ. *ირკუტ*-ისაგან), *კურსკი* (მდ. *კურ*-ისაგან), *ლუგანსკი* (მდ. *ლუგან*-ისაგან), *ომსკი* (მდ. *ომი*-საგან), *რილსკი* (მდ. *რილო*-საგან) და სხვანი.

ბევრი ქალაქის სახელწოდებაში შედის თვით „ქალაქის“ აღმნიშვნელი სიტყვა (მაგალითად, სლავური გოროდ, გრად, ბერძნული პოლის, ირანული აბად, გერმანული ბურგ და სხვანი), რომელსაც ახლავს განსაზღვრება: ახალი, ძველი, დიდი, ვრცელი, აღმოსავლეთის, დასავლეთის და ა. შ. გავეცნოთ ზოგიერთ ასეთ სახელწოდებას.

რუსეთის ერთ-ერთ უძველეს ქალაქს სახელად ჰქვია *ნოვგოროდი*, ე. ი. „ახალი ქალაქი“ (*შეადარეთ ჩვენი ახალქალაქი*). ამასვე ნიშნავს ბერძნულად *ნეაპოლი*, ებრაულად *კართაგენი*, არაბულად *ჯიდა*.

გარდა ნოვგოროდისა, ცნობილია აგრეთვე *ნოვგოროდ-სევერსკი* (უკრაინაში), *ნიჟნი ნოვგოროდი* (ქ. გორკის ძველი სახელწოდება, ნიშნავს „ქვემო ახალქალაქს“). წინათ *ნოვგოროდ-ვოლინსკი* ერქვა, ახლა კი *ნოვოგრად-ვოლნისკი* ჰქვია ერთ ქალაქს უკრაინაში.

ნოვგოროდი და *ნოვოგრადი* ერთნაირად აგებული და მნიშვნელობითაც თანაბარი სახელებია, ოღონდ ერთში „ქალაქის“ აღსანიშნავად ნახმარია ფორმა *გოროდ*, მეორეში — კი *გრად*. ასევე შეესატყვისებიან ერთმანეთს *ბელგოროდი* (რუსეთის ერთ-ერთი საოლქო ცენტრი) და *ბელგრადი* (იუგოსლავიის დედაქალაქი), ორივე ნიშნავს „თეთრ ქალაქს“. *გრად* მონაწილეობს აგრეთვე ცნობილი ქალაქების სახელებში: *ლენინგრადი*, *ვოლგოგრადი* (*ყოფილი სტალინგრადი*), *დიმიტროვგრადი* (ბულგარეთში), *ბოლგრადი* (უკრაინაში, ნიშნავს „ბოლგართა ქალაქს“)... *გოროდ* გვხვდება ტოპონიმებში: *ვიშგოროდი* („მაღალი ქალაქი“), *ზვენიგოროდი* („სამრეკლოს ქალაქი“), *უჟგოროდი* („უჟის ქალაქი“; *უჟი* მდინარეა) და სხვანი.

როგორც ვთქვით, ბერძნულად „ქალაქს“ ეწოდება *პოლის*, რომელიც მრავალი ქალაქის სახელს აწარმოებს. გარდა *ნეაპოლისა*, ასეთია მაგალითად, *ნიკოპოლი* („გამარჯვების ქალაქი“, ქალაქებს ჰქვია უკრაინაში და ბულგარეთში), *სევასტოპოლი* („სამეფო ქალაქი“), *სტავროპოლი* („ჯვრის ქალაქი“), *სიმფეროპოლი* („სასარგებლო ქალაქი“), *მელიტოპოლი* („თაფლის ქალაქი“), *ტირასპო-*

ლი (*ტირასის ქალაქი*"; *ტირასი* ეწოდებოდა მდ. დნესტრს), *კონსტანტინეპოლი* (სტამბოლის ძველი სახელწოდებაა, იგი ააგო და საკახტო ქალაქად აქცია რომის იმპერატორმა კონსტანტინემ 330 წელს და მის პატივსაცემად ეწოდა ეს სახელი) და სხვანი.

მსგავსი აგებულებისაა აღმოსავლური ქალაქების სახელწოდებანი, წარმოქმნილი *აბად* სიტყვის მონაწილეობით: *აშხაბადი (თურქმენეთის* სსრ დედაქალაქი, ნიშნავს „კეთილ ქალაქს"), *ახმადაბადი* (ინდოეთში, დაარსებულია 1411 წ. სულთან ახმადშაჰის მიერ და მის პატივსაცემად ეწოდა ეს სახელი), *კიროვაბადი* (ყოფილი განჯა, აზერბაიჯანის სსრ; სახელი შეეცვალა 1935 წ. ს. მ. კიროვის პატივსაცემად), *ჯალალაბადი* (ყირგიზეთის სსრ, ნიშნავს „სახელოვან ქალაქს"), *ჯელალაბადი* (ავღანისტანშია, იმასვე ნიშნავს) და სხვანი.

დასახლებული პუნქტის ან ქალაქის მნიშვნელობით ირანულ ენებში გვხვდება აგრეთვე *კენტ*, რომლის მონაწილეობით წარმოქმნილია უზბეკეთის სსრ დედაქალაქის სახელი *ტაშკენტი* („ქვის ქალაქი") და ყაზახეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი ქალაქის სახელი ჩიმკენტი („ლელის ქალაქი" ანუ „მწვანე ქალაქი").

მოცარტის სამშობლო ქალაქს ავსტრიაში ზალცბურგი ჰქვია, რაც „მარილის ქალაქს" ნიშნავს. ავსტრიაშივე მეორე ქალაქის სახელია ჰალშტადტი— „მლაშე ქალაქი" (სხვათა შორის, ჰალე, ე. ი. „მლაშე", ქალაქს ჰქვია აგრეთვე გერმანიაში).

ბურგი, რომელიც „გამაგრებულ ქალაქს (ციხე-ქალაქს)" აღნიშნავს გერმანულ ენებში, ევროპის ბევრი ქალაქის სახელწოდებაში მონაწილეობს. მაგალითად, მისი მეშვეობით არის ნაწარმოები ლენინგრადის ძველი სახელწოდება *სანკტ-პეტერბურგი* („წმინდა პეტრეს ქალაქი"), ასევე: *ლუქსემბურგი* („პატარა ქალაქი"), *სტრასბურგი* („საგზაო ქალაქი"), *ჰამბურგი* (*ჰამ* გერმანულად ნიშნავს „ზღვის ყურეს" აქედან: ჰამბურგი — „ყურეში მდებარე ქალაქი"). იმავე სიტყვას ოდნავ შეცვლილი ფორმით შეიცავს *ვიბორგი* („წმინდა ქალაქი", ასე ეწოდება ქალაქებს ლენინგრადის ოლქში და დანიაში).

იაპონიის ძველი დედაქალაქი იყო *კიოტო*, რაც „სატახტო ქალაქს" ნიშნავს, ხოლო ახლანდელი დედაქალაქის სახელწოდება *ტოკიო* ნიშნავს „აღმოსავლეთის დედაქალაქს".

ჩინეთის დედაქალაქის სახელი *პეკინი* ნიშნავს „ჩრდილოეთის დედაქალაქს", მის საპირისპირო შინაარსს ატარებს ადრინდელი დედაქალაქის სახელი *ნანკინი* — „სამხრეთის დედაქალაქი".

გუანჯოუ ჩინურად ნიშნავს „ვრცელ ქალაქს", *ხანჯოუ* — „ნავთა ქალაქს". *სეული* კორეულად ნიშნავს „მთავარ ქალაქს". ინდოეთის ქალაქის სახელი *ჯაიპური* სანსკრიტულია და უდრის „გამარჯვებულ ქალაქს" (შეადარეთ ბერძნული *ნიკოპოლი*).

—.—

ევროპასა და ამერიკაში ბევრი ქალაქი ატარებს სხვადასხვა წმინდანის სახელს. ასე, მაგალითად, *სანტიაგო*, რაც ესპანურად „წმინდა იაკობს" ნიშნავს, ჰქვია ქალაქებს ესპანეთში, კუბაზე და ჩილეში. ეს უკანასკნელი ჩილეს დედაქალაქია და სხვებისაგან გასარჩევად ეწოდება *სანტიაგო დე ჩილე*. კოსტა-რიკის დედაქალაქია *სანხოზე*, რაც „წმინდა ხოზეს" ანუ „წმინდა იოსებს" ნიშნავს. ასევე *სანფრანცისკო* (აშშ) ნიშნავს „წმინდა ფრანცისკოს", *სენლუი* (სენეგალში) და *სენტ-ლუისი* (აშშ) — „წმინდა ლუის (ლიუდოვიკოს)", *სენტ-ეტიენი* (საფრანგეთში) — „წმინდა ეტიენს" ანუ „წმინდა სტეფანეს" (შეადარეთ ჩვენი სტეფანწმინდა, აგრეთვე: ნინოწმინდა, ნიკორწმინდა, ერთაწმინდა და სხვანი). ამგვარ ტოპონიმთა რიცხვი კიდევ შეიძლებოდა გაგვედიდებინა, მაგრამ სანიმუშოდ ესეც კმარა.

—.—

გავეცნოთ კიდევ საქვეყნოდ განთქმული ზოგიერთი ქალაქის სახელწოდების ახსნას:

ადის-აბება (ეთიოპიის დედაქალაქი) ადგილობრივ მკვიდრთა ენაზე ნიშნავს „ახალ ყვავილს" (როცა ტოპონიმი ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის ენაზე აიხსნება, ქვემოთ ამას აღარ აღვნიშნავთ და მხოლოდ მნიშვნელობის განმარტებით დავკმაყოფილდებით).

ალჟირი ეწოდება ქალაქსა და სახელმწიფოს აფრიკაში. ქალაქი გაშენებულია კუნძულებზე და სწორად აქედან წარმოდგება მისი სახელი: ალ-ჯეზაირ — „კუნძულები" (არაბულად).

ანკარა (თურქეთის დედაქალაქი) დაარსებულია VII ს. (ძვ. წ. ა.). როგორც ფიქრობენ, სახელწოდება ინდოევროპულია და ნიშ-

დაპირველად ნიშნავდა „ღუზას“, აქედან კი შემდეგ მიიღო „გასაჩერებელი ადგილის“, „სადგომის“, „სადგურის“ მნიშვნელობა (შეადარეთ ქართული ვანი, სავანე).

არხანგელსკი (რსფსრ საოლქო ცენტრი). XII საუკუნეში ამ ადგილას არსებულა მთავარანგელოზის ეკლესია. XVI ს. დამლევს აქ გაშენდა ნავსადგური, რომელსაც 1613 წლიდან არხანგელსკი ეწოდება (*არხანგელ* რუსულად ნიშნავს „მთავარანგელოზს“, *სკ* ბოლოსართი კი, როგორც ვიცით, ხშირად აწარმოებს რუსულ გეოგრაფიულ სახელებს).

ბაზელი ქალაქია შვეიცარიაში, დაარსებული 44 წელს. პირველად ერქვა *რობური*, ე. ი. „მუხნარი“ (ლათინურად), 374 წ. უწოდეს *ბაზილია* „მეფისა“, „სამეფო (ციხე)“ (ბერძნულად). აქედან მოდის დღევანდელი სახელწოდება.

ბაქო (აზერბაიჯანის სსრ დედაქალაქი), სადაც ხშირად იცის ქარი, თითქოს სახელსაც ამის მიხედვით ატარებს: როგორც ფიქრობენ, ეს სახელწოდება მომდინარეობს *ბადქუბე*-საგან ან *ბადქუბა*-საგან და ნიშნავს „მთის ქარს“ ან „ქარის დარტყმას“.

ბაღდადი (ერაყის დედაქალაქი) ირანული წარმოშობის სახელია და ნიშნავს „ღვთის ბოძებულს (საჩუქარს, წყალობას)“.

ბაღჩისარაი ქალაქია ყირიმში, სადაც ყირიმის ხანებს აუგიათ დიდებული სასახლე (XVI ს.). სახელიც ამის მიხედვით აქვს დარქმეული, ნიშნავს „ბაღის სასახლეს“ ანუ „სასახლეს ბაღში“ (თურქულად).

ბეირუთი (ლიბანის დედაქალაქი) — „ჭები“ (ფინიკურად).

ბონი (დას. გერმანიის დედაქალაქი) — „ნაგებობა“, „ქალაქი“ (კელტურად).

ბრიუსელი (ბელგიის დედაქალაქი) — „საცხოვრებელი (შენობა) ჭაობზე“.

ბუდაპეშტი (უნგრეთის დედაქალაქი) 1872 წლამდე ორი სხვადასხვა ქალაქი იყო: ბუდა და პეშტი, მათი შეერთებით წარმოიშვა ბუდაპეშტი. როგორც ფიქრობენ, *ბუდა* ნიშნავს „შენობას“ ან „წყალს“, *პეშტი* — „კერას“ ან „გამოქვაბულს“ (ორივე სახელწოდება სლავურია).

განჯა — დღევანდელი კიროვაბადი (აზერბაიჯანის სსრ) —

იგივეა, რაც ქართ. „განძი“ (ეს სიტყვა ძველი ირანულიდან მოდის).

ბენუა იტალიის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ისტორიულ წყაროებში იხსენიება 218 წლიდან (ძვ. წ. ა.). მისი სახელწოდება ნიშნავს „(მდინარის) შესართავს“ (კელტურად) ან „(მდინარის) მოსახვევს“, „უბეს“, „მუხლს“ (ლათინურად); შეადარეთ შვეიცარიის ქალაქის სახელი *ჟენევა*.

გლაზგო (შოტლანდიაში) — „მწვანე ტბა“, ან „მწვანე მდინარის პირი“ (კელტურად).

ბრენადა ჰქვია როგორც ქალაქს, ისე მთელ მხარეს ესპანეთში. გრენადის გერბზე გამოსახულია ბროწეული, სახელწოდებაც „ბროწეულს“ ნიშნავს (შეადარეთ სოფლისა და რკინიგზის სადგურის სახელი დას. საქართველოში: ბროწეულა).

ბრუზნო, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ დედაქალაქი, გაშენებულია იმ ადგილას, სადაც რუსებმა 1818 წ. ააგეს ციხე-სიმაგრე, რომელსაც უწოდეს Грозная „მრისხანე“, „ძლევამოსილი“.

დუბლინი (ირლანდიის დედაქალაქი) — „შავი ტბა“.

დუშანბე (ტაჯიკეთის სსრ დედაქალაქი) — „ორშაბათი“. აქ ჯერ კიდევ VII ს-ში ყოფილა ყიშლაყი (სოფელი), სადაც ორშაბათობით ბაზრობა იმართებოდა და სწორედ ამიტომ დაურქმევიათ მისთვის ასეთი სახელი.

ევპატორია (ყირიმში) — „კეთილშობილი“ (ბერძნულად). ეს სახელი დაურქმევიათ ბერძენ კოლონისტებს, როგორც ვარაუდობენ, ბოსფორის მეფის მითრიდატე ევპატორის (ე. ი. კეთილშობილის) პატივსაცემად.

ვალენსია (ესპანეთში) — „ძლიერი“, „მაგარი“ (ლათინურად).

ვარნა (ბულგარეთში) ნაწარმოები ჩანს სლავური *ვორონ* სიტყვისაგან, რომელიც „ყვავს“ ნიშნავს და გადატანით შეიძლება აგრეთვე „შავს“ ნიშნავდეს. სხვაგვარი ეტიმოლოგიით, ვარნა შეიცავს ინდოევროპულ *ვარ* („წყალი“) ფუძეს და ნა სუფიქსს.

ვარშავა (პოლონეთის დედაქალაქი) — ამ სახელწოდების შესახებ ბევრი აზრი არსებობს. მათ შორის ყველაზე სარწმუნოა, რომ *ვარშ* ადამიანის საკუთარი სახელია, რომელსაც დართული აქვს *ოვ* სუფიქსი და ამრიგად ნიშნავს „ვარშის (სოფელს)“, „ვარშისას“.

ვაშინგტონი (აშშ დედაქალაქი) დაარსებულია 1791 წ. სახელი ეწოდა აშშ პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის პატივსაცემად. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ ამერიკაში ამ სახელწოდებით ცნობილი იყო 140 დასახლებული პუნქტი.

ველიკიე ლუკი (რსფსრ) დაარსებულია 1166 წ. ძველ რუსეთში ლუკა ნიშნავდა „მდინარის მოსახვევს", „მუხლს". ამრიგად, ველიკიე ლუკი შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „დიდი მოსახვევები".

ვოლოკოლამსკი (მოსკოვის ოლქი) — „ლამის ვოლოკი". ვოლოკი ერქვა ტვირთის გადაზიდვას ორ სანაოსნო მდინარეს შორის არსებული სახმელეთო გზით. ასეთი გზა იყო მდინარეების ლამასა და რუზას შორისაც, სადაც მდებარეობდა უწინ ვოლოკოლამსკი. შემდეგ ქალაქი სხვა ადგილას გადაიტანეს, 20 კმ მოშორებით. ვოლოკის კნინობითი ფორმაა *ვოლოჩეკ*, საიდანაც ნაწარმოებია ქალაქის სახელი *ვიშნი ვოლოჩეკ* — „ზემო ვოლოკი".

ვორკუტა (კომის ასსრ) „დათვის ბუნაგი" (ნენცების ენაზე).

ზაპოროჟიე (უკრაინაში) მდებარეობს მდ. დნეპრზე, რომელიც ბევრგან ჭორომიანია. რუსულად порог ნიშნავს ჭორომს (ქვიან ადგილს მდინარეში, სადაც წყალი სწრაფად მიედინება და ნაოსნობა ძნელია), აქედან კი ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელწოდება *ზაპოროჟიე* — „ჭორომს იქითა (მხარე)". იმ ადგილას, სადაც ახლა ქ. ზაპოროჟიე მდებარეობს 1775 წ. დაარსდა ციხე-სიმაგრე, რომელსაც ალექსანდროვსკაია ეწოდა. 1921 წ. შეეცვალა სახელი და ეწოდა ზაპოროჟიე, ისტორიული სახელწოდების — ზაპოროჟიეს სეჩის მიხედვით (ზაპოროჟიეს სეჩი უკრაინელ კაზაკთა ცნობილი ცენტრი იყო, რომელიც ქ. ზაპოროჟიეს ახლოს მდებარეობდა).

ტელ-ავივი (ისრაელის დედაქალაქი) — „გაზაფხულის ბორცვი".

იალტა (ყირიმში) — „ნაპირი" (ბერძნულად).

იერუსალიმი (პალესტინაში) — „სახლი მშვიდობისა" (ძვ. ებრ.).

ინსბრუკი (ავსტრიაში, მდ. ინზე) გერმანულად ნიშნავს „ინის ხიდს".

ისპაჰანი (ირანში) — „ჯარის სადგომი", „ბანაკი".

ქემბრიჯი (ინგლისში) — „ქემის (ანუ მდ. გრანტის) ხიდი". ამავე სახელწოდების ქალაქი არის აშშ-ში, სადაც ეს სახელი, ცხადია, ინგლისიდან ჩამოსულმა კოლონისტებმა დაარქვეს ახლად დაარსებულ ქალაქს.

ქისლოვოდსკი ცნობილი კურორტია ჩრდ. კავკასიაში, განთქმული თავისი მჟავე წყლებით. სახელიც სწორედ ამის მიხედვით აქვს დარქმეული: კისლო-ვოდ-სკ — „მჟავე წყლისა".

ქიშინიოვი (მოლდავეთის სსრ დედაქალაქი) — „ახალი ყიშლაყი" ე. ი. „ახალი სოფელი" (შეადარეთ ჩვენი ახალსოფელი).

ქლივლენდი (ინგლისში) — „კლდოვანი ადგილი". ამავე სახელწოდების ქალაქი არის ამერიკაშიც. იგი დაარსებულია 1796 წელს. სახელი ეწოდა გენერალ კლივლენდის გვარის მიხედვით (ეს გენერალი მეთაურობდა ახლომახლო ტერიტორიების დასახლებას კოლონისტებით).

კობლენცი ქალაქია გერმანიაში იმ ადგილას, სადაც მდ. მაასი ერთვის რაინს. სახელწოდება ლათინურია და სწორედ „შესართავს" ნიშნავს (შეადარეთ ჩვენი ხერთვისი).

კოპენჰაგენი (დანიის დედაქალაქი) — „სავაჭრო ნავსადგური".

კრასნოიარსკი (რსფსრ სამხარეო ცენტრი) მდებარეობს მდ. ენისეიზე. თურქულიდან რუსულში შესული სიტყვა яр ნიშნავს „ციცაბო ნაპირს", „ფლატეს", красный („წითელი") კი შეიძლება იხმარებოდეს „ლამაზის" მნიშვნელობითაც. ასე რომ, მთლიანად კრასნო-იარ-სკ ითარგმნება როგორც „ლამაზ-ფლატიანი".

კრემენჩუგი (უკრაინის სსრ) ნაწარმოებია თურქული სიტყვისაგან: *კერმენ* „ციხე-სიმაგრე".

ლაიპციგი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთერთი ქალაქის სახელი — როგორც ფიქრობენ, ნაწარმოებია სლავური სიტყვისაგან — липа — „ცაცხვი" და ნიშნავს „ცაცხვნარს". ასეთივე მნიშვნელობისაა იმავე სიტყვისაგან წარმოქმნილი ქალაქის სახელი ლიპეცკი (რსფსრ).

ლახტი (ფინეთში) — „ყურე".

ლვოვი (უკრაინაში) მიღებულია ადამიანის საკუთარი სახელისაგან (ლევ) და ნიშნავს „ლევის კუთვნილს", „ლევისას".

ლივერპული (ინგლისში) — „ჭაობიანი" ან „ნაჭაობარი".

ლილი (საფრანგეთში) — „კუნძული".

ლინკოლნი (ინგლისში) სახელწოდება შედგება ორი ნაწილისაგან: *ლინ* „ტბა“ (კელტურად) და *კოლნ* „კოლონია“ (ლათინურად).

ლონდონი (ინგლისის დედაქალაქი) კელტური ენის საფუძველზე რამდენიმენაირად შეიძლება იქნეს გააზრიანებული: შესაძლოა ნიშნავდეს „ტყიან ქალაქს“, „ბორცვზე მდებარე სიმაგრეს“ ან „წყლისპირა სიმაგრეს“. არსებობს სხვაგვარი ეტიმოლოგიებიც, მაგრამ საბოლოოდ რომელია სწორი, დაუდგენელია.

ლოს-ანჟელესი (აშშ) — „ანგელოზის ქალაქი“ (ესპანურად). თავდაპირველად სრული სახელწოდების მნიშვნელობა იყო: „ჩვენი მფარველი ანგელოზთა დედოფლის (ე. ი. ღვთისმშობლის) ქალაქი“.

ლოძი (პოლონეთში) — „ნავი“.

მადრიდი (ესპანეთის დედაქალაქი) — „მდელო“ (ესპანურად) ან „ხე-ტყე“ (არაბულად).

მაიკოპი (ადიღეს ავტონომიური ოლქის ცენტრი) — „ვაშლოვანი“.

მეჭა (არაბეთში) — „წმინდა“.

მილანი (იტალიაში) — „ვაკის შუაგული“.

მიუნხენი (გერმანიაში) — „ბერებისა“, „ბერეთი“.

მოზდოკი (ჩრდილო-ოსეთში) — „ყრუ (უღრანი) ტყე“ (ჩერქეზულად).

მონტევიდეო (ურუგვაის დედაქალაქი) ესპანურად ნიშნავს: „მთას ვხედავ“. ასე უწოდა მაგელანმა მთას, საიდანაც ვრცელი ჰორიზონტი ჩანდა.

მოჟაისკი (მოსკოვის ოლქი) — „ტყიანი“ (ლატიშურად).

მოსკოვი საბჭოთა კავშირის დედაქალაქი; დაარსებულია 1147 წელს იური დოლგორუკის მიერ მდ. მოსკოვის პირას. ქალაქმა სახელი მიიღო მდინარისაგან. მდინარის სახელს ბევრნაირად ხსნიან, მათგან ყველაზე მისაღებად ითვლება მოსაზრება რომ ეს სახელწოდება სლავურია და ნიშნავს „ჭაობიანს“, „ჭაობის მდინარეს“ ან საზოგადოდ „სისველეს“, „ნესტიანს“.

მურმანსკი (რსფსრ საოლქო ცენტრი) — *მურმან* საამის ენაზე ნიშნავს „ზღვის მიწას“, ე. ი. „ზღვის ნაპირს“, დაბოლოება *სკ* რუსულია.

ნიუ-იორკი (აშშ) — ამერიკის უდიდესი ქალაქის სახელი — ნიშნავს „ახალ იორკს“ ასე უწოდეს მას ინგლისელებმა ინგლისის პატარა ქალაქ იორკის მიხედვით (ამ უკანასკნელს სახელი დაერქვა ინგლისის მეფის ძმის ჰერცოგ იორკის პატივსაცემად).

ნიუ-კასლი ცნობილი ქალაქია ინგლისში, ნიშნავს „ახალ ციხეს“ (შეადარეთ ჩვენი ახალციხე). ნიუკასლი რამდენიმე სხვა პუნქტსაც ჰქვია ინგლისსა და ირლანდიაში. ინგლისიდან გადასახლებულმა კოლონისტებმა ეს სახელწოდება გაავრცელეს აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკაში. ასე რომ, ამჟამად ნიუკასლის სახელით ცნობილია 20-მდე დიდი თუ პატარა ქალაქი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

ამ სახელწოდების მეორე ნაწილი კასლ იგივეა, რაც ლათინური *კასტელუმ* („ციხე“). მისგან არის ნაწარმოები აგრეთვე *კასელი* (ქალაქია გერმანიაში), *კასტილია* (ესპანეთის ერთი ისტორიული მხარეთაგანია) და სხვა.

ნიურნბერგი (დას. გერმანიაში) — „კლდოვანი მთა“.

ოქსფორდი (ინგლისში) — „ხარის ფონი“.

პარიზი — საფრანგეთის დედაქალაქის სახელი — შერქმეულია ერთ-ერთი გალური ტომის — პარიზიების მიხედვით და ნიშნავს „პარიზიების ქალაქს“.

ჟენევა ქალაქია შვეიცარიაში, იმ ადგილას, სადაც ჟენევის ტბიდან სათავეს იღებს მდ. რონა. სახელწოდება კელტურია და ნიშნავს „ხერთვისს“ ანუ „შესართავს“. ასეთივე წარმოშობისა და მნიშვნელობისაა იტალიის ქალაქის სახელი *გენუა*.

რიგა (ლატვიის სსრ დედაქალაქი) მდებარეობს მდ. დასავლეთის დვინაზე. ლიტვურად ნიშნავს „(მდინარის) მოსახვევს“, „მუხლს“.

სარაევო (იუგოსლავიაში, ბოსნიისა და ჰერცოგოვინის დედაქალაქი) ნაწარმოებია თურქული სიტყვისაგან: *სარაი* — „სასახლე“ (შეადარეთ ქართული სრა).

სარატოვი (რსფსრ საოლქო ცენტრი) — „ყვითელი მთა“ (თურქულად).

სტოკჰოლმი — შვეციის დედაქალაქის სახელწოდება — ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნიშნავს „ყურეს“ ან „სვეტს“, მეორე

„კუნძულს". ამრიგად, მთლიანად მისი მნიშვნელობაა „კუნძული ყურეში" ან „სვეტიანი კუნძული".

ტალინი (ესტონეთის სსრ დედაქალაქი) — „დანიელთა ქალაქი".

ტორონტო (კანადაში) — „შეკრების ადგილი", „საკრებულო" (ინდიელთა ენაზე).

ტუაფსე (კრასნოდარის მხარეში, შავი ზღვის პირას) ნიშნავს „ორწყალს" (ჩერქეზულ-ადიღურად). ნ. მარის აზრით, იგივე უნდა იყოს გურიის სოფლის სახელი დვაბზუ.

ულან-უდე (ბურიატთა ასსრ დედაქალაქი) — „წითელი უდე" (უდე მდინარის სახელია).

ფეოდოსია (ყირიმში) — „ღვთის ბოძებული" (ბერძნულად).

ფლორენცია (იტალიაში) — „აყვავებული" (ლათინურად).

ფილადელფია (აშშ) — „ძმათა სიყვარული" (ბერძნულად).

ფხენიანი (კორეის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი) — „ვაკე".

ქაირო (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დედაქალაქი) — „ძლევამოსილი", „გამარჯვებული".

ყაზანი (თათართა ასსრ დედაქალაქი) თურქულად ნიშნავს „ქვაბს", ქალაქს უნდა დარქმეოდა „ტაფობის" მნიშვნელობით. იმავე სიტყვისაგან არის ნაწარმოები ვარდებით განთქმული ბულგარული ქალაქის სახელწოდება *ყაზანლიყი*.

შანხაი (ჩინეთის უდიდესი ნავსადგური) — „(ქალაქი) ზღვაზე".

ჩიკაგო (აშშ) დაარსებულია XIX ს. დამდეგს ჭაობიან ადგილას, რომელსაც ჩაუდის ამ სახელწოდების მდინარე. ინდიელთა ენაზე ნიშნავს „მყარალს", „აშმორებულს".

ციურიხი (შვეიცარიაში) — „წყლიანი" (კელტურად).

ჰააგა (ჰოლანდიაში) — „ზღუდე", „გალავანი" (ძველ ზემოგერმანულ ენაზე).

ბიბლიოგრაფიული ცნობები

ქართული საკუთარი სახელები სხვადასხვა ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ და ენათმეცნიერულ პრობლემებთან დაკავშირებით განხილულია მრავალ გამოკვლევაში, რომელთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ისეთი მნიშვნელოვანი მონოგრაფიები და შრომათა კრებულები, როგორიცაა ნ. მარის «Яфетические названия деревьев и растений», «О языке и истории абхазов», «Вопросы Вепхисткаосани и Висрамиани», ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია", „საქართველოს ეკონომიური ისტორია", „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები", „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა", კ. კეკელიძის „ეტიუდები", ი. აბულაძის „რუსთველოლოგიური ნაშრომები", ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები", და „თხზულებანი" გ. ახვლედიანის „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები", არნ. ჩიქობავას „ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი" და „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში", ს. ჯანაშიას „შრომები", ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხები", ს. კაკაბაძის „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები", პ. ინგოროყვას „გიორგი მერჩულე", გ. მელიქიშვილის „ურარტუ", „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის", გ. წერეთლის „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან ს. ყაუხჩიშვილის „გეორგიკა", ს. ჯიქიას „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" და სხვანი.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ მ. ანდრონიკაშვილის „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან", ი. ქავთარაძის „ქართული ენის ისტორიისათვის", ალ. ღლონტის „ქართული ლექსიკოლოგია", სადაც ქართულ ონომასტიკასა და ტოპონიმიკას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა.

ჩვენ გამოვიყენეთ როგორც ხსენებული ნაშრომები, ასევე სხვადასხვა სახის დიდძალი ლიტერატურა. მათგან აღვნიშნავთ მხოლოდ ძირითადს.

ქართული სახელების სიის შედგენისა და განმარტებისათვის გამოყენებულია ადამიანთა სახელების სარეკომენდაციო სია, გამოცემული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მიერ 1964 წელს (გადაბეჭდილია „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების" პირველ კრებულში, 1970 წ.), საეკლესიო კალენდარი, გ. ლეონიძის „ქართული

სახელები" („ლიტერატურული გაზეთი", № 12, 1961), ალ. ღლონტის „ქართველური საკუთარი სახელები" (1967), ვ უ ლ. ერსინის ირანულ-ლათინური ეტიმოლოგიური ლექსიკონი (1855 — 1864), ფ. იუსტის ირანულ ადამიანის სახელთა ლექსიკონი (1895, გერმანულ ენაზე), პაპეს ბერძნულ საკუთარ სახელთა ლექსიკონი (ორ ტომად, გერმანულ ენაზე), ჰ. აჭარიანის სომხურ საკუთარ სახელთა ლექსიკონი (ხუთ ტომად, 1942—1962, სომხურ ენაზე), პ. სოლიარსკის «Опыт библейского словаря собственных имен» (ხუთ ტომად, 1881-1885), ნ. ტუპიკოვის «Словарь древнерусских личных собственных имен» (1903), ნ. პეტროვსკის «Словарь русских личных имен» (1966), Справочник личных имен народов РСФСР (1965).

პიროვნულ სახელებთან დაკავშირებით ჩვენი წიგნის პირველ ნაწილში გამოყენებული გვაქვს აგრეთვე შემდეგი ნაშრომები: ნ. მარის «Персидская национальная тенденция в грузинском романе «Амирандареджаниани»», (ЖМНП. 1895), ა. შანიძის «Названия «орла» в грузинском языке» («Исследования по истории культуры народов Востока», 1960), „ეტიმოლოგიური შენიშვნები: „კეკელა", „კეკლუცი" („აკად. კ. კეკელიძეს", საიუბილეო კრებული, 1959), „თეოფორული სახელები ქართველურ ენებში" („მაცნე", № 2. 1967), „ავრი სუფიქსიანი ქალის სახელები ძველ ქართულში" (თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, XI, 1968), ს. ყაუხჩიშვილის „ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში" („არილი", 1925), „რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ" (1964), დ. კობიძის „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი" (1969), მ. შანიძის „ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების • ბრუნების ისტორიისათვის ქართულში" („თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს", საიუბილეო კრებული. 1969), „ზოგიერთი საკუთარი სახელის სწორად ბრუნებისათვის" („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", № 1, 1968), ნ. დარსაველიძის „შენიშვნები „ამირანდარეჯანიანის" საკუთარი სახელების შესახებ" („თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს", საიუბილეო კრებული, 1969), ალ. ღლონტის „ვეფხისტყაოსნის ონომასტიკისათვის" („სოფლის ცხოვრება", 18, VIII, 1966), ლ. შალვაშვილის „რევოლუციური ეპოქის ადამიანთა საკუთარი სახელები" („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" № 2, 1968), ს. მაკალათიას „ხევსურეთი" (1935), გ. ჟორდანიას „მეხურელნი". (1956), ვ. აბაევის «Осетинский язык и фольклор» (1949), დ. კაპანაძის «Новые материалы к изучению стартеров царя Аки» (ВДИ, № 1, 1948), «О достоверности имени, выбитого на стартере басилевса Аки» (ВДИ, № 1, 1949), ა. სელიშჩევის «Происхождение русских фамилий, личных имен и прозвищ» (Ученые записки МГУ. вып. 128, 1948), ვ. ჩიჩაგოვის «Из истории русских имен, отчеств и фамилий (1959), ლ. უსპენსკის «Ты и твое имя» (1960), ა. სუპერანსკაიას «Как вас зовут? Где вы живете?» (1964), ა. გაფუროვის «Лев и Кипарис» (1971) და სხვანი.

ზემოთ ჩამოთვლილ ნაშრომთაგან ზოგი სახელებთან ერთად გვარებსაც ეხება, ქართული გვარების შესახებ სპეციალური გამოკვლევებიდან კი უნდა აღინიშნოს:

ვ. დონდუას „ლიპარიტეთ"-ისა და ანალოგიური ფორმის გვარ-სახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში" (თსუ შრომები, 33B, 1948), გ. როგავას „ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის" (ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XIII, 1955), ი. მაისურაძის „ბერ" ძირი ქართულ სახელ-გვარებში" („მაცნე", № 1, 1965), „ქართველურ გვართა წარმოების ზოგიერთი საკითხი" (ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXIII, 1970), „ვსაუბრობთ გვარებზე" („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", № 2, 1967), „საიდან მოდის ქართული გვარი" („კომუნისტი", 22, VII, 1968), რ. შამელაშვილის „ქართული გვარების ისტორიის საკითხისათვის" („საბჭოთა ოსეთი" 3-4 XII, 1970).

გარდა ამისა, ცალკეული გვარების წარმომავლობის გარკვევისათვის მოხმობილი გვაქვს ნ. მარის «Грамматика чанского (лазского) языка», (1910), «Грузинские приписки греческого евангелия из Коридии» (ПАН, 1911), ა. შანიძის „ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში" (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყ. მოამბე, № 2, 1960), „თეთრი ქორი" („ლიტერატურული საქართველო", 11. XII, 1970), ვ. თოფურიას „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. ნ. კომპოზიტი" (ქესს, 1. 1959), მ. მამულაშვილის „ონომასტიკური შენიშვნა" („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", № 2, 1969), ალ. გვახარიას „ფირდოუსი" (1963), გ. შატბერაშვილის „ჰამნიკი" (1964), ი. ცინცაძის „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან" (1956), ლ. მუსხელიშვილის „თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა" (საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XB, 1940), ნ. შოშიაშვილის „თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი" („შოთა რუსთაველი", ხელნაწერთა ინსტიტუტის საიუბილეო კრებული, 1966), საქართველოს ისტორიის მასალები, გამოცემული სხვადასხვა პირთა მიერ (ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, ქრ. შარაშიძე, ე. მეტრეველი, შ. ბურჯანაძე...) და სხვანი.

ეთნონიმიკის საკითხები განხილულია უმთავრესად კომპლექსური ხასიათის ნაშრომებში, სპეციალურად კი მის შესახებ არსებობს რამდენიმე გამოკვლევა: ი. აბულაძე, „ტერმინი „გურჯის" ეტიმოლოგიისათვის" („მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის", 1934), მ. ანდრონიკაშვილი, „ირანული სატომო და გეოგრაფიული სახელები ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში"(ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, 1, აღმოსავლურ ენათა სერია, 1954), გრ. კაპანციანი, «К происхождению грузинского национального имени kharthvelj». (Ереван, 1939).

ყველაზე ვრცელი ლიტერატურა ქართულ საკუთარ სახელთაგან გეოგრაფიული სახელების შესახებ არსებობს. მათ შორის აღსანიშნავია სპეციალური კრებულები: „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის", 1, გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ (1964), „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული", I (1960), II (1964), III-(1967), IV (1971), ცალკეულ მხარეთა ისტორიული თუ თანამედროვე ტო-

პონიმიკისადმი მიძღვნილი ნაშრომები: ს. კაკაბაძის „საქართველოს უძველეს ტოპონიმიკიდან“ („საისტორიო მოამბე“, II, 1925), ს. ჯიქიას „სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმიკისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი“ (თსუ შრომები, 41, 1950), გ. ახვლედიანის „აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის“ (,,მნათობი“, № 2, 1957), ლ. მელიქსეთბეგის „წალკა-თრიალეთის მატერიალური კულტურის ნამოთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის“ (კრებული „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, 1934), „პირველი აქემენიდები და ამიერკავკასიის მდინარეთა სახელწოდებანი“ (თსუ შრომები, ტ. 91, 1960), ი. სიხარულიძის „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა“, 1 (1958); II (1959), მ. ალავიძის „ქვემო-რაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონი“ (ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XVIII, 1958). მ. ჩიქოვანის „ლეჩხუმური ტოპონიმიკური ლექსიკონი“ (თსუ შრომები, IX, 1938), „ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით“ (ა. პუშკინის სახ. თბილისის პედინსტიტუტის შრომები, VIII, 1949), ალ. ღლონტის „ტოპონიმიკური მასალები“ (სამხრეთ ოსეთის პედინსტიტუტის შრომები, II, 1955), შ. ნიჟარაძის „აჭარის ტოპონიმიკის ძირითადი საკითხები“ (შ. რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1969), მ. გეგეშიძის „ქართლის სამეურნეო ტოპონიმიკა“ (თსუ შრომები, 37, 1949), ვ. გამრეკელის „დვალეთის ტოპონიმიკის ანალიზისათვის“ (ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III, ნაკვ. 1, 1959), მ. ქალდანის „ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იმ(-მ) სუფიქსის საკითხისათვის“ (ქესს, III, 1963) და სხვანი.

ქართული ტოპონიმების აგებულებისა და წარმოების საკითხებს ეხება ა. შანიძის „ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში“ (სმამ. II, 1941), ვ. თოფურიას „გეოგრაფიულ სახელთა თა სუფიქსისათვის ქართულში“ („ჩვენი მეცნიერება“, № 11—12, 1924), და „ენჯ სუფიქსი მეგრულში“ (ენიმკის მოამბე, 1, 1937), არნ. ჩიქობავას „ონ სუფიქსი მეგრულში“ (თსუ მოამბე, VI, 1926), „ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში“ (იქვე, XIX, 1974), გ. კაჭარავას „ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების აგებულებისათვის ქართველურ ენებში“ (ა. პუშკინის სახ. თბილისის პედინსტიტუტის შრომები, XV, 1960), თ. ზურაბიშვილის „ტოპონიმიკის შესწავლისათვის“, (ქესს, II, 1961), ალ. ღლონტის „პიდრონიმთა ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფებისათვის“ („ორიონი“, 1967), ალ. ღლონტის „ტოპონიმიკური ძიებანი“ I (1971), II (1975).

ბევრი ქართული ტოპონიმი და ეთნონიმი აქვს გაანალიზებული თავის ნაშრომებში ნ. მარს. მისი ზოგი ეტიმოლოგია დღესაც გაზიარებულია და ჩვენც გამოყენებული გვაქვს. მათ შორის უნდა დავასახელოთ: *გურია, სამეგრელო, ეგრისი, ენგური, მარტვილი* («Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием»: ЗВО XVI, вып. II—III, 1905), *ოდიში, სამცხე* («История термина абхаз»: ИАН, 1912), *ცხენისწყალი, ღალიძგა, გრაკალი, მუხრანი,*

ცაგერი, ცხინვალი, ჩოჩხათი («Яфетические названия деревьев и растений»: ИАН, № 8. 9. 10. 1915).

სამეგრელოს ტოპონიმია (და საერთოდ ზანური წარმოშობის ტოპონიმები) ვრცლად არის წარმოდგენილი ი. ყ უ ი ფ შ ი ძ ი ს წიგნში «Грамматика мингрельского (иверского) языка» (1914). ძირითადად ამ ნაშრომს ვემყარებით ჩვენ ისეთი ტოპონიმების განხილვისას, როგორიცაა: *არგვეთი, აჯამეთი, ბულვანი, დიხაშხო, კირცხი, კოკი, კურზუ, ნოღა, ნოქალაქევი, ოკრიბა, ორაგვე, სათანჯო, ტობავარჩხილი, ტყაია, ტყვარჩელი, ფოქვეში, ქვაშიხორი, ღალიძგა, ჩხორთოლი, ჩხოროწყუ, წარჩე, წაჩხური, ჭაქვინჯი, ჭითაწყარი, ჭუბურხინჯი, ჭყონდიდი, ხინჯიკარი.*

ჩვენი შორეული წარსულის მრავალი რთული პრობლემის გაშუქებისას ტოპონიმიკურ მასალას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და ენობრივადაც აანალიზებენ ისტორიკოსები ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი და სხვები, რომელთა ნაშრომებიც ზემოთ უკვე იყო დასახელებული.

ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს შრომები გამოვიყენეთ ჩვენ განსაკუთრებით შემდეგი ტოპონიმების განხილვისას: *არაგვი, ბეინევი, გუბაზოული, გურია, დარიალი, ზანა, თელავი, იმერეთი, კოლხეთი, ლანჩხუთი, ლიახვი, ნოჯიხევი, ოტობაია, ოჩხამური, საზანო, ყარაღაჯი, ჩხერიმელა, ჭანეთი, ჭყონაგორა, ჯიხაიში, ჯიხანჯირი, ჯიხაჯკარი, ჯუმათი.*

ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს შრომებში წარმოდგენილია ალავერდის, აჩაბეთის, აჭარის, აჭყვის, ერთაწმინდის, ნეძონას, სუფსის, ფასიდის (*რიონის*), ფოთის ეტიმოლოგიები.

ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს „საქართველოს ისტორიის საკითხები" — განსაკუთრებით მისი პირველი წიგნი („ისტორიული გეოგრაფია") — შეიცავს მრავალ ეტიმოლოგიურ დაკვირვებას და საყურადღებო მოსაზრებებს ისეთ ტოპონიმთა შესახებ, როგორიცაა *აგარა, ვაჩიანი, ზოვრეთი, მაღლაკი, მისაქციელი, ნებოძირი, რუისი, რუსთავი, სიქთარვა, ქობულეთი, წყალტუბო.*

ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ გამოცემულ ბიზანტიელ მწერალთა ცნობებს საქართველოს შესახებ („გეორგიკა") ახლავს ვრცელი კომენტარი, სადაც ფრიად საყურადღებო მოსაზრებანი არის წარმოდგენილი *ბათუმის, ვარციხის, მცხეთის, მუხურის, ნოსირის, ქობულეთის, ქუთაისის, ყვირილის, ჭოროხის* შესახებ.

პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს „გიორგი მერჩულეზე" დაყრდნობით გვაქვს მოცემული *აჭანდარის, ბზიფის, ბიჭვინთის, გაგრის, გურიის, ტყვარჩელის, წებელდის, წყურგილის* განმარტებანი; გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს ნაშრომების მიხედვით—*კოლხეთის, რიონის, ფოთის* განმარტებანი.

დასავლეთ საქართველოს ზოგი ტოპონიმის შესახებ, როგორიცაა *ნიგოითი, საჭილაო, საჯავახო, საჯიჯაო*, საინტერესო ისტორიული მასალა არის წარმოდგენილი და გაანალიზებული ო. ს ო ს ე ლ ი ა ს წიგნში „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან".

თანამედროვე ქართველ ენათმეცნიერთაგან ტოპონიმიკური კვლევა-ძიება ყველაზე ხშირად გვხვდება ა. შ ა ნ ი ძ ი ს შრომებში, სახელდობრ, მის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში" წარმოდგენილია შემდეგი ტოპონიმების ანალიზი: *ბეღლევი,*

ბოსლეჟი, გარდატენი, კაცხი, ლამისყანა, მეჯვრისხევი, ნამანევი, ნასაკირალი, ნაჭულბაქევი, პატარძეული, რკონი, საგარეჯო, სამცხე, ტინისხიდი, უფლისციხე, შუაფხო, წიაღუბანი, ხრეითი. ა. შანიძესვე ეკუთვნის ეტიმოლოგიები შემდეგი ტოპონიმებისა: *ხერთვისი* („ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში"; თსუ მოამბე, II, 1923), *მენჯი, მერჯევი, ნიგოითი* („ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში", სმამ, II, 1941), *ყარსი, ბანა, არტანუჯი* („ეტიმოლოგიური ძიებანი", თსუ სამეცნიერო სესიის თეზისები, 1952, *თბილისი* („საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის"; „თბილისი — 1500", თსუ საიუბილეო კრებული, 1958), *სავანე* („სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის", გამოკვლევა ერთვის ძეგლის გამოცემას, 1959), *რაჭა* („ავრი სუფიქსიანი ქალის სახელები ძველ ქართულში": თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, XI, 1968), *დანისპარაული* (ა. შანიძის მოსაზრება დამოწმებულია შ. ნიქარაძის წიგნში „ქართული ენის ზემოჭარული დიალექტი", 1961).

არნ. ჩიქობავას ეკუთვნის შემდეგ ტოპონიმთა ეტიმოლოგიური ანალიზი: *თელეთი. ტირიფონა, ქვალონი* („ონ სუფიქსი მეგრულში": თსუ მოამბე, VI, 1926), *ზანა, წყალტუბო* („ჰანურის გრამატიკული ანალიზი", 1936), *წალენჯიხა* („წარ პრეევრების მნიშვნელობისათვის ქართულში", ენიმკის მოამბე, I, 1937), *წყნეთი* („ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი", 1938).

ი. ქავთარაძის მიერ არის გაანალიზებული *ზესტაფონი, თერჯოლა, ფარცხანაყანევი* („ქართული ენის ისტორიისათვის", I, 1964), *სიქთარვა, ცხუნთარო* („რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი", „ცისკარი", № 11, 1968).

მ. ანდრონიკაშვილს ეკუთვნის ეტიმოლოგიები: *ასპინძა, თეძამი, ნოსტე* („ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან", I, 1966).

პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძეს ეკუთვნის ეტიმოლოგიები: *დიდუბე, ნარიყალა* „(ჩვენი დედაქალაქის წარსულიდან". „ლიტ. გაზეთი", 25, 1, 1957), *ფასანაური, ბადიაური* („ნამცვრევი": „მნათობი", № 8, 1960), *მახინჯაური* („მნათობი", № 9, 1968).

ტოპონიმიკას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მ. ალავიძე. მის ნაშრომებში გაანალიზებულია გეოგრაფიული სახელები: *ბარდნალა* („უკვდავი მესიტყვე": გაზ. „ქუთაისი", 22. VI, 1968), *ლეშკედა* („ლეჩხუმის ტოპონიმიკური სახელწოდებანი": ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XVIII, 1958), *ოფურჩხეთი* („ზანური ფიჩხ ძირისათვის ქართულში". ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ქუთაისის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გაერთიანებული სამეცნიერო სესიის თეზისები, ქუთაისი, 1964), *რაჭა, რიონი, რუისი* („ეტიმოლოგიური დაკვირვებანი"; ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XXX, 1967), *ჰყვიში* („ქართველურ ენათა ურთიერთობიდან. წყ-ჰყ კომპლექსთა შესატყვისობის პრობლემა": თსუ ფილოლოგიის I სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 1975), *საკრაულა, ჩხენიში* („ივანე ჯავახიშვილის სადიდებლად", გაზ. „ქუთაისი", 28. IV, 1976). აღსანიშნავია მისივე გამოკვლევა ქუთაისის მიკროტოპონიმების შე-

სახებ („ქუთაისის ტოპონიმიკიდან": გაზ. „ქუთაისი", №№ 9, 26, 29, 73, 92, 1964).

სამხრეთ საქართველოს ტოპონიმიას დაწვრილებით განიხილავს ს. ჯიქია გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრისადმი მიძღვნილ ვრცელ ნაშრომში. გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის საკითხებს ეხება ამ ნაშრომის III წიგნი, რომელსაც ჩვენ ვემყარებით ამასთუმნის, ბეთლემის, ცხროჰის განმარტებისას. ს. ჯიქიასვე ეკუთვნის შემდეგი ტოპონიმების ეტიმოლოგიური ანალიზი: ზვარე, ჩირდილი („სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმიკისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი": თსუ შრომები, 41, 1950), სურამი („აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან:" ენათმეცნ. ინსტ. შრომები, III, 1960), მტკვარი (რეცენზია ა. ახუნდოვის ნაშრომზე — «Этимология слова Кура»: თსუ შრომები, 91, 1960).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიული სახელების შესახებ არსებული ლიტერატურა თავმოყრილი და გაანალიზებულია ი. სიხარულიძის ნაშრომში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა", რომელსაც ვიყენებთ ჩვენ კაპნისთავის, კონდიდის, მარადიდის, მერიას, ნავანების, სურდიდის, შუბანის, ჩაოს, ძენწმანის, ჭოროხის განმარტებისას.

ამავე მხარის ერთი ნაწილის ტოპონიმია განხილულია შ. ნიგარაძის გამოკვლევაში „ქართული ენის ზემოჭარული დიალექტი" (1961). აქედანაა აღებული დანდალოს და ხულოს ეტიმოლოგია.

გურულ დიალექტში ზანიზმების საკითხთან დაკავშირებით სხვა მასალასთან ერთად გეოგრაფიულ სახელებსაც განიხილავს ი. მეგრელიძე («Лазский и мегрельский слои в гурийском», 1938). აქ განხილულია, სახელდობრ, ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა: დიხაშხო, მაჩხვარეთი, ნოღა, ოზურგეთი, ორაგვე, ჩოჩხათი...

ამავე რიგის მასალას ეხებიან აგრეთვე ს. ჟღენტი და ზ. სარჯველაძე. ამათგან პირველს ეკუთვნის ქვაბლის ეტიმოლოგია („ზანიზმები გურულ ხმნებში"; ენიმკის მოამბე, V—VI, 1937), მეორეს — ჭანჭათისა და ჭინათის ეტიმოლოგიები („ზანიზმები გურულში": გორის პედინტიტუტის შრომები, X, 1967).

სვანური წარმოშობის რამდენიმე ტოპონიმი (ლაილაში, ლახამულა, ლეშკედა, ტვიში...) ეტიმოლოგიზირებულია მ. ქალდანის მიერ („ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ (-მ) სუფიქსის საკითხისათვის": ქესს, II, 1963).

არსებობს აგრეთვე ეტიმოლოგიური გამოკვლევები და შენიშვნები შემდეგი ტოპონიმების შესახებ: ამბროლაური, ანანური (ალ. ხახანაშვილი, გეოგრაფიული სახელების ახსნა: „განათლება", III, 1910), აზავრეთი. განძანი, (ი. როსტომოვი, Ахалкалакский уезд в археологическом отношении: СМОМПК, XXV, 1806), ბახმარო (დ. კობიძე, „ბახმაროს" ეტიმოლოგიისათვის: გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი", 12. XI, 1953; ზ. ჭუმბურიძე, ტოპონიმიკური ძიებანი. ბახმარო; „თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს", 1969), ასპინძა, ბორჯომი (ი. მაისურაძე, „ბორჯომის" ეტიმოლოგიისათვის: „კომუნიზმის დროშით", № 22, 1961), ბროწლეთი (ალ. ღლონ-

ტი, ტოპონიმი და ტოპონიმიკა: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", № 4, 1967), დმანისი, მანგლისი (გრ. კაპანციანი, Суффиксы и суффигированные слова в топонимике древней Малой Азии, ერევანი, 1948), დმანისი (თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტიზმი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით: „მეტყველების ანალიზის საკითხები", 1969), ზუგდიდი (შ. მესხია, „ზუგდიდი" თუ „ზუბდიდი"; „ორიონი", ა. შანიძისადმი მიძღვნილი კრებული, 1967) ბერეჟოული, კოჯორი (თ. გონიაშვილი, ერთი ბგერის ისტორიიდან ქართულში: ენიმკის მოამბე, II. 1938), თუხარისი (თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის: ქესს, II, 1962), ლიახვი, წილკანი (ვ. გამრეკელი, დვალეთის ტოპონიმიკის ანალიზისათვის: ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. 1, 1958), ლისი (ი. მაისურაძე, საიდან წარმოდგა ლისის ტბის სახელწოდება: გაზ. „თბილისი", 7. 11, 1969), მათსოჯი (შ. ძიძიგური, მეგრული სუფიქსის კვალი ქართულში: იქე, 1, 1946), მახინჯაური (ზ. ახვლედიანი, მახინჯაურის ეტიმოლოგიისათვის: „ლიტერატურული აჭარა", № 2, 1961), ოჩე (ზ. ალექსიძე, გ. მაჭავარიანი, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები. ოჩე: თსუ შრომები, 127, 1968), ოჩამჩირე, ტყაჩირი (გ. როგავა, დასავლეთ საქართველოს ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების ეტიმოლოგიისათვის: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის IV სამეცნიერო სესია, 1959, თეზისები), ჟვანეთი (მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი: თსუ შრომები, IX, 1938), ტობახჩა (გ. მაჭავარიანი, რეცენზია გ. კლიმოვის ნაშრომზე «Этимологический словарь картвельских языков»: „მაცნე", № 1, 1967), ქუთაისი (რ. შამელაშვილი, ქუთაისის ეტიმოლოგიისათვის: გაზ. „ქუთაისი", 8. 12, 1963), ჩუღურეთი (თ. ბერიძე, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან, ჩუღურეთი: „მნათობი", № 6, 1968; მასვე, ქუთვნის კიდევ რამდენიმე გამოკვლევა თბილისის მიკროტოპონიმების შესახებ), უდე (მ. ბერიძე. სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმიკური ლექსიკიდან. 1, სახუდაბელი||საყუდაბელი: თსუ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომები, 3—4, 1974), ფაზისი (რ. გორდეზიანი, „ფაზისის" ეტიმოლოგიისათვის: თსუ ძველი ენების ფრ. შილერის სახ. უნივერსიტეტის შრომები, B 2(140), 1971), ზღუდერი (ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, 1968), ნარიყალა (ჯ. გიუნაშვილი, ტერმინ „ნარიყალას" მნიშვნელობისათვის: ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1976), ლანჩხუთი (ზ. ჭუმბურიძე. ერთი ტოპონიმის შესახებ: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", № 2 1974), სუჯუნა (ზ. ჭუმბურიძე. ტოპონომიკური ძიებანი: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", № 1, 1975), აბისი. ბებნისი (ზ. ჭუმბურიძე, ტოპონიმიკური ძიებანი: „ენათმეცნიერება", თსუ შრომები, ტ. 164, 1975), ჭიშურა (ზ. ჭუმბურიძე ტოპონიმიკური ძიებანი: „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან", 1976).

ზოჯერ საინტერესო ტოპონიმიკური დაკვირვებანი და შენიშვნები ქვეყნდება რაიონული გაზეთების ფურცლებზეც, რომელთა თვალ-ყურის დევნებაც, სამწუხაროდ, ყოლთვის არ ხერხდება, ჩვენ გაეცანით და გამოვიყენეთ მ. კვირ-

ტიას წვრილები. გამოქვეყნებული ჩხოროწყუს რაიონული გაზეთის „ნაპერწკლის" ფურცლებზე 1971-76 წლებში *ოჩხომურის, ნაკიანის. კირცხის. ჯუმითის* და ამ რაიონის სხვა ტოპონიმების შესახებ.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ბოლო დროს დაცული იქნა რამდენიმე სპეციალური სადისერტაციო ნაშრომი, მიძღვნილი ამა თუ იმ მხარის ტოპონიმიკის საკითხებისადმი. მათ ვემყარებით ჩვენ ზოგიერთი ტოპონიმის განმარტებისას, როგორიცაა: *კაწალხევი, დგნალი, ოშპიტელი* (გ. ხორნაული, მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმიკა, 1974), *ავენისი, ივლიანგორი, გველეთი, დევდორაკი, მოკონი* (გ. ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმიის ძირითადი საკითხები, 1974), *ოხაჩკუე, ჩხოროწყუ* (პ. ცხადია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, 1975).

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამა თუ იმ ტოპონიმის თაობაზე ზემოთ მითითებულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი ჩვენ მიერ ზოგჯერ მთლიანად გაზიარებული არ არის, ზოგჯერ რამდენადმე დაზუსტებულია, ტოპონიმთა ერთი ნაწილი კი ახლად არის ეტიმოლოგიზებული.

„რა გქვია შენ" პირველად 1966 წელს გამოიცა. პირველი გამოცემის წინ წიგნს ხელნაწერში გაეცნენ და მრავალი საგულისხმო შენიშვნა გაგვიზიარეს პროფ. ს. ჯიქიამ, პროფ. ი. შილაკაძემ, ფილოლოგიურ მეცნ. დოქტორმა თ. ჩხეიძემ და თ. კოპლატაძემ. ცალკეული საკუთარი სახელების განმარტებაში დახმარება გაგვიწიეს აგრეთვე პროფესორებმა კ. წერეთელმა, ა. ურუშაძემ და მ. თოდუამ.

წიგნის პირველ გამოცემასთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებანი და შენიშვნები მოგვაწოდეს პროფესორებმა ზ. შველიძემ, ო. ჭურღულიამ, რ. შამელაშვილმა, დოც. მ. ალავიძემ.

მეორე გამოცემის წინ (1971 წ.) ახლად გადამუშავებული და შევსებული ნაშრომი წაიკითხეს და საყურადღებო მოსაზრებანი გაგვიზიარეს პროფესორებმა დ. კობიძემ, ტ. გუდავამ, მ. თოდუამ, რ. გორდეზიანმა, მ. შანიძემ, ნ. შოშიაშვილმა და კ. დანელიამ.

ახალი გამოცემისათვის საინტერესო ცნობები მოგვაწოდა მ. კვირკვიამ.

ყველა მათ გულითად მადლობას მოვახსენებ. წინასწარ მადლობას ვუცხადებ აგრეთვე ყველას, ვინც მომავალში აღმოგვიჩენს ამ მხრივ რაიმე დახმარებას.

მწარე გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე მეგობარი და კოლეგა, რომელთა კეთილი რჩევითა და მხარდაჭერით ამ წიგნის ავტორი დიდად დავალებულია, ნაადრევად გამოაკლდა ქართველ ენათმეცნიერთა რიგებს. თავს მოვალედ ვთვლით მადლიერებით მოვიგონოთ ისინი: პროფესორები გივი მაჭავარიანი, ფარნაოზ ერთელიშვილი, ტოგო გუდავა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი არლი თაყაიშვილი.

მკითხველებს ვთხოვთ, თავიანთი შენიშვნები და სურვილები აცნობონ გამომცემლობას (მარჯანიშვილის ქ. № 5) ან პირადად ავტორს. (თბილისი 77, საბურთალოს ქ. № 61).

ს ა რ ჩ ე ვ ი

ორიოდე სიტყვა წინასწარ 3

ნაწილი პირველი

რა გქვია შენ? 6
ვახტანგი და ელეფთერი 26
ქართული გვარები 41
სახელებისაგან წარმოქმნილი გვარები 47
დახასიათების შემცველი გვარები 51
ხელობისა და თანამდებობის აღმნიშვნელი გვარები . 51
ხელობისა და თანამდებობის აღმნიშვნელი გვარები . 54
წარმომავლობისა და სადაურობის აღმნიშვნელი გვარები 57
სხვადასხვა საგნის სახელწოდებისაგან ნაწარმოები გვარები 62

ქართული სახელები
ვაჟის სახელები 65
ქალის სახელები 121

ნაწილი მეორე

ადგილთა ვინაობა 149
სადაც ვმობილვართ, გავზრდილვართ 159
იცი თუ არა 276
ბიბლიოგრაფიული ცნობები 298

Зураб Галактионович Чумбуридзе

КАК ТЕБЯ ЗОВУТ?

(на грузинском языке)

ИБ № 583

რედაქტორი მ. მენთეშაშვილი
მხატვრ. რედაქტორი ე. ქიშმარაია
ტექრედაქტორი გ. ბოკუჩავა
უფროსი კორექტორი ა. ბახტაძე
კორექტორი ნ. ოდილავაძე
გამომშვები ო. მაჭავარიანი

გადაეცა წარმოებას 3/II-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/VI-79 წ. საბეჭდი ქაღალდი № 2. ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂. ნაბეჭდი თაბახი 19,25. პირ. ნაბეჭდი თაბახი 15,59. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14.15.
ტირაჟი 5.000. შეკვ. № 228.

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Издательство «Цанатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5
1982

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.